

საერთაშორისო კონფერენცია
*არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა - ტენდენციები და
გამოწვევები*
2023 წლის 21-23 სექტემბერს ჩატარებული კონფერენციის მასალები

International Conference

Archival and Source Studies – Trends and Challenges

Materials of the conference held on September 21-23, 2023.

Tbilisi 2024 თბილისი

სარედაქციო ჯგუფი:

თეონა იაშვილი
ქეთევან ასათიანი
ნინო ბადაშვილი
თამთა შონვაძე
დიმიტრი სილაქაძე
ლევან ჯიქია

კრებულში წარმოდგენილი მასალის გამოყენება და გავრცელება დასაშვებია მხოლოდ წყაროს მითითებით.

წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორებს და შესაძლებელია არ ასახავდეს სარედაქციო ჯგუფის შეხედულებებს.

© ყველა უფლება დაცულია.
????????????????????????????????

შემოკლებები:

სეა - საქართველოს ეროვნული არქივი
სცა - საისტორიო ცენტრალური არქივი
უიდა - უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი
კცა - კინოფოტოფონო ცენტრალური არქივი
ქცა - ქუთაისის ცენტრალური არქივი
კრა - კახეთის რეგიონალური არქივის
ტცა - თბილისის ცენტრალური არქივი
ხეც - ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ლმა - გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის არქივი
შსსუა - შინაგან საქმეთა სამინისტროს უშიშროების არქივი.
შსსა - შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი
სემა - საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქივი
სსმმ - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე

497 წლის სელეგვიის კრება და ქართლის ეკლესია

497 წლის ნოემბერში, ირანის შაჰ ჯამასპის (496-499) მხარდაჭერით სასანიანთა ირანის დედაქალაქ სელეგვია-ქტეზიფონში გაიმართა აღმოსავლეთის ეკლესიის კრება (Chabot, 1902: 310, შენ.4; ჩიქოვანი, 2019: 176, შენ. 451), რომელმაც დაასრულა თითქმის 15-წლიანი სქიზმა აღმოსავლეთის ეკლესიაში, რომელიც გამოიწვია ნიზიბინის მიტროპოლიტ ბარსუმასა და მისი მომხრეების დაპირისპირებამ კათოლიკოს ბაბოვანთან (457-484). ბარსუმა ნიზიბინელი საეკლესიო საკითხებში შაჰინშაჰ პეროზის (459-484) მარჯვენა ხელი იყო, „არბელას ქრონიკის“ ცნობით, პეროზი ბარსუმას რჩევით მართავდა სახელმწიფოს (Mingana, 1908: 147; ჩიქოვანი, 2019: 133).

484 წელს ბარსუმამ თავის მომხრეებთან ერთად ბეთ ლაპატში გამართა კრება, რომელზეც დაგმეს კათოლიკოსი ბაბოვა (ჩიქოვანი, 2019: 141). ეს ქმედება იყო აღმოსავლეთის ეკლესიის III - 424 წლის მარკაბტას კრების დადგენილების უარყოფა, რომლის მიხედვითაც *„არავის აქვს უფლება, რომ კათოლიკოსის წინააღმდეგ კრება გამართოს,... ჩვენ არანაირი მიზეზით არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღმოსავლეთის კათოლიკოსი შეიძლება განისაჯოს მასზე დაბლა მდგომისგან ან მისი მსგავსი პატრიარქისგან. ის თავად უნდა იყოს მოსამართლე ყველასი, ვინც მისი [დაქვემდებარების] ქვეშაა და [თავად] მისი საკუთარი განაჩენი გადადებული უნდა იყოს ქრისტესთვის, რომელმაც ამოირჩია იგი, აღაზევა და დაადგინა თავისი ეკლესიის მეთაურად“* (Chabot, 1902: 296; ჩიქოვანი, 2019: 124).

ბეთ ლაპატის კრებასთან დაკავშირებით საჭიროდ ვთვლით, კომენტარი გავუკეთოთ ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ „484 წელს სირიულ-სპარსული ეკლესიის ბეთ-ლაპატის კრებაზე ნესტორიანობა სპარსული სახელმწიფოს ქვეშევრდომ ქრისტიანთა ოფიციალურ სარწმუნოებად იქნა აღიარებული“ (მერკვილაძე, 1997: 18). ბეთ ლაპატის კრება არ ყოფილა სასანიანთა ირანში არსებული სირიულ-სპარსული ანუ აღმოსავლეთის ეკლესიის ოფიციალური კრება, შესაბამისად, იგი სპარსეთის სახელმწიფოს ქვეშევრდომ ქრისტიანთა ოფიციალურ სარწმუნოებად ნესტორიანელობას და ვერც სხვა რაიმე მიმართულებას ვერ გამოაცხადებდა. იგი იყო მხოლოდ აღმოსავლეთის ეკლესიის წევრთა ერთი ნაწილის მიერ უკანონოდ ჩატარებული კრება. რის საპასუხოდაც, თავის მხრივ, კათოლიკოსმა ბაბოვანმა შეკრიბა თავისი მომხრეები და ბარსუმა ნიზიბინელი და ბეთ ლაპატის კრების სხვა მონაწილეები ეკლესიიდან განკვეთა. პარალელურად კი წერილი, რომელშიც დახმარებას ითხოვდა, გაუგზავნა აღმოსავლეთ რომის იმპერატორ ზენონს. წერილი ბარსუმას მომხრეებმა იგდეს ხელთ და პეროზს წარუდგინეს. განრისხებულმა პეროზმა ბაბოვანის ერთგულების დასამტკიცებლად მზის თაყვანისცემა მოსთხოვა, რაზეც უარი მიიღო, მაშინ შაჰმა იგი სიკვდილით დასაჯა (Scher, 1911: 100-102; ჩიქოვანი, 2019: 141-143).

მოსალოდნელი იყო, რომ პეროზი კათოლიკოსად სწორედ ბარსუმას დანიშნავდა, მაგრამ არ დასცალდა, იმავე 484 წლის ზაფხულში იგი ჰეფთალეებთან ბრძოლაში დაეცა, ბარსუმას მოწინააღმდეგე ეპისკოპოსებმა კი ახალი შაჰის, ვალარშის (484-488) შემწეობით კათოლიკოსად ბაზოვას ნათესავი, აკაკი აკურთხეს. თავდაპირველად ბარსუმა და მისი მომხრეები არ აღიარებდნენ აკაკის კათოლიკოსად, მაგრამ 485 წლის აგვისტოში ბარსუმა იძულებული გახდა ბეთ ედრას კრებაზე გამოცხადებულიყო, ელიარზინა აკაკი კათოლიკოსად და დაეგმო ბეთ ლაპატის კრების დადგენილებები (Chabot, 1902: 308-309; ჩიქოვანი, 2019: 143-147).

როგორც აღმოჩნდა, ბარსუმას მხრიდან შერიგება მხოლოდ მოჩვენებითი იყო, ჯერ იყო და იგი არ გამოცხადდა 486 წლის კრებაზე, ხოლო 491 წლიდან მასა და კათოლიკოსს შორის იმდენად დაიძაბა ურთიერთობა, რომ მათ ერთმანეთი ანათემას გადასცეს. დაპირისპირება ორ მხარეს შორის გაგრძელდა ბარსუმას გარდაცვალების (491 წ.) შემდეგაც. მხოლოდ 497 წლის კრებამ დაუსვა წერტილი განხეთქილებას აღმოსავლეთის ეკლესიაში (ჩიქოვანი, 2019: 173-182).

ამ დაპირისპირებამ ძლიერად შეარყია აღმოსავლეთის კათოლიკოსის ძალაუფლება და ექვემდებარება დააყენა სელევკია-ქტეზიფონის ეპისკოპოსის პირველობა სასანიანთა იმპერიაში. სწორედ ამიტომ 497 წლის კრებაზე საჭირო გახდა მისი პირველობის ხელახლა აღიარება: *„ჩვენ ასევე ვიცავთ ორთოდოქსულ კანონებს, რომლებიც ჩვენი ძველი მამებისგან კრებებზე იქნა დადგენილი, და რომლებიც სამართლიანად იცავენ კობეს დიდებული ეკლესიის სამოციქულო საყდრის პატივსა და პირველობას... ამიერიდან... ჩვენს ძმას, პატივდებულ და წმიდა უფალ ბაბაის, ეპისკოპოსს, მივიჩნევთ კათოლიკოსად, მეთაურად, ხელმძღვანელად, დამრიგებლად და მმართველად“* (Chabot, 1902: 313; Curtin, 2020: 66; ჩიქოვანი, 2019: 180).

კრებამ ბარსუმას მომხრე ეპისკოპოსებს ერთწლიანი ვადა მისცა, რათა შეერთებოდნენ კრების დადგენილებას და თავიანთ მეთაურად ეცნოთ აღმოსავლეთის კათოლიკოსი, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მათი ანათემაზე გადაცემა და თანამდებობიდან დამხობა განუსაზღვრა (Chabot, 1902: 314; ჩიქოვანი, 2019: 181-182).

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებით, „499 წლის (უნდა იყოს 497 წ. - დ.ჩ.) კრებამ სელევკიაში ნესტორიანელობა სპარსეთის სახელმწიფო სარწმუნოებადაც კი გამოაცხადა“ (ალექსიძე, 1973: 155, შენ. 10), რაც სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგანაც 497 წლის სელევკიის კრებას საერთოდ არ უმსჯელია ქრისტოლოგიურ საკითხზე (Chabot, 1902: 310-317; ჩიქოვანი, 2019: 175-187).

აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთის კათოლიკოსმა ბოლომდე მაინც ვერ დაიბრუნა თავისი უწინდელი მდგომარეობა - ამიერიდან ეპისკოპოსები ვალდებულნი იყვნენ აღმოსავლეთის კათოლიკოსთან შეკრებილიყვნენ არა 2 წელიწადში ერთხელ, როგორც ეს იქამდე იყო მიღებული, არამედ 4 წელიწადში ერთხელ (Chabot, 1902: 313; Curtin, 2020: 67; ჩიქოვანი, 2019: 181), რაც კათოლიკოსის ძალაუფლების გარკვეულწილად შესუსტებაზე უნდა მიუთითებდეს (ჩიქოვანი, 2019: 187).

აღმოსავლეთის კათოლიკოსის ძალაუფლების გავრცელების საზღვრებთან დაკავშირებით საინტერესოა მარი ბროსეს (1802-1880) ერთი შენიშვნა: „ასსემანის აღნიშნული აქვს, რომ 498 წლიდან მაფრიანის, ანუ ასურელთა ნესტორიან კათალიკოსს ემორჩილებოდა

ქართველთა ეპისკოპოსიც“ (Brosset, 1849:194-195, შენ.). თავად მართალია, თავად მ. ბროსე ამ ცნობას ეჭვის თვალთ უყურებდა, რადგანაც, მისი აზრით, ქართველები ნესტორის მიმდევრები არ ყოფილან (Brosset, 1849: 194-195. შენ). მაგრამ ივ. ჯავახიშვილი ამ ცნობას სანდოდ მიიჩნევდა და რაკილა სომხეთში VI საუკუნის შუა წლებში ნესტორიანებს საკუთარი ეკლესია და სამწყსო ჰყოლიათ, თვლიდა, რომ 498 წლიდან ქართლში ნესტორიანელები საკმაოდ უნდა ყოფილიყვნენ, რადგანაც მათ ცალკე ეპისკოპოსი დასჭირდათ და მათ ქართლში თავიანთი მრევლი და სამწყსო უნდა ჰყოლოდათ (ჯავახიშვილი, 1951: 348).

უკანასკნელი გამოკვლევებით დასტურდება, რომ ქართლის ეკლესია, ისევე, როგორც სომხეთისა და ალბანეთის ეკლესიები, V საუკუნის 10-იანი წლებიდან აღმოსავლეთის კათოლიკოსს დაექვემდებარა (Chikovani, 2020: 147-165). 438 წელს ირანის ტახტზე იეზიდგერდ II-ის ასვლის შემდეგ აღმოსავლეთის კათოლიკოსმა დაკარგა სახელმწიფოსგან მხარდაჭერა, რასაც ამიერკავკასიის ქვეყნებში მისი გავლენის შესუსტება და შემდეგ საერთოდ დაკარგვა მოჰყვა. ამით ისარგებლეს ქართლის მესვეურებმა და ქართლის ეკლესიამ აღმოსავლეთის კათოლიკოსის დაქვემდებარებიდან დე-ფაქტო გამოსვლა შეძლო (Chikovani, 2020: 165).

498 წელს აღმოსავლეთის კათოლიკოსისადმი დაქვემდებარებულ ეპისკოპოსთა შორის „ქართველთა ეპისკოპოსის“ მოხსენიება კი ქართლის ეკლესიაზე აღმოსავლეთის კათოლიკოსის იურისდიქციის გავრცელებას უნდა მიუთითებდეს.

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჩვენ დაწვრილებით შევისწავლეთ აღნიშნული ცნობა და მის შესახებ არსებული ისტორიოგრაფიაც. მარი ბროსესა და ივანე ჯავახიშვილს მხედველობაში ჰქონდათ IX საუკუნის მოღვაწის, აღმოსავლეთის ეკლესიის კანონისტიკისა და ქრონოგრაფის, ელია იბნ 'უზაიდის (ელია დამასკელის) „არაბული ნომოკანონის“ ლათინური თარგმანი, რომელიც ეკუთვნის ლიბანელ ორიენტალისტ ჯუზეპე სიმონე ასემანის (1687-1768) და რომელშიც ჰულვანის მიტროპოლიტისადმი დაქვემდებარებულ ეპისკოპოსებს შორის მოხსენიებულია „*Episcopus Georgianorum*“ - „ქართველთა ეპისკოპოსი“ (Assemani, 1721: 460).

რაც შეეხება თავად ელია დამასკელის თხზულებას: ელია იბნ 'უზაიდს თავის „არაბულ ნომოკანონში“ წარმოდგენილი აქვს აღმოსავლეთის ეკლესიის ეპარქიები. ჰულვანის მიტროპოლიტისადმი დაქვემდებარებულ ეპისკოპოსებს შორის იგი იხსენიებს أسقف الكرج - „ალ-ქრჯის ეპისკოპოსს“ (Assemani, 1721: 459).

მართალია, მარი ბროსე და ივანე ჯავახიშვილი მიიჩნევდნენ, რომ ცნობა ეხება 498 წელს, მაგრამ ჩვენთვის უცნობია, თუ რის საფუძველზე თვლიდნენ ისინი ასე, რადგანაც არანაირი მითითება ამის შესახებ წყაროში არ არის. მაგრამ, ეს ცნობა ვერ ექნება VII საუკუნის 20-40-იან წლებზე უადრესი, ვინაიდან ჰულვანი სამიტროპოლიტო კათედრა გახდა მხოლოდ VII საუკუნის I ნახევარში, 628-646 წლებს შორის (Fiey, 1993: 92). ამასთან, როგორც ჩანს, არც ამ პერიოდს უნდა ასახავდეს ელია დამასკელის ცნობა, ფრანგი ორიენტალისტი და აღმოსავლეთის ეკლესიის ერთ-ერთი გამოჩენილი ისტორიკოსი ჟან მორის ფიე (1914-1995) თვლიდა, რომ აღნიშნული ცნობა ეხება დაახლ. 900 წელს, ანუ იმ დროს, როდესაც ელია დამასკელი წერდა თავის „ნომოკანონს“ (Fiey, 1993: 92).

მართალია, რომ ქართველების აღსანიშნად არაბულში ყველაზე გავრცელებული კრებითი სახელი იყო *الكر* - „ალ-ქურჯ“, მაგრამ ამ სახელწოდებით ასევე აღინიშნებოდა ქალაქი ქარაჯი, ამგვარად იხსენიება იგი ელია იბნ უბაიდის თანამედროვის, არაბი ისტორიკოსისა და გეოგრაფის იაკუბის (გარდ. 897 წ.) თხზულებაში (Goeje, 1891: 272-275; Gordon and al. 2017: 107-110).

ქალაქი ქარაჯი მდებარეობდა ისპაჰანსა და ჰამადანს შორის, უფრო ზუსტად, დაახლოებით თანამედროვე გოლპეიგანსა და ჰამადანს შორის, ამ ორი ქალაქის შუაში (Gordon and al. 2017: 107. შენ. 158). იგი შედიოდა ჯიბალის პროვინციაში, ჰულვანის ყველა საეპისკოპოსო კი სწორედ ჯიბალის პროვინციაში შედიოდა. შესაბამისად, ელია დამასკელის ცნობის *الكر* - „ალ-ქურჯ“ უნდა იყოს არა ქართლი, არამედ ქალაქი ქარაჯი (ჩიქოვანი, 2024: 137-138).

ამასთან, მართალია, 497 წელს სელევკია-ქტეზიფონის ეპისკოპოსმა და აღმოსავლეთის კათოლიკოსმა შაჰინშაჰის მხარდაჭერით ისევ შეძლო სასანიანთა იმპერიის ეპისკოპოსების კვლავ დამორჩილება, მაგრამ 497-498 წლისთვის ირანსა და სამხრეთ კავკასიაში არსებული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე შეუძლებელი იყო აღმოსავლეთის ეკლესიის მიერ ქართლის ეკლესიის დაქვემდებარება, რადგანაც ამ დროისთვის 482-484 წლებში აჯანყებული ქართლის სამეფო ჯერ კიდევ არ ჰყავდა დამორჩილებული სასანიანთა ირანს.

მაგრამ ამის საფრთხე რეალური უნდა გამხდარიყო მას შემდეგ, რაც 499 წელს კავადმა ტახტი დაიბრუნა, ხოლო ბიზანტიასთან ომის წინ, 499-502 წლებს შორის მოახერხა ქართლის სამეფოს დამორჩილება, რასაც შეეწირა ვახტანგ გორგასალი. საფრთხე მით უფრო რეალური იყო, რადგანაც აღმოსავლეთის ეკლესიის წევრები კავადს არწმუნებდნენ, რომ ქართველები, სომხები და ალბანელები მათი სარწმუნოების მიმდევრები იყვნენ. სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ერთადერთი იმედი ბიზანტია უნდა ყოფილიყო, რომელიც, თუ ამ ომში გაიმარჯვებდა, თავის ადრინდელ გავლენას დაიბრუნებდა სამხრეთ კავკასიაზე. მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა, 506 წელს ირან-ბიზანტიის ომი ტერიტორიული ცვლილების გარეშე დასრულდა, მხარეები ომამდელ მდგომარეობას დაუბრუნდნენ, რაც იმას ნიშნავდა, რომ კავადს ხელს ვერაფერი შეუშლიდა, პოლიტიკურად დაქვემდებარებული სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეკლესიები აღმოსავლეთის კათოლიკოსისთვის დაექვემდებარებინა.

სამხრეთ კავკასიის ეკლესიათათვის დამოუკიდებლობის შენარჩუნების ერთადერთი შანსი აღმოსავლეთის ეკლესიისგან განსხვავებული სარწმუნოებრივი დოქტრინის მიღება იყო, რადგანაც ამგვარ შემთხვევაში აღმოსავლეთის კათოლიკოსი ვეღარ შეძლებდა მათ დაქვემდებარებას და ეს შანსი გამოიყენეს კიდევ - 506 წელსვე, დვინში შემდგარმა გაერთიანებულმა კრებამ დაგმო სასანიანთა ირანში მიღებული სარწმუნოებრივი დოქტრინა და კიდევ ერთხელ დაადასტურა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პოლიტიკური და სარწმუნოებრივი კავშირი აღმოსავლეთ რომის იმპერიასთან.

გამოყენებული ლიტერატურა და ბიბლიოგრაფია:

ალექსიძე, ზ. (1973). მასალები დვინის 506 წლის საეკლესიო კრების ისტორიისათვის. *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე: ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების სერია*. N3. თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“.

მერკვილაძე, დ. (1997). ქართლის ოფიციალური რელიგია ქართველ-სომეხთა საეკლესიო განხეთქილების ფონზე. თბილისი. „უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

ჩიქოვანი, დ. (2019). აღმოსავლეთის ეკლესიის კრებათა ისტორია IV-V საუკუნეებში (კრებათა აქტები და სხვა მასალები). თბილისი. გამომცემლობა „კალმოსანი“.

ჩიქოვანი, დ. (2024). ელია იბნ „უზაიდის „არაბული ნომოკანონის“ ერთი ცნობის განმარტებისთვის. *ქართული წყაროთმცოდნეობა*.

ჯავახიშვილი, ი. (1951.) *ქართველი ერის ისტორია*. წიგნი პირველი. თბილისი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

Assemani, J. S. (1721). *Bibliotheca Orientalis Clementino-Vaticana*. T.2. Rome: Sacrae Congregationis de Propaganda Fide.

Brosset, M. - F. (1849). *Histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'au XIX siècle*. I. S.-Peterburg: Imprimerie de l'Académie impériale des sciences.

Chabot, J. – B. (1902). *Synodicon orientale ou recueil de synodes nestoriens*. Paris: Imprimerie Nationale.

Chikovani, D. (2020). The Synod of Mar Yahbalaha (AD 419/420) and its Significance for the History of the Church of Kartli. *Pro Georgia. Journal of Kartvelological Studies*. N 30. Warsaw.

Curtin, D. P. (2020). *The Fifth Century Councils of the Church of the East*. Philadelphia: Dalcassian Publishing Company.

De Goeje, M. J. (1891). *Aḥmad ibn Abī Ya‘qūb al-Ya‘qūbī, Kitāb al-buldān*. Leiden: Brill.

Gordon, M. S; Robinson, Ch. F; Rowson, E. K; Fishbein, M. (2017). *The Works of ibn Waḏīḥ Al-Ya‘qūbī (Volume 1) An English Translation*. Vol. 1. Boston: Brill.

Mingana, A. (1908). *Mšīḥa-Zkha (texte et traduction)*. *Sources syriaques*. Vol.1. Leipzig: Otto Harrassowitz.

Scher, A. (1911). *Histoire nestorienne inédite: (Chronique de Séert)*. Seconde partie (II), *Patrologia orientalis*, T.7. Paris: Firmin-Didot.

Fiey, J. M. (1993). *Pour un Oriens Christianus Novus: répertoire des diocèses syriaques orientaux et occidentaux*. Beirut: In Kommission bei Franz Steiner Verlag, Stuttgart.

The Synod of Seleucia (A.D.497) and the Church of Iberia (Kartli)

Summary

The Synod of Mar Babai took place in Seleucia-Ctesiphon in 497, at which clerical celibacy was abolished, permitting priests and even bishops to marry. The Synod was directed at the consolidation of episcopal forces within the Persian church which remains outside of the authority of the state sanctioned Catholicos. However, the Church of the East continued to have difficulties with governance both within the Sassanid dominion and also outside of it.

As modern studies prove, the Church of Iberia was subordinated to the Church of the East from the 10s of the 5th century. But as a result of the change of religious policy by Yezdigerd II, the Church of Iberia managed to gain independence. Did Catholicos of the East manage to regain its former influence on the Church of Iberia? - We try to answer this question in the presented article.

კუს ფიგურის საიდუმლო: ჭადრაკი შუა საუკუნეების საქართველოსა და მსოფლიოში

შუა საუკუნეების ქართულ პოემაში, „ამირანდარეჯანიანში“ ჩამოთვლილია შვიდი უნარი, რომელსაც ყველა რაინდი უნდა ფლობდეს: მშვილდოსნობა, ასპარეზობა, შუბის ხმარება, ცხენოსნობა, ნადირობა, ცურვა და ჭადრაკი. XII საუკუნეში, ესპანეთში მოღვაწე პეტრუს ალფონსის მიერ ჩამოყალიბებული, ევროპელი რაინდის შვიდი უნარი კი მოიცავს ცხენოსნობას, ცურვას, მშვილდოსნობას, კრივს, შევარდენით ნადირობას, ჭადრაკსა და ლექსების წერას. არჩილ მეფეც, დაახლოებით იგივე თვისებებს ჩამოთვლის XVII საუკუნეში და მისგან შექმნილ უნარებს შორის, კვლავ გვხვდება ჭადრაკი. გიორგი ათონელი რელიგიურ ტექსტშიც ასახელებს, მეფე ვახტანგ VI წესებს აღწერს, სულხან-საბა ორბელიანი ლექსიკონში განმარტავს, თეიმურაზ II კი საინტერესო ლექსს უძღვნის. გვიანანტიკურ ხანაში შექმნილ უკვდავ თამაშს, ამიერკავკასიაში სულ ცოტა, 1300 წელია, რაც თამაშობენ.

ქართულ ისტორიოგრაფიაში, ჭადრაკის ისტორიაზე, რამდენიმე ნაშრომი გვხვდება. პირველ რიგში, დავასახელებდი, მიხეილ ვადბოლსკის „ჭადრაკს 1400 წლის მანძილზე“ (ვადბოლსკი, 1972) და თენგიზ გიორგაძის „ჭადრაკს ძველ საქართველოში“ (გიორგაძე, 1957/1970). ორივე წიგნში, განხილულია ჭადრაკის ისტორია, საქართველოში შემოსვლის, ადგილობრივ კულტურულ ფენომენად გადაქცევის პროცესი, ასევე, ორივე ავტორი, ჭადრაკის ფიგურების ქართული სახელწოდებების კვლევასაც გვთავაზობს. აღვნიშნავ, თინათინ კერესელიძისა და თენგიზ გიორგაძის სტატიას „ჭადრაკის ქართულ ფიგურებს“ (კერესელიძე, გიორგაძე, 1974: 93-96), ს. ცაიაშვილისა და გ. კარტოზიას ჭადრაკი ძველ ქართულ მწერლობაში (ცაიაშვილი, კარტოზია, 1966), ნაზი ლორთქიფანიძის „ჭადრაკის ფიგურების ისტორიიდან“ (ლორთქიფანიძე, 2011: 18-20). თინათინ კერესელიძისა და თენგიზ გიორგაძის სტატია, ეხება დმანისში აღმოჩენილ, შუა საუკუნეების საჭადრაკო ფიგურებს, რომელთა შესახებაც, არქეოლოგიურ ცნობებს ვხვდებით თინათინ კერესელიძისვე „ძვლის ნივთების კატალოგში“ (კერესელიძე 1975). განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის შუა საუკუნეების ისტორიის მკვლევარის, გოჩა ჯაფარიძის ერთი, ძალიან საინტერესო სტატია „რას მოგვითხრობენ ტერმინები: საქართველოში ჭადრაკის გავრცელების თარიღისა და გზების საკითხი“ (ჯაფარიძე, 1967: 2). სტატიაში კონკრეტულად ფიგურების სახელწოდებებზეა გამახვილებული ყურადღება, თუ რომელი შემორჩა სასაწური ირანიდან, რა შეიცვალა არაბულ პერიოდში და დამკვიდრდა საქართველოში.

ამ სტატიით, გვინდა სამეცნიერო მიმოქცევაში დავაბრუნოთ ჭადრაკის ფიგურების კვლევა, რადგან, ჭადრაკში, საუკუნეების მანძილზე მომხდარი ცვლილებები, ფიგურების დამატება, ამოკლება თუ მათი ახალი სახელწოდებების დამკვიდრება, შეიძლება მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს, ეპოქის სოციალური თუ პოლიტიკური სურათის აღსადგენად.

ასევე, ყურადღებას გავამახვილებთ ქართული ჭადრაკის ერთი ფიგურის, კუს წარმომავლობასა და შინაარსზე.

ინდოეთიდან იბერიამდე

VI საუკუნიდან დაწყებული, შუა საუკუნეებში ჭადრაკს თამაშობდნენ ინდოეთში, სასანურ ირანში, ბიზანტიის იმპერიაში, ქართულ და სომხურ სამეფოებში, აბასიანთა სახალიფოში, კაპეტინგების საფრანგეთში, საღვთო რომის იმპერიაში, ინგლისში, ჯვაროსნულ სამეფო-სამთავროებში, კორდოვის სახალიფოში, ტამპლიერთა ორდენში, მონღოლთა იმპერიასა და საერთოდ, შორეულ აღმოსავლეთში. თამაშს ჰქონდა მრავალი ნაირსახეობა, სანამ იმ კლასიკურ ვერსიამდე მოვიდოდა, რომელიც დღესაც ინარჩუნებს დიდ პოპულარობას.

ჭადრაკის წარმოშობის ამბავი, ფირდოუსის „შაჰნამედან“, ინდოეთის მეფისა და თამაშის გამომგონებელი ბრძენი სისა იბნ დაჰირისა, რომელმაც მეფე მათემატიკური მეთოდით გააცურა და იმ რაოდენობის ხორბალი მოითხოვა, დედამიწას რომ დაფარავდა (ვადბოლსკი, 1972: 6-7), ფართოდ არის გავრცელებული. არსებობს სხვა ვერსიაც - ფირდოუსის „შაჰნამეს“ მიხედვით, თამაშის გამოგონების მიზანი, ბრძოლის ველზე უფლისწულის დაღუპვის მიზეზის ჭადრაკის დაფაზე, ფიგურების მეშვეობით ჩვენება იყო. ასევე, ამ სპარსულ ეპოსშია მოთხრობილი, როგორ გაცვალეს ინდოეთის მეფემ და სპარსეთის შაჰმა თავიანთი სამაგიდო თამაშები (სპარსელებმა ნარდი, ინდოელებმა ჭადრაკი) და შეთანხმდნენ, რომელიც გამოიგნობდა მოწინააღმდეგის შექმნილი თამაშის ყველა წესს, იმას მეორე მხარე დიდძალ ძღვენს უბოძებდა. სპარსელებმა ამოიგნეს ჭადრაკის პრინციპები, ინდოელებმა კი ვერაფერი მოუხერხეს ნარდს და შაჰისთვის ხარკის გადახდა მოუხდათ (Yalom, 2014: 4; Averbakh, 2012: 35).

„ჩატურანგა“ ასე უწოდებდნენ ინდოელები თამაშს. ეს სიტყვა, ოთხ ნაწილს, ოთხ დივიზიას ნიშნავს და უნდა მიუთითებდეს ინდური ჯარის ოთხ სახეობაზე - სპილოები, ეტლები, კავალერია, ქვეითი ჯარი, რაც ჭადრაკის დღემდე შემორჩენილ ფიგურებზეც კი აისახება. ასევე, მიიჩნევენ რომ ჩატურანგას ოთხი მოთამაშე თამაშობდა და მასში კამათელიც გამოიყენებოდა. სასანურ ირანში, შაჰის კარზე, თამაშს ჩატრანგი უწოდეს, დახვეწეს, განავითარეს და ბიზანტიას თუ სპარსული კულტურის გავლენის ქვეშ მოქცეულ ქვეყნებს - ალბანეთს, სომხეთსა და ქართლს უწილადეს. ფართოდ გავრცელდა შუა აზიაშიც, იმ დროისთვის, თეთრი ჰუნების, ჰეფტალიტების სახელმწიფოში. აქ, ჭადრაკის მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ფიგურებიც კი არის აღმოჩენილი. სასანიანებისგან ჭადრაკის გავრცელება, VI-VII საუკუნეების მიჯნაზე უნდა მომხდარიყო და ამავე დროს უნდა შემოსულიყო ქართლშიც. თამაშობდა თუ არა მხცოვანი ვახტანგ გორგასალი ამ თამაშს უჯარმაში, არ ვიცით, მაგრამ, ქართლის ერისმთავრებისთვის უკვე ნაცნობი უნდა ყოფილიყო. არაბებმა, რომელთაც VII საუკუნეში სასანური ირანი დაიპყრეს, თამაშის სახელი, ჩატრანგი, შატრანჯით შეცვალეს, რადგან ჩ და გ არაბულ ანბანში არ არის; ქართული ჭადრაკი კი, მისი სახელის ეტიმოლოგიის მიხედვით, აშკარად სპარსულ-ფალაური ჩატრანგიდან არის წარმოშობილი, რაც მთავარი მტკიცებულებაა ქართლში ამ თამაშის ჯერ კიდევ არაბულ პერიოდამდე შემოსვლისა (გიორგაძე, 1970: 5).

სპარსეთი რომ საკვანძო იყო ჭადრაკის განვითარებაში, ფიგურების სახელწოდებებსა და შემდგომში, ევროპულ ქვეყნებში, ამ თამაშის სახელიდანაც კარგად ჩანს, შახმატი, ჩეკმეთი და ა.შ. სხვათა შორის, ეს ტერმინი, შაჰის, მეფის დაუძღვრებას, უსუსურ მდგომარეობაში ჩავარდნას ნიშნავს და არა მოკვლას, როგორც ხშირად თარგმნიან ხოლმე (Yalom, 2014: 5).

ჭადრაკმა დიდი გზა გაიარა აღმოსავლეთიდან ევროპამდე. მის გავრცელებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ისლამურმა სამყარომაც, რომელიც VII საუკუნის მეორე ნახევრიდან ერთბაშად გაიზარდა და ესპანეთიდან ინდოეთამდე იყო გადაჭიმული. როდესაც გარკვეული დროით, დიდი სივრცე, ერთი მმართველობის ქვეშ მოხვდება, ამ მხარეთა კულტურა, გამოგონებები, ინოვაციები, ადვილად ვრცელდება იმპერიის ფარგლებში. ევროპაში ჭადრაკი X საუკუნის დამდეგს მიიღეს და მას შემდეგ, ის, სწრაფი ტემპით გავრცელდა კონტინენტზე.

შორეულ აღმოსავლეთში, ჭადრაკი მნიშვნელოვნად დაშორდა იმ თამაშს, რომელიც წესების მცირედი ცვლილებებით ვრცელდებოდა ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში. ეს შეეხო წესებს, ფიგურების ფორმას და დაფასაც. როგორც მიხეილ ვადბოლსკი აღნიშნავს „ჩინურმა ჭადრაკმა გადაუხვია რა თავისი ინდური პროტოტიპის გზას, განვითარდა ქვეყნის ნაციონალურ ჩარჩოში, ისე, რომ არ მოუხდენია არსებითი გავლენა მეზობელი ხალხების ჭადრაკის თამაშზე“ (ვადბოლსკი, 1972: 31).

ჩინეთში თუ ჭადრაკს რელიგია არ ზღუდავდა, სამაგიეროდ, მონოთეისტურ რელიგიებთან გაჩნდა პრობლემები. სუნიტურ ისლამში ეს უფრო დიდ პრობლემას წარმოადგენდა ვიდრე შიიტურში, თუმცა, მიუხედავად ამისა, ჭადრაკი ბოლომდე ვერაფერმა შეაჩერა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიური წესების გამო, არაბული ჭადრაკის ფიგურები უფრო აბსტრაქტულები გახდა და აღარ იყო გამოკვეთილი ადამიანების თუ ცხოველების გამოსახულებები. შესაბამისად, სუნიტ მუსლიმებსაც შეეძლოთ ჭადრაკს შემოსხდომოდნენ თუ მას აბსტრაქტული ფიგურები ჰქონდა (Yalom, 2014: 6; ვადბოლსკი, 1972: 26), რელიგიური წეს-ჩვეულებების შესრულებას ხელს არ შეუშლიდა, არ ითამაშებდნენ ფულზე, ხოლო თამაშის დროს კამათი ბილწისტყვაობაში არ გადაიზრდებოდა. არაბული „ათას ერთი ღამის“ ზღაპრებში ჭადრაკი ხშირადაა მოხსენიებული და მისმა პოპულარობამ პიკს, ხალიფა ჰარუნ ალ რაშიდის დროს მიაღწია. ჰარუნ ალ რაშიდი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ჭადრაკის ცოდნას თავის ხელქვეითებს შორის (Yalom, 2014: 7-8). განსაკუთრებულ ნიჭს, მაგალითად, ჭადრაკის თვალახვეულ თამაშს, შეიძლება მაღალი საზოგადოებრივი პოზიცია და სიმდიდრე მოეტანა დაბალ სოციალურ ფენას მიკუთვნებული ადამიანისთვის. ამას, ალეგორიულად, პაიკის ლაზიერად დაწინაურებასაც უწოდებდნენ. შუა საუკუნეების ისლამურ სამყაროში, იყო პერიოდები, როდესაც ჭადრაკი იკრძალებოდა, მაგრამ, ის მაინც იქცა ისლამური კულტურის დამახასიათებელ, მნიშვნელოვან ნაწილად.

შუა საუკუნეებში, განსაკუთრებით საინტერესოა, ჭადრაკის ტერმინების გამოყენება პოლიტიკური მდგომარეობის აღსაწერად და დიპლომატიურ მიმოწერებში. ამის ყველაზე მკაფიო ნიმუში არის ნიკიფორე I ლოგოთეტის (IX ს.) წერილი ჰარუნ ალ რაშიდს: „დედოფალი, რომელსაც მე ვმემკვიდრეობ (იგულისხმება ბიზანტიის რეგენტი დედოფალი ირინე) შენ გთვლიდა ეტლად (მველი სახელით, რუხად, რომელიც ამ დროს ჭადრაკში უძლიერესი

ფიგურა იყო), ხოლო თავის თავს უყურებდა როგორც პაიკს; ამის გამო იგი დათანხმდა შენთვის ხარკი გადაეხადა იმ დროს, როცა მას ამნაირი და კიდევ ორჯერ მეტი შენთვის უნდა მოეთხოვა, მაგრამ ეს მისი სქესის სისუსტით აიხსნება. ახლა მე მოვითხოვ, ამ წერილის მიღებისთანავე, დამიბრუნო მთელი ფული, რომელიც მისგან მიიღე. თუ ყოყმანობ, ხმალი გაასწორებს ჩვენს შორის ანგარიშს“ (ვადბოლსკი, 1972: 41). ბიზანტიის დედოფლისგან ჭადრაკის ცოდნა გასაკვირი არ არის, რადგან ამ თამაშს ქალებიც თამაშობდნენ, როგორც ქრისტიანულ, ისე ისლამურ სამყაროში. ისე კი, ბიზანტიაში ჭადრაკი არაბებამდე უკვე იცოდნენ. ირანიდან შესულ ამ თამაშს, ბერძნებმა „მატრიკონი“ უწოდეს (გიორგაძე, 1970: 5). ვინაიდან ბერძნულს არ აქვს ფალაური ჩ-ს შესატყვისი ასო, ის მ-თი შეიცვალა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც ჭადრაკმა ევროპაში შესვლისას განიცადა იყო მდებარეობითი სქესის ფიგურის გაჩენა, უფრო სწორად, დედოფლით ვეზირის ჩანაცვლება. ეს, რასაკვირველია, შუა საუკუნეების ევროპაში ძლიერი და გავლენიანი დედოფლების გამოჩენამაც გამოიწვია. ჭადრაკის დედოფლის შესახებ წიგნის ავტორი, მერილინ იალომის აზრით, ასეთი დედოფლები შეიძლება ყოფილიყვნენ X-XI საუკუნეების მოღვაწეები, საღვთო რომის იმპერატორ ოტო I-ს მეუღლე, დედოფალი ადელაიდე და ოტო II-ს მეუღლე თეოფანო. X საუკუნის „ჭადრაკზე სტროფებში“, დედოფალი უკვე მოხსენიებულია ფიგურებს შორის (Yalom, 2014: 18). თუმცა, შემდგომში, ელეონორა აქვიტანელის, ესპანეთის დედოფალ იზაბელას, უფრო გვიან, ელიზაბეტ I-ს მოღვაწეობის შემდეგ, მისი პოზიციები კიდევ უფრო გამტკიცდა. XV საუკუნეში, თავის დროზე ერთ დიაგონალურ უჯრაზე მოძრავი, სუსტი ფიგურა, ჭადრაკის დაფის ბატონ-პატრონი გახდა და ჩამოაქვეითა ეტლი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ლიდერობდა.

ბოლოს, მინდა ცოტა რამ ვთქვათ ქართული ჭადრაკის ფიგურებზეც. რადგან საქართველოში ჭადრაკი მისი გამოგონებიდან საკმაოდ მალევე შემოვიდა, ფიგურების სახელებიც, მეზობელი იმპერიების გავლენის სფეროების ცვლილებების მიხედვით იცვლებოდა. ასევე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ უცხო ქვეყნებში მოხვედრილი ჭადრაკი ხშირად ტრანსფორმირდებოდა და ადგილობრივ საზოგადოებას ერგებოდა. ამიტომ არის ჭადრაკის ისტორიის მანძილზე, ფიგურებისა და სვლების მრავალფეროვანი ფორმები და სახელწოდებები. საქართველოშიც, ჭადრაკი ქართულ კულტურაში შემოსული აღმოსავლური და ადგილობრივი ელემენტების ნაერთია.

შუა საუკუნეებიდან ქართული ჭადრაკის მხოლოდ რამდენიმე ფიგურა თუა შემორჩენილი. მიხეილ ვადბოლსკის ცნობით, ამ ფიგურებს ივანე ჯავახიშვილმა, 1937 წელს, დმანისის შუა საუკუნოვანი ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრებისას მიაგნო და XII საუკუნეს მიაკუთვნა (ვადბოლსკი, 1972: 86). სამაგიეროდ, საკმარისი ცნობებია შუა საუკუნეების ქართული ჭადრაკის ფიგურების შესახებ. მათი უმრავლესობა, დღემდე ძალაშია, რაც ჭადრაკის ხანგრძლივ ტრადიციაზე კიდევ ერთხელ მიუთითებს.

პაიკი, ერთი შეხედვით ყველაზე დაბალი ღირებულების, სინამდვილეში კი, უმნიშვნელოვანესი ფიგურაა. ისევე, როგორც ბრძოლის ველზე გვიანანტიკურ ხანაში და შუა საუკუნეებშიც, კავალერიის დომინაციის პერიოდშიც კი, ქვეითი ჯარი, ლაშქრის ძირითად მასას ქმნიდა, მის უკან გადაჯგუფდებოდა ცხენოსანი ჯარი, ასევე შეუძლებელი იყო სააღყო

მოქმედებები ქვეითების გარეშე. „პაიკი“ სპარსულიდან შემოსული ტერმინია. სპარსულად ამ ფიგურას პიადაკი, ბაიდაკი ეწოდებოდა. ასევე, განიხილება ფაიქის ვერსიაც, რაც სპარსულად შიკრიკს ნიშნავს და საქართველოშიც ხშირად გამოიყენებოდა (ჯაფარიძე, 1967: 2).

მხედარი, რასაკვირველია, პირდაპირ ითარგმნა და მოერგო ქართულ ჭადრაკს. ეს ფიგურა, ჭადრაკის უძველესი ვარიანტების შექმნის დროიდანაა ცნობილი. მხედრობა, მძიმედ აღჭურვილი, ცხენოსანთა შოკური შეტევის ტაქტიკისა და წაგრძელებული შუბით ბრძოლის წესის მიმდევარი ცხენოსანი ჯარი, ქართული ფეოდალური ლაშქრის (მანამდე გვიანანტიკური ქართლის მძიმე, კატაფრაქტული კავალერია იყო) დასაყრდენი იყო შუა საუკუნეებში და ბუნებრივია, ამ ფიგურის შეცვლა უცნაური იქნებოდა. ცხენის გადაადგილება დაფაზე, მისი მანევრულობა, სწორედ კავალერიის ფუნქციას და შესაძლებლობებს შეიძლება შეესაბამებოდეს.

ეტლი, რუხი თუ ტურა? ამ, თავის დროზე, ჭადრაკის უძლიერეს ფიგურას სხვადასხვა სახელით ვიცნობდით და ვიცნობთ. მათგან, რუხი და მისგან ნათარგმნი ეტლი პირველია. რუხი ახლო აღმოსავლური მითოსის გიგანტური ფრინველიც იყო და ჭადრაკის ფიგურადაც გამოიყენებოდა, მაგრამ რუხს, როხს ეტლის მნიშვნელობაც აქვს, რასაც სამართლიანად მიუთითებს აღმოსავლეთმცოდნე გოჩა ჯაფარიძე თავის სტატიაში ქართულ ჭადრაკში აღმოსავლური ტერმინების შესახებ. რუხიდან მოდის ფართოდ გავრცელებული რუკიც (Rook) და ცნობილი საჭადრაკო სვლის სახელიც. ეტლი რუხის ქართული შესატყვისია. რაც შეეხება ტურას, ტურა ევროპული ენებიდანაა (მაგალითად, ფრანგ. Tour) შემოსული და კომპლს ნიშნავს, სწორედ ამიტომ, ამ ფიგურას ხშირად კომპის ფორმას აძლევენ (Hooper, 1999: 344). საბრძოლო ეტლები ანტიკურობისთვისაა დამახასიათებელი, შემდეგ კი, მისი მნიშვნელობა იკარგება, ამიტომ, ფიგურაც შეიცვალა და თავის დროს მოერგო, ჯერ, დროებით, მითიურ ფრინველად, საბოლოოდ კი, ციხესიმაგრედ იქცა. ზოგჯერ, თანამედროვე ჭადრაკში, მას სპილოსაც უწოდებენ, მაგრამ ტრადიციულად, ძველინდურ ჩატურანგადან მოყოლებული, სპილო სხვა ფიგურას ეწოდებოდა.

მეფე, ყველაზე უსუსური და ამავე დროს, უმნიშვნელოვანესი ფიგურაა. ქართული „მეფე“ სპარსული შაჰიდან მომდინარეობს და მისი შესატყვისი ქართული ტერმინია. მართალია, „შაჰი“ არ დარჩა ფიგურის სახელად, სამაგიეროდ, სპარსული შაჰ-მატ ანუ მეფე ძალაგამოცლილია, დაქანცულია (და არა, მკვდარი), შამათის სახელით, შემოგვრჩა. მეფე, შუა საუკუნეების ქართული ფეოდალური სოციუმის თავში იდგა და ჭადრაკის ამ ფიგურის არსებობას, ბუნებრივია, ვერანაირი საფრთხე ვერ შეექმნებოდა.

ლაზიერი - არაბული ალ ვაზირიდან მომდინარეობს. ამ ფორმით, სავარაუდოდ, ჯერ კიდევ VIII-IX საუკუნეებში უნდა დამკვიდრებულიყო. როგორც გოჩა ჯაფარიძე აღნიშნავს, ამ პერიოდის საქართველოში როგორც ეს ტერმინი, ისე მისი შინაარსობრივი მნიშვნელობა, ჯერ კიდევ სიახლეს წარმოადგენდა. უფრო გვიან, X-XIII საუკუნეებში, ქართულ წერილობით წყაროებში „ვაზირი“, როგორც სამოხელეო ტერმინი, სავსებით სწორი ფორმით გვხვდება, მაგრამ ეს გასაკვირი არაა. ვაზირის ინსტიტუტი უკვე მთელს მახლობელ აღმოსავლეთში იყო გავრცელებული. ძველ საქართველოში კარგად იცოდნენ „ლაზიერი“ რომ ვაზირის სინონიმი იყო. ამას ადასტურებს სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ მოცემული განმარტება,

რომ ლაზიერი ჭადრაკის მეფის ვეზირია (ჯაფარიძე, 1967: 2). ქართულ ჭადრაკში, განსხვავებით ევროპულისა, დედოფალმა ვერ შეცვალა ვეზირი. აღმოსავლური გავლენა, ტერმინოლოგია, მმართველობის ფორმის თავისებურებები და ასევე, ჭადრაკის უძველესი ტრადიცია - ეს ფიგურა მანტრა (მინისტრი), ბრძენი ან ვეზირი რომ უნდა ყოფილიყო, ამის მთავარი მიზეზია. მართალია საქართველოს, შუა საუკუნეებში ძლიერი ქალი პერსონაჟები არ აკლდა, მაგრამ ისიც აღსანიშნავია რომ მათგან ორი ყველაზე მაღალი რანგის ქალი - თამარი და მისი ქალიშვილი რუსუდანი, მეფეებად იწოდებოდნენ, მეფეები იყვნენ და არა დედოფლები.

ჩვენი აზრით, ქართული ჭადრაკის დაფაზე, რომელსაც ძველად, რუკად მოიხსენიებდნენ და საერთოდ არ იყო შავ-თეთრი კვადრატებით შედგენილი, არამედ მთლიანად ერთი ფერისა გახლდათ, ყველაზე საინტერესო ფიგურა კუა. ჭადრაკის უძველეს ინდურ ვარიანტში, ეს ფიგურა სპილო იყო. სახელწოდება და მნიშვნელობა შეინარჩუნა სპარსეთშიც, სადაც მას ფილს (ანუ სპილოს) უწოდებდნენ. ზოგიერთ ენაში, ახლაც ამ სახელით არის შემორჩენილი, ევროპაში კი, ეპისკოპოსად (Bishop), ოფიცერად და სხვა რანგის სამხედრო, რელიგიურ თუ სამოქალაქო თანამდებობის პირად იქცა (ცალკეულ შემთხვევებში, ნავად ან გემადაც კი). აი ქართული კუს წარმომავლობა, ვფიქრობ, გამოცანაა.

ერთი ვერსიით, ის სპარსული ფილიდან შეიძლება მომდინარეობდეს, მაგრამ ამ ვერსიას მნიშვნელოვანი სისუსტე აქვს. თვითონ სპილო, სავარაუდოდ, სპარსული ფილიდან მიღებული სიტყვაა და როგორც ჩანს, საქართველოში მას ჯერ კიდევ გვიანანტიკურ ხანაში იცნობდნენ, რადგან სპილოების კორპუსი, სასანური ჯარის შემადგენელი ნაწილი იყო და ეს გიგანტური ცხოველები, შაჰმა ხოსრო I ანუშირვანმა, ლაზიკის ომშიც კი გამოიყენა VI საუკუნის შუა ხანებში. ამავე ფილიდან მომდინარეობს ლოდსატყორცის ქართული სახელწოდება „ფილაკავანი“ ანუ სპილოსხელა საგნების მტყორცნელი, როგორც ამას ქართველი სამხედრო ისტორიკოსი მამუკა წურჭუმია განმარტავს „შუა საუკუნეების ქართულ პოლიორკეტიკაში“. ამ იარაღის სახელი რომ გვიანანტიკური ხანიდან მოდის იქიდან ჩანს, რომ არაბულ პერიოდში მისი სახელწოდება შეიცვალა „მანჯანიკით“, ქართულში კი, ამ ფორმით, არ დამკვიდრებულა, რადგან უკვე არსებობდა სპარსული ვარიანტი (წურჭუმია, 2012: 130-131). მიხეილ ვადბოლსკისა და თენგიზ გიორგაძის მიხედვით, კუს სახელწოდება შეიძლება სააღყო მანქანა „კუს“ (ტესტუდოს) უკავშირდებოდეს, რაც რეალურად, ხის, ცხოველის ტყავებით გადახურული კონსტრუქცია იყო და ტარანის ანუ გალავნის სანგრევი მორის დასაცავად გამოიყენებოდა (ვადბოლსკი, 1972: 185; გიორგაძე, 1970: 9). სამწუხაროდ, ქართულ პოლიორკეტიკის ისტორიისთვის უცხოა მსგავსი სახელწოდების სააღყო კონსტრუქცია. სავარაუდოდ, „კუს“ მაგვარი მოძრავი თავშესაფარი, ციხესთან ტარანით თუ იარაღით მიახლოებული ქვეითების დასაცავად, სხვადასხვა დროს, გამოიყენებოდა საქართველოშიც, მაგრამ რა სახელით იყო ის ცნობილი და დამკვიდრდა თუ არა ძველი რომაული სახელწოდებით, ჩვენთვის უცნობია. შესაძლებელია ჭადრაკის კუ, მართლაც, უბრალოდ ქვეწარმავალ კუს უკავშირდებოდეს (რომელსაც „ამირანდარეჯანიანში“ ბალა ეწოდება), მაგრამ ეს საკმაოდ უცნაური იქნებოდა. არც ერთი ქვეყნის ჭადრაკში, ეს ფიგურა კუ არ არის და არც ძველ, ტრადიციულ სპარსული, არაბული და ინდური ფიგურების სახელწოდებებს ემთხვევა.

ზოგადად, ჭადრაკს „ადამიანური“ ფიგურები ყავს, ეს ხომ, ბრძოლის ველია, რომელზეც მეფე ჯარს მართავს. წარმოვიდგინოთ მეფე, ლაზიერი და გვერდით... კუ? უცნაურია, მაგრამ მსგავსი შემთხვევები ანუ ცხოველები ფიგურებად, მართლაც გვხვდება ჭადრაკის არა კლასიკურ არამედ განსხვავებულ ვარიანტებში, მაგალითად, XIII საუკუნეში, კასტილიის მეფე ალფონსო X-ს პერიოდის ჭადრაკზე ე. წ. Grande Acedrex. ამ ჭადრაკს 12X12 უჯრიანი დაფა აქვს, კლასიკურ ფიგურებთან ერთად კი, არის განსხვავებულებიც: ჟირაფი, ნიანგი, აანკა (სპარსული რუხის მსგავსი ფრინველი), ცალრქიანი ცხენი, ლომი (Pritchard, 2007: 244). XIV საუკუნეში, ე. წ. თემურ ლენგის ჭადრაკში, გვხვდება ჟირაფი და აქლემი (აქლემი, ზოგიერთ ენაში ახლაც არის, მაგრამ იგივე Bishop, კუა); ასევე, შოგიში, იაპონურ ჭადრაკში ე. წ. დაწინაურებული ეტლი, იგივე დრაკონია.

VI-VII საუკუნეებში, სპარსეთიდან შემოსულ თამაშს, თავდაპირველად, ორიგინალი ფიგურები, მათ შორის, სპილოც თან უნდა მოყოლოდა, მაგრამ შემდეგ, სიტუაცია შეიცვალა. განსხვავებით სასანური ირანისგან, არაბულ პერიოდში, საბრძოლო სპილოები, ფაქტობრივად, აღარ გამოიყენებოდა, ამიტომ მან, ნელნელა, ალბათ, საჭადრაკო დაფაზეც დაკარგა მნიშვნელობა.

ჰიპოთეზის სახით აღვნიშნავ, რომ შესაძლებელია, ადრეულ შუა საუკუნეებში, საქართველოში ჩამოყალიბებულიყო ჭადრაკის თავისებური ვერსია (თუნდაც, მეფე ალფონსოს ან ტამერლანის ჭადრაკის მსგავსი), რომელშიც, კლასიკურის გარდა, ადგილობრივი მოთამაშეებისგან ჩამატებული ფიგურებიც ყოფილიყო, მათ შორის, კუც, შემდეგ კი, როცა, ჭადრაკი ნელ-ნელა იმ ვერსიამდე მივიდა, რომელიც XV საუკუნიდან გვაქვს, მისი არქაული სახელწოდება შერჩა აღმოსავლური სპილოსა და ინგლისური ეპისკოპოსის ანალოგ ფიგურას. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკმაოდ ბუნდოვანი ჰიპოთეზაა და ქართული წერილობითი წყაროებიდან, საკმარისი არგუმენტები არ გაგვაჩნია; ჩემი აზრით, მას არსებობის უფლება ნამდვილად აქვს, თუნდაც იმიტომ რომ კუ, თავისი პირდაპირი მნიშვნელობით, ჭადრაკის ტრადიციული დაფიდან, შინაარსობრივად აშკარად ამოვარდნილი ფიგურაა და ის, არც ადრეული ჭადრაკის აღმოსავლურ ვერსიებში გვხვდება.

ვფიქრობ, სამაგიდო თამაშების, მათ შორის, „უკვდავი“ ჭადრაკის განვითარების საფეხურები, ფიგურების ტრანსფორმირება, ძალიან მნიშვნელოვანი დეტალია ისტორიის შესასწავლად და საჭიროა მას სათანადო ყურადღება საქართველოშიც, უძველესი საჭადრაკო ტრადიციის მქონე ქვეყანაშიც, დავუთმოთ.

გამოყენებული ლიტერატურა და ბიბლიოგრაფია:

გიორგაძე, თ. (1969). „როდის გაჩნდა ჭადრაკი საქართველოში?“. *ლელო*, 11 მარტი. თბილისი.

გიორგაძე, თ. (1970). ჭადრაკი ძველ საქართველოში. თბილისი. საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა“.

ვადბოლსკი, მ. (1973). ჭადრაკი 1400 წლის მანძილზე. თბილისი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

ცაიშვილი, ს. კარტოზია გ (1966). ჭადრაკი ძველ ქართულ მწერლობაში. *ლელო*, 25 დეკემბერი. თბილისი.

ლორთქიფანიძე, ნ. (2011), „ჭადრაკის ფიგურების ისტორიიდან“. *მუზეუმის მაცნე*. ტ. IV.

კერესელიძე, თ. (1974). „ჭადრაკის ქართული ფიგურები“. *ძეგლის მეგობარი*. N36.

წურწუშია, მ. (2012). „შუა საუკუნეების ქართული პოლიროკეტიკა“. *საისტორიო კრებული*. 2.

ჯაფარიძე, გ. (1967). „რას მოგვითხრობენ ტერმინები: საქართველოში ჭადრაკის გავრცელების თარიღისა და გზების საკითხი“. *ლელო*. N75.

Averbakh, Y. (2013). *A History of Chess: From Chaturanga to the Present Day*. Milford. Russell Enterprises.

Hooper, D.; Whyld, K. (1999). *The Oxford companion to chess*. Oxford. Oxford University Press.

Donner, J. H. (2020). *The King Chess Pieces*. Lanham. New in Chess.

Yalom, M. (2014). *Birth of the chess queen*. HarperCollins e-Books.

Shenk, D. (2011). *The Immortal Game: a History of Chess*. London. Souvenir Press.

Nika Khoperia

Georgian Institute of Public Affairs (GIPA)

Medieval Georgian Chess Pieces

Summary

A History of board games during the middle ages in Georgia has not received significant attention within Georgian historiography in previous decades. The extant literature on this subject consists of two comprehensive works by Mikhail Vadbolsky and Tengiz Giorgadze, as well as an important article by Gocha Japaridze, all of which were published several years ago. However, given its potential to enhance our comprehension of the political, military, and social history of medieval Georgia, further scholarly attention must be directed toward this subject.

Notably, the medieval Georgian poem "Amirandarejaniani" elucidates seven essential qualities expected of every knight, which include proficiency in archery, jousting, spear usage, horsemanship, hunting, swimming, and the art of chess playing. This enumeration of skills finds resonance in the writings of Georgian King Archil in the 17th century. Furthermore, references to chess can be found in religious texts penned by the medieval Georgian theologian George the Hagiorite during the 11th century. The Late Medieval dictionary compiled by Sulkhani-Saba Orbeliani also alludes to this board game, while the Georgian monarch and poet Teimuraz II even composed a verse dedicated to it.

Historical evidence suggests that chess was introduced to Georgia by the Sasanians toward the conclusion of the 6th century. The game had attained familiarity among the Georgian princes of Kartli. Subsequently, with the advent of Islamic conquests, Arabians undertook alterations to the Persian nomenclature of chess due to the absence of the "Ch" or "G" sounds in the Arabic alphabet. However, such modifications did not take root in Georgia, and the Georgian designation for chess, "Chadraki," continues to trace its etymology to the Middle Persian term "Chatrang" and not from the Arabian "Shatranj".

The introduction of chess in Georgia has engendered a series of transformations in the nomenclature of chess pieces throughout the centuries, primarily influenced by neighboring empires and significant cultural hubs in the Middle East. Furthermore, it is worth noting that chess has consistently undergone modifications upon encountering novel cultures and societies, as individuals sought to assimilate the game into their familiar repertoire. Consequently, the extensive historical trajectory of chess has given rise to a multitude of distinct names for chess pieces and moves. Georgian chess, in particular, embodies a fusion of both Eastern and indigenous cultural elements.

Archaeologists have uncovered a limited number of medieval Georgian chess pieces at the former city site of Dmanisi. Conversely, ample evidence concerning medieval Georgian chess pieces exists, with their antiquated designations persisting even today, indicating a longstanding tradition of chess playing in Georgia.

This research endeavor aims to scrutinize medieval Georgian chess pieces, elucidating their names, origin, and evolutionary progression across the centuries.

„კავკასიეების“ ციხე - დაკარგული სახელისა და ისტორიის ძიებაში

1. თემის აქტუალობა და კვლევის სირთულე

„კავკასიეების“ ციხე ტაოს ერთ-ერთი იმ ციხე-სიმაგრეთაგანია, რომლის ძველი ისტორიული დასახელება დღემდე არ იყო ცნობილი.

ამის მიზეზი კი ჩვენი აზრით ის იყო, რომ როგორც ქვევითაც დავინახავთ, ოსმალების შემოსვლის შემდეგ მან თავისი ფუნქცია დაკარგა. იგი ციხედ აღარ გამოიყენებოდა და შესაბამისად, მისი მოხსენიების საჭიროებაც დროთა განმავლობაში გაქრა. ამდენად, დავიწყებას მიეცა ამ ციხის ზუსტი ისტორიული დასახელება.

თანამედროვე თურქეთში ამ ციხეს „თექ-კალეს“ (თურქ. Tekkale, რაც „მარტო ციხეს“ ან „ცალკე ციხეს“ ნიშნავს) სახელით იცნობენ, მაგრამ ცხადია, რომ ეს არ არის მისი სწორი ისტორიული დასახელება. იქვე მდებარე სოფ. ოთხთას მოსახლეობა მას მხოლოდ „ყალას“ (ანუ „ციხეს“) ეძახის.

ამასთან, არც ქართული წყაროები მოიხსენიებენ ამ ციხეს პირდაპირ. ექვთიმე თაყაიშვილიც (რომელმაც აქ 1917 წელს იმოგზაურა) და ვახტანგ ჯობაძეც (აქ მოგზაურობდა 1960-1980-იან წლებში) მას მოიხსენიებენ კონკრეტული სახელის გარეშე, როგორც ოთხთასთან მდგარ ციხე-სიმაგრეს (ჯობაძე, 2007: 198; თაყაიშვილი, 1960: 81). ჩანს, რომ უკვე მაშინ დაკარგული იყო ციხის სახელი.

ციხის დასახელების, მისი ისტორიისა და იქ არსებული ეკლესიის ფრესკებისა და წარწერების შესწავლის საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახდა 2023 წლის გაზაფხულზე, როდესაც ამ ციხემ ახლადაშენებულ იუსუფელის კაშხალში დაიწყო ჩადირვა.

ციხისა და იქ არსებული ეკლესიას შესწავლას ის ფაქტიც უშლიდა ხელს, რომ ყველა მხრიდან მიუვალ კლდეზე მდებარე ამ გამაგრებულ პუნქტზე ასვლა ფაქტიურად შეუძლებელი იყო.

2. რატომ მოიხსენიებდნენ დღემდე ამ გამაგრებულ პუნქტს „კავკასიეების“ ციხის სახელით?

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ „კავკასიეების“ ციხის სახელით იგი არსად (არც ოსმალურ და არც ქართულ წყაროებში) მოიხსენიება. ასე მხოლოდ პირობითად უწოდებენ და ისიც მხოლოდ თანამედროვე საქართველოში, რადგან ეს ციხე შუა საუკუნეებში ამ საგვარეულოს ეკუთვნოდა. აქაურობის კავკასიეთა საგვარეულოსადმი კუთვნილებას ციხის ეკლესიაში 1917 წლისთვის არსებული და ზდანევიჩის მიერ გადმოღებული ხუთსტრიქონიანი

ქართული წარწერაც ადასტურებდა¹ რომელიც გვამცნობდა, რომ ეს ტაძარი ხელმეორედ აუგია მურვან კავკასიძეს. ექვთიმე თაყაიშვილი წერს, რომ „მეორედ აღშენებაში“ ეკლესიის აღდგენა, რესტავრაცია იგულისხმებოდა ხოლმე (თაყაიშვილი, 1960: 81).

ამასთან, ეს წარწერა არ შეიცავს რაიმე თარიღს (თაყაიშვილი, 1960: 80-81), რაც ეკლესიის კავკასიძეთა მიერ ხელმეორედ აშენების თარიღის დადგენაში დაგვეხმარებოდა. თუმცა, როგორც ხელოვნებათმცოდნე ნელი ჩაკვეტაძე აღნიშნავს, რომ ტაძრის მოხატულობა, რომელზეც ზემოხსენებული წარწერა იყო დატანილი, XIII საუკუნის II ნახევარში უნდა იყოს შესრულებული (ჩაკვეტაძე, <https://www.youtube.com/watch?v=R2wjWZHOUcg>).

იმავე ეკლესიის კედელზე მოგვიანებით შესრულებულ ნაკაწრ წარწერაში ასევე იკითხება „კავკასიძე“ (ამ ნაკაწრ წარწერაზე ქვევით კიდევ შევჩერდებით).

ამის გარდა, XVI საუკუნეში მთელ ამ მხარეს (რომელიც დაახლოებით ემთხვევა დღევანდელი იუსუფელის ილჩეს ტერიტორიას) „საკავკასიძო“ ერქვა, რადგან მას კავკასიძეების ფეოდალური საგვარეულო ფლობდა (საქართველოს ისტორიის ატლასი, 2016: 39; ჯოჯუა, 2015: 338-396; თავაძე, 2020: 268).

შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზემოხსენებულ ციხეს დიდი ხნის განმავლობაში ფლობდა კავკასიძეთა ფეოდალური საგვარეულო და პირობითად „კავკასიძეების“ ციხედაც ამიტომ მოიხსენიება თანამედროვე საქართველოში. თუმცა, ბუნებრივია, ამ ციხეს ექნებოდა თავისი ისტორიული სახელიც, რასაც ეძღვნება კიდევ ეს კვლევა.

3. რატომ მიემართეთ ოსმალურ წყაროებს?

ეს იმიტომ გავაკეთეთ, რომ ქართული წყაროები პირდაპირ არაფერს ამბობენ ამ ციხის შესახებ.²

ამასთან, ოსმალეთის სახელმწიფო მანქანა საკმაოდ დეტალურად მოგვითხობს ხოლმე არამხოლოდ დაპყრობითი ომების შესახებ, არამედ დაწვრილებით აღწერს აღებულ ციხეებს, იქ მცხოვრებ მოსახლეობას, სოფლებსა და ა.შ. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ეს ყველაფერი დღემდე დოკუმენტურადაა შემონახული ოსმალურ არქივებში.

სირთულეების მიუხედავად, მოვიძიეთ და გავეცანით სხვადასხვა ენებზე შესრულებულ ასობით დოკუმენტსა და ცნობას, რომელიც ვფიქრობდით, რომ დაგვეხმარებოდა ზემოხსენებული ციხის ისტორიისა და მისი ნამდვილი სახელის დადგენაში.

¹ მაგრამ როგორც 2005 წელს იქ ასული ბუბა კუდავაც აღნიშნავს, ეს წარწერა თითქმის 90 წლიან შუალედში განადგურდა (კუდავა, 2011:49) და ის მართლაც აღარ იყო 2023 წელს, როდესაც თავადაც მოვიხსენიებდით აღნიშნული ციხე და ეკლესია.

² არაპირდაპირ მოიხსენიება და მას ქვევით შევხებით. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოსმალურ წყაროებთან დადარების გარეშე ცალკე, განყენებულად მდგომი ეს ქართული წყაროები ბევრს არაფერს მოგვცემდა.

ამასთან, კვლევაში უხვად გამოვიყენეთ როგორც თურქი, ისე ქართველი ისტორიკოსებისა და წყაროთმცოდნეების მიერ შესრულებული კვლევები და მათ მიერ მოძიებული დოკუმენტები.

4. რას ამბობენ ოსმალური წყაროები ამ ციხის შესახებ?

უამრავი ოსმალური წყაროსა და დოკუმენტის დამუშავების შედეგად რამდენიმე ადგილას მივაკვლიეთ ჩვენთვის საინტერესო ციხის დასახელებას.

რაც ძალიან საინტერესოა, ამ წყაროებში ჩვენთვის საინტერესო ციხე განსხვავებული სახელებით მოიხსენიება და მათზე ქვევით დაწვრილებით შევჩერდებით:

ა) ციხე ავბედი/ციცხავეთი

1563 წლით დათარიღებული ლალა მუსტაფა ფაშას ვაყუფის³ წესდებაში მოტანილია ხსენებული ფაშას მიერ საქართველოს ტერიტორიაზე რელიგიური დანიშნულებისთვის შეძენილი მიწის ნაკვეთები.

აღნიშნულ დოკუმენტში ნაყიდ სხვა უძრავ ქონებასთან ერთად აღნიშნულია, რომ ერთ-ერთი ბალი შეიძინეს სოფ. ოთხთას მფლობელი ახლადგამუსლიმებული ადგილობრივი ფეოდალის ალი აბდულას ძე⁴ ბეისგან და იგი მდებარეობდა „პეტერეკის ყაზის“⁵ სიკავბეთის ციხის ქვეშ მდებარე სოფ. ოთხთაში“ (Bayram, 2005: 86).

თურქიზებულ დასახელება „სიკავბეთში“ „სიკ“ რომ ციხეა, ეს დღესაც არაერთი ისტორიულ ძეგლის დასახელებაში გვხვდება ისტორიულ ტაო-კლარჯეთში: სიკიზირი (ანუ ციხისძირი) შავშეთში, სიკიანი (ანუ ციხიანი) ბორჩხაში, სიკიათი (ანუ ციხიათი) პარხალში, სიკია (ანუ ციხია შავშეთში) და ა.შ. (Artvinli, 2013: 234-235).

ამის მიზეზი კი ისაა, რომ თურქულ ენაში არ არის ასოები ც და ხ. ამ ასოების შემცველი სიტყვების თურქულ ენაში შესვლის შემთხვევაში კი ისინი ბუნებრივად იქცევიან ს-დ და ჰ-დ.

ტოპონიმის მეორე ნაწილი ანუ „ავბეთი“ ჩვენი აზრით, სხვა არაფერია, თუ არა „ავბედი.“ამგვარად, ვფიქრობთ, რომ თურქიზებული „სიკავბეთი“ საერთო ჯამში ქართულად „ციხე ავბედი“ შეიძლება იყოს.

თუმცა, არსებობს ზემოხსენებული წესდების მეორე ნუსხაც (ისიც 1563 წელსაა შედგენილი), სადაც ქართველი მეცნიერი ზაზა შაშიკაძე ზემოხსენებული ციხის სახელს კითხულობს, როგორც „ციცხავეთი“⁶ (მახარაძე და შაშიკაძე, 2021: 181).

³ ვაყუფი - შეწირულობა ისლამში, რომელიც უნდა მოხმარდეს რელიგიურ საქმეებს.

⁴ ოსმალები, როგორც წესი, არ სცნობდნენ გვარობრივ-წარმომავლობით უპირატესობებსა და პრივილეგიებს. ამიტომ, პიროვნებებს საბუთებში გვარების გარეშე მოიხსენიებდნენ ხოლმე. ახლადგამუსლიმებული პირების მამის სახელად კი აბდულას წერდნენ, რასაც ვხედავთ ამ შემთხვევაშიც.

⁵ მართალია ამ ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრები ისტორიის მანძილზე იცვლებოდა, მაგრამ ძირითადად მოიცავდა ისტორიული საკავკასიოს ტერიტორიას.

⁶ ოსმალურის სპეციფიკიდან გამომდინარე ზოგჯერ წაკითხვის სხვადასხვა ვერსია არსებობს ხოლმე.

ბ) თაქთაქი

ქართულ-ოსმალური დაპირისპირება ტაოში XVI საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო და ის გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ამ მოვლენებს აღწერდნენ ქათიბ ჩელები, იბრაჰიმ ფეჩევი (აბულაძე, 1983: 35) და ჰასუნ რუმლუ, მაგრამ იმ პერიოდში ოსმალებმა ამ რეგიონში ხანგრძლივად ფეხი ვერ მოიკიდეს. ამიტომ ოსმალური წყაროები კი აღწერენ იქაურ ამბებს, მაგრამ ეს აღწერილობა დეტალური არაა. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ის ფაქტი, რომ ისინი არ ასახელებენ იმ პერიოდისთვის დაკავებულ ყველა ციხეს.

მაგრამ ვიცით, რომ ოსმალებმა 1536 წელს დაიკავეს „კავკასიძეების“ ციხის სამხრეთით მდებარე პეტერეკის ციხე, რომელიც აქ ახლადდაარსებული ოსმალური სანჯაყის ცენტრად აქციეს. ასევე საინტერესოა, რომ ოსმალეთის მიერ ამ სანჯაყში 1538-1539 წლებში ჩატარებულ მოსახლეობის აღწერებში მოხვდა სოფ. ოთხთაც (Artvinli, 2013: 48-49), რომლის გვერდითაც მდებარეობს „კავკასიძეების“ ციხე. ეს სოფ. ოთხთას არსებობის პირველი დამადასტურებელი დოკუმენტია. ამასთან, იგივე წყაროდან ვიგებთ, რომ ამ სოფელს დროის იმ კონკრეტულ მონაკვეთში ოსმალები აკონტროლებდნენ. შესაბამისად, შეგვიძლია თითქმის დანამდვილებით ვთქვათ, რომ ოსმალებს მაშინ დაკავებული ექნებოდათ „კავკასიძეების“ ციხეც. მაგრამ წყაროებში ეს ამბავი არ აისახა.

ოსმალური წყაროების მიხედვით, 1541 წელს იმერეთის მეფე ბაგრატ III იკავებს სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიებს, მათ შორის ოსმალეთის კონტროლქვეშ მყოფ პეტერეკსა და მის შემოგარენს (Demirel, 2010: 43). ჩვენთვის საინტერესო ციხე ვერც ამ შემთხვევაში ხვდება ქრონიკებში,⁷ მაგრამ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ისიც ბაგრატ III-ის მიერ იქნებოდა დაკავებული.

სამაგიეროდ, სიტუაცია იცვლება 1549 წელს, როდესაც ირანის წინააღმდეგ ლაშქრობაში მყოფი სულთან სულეიმან I „კანონმდებელი“ ტაოში სალაშქროდ⁸ აგზავნის თავის მესამე ვეზირს ყარა ახმედ ფაშას, რომელიც იპყრობს ამ ტერიტორიებს და იკავებს იქაურ ციხეებს (Öztuna, 1994: 436-438).

ამ შემთხვევაში ჩვენ გვჭირდება ის წყაროები, სადაც ჩამოთვლილია ოსმალების მიერ დაკავებული ციხე-სიმაგრეები. ეს წყაროები კი, არაერთია:

1. სელმანი (რომელიც, სხვებისგან განსხვავებით, თავის ნაშრომში ყველაზე მეტ - 39 აღებულ ციხეს ასახელებს);
2. მათრაქჩი (ასახელებს 27 ციხე-სიმაგრეს (Aydın, 1998: 116), მაგრამ მათ შორის არაა ჩვენთვის საინტერესო ციხე);
3. ჯელალ-ზადე (ასახელებს 15 აღებულ ციხეს (Kırzioğlu, 1998: 199-201), მაგრამ მათ შორის არაა იმ ციხის დასახელება, რომელიც ამ კვლევაში გვინტერესებს);
4. ალი;

⁷ პეტერეკის ციხე-სიმაგრე უფრო დიდი იყო. იგი ამავე დროს სანჯაყის ცენტრის ფუნქციასაც ასრულებდა. შესაბამისად, ის უფრო ხშირად მოიხსენიება ძველ წყაროებში.

⁸ ოსმალურ წყაროებში მოიხსენიება როგორც „ლაშქრობა საქართველოში“ (Kırzioğlu, 1998: 199).

5. ფეჩევი (ირკვევა, რომ ალისა და ფეჩევის პირველწყარო ჯელალ-ზადეა, შესაბამისად მათთანაც ჯელალ-ზადეს მიერ ნახსენები 15 ციხის სახელი მეორდება (Aydın, 1998, s. 116.));

6. მუნეჯიმ-ბაში;

7. სოლაქ-ზადე (მუნეჯიმ-ბაში და სოლაქ-ზადე ყველაზე ცოტა ციხეს ასახელებენ და მათ შორის არცერთი არაა ჩვენთვის საინტერესო (Aydın, 1998: 116)).

ამ სხვადასხვა ოსმალური წყაროების ერთმანეთთან დადარებისას და ციხეების შეკრებისას დგინდება, რომ ახმედ ფაშას ლაშქრობისას ოსმალებმა საერთო ჯამში 47 ციხე-სიმაგრე დაიკავეს ტაოში (Aydın, 1998: 116-118).

ამათგან, როგორც უკვე აღინიშნა, ყველაზე მეტ ციხეს სელმანი ასახელებს თავის „ჯამიულ-ჯევაპირში“, რომელიც ეძღვნება სულთან სულეიმანის ირანში ლაშქრობას. ბევრ მიზეზთა გამო იგი ყველაზე ძვირფასი წყაროა ჩვენი ამ კვლევისთვის. გარდა იმისა, რომ ის ყველაზე მეტ ციხეს ასახელებს, ბევრი სხვა წყაროსგან განსხვავებით, სელმანი თავად იყო ამ მოვლენების უშუალო თვითმხილველი და თანამონაწილე. იგი თან ახლდა სულთანს ირანის ლაშქრობაში, რის ნაწილადაც ითვლება 1549 წელს ახმედ ფაშას სარდლობით შემდგარი ლაშქრობა ტაოში (Yılmaz, 1995: XV).

როგორც თავად სელმანი წერს, მან ნაწარმოების მხოლოდ ბოლო თავი ანუ „საქართველოში ლაშქრობის“ ნაწილი დაწერა სხვისგან მოყოლით.⁹ მაგრამ იგივე სელმანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ ამბის მისთვის მომყოლი ბრძოლებში უშუალო მონაწილე სამხედრო პირი იყო (Yılmaz, 1995: XV). ეს პირი სანდო ინფორმაციას მიაწვდიდა სელმანს - ვერცერთი სამხედრო პირი ვერ გაბედავდა სულთანის მემატანისთვის არასწორი ინფორმაციის მიწოდებას. შესაბამისად, ამ წყაროს სანდოობის ხარისხი ძალიან მაღალია.

სელმანი (ისევე, როგორც ჯელალ-ზადე) ამ ციხეებს მიყვება ძირითადად გეოგრაფიული თანმიმდევრობით (Kırzioğlu, 1998: 202-203). ხოლო ჯელალ-ზადესთან ეს არის არა უბრალოდ გეოგრაფიული უბნების მიხედვით ჩამონათვალი, არამედ - ოსმალთა მიერ ციხეების აღების თანმიმდევრობაც.¹⁰

ჯელალ-ზადე წერს, რომ ოსმალებმა 1549 წლის 13 სექტემბერს ორი დღე-ღამის განმავლობაში ზარბაზნების განუწყვეტელი გამოყენების შედეგად ჩამოაქციეს თორთუმის ციხის ნაწილი, რის შემდეგაც იქ გამაგრებული ქართველები დანებდნენ. ამგვარად, თორთუმის ციხე ოსმალების ხელში გადავიდა. ამის შემდეგ ოსმალური არმია ჩაუყვება თორთუმის ხეობას, გადადის ოლთისის ხეობასა და ფანასკერტის მხარეში, სადაც ასევე იღებს ციხეებს და ბოლოს, ოქტომბრის დასაწყისში ისევ ჯელალ-ზადეს მიხედვით, ახმედ ფაშა

⁹ ამის მიზეზი ისაა, რომ თავად უშუალოდ სულთანს ახლდა, რომელსაც საქართველოში პირადად არ ულაშქრია და როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, მან ტაოს დასამორჩილებლად ახმედ ფაშა გამოგზავნა.

¹⁰ ამ ორ წყაროს შორის ძირითადად ის განსხვავებაა, რომ როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, სელმანი უფრო მეტ ციხეს ასახელებს.

ჩნდება ჭოროხის ხეობაში¹¹ და 7 ოქტომბერს ბრძოლით იღებს პეტერეკის, ასევე ამ ციხის დაქვემდებარებაში მყოფ კიდევ ორ ციხეს - ნიხახსა¹² და ერსის (Kirzioğlu, 1998: 200).

ჯელალ-ზადეს თხრობა ციხეებზე აქ წყდება. სამაგიეროდ, ამ რეგიონში აღებული ციხეების ჩამონათვალი სრულად არის სელმანთან:

- ქისქინი (რომელიც ქისკიმი უნდა იყოს - ზ. ბ.);

- ნიხახი;


- ბერთერეკ (რომელიც, ცხადია, პეტერეკი უნდა იყოს - ზ. ბ.);

- გორგეჩი (თურქი ისტორიკოსი ფაჰრეთინ ქირზიოღლუ თვლის, რომ ეს ჩორგენისი უნდა იყოს (Kirzioğlu, 1998: 202), ერზრუმის მხარის მეორე თურქი ისტორიკოსი და წყაროთმცოდნე დუნდარ აიდინი კი წერს, რომ ვერ დაადგინა ამ ციხის ადგილმდებარეობა (Aydın, 1998: 117));

- ქოდუქი (Kirzioğlu, 1998: 202) (მათრაქჩისთან ქოთაქი (Aydın, 1998: 118). ამ ადგილებში ერთმანეთთან საკმაოდ ახლოს ორი ქოთექია: 1. ძველი იუსუფელის ახალთას უბნის ავაზანის იალალის უკან მდებარე კლდე; 2. ფერდობის სახელი სოფ. ქოლიქში (თურქ. Irmakyanı (Artvinli, 2013: 169));¹³

- ერსუზი (რომელიც ერსისი უნდა იყოს - ზ.ბ.);

- თაქთაქი.¹⁴ სწორედ ეს ტოპონიმია ჩვენთვის ყველაზე საინტერესო და მასზე დაწვრილებით ქვევით შევჩერდებით. მანამდე კი აღვნიშნავთ, რომ სიაში მოყვანილ სხვა ციხეებისგან განსხვავებით, ამ ოსმალურ წყაროში ხაზგასმულია სიტყვის ქართული ენისთვის დამახასიათებელი ასო ი-თ დასრულება;



¹¹ დღევანდელ იუსუფელის ილჩეში (რაიონში).

¹² არ უნდა აგვერიოს თორთუმის რაიონში მდებარე ნიხახში.

¹³ ჩვენ არ ვიცით, რომელ მათგანზეა საუბარი და რადგან ჩვენი ეს კვლევა სხვა საკითხს ეხება, ამ შემთხვევაში მას არც აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მთავარია, რომ ეს ციხეც იქვე ახლოს ჭოროხის ხეობაში მდებარეობს.

¹⁴ უნდა აღინიშნოს, რომ ფაჰრეთინ ქირზიოღლუ „თაქთაქის“ გასწვრივ კითხვის ნიშანს სვამს და კითხულობს, ხომ არ არის ეს ასევე ტაოს სხვა ნაწილში, კერძოდ დღევანდელ შენქაიას ილჩეში, დაბა კოსორთან მდებარე სოფ. ტახტა (Kirzioğlu, 1998: 203). მაგრამ ჩვენის მხრივ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ვერ იქნება სოფ. ტახტა ორი მარტივი მიზეზის გამო: 1. სელმანის ჩამონათვალში იქ, სადაც „თაქთაქის“ ციხეა ნახსენები, საუბარია მდ. ჭოროხის გასწვრივ მდებარე ციხეებზე და 2. სოფ. ტახტაში არ არის არც ციხე და არც ციხის კვალი.


„თაქთაქი“ სელმანის „ჯამიულ-ჯევაჰირში“, სადაც ჩამოთვლილია 1549 წელს ტაოში ოსმალთა მიერ მოწყობილი ლაშქრობისას აღებული ციხეების სახელები (Aydın, 1998: 118).

- ორუმნაკი (რომელიც ომნაკი უნდა იყოს - ზ. ბ.);

- ჩულვირი (რომელიც მათარაქისთან სულივერეჟია (Aydın, 1998: 118). იუსუფელის ტოპონიმის მკვლევარი თანერ ართვინლი თვლის, რომ ეს სულივერეჟ/სოლვერეჟი ერსისთან მდებარე ადგილია ჭოროხის ჭალაში, რომელსაც დღეს სოლეჟი ჰქვია (Artvinli, 2013: 49, 56). როგორც ჩანს, თურქული ენის მატარებლებისთვის ეს დასახელებაც, ისევე როგორც თაქთაქი (რაზეც ქვევით შევჩერდებით), დამოკლდა დროთა განმავლობაში. ჩვენც სწორედ მიგვაჩნია ართვინლის ვერსია, მითუმეტეს ამ ადგილას დღესაც მდებარეობს პატარა ზომის ციხე-სიმაგრე, რომელსაც სოლეჟის ციხეს ეძახიან - ზ.ბ.).

საკითხის უკეთ აღქმის მიზნით მოგვყავს რუკა,¹⁵ სადაც აღნიშნულია სწორედ ის გეოგრაფიული გარემო (ანუ ჭოროხის ხეობა), სადაც სელმანი ჩამოთვლის 1549 წელს ოსმალთა მიერ ამ მხარეში მოწყობილი ლაშქრობის შედეგად აღებულ ციხეებს. ამ რუკაზე ადვილია სელმანის მიერ ჩამოთვლილი ციხეების ადგილების პოვნა. უკეთესი ვიზუალიზაციისთვის ჩვენ ოსმალეთის მიერ აღებული ციხე-სიმაგრეები ლურჯ ჩარჩოებში ჩავსვით.

ხოლო ლურჯი რგოლით აღვნიშნეთ „კავკასიელების“ ციხე სოფ. ოთხთასთან, რომელიც, ჩვენი აზრით, ლოგიკურად უნდა იყოს კიდევ ამ სიაში ნახსენები თაქთაქის ციხე, რადგან სელმანი იმ მონაკვეთში, სადაც თაქთაქსაც მოიხსენიებს, საუბრობს ამ რეგიონზე და მის ჩამონათვალში ჭოროხის ხეობის ამ ნაწილში არსებული ყველა ციხე ლოკალიზებულია, გარდა თაქთაქისა.



ჯელალ-ზადე წერს, რომ ოსმალებმა ამ აღებული 47 ციხიდან 15-ში ციხისთავები და მცველები ჩააყენეს (Aydın, 1998: 118). იგივე ციფრს - 15-ს იმეორებს ცნობილი ოსმალთა

¹⁵ ბაზისად ავიღეთ მ. ჩოხარაძის მიერ წიგნ „ტაოსთვის“ შედგენილი რუკა.

მემატიანე იბრაჰიმ ფეჩევი (1572-1650 წწ.) (Aydın, 1998: 118). ფერიდუნ ბეი კი საკუთარ „მუშეათში“ აღნიშნავს, რომ ოსმალებმა ჯარი 21 ციხეში ჩააყენეს, დანარჩენები კი დაანგრიეს (Aydın, 1998: 118). თუმცა, არცერთს არ უწერია ამ ციხეების ნგრევის ხარისხი - იყო ეს ნაწილობრივი თუ სრული დანგრევა და ეს ბუნებრივია - სამხედრო თვალსაზრისით, ციხის მოშლა იყო საჭირო და დეტალებში წასვლას აზრი არ ჰქონდა. ოსმალების გადმოსახედიდან, იმ კონკრეტულ მომენტში მთავარი იყო კედლების ან კედლების ნაწილის მოშლა იმდგვარად, რომ მოწინააღმდეგეს შიგნით გამაგრება არ შესძლებოდა. ხოლო რადგან ამ ტერიტორიებს ოსმალები 1549 წლის შემდეგ უკვე მყარად აკონტროლებდნენ, ციხეთა მოშლილი კედლების აღდგენის საშუალებას არავის მისცემდნენ.

ერზრუმის საბეგლარბეგოს ისტორიის მკვლევარმა დუნდარ აიდინმა გულდასმით შეისწავლა ოსმალური საარქივო მასალები და დაადგინა 13 ციხე, სადაც ოსმალებმა საკუთარი ჯარისკაცები და მოხელეები განათავსეს. ამ 13 ციხეს შორის არის „კავკასიეების“ ციხესთან ახლოს მდებარე უფრო დიდი ზომის პეტერეკის ციხეც, მაგრამ არ არის მასთან შედარებით მცირე ზომის თაქთაქის ციხე. სავარაუდოდ, ოსმალთა მხრიდან აქცენტი კეთდებოდა დიდი ციხეების გამაგრება-დაცვაზე და ფინანსურ თუ ადამიანურ რესურსებს არ ხარჯავდნენ მათი გადმოსახედიდან ნაკლები სამხედრო მნიშვნელობის მქონე ციხე-სიმაგრეებზე. მათ უბრალოდ გამოუსადეგარს ხდიდნენ და რეგიონში მოწინააღმდეგეც რომ შემოსულიყო, მოკლე დროში ვერ მოხერხდებოდა ამ ციხეების აღდგენა.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ „კავკასიეების“ ციხეზე შეინიშნება ნგრევის კვალი. ეს განსაკუთრებით მის ციტადელსა და ჭოროხის მხარეს არსებულ კედლებს ეტყობა, საიდანაც შესაძლოა ყოფილიყო ციხეზე ასასვლელი გზა¹⁶ ბილიკი.

დიდი ალბათობით, თაქთაქის ციხე ტაოს იმ ციხეების ნაწილში მოხვდა, რომელიც ოსმალებმა კი აიღეს, მაგრამ შემდგომში აღარ გამოიყენეს და ამიტომ ნაწილობრივ დაანგრიეს. იმისთვის, რომ ციხეს თავისი უწინდელი ფუნქცია დაეკარგა, სულაც არ იქნებოდა აუცილებელი მისი საძირკვლამდე დანგრევა.¹⁶

¹⁶ მით უმეტეს, იგივე ციხის მაგალითზეც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, ეს არც თუ ისე ადვილი საქმე იქნებოდა. „კავკასიეების“ ციხე ვისაც უნახავს, დაგვეთანხმება, რომ თუ რომელიმე ოსმალ მოხელე მისი საფუძვლამდე დანგრევის გადაწყვეტილებას მიიღებდა, მის სისრულეში მოყვანას შესაძლოა მსხვერპლიც მოჰყოლოდა ოსმალ სამხედროებში, ამას კი ზემდგომების მხრიდან ინიციატორთა დასჯა შეიძლება გამოეწვია. ამიტომ იგი ბოლომდე არ დაანგრიეს.



„კავკასიელების“ ციხის ამ ფოტოს მარჯვენა მხარეს ნათლად ჩანს ნგრევის კვალი ციტადელზე, ასევე დანგრეული ჩანს ციხის კედლები მარცხენა მხარეს, რომელიც მდ. ჭოროხს გადაჰყურებდა

ოსმალებს რომ ამ მცირე ზომის ციხე-სიმაგრეში სამხედრო ნაწილი განეთავსებინათ, ამ პატარა ტერიტორიაზე ბევრი ადამიანი იმოდრავებდა და იქ არსებულ ეკლესიაში ასე კარგად ვერ შემორჩებოდა ვერც ფრესკები და ვერც წარწერები საუკუნეთა განმავლობაში.

იბრაჰიმ ფეჩევი ასე აღწერს ამ ლაშქრობის დეტალებს: „დივანად (იგივე ლივანად¹⁷) წოდებულ მხარეში შესევის შემდეგ ურიცხვი შავარდნისთვალებისანი და კაკაბივით მოგოგმინე ჭაბუკები და ქალწულები მუსლიმ გმირთა ხელში ჩაცვივდნენ“ (ჯიქია, 1964: 27). ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან იმ მხარეში მრავალი ციხე და სოფელი აქინჯიებმა¹⁸ ლაშქრობის დასაწყისშივე დაარბიეს (მახარაძე და შაშიკაძე, 2021: 74).

ოსმალური წყაროების მიხედვით, ამ 47 ციხე-სიმაგრის ნაწილი ოსმალებმა ძალის გამოყენებით აიღეს, ნაწილი კი „ამანით დამორჩილდნენ“.¹⁹ ამ შემთხვევაში წყაროები არაფერს

¹⁷ ლივანა ადმინისტრაციული ერთეულია, რომელიც მდ. ჭოროხის ქვედა ნაწილთან ერთად იმიერტაოს ნაწილსაც (ჭოროხის შუა წელს) მოიცავდა.

¹⁸ მარბიელი ჯარის სახეობა ოსმალეთში. აქინჯიები ჯარის ძირითადი ნაწილის წინ მიდიოდნენ. ისინი თავს ესხმოდნენ და აწიოკებდნენ დასახლებულ პუნქტებს.

¹⁹ ე. ი. ციხეში გამაგრებულებმა შეწყალება ითხოვეს და უომრად დანებდნენ (Ayđın, 1998: 119).

ამბობენ, რომელ კატეგორიაში მოხვდა ჩვენთვის საინტერესო ციხე-სიმაგრე. შესაბამისად, ჩვენ არ ვიცით, „კავკასიძეების“ ციხის აღება ბრძოლით მოხდა თუ უბრძოლველად.

5. არგუმენტები ციხე ავბედის/ციცხავეთის დასახელების სასარგებლოდ

ციხე ავბედის/ციცხავეთის დასახელების სასარგებლოდ მეტყველებს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი და არგუმენტი:

ა) დოკუმენტში ციხის ადგილი ლოკალიზებულია

1563 წლით დათარიღებულ ვაყუფ-ნამეში ღიად და პირდაპირაა მითითებული თუ სად მდებარეობს აღნიშნული ციხე: სოფ. ოთხთასთან (მახარაძე და შაშიკაძე, 2021: 130, 181). სხვა ციხე კი, გარდა „კავკასიძეების“ ციხისა, იმ გეოგრაფიულ გარემოში არ არის.

ბ) მოხსენიებული მიწის ნაკვეთების მდებარეობა შეესაბამება „კავკასიძეების“ ციხის გარემოს

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ გაყიდულ მიწის ნაკვეთს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ზემოხსენებული ციხე და ჩამოთვლილია მომიჯნავე მიწის მფლობელთა სახელები. მათ შორის არიან როგორც ქრისტიანები, ისე – მუსლიმები²⁰ (მახარაძე და შაშიკაძე, 2021: 130, 181-182).

ვინც ციხის წყალში ჩაძირვამდე შეძლო მასთან მისვლა, დაგვეთანხმება, რომ ციხის გარშემო მართლაც ნაყოფიერი ბაღები მდებარეობდა.

ამასთან, საინტერესოა, რომ ზემოხსენებულ ვაყუფ-ნამეში აღნიშნულ მიწის ნაკვეთს „სახრეთი“ (მახარაძე და შაშიკაძე, 2021: 181) ჰქვია (რაც ცხადია, „სამხრეთი“ უნდა იყოს -ზ.ბ.). მართლაც, მიწის ეს ნაკვეთი ციხის სამხრეთით მდებარეობდა. ჩანს, რომ მას ეს სახელი ციხიდან შეერქვა. ასევე ციხიდან შერქმეული ჩანს იქვე ჭოროხის გადაღმა დასახლება ჰაზურგეთის (ახლანდელი Meşecik, რომელიც ასევე წყალში ჩაიძირა, მისი მოსახლეობა კი იქვე მთაში აასახლეს) სახელი. ჰაზურგეთი იგივე საზურგეთია (იგი მართლაც „კავკასიძეების“ ციხის ზურგი იყო), ისევე როგორც წყალში ჩაძირულ ძველ იუსუფელთან მდებარე ჰამზეთი სამზეთია (ქართული ენის აჭარულ დიალექტში ჰ და ს თავისუფლად გადადის ერთმანეთში. მაგალითად, აჭარაში დღესაც ამბობენ „ჰად მიხვალ?“, რაც იგივეა, რაც „სად მიდიხარ?“).

გ) ადგილობრივი მოსახლეობის ზეპირ მეხსიერებაში შემონახულია ციხის სახელის ნაწილი

როგორც ზევიტაც აღვნიშნეთ, ადგილობრივები აღნიშნულ ციხეს მხოლოდ „ყალას“ ეძახიან. რადგან ტოპონიმი „ციხით“ იწყებოდა, თავისუფლად შეიძლება მოსახლეობის

²⁰ ამ ფაქტიდანაც ირკვევა, რომ იმ პერიოდში ახალი დაწყებული იყო ისლამიზაციის პროცესი.

თურქიზაციის პროცესში იგი თარგმნილიყო (რისი არაერთი მაგალითიც გვაქვს რეგიონშიც და მათ შორის სოფ. ოთხთაშიც²¹), ხოლო მეორე ნაწილი დროთა განმავლობაში დავიწყებას მიეცა.

დ) იმავე დოკუმენტში მოიხსენიება კავკასიელების ბაღი

დოკუმენტში იქვე ახლოს, სოფ. ოთხთაში ფიქსირდება გაგაზოღლის ბაღი (მახარაძე და შაშიკაძე, 2021: 183). ჩვენი აზრით, გაგაზოღლი სხვა არაფერია, თუ არა კავკასიე. გ და კ თურქულში თავისუფლად გადადის ერთმანეთში, ხოლო თურქული ენის მატარებლებს უჭირთ ორი თანხმოვნის ერთად აღქმა/გადმოცემა, რის გამოც ვ უბრალოდ ამოვარდა სიტყვიდან.

ამგვარად, ძალიან ბუნებრივია, რომ „კავკასიეების“ ციხის სიახლოს იქნებოდა მათი ბაღ-ვენახებიც და ეს ფაქტიც მეტყველებს ციხე ავბედის/ციცხავეთის დასახელების სასარგებლოდ.

6. არგუმენტები თაქთაქის ციხის დასახელების სასარგებლოდ

ციხის გეოგრაფიულად ლოკალიზების (რაც, თავის მხრივ, ყველაზე მნიშვნელოვანია და რაზეც ზევითაც გვქონდა საუბარი) გარდა ამ ვერსიას კიდევ რამდენიმე წყარო და არგუმენტი ამაგრებს:

ა) ციხის ახლანდელი დასახელება Tekkale

დღეს თურქეთში ამ ციხეს Tekkale (რაც ქართულ ენაზე გადმოთარგმნის შემთხვევაში „მარტო ციხეს“ ან „ცალკე ციხეს“ ნიშნავს) ჰქვია და ვფიქრობთ, რომ მას შემთხვევით არ ჰქვია ეს სახელი.

როგორც ჩანს, თურქული ენის მატარებლებმა ასე გადაიაზრეს თავდაპირველი ტოპონიმი „თაქთაქი“. მსგავსი მაგალითები, როდესაც თურქული ენის წესების შესაბამისად ხდება ქართული ტოპონიმების აღქმა, უამრავია ტაო-კლარჯეთის ტოპონიმებში. ასე მაგალითად, არტანანი იქცა Ardahan-ად, არტანუჯი – Ardanuç-ად, კოლა – Göle-დ, ჩრდილი – Çıldır-ად, ფოცხოვი – Posof-ად და ა. შ.

ამასთან, გასათვალისწინებელი ფაქტია, რომ როდესაც თურქეთში ტოპონიმების შეცვლა დაიწყო, ეს ძირითადად შეეხო პატარა დასახლებულ პუნქტებს (სოფლებს, უბნებს), მაგრამ არ შეხებია ჰიდრონიმიასა (მაგალითად, დარჩა და დღესაც ჰქვია მდინარეებს ჭოროხი, ოლთისისა და თორთუმის წყალი, ბერთა და ა.შ.) და ციხეების დასახელებებს (ასეთი საჭიროება უბრალოდ არ არსებობდა - ზ.ბ.).

ტაო-კლარჯეთის ციხეების აბსოლუტურ უმრავლესობას შენარჩუნებული აქვს თავისი ისტორიული სახელები (მაგალითად, დღემდე ძველი სახელები შერჩათ იშხნის, პეტერეკის,

²¹ საინტერესოა, რომ სოფ. ოთხთაში ერთ-ერთ უბანს დღესაც Güney (ქართულად „სამხრეთს“ ნიშნავს) ჰქვია. ოღონდ ის ახლა სოფლის შუა ნაწილშია. როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში უბნის მცირედად გადაადგილება მოხდა. სახელი კი ქართულიდან თურქულად ითარგმნა.

ოლთისის, თორთუმის, ნიხახის და ა.შ. ციხე-სიმაგრეებს) ან მცირედად (თურქული ენის მატარებლებისთვის ადვილად წარმოსათქმელად) მოხდა მათი დასახელებების შეცვლა/დამოკლება. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი ამავე მიკრორეგიონში მდებარე სოლვერეჯის ციხე, რომელიც სოლეჯის ციხედ იქცა და რომელსაც ზევითაც შევხვით.

ვფიქრობთ, რომ დაახლოებით მსგავსი რამ მოხდა თაქთაქის ციხის სახელის შემთხვევაშიც. თაქთაქი (იგივე თექთექი, რაც თურქულად „ცალ-ცალკეს“ ნიშნავს) დამოკლდა და გახდა მხოლოდ თაქთექ (თურქ. „ცალკე“, „მარტო“). სხვანაირად ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულია, რატომ შეიძლება ერქვას გამაგრებულ პუნქტს „მარტო ციხე“ ან „ცალკე ციხე“. უიშვიათესი გამონაკლისების გარდა ხომ ყველა ციხე ისედაც განცალკევებულად დგას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თურქულ ენაში, განსაკუთრებით მის დიალექტებში ა და ე ძალიან ადვილად გადადის ერთმანეთში. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ წალკის რაიონში მდებარე „თაქ-ქილისა“ (ჯიქია, 1958: 288), რომელიც სალიტერატურო თურქულში „თექ-ქილისე“ უნდა იყოს.

ა და ე-ს ერთიდაიგივეობის კიდევ ერთ მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ თავად ამ ციხესთან მდებარე სოფ. ოთხთა (თურქ. Dörtkilise), რომელიც საუკუნეების განმავლობაში ოსმალურ ოფიციალურ საბუთებში აღირიცხებოდა არა როგორც Dörtkilise, არამედ როგორც Dörtkilisa (Artvinli, 2013: 370) და ასეთი მაგალითები უამრავია თურქულ ენასა და მის დიალექტებში.

თეორიულადაც რომ დავუშვათ, ვთქვათ ციხეს Tekkale მოგვიანებით შეარქვეს (რისი დამადასტურებელი არავითარი საბუთი არ არსებობს -ზ.ბ.), როგორ მოხდა, რომ მისი სახელი ასე ძალიან წააგავს თაქთაქის ციხე-სიმაგრის სახელს, რომელიც იგივე ოსმალური წყარო 1549 წელს იქაურობის დაპყრობისას სწორედ მაგ ადგილებში მოიაზრებდა? ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში პრაქტიკულად გამორიცხულია ამხელა დამთხვევასთან გვექონდეს საქმე.

ცნობისთვის, ტოპონიმთა თურქულ ენასთან შესაბამისობაში მოყვანის პოლიტიკის ფარგლებში სახელი Tekkale 1950-იან წლებში იქვე მდებარე სოფ. ოთხთასაც დაარქვეს (Köylerimiz, 1968: 508) და დღეს ამ სოფელს ამ ორი სახელით (ოფიციალურად Tekkale, არაოფიციალურად - Dörtkilise ანუ ოთხთა -ზ.ბ.) მოიხსენიებენ.

დავუბრუნდეთ ისევ იმ საკითხს, თუ რატომ და როგორ აღიქვეს თურქული ენის მატარებლებმა „თაქთაქის ციხე“ „თექკალედ“. „თაქთაქი“, იგივე „თექთექი“ თურქულში „თითო-თითოს“, „ცალ-ცალკეს“ ნიშნავს და ამ შედგენილ სიტყვაში ფუძე არის სიტყვა Tek (ქართ. „მარტო“, „ცალკე“). ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ თურქული ენა მიმართულია ძნელად წარმოსათქმელი/გრძელი ტოპონიმების გამარტივება/დამოკლებისკენ (მაგალითად, კონსტანტინოპოლი თურქულში İstanbul-ად იქცა, ტრაპეზუნტი - Trabzon-ად, იკონიუმი - Konya-დ, სებასტია - Sivas-ად და ა.შ.).

შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ მსგავსი სიტუაცია იყო „თაქთაქის“ შემთხვევაშიც. სიტყვას მოშორდა ერთი „თაქ“/„თექ“ და დარჩა მეორე, რომელი ფორმაც თურქული ენის მატარებლებისთვის გაცილებით ადვილი აღსაქმელი და წარმოსათქმელი იყო. ამგვარად, „თაქთაქის ციხე“ Tekkale-დ (ამ შედგენილ სიტყვაში kale ციხეა) იქცა.

ბ) თაქთაქიშვილებ/თაქთაქიძეების ფაქტორი ანუ რას გვამცნობენ ქართული წყაროები?

როდესაც თაქთაქის ციხის არსებობის შესახებ ვიგებთ, პირველი რაც გვახსენდება, ეს თაქთაქიშვილების ფეოდალური გვარია და როგორც ისტორიული დოკუმენტებიდან ირკვევა, არც თუ ისე უსაფუძვლოდ.

შიდა ქართლში სოფ. ხვითის მფლობელი თავადი თაქთაქიშვილები რომ იგივე თაქთაქისძეები არიან, დასტურდება არაერთი ისტორიული საბუთით (ახალაძე და სხვა, 2021, გვ. 38.) არის შემთხვევები, როდესაც ამ გვარის მფლობელები მხოლოდ თაქთაქად მოიხსენიებენ. მაგალითად, ივანე თაქთაქი ნახსენებია 1767 წლის საბუთში (დოლიძე, 1981: 125) და ეს ძალიან სიმპტომატურია. ამიტომ ჩვენ თაქთაქიშვილ/თაქთაქიძე/თაქთაქის ერთიდაიგივობაზე დიდხანს არ შევჩერდებით.

სამაგიეროდ, ჩვენი საკვლევი თემისთვის ძალზედ საინტერესოა ამ გვარის ისტორია, რომელიც პირდაპირ უკავშირდება თაქთაქის ციხეს და რის შესახებაც საგულისხმო ცნობებს გვაწვდის ქართული წყაროები.

კერძოდ, XVIII საუკუნის ცნობილი ქართველი გეოგრაფი, ისტორიკოსი და კარტოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ თავად თაქთაქიშვილების გვარის შესახებ წერს, რომ „შემდგომად თათრობისა ჩამოვიდნენ სამცხიდან“ (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: 34). აქ „თათრობაში“ ოსმალთა, ხოლო სამცხეში მთელი მესხეთი (მათ შორის, ისტორიული ტაო-კლარჯეთიც) იგულისხმება ანუ ამ წყაროდან ვიგებთ, რომ თაქთაქიშვილები ოსმალების მიერ ამ მხარის დაპყრობის შემდეგ გადმოსულან ქართლში.

კიდევ უფრო საინტერესო ცნობებს გვაწვდის ცნობილი ქართველი სახელმწიფო მოღვაწე იოანე ბატონიშვილი (1766-1830 წწ) თავის თხზულებაში „შემოკლებითი აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“, სადაც იგი წერს: „თავადი თაქთაქის შვილი, ესენი იყვნენ პირველად სამცხის თავადნი და ამათი წინაპარი შეიქმნა მამადიანი და უწოდეს თაქ ალა. ოდეს დაიპყრეს თურქთა ახალციხე და დროსა მეფისა თეიმურაზისა მოვიდნენ შვილნი ამათნი და მიიღეს მართლმადიდებელთ სარწმუნოება წელსა 1627-სა და დაემუნენ ქრცინვალის ადგილის ნაწილთა შინა და არიან მუნითგან თაქთაქის შვილად, თავადად მიღებულნი“ (იოანე ბაგრატიონი, 1997: 29).

ვფიქრობთ, რომ აქ მთავარი საკვანძო ფრაზა არის: „ამათი წინაპარი შეიქმნა მამადიანი და უწოდეს თაქ ალა“. ცნობილია, რომ ოსმალეთის იმპერიაში არსებული სამხედრო და მიწათმფლობელური წესის მიხედვით, ფეოდალს იმ შემთხვევაში უნარჩუნდებოდა მიწები და გლეხები, თუ იგი ისლამს მიიღებდა.

ამიტომ, სრულიად ბუნებრივია, რომ ოსმალთა მიერ 1549 წელს იმ ადგილების დაპყრობის შემდეგ მიწებსა და გლეხებზე უფლებების შენარჩუნების მიზნით თაქთაქიშვილებს/თაქთაქიძეებს/თაქთაქებს მოუწევდათ ისლამის მიღება.

რადგან იოანე ბატონიშვილის ცნობით, თაქთაქიშვილები ქართლში 1627 წელს მოვიდნენ, გამოდის, რომ ისინი საერთო ჯამში 78 წლის განმავლობაში (1549 წლიდან 1627

წლამდე), რაც 3-4 თაობაა, ყოფილან ოსმალთა სამსახურში. ჩვენ არ ვიცით, რა გახდა მათი იქიდან აყრისა და ქართლში გადმოსახლების მიზეზი.²²

ამიტომ ისევ დავუბრუნდეთ იოანე ბატონიშვილის ჩანაწერს, სადაც კიდევ უფრო საინტერესოა მისი ფრაზის მეორე ნაწილი: „და უწოდეს [თაქთაქიშვილების წინაპარს] თაქ ალა“.

„ალა“ თურქული სიტყვაა და ბატონს, მეპატრონეს ნიშნავს (ჩლაიძე, 2001: 27). „ალა“ ამავე დროს ოსმალური ტიტულია და იგი ეძლეოდათ სამხედრო-ადმინისტრაციულ სამსახურში მყოფ ჩინოსნებს. მაგალითად, არსებობდა „თურქმენტა ალა“, „ენიჩრების ალა“ და ა.შ. (Meydan Larousse, 1992: 138).

იოანე ბატონიშვილი პირდაპირ წერს, რომ თაქთაქიშვილების/თაქთაქიძეების/თაქთაქების წინაპარი ოსმალეთის სამსახურში ჩამდგარი ქართველი ფეოდალი იყო, რომელიც ფლობდა „თაქს“ (იგივე „თექს“), რომელიც სხვა არაფერია, თუ არა დღევანდელი Tekkale (იგივე „კავკასიძეების“ ციხე). როგორც ჩანს, ტოპონიმ „თაქთაქს“ იმ პერიოდში უკვე ჩამოშორებული ჰქონდა ერთი „თაქი“ და ეს კარგად იყო ცნობილი საქართველოშიც. მაგრამ ამ შემთხვევაში გვარში დარჩა ძველი ფორმა „თაქთაქი“. ისინი ფლობდნენ „თაქის“/„თექის“ ციხეს, მაგრამ გვარში/ზედწოდებაში შენარჩუნდა „თაქთაქი“.

ამგვარად, ძალზედ მნიშვნელოვანია იოანე ბატონიშვილის ცნობა, რომელიც არამხოლოდ იმას გვამცნობს, თუ საიდან არიან თაქთაქიშვილები და რომელი ციხე ეკუთვნოდათ მათ, მაგრამ ამავე დროს ადასტურებს ჩვენს მიერ ზევით გამოთქმულ მოსაზრებას „თაქ“/„თექისა“ და „თაქთაქის“ ერთიდაიგივეობის თაობაზე.

ამასთან, საინტერესოა, რომ თაქთაქიშვილების გვარში დაცული იყო გადმოცემა იმის შესახებ, რომ თაქთაქიშვილების წინაპრებს სამფლობელოები ჰქონიათ ისტორიულ ლივანაში (ბიჭიკაშვილი), რომელშიც ჭოროხის ხეობის ის ნაწილია, სადაც დღესაც მდებარეობს კიდევ „კავკასიძეების“ ციხე ანუ აქაც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მითითებაა, თუ სად მდებარეობდა თაქთაქიშვილების უწინდელი მამულები და ესეც ამაგრებს ჩვენს მიერ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებებს.

ჩვენ არ ვიცით, იმ პერიოდში რაიმე ფორმით (მაგალითად, მფლობელთა რეზიდენციად) გამოიყენებოდა თუ არა ეს ციხე (სამხედრო დანიშნულებისამებრ რომ დიდი ალბათობით აღარ გამოიყენებოდა, ამაზე ზევით ვიმსჯელებთ - ზ.ბ.) თუ წოდება „თაქ ალა“ მხოლოდ ციხის გარშემო ტერიტორიებისა და გლეხების ფლობით შემოიფარგლებოდა.

თავადური გვარების ცნობილ ქართველ მკვლევარს იური ჩიქოვანს თავის „გენეალოგიურ ნუსხებსა და კომენტარებში“ მოაქვს თაქთაქიშვილების გენეალოგიური ხე, სადაც აღნიშნულია, რომ გვარის ფუძემდებელი თაქთაქ თაქთაქიშვილი პირველად წყაროებში მოიხსენიება 1550 წელს, ანუ ოსმალური დაპყრობიდან 1 წელიწადში (ჩიქოვანი).

²² წყაროები დუმან ამის შესახებ და მხოლოდ მომავალი კვლევებისას შეიძლება ამ მიზეზის დადგენა. ჩვენ კი ამაზე აქ არ შევჩერდებით, რადგან ეს საკითხი ცდება ამ კვლევის მიზნებს.

სამწუხაროდ, ჩიქოვანი არ მიუთითებს წყაროს, თუ სად და რა კონტექსტშია მოხსენიებული ამ ფეოდალური გვარის დამფუძნებელი პირველი თავთაქი, რაც ართულებს ჩვენს კვლევას.

გ) ოთხთაში ჩაწერილი ამბავი, რომ Tekkale ძველი სახელია

2023 წლის 29 აპრილს სოფ. ოთხთაში (თურქ. Dörtkilise) ყოფნისას იქაურებმა გვითხრეს, რომ როდესაც 1950-იან წლების მიწურულისკენ მათ სოფელს სახელი Dörtkilise გადაარქვეს და Tekkale დაარქვეს, გაითვალისწინეს იქაურობის ძველი ისტორიული დასახელება, რომელიც მათი განმარტებით, თავად ოთხთელებს (კერძოდ კი, ჰუსეინ დემირქირანს) შეუთავაზებიათ ხელისუფლებისთვის. ბუნებრივია, ჩვენ ვერ ვნახეთ ის ოთხთელი, რომელმაც ეს შეთავაზება გაუკეთა ადგილობრივ ხელისუფლებას, რადგან ის უკვე ცოცხალი აღარ იყო.

ეს ამბავი კი მისმა ქალიშვილმა მუთებერ აქთაშმა გვიამბო, რომლის განმარტებით (და ამას სხვა ოთხთელებიც გვიდასტურებენ), მამამისმა ძალიან კარგად იცოდა ისტორია და დაინტერესებული იყო მსგავსი საკითხებით.

აქ ის მომენტიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სიტყვა Tekkale თურქული ენისთვის საკმაოდ ბუნებრივად ჟღერს. იგი წინააღმდეგობაში არ მოდიოდა ტოპონიმთა თურქულ ენასთან შესაბამისობაში მოყვანის პოლიტიკისთან და შესაბამისად, ხელისუფლებას თავისუფლად შეეძლო ადგილობრივთა ამ სურვილის გათვალისწინება.

დ) ამ რეგიონში („კავკასიელების ციხის“ სიახლოვეს) ფიქსირდება თავთაქიძეების/თავთაქიშვილების ცხოვრება XVI საუკუნეში

სულ ახლახანს ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა თემო ჯოჯუამ საკმაოდ მნიშვნელოვანი მიკვლევა გააკეთა, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ XVI საუკუნის მეორე ნახევარში ამ რეგიონში ცხოვრობდნენ თავთაქიძეები.

კერძოდ, ირკვევა, რომ XVI საუკუნის მეორე ნახევარში იშხნის ეპისკოპოსი იყო გრიგოლ თავთაქისძე. იქვე მოიხსენიება მისი ძმა აშქაში (ჯოჯუა, 2015: 375-385).

იშხნიდან სოფ. ოთხთამდე კი (რომლის სიახლოვესაც მდებარეობს თავთაქის ციხე) სულ რაღაც 44 კმ გზაა.

შესაბამისად, დოკუმენტურად კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ტაოს ამ მხარეში თავთაქიძეები/თავთაქიშვილები/თავთაქები ცხოვრობდნენ ჩვენთვის საინტერესო პერიოდში, ანუ XVI საუკუნეში, როდესაც აქ ოსმალები შემოდიან და სხვა ციხეებთან ერთად „კავკასიელების“ ციხესაც იკავებენ.

ე) საინტერესო კავშირი თავთაქიშვილის მიერ ქართლში დასახლებისას თან მოყვანილ გლეხებსა და ტაოში თავთაქის ციხის გვერდით მდებარე სოფ. ოთხთას ერთ ტოპონომს შორის

როგორც სოფ. ქვემო ხვითის ონომასტიკის მკვლევარი ანა ბითაძე წერს, ქართლის ამ სოფელში მოსულ და დასახლებულ თავთაქიშვილებს სხვებთან ერთად აქ ჩამოუყვანიათ ყმები ბითაძეები და ბასილაძეები (ბითაძე, 2019: 44).

თუ გადავხედავთ ისტორიულ ლივანას ტოპონიმიკას, დავინახავთ, რომ დღევანდელ იუსუფელის ილჩეს ჩრდილოეთ ნაწილში არის სოფ. ბითი (Artvinli, 2013: 219)²³ ხოლო თავთაქის ციხის უშუალო სიახლოვეს (1 კმ-ში) მდებარე სოფ. ოთხთას ცენტრალურ უბანს, რომელიც 2023 წლის მაისში წყალში ჩაძირა, ბასილეთი²⁴ ერქვა.

როგორც ტოპონიმის იქაური მკვლევარი ნერიმან ალბაირაქი წერს: „თავად ბასილეთის ეტიმოლოგია, რა თქმა უნდა, წმინდა ქართულია: სემანტიკურად, ისაა „უბანი, სადაც სახლობენ ბასილაშვილები ან ბასილაძეები“ (ალბაირაქი, 2018: 61).

ამიტომ ძალზედ ბუნებრივად ჩნდება ლეგიტიმური კითხვა: ხომ არ მოიყვანეს ტაოდან მოსულმა თავთაქიშვილებმა/თავთაქიძეებმა/თავთაქებმა საკუთარი ყმები - ბასილაძეები და ბითაძეები იმ ადგილებიდან, რომელსაც ისინი მანამდე ფლობდნენ ტაოში?

ვ) თავთაქიშვილების გენეტიკური კავშირები თანამედროვე თურქეთის აღმოსავლეთ რეგიონთან

თავთაქიშვილების წარმომავლობის საკითხთან დაკავშირებით საინტერესო შედეგებს გვაძლევს ბოლო პერიოდში ჩატარებული გენეტიკური კვლევებიც.

თავთაქიშვილების ჰაპლოჯგუფის კვლევის შედეგად, რომელიც ეფუძნება Y ქრომოსომის ანალიზს (ეს კი მამის მხრიდან პირდაპირ წარმომავლობას ადგენს), დადგინდა, რომ ამ გვარის ჰაპლოჯგუფია E1, უფრო კონკრეტულად კი E1b1b1b2a1a1 – M84 (Georgian DNA Project, <https://www.familytreedna.com/public/Georgia?iframe=yresults>).

ასევე აღმოჩნდა, რომ მათ მამაკაცების ხაზით არ ჰყავთ ნათესავები თანამედროვე საქართველოში. სამაგიეროდ, თავთაქიშვილების ყველაზე ახლო ნათესავები აღმოჩნდნენ თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე. რაც ყველაზე საინტერესოა, მათი ეს ნათესავები ლაზები არიან, რომლებიც ცხოვრობენ ქ. არდემენში (Georgian DNA Project, <https://www.familytreedna.com/public/Georgia?iframe=yresults>), რაც ისტორიულ ლაზეთში მდებარეობს.

.	Laz Ardeşen	Turkey	E-M35
Taktakishvili	Taktakishvili	Georgia	E-M35

გენეტიკური კვლევების შედეგად, რომელიც მამაკაცების მხრიდან წარმოშობასა და ნათესაობის ხარისხს ადგენს, ერთად ჯგუფდებიან არდემენელი ლაზები და თავთაქიშვილები (Georgian DNA Project, <https://www.familytreedna.com/public/Georgia?iframe=yresults>)

ქ. არდემენი კი ძალიან ახლოსაა „კავკასიძეების“ ციხესთან. ამ მხარის მაღალი ადგილებიდან კარგად მოჩანს ლაზეთის მთები.

ასე რომ, გენეტიკური კვლევებიც ადასტურებს ცნობებს იმის შესახებ, რომ თავთაქიშვილები უწინ იმ ტერიტორიებზე ცხოვრობდნენ, რომლის წარსულსაც ამ კვლევაში მიმოვიხილავთ და მხოლოდ შემდეგ მოუწიათ მათ ქართლში გადმოსახლება.

²³ სახელების გადარქმევის შემდეგ მისი ახალი დასახელებაა Tarakçılar.

²⁴ სახელების შეცვლის შემდეგ Yeni Mahalle დაერქვა.

7. რა კავშირში არიან ერთმანეთთან კავკასიელები და თაქთაქიშვილები/თაქთაქიძეები/თაქთაქები?

ვინც ზემოთმოყვანილ მსჯელობას გაეცნო, ადვილად შეამჩნევდა, რომ კავკასიელებისა და თაქთაქიშვილების/თაქთაქიძეების/თაქთაქების კვალი არა მხოლოდ დროში, არამედ სივრცეშიც იკვეთება - მათ ფაქტიურად ერთიდაიგივე ტერიტორიებზე უწყევდათ ცხოვრება და მოღვაწეობა.

ერთადერთი, რაც მათ ერთმანეთისგან განასხვავებს, დროის ქვედა ზღვარია. დოკუმენტალურად დადასტურებულია, რომ კავკასიელები იმ რეგიონს საუკუნეების განმავლობაში (მინიმუმ იმ პერიოდიდან, როდესაც მათ ააშენეს ციხის ეკლესია, რაც მასზე არსებული ქტიტორული წარწერიდანაც იკითხებოდა და 1545 წლამდე, როდესაც ამ მხარეს ერისთავთერისთავი გიორგი კავკასიძე მართავდა (ჯოჯუა, 2015: 364-375)) ფლობდნენ და ამ მხარეს მისცეს კიდევ თავიანთი სახელი - XVI საუკუნეში მათ სამფლობელოს ხომ „საკავკასიძო“ ერქვა (თავაძე, 2020: 268).

ამ რეგიონში კავკასიელების გავლენა იმდენად დიდი იყო, რომ მათ თავიანთი კვალი აქ საუკუნეების განმავლობაში დატოვეს.

მაგალითად, 1835 წელს ამ რეგიონში ფიქსირდება კავკასეთის ნაჰიე, რომელიც დღევანდელი იუსუფელის ილჩეს ჩრდილოეთ ნაწილს მოიცავდა (Artvinli, 2013: 58-59).²⁵

უფრო მეტიც, ტოპონიმი „კავკასეთი“ აქ დღემდეა შემორჩენილი - იუსუფელის ილჩეს ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე სოფ. ჰავუზლუს (ძველი სახელი - ოკარი, ოხერი) ერთ-ერთ მეზრას²⁶ დღემდე კავკასეთი ჰქვია (Artvinli, 2013: 156).

ასევე კავკასიელებს უნდა უკავშირდებოდეს ტოპონიმი „კავკასორი“ (ანუ „კავკასიელების ხევი“, ცნობილი ადგილი ართვინთან, სადაც ტრადიციული ხარების ორთაბრძოლები იმართება ხოლმე - ზ.ბ.)

და აი ამ ადგილებში XVI საუკუნეში ჩნდებიან თაქთაქიშვილები/თაქთაქიძეები/თაქთაქები, თან ზუსტად კავკასიძეთა სამფლობელოს შუაგულში.

გარდა იმისა, რომ ეს ორი ფეოდალური გვარი „კავკასიელების“ ციხეში იკვეთება, ისინი იკვეთებიან დღევანდელი იუსუფელის ილჩეს ჩრდილოეთ ნაწილშიც - სოფ. ოხერა/ოკარში (ახალი სახელი Havuzlu) მდებარე კავკასეთის უბნიდან სოფ. ბითი/ფითი, საიდანაც სავარაუდოდ, თაქთაქიშვილებმა ამ რეგიონიდან წასვლისას თავიანთი ყმა ბითაძეები ქართლში წაიყვანეს, ერთი ხელის გაწვდენაზეა.

შესაძლებელი იყო თუ არა, რომ ერთ დიდი საფეოდალო ერთეულში სხვა დიდი ფეოდალური გვარი (თავადები) გამოჩენილიყო და მათ მშვიდობიანად თანაეცხოვრათ ერთ გეოგრაფიულ გარემოში? რა თქმა უნდა, ამას არცერთი ფეოდალი, და მათ შორის, არც კავკასიელები არ დაუშვებდნენ.

²⁵ ნაჰიე მცირე ზომის ადმინისტრაციული ერთეული იყო ოსმალეთის იმპერიაში და დაახლოებით უდრიდა საპოლიციო უბანს რუსეთის იმპერიაში.

²⁶ სოფლის განაპირა მდებარე უბანი.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა: მაშ რასთან გვაქვს საქმე?

სხვა შემთხვევებში თეორიულად ალბათ შესაძლებელი იქნებოდა გვეფიქრა, რომ რაღაც გარე ან შიდა ფაქტორს/ფაქტორებს შესაძლოა შეესუსტებინა კავკასიელების გავლენა რეგიონში, რასაც გარედან სხვა ფეოდალური ოჯახის აქ მოსვლა-დამკვიდრება შეიძლება გამოეწვია. მაგრამ აქ უნდა გავითვალისწინოთ თავთაქის ციხის ფაქტორი.

თითქმის შეუძლებელი ჩანს, გარედან მოსულ ოჯახს ისეთი რადიკალური ცვლილებები გამოეწვია რეგიონში, რომ მარტივად შეეცვალა უკვე არსებული ციხის სახელი - მისთვის საკუთარი გვარიდან გამომდინარე სახელი დაერქმია და ხალხსაც ეს ადვილად მიეღო.

ჩვენ ასეთ კითხვას გთავაზობთ: როგორც დოკუმენტებშიც გვხვდება, მართლაც ხომ არ არსებობდა ვინმე თავთაქი (კავკასიძე ?), რომელმაც ააგო/ შეაკეთა ეს ციხე და ვისი სახელიც ეწოდა არა მხოლოდ ამ გამაგრებულ პუნქტს, არამედ, ვისგანაც მომდინარეობს კიდევ თავთაქიძეების/თავთაქიშვილების/თავთაქების თავადური გვარი?

ციხის აღმშენებლის/მფლობელის სახელი რომ გამაგრებულ პუნქტს შეიძლება ეწოდოს, ამისი არა ერთი მაგალითი გვაქვს თავად ტაოში: რატის ციხე ხახულთან, პეტერევის ციხე საკავკასიძოში (რომელიც ამ ციხესთან ახლოს მდებარეობს - ზ.ბ.), ნარიმანის ციხე ოლთისის სამხრეთით და ა. შ.

ამასთან, ქართულ წყაროებში აშკარად ჩანს პიროვნება თავთაქის სახელით, რომელმაც სათავე დაუდო თავთაქიძეების/თავთაქიშვილების/თავთაქების თავადურ გვარს.

აქ ის მომენტიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ თავადური გვარის ფუძემდებელი ფეოდალური წრიდან გამოსული უნდა ყოფილიყო.

ასეთები კი ამ მხარეში მხოლოდ კავკასიელები იყვნენ. „კავკასიელების“ ციხეს და მის შემოგარენს კი საუკუნეების განმავლობაში სწორედ კავკასიელები ფლობდნენ და ეს დასტურდება როგორც ექვთიმე თაყაიშვილის ექსპედიციისას შემორჩენილი ციხის ეკლესიის წარწერით (რაზეც ზევითაც ვიმსჯელებთ), ისე - ჩვენი ჯგუფის მიერ აქაურობის წყალში ჩამირვამდე ცოტა ხნით ადრე, 2023 წლის მაის-ივნისში ეკლესიის კედელზე დაფიქსირებულ ნაკაწრი წარწერით, სადაც ასევე მოიხსენიება ახლა უკვე სხვა კავკასიძე. და სხვა არაერთი წყაროც იგივეს ადასტურებს.



წყალში ჩაძირვამდე ცოტა ხნით ადრე ჩვენი ჯგუფის მიერ „კავკასიელების“ ციხის ეკლესიის კედელზე ნანახი ნაკაწრი წარწერა, სადაც ნათლად იკითხება გვარი კავკასიე

მაშ რა მოხდა სინამდვილეში?

ჩვენ თეორიის დონეზეც კი შეუძლებლად მიგვაჩნია და ვერ წარმოგვიდგენია როგორ შეეძლო ორ დიდ ფეოდალურ გვარს (კავკასიეებს და თაქთაქიეებს) მშვიდობიანად თანაცხოვრა არა მხოლოდ ერთ გარემოში, არამედ „კავკასიეების“ მსგავს მცირე ზომის ციხე-სიმაგრეში.

ცხადია, რომ ისტორიის მანძილზე კავკასიეების მხოლოდ ერთი ოჯახი და ერთი შტო არ იარსებებდა. ჩვენი აზრით, ყველაზე ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ საკავკასიეოს სხვადასხვა ციხეში იცხოვრებდნენ კავკასიეების სხვადასხვა ოჯახები. ხოლო იმ შტოს, რომელიც ფლობდა თაქთაქის მიერ აგებულ/შეკეთებულ ციხეს, დროთა განმავლობაში შესაძლოა ეს ზედწოდება (თაქთაქი) გაუგვარდა.

საინტერესოა, რომ „კავკასიეების“ ციხის მფლობელს ახლადგამუსლიმებულ ალი ბეგს²⁷ ვხვდებით 1558 წლის 19 დეკემბრით დათარიღებულ ოსმალურ დოკუმენტში, როდესაც ერზრუმის ბეგლარბეგი აიაშ ფაშა ამ ფეოდალს ზეამეთის პრინციპით (საერთო შემოსავალი 30 000 ახჩა) უწყალობებს ისტორიულ საკავკასიოში არსებულ სოფლებს (მათ შორის ციხესთან არსებულ სოფ. ოთხთას). წყალობის ამ დოკუმენტიდან ვიგებთ, რომ ალი ბეგი ჯერ კიდევ „ურწმუნოების“ (ანუ ქართული მმართველობის) პერიოდში წინაპართაგან (ათა-ბაბადან) მემკვიდრეობით ფლობდა ამ მიწებს (Demirel, 2010: 116), რითაც კიდევ ერთხელ დასტურდება რომ საუბარი ნამდვილად კავკასიეების იმ შტოს შთამომავალზეა, რომელიც ჩვენთვის საინტერესო ციხეს ფლობდა.

ამასთან, რადგან ოსმალური ბეგის ტიტული შეესაბამებოდა ქართულ აზნაურს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ალი ბეგი იყო კავკასიეთა უმცროსი (აზნაურული) შტოს შთამომავალი.

8. დასკვნები

ამგვარად, ამ ნაშრომში პირველად მოხდა შუა საუკუნეებში კავკასიეების ფეოდალური საგვარეულოს საკუთრებაში მყოფი ციხისა და მისი შემოგარენის ისტორიის შესახებ სხვადასხვა ქართულ თუ ოსმალურ დოკუმენტებში გაფანტული უამრავი ცნობის ერთად თავმოყრა, ამ ინფორმაციის ერთმანეთზე დადარება-დამუშავება, რის საფუძველზეც მოხდა ანალიზი.

წინამდებარე ნაშრომით ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოგვაქვს აქამდე უცნობი ოსმალური წყაროები, რაც დღემდე ხელმიუწვდომელი იყო ქართველი მეცნიერებისთვის.

ამ კვლევით, დოკუმენტურად დადასტურდა, რომ მინიმუმ XVI საუკუნეში (უფრო კონკრეტულად კი ამ რეგიონში პირველი ოსმალური აღწერისას ჩატარებისას 1538 წელს) უკვე არსებობდა სოფ. ოთხთას და შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს სოფელი თავისი გეოგრაფიული

²⁷ ოსმალები არ ცნობდნენ გვარებს. ამასთან, არც მისი ძველი ქრისტიანული სახელი წერია დოკუმენტში.

მდებარეობისა და სოფლის მეურნეობისთვის ხელსაყრელი პირობების გათვალისწინებით, წინა საუკუნეებშიც იარსებებდა. ეს კი მნიშვნელოვანი ინფორმაციაა ამ რეგიონში ქართული კულტურის ძეგლებისა და მათი შემოგარენის (ამ შემთხვევაში ოთხთას მონასტრის) ისტორიის მკვლევარებისთვის.

ოსმალური წყაროების მიხედვით დგინდება, რომ 1541 წელს იმერეთის მეფე ბაგრატ III იკავებს სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიებს, მათ შორის მანამდე ოსმალეთის კონტროლქვეშ მყოფ პეტერეკსა და მის შემოგარენს.

ასევე ირკვევა, რომ რეგიონში ტოპონიმების სახით ჯერ კიდევ შემონახულია ხსოვნა კავკასიძეების შესახებ.

ასევე დადგინდა, რომ ერთ გეოგრაფიულ გარემოში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ კავკასიძეებისა და მათი შტოს - თაქთაქიძეების/თაქთაქიშვილების/თაქთაქების ფეოდალური ოჯახები.

ამ ნაშრომის მთავარი ღირებულება კი ის არის, რომ სხვადასხვა ქართული და ოსმალური წყაროების, ასევე ცნობებისა და ფაქტების ერთმანეთთან დადარების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „კავკასიძეების“ ციხეს ორი ისტორიული დასახელება ჰქონდა.

ორი სახელიდან ბოლომდე არცერთი დაკარგულა:

1. „ციხე ავბედის“ პირველი ნაწილი (ანუ „ციხე“) შემორჩა ადგილობრივების ზეპირ მემორიზაციას, რომელიც თურქიზაციის შედეგად „ყალად“ იქცა;

2. ასევე შემორჩა „თაქთაქის“ ციხის სახელიც, რომელიც დროთა განმავლობაში რეგიონში მიმდინარე თურქიზაციის პროცესის შედეგად Tekkale-დ იქცა.

ამათგან, ვფიქრობთ, რომ „ციხე ავბედი“/“ციცხავეთი“ უფრო ძველი სახელია, ხოლო „თაქთაქი“ სავარაუდოდ, მისი მოგვიანებით (შესაძლოა XV-XVI სს.) შემკეთებული ფეოდალის სახელი უნდა იყოს.

ამ ციხის ზუსტი ისტორიული დასახელებების მივიწყებას მიცემის მიზეზი კი, ჩვენი აზრით ისაა, რომ ოსმალების შემოსვლის შემდეგ ამ ციხე-სიმაგრემ თავისი ფუნქცია დაკარგა. იგი ციხედ აღარ გამოიყენებოდა და შესაბამისად, მისი მოხსენიების საჭიროებაც დროთა განმავლობაში გაქრა. შესაბამისად, დავიწყებას მიეცა ამ ციხის ზუსტი ისტორიული დასახელებები.

2023 წლის ზაფხულში წყალმა დაფარა ეს ციხე, რაც ძალზედ ტრაგიკული ამბავია. მაგრამ მეორეს მხრივ ბედნიერები ვართ, რომ შევძელით „კავკასიძეების“ ციხის ერთ-ერთი მთავარი საიდუმლოს ამოხსნა - დავადგინეთ მისი ნამდვილი ისტორიული სახელები.

მაგრამ კვლევა ამით არ სრულდება. ეს მხოლოდ დასაწყისია.

ვფიქრობთ, რომ სხვადასხვა საგვარეულოებს შორის კავშირების დადგენის მიზნით სასურველია გენეტიკური კვლევების ჩატარება როგორც თურქეთში, ისე - საქართველოში.

აუცილებელია ციხის ეკლესიის კედლებზე არსებული ნაკაწრი წარწერების წაკითხვა.

მიზანშეწონილია დამატებითი ოსმალური წყაროების მოძიება „ციხე ავბედი“/“ციცხავეთის“ ვერსიების დასადგენად.

სასურველია მოხუცების გამოკითხვა სოფ. ოთხთასში ციხის ისტორიის შესახებ.

ციხის აგება/შეკეთების თარიღის დადგენის მიზნით კი საჭიროა ციხის კედლებიდან აღებული ხის მასალის ლაბორატორიული კვლევა.

გამოყენებული ლიტერატურა და ბიბლიოგრაფია:

აბულაძე, ც. (1983). თურქული წყაროები XVI ს. I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისთვის. თბილისი.

ალბაირაქი, ნ., (2018). იუსუფელის მხარის ჰიდრონიმია და ტოპონიმია. თბილისი. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლა.

ახალაძე, ლ., შიოლაშვილი ნ., ფხალაძე, თ., ბურდული გ. და ქისტაური გ. (2021). თრუსოს ხეობის კომპლექსური შესწავლის საკითხისათვის. ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია. თბილისი.

https://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/364172/1/History_Archaeology_Ethnology_2021_N6.pdf

ბითაძე, ა. (2019). ქვემო ხვითის ონომასტიკა. გორი. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. სამაგისტრო ნაშრომი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

ბიჭიკაშვილი, ი. საქართველოს ფეოდალური იერარქია, <https://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/4719/2/Danarti.pdf>

დოლიძე, ი. (1981). სასამართლო არზა-ოქმები. ქართული სამართლის ძეგლები. თბილისი.

ვახუშტი ბატონიშვილი. (1973). აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტომი IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი.

თავაძე, ლ. (2020). პეტრეკის ციხე. ტაო-კლარჯეთის ციხე-სიმაგრეები. III ტომი (ტაოს ფორტიფიკაციები). თბილისი.

თაყაიშვილი, ე. (1960). 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში. თბილისი.

თაყაიშვილი, ე. (2016). თხზულებანი. ტ. I. თბილისი.

იოანე ბაგრატიონი. (1997). შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა. რედაქტორი და გამომცემელი ზ. კაცელაშვილი. თბილისი.

კუდავა, ბ. (2011). კავკასიელების ციხე (ახალი მასალა ტაო-კლარჯეთის არქიტექტურის, ფერწერისა და ეპიგრაფიკისათვის). საერთაშორისო კონფერენცია „უცხოეთის ქართული მემკვიდრეობა“. მოხსენებათა თეზისები. თბილისი.

მახარაძე, მ. და შაშიკაძე, ზ. (2021). ლალა მუსტაფა ფაშას ვაყუფ-ნამეები საქართველოს შესახებ. თბილისი.

მახარაძე, მ., შაშიკაძე, ზ. და კაშია, ა. (2022). თურქეთის არქივებში დაცული დოკუმენტები საქართველოს შესახებ (რეზიუმირებული კატალოგი). ტომი I. წიგნი 1. თბილისი.

საქართველოს ისტორიის ატლასი (2016). გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი.

ჩაკვეტაძე, ნ. (2023). კავკასიელების ციხის ეკლესიის მოხატულობა.
<https://www.youtube.com/watch?v=R2wjWZH0Ucg>

ჩიქოვანი, ი. გენეალოგიური ნუსხები და კომენტარები. გამოცემის ადგილი და თარიღი მითითებული არაა.

ჩლაიძე, ლ. (2001). თურქულ-ქართული ლექსიკონი. სტამბოლი.

ჯიქია, ს. (1964). იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თბილისი.

ჯიქია, ს. (1958). გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. წიგნი III. თბილისი.

ჯობაძე, ვ. (2007). ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში. თბილისი.

ჯოჯუა, თ. (2015). XV-XVIII საუკუნეების ხელნაწერი კრებულის (H-375) შემადგენლობაში გამოვლენილი XV საუკუნის ორი ხელნაწერი წიგნი - ტაოს უცნობი ერისთავის გიორგი კავკასიძის (1535/1536-1545 წწ.) ფეოდალური სახლის კუთვნილი მარხვანი (H-375ა) და უცნობი იმხნელი ეპისკოპოსის ჯერასიმეს დაკვეთით იმხანში გადაწერილი ზატკი (H-375ბ). მრავალთავი. თბილისი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

Georgian DNA Project - Y-DNA Classic Chart,
<https://www.familytreedna.com/public/Georgia?iframe=yresults>

Artvinli, T. (2013). Artvin Yer Adları Sözlüğü. İstanbul.

Artvinli, T. (2013). Yusufeli Külliyatı. Cilt 1. İstanbul.

Aydın, D. (1998). Erzurum Beylerbeyliği ve Teşkilatı, Kuruluş ve Genişleme Devri (1535-1566). Ankara.

Bayram, S. (2005). Lala Mustafa Paşa'nın Artvin'deki 1563 Tarihli Vakfiyesi. Karadeniz Araştırmaları. İstanbul.

Demirel, M. (2010). Yusufeli Tarihi. İstanbul.

İşte Size 150 Milyon Belge, <https://www.hurriyet.com.tr/dunya/iste-size-150-milyon-belge-39187686>

Kırzioğlu, M. F. (1998). Osmanlılar'ın Kafkas-Elleri'ni Fethi (1451-1590). Ankara.

Köylerimiz: 1 Mart 1968 durumu. (1968). Ankara. T.C. İçişleri Bakanlığı. İller İdaresi Genel Müdürlüğü.

Meydan Larousse. Büyük Lugat ve Ansiklopedi. Cilt 1. İstanbul. Sabah.

Öztuna, Y. (1994). Büyük Osmanlı Tarihi. İkinci Cild. İstanbul.

Yılmaz, N. (1995). Selman. Cami'ü'l-Cevahir (Yüksek Lisans Tezi). İstanbul. Marmara Üniversitesi. Türkiyat Araştırmaları Enstitüsü. Tarih Anabilim Dalı. Yeniçağ Bilim Dalı.

Kavkasidzes Fortress - search for a lost name and history

Summary

In the summer of 2023, the so-called "Kavkasidzes Fortress" sank in the newly built reservoir of Yusufeli.

Its historical name has been lost until now. While processing numerous Ottoman sources and documents, we could find the names of the fortress in two places:

I. Selman explains 1549 Ottoman conquests of the Tao region in details in his "Cami-ü'l-Cevahir". He lists the fortresses taken during the military campaign and regarding the place where the so-called "Kavkasidzes Fortress" is located he calls it Taktaki Fortress.

It is interesting that nowadays this fortress is called Tekkale. It seems that the speakers of the Turkish language have reconsidered the original toponym "Taktaki" in this way.

It is obvious that Taktaki Fortress is related to the Georgian noble family of Taktakishvilis. Ioane Batonishvili writes: "The noble family of Taktakishvilis, previously were Samtshe (Tao) noble men, and then their ancestor has become Muslim and was called Tak Aga."

So, Ioane Batonishvili directly informs us that they were Georgian feudals in the Ottoman service and they owned "Fortress of Tak", which is nothing but today's Tekkale.

II. In the Vakuf Charter of Lala Mustafa Pasha, dated 1563, the plots of land purchased in the region are mentioned. One of the gardens was bought in the Otkhta (Nowdays Tekkale) village and it was located under the fortress of Sihavbet.

In the Turkized name "Sihavbet" "Sih" (Tsikhe in Georgian) is the fortress. "Avbet" is nothing but "Avbedi" (fateless).

However, there is another version of reading the name. Professor Z. Shashikadze reads the name in the other copy of the document as "Tsitskhaveti."

We think that "Fortress Avbedi"/"Tsitskhaveti" is an older name, and Taktaki should probably be the name of the feudal who repaired it later.

ალექსანდრე თვარაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და
წყაროთმცოდნეობის განყოფილება

**მეფის იტინერარი და სახელმწიფოს მიმოსვლით მართვის საკითხი საქართველოს
სამეფოში (X საუკუნის 70-იანი წლების დასასრულიდან XI საუკუნის 80-იანი წლების
დასასრულამდე)**

წინამდებარე სტატიაში განიხილება X-XI საუკუნეების საქართველოს ოთხ მეფესთან, ბაგრატ III-სთან, გიორგი I-თან, ბაგრატ IV-სთან და გიორგი II-სთან დაკავშირებული იტინერარები, აგრეთვე სახელმწიფოს მიმოსვლით მართვის საკითხი.²⁸

ტერმინი „იტინერარი“ მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან *itinerarium*, რაც ნიშნავს „გზის მაჩვენებელს, გზის აღწერას, გზამკვლევს“, ხოლო აღნიშნული სიტყვის საფუძველია აგრეთვე ლათინური სიტყვა *iter* – „გზა, მსვლელობა, მოგზაურობა, მარში“. ზოგადად იტინერარების კვლევა გულისხმობს დოკუმენტური ან ნებისმიერი სხვა სახის წყაროს მასალების საფუძველზე პიროვნების ან პიროვნებათა ჯგუფის გადაადგილების შესწავლას, მის წარმოდგენას ტაბელარული და/ან კარტოგრაფიული სახით (Heit, 1999, სვ. 772-775). სტატიაში მმართველთა იტინერარების რეკონსტრუქციისთვის უმთავრესად გამოყენებულია საისტორიო თხზულებების – „მატიანე ქართლისაჲ“, სუმბატ დავითის-მის „ცხოვრებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთაჲ“, უცნობი ავტორის „ცხოვრებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი“ – მასალები. იტინერარების ზოგადი სურათის აღდგენისას გადაადგილების კონკრეტული ნიმუშებისთვის მოცემულია სურათი საწყისი გეოგრაფიული პუნქტიდან შესაბამის გეოგრაფიულ პუნქტამდე/პუნქტებამდე, როდესაც მიმოსვლას აერთიანებს, როგორც წესი, ერთი კონკრეტული შინაარსი და მიზანდასახულობა. იტინერარების სურათის უფრო დეტალური აღდგენისთვის აუცილებელია აგრეთვე ჰაგიოგრაფიული ტექსტების, საისტორიო თუ სამართლებრივი საბუთების და ეპიგრაფიკული მასალის მონაცემების გათვალისწინება.

ზოგადად, მეფეთა იტინერარები უკავშირდება სამხედრო მოქმედებებს, ეკლესიების თუ კათედრალების მშენებლობას, დინასტიური კავშირების დადებას, დარბაზობას და სხვა. იტინერარების მასალის სპეციალური ანალიზის საშუალებით შესაძლებელია დამატებით მონაცემების მიღება შუა საუკუნეების სახელმწიფოს მრავალი სფეროს შესახებ. იტინერარების ანალიზისთვის გამოყენებული საშუალებები ძირითადად ემყარება შუა საუკუნეების

²⁸ მოცემული სტატია არის გადამუშავებული, განვრცობილი ვერსია საქართველოს ეროვნული არქივის VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე, „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები და გამოწვევები“, დავით აღმაშენებელი 950, წარმოდგენილი მოხსენების „მეფის იტინერარი, მისი სტრუქტურა და მნიშვნელობა სახელმწიფოს მართვის, სამეფო რეზიდენციების, გზების და მგზავრობის საკითხებისთვის საისტორიო თხზულების ‘მატიანე ქართლისაჲ’-ს მიხედვით“.

კვლევებში დამკვიდრებულ მეთოდოლოგიას. იტინერარების სამეცნიერო კვლევა უმთავრესად XIX საუკუნიდან იწყება.

იტინერარების კვლევის ერთ-ერთი მთავარი სფეროა შუა საუკუნეების მმართველების მიერ სახელმწიფოს მიმოსვლით, მოგზაურობის საშუალებით მართვის წესი, რასაც უკავშირდება სამეფო სასახლის (რეზიდენციის), დედაქალაქის, მეფის მიღების, გამასპინძლების საკითხები და სხვა. მეფის მიერ სახელმწიფოს მიმოსვლით განმგებლობა შუა საუკუნეებში დამკვიდრებული ჩვეულება გახლდათ (Itinerant Kingship, Reisekönigtum). ზოგადად მიმოსვლის საშუალებით მართვა (როგორც მეფეების, ასევე დიდებულების, სასულიერო პირების) არის ევროპული შუა საუკუნეების მმართველობისთვის დამახასიათებელი ნიშანი (Peyer, 1964: 1). მიმოსვლით მართვას ჩვეულებრივად აგრეთვე ვხვდებით ევროპის გარეთ, ქვეყნიერების სხვადასხვა კუთხეში და სხვადასხვა პერიოდში. მიმოსვლით მართვა არის მმართველობის გარკვეული ფორმა, რომელიც დამახასიათებელია სოციალური განვითარების შესაბამის ნატურალურ-ეკონომიკურ საფეხურზე მყოფი საზოგადოებებისთვის (Peyer, 1964: 20).

აქვე, მაგალითის სახით, მოკლედ გამოვყოფ ორ საკითხს, რაც მნიშვნელოვანია მმართველების იტინერარებთან, სახელმწიფოს მიმოსვლით მართვასთან დაკავშირებით. პირველი ეს არის დედაქალაქის და მიმოსვლით მართვის ურთიერთმიმართების პრობლემა. მაგ., პარიზი შუა საუკუნეებშივე ჩამოყალიბდა საფრანგეთის სამეფოს სტაბილურ ცენტრად, დედაქალაქად (Peyer, 1964: 5-6; Fössel, 2009: 47). ინგლისის სამეფოში ლონდონი აგრეთვე თავიდანვე ვითარდება, როგორც სამეფოს დედაქალაქი (Peyer, 1964: 9-11; Fössel, 2009: 47). თუმცა მიმოსვლით მართვის ფორმა, დედაქალაქის არსებობასთან ერთად, თავიდანვე დამკვიდრებული გახლდათ როგორც საფრანგეთის, ასევე ინგლისის სამეფოში. გერმანიის იმპერიის თავისებურება გახლდათ, რომ შუა საუკუნეებში სახელმწიფოს მართვას ჰქონდა პოლიცენტრული სახე, გერმანიის სახელმწიფოს არ ჰქონდა უცვლელი დედაქალაქი (იხ. მაგ.: Berges, 1952: 1-29; Brühl, 1963: 45-70; Fössel, 2009: 47-59). შესაბამისად, უფრო მეტი მნიშვნელობის გახლდათ სახელმწიფოს მიმოსვლით მართვის ფორმა.²⁹ მეორე საკითხი უკავშირდება საბაზისო რეგიონებს. იმ მოცემულობების მიხედვით, თუ რომელ მხარეში ატარებდა მეფე დროის უმთავრეს ნაწილს, გამოიყოფა სამეფოს ძირითადი, საბაზისო რეგიონები, სადაც მეფე უაღრესად ხშირად იმყოფებოდა, ასევე – დაშორებული მხარეები, რომელთაც მმართველი შედარებით იშვიათად ან არ სტუმრობდა. საბაზისო რეგიონები, როგორც ერთგვარი დასაყრდენი, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ფლობდნენ ცენტრალური ხელისუფლებისთვის (Bernhardt, 2002: 62, 65).

²⁹ მიმოსვლით მართვის სპეციფიკურ ფორმას ფრანკების სამეფოში, შუა საუკუნეების გერმანიის იმპერიაში, ქმნიდა „უმრიტის“ (Umritt) წესი, რომელიც უშუალოდ უკავშირდებოდა მეფის ტახტზე ასვლას (თუმცა მსგავს წესს განსხვავებული ფორმებით ვხვდებით აგრეთვე სხვადასხვა კულტურაში, სხვადასხვა ეპოქაში). „უმრიტი“ წარმოადგენდა ერთგვარ ნაწილს მეფის ტახტზე ასვლის ცერემონიაში, მეფე თავის სახელმწიფოს, ძირითად მხარეებში გავლის საშუალებით, ერთგვარად წრეს არტყამდა, ჩერდებოდა მნიშვნელოვან სასახლეებში, ქალაქებში, მონასტრებში (Schmidt, 1999, სვ. 1210-1211; Schmidt, 1981: 97-233).

ქართულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია უშუალოდ მეფის იტინერარები, ან ზოგადად იტინერარები სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა. ქართულენოვან სამეცნიერო ნაშრომებში სათანადო კვლევებს ვხვდებით სამეფოს მიმოსვლით მართვასთან დაკავშირებით. მეფის მიერ სახელმწიფოს მიმოსვლით მართვის შესახებ, როდესაც მართვა ხორციელდებოდა ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლის საშუალებით, შესაბამისი მასალა მოცემულია ი. ჯავახიშვილის ნაშრომში „ქართული სამართლის ისტორია“ (ჯავახიშვილი, 1929: 115-116, 234-236). სამეფოს მიმოსვლით მართვის საკითხს ეხება ქ. რაჭველიშვილი საქართველოს ფეოდალიზმის ისტორიასთან დაკავშირებულ მონოგრაფიაში (რაჭველიშვილი, 1926/1927: 58). სამეფოს მიმოსვლით მართვის საკითხებისთვის სათანადო მნიშვნელობას ფლობენ აგრეთვე ბ. ლომინაძის და მ. ლორთქიფანიძის გამოკვლევები. ბ. ლომინაძე თავიდან ეხება უმთავრესად გვიანფეოდალურ პერიოდში დიდი მთავრების, ფეოდალების სასახლეების საკითხს, როდესაც მმართველების განკარგულებაში იყო მრავალი, სხვადასხვა დანიშნულების სასახლე, რომელთაც შესაბამისი ფუნქცია ჰქონდათ მათი სამფლობელოების კონტროლისთვის და რომლებშიც ისინი იმყოფებოდნენ შესაბამის პერიოდებში. გამოკვლევის უმთავრესი ნაწილი ეთმობა ბიჭვინთის საკათალიკოსო სენიორიის საკითხს, როდესაც სხვადასხვა ადგილას მდებარე სასახლეები აგრეთვე აუცილებელი გახლდათ საკათალიკოსო მამულის გამგებლობისთვის (ლომინაძე, 1954: 101-114). მ. ლორთქიფანიძე თავის ნაშრომში განიხილავს ბატონის გამასპინძლების საკითხს, რაც უკვე ადრეფეოდალური ხანისთვის არის დადასტურებული. გლეხის აღნიშნული მოვალეობის განვითარებული ფორმა უნდა ყოფილიყო ე. წ. „შედგომა“, „დგომა“ ან „შიგ დგომა“, რაც დამახასიათებელი იყო როგორც საერო, ასევე სასულიერო სფეროსთვის (ინფორმაცია აღნიშნულ წესთან დაკავშირებით მოცემულია ერწო-თიანეთის სარგოს გარიგების წიგნში, ასევე გიორგი III-ის სიგელში) (ლორთქიფანიძე, 1967: 59-60).

ქვეყნის მიმოსვლით მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს (მეფის მიერ ადგილზე მართვა, სამეფო მეურნეობა, სამეფო სასახლეები, უმთავრესად XII-XIV საუკუნეების მასალებთან დაკავშირებით) განიხილავს ნ. ბერძენიშვილი (ბერძენიშვილი, 1974: 53, 113, 114, 116, 1975: 344-345). სამეფო კარის მობილურობის, მისი მუდმივი გადაადგილების საკითხებს დეტალურად ეხებიან თავიანთ ნაშრომებში ქ. ჩხატარაიშვილი და ილ. ანთელავა. ქ. ჩხატარაიშვილის გამოკვლევის შესაბამის ნაწილში საუბარია აღნიშნული მოვლენის მიზეზების შესახებ, სამეფო რეზიდენციებზე დედაქალაქის გარეთ, მმართველების ყოფნის შესახებ სხვადასხვა სასახლეში, მოხმობილია შედარებითი მასალა დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის ისტორიიდან შესაბამის საკითხებთან დაკავშირებით (ჩხატარაიშვილი, 1979: 53-61). ილ. ანთელავა რამდენიმე მონოგრაფიაში ეხება სამეფოს მიმოსვლით მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს. მკვლევარი საუბრობს იმ ნატურალურ ხარჯზე, რომელიც ეკისრებოდა ადგილობრივ მოსახლეობას, აგრეთვე ეხება „ჩადგომის“, „შედგომის“, „შიგ დგომის“ ინსტიტუტს, მეფის და მისი ამაღლის მოგზაურობასთან დაკავშირებით (ანთელავა, 1980: 128, 1991: 12). მეფე ქვეყანას მართავდა სხვადასხვა რეგიონში მიმოსვლის სახით, მეფესთან ერთად გადაადგილდებოდნენ ცენტრალური მმართველობის უწყებები, სასახლე და სასახლის აპარატი იყო მოძრავი (ანთელავა, 1983: 11, 14, 16, 45-48, 1991: 14-15, 17). მეფე

ფლობდა მრავალ სასახლეს, ის თავისი კარით, სეზონის მიხედვით, გადადიოდა ერთი სასახლიდან მეორეში (ანთელავა, 1983: 13-14). მეფის შენახვა ეკისრებოდა იმ სასახლის მეურნეობას, სადაც იმყოფებოდა მეფე (ანთელავა, 1983: 210). მკვლევარი ეხება აგრეთვე სამეფო კორტეჟის მსვლელობის საკითხს (ანთელავა, 1983: 11, 1991: 14-15, 33).

იტინერარებისთვის X საუკუნის 70-იანი წლების დასასრულიდან XI საუკუნის ბოლო ნაწილამდე, როდესაც დედაქალაქი არის ქუთაისში, დამახასიათებელია: მეფეთა მარშრუტები უმთავრესად თავსდება დასავლეთ-აღმოსავლეთის და დასავლეთ-სამხრეთის ღერძზე. აღნიშნული პერიოდის მეფეთა იტინერარებისთვის აგრეთვე საერთოა ის გარემოება, რომ ისინი ხშირად ფარავს ერთზე მეტი პოლიტიკური ერთეულის ტერიტორიას საქართველოს ფარგლებში. საისტორიო თხზულებებში მოცემული იტინერარების რაოდენობა პირობითია. ცალკეულ იტინერარებთან დაკავშირებით შესაძლებელია მსჯელობა, შეიცავს ისინი გადაადგილების ერთ, თუ მეტ ნიმუშს. ამასთანავე, საფიქრებელია, რომ ადგილი უნდა ჰქონოდა მეფეთა კიდევ უფრო ინტენსიურ გადაადგილებას (განსაკუთრებით მიმოსვლით მართვასთან დაკავშირებით), რის შესახებაც საისტორიო თხზულებებმა შესაბამისი ცნობები არ შემოგვინახეს. ნიშანდობლივია, რომ თხზულებებში, როგორც წესი, უფრო ზუსტად არის აღნიშნული ის გეოგრაფიული პუნქტები, სადაც მეფე მიემართებოდა. თხზულებების ავტორების ყურადღება მიმართული გახლდათ მეფეთა მოქმედებებზე, მიზანდასახულობებზე. საისტორიო ტექსტებმა არ შემოგვინახეს მეფეთა გადაადგილების დეტალური, ზუსტი მარშრუტები. ამ მიზეზით მოცემული იტინერარების მასალის საფუძველზე დასკვნების გაკეთება შესაბამის საკითხებზე რთულია, თუმცა, საფიქრებელია, რომ იტინერარებთან დაკავშირებული სურათი მეტად თუ ნაკლებად ზოგადი ვითარების შესატყვისი უნდა იყოს. ცალკეული იტინერარები ვრცელდება დროის შედარებით მცირე მონაკვეთზე, ხოლო სხვა იტინერარები – წლებზეც კი. მმართველთა იტინერარები ფარავს უმთავრესად მათი საკუთარი ქვეყნის ტერიტორიას. საკუთარი სამეფოს დატოვების მაგალითები იშვიათია და ისინი უკავშირდება საომარ ან სხვა სახის განსაკუთრებულ ღონისძიებებს.

შეჯამების სახით წარმოვადგენ შესაბამის მმართველებთან დაკავშირებულ იტინერარებს. იტინერარებში მოცემული მონაცემები უკავშირდებათ მხოლოდ კონკრეტულ მეფეებს. კუთხოვან ფრჩხილებში გატანილია სავარაუდო დაზუსტებები, როდესაც თხზულებაში პირდაპირ არ არის დასახელებული შესაბამისი გეოგრაფიული პუნქტი, თუ რეგიონი, ასევე განმარტებულია მნიშვნელობები ცალკეული გეოგრაფიული პუნქტების ან ისტორიული მოვლენების შესახებ.

ბაგრატ III-ის იტინერარები. 1. ქართლში ბაგრატ (III-ის) მეფედ დადგენა: [ტაო-კლარჯეთი] – ქვახვრელი – უფლისციხე („მატიანე ქართლისაჲ“ (2008). *ქართლის ცხოვრება*. გვ. 267-268); 2. მცირეწლოვანი ბაგრატის, მისი მშობლების, გურგენის და გურანდუხტ დედოფალის დატყვევება ქართლის აზნაურების მოწოდების შემდეგ კახეთიდან მოსული ლაშქარის მიერ, დავით კურაპალატის გამოლაშქრების შემდეგ მათი განთავისუფლება: უფლისციხე – კახეთი – უფლისციხე („მატიანე ქართლისაჲ“ (2008). *ქართლის ცხოვრება*. გვ. 268); 3. იოანე მარუშის ძის ინიციატივით ბაგრატის მეფედ კურთხევა აფხაზეთში: [ქართლი, ან

ტაო-კლარჯეთი] – აფხაზეთი [დასავლეთ საქართველო, სავარაუდოდ ქუთაისი] („მატიანე ქართლისაჲ“ (2008). *ქართლის ცხოვრება*. გვ. 268-269); 4. ბაგრატ III-ის გადმოსვლა ქართლში, „რათა განაგნეს საქმენი დაშლილნი ქართლისანი“: [დასავლეთ საქართველო, სავარაუდოდ ქუთაისი] – თიღვა – „თავსა ზედა მოღრისასა“ ბრძოლა ქართლის აზნაურებთან, რომელთაც არ სურდათ ბაგრატ III-ის გადმოსვლა დასავლეთ საქართველოდან, „რამეთუ თითოეულად განაგებდეს საქმეთა ქართლისათა“, თუმცა მორჩილებდნენ დედოფალ გურანდუხტს – უფლისციხე [ციხე-ქალაქის მიღება გურანდუხტ დედოფლისაგან] – უფლისციხეში მცირე ხნით ყოფნა, „დაყვნა დღენი რაოდენნიმე და განაგნა მცირედ საქმენი ქართლისანი“ – აფხაზეთი [დასავლეთ საქართველო] („მატიანე ქართლისაჲ“ (2008). *ქართლის ცხოვრება*. გვ. 269); 5. ლაშქრობა კლდეკარის ერისთავის, რატი ბაღვაშის, დამორჩილებისთვის, კონფლიქტი დავით კურაპალატთან: [დასავლეთ საქართველო] – ქართლი – თრიალეთი, კარუშეთი – [ბაგრატ III-ის მარტო წასვლა დავით კურაპალატთან, რომ დაარწმუნოს ის საკუთარ უდანაშაულობაში. დავით კურაპალატი გაჩერებული გახლდათ დლივში] – აფხაზეთი [დასავლეთ საქართველო] („მატიანე ქართლისაჲ“ (2008). *ქართლის ცხოვრება*. გვ. 269-270);

6. ბაგრატ III-ის ხელმეორედ ლაშქრობა რატი ბაღვაშის დამორჩილებისთვის, ზამთრის დროს: [დასავლეთ საქართველო] – კლდეკარი – [დასავლეთ საქართველო] („მატიანე ქართლისაჲ“ (2008). *ქართლის ცხოვრება*. გვ. 270-271); 7. [დასავლეთ საქართველო] – ქართლი – დლივი, სადაც ბაგრატი „განაგებდა საქმეთა ტაოვსა და ქართლისათა“ – [გალაშქრება კახეთის მიმართულებით, ლაშქრობისთვის ბაგრატმა იხმო აგრეთვე აფხაზეთის/დასავლეთ საქართველოს და ქართლის ლაშქარი] – თრიალეთი – მცხეთის ხიდი [აქ შეუერთდა მას აფხაზეთის და ქართლის ლაშქარი] – თიანეთი – კახეთი [სამხედრო მოქმედებები] – ჰერეთი [ქვეყანის დაკავება] – დასავლეთ საქართველო („მატიანე ქართლისაჲ“ (2008). *ქართლის ცხოვრება*. გვ. 2008: 271); 8. ბაგრატის ხელმეორე ლაშქრობა კახეთსა და ჰერეთში: [დასავლეთ საქართველო] – ჰერეთი [დინარ დედოფალის დატყვევება, ქვეყნის დაკავება] – კახეთი [ორი წლის განმავლობაში კახეთის ყველა ციხის დაკავება] – ბოჭორმა [კვირიკე მეფის ალყა ერთი წლის განმავლობაში და ციხესიმაგრის დაკავება] – [დასავლეთ საქართველო] („მატიანე ქართლისაჲ“ (2008). *ქართლის ცხოვრება*. გვ. 271-272);

9. ლაშქრობა ფადლონის, განძის ამირას წინააღმდეგ: [დასავლეთ საქართველო] – მორაკერტი [სადაც ბაგრატი შეხვდა ანისის მეფეს, გაგიკ I-ს, რომელიც გახლდათ ბაგრატის მოკავშირე აღნიშნული სამხედრო ექსპედიციის დროს] – შამქორი – დასავლეთ საქართველო („მატიანე ქართლისაჲ“ (2008). *ქართლის ცხოვრება*. გვ. 272-273); 10. ბაგრატ III-ის მიერ ბედიის საყდარის აშენება და შემკობა, მისი კურთხევა საეპისკოპოსო საყდრად და ეპისკოპოსის დადგენა („მატიანე ქართლისაჲ“ (2008). *ქართლის ცხოვრება*. გვ. 2008: 273) [აღნიშნულ შემთხვევაში არ არის მოცემული იტინერარის/იტინერარების შესახებ პირდაპირი ინფორმაცია, მაგრამ, საფიქრებელია, რომ ადგილი უნდა ჰქონოდა, განსაკუთრებით ქუთაისს და ბედიას შორის, მეფის ინტენსიურ მიმოსვლას]; 11. ბაგრატ III-ის მიერ ქუთაისის ეკლესიის [ბაგრატის ტაძარის] კურთხევა, მოწვევა ხელმწიფეთა და კათალიკოსთა, მღვდელთმოდვრების, მონასტრების წინამძღვრების, თავისი სამეფოს და სხვა სახელმწიფოების დიდებულების („მატიანე ქართლისაჲ“ (2008). *ქართლის ცხოვრება*. გვ. 2008:

273) [მოცემულ შემთხვევაშიც არ არის მოტანილი პირდაპირი ცნობები მეფის იტინერარის/იტინერარების შესახებ, მაგრამ აგრეთვე უნდა ვივარაუდოთ მეფის ინტენსიური მიმოსვლა დედაქალაქის და მისი შემოგარენის ფარგლებში, შესაბამის ღონისძიებებთან დაკავშირებით].

12. ბაგრატ III-ის და გურგენ მეფეთ-მეფის მისვლა ბასილი კეისარის წინაშე: [დასავლეთ საქართველო] – დავით კურაპალატის მამული [ტაო-კლარჯეთი] (*სუმბატ*, 2008: 369-370); 13. ბაგრატ III-ის მიერ კლარჯი ხელმწიფეების, სუმბატის და გურგენის, მოწვევა დარბაზობისთვის, ფანასკერტის ციხეში და მათი შეპყრობა (*სუმბატ*, 2008: 370) [ბაგრატის ფანასკერტის ციხეში მოსვლამდე ადგილი უნდა ჰქონოდა შესაბამის მიმოსვლას, გადაადგილებას, თუმცა კონკრეტული მონაცემები მეფის იტინერარის შესახებ თხზულებაში მოტანილი არ არის]; 14. კლარჯი ხელმწიფეების დატყვევების ცნობის შემდეგ თხზულებაში აღნიშნულია, „ამისა შემდგომად მოვლო ბაგრატ ყოველი სამეფოდ თჳსი: აფხაზეთი, ჰერეთი და კახეთი, მოვიდა და დაიზამთრა ჳევთა ტაოძსათა. და მო-რაჲ-იწია ზაფხული, მოვიდა მასვე ციხესა ფანასკერტისასა წელსა მესამესა“, სადაც ბაგრატ მეფე გარდაიცვალა (*სუმბატ*, 2008: 370).

გიორგი I-ის იტინერარები. 1. ბასილი კეისარის პირველი ლაშქრობა: [დასავლეთ საქართველო] – ბასიანი [გიორგი მეფის უკანდახევა თავისი სამხედრო ძალით] – ოლთისი – კოლა – ბრძოლა შირიმნთან – [ბიზანტიელთა ლაშქარი არტანში] – თრიალეთი [თრიალეთში გიორგი I-მა შეიერთა კახეთის და ჰერეთის სამხედრო ძალა, თუმცა მეფეს ბასილი კეისართან ხელმეორედ შებმა დაუშალეს] (*მატიანე*, 2008: 274-275);³⁰ 2. ბასილი კეისარის მეორე ლაშქრობა: [თრიალეთი, ან დასავლეთ საქართველო] – ბასიანი, გიორგი I-ის სამხედრო ძალა მიუახლოვდა ადგილს, „რომელსა უწოდიან სჳნდაქსად“, სადაც დაბანაკებული იყო ბასილი კეისარი (*მატიანე*, 2008: 276-278); 3. გიორგი I გარდაიცვალა „ქუეყანასა თრიალეთისასა, ადგილსა, რომელსა ეწოდების მყინვარნი გინა იწრონი“ (*მატიანე*, 2008: 278) [მონაცემები, თუ საიდან მოვიდა გიორგი I თრიალეთში, ასევე იტინერარის მიზანდასახულობის შესახებ, თხზულებაში მოტანილი არ არის].

ბაგრატ IV-ის იტინერარები. 1. გიორგი I-ის მიერ მცირეწლოვანი ბაგრატის მძევლად გადაცემა ბასილი კეისარისთვის: [სავარაუდოდ ქუთაისი] – [სავარაუდოდ ბასიანი] – კონსტანტინეპოლი – ბაგრატის მამულის საზღვრები [სადამდეც ბაგრატი მოაცილა ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთის კატაბანმა და სადაც უფლისწულს დახვდა მისი ქვეშევრდომების დიდი სიმრავლე, დიდებულები, ერისთავები, აზნაურები] – ბაგრატის ჩამოსვლა თავის მშობლებთან, „სახლად მათდა ქუთათისს“ (*მატიანე*, 2008: 276-278);³¹ 2. ბაგრატ IV-ის მიერ კურაპალატობის პატივის მიღება და ელენე დედოფალზე ქორწინება, დედოფალ მარიამის

³⁰ სუმბატ დავითის-ძის მონათხრობში, გიორგი I-ის თრიალეთში ყოფნის ცნობის მოწოდებამდე თხზულების ავტორი აღნიშნავს, რომ გიორგი I ნიალიდან წავიდა სამცხეში (*სუმბატ*, 2008: 371).

³¹ სუმბატ დავითის ძის ცნობა უმთავრესად იდენტურია „მატიანე ქართლისაჲ“-ს ცნობის, თუმცა სუმბატის თხზულებაში აღნიშნულია: „მოიწია ბაგრატ ტაოს და შემოვიდა თჳსსა მამულსა ბანას თანამოყოლითა მისად კატაბანისა აღმოსავლისათა ზღვრადმდე ბაგრატის მამულისა“. შემდეგ ბაგრატი მოვიდა „ქალაქსა მათსა [გიორგი მეფის და დედოფალი მარიამის] ქუთათისს“ (*სუმბატ*, 2008: 373).

კონსტანტინეპოლში მოგზაურობის შემდეგ: ბაგრატის მამული, ტაოს ქვეყანა, ბანა [სადაც ბაგრატმა მარიამ დედოფლის მეშვეობით მიიღო კურაპალატობის პატივი და სადაც გაიმართა ქორწილი და გვირგვინის კურთხევა] (*მატიანე*, 2008: 279-280);³² 3. ლიპარიტ ბაღვაშის მოწოდებით ბაგრატ IV-ის ლაშქრობა თბილისის აღებისთვის: [სავარაუდოდ დასავლეთ საქართველო] – თბილისი, „მოადგეს ტფილისსა მტკუარსა ამიერით, ზემოდთ და ქუემოდთ“ [თბილისის ალყა გაგრძელდა ორი წლის განმავლობაში და დასრულდა ამირასთან ზავით] (*მატიანე*, 2008: 281-282);³³ 4. ბაგრატის ლაშქრობა კახეთში: მიქელ-გაბრიელის მთა [„შეება და შეუჭდა მთასა ზედა მიქელ-გაბრიელთასა“] – თიანეთი – ბოდოჯის ციხე-დარბაზი [„გარდადგა თიანეთს და დაწუა დარბაზი ბოდოჯისაჲ, სახლი სახელოვანი, დიდისა კვრიკე მეფისა აგებული“] – [სავარაუდოდ დასავლეთ საქართველო] (*მატიანე*, 2008: 282); 5. ბაგრატის მეორე ლაშქრობა თბილისის დასაკავებლად: აფხაზეთი, ანაკოფია [ტფილელი ბერების მოსვლა ქალაქის გადაცემის წინადადებით] – ქუთაისი [სამოქალაქოს ლაშქარის შეკრება] – „გურიელნი აზნაურნი და ლომსიანნი მოიყვანნა ხუფათსა, დაუდგნეს ფილაკავანნი და ჰბრძოდეს“ – ქართლი [სხვა მხმობელი ტფილელი ბერების მოსვლა] – დიდმის ველი, „მოეგებნეს ქალაქის ბერნი, დარბაზის ყმანი, ცხენოსანნი [...] ყოველი ერი ქუეითი დაკაზმული [...], და დედათა და მამათა სიმრავლე იყო მოედანს. და იყო ჳმად ბუკთა და დუმბულთაჲ ორკერძოვე საშინელი“ – თბილისი, ბაგრატ „შეიყვანეს და მოავლეს ქალაქი, ასხმიდეს დრამასა და დრაჰკანსა, და მოართუნეს კლიტენი ქალაქისანი და შეიყვანეს საამიროსა დარბაზსა. დაჯდა მეფე ბაგრატ საურავად“ – [ბრძოლა ისნის ციხისთვის, რომლის აღება ვერ მოხერხდა] – ისნის ველი [კახეთის მეფე გაგიკის, მისი დიდებულების დარბაზობა ბაგრატ მეფის წინაშე, ბაგრატ მეფემ „მოიყვანნა კახნი და ითაყვანნა“] (*მატიანე*, 2008: 283-284);³⁴

³² არ ვიცი, ბაგრატმა ბანაში უშუალოდ მარიამ დედოფლის უკან დაბრუნების დროს ჩამოვიდა, თუ მარიამ დედოფალი უკვე მისი გამგზავრების დროს გამოაცილა მეფემ ბანამდე. იტინერარის დასასრულ პუნქტად შეიძლება ვივარაუდოთ ქუთაისი, რადგან იქვე აღნიშნულია, რომ ქორწილის შემდეგ მალევე ელენე დედოფალი გარდაიცვალა ქუთაისში.

³³ თბილისის ალყის შემდეგ ბაგრატის კახეთზე ლაშქრობა გამოყოფილი გვაქვს, როგორც ცალკე იტინერარი. თუმცა მეფემ შესაძლოა კახეთში ილაშქრა უშუალოდ თბილისიდან, ამირასთან ზავის დადების შემდეგ.

³⁴ გარკვეული კითხვები ჩნდება იტინერარის მარშრუტთან დაკავშირებით. ბაგრატმა ტფილელი ბერების მოსვლის შემდეგ ალყა მოხსნა ანაკოფიას და გამოემართა თბილისის დასაკავებლად, რისთვისაც ქუთაისში შეკრიბა სამოქალაქოს ლაშქარი. მაგრამ ამ დროს სწრაფად თბილისისკენ წამოსვლის ნაცვლად ბაგრატი გაემართა საპირისპირო მიმართულებით და დამატებითი სამხედრო ძალა მიიყვანა ხუფათის ალყისთვის. ბაგრატს რომ გარკვეულწილად დააგვიანდა თბილისში ჩამოსვლა (და რომ ნამდვილად ადგილი უნდა ჰქონოდა ხუფათში სამხედრო ძალის მიყვანას უშუალოდ მეფის მიერ), ჩანს შემდეგი გარემოებიდან: ხუფათიდან დაბრუნების შემდეგ ქართლში გადმოსულ ბაგრატ IV-სთან მოვიდნენ სხვა მხმობელი ტფილელი ბერები. როგორც ჩანს, ბაგრატმა ერთის მხრივ აუცილებლად მიიჩნია ანაკოფიისთვის ალყის მოხსნა და თბილისისკენ წამოსვლა, მეორეს მხრივ, მეფე, სავარაუდოდ, ლიპარიტ ბაღვაშთან კონფრონტაციის პირობებში, ელოდა გარკვეულ სირთულეებს თბილისის დაკავებასთან დაკავშირებით. მეფეს აგრეთვე ექნებოდა ინფორმაცია თბილისში არსებული არაერთგვაროვანი ვითარების შესახებ: რადგან ტფილელი ბერები ბაგრატს სთავაზობდნენ ქალაქის გადაცემას, ისანში კი ბაგრატს შეხვდა მძაფრი წინააღმდეგობა, რომლის საბოლოოდ დამლევა მან ვერ შეძლო. ბაგრატმა გამოემართა ქვეყნის შორ ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე ქალაქიდან,

6. ბაგრატი მეფის მიერ თბილისის დატოვება (ლიპარიტ ბაღვაშთან კონფრონტაციის მიზეზით): თბილისი – ჯავახეთი – ღრტილა – შავშეთი [თუ შარვაშეთის მთები, თორისა და ჯავახეთის საზღვარზე? (ბერძენიშვილი, 1966: 100) – ქართლი [„ზამთრისა ბუქთა საშინელთა გარდაიარა შავშეთი და ჩავიდა ქართლს“] – სასირეთი [სადაც გაიმართა ბრძოლა „თავსა სასირეთისა ჭალისასა“] (მატიანე, 2008: 284-285); 7. ბაგრატის მისვლა ლიპარიტთან ცხენოსნების მცირე რაოდენობით, რომ თავიდან იქნეს აცილებული შემდგომი კონფრონტაცია: ხოვლე (მატიანე, 2008: 285);³⁵ 8. სულა კალმახის ერისთავის, გრიგოლ არტანუჯის ერისთავის და სხვა მესხი აზნაურების მიერ ბაგრატის მოწვევა ლიპარიტზე ლაშქრობისთვის: [დასავლეთ საქართველო] – რკინისჯვარის გზა – არყისციხე [ბრძოლა არყისციხესთან] – [სავარაუდოდ დაბრუნება დასავლეთ საქართველოში] (მატიანე, 2008: 285-286); 9. ლიპარიტის სელჩუკებთან ტყვედ ჩავარდნის შემდეგ, ლიპარიტის შვილების, ივანეს და ნიანის, სამეფოს დიდებულების მიერ, ბაგრატის გამოყვანა და მისი სრულუფლებიანი სამეფო ხელისუფლების აღდგენა: [სავარაუდოდ დასავლეთ საქართველო] – უფლისციხე (მატიანე, 2008: 286); 10. ბიზანტიის იმპერიის სამხედრო ძალასთან ერთად ლაშქრობა სელჩუკების წინააღმდეგ: [სავარაუდოდ დასავლეთ საქართველო] – განძა [„მივიდეს განძის კარსა“] (მატიანე, 2008: 286);

11. ტფილელი ბერების მიერ ბაგრატის ხმობა და თბილისის გადაცემა: [სავარაუდოდ დასავლეთ საქართველო] – თბილისი (მატიანე, 2008: 286); 12. ლიპარიტის ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ ბაგრატის მიერ თბილისის დატოვება: თბილისი – ჯავახეთი [მას შემდეგ, რაც ბაგრატმა „აღმოვლო ქართლი“] (მატიანე, 2008: 286); 13. ბაგრატის წასვლა კონსტანტინეპოლში: ქუთაისი – საბერძნეთი [კონსტანტინეპოლი] (მატიანე, 2008: 286-287); 14. ბაგრატის დაბრუნება ბიზანტიის იმპერიიდან გუარანდუხტ დედოფალის მიერ კეისარისთვის გაგზავნილი თხოვნის შემდეგ: [სავარაუდოდ კონსტანტინეპოლი] – ხუფათი [„მიეგება ყოველი ლაშქარი აფხაზეთისა ზღვს პირსა, ხუფათს“] – ქუთაისი [„შემოვიდა სახლად თვსად ქუთათისს“] (მატიანე, 2008: 287); 15. სულა, კალმახის ერისთავის და მესხი დიდებულების მიერ დლივში ლიპარიტის შეპყრობა, ბაგრატთან მალემსრობლების გაგზავნა: [სავარაუდოდ დასავლეთ საქართველო, ქუთაისი] – ახალქალაქი [სადაც დიდებულებმა შეიყვანეს გუარანდუხტი და გიორგი, ბაგრატის ძე, რომლებიც მანამდე „დგეს ღრტილას“, ახალქალაქში, ჯავახეთში, სულას მოსვლა მეფის წინაშე, შეპყრობილი ლიპარიტის მოგვრა – [როდესაც ლიპარიტი მიიყვანეს თრიალეთში, კლდეკარში, წყაროდან არ ჩანს, იმყოფებოდა თუ არა უშუალოდ ბაგრატ მეფეც კლდეკართან] (მატიანე, 2008: 287-288); 16. ლიპარიტის დამარცხების

რომელიც ბიზანტიის ხელში იყო (თუმცა დატოვა იქ შესაბამისი სამხედრო ძალა ქალაქის ალყისთვის). იმავე დროს სამხედრო ძალა მიიყვანა ქვეყნის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარე ქალაქთან, რომელიც აგრეთვე ბიზანტიელთა ხელში გახლდათ. ამგვარად მეფემ ორი სიმბოლური ნიშანსვეტი ჩააგდო ქვეყნის დასავლეთი მხარის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებში. თვითონ გამოემართა თბილისისკენ, სადაც სირთულეებს ელოდა ლიპარიტ ბაღვაშის მხრიდან, რომელსაც სწორედ ბიზანტიელები უჭერდნენ მხარს.

³⁵ აღნიშნულ შემთხვევაშიც არ ვიცით იტინერარის საწყისი პუნქტი. შემდეგ მოტანილი ინფორმაციიდან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბაგრატი ხოვლედან გადავიდა დასავლეთ საქართველოში.

შემდეგ ბაგრატის მიერ კახეთის და ჰერეთის ციხესიმაგრეთა დიდი უმრავლესობის დაკავება: [ახალქალაქი, კლდეკარი, ან დასავლეთ საქართველო, თუ ბაგრატი დაბრუნდა ქუთაისში კლდეკარის აღების შემდეგ] – ჰერეთი, კახეთი (*მატიანე*, 2008: 289);

17. სულთან ალფ-არსლანის პირველი ლაშქრობის დროს სელჩუკების სამხედრო შენაერთი მოულოდნელად შეხვდა ბაგრატ IV-ის სამეფო კორტეჟს, როდესაც მეფე თავის ოჯახის წევრებთან, თანმხლებლებთან ერთად მოემართებოდა ტაოდან: ტაო [ბაგრატს თან ახლდნენ „დედა და და და ძე მისი გიორგი“] – ხეკრებული [„დადგრომილ იყვნეს ხეკრებულთა. და აყრისა ჟამსა მოუჭდა ლაშქარი სულტანისაჲ; მოვიდეს და წარმოადგეს ქედსა ზედა“] – ქართლი [„ხოლო იგინი ჩამოესწრნეს ქართლს“] (*მატიანე*, 2008: 289); 18. სულთან ალფ-არსლანის მიერ ბაგრატისთვის მისი დისწულის ხელის თხოვნა (რომელიც იმავე დროს გახლდათ ძმისწული სომეხთა მეფის, კვირიკისი). როდესაც ბაგრატმა ვერ შეძლო კვირიკე მეფის თანხმობის მიღება აღნიშნულ დინასტიურ კავშირზე, მიიმხრო სომეხთა მეფის დიდებულები და „სამშვლდეს შემომავალი“ მეფე კვირიკე შეიპყრეს. როდესაც ბაგრატმა ცნობა მიიღო, სწრაფად გაემართა სამხრეთით: ქვახვრელი – კლდეკარი [„მოგუარნეს პყრობილნი კლდეკართა ქუეშე“] – [მეფე კვირიკე ბაგრატს დაუთმობს სამშვილდეს. ცნობიდან არ ჩანს, იმყოფებოდა თუ არა ბაგრატი უშუალოდ სამშვილდესთან] (*მატიანე*, 2008: 289-290); 19. ალფ-არსლანის მეორედ ლაშქრობა სამი წლის შემდეგ, როდესაც ბაგრატი გალაშქრებული იყო კახეთში: კახეთი – ქართლი [სადაც ბაგრატი სწრაფად დაბრუნდა, როდესაც მიიღო სულთანის ლაშქრობის ამბავი] – აფხაზეთი [დასავლეთ საქართველო] (*მატიანე*, 2008: 290-292);³⁶

20. სამხედრო მოქმედებები განძის ამირას, ფადლონის, წინააღმდეგ: [სავარაუდოდ დასავლეთ საქართველო] – დიდგორი [„და ვითარცა იქმნა ზაფხული, გარდამოვიდა მეფე ქართლად და ჩადგა დიდგორთა, რამეთუ საზაფხულოდ მეფეთა სადგომი არს ადგილი იგი“] – თბილისი [მას შემდეგ, რაც ფადლონი ბაგრატის გაგზავნილ სამხედრო ძალასთან დამარცხდა, ტყვედ აღმოჩნდა თავდაპირველად კახეთის მეფე აღსართანთან, შემდეგ კი – ბაგრატთან. ბაგრატმა კვლავ შეძლო თბილისში შესვლა, თუმცა ქალაქი თავის უშუალო მფლობელობაში არ დატოვა. აქვე საუბარია ცალკეული ციხესიმაგრეების ბაგრატის მიერ დაკავებაზე, თუმცა არ არის დაზუსტებული, იმყოფებოდა თუ არა უშუალოდ მეფე შესაბამის ციხესიმაგრეებთან] (*მატიანე*, 2008: 292-295); 21. ფადლონის მიერ აგარანის ხელმეორედ დაკავების შემდეგ ბაგრატის სწრაფი ლაშქრობა და ციხესიმაგრის აღება: აფხაზეთი [დასავლეთ საქართველო] – აგარანი (*მატიანე*, 2008: 295); 22. ბაგრატის მიერ ოვსთა მეფის, დორლოელის, გამოყვანა და ოსების სამხედრო ძალის, გიორგი უფლისწულის მეთაურობით განძის წინააღმდეგ გაგზავნა. უკან დაბრუნების შემდეგ ოვსთა მეფის მიერ ბაგრატისგან დარბაზობის თხოვნა

³⁶ ბაგრატი რომ დასავლეთ საქართველოში გადავიდა, უნდა ჩანდეს შემდეგი ფაქტებიდან: სელჩუკების მარბიელი ნაწილები გადავიდნენ არგუეთში, მიაღწიეს სურერის ციხემდე. საფიქრებელია, რომ ამ დროს ბაგრატი უკვე უფრო დასავლეთით იმყოფებოდა. ამასთან, როდესაც მემატთანე იქვე მოგვითხრობს ბაგრატის მიერ ივანე ლიპარიტის ძის სულთანთან მოციქულად გაგზავნის შესახებ, იქვე აღნიშნულია, რომ სულთანმა ის თავისი მოთხოვნით ხარაჯის გადახდის შესახებ უკან გაგზავნა ბაგრატთან აფხაზეთში.

[„წარმოემართა ოვსთა მეფე ყოვლითა თავადითა ოვსეთისადათა, და აღმოვლო გზად აფხაზეთისადა და მოვიდა ქუთათისს, და ნახა დად მათი დედოფალი, დედად გიორგი კურაპალატისადა“]: ნადარბაზევი [ბაგრატ მეფის შესახებ აღნიშნულ შემთხვევაში მოწოდებულია ინფორმაცია, რომ „მეფე დგა ტინისკიდის ჭალასა, ნადარბაზევს, და მოეგება წინა დიდითა ზეიმითა და პატივითა. შეკრბეს ერთგან კეზუთა ზედა. და იყო სიხარული და ჯმად ბუკთად და დუმბულთა საშინელი და მიუწდომელი“. ოვსეთის მეფე და მისი დიდებულები ზამთრის მიზეზით სწრაფად გაბრუნდებიან უკან, ბაგრატმა „მისცა ნიჭი და საბოძვარი მეფესა და ყოველსა დიდებულსა ოვსეთისასა“ (მატიანე, 2008: 295) [ნადარბაზევში მოსვლამდე იტინერარის საწყისი პუნქტი თხზულებაში აღნიშნული არ არის]; 23. ბაგრატ მეფის ავად გახდომის და გარდაცვალების ცნობა: სამშვილდის ტბები [სადაც ბაგრატ მეფეს „დაეცა სალმობად მუცლისადა“] – მარაბდა [ავადმყოფობის მიზნით აქედან მეფე „ტახტითა წარმოიყვანეს“] – ქართლი [სადაც მეფე გარდაიცვალა, თუმცა გეოგრაფიული პუნქტი მემატთანეს დაზუსტებული არ აქვს] (მატიანე, 2008: 296).

გიორგი II-ის იტინერარები. 1. გიორგი I-ის წინააღმდეგ დიდებულების, ნიანია ქვაბულისძის, ივანე ლიპარიტის ძის და ვარდან სვანთა ერისთავის გამოსვლა: „და ნიანია წარულო ქუთათისისა საჭურჭლე და შედგა ქუთათისს შიგა“ [აღნიშნულ შემთხვევაში მოცემული უნდა იყოს არაპირდაპირი ცნობა, რომ მცირეწლოვანი მეფე სავარაუდოდ არ იმყოფებოდა დედაქალაქში] (მატიანე, 2008: 297); 2. ივანე ლიპარიტის ძის განდგომილების ჩასახშობად გიორგი I-ის ლაშქრობა: ქუთაისი – სამცხე – სამშვილდის კარი – [ივანე ლიპარიტის ძის სამშვილდიდან ლტოლვა] – ჯავახეთი – ეკრანთა [?] [სადაც ივანე ლიპარიტის ძემ კვლავ მორჩილება გამოუცხადა გიორგი II-ს, რის სანაცვლოდაც დაიბრუნა თავისი სამფლობელოები] (მატიანე, 2008: 297-298); 3. გიორგი II-ის ბრძოლა სარანგთან [რომელიც განძაში დატოვა მალიქ შაჰმა თავისი ლაშქრობის შემდეგ]: [სავარაუდოდ დასავლეთ საქართველო] – ფარცხისი [„მიუჟდა ზედა ფარცხისს ქუემოთ და იოტა ბანაკი სარანგისი“] – [სავარაუდოდ ქუთაისი, „შემოიქცა უკლებლად და მშვიდობით მეფეთმეფე გიორგი თავისა სამეფოსა“] (მატიანე, 2008: 298); 4. „მატიანე ქართლისადა“-ში მოცემულია ცნობა, თუ როგორ დაიბრუნა გიორგი II-მ ის ციხესიმაგრეები, რომლებიც დაკავებული ჰქონდათ ბიზანტიელებს: ანაკოფია, კლარჯეთის, შავშეთის, ჯავახეთის, არტანის მრავალი ციხე, შემდეგ დაიკავა კარი, ვანანდის და კარნიფორის სიმაგრეები [აღნიშნულ შემთხვევაში ადგილი უნდა ჰქონოდა მეფის შესაბამის გადაადგილებას, თუმცა მემატთანე ზუსტ ცნობებს არ გვთავაზობს] (მატიანე, 2008: 299);³⁷

³⁷ ამავე მოვლენებს უნდა უკავშირდებოდეს დავითის ისტორიკოსის შესაბამისი ცნობაც: [ფარცხისთან გამარჯვების შემდეგ] „წარვიდა მეფე გიორგი მამულსა თჳსსა ტაოს, და მოვიდა ბანას“; იქ მოვიდა მის წინაშე აღმოსავლეთის ზორავარი გრიგოლ ბაკურიანის ძე, „რომელსა ჰქონდეს“ ოლთისი, კარნუ-ქალაქი და კარი. გრიგოლ ბაკურიანის ძემ გადასცა გიორგი მეფეს კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქვეყანა. გიორგი მეფემ კარში დატოვა შავში აზნაურები და წამოვიდა შინ, სავარაუდოდ ქუთაისში (ცხოვრებად, 2008: 301).

5. გიორგი II-ს, „ყუელს გარე-მდგომს“ მოულოდნელად თავს დაესხა სელჩუკთა დიდი სამხედრო ძალა: ყუელის ციხე [„ხოლო საჭურჭლენი დიდნი და სამსახურებელნი სამეფოთა ტაბლათანი, ოქროსა და ვეცხლისანი, [კარას]ეულნი, სასუმურნი და სამწედონი პატიოსანნი, კარავნი, – სამეფონი და ყოველთა დიდებულთანი, – აიხუნეს იავარად და წარვიდეს“] – აჭარა – აფხაზეთი [დასავლეთ საქართველო, შესაძლოა ქუთაისი, „ხოლო გიორგი მეფე წარვიდა მეოტი აჭარით აფხაზეთად“] (ცხოვრება, 2008: 302); 6. გიორგი II-ის გამგზავრება მალიქ შაჰთან: [სავარაუდოდ დასავლეთ საქართველო, ქუთაისი] – ასპანი [ისფაჰანი] – კახეთი, ვეჟინი [მუდმივი ხარაჯის გადახდის პირობის სანაცვლოდ მალიქ-შაჰმა გიორგი II-ს „წარმოაყოლნა სპანი დიდნი, რადთა წარვლონ გზად მშვიდობისად და რადთა აართუნ კახეთი“; კახეთში გიორგი მეფე მოვიდა „ჟამსა სთულისასა“] – ლიხის მთა – აფხაზეთი [სავარაუდოდ აჯამეთი; ალყის დროს მოვიდა თოვლი, გიორგი მეფეს „მოეკსენა ნადირობად აჯამეთისად“, აღარ დაელოდა ვეჟინის ალყის დასრულებას, „გარდავლო მთად ლიხთად და შთავიდა აფხაზეთად“] (ცხოვრება, 2008: 304-305).

იტიწერარების მასალის შეფასება და ანალიზი

ქვემოთ წარმოვადგენ იტიწერარების მასალის ანალიზს ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით.

იტიწერარის მიზანდასახულობა. ბაგრატ III-ის იტიწერარები უკავშირდება, მაგ., მეფედ კურთხევას, სხვადასხვა სახის სამხედრო ღონისძიებებს, ქვეყნის მიმოსვლით მართვას, ეკლესიის კურთხევას. გიორგი I-ის პირველ ორ იტიწერარში მოცემულია ინფორმაცია სამხედრო ღონისძიებების შესახებ. მეფის მესამე იტიწერარის მიზანდასახულობა უცნობია. ბაგრატ IV-ის იტიწერარები განხორციელებულია აგრეთვე უმთავრესად სხვადასხვა სახის საბრძოლო ღონისძიებების, ასევე დინასტიური კავშირების დადების მიზნით. გარედან საფრთხის და მძლავრ ფეოდალთან დაპირისპირების მიზეზით ბაგრატ IV-სთან უფრო ხშირად ვხვდებით იძულებითი გადაადგილების მაგალითებს. გიორგი II-ის იტიწერარები ასევე გვთავაზობენ ნიმუშებს სამხედრო ღონისძიებებთან, იძულებით მიმოსვლასთან დაკავშირებით (როდესაც, მაგ., მეფე საკუთარი ქვეყნის მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით მიემგზავრება სელჩუკთა სულთანთან, მალიქ შაჰთან). ამდენად, მეფეთა იტიწერარების ერთ-ერთი მთავარი საერთო დამახასიათებელი ნიშანია გადაადგილება სამხედრო ღონისძიებებთან დაკავშირებით, რის შემდეგაც უკვე ვხვდებით მიმოსვლას ქვეყნის მართვის, თუ რიგი სხვა საკითხების მიზეზით (საისტორიო თხზულებების მასალა ამ კუთხით შესაძლოა არ გვთავაზობდეს სრულ სურათს, შესაძლებელია, რომ მეფეთა გადაადგილებაში არანაკლები ან უფრო მეტი ადგილი ეკავა მიმოსვლას ქვეყნის მართვისთვის).

იტიწერარის ინიციატორი. იტიწერარების ინიციატორი უმრავლეს შემთხვევებში არის მეფე. შესაძლებელია განვასხვავოთ გარე მოვლენების ზემოქმედების ხარისხი მეფის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე (მაგ., რა შემთხვევაში აქვს ადგილი მეფის რეგულარული სახის მიმოსვლას და როდის არის მმართველი იძულებული, მიიღოს შესაბამისი

გადაადგილების გადაწყვეტილება, როდესაც აუცილებლობის ფაქტორი შესაბამისი მოქმედების დროს მომატებულია).

გზები და მარშრუტები. იტინერარებში მოცემული ინფორმაციიდან შევხები რამდენიმე ძირითად გზას და მარშრუტს (შუა საუკუნეების საქართველოში გზებთან, მარშრუტებთან დაკავშირებით იხ.: Historical Atlas of Georgia, 2023: 60-61 [შუა საუკუნეებში საქართველოს გზების რუკა], XXV-XXVI; საქართველოს ისტორიის ატლასი, 2016: 60-61 [ფეოდალური ხანის საქართველოს გზების რუკა], XXII-XXIII; ბერძენიშვილი, 1966). იქმნება შთაბეჭდილება, რომ სტატიაში განხილული პერიოდისთვის შედარებით გაზრდილია მნიშვნელობა ე. წ. ერწო-თიანეთის გზის, რომელიც ქართლს აკავშირებდა კახეთთან. აღნიშნული გარემოების ერთ-ერთი მიზეზი სავარაუდოდ გახლდათ თბილისის საამიროს არსებობაც, როდესაც დასავლეთის მხრიდან კახეთთან შეუზღუდავი მიმოსვლისთვის გარკვეული შეფერხებები იარსებებდა. ის ფაქტი, რომ დედაქალაქი გახლდათ ქუთაისში, განაპირობებდა ალბათ იმ გარემოებას, რომ შესამჩნევად მომატებული უნდა ყოფილიყო დასავლეთ საქართველოს სამხრეთ საქართველოსთან დამაკავშირებელი რკინისჯვარის გზის მნიშვნელობა. დედაქალაქის ქუთაისში არსებობის პირობებში მეფეები სავარაუდოდ უფრო ინტენსიურად სარგებლობდნენ ლიხის მთის გადმოსასვლელებით, მაგ., იმ დროსთან შედარებით, როდესაც დედაქალაქი იყო უკვე თბილისში (პოლიტიკური ვითარება თბილისის საამიროს გარშემო, კახეთ-ჰერეთთან, ქვემო ქართლთან დაკავშირებული მოვლენები მოითხოვდა მეფეების მუდმივად ადგილზე ყოფნას). შესაბამისად, როგორც მართებულად არის აღნიშნული სამეცნიერო კვლევაში, გზების მნიშვნელობის მატებას ან კლებასთან დაკავშირებით განმსაზღვრელი გახლდათ პოლიტიკური, ეკონომიკური ფაქტორები, მეზობელი სახელმწიფოების აღმასვლა ან მნიშვნელობის შემცირება (Historical Atlas of Georgia, 2023: XXV). საერთაშორისო მარშრუტებიდან შეიძლება გამოიყოს გზა კონსტანტინეპოლიდან საქართველოში (ბაგრატ IV, იტინერარი N14). საქართველოდან კონსტანტინეპოლში და კონსტანტინეპოლიდან საქართველოში მგზავრობისას უმთავრესად გამოყენებული უნდა ყოფილიყო სახმელეთო გზა მცირე აზიის ჩრდილოეთი ნაწილის გაყოლებაზე. თუმცა ბაგრატ IV-ის მგზავრობასთან დაკავშირებით ჩნდება ვარაუდი, ხომ არ დაბრუნდა მეფე საზღვაო გზით, რადგან თხზულებაში აღნიშნულია, რომ დასავლეთ საქართველოს ყოველი ლაშქარი ბაგრატს მიეგება „ზღვს პირსა, ხუფათს“ (საფიქრებელია, რომ საზღვაო გზის არჩევა ხშირად კლიმატურ პირობებზე იქნებოდა დამოკიდებული).

შესაბამისი მნიშვნელობის მფლობელი (საბაზისო) რეგიონები. სხვადასხვა სახელმწიფო ღონისძიებასთან დაკავშირებით მმართველები უმთავრესად იმყოფებიან ქუთაისში და ქუთაისის გარშემო ტერიტორიაზე, შიდა ქართლში, მესხეთში, ჯავახეთში, ტაოში, არტანუში. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ შესაბამისი საკითხის (მეფეების კონკრეტულ რეგიონში ყოფნის) შესახებ საისტორიო თხზულებების მონაცემები შესაძლებელია არ იყოს სრული. აუცილებელი იქნება რიგი სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების გათვალისწინება, რომ განისაზღვროს მმართველობისთვის, სამეფო სახლისთვის საბაზისო რეგიონები შესაბამის პერიოდში (სასურველია საკითხის დაზუსტება, რა კრიტერიუმების, ნიშან-თვისებების ფლობაა აუცილებელი, რომ რეგიონი მიჩნეული იქნეს საბაზისოდ, საკვანძოდ). თუმცა

თხზულებებში მოწოდებული ცნობების საფუძველზე დასაშვები უნდა იყოს ვარაუდი, რომ აღნიშნული მხარეები ნამდვილად წარმოადგენდნენ სამეფო სახლის დასაყრდენს კონკრეტულ დროს. სავარაუდოა აგრეთვე, რომ კონკრეტული მხარეების მდგომარეობა სამეფო სახლთან მიმართებაში არ იყო უცვლელი. პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით შესაბამისი რეგიონის მნიშვნელობა მმართველებისთვის შესაძლებელია ყოფილიყო უფრო მეტი ან ნაკლები. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მინდა მოვიყვანო ორი მაგალითი. საისტორიო თხზულებების მონაცემების მიხედვით, ცალკეული რეგიონები უფრო მეტად ჩანს დაკავშირებული კონკრეტულ მეფეებთან. შესაძლოა არ იყოს შემთხვევითი, რომ გიორგი I-ის სამი იტინერარიდან ორში ფიგურირებს თრიალეთი: ბასილი კეისარის პირველი ლაშქრობისას დამარცხების შემდეგ გიორგი I გამოივლის ბასიანს, ტაოს, კოლას, არტაანს, სამცხეს, ჯავახეთს და მოდის თრიალეთში, სადაც თავს უყრის ახალ ძალებს. მისი გარდაცვალების დროს გიორგი I ასევე იმყოფებოდა თრიალეთში. თუმცა სხვა დამატებითი ცნობები აღნიშნული საკითხის შესახებ არ მოგვეპოვება. ბაგრატ IV-სთან დაკავშირებით რამდენჯერმე განსაკუთრებული მნიშვნელობით უნდა ჩნდებოდეს ჯავახეთი. როდესაც ბაგრატმა ორჯერ დატოვა დაკავებული თბილისი ლიპარიტ ბაღვაშის მიზეზით, მეფე ორივეჯერ გავიდა ჯავახეთში. მესხი დიდებულები დატყვევებულ ლიპარიტ ბაღვაშს ბაგრატს სწორედ ჯავახეთში, ახალქალაქში მიჰგვრიან. საფიქრებელია, რომ ლიპარიტ ბაღვაშთან დაპირისპირებული ბაგრატისთვის ჯავახეთი არსებით დასაყრდენს ქმნიდა. ჯავახეთი, რომელიც თრიალეთის უშუალო სიახლოვეს მდებარეობდა, მეფეს სავარაუდოდ საშუალებას აძლევდა, გარკვეულწილად დამუქრებოდა აქედან ლიპარიტის სამფლობელოს, იმგვარად, რომ უშუალო კავშირი შეენარჩუნებინა მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე დასავლეთ საქართველოსა და ტაო-კლარჯეთთან. ამასთან, ლიპარიტისთვის შესაძლებელი არ უნდა ყოფილიყო მეფისთვის შესაბამისი საკომუნიკაციო გზების გადაჭრა.

ლამის გასათევი ან შესასვენებელი ადგილები. ლამის გასათევი ან შესასვენებელი ადგილების შესახებ თხზულებების მასალაში პირდაპირი ინფორმაცია ერთ შემთხვევაში უნდა იყოს მოცემული. ბაგრატ IV-ს და მისი ოჯახის მგზავრობის დროს ტაოდან სავარაუდოდ ქართლის მიმართულებით (ბაგრატ IV, იტინერარი N17) გამოჩნდება სელჩუკების სამხედრო შენაერთი. საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში მეფის კორტეჟი გაჩერებული არ იყო ციხესიმაგრეში ან რეზიდენციაში. რადგან სელჩუკების შენაერთი გამოჩნდა მეფის კორტეჟის „აყრისა ჟამსა“. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მეფემ, მისმა ოჯახის წევრებმა, ამაღამ და თანმხლებლებმა შესვენება გააკეთეს მგზავრობის დროს, გარკვეული ხნით, მაგრამ დასახლებული პუნქტის გარეთ.

მეფის თანმხლები ძალის რაოდენობა. მეფის თანმხლები ძალის ზუსტ რაოდენობაზე თხზულებები უაღრესად იშვიათად გვაწვდიან პირდაპირ ინფორმაციას. მაგ., ლიპარიტ ბაღვაშთან ხოვლეში ბაგრატ IV მივიდა ცხენოსნების მცირე რაოდენობით (იტინერარი N7). მაგრამ აღნიშნული შემთხვევა თავისთავად არ იყო კანონზომიერი მოვლენა. ფეოდალის რეზიდენციაში მეფე ხაზგასმულად მცირერიცხოვანი ამალით მივიდა შემდგომი კონფრონტაციის თავიდან ასაცილებლად. მეორე მაგალითში მოცემულია არაპირდაპირი სახის ინფორმაცია მეფის შესაძლო თანმხლებლების შესახებ (ბაგრატ IV-ის მოგზაურობა

ტაოდან, იტინერარი N17). თხზულებაში მოცემული ინფორმაციით სელჩუკების შენაერთთან ბრძოლა არ გამართულა. შესაძლებელი უნდა იყოს ვარაუდის გამოთქმა, რომ ეს გახლდათ მარბიელი ლაშქარის სავარაუდოდ შედარებით მცირერიცხოვანი წინამავალი, დაზვერვითი ნაწილი, რომელმაც მეფის უფრო დიდ ძალებთან მაშინვე ბრძოლაში ჩართვა არ ისურვა. ზოგადად საფიქრებელია, რომ მშვიდობიანობის დროს მიმოსვლის შემთხვევებშიც მეფეს თან ახლდა სულ მცირე მრავალი ასეული მხედარი.

სამეფოს მიმოსვლით მართვის მაგალითები. აქვე მოვიტან ცალკეულ მაგალითებს სახელმწიფოს მიმოსვლით მართვის შესახებ. ქვეყნის მიმოსვლით მართვის დროს გატარებული ღონისძიებები დაკავშირებული იქნებოდა სახელმწიფოს მართვის ყველა სფეროსთან: მაგ., სამხედროსთან, ფინანსურთან, ეკონომიკურთან, სამართლებრივთან და სხვა.

ბაგრატ III-ის N4 იტინერარში მოცემულია მიმოსვლით მართვის მაგალითი, როდესაც ბაგრატმა განაგო მცირედ ქართლის საქმეები. აღნიშნული იტინერარი გვთავაზობს აგრეთვე მაგალითს, რომ ფეოდალები წინააღმდეგი არ არიან ზოგადად სამეფო ხელისუფლებისადმი დაქვემდებარების, მაგრამ არ სურთ ცენტრალური ხელისუფლების უშუალო კონტროლი (რაც გახლდათ მიმოსვლით მართვის ერთ-ერთი საფუძველი). ქვეყნის მიმოსვლით მართვის ნიმუშს გვთავაზობს ასევე ბაგრატ III-ის იტინერარი N7. ბაგრატ III-ის იტინერარ N14-ში მოცემულია შესაბამისი პერიოდისთვის ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი ცნობა სამეფოს მიმოსვლით მართვასთან დაკავშირებით. აღნიშნულ შემთხვევაში ბაგრატ III-მ შემოვლო თავისი ერთიანი სამეფო: აფხაზეთი, ჰერეთი, კახეთი, ტაო. მეფის მიმოსვლა გრძელდებოდა ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში. მნიშვნელოვანია, რომ მეფის იტინერარი დაიწყო დედაქალაქის გარეთ მდებარე რეზიდენციიდან, ფანასკერტიდან და მეფე დაბრუნდა ასევე ფანასკერტში. შესაბამისი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა იმ ფაქტსაც, რომ სამეფოს შემოვლისთვის, იტინერარისთვის, საწყისი და ბოლო ადგილი მდებარეობდა ბაგრატიონების დინასტიისთვის უფრო მნიშვნელოვან ტერიტორიაზე, ტაო-კლარჯეთში. ცნობა სამეფოს შემოვლის შესახებ მოცემულია უკვე იმ დროისთვის, როდესაც მეფემ გააერთიანა თავისი სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც საფიქრებელია, რომ უკვე სრულად იყო დამყარებული ცენტრალური ხელისუფლების უშუალო კონტროლი. მიმოსვლით მართვის საკითხისთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს ის გარემოება, რომ სამეფოს ტერიტორიის შემოვლამდე მცირე ხნით ადრე ბაგრატ III-მ თავისი ერისთავები დაადგინა კახეთში (აღნიშნული საკითხის შესახებ იხ.: ბახტაძე, 2003: 183-184). სამეფოს მიმოსვლით მართვისთვის აუცილებელი იქნებოდა ის გარემოება, რომ რეგიონებში არსებული ადმინისტრაცია, ადგილობრივი ხელისუფლება ყოფილიყო მეფის უპირობოდ ერთგული ან მორჩილი. ბაგრატ III-ის მიერ საკუთარი სახელმწიფოს შემოვლა გარკვეულ ანალოგიას ქმნის გერმანიის იმპერიისთვის დამახასიათებელ „უმრიტის“ წესთან. ბაგრატ III-ესთან დადასტურებული მოქმედება არ არის „უმრიტის“ იდენტური, რადგან ის არ ხორციელდება მეფის ტახტზე ასვლის დროს. მაგრამ სახელმწიფოს გაერთიანების შემდეგ ამგვარ შემოვლას ექნებოდა გარკვეული სამართლებრივი მნიშვნელობის აქტის ფორმა. როდესაც ქვეყნის მოვლაზე, შემოვლაზეა საუბარი, ალბათ დასაშვებია ვიფიქროთ გარკვეულწილად წრიული ფორმის გადაადგილებაზეც, როგორც

„უმრიტის“ დროს, თუმცა პირდაპირი საბუთი საამისოდ არ გვაქვს. კონკრეტული მფლობელობის მიღებასთან დაკავშირებით გარკვეულწილად წრიული გადაადგილება XI საუკუნეში ფიქსირდება მეორე შემთხვევაშიც, როდესაც ბაგრატ IV შეიყვანეს თბილისში და „მოავლეს ქალაქი“ (ბაგრატ IV, იტინერარი N5).

მიმოსვლით მართვასთან დაკავშირებით შესაბამის მნიშვნელობას უნდა ფლობდეს ასევე ბაგრატ IV-ის იტინერარი N5, როდესაც ბაგრატმა ისნის ველზე ითაყვანა კახეთის მეფე გაგიკი და მისი დიდებულები. თაყვანების წესი უნდა ყოფილიყო მიმოსვლით მართვის ფორმის ერთ-ერთი ნაწილი.

გიორგი II-ის მმართველობის პერიოდიდან მიმოსვლით მართვის წესის გარკვეული გამოძახილი შესაძლებელია შემორჩენილი იყოს მეფის წინააღმდეგ დიდებულების გამოსვლის ცნობაში, როდესაც ნიანია ქვაბულისძე „შედგა ქუთათისს შიგა“ (იტინერარი N1). ნიშანდობლივია, რომ შესაბამისი შემთხვევისთვის გამოყენებულია ტერმინი „შედგომა“, რაც, პირდაპირ თანხვდება მეფის მიმოსვლით მართვასთან დაკავშირებულ ზემოხსენებულ ტერმინს („შედგომა“, „დგომა“, „შიგ დგომა“). თუმცა მოცემულ შემთხვევაში ფეოდალი „შედგა“ მეფის დედაქალაქში (მეფე ამ დროისთვის სავარაუდოდ იმყოფებოდა ერთ-ერთ დედაქალაქის გარეთ მდებარე რეზიდენციაში). მეფის მოქმედების აღნიშნული ნეგატიური ანალოგია უნდა აჩვენებდეს, ერთის მხრივ, დაპირისპირების იმ სიმძაფრეს, რომელიც ამ დროისთვის არსებობდა ცენტრალურ ხელისუფლებას და ძლიერ ფეოდალებს შორის, ხოლო, მეორეს მხრივ, უნდა მიუთითებდეს იმ გარემოებაზე, რომ მძლავრი ფეოდალები წინააღმდეგნი იქნებოდნენ მიმოსვლით მართვის, როგორც ერთ-ერთი ყველაზე არასასურველი ღონისძიების, რომლის დახმარებითაც ცენტრალური ხელისუფლება ამყარებდა უშუალო კონტროლს ქვეყნის ტერიტორიაზე. დედაქალაქში ფეოდალის დემონსტრაციული შესვლა გვაფიქრებინებს, რომ ამ კუთხითაც, რაც უკავშირდებოდა დიდებულების დედაქალაქში ყოფნის წესს, გარკვეული შეზღუდვები უნდა არსებულებოდა.

მეორე მაგალითი გიორგი II-ის მეფობიდან, რომელიც სავარაუდოდ აგრეთვე უკავშირდება ქვეყნის მიმოსვლით მართვას, მოცემული უნდა იყოს ყუელის ციხესთან მეფის „გარე-დგომის“ დროს (იტინერარი N5). „გარე-დგომა“, როგორც ჩანს, იყო მიმოსვლით მართვის დროს მეფის გაჩერების ერთ-ერთი ფორმა, სახესხვაობა, როდესაც გარკვეული მიზეზების გამო (მაგ., ნადირობა ან რიგი სხვა ფაქტორები) მეფე ცხოვრობდა არა ციხესიმაგრეში, სამეფო რეზიდენციაში, არამედ – მის გარეთ. ამგვარი სახით მეფეს ალბათ შესაძლებელია დაებანაკებინა შესაბამის ადგილზე ხანგრძლივი დროის განმავლობაშიც. აღნიშნულ ვარაუდს უნდა ასაბუთებდეს ინფორმაცია იმ ნადავლის შესახებ, რომელიც ყუელის ციხესთან „გარე-მდგომ“ გიორგი II-ზე თავდასხმის შემდეგ ხელში ჩაუვარდათ სელჩუკებს: სამსახურებელნი სამეფოთა ტაბლათანი, სასმურნი, სამწდონი, აგრეთვე კარვები. მეფის კორტეჟს თან უნდა ჰქონოდა დასახლებული პუნქტის გარეთ დიდი ხნით გაჩერებისთვის აუცილებელი ყველა ნივთი. მეფის და დიდებულების კარვების მოხსენიება გვაფიქრებინებს, რომ ამგვარ შემთხვევებში იქმნებოდა ერთგვარი ბანაკი (ძვირფასი, ან ნაკლებად ძვირფასი) კარვებისგან, სადაც ცხოვრობდნენ მეფე და მისი თანმხლებლები.

ინფორმაცია დედაქალაქის გარეთ მდებარე სამეფო რეზიდენციების თუ საცხოვრებლების შესახებ. დედაქალაქის გარეთ მდებარე სამეფო რეზიდენციები სამეფოს პოლიცენტრული ან ნაწილობრივ პოლიცენტრული მმართველობის პირობებში სავარაუდოდ ფლობდნენ არსებით მნიშვნელობას ქვეყნის განმგებლობისთვის სათანადო ღონისძიებების გასატარებლად. მსგავსი სამეფო რეზიდენციების (ან სასახლეების) ერთიან სისტემას უკვე გაერთიანებული საქართველოს სამეფოსთვის ალბათ ვხვდებით XII საუკუნიდან, თუმცა საფიქრებელია, რომ წინასწარი სახე დედაქალაქის გარეთ მდებარე სამეფო რეზიდენციების ქსელმა მიიღო XI საუკუნეში. როგორც ჩანს, ქვეყნის გაერთიანებამდე ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებში არსებული მმართველთა ცენტრების, თუ მათი დედაქალაქების გარეთ მდებარე სასახლეების გარკვეული ინტეგრირება მოხდა ერთიანი სახელმწიფოს სამეფო რეზიდენციების საერთო სტრუქტურაში, რომლის შექმნა უნდა დაწყებულიყო X საუკუნის 80-იანი წლებიდან. ამასთანავე, დაარსდებოდა ახალი სამეფო რეზიდენციები და სასახლეები.

დედაქალაქის გარეთ მდებარე სამეფო რეზიდენციების საკითხის განხილვა სასურველია აგრეთვე სამეფო დომენის ჩამოყალიბების პრობლემასთან მიმართებაში. მიმოსვლით მართვის ერთ-ერთი მთავარი საფუძველი სავარაუდოდ გახლდათ სამეფო დომენის ტერიტორიების თანდათანობითი განვრცობა. ალბათ დასაშვებია ვარაუდი, რომ სამეფო რეზიდენციები, სასახლეები, განთავსებული უნდა ყოფილიყო სამეფო დომენის ტერიტორიებზე. სამეფო დომენის ტერიტორიები და სამეფო რეზიდენციები ამგვარად შექმნიდა ერთგვარ ნიშანსვეტებს, რომლებსაც ცენტრალური ხელისუფლება დგამდა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

საისტორიო თხზულებებში მოცემული ინფორმაცია დედაქალაქის გარეთ არსებული სამეფო რეზიდენციების, სასახლეების, საცხოვრებლების შესახებ შეიძლება დაიყოს სამ ნაწილად: პირდაპირი ხასიათის ცნობები სამეფო რეზიდენციების შესახებ; ინფორმაცია, როდესაც არაპირდაპირი მონაცემების ანალიზის, კონკრეტული კრიტერიუმების საფუძველზე დანამდვილებით შეიძლება აღნიშვნა, რომ შესაბამის ადგილზე არსებობდა სამეფო რეზიდენცია ან სასახლე; მეფის გაჩერების ადგილები, სადაც სავარაუდოდ უნდა არსებულიყო სამეფო სახლთან დაკავშირებული გარკვეული საცხოვრებელი თუ სამყოფელი.

ბაგრატ III-ის დროს სამეფო რეზიდენციას წარმოადგენდა ფანასკერტი, სადაც მეფემ კლარჯი ხელმწიფეებისთვის გამართა დარბაზობა (იტინერარი N13) [ფანასკერტის ციხესიმაგრის შესახებ იხ.: ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, 2013, გვ. 521]. ბაგრატ IV-ის საზაფხულო რეზიდენცია გახლდათ დიდგორი (იტინერარი N20) [დიდგორის საზაფხულო რეზიდენციის ან სადგომის შესახებ იხ. ბერძენიშვილი, 1966, გვ. 51]. დიდგორის რეზიდენციას სავარაუდოდ დამატებითი ფუნქციებიც უნდა ჰქონოდა (სამხედრო საქმესთან დაკავშირებული), რადგან ბაგრატი აქ ჩერდება თავისი სამხედრო ძალით, ვიდრე მოქმედებას დაიწყებდეს განძის ამირა ფადლონის წინააღმდეგ. ბაგრატ IV-ის რეზიდენცია აგრეთვე იყო ნადარბაზევი (შიდა ქართლში მდებარე ნადარბაზევის რეზიდენციის შესახებ იხ.: ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, 2013, გვ. 372), სადაც სავარაუდოდ გაიმართა დარბაზობა ოვსთა მეფის, დორლოლელის მიღებასთან დაკავშირებით (იტინერარი N22). როგორც ჩანს, ასევე ნადარბაზევიდან ხელმძღვანელობდა მეფე სამხედრო

ღონისძიებების წარმართვას ქალაქ განძის მფლობელის, სელჩუკების სამხედრო ძალის წინააღმდეგ (მსგავს ვითარებებში რეზიდენციებთან, მათ გარშემო უნდა ვიგულისხმოთ შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობა). ბაგრატ IV-ის კახეთში ლაშქრობასთან დაკავშირებით მოხსენიებულია ბოდოჯის ციხე-დარბაზი ან რეზიდენცია (იტინერარი N4). აღნიშნული ცნობის საფუძველზეც დანამდვილებით შეიძლება მოსაზრების გამოთქმა, რომ სამეფოს გაერთიანებამდეც ცალკეულ ქართულ პოლიტიკურ ერთეულებშიც ასევე უნდა არსებულიყო ცენტრალური ქალაქის გარეთ მდებარე მმართველთა რეზიდენციები.

აქვე მოვიტან მონაცემებს იმ შემთხვევებთან დაკავშირებით, როდესაც დანამდვილებით შესაძლებელია შესაბამის ადგილზე სამეფო რეზიდენციის არსებობის დაშვება. როდესაც კონკრეტულ ადგილზე მყოფი მეფეების შესახებ აღნიშნულია, რომ ისინი იქ ან იქიდან ატარებენ მნიშვნელოვან სახელმწიფო ღონისძიებებს, მეფეთა იქ ყოფნის დროს ადგილი ჰქონდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მოვლენებს, დანამდვილებით უნდა შეიძლებოდეს ვარაუდი, რომ აღნიშნულ ადგილებში უნდა არსებულიყო შესაბამისი სამეფო რეზიდენციები, საცხოვრებლები. ბაგრატ III-ის მმართველობასთან დაკავშირებით უნდა ვხვდებოდეთ სამეფო რეზიდენციას დლივში (იტინერარი N7; იტინერარ N5-ში დლივი ჯერ კიდევ დავით კურაპალატის მფლობელობაში ჩანს) [დლივის შესახებ იხ. ბერძენიშვილი, 1966: 107-109]. დლივიდან ბაგრატ IV განაგებდა ტაოს და ქართლის საქმეებს. იტინერარ N14-ში საუბარია ბაგრატ III-ის ტაოს ხევებში დაზამთრების შესახებ. როდესაც მეფე ამგვარი ხანგრძლივი დროით ჩერდება კონკრეტულ ადგილზე, ერთ-ერთი შესაძლებლობა ამ დროს უნდა იყოს მეფის ცხოვრება მის (ამ შემთხვევაში ზამთრის) რეზიდენციაში. ბაგრატ IV-ის იტინერარ N2-ში საუბარია ბაგრატ IV-ის ქორწილზე ბანაში (ბანას ტაძარის შესახებ იხ.: ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, 2013: 91-92). სავარაუდოდ შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რადგან ბანა, როგორც აღინიშნა, მდებარეობდა სამეფო დომენის ტერიტორიაზე, ამასთან, ბაგრატ IV საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში უნდა გაჩერებულიყო იქ, ხომ არ გახლდათ განთავსებული სამეფო რეზიდენცია აგრეთვე უშუალოდ ბანაშიც.

ბაგრატ IV-ის N6 იტინერარში მოხსენიებულია ღრტილა. როგორც სხვა წყაროებიდან დანამდვილებით არის ცნობილი, ღრტილაში უნდა არსებულიყო ბაგრატ IV-ის რეზიდენცია (აღნიშნული საკითხის შესახებ იხ.: ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, 2013: 557). თხზულება „მატიანე ქართლისაჲ“ იხსენიებს ბაგრატ IV-ის ყოფნას ქვახვრელში (იტინერარი N18) (ქვახვრელის შესახებ იხ. ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, 2013: 537-538). ალბათ დასაშვებია ვარაუდის გამოთქმა, რომ ქვახვრელში შესაძლებელია ყოფილიყო სამეფო რეზიდენცია, რადგან ბაგრატ IV აქ იღებს სულთან ალფ არსლანის ელჩს, აქედანვე ატარებს სხვა შესაბამის სახელმწიფო თუ სამხედრო ღონისძიებებს.

ცალკეულ ადგილებთან დაკავშირებით, რომლებიც მოხსენიებულია თხზულებებში, შესაძლებელია გამოითქვას მოსაზრება, რომ შესაბამის გეოგრაფიულ პუნქტებში აგრეთვე განთავსებული გახლდათ სამეფო რეზიდენცია ან საცხოვრებელი. ქართლში გადმოსვლის დროს ბაგრატ III ჩერდება თიღვაში (იტინერარი N4) (თიღვის მონასტრის შესახებ იხ.: ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, 2013: 249). დასავლეთ

საქართველოდან სამხრეთ საქართველოში გადმოსვლისას ბაგრატ III ჩერდება კარუშეთში (იტიწერარი N4) (კარუშეთის ადგილმდებარეობის შესახებ თრიალეთში ან ჯავახეთში იხ. ბერძენიშვილი, 1966: 98-99). ორივე შემთხვევაში ბაგრატ III-ს თან ახლავს თავისი სამხედრო ძალა. რადგან თხზულების ავტორმა მოიხსენია შესაბამისი გეოგრაფიული პუნქტები, სადაც მეფე გაჩერდა, საფიქრებელია, რომ შესაბამის ადგილზე უნდა არსებულიყო გარკვეული სამყოფელი, რომელიც ან მეფისთვის გახლდათ განკუთვნილი ან მეფისთვის შესაფერისი იქნებოდა მისით სარგებლობა (თიღვის მონასტერი, როგორც ცნობილია, არსდება XII საუკუნეში. მაგრამ აღნიშნული გარემოებაც, რომ თიღვაში მონასტერს აარსებს მნიშვნელოვანი პიროვნება, დავით აღმაშენებლის ქალიშვილი, შესაძლოა დამატებითი არგუმენტი იყოს ვარაუდისთვის, რომ თიღვაში უფრო ადრეც უნდა არსებულიყო სამეფო სახლთან დაკავშირებული გარკვეული სამყოფელი). გიორგი I-ის გარდაცვალებასთან მიმართებაში მოხსენიებულია კონკრეტული გეოგრაფიული პუნქტი, „მცინვარნი გინა იწრონი“ თრიალეთში (იტიწერარი N3). (აღნიშნული ადგილის შესახებ იხ. ბერძენიშვილი, 1966: 69) ამ შემთხვევაშიც ალბათ შესაძლებელია ვარაუდი, რომ დასაშვებია მეფე ყოფილიყო ერთ-ერთ მის რეზიდენციაში ან გარკვეულ საცხოვრებელში.

თხზულებებში მეფეთა რეზიდენციების შესახებ მოცემული ინფორმაციის საფუძველზე დასაშვებია ვიმსჯელოთ, X ს-ის დასასრულს და XI საუკუნეში უკვე ნამდვილად უნდა არსებულიყო სამეფო რეზიდენციების შესაბამისი სტრუქტურა, რასაც თავისი დანიშნულება ჰქონდა სამეფოს სხვადასხვა ცენტრიდან მართვის პირობებში. გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ მიმატიანეები უმთავრესად აღწერენ აღმოსავლეთ ან სამხრეთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, სამეფო რეზიდენციებიც მოხსენიებულია შესაბამისი რეგიონებიდან. სამეფო რეზიდენციების სათანადო სტრუქტურა აღნიშნულ პერიოდში თავისთავად უნდა არსებულიყო დასავლეთ საქართველოშიც. სამეფო რეზიდენციებთან თუ საცხოვრებელ ადგილებთან მიმართებაში ვხვდებით ფუნქციათა დიფერენცირების შესაბამის მაგალითებს. სტატიაში განხილული პერიოდის სამეფო რეზიდენციების და სასახლეების სისტემა უნდა განსხვავდებოდეს XII და XIII ს-ის დასაწყისის ერთიანი სახელმწიფოს სამეფო რეზიდენციების სტრუქტურისგან: ნიშანდობლივია, რომ ამ პერიოდის მთავარი რეზიდენციები, გეგუთი და ნაჭარმაგევი, XI ს-ის საისტორიო თხზულებებში მოხსენიებული არ არის.

აქვე მინდა აღვნიშნო, ბ. კუდავა მართებულად მიუთითებს შესაბამისი, ნიშანდობლივი კანონზომიერების შესახებ, რომ ბაგრატ III-დან რუსუდანის ჩათვლით არცერთი ქართველი მეფე არ გარდაცვლილა დასავლეთ საქართველოში (კუდავა, 2019, გვ. 150).³⁸ ჩემი აზრით, XI საუკუნისთვის აღნიშნული საკითხის განხილვა შესაძლებელი უნდა იყოს აგრეთვე მეფეთა მიმოსვლის აუცილებლობის კონტექსტში. მეფეებს მუდმივად უწევდათ გასვლა თავიანთი

³⁸ ბ-ნ ბუბა კუდავას მინდა უღრმესი მადლობა მოვახსენო საქართველოს ეროვნული არქივის VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე ჩემს მიერ წარმოდგენილი მოხსენების დადებითი შეფასებისთვის, აგრეთვე ჩემს მოხსენებაში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით შესაბამისი მოსაზრებების გამოთქმისთვის.

დედაქალაქის გარეთ. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში მმართველების განსაკუთრებულად ხშირ ყოფნას, რა თქმა უნდა, განაპირობებდა მოცემულ რეგიონებში X საუკუნის დასასრულს და XI საუკუნის განმავლობაში არსებული შედარებით რთული ვითარება, რაც მეფეების რეგულარულად ადგილზე ჩასვლას მოითხოვდა.

დედაქალაქის და სამეფო რეზიდენციების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. ბაგრატ IV-ის იტინერარებში ვხვდებით პირდაპირ მონაცემებს მეფის დედაქალაქში ჩასვლის თუ ყოფნის შესახებ (იტინერარი N4; N5; N14). ბაგრატ III-ის იტინერარ N8-ში, როდესაც საუბარია მეფე ბაგრატის მიერ მეფე კვირიკეს საკუთარ კარზე დაჭერის შესახებ, შესაძლებელია ვარაუდი, რომ მეფის მუდმივი კარი არსებობდა დედაქალაქში, რომელიც ჩვეულებრივად აგრძელებდა მოქმედებას რეგიონებში მეფის მიმოსვლის დროსაც (თუმცა ამ შემთხვევაში დასაშვებია უნდა იყოს მეორე შესაძლებლობაც, რომ მეფე კვირიკე თან ახლდა მეფე ბაგრატს მისი მიმოსვლის დროს. აღნიშნული საკითხი ალბათ შემდგომ დაზუსტებას მოითხოვს). იტინერარის დაწყების დროს მეფეები ხშირად ალბათ იმყოფებოდნენ თავიანთ დედაქალაქში. თუმცა საისტორიო თხზულებები სავარაუდოდ შემთხვევით არ უნდა გვთავაზობდნენ გაცილებით მეტ მასალას მეფეთა დედაქალაქის გარეთ, ვიდრე დედაქალაქში, ყოფნის შესახებ. საისტორიო თხზულებების მონაცემების მიხედვით ზუსტი სურათის აღდგენა, თუ რამდენ დროს ატარებდნენ მეფეები დედაქალაქში და მის გარეთ, შესაძლებელი არ არის. დასაშვებია ვივარაუდოთ, რომ მეფეები დროის მეტი ნაწილის განმავლობაში იმყოფებოდნენ დედაქალაქის გარეთ. ამდენად, შესაბამისი პერიოდის საქართველოს სამეფოში უნდა არსებულიყო მართვის გარკვეულწილად შერეული მოდელი, როდესაც დედაქალაქი ფლობდა სათანადო მნიშვნელობას, მაგრამ შესაბამისი ადგილი ეკავა აგრეთვე ქვეყნის მიმოსვლით მართვას. ამგვარი მმართველობის ფარგლებში თავისი დატვირთვა უნდა ჰქონოდათ დედაქალაქის გარეთ მდებარე სამეფო რეზიდენციებს, სასახლეებს (სავარაუდოდ ასევე სამეფო ქალაქებს და სამეფო მონასტრებს).

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ სასურველი უნდა იყოს წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით კვლევის უფრო მეტად გაღრმავება. მეფეთა იტინერარების შესწავლისთვის აგრეთვე დამხმარე იქნება დედოფლების, ზოგადად სამეფო ოჯახის წევრების, დიდებულების, მაღალი რანგის სასულიერო პირების იტინერარების მონაცემების შესწავლა. მეფეთა იტინერარების სურათის შესაძლებლობის ფარგლებში სრულად აღდგენისთვის გათვალისწინებული უნდა იქნეს ასევე საკითხები, რომლებიც წინამდებარე სტატიაში არ იყო განხილვის საგანი, მაგ.: მეფის მიღება; გადაადგილების საშუალებები; გადაადგილების სისწრაფე; შესაბამისი მანძილის დამღვევისთვის აუცილებელი დრო; მეფეთა მიერ დაფარული მიახლოებითი მანძილი; მეფის, მისი ამაღლის მიღების, გამასპინძლების საკითხი და სხვა. ისტორიული თხზულებების გარე, ასევე დამატებითი შედარებითი მასალა მეტ საშუალებას მოგვცემს მეფეთა იტინერარების უფრო დეტალური შესწავლისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა და ბიბლიოგრაფია

ანთელავა, ილ. (1980). XI-XV საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები. თბილისი. გამომცემლობა „განათლება“.

ანთელავა, ილ. (1983). საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII საუკუნეებში. თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“.

ანთელავა, ილ. (1991). დავითისა და თამარის სახელმწიფო. თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“.

ბახტაძე, მ. (2003). ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში. თბილისი. გამომცემლობა არტანუჯი.

ბერძენიშვილი, ნ. (1966). გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში. თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“.

ბერძენიშვილი, ნ. (1974). საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი VII. თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“.

ბერძენიშვილი, ნ. (1975). საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი VIII. მასალები ავტორის არქივიდან. თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“.

კუდავა, ბ. (2019). ქართველი მეფის დაკრძალვის ადგილი: პიროვნული არჩევანი, ტრადიცია თუ პოლიტიკური გადაწყვეტილება. *ისტორიანი*. სამეცნიერო კრებული მიძღვნილი როინ მეტრეველის დაბადების 80 წლისთავისადმი. სარედაქციო კოლეგია: მ. კასრაძე, ბ. კუდავა, ბ. კუპატაძე, გ. საითიძე, ჯ. სამუშია. თბილისი. გამომცემლობა „არტანუჯი“.

ლომინაძე, ბ. (1954). ფეოდალური მეურნეობის ორგანიზაციის ისტორიიდან გვიანფეოდალურ საქართველოში. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 30.

ლორთქიფანიძე, მ. (1967). გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა (VI ს. – XIII ს. დამდეგამდე). ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან. ნაწილი I. ავტორები: დ. მეგრელაძე, მ. ლორთქიფანიძე, გ. აკოფაშვილი, ო. სოსელია. თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“.

„მატიანე ქართლისაჲ“. (2008). წიგნში: *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მარიამ ლორთქიფანიძემ. მთავარი რედაქტორი: რ. მეტრეველი. თბილისი. გამომცემლობა „მერიდიანი“, „არტანუჯი“.

რაჭველიშვილი, ქ. (1926/1927). საქართველოს ფეოდალიზმის ისტორია. ტფილისი. გამომცემლობა „სახელგამი“.

საქართველოს ისტორიის ატლასი (2016). მთავარი რედაქტორი: დ. მუსხელიშვილი. მეორე, შევსებული და გადამუშავებული გამოცემა. თბილისი. გამომცემლობა „არტანუჯი“.

სუმბატ დავითის-ძე, „ცხოვრებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთაჲ“. (2008). წიგნში: *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მარიამ ლორთქიფანიძემ. მთავარი რედაქტორი: რ. მეტრეველი. თბილისი. გამომცემლობა „მერიდიანი“, „არტანუჯი“.

ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი (2013). ლექსიკონის გამომცემლები: გ. გამყრელიძე, დ. მინდორაშვილი, ზ. ბრაგვაძე, მ. კვაჭაძე. რედაქტორი და პროექტის ხელმძღვანელი: გ. გამყრელიძე. თბილისი. „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“.

ჩხატარაიშვილი, ქ. (1979). ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში („ლაშქარ-ნადირობა“ და მისი სოციალური არსი). თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“.

„ცხოვრებად მეფეთ-მეფისა დავითისი“. (2008). ქართლის ცხოვრება. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მზექალა შანიძემ. მთავარი რედაქტორი: რ. მეტრეველი. თბილისი. „მერიდიანი“, „არტანუჯი“.

ჯავახიშვილი, ი. (1929). ქართული სამართლის ისტორია. წიგნი მეორე. ნაკვეთი მეორე. ტფილისი. „ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა“.

Berges, W. (1952). Das Reich ohne Hauptstadt. წიგნში: Das Hauptstadtproblem in der Geschichte. Festgabe zum 90. Geburtstag Friedrich Meinekes. I. Tübingen. Max Niemeyer Verlag.

Bernhardt, J. W. (2002). Itinerant Kingship and Royal Monasteries in Early Medieval Germany, c. 936-1075 (= Cambridge Studies in Medieval Life and Thought, Fourth series). Cambridge. Cambridge University Press.

Brühl, C. (1963), Zum Hauptstadtproblem im frühen Mittelalter. წიგნში: Festschrift für Harald Keller, Zum sechzigsten Geburtstag dargebracht von seinen Schülern. Darmstadt. Eduard Roether.

Föbel, A. (2009). Quasi centrum Europae. Warum es im mittelalterlichen deutschen Reich keine Hauptstadt gab. *UNIKATE* -

(https://duepublico2.uni-due.de/servlets/MCRFileNodeServlet/duepublico_derivate_00073607/Unikate_2009_034_046.pdf).

Heit, A. (1999). Itinerar. In: Lexikon des Mittelalters. V. Stuttgart, Weimar. Metzler.

Historical Atlas of Georgia (2023). Editor-in-Chief: D. Muskhelishvili. Editors: D. Berdzenishvili, G. Tcheishvili, Translator: L. Mirianashvili. English Text Editors: St. Rapp, N. Aleksidze. Tbilisi. Artanuji Publishing.

Peyer, H. C. (1964). Das Reisekönigtum des Mittelalters. *Vierteljahrschrift für Sozial- und Wirtschaftsgeschichte*. 51

Schmidt, R. (1999). Umrith, in: Lexikon des Mittelalters. VIII. Stuttgart, Weimar. Metzler.

Schmidt, R. (1981). Königsumritt und Huldigung in ottonisch-salischer Zeit. G. Baaken. Königtum, Burgen und Königsfreie. R. Schmidt. Königsumritt und Huldigung in ottonisch-salischer Zeit (Vorträge und Forschungen, Hg. vom Konstanzer Arbeitskreis für mittelalterliche Geschichte, (6). Sigmaringen. Jan Thorbecke Verlag/ (II).

Aleksandre Tvaradze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

**The Itinerary of the King and the Issue of the
travelling Kingship in the Georgian Kingdom (From the end
of the Seventies of the 10th until the end of the Eighties of the 11th century)**

Summary

The article discusses the itineraries of the Georgian rulers from the 10th-11th centuries, Bagrat III, Giorgi I, Bagrat IV, Giorgi II and the question of the itinerant kingship in the Georgian Kingdom. It is a character trait of the itineraries of the corresponding period that they run along the west-east and west-south axis. During the analysis of the itineraries is examined the data concerning the base regions. The article looks at specific examples of the itinerant kingship, when the measures of the central power encountered opposition from great feudal lords. The latter were against the direct control from the central government. Special attention is paid to the royal palaces (residences) outside of the capital city Kutaisi, as to the pillars of the central power under conditions of partially polycentric administration of the state. In the 11th century are also given examples of the function differentiation of the royal residences. The type of government in the Georgian Kingdom of the corresponding period may be characterized as to some extent mixed: the kings governed their realm from the capital and simultaneously administered the kingdom with the itinerant form of ruling.

საქართველო და ყივჩაღები დავით აღმაშენებლის ხანაში³⁹

ყივჩაღები საქართველოში 1118-1120 წლებში ჩამოსახლდა დავით აღმაშენებელმა და მას შემდეგ ქართველებსა და ყივჩაღებს შორის ურთიერთობები რამდენიმე საუკუნე გაგრძელდა.

ყივჩაღთა საქართველოში ჩამოსახლებასთან დაკავშირებით საინტერესოა მათი განსახლების საკითხი, დავითის პოლიტიკა მათ მიმართ, ყივჩაღთა როლი ქართულ პოლიტიკაში და მათი ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებაში.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება საქართველოში ყივჩაღთა ჯგუფურად ან განცალკევებით დასახლების შესახებ ამა თუ იმ ტერიტორიაზე. მეცნიერთა ეს მოსაზრებები ემყარება როგორც ისტორიულ ნარატიულ წყაროებს, აგრეთვე, არქეოლოგიურ მასალებსა და ტოპონიმებს. ყივჩაღების განსახლებისა თუ ადგილობრივებთან მათი ინტეგრაციის კუთხით საინტერესოა უნგრული საისტორიო წყაროების განხილვა ამავე ისტორიული მოვლენის უნგრეთში განვითარებასთან დაკავშირებით. უნგრული და ქართული ცნობების შედარებითა ანალიზმა შესაძლებელია საკითხის უფრო სიღრმისეული კვლევის საშუალება მოგვცეს.

ყივჩაღთა განსახლების საკითხთან დაკავშირებით განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამენ მეცნიერები. ისტორიკოსები შოთა მესხია და როინ მეტრეველი თვლიან, რომ ისინი დაასახლეს საქართველოს შიდა რაიონებში, კერძოდ. ამ მოსაზრებას იმით ამყარებენ, რომ დავითი მიზნად ისახავდა ყივჩაღთა გაქართველებას, მათ სრულ ასიმილაციას (მესხია, 1986: 37; მეტრეველი, 2002: 199). მართალია, დავითის ისტორიკოსი საუბრობს თურქთა მიერ ქართველი მოსახლეობის გაწყვეტაზე (მეტრეველი, 2008: 302-303), მაგრამ მთლიანად მოსახლეობის ამოწყვეტა გაზვიადებული უნდა იყოს, თუმცა თურქ-სელჩუკთა თარეშებისგან მნიშვნელოვნად უნდა შემცირებული ქართული მოსახლეობა. მაგრამ შეუძლებელია დავითს ყივჩაღთა რამდენიმე ათასი ოჯახი კომპაქტურად მხოლოდ ქართლში დაესახლებინა. დავითის ისტორიკოსი აღნიშნავს: **„ხოლო ყივჩაყნი დააყენნა ადგილთა სამათოდ მარჯუეთა დედა-წულითა მათითა“** და **„ესენი რაჲ ესრეთ შემოიკრიბნა და დააწყუნა გუარად-გუარად, და დაუდგინნა სპასალარნი და მმართველნი“** (მეტრეველი, 2008: 320). როგორც ვხედავთ, მემატიაზე არ ასახელებს კონკრეტულ ადგილს, რომელზეც ყივჩაღები დაასახლეს. მამუკა წურწუმიას აზრით მისი **„ადგილთა“** გულისხმობს არა ერთ, არამედ რამდენიმე ადგილს (წურწუმი, 2013: 188). პიტერ გოლდენი კი მიიჩნევს, რომ ყივჩაღები სხვადასხვა ადგილას დაასახლეს, თანაც გვარების მიხედვით, რაც მეტყველებს მათ გაფანტულად დასახლებაზე (Golden, 1984: 63). ლაშა-გიორგის დროინდელ მემატიაზე დაცული აქვს შემდეგი ცნობა: **„ოდეს**

³⁹ კვლევა PHDF – 22-4327 განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

დიდმან დავით ტფილისი აილო, ჰერეთი და კახეთი მოირთო. ციხეთა და ქალაქთაგან კიდე კაცი არასადა იყო. ჰერეთი, სომხითი, ტაშირი, ჯავახეთი, ქუენარტანი და არტანი ამათსა მეფობასა შინა აშენდა და ტაოს ნაპირნიცა“ (მეტრეველი, 2008: 351).

რას უნდა გულისხმობდეს მემატანე ამ ტერიტორიების მოშენებაში? ხომ არ გულისხმობს ამ ადგილების ყივჩაღებით დასახლებას? ეს ადგილები, მსგავსად ქართლისა, მოსახლეობისგან დაცლილი იქნებოდა თურქ-სელჩუკთა შემოსევების შედეგად. მტრის საბოლოოდ უკუგდების შემდეგ ქართველებს კვლავ უნდა აეთვისებინათ ეს ტერიტორიები. მემატანის მიერ დასახელებული თითოეული ტერიტორია საქართველოს განაპირა მხარეს წარმოადგენდა. ამიტომ აუცილებელი იყო მათი კარგად გამაგრება, რაც შესაძლებლობას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ აქ სწორედ ყივჩაღები დაასახლეს. ყივჩაღთა საზღვრისპირა რაიონებში დასახლების მოსაზრებას იზიარებს ისტორიკოსი სოსო მარგიშვილი. მეცნიერი აღნიშნავს, რომ ყივჩაღთა ცხოვრების წესი იყო მუდმივი მარბიელი რეიდების მოწყობა. თუ საქართველოს სამეფო კარი მათ საზღვრისპირა რაიონებში დაასახლებდა, ისინი თავად აწარმოებდნენ მარბიელ ლაშქრობებს მეზობელ ისლამურ სახელმწიფოებზე და საზღვრების გამაგრების პრობლემა საქართველოს აღარ ექნებოდა, რადგან რეიდების მოწყობა ყივჩაღთათვის ნადავლის მოპოვების საუკეთესო გზა იყო და ამას მეფის ბრძანების გარეშეც სიამოვნებით შეასრულებდნენ (მარგიშვილი, 2006: 103). ყივჩაღები რომ მეზობელ მუსლიმურ სახელმწიფოებზე ხშირად ლაშქრობდნენ, ადასტურებს დავითის ისტორიკოსის ცნობა: *„თვთ სულტანი ზედადსზედა წარმოავლენდის მოციქულთა ძლუნითა მომშუდებად პირსა მისსა და ებიბზ მშუდობასა და სიყვარულსა და ყივჩაყათაგან არა-რბევასა“* (მეტრეველი, 2008: 329).

ქველი ჩხატარაიშვილი და ჯემალ სტეფნაძე განიხილავენ ს. ერემიანის ცნობებს ყივჩაღთა სომხურ ტერიტორიებზე დასახლების შესახებ. ქველი ჩხატარაიშვილი მართებულად თვლის, რომ ყივჩაღები ჩრდილოეთ სომხეთის ტერიტორიაზე დაასახლეს, რასაც ასაბუთებს ს. ერემიანის მიერ მოხმობილი ჰალარჩინისა და ჰარიჭის წარწერებით (ჩხატარაიშვილი, 1966: 168-169). ს. ერემიანი ჰარიჭის მეორე წარწერაში დასახელებულ ხუპასარიანცებს ყუბასარის საგვარეულოდ მიიჩნევს (ჩხატარაიშვილი, 1966: 168) და ასევე ჰალარჩინის წარწერაში მოხსენიებული ელბეკი, მისი აზრით, ნაყივჩაღარი ყუბასარია (ჩხატარაიშვილი, 1966: 168). ჯემალ სტეფნაძე შეუძლებლად მიიჩნევს რომ ყუბასარი, რომელსაც ეკავა მანდატურთუხუცესისა და ამირსპასალარის თანამდებობები, ელბეკად (ყივჩაღთა მეთაურად) მოეხსენიებინათ (სტეფნაძე, 1984: 153). ჰარიჭის წარწერაში მოხსენიებული ღვჩახვანქის მონასტერი და იქვე მდებარე სოფელი ღვჩახი მეტყველებს იმაზე, რომ ყივჩაღები დასახლებული იყვნენ ჰარიჭის მიდამოებშიც, მაგრამ ეს არ გვაძლევს იმის საშუალებას ვიფიქროთ, რომ ყივჩაღთა მთელი რაოდენობა იქ დაასახლეს. როგორც ჯემალ სტეფნაძე აღნიშნავს, ჰარიჭის მიდამოები დიდი რაოდენობით ყივჩაღს ვერ დაიტევდა (სტეფნაძე, 1984: 153). ამიტომ, ალბათ, უფრო მართებული იქნება, თუ გავიზიარებთ ჯ. სტეფნაძის აზრს, რომ ყივჩაღთა მხოლოდ მცირე ნაწილი დასახლდა ჩრდილოეთ სომხეთსა და საინგილოში (აქ დაფიქსირებულია დასახლებული პუნქტი ყივჩაყი და მდინარე ყივჩაყჩაი), ხოლო მათი უმრავლესობა საქართველოს ტერიტორიაზე განათავსეს (სტეფნაძე, 1984: 153).

ვანისა და ზურტაკეტის სამარხების შესწავლით მამუკა წურწუმიამ დაასკვნა, რომ ეს სამარხები ყივჩაღების იყო (წურწუმი, 2013: 187). ამაზე ისიც მოწმობს, რომ ჩატარებულია დაკრძალულთა გაუვნებლების რიტუალი, რაც წარმართი მომთაბარეებისათვის ტრადიციულ წესს წარმოადგენდა ადამიანის გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ (წურწუმი, 2013: 164-165).

ამრიგად, მართებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ ყივჩაღები დაასახლეს საქართველოს როგორც შიდა, ისე განაპირა მხარეებში; როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში.

ახლა კი ყივჩაღთა უნგრეთში დასახლების საკითხს შევხებით. მონღოლებისგან შევიწროებულმა და დევნილმა ყივჩაღთა ნაწილმა თავშესაფარი უნგრეთის მეფეს სთხოვა 1239 წელს. მათ უნგრეთში დასახლების სანაცვლოდ მეფეს ქრისტიანობის მიღებაც აღუთქვეს (Master Roger, 2010: 136-141). უნგრეთის მეფე ბელა IV-მ ყივჩაღებს უნგრეთში დასახლების უფლება მისცა და ტერიტორიებიც გამოუყო: ყივჩაღთა მთავარმა კუტენმა ელჩები გაგზავნა მეფე ბელასთან და უნგრეთში დასახლება სთხოვა, სანაცვლოდ კი ქრისტიანობის მიღება და მორჩილება აღუთქვა. მეფე ბელა დათანხმდა და მიიწვია უნგრეთში ყივჩაღები და გადასცა მათ საცხოვრებელი ადგილები (მაგისტრ როჯერის ქრონიკა) (Master Roger, 2010: 137-141). მაგისტრი როჯერი, ყურადღებას ამახვილებს, აგრეთვე, ყივჩაღთა და უნგრელთა თანაცხოვრების საკითხზე: ყივჩაღებმა, როგორც დიდებულებმა, ისე ჩვეულებრივმა ადამიანებმა, უნგრეთში დასახლების შემდეგ დიდი ზიანი მიაყენეს უნგრელთა სოფლის მეურნეობას. ამასთანავე, თუ ყივჩაღი მიაყენებდა ვინმეს ზიანს, მას სამართლებრივი პასუხი არ მოეკითხებოდა, ხოლო თუ უნგრელი მიაყენებდა ზიანს ყივჩაღს, იგი პასუხს აგებდა (Master Roger, 2010: 141). მეფემ მოიწვია საბჭო, რომელზეც გადაწყდა ორი საკითხი: 1. ყივჩაღები და უნგრელები დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ერთნაირად უნდა გასამართლებულიყვნენ, 2. ყივჩაღები უნდა დაესახლებინათ გაფანტულად, რადგან მცირე ჯგუფები ადგილობრივ მოსახლეობას ზიანს ვერ მიაყენებდნენ. ყივჩაღი დიდებულები პირველ გადაწყვეტილებას დათანხმდნენ, მაგრამ გაფანტულად ცხოვრებას არ დაუჭირეს მხარი და კვლავ განაგრძეს თავიანთი წესით ცხოვრება (Master Roger, 2010: 147-149). ამ საკითხთან დაკავშირებით ცნობას გვაწვდის კიდევ ერთი უნგრული წყარო, შიმონ კეზაელის თხზულება „ჰუნებისა და უნგრელების საქმეები“. თხზულებაში ვკითხულობთ: *„როდესაც ყივჩაღები პირველად მოიყვანა მეფის (ლასლო IV) კეთილშობილმა ბაბუამ მეფე ბელამ, მოგვიანებით როგორც ბალახი, ისე გამრავლდნენ. ბელა ფიქრობდა გაეფანტა ისინი ქვეყანაში, მაგრამ ეს ვერასდროს გაბედა, რადგან ეშინოდა, რომ ისინი ქვეყანას ავნებდნენ. და ამბობენ რომ იმავეს ფიქრობდა მამამისი მეფე იშტვანი, რომელსაც კარგად ახსოვდა ეს და გააუქმა თავისი განზრახვა“* (Simon De Keza (2017) GESTA HUNNORUM ET HUNGARORUM, 45-46, https://kupdf.net/download/simon-de-keza-gesta-hunnorum-et-hungarorum_58d53d77dc0d607f33c34693_pdf).

ამკარაა, რომ უნგრეთის მეფეები ბელა IV, იშტვან V და ლასლო IV აცნობიერებდნენ ყივჩაღთაგან მომდინარე საფრთხეს და ფრთხილად ეკიდებოდნენ მათთან ურთიერთობას.

საინტერესოა კიდევ ერთი უნგრული წყაროს ილუსტრირებული ქრონიკის ცნობა, რომლის მიხედვითაც უნგრეთის მეფე ლასლო IV ყივჩაღებმა მოკლეს 1290 წელს (Tarján, 1993: 62). ეს ცნობები მეტყველებს იმაზე, რომ ყივჩაღებისთვის მსგავსი ქმედებები ჩვეულებრივ

მოვლენას წარმოადგენდა, თუ ეს მათ ინტერესებში შედიოდა. მათთვის ლასლო IV-ის ყოვალურ წარმომავლობასაც (დედამისი ყოვალდი იყო, ბელა IV-მ (ლასლოს ბაბუა) თავისი უფროსი ვაჟი დააქორწინა ყოვალთა მთავრის ასულ ელისაბედზე (Engel, 2001: 105) კი არანაირი გავლენა არ ჰქონია.

დავითის ისტორიკოსის ცნობით ყოვალეებმა რამდენჯერმე სცადეს მეფის მოკვლა (მეტრეველი, 2008: 346). ჩანს, ყოვალეებს მეფის მიმართ გარკვეული უკმაყოფილება ჰქონიათ. ჩვენი ვარაუდით, უკმაყოფილების მიზეზი მათი განსახლების საკითხი შეიძლება ყოფილიყო. უნგრეთში ყოვალეებმა კომპაქტური დასახლებები შექმნეს, რომლებიც ცნობილია დიდი კუმანიისა და მცირე კუმანიის სახელით. ყოვალთა გაფანტულად დასახლებით უნგრელი მეფეები მიზნად ისახავდნენ ადგილობრივ მოსახლეობაზე ყოვალთა მმართველური თავდასხმების შემცირებას. რამდენად შესაძლებელი იქნებოდა ამ მიზნის მიღწევა? საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ ყოვალეები სხვადასხვა ტერიტორიაზე დაასახლეს, როგორც შიდა ისე განაპირა მხარეებში, ადგილი ჰქონდა მათ მიერ ადგილობრივი მოსახლეობის დატყვევებას, რომელთაც მეფე შემდეგ გამოისყიდიდა გარკვეული საფასურის სანაცვლოდ. დავითის ისტორიკოსი, მიუხედავად იმისა, რომ დადებითად აფასებს დავით აღმაშენებლის მიერ ყოვალთა ჩამოსახლებას, თხზულების ბოლოს მაინც აღნიშნავს იმ სირთულეებზე, რომლებიც ყოვალთა საქართველოში დასახლებამ გამოიწვია: *„ვინ აღრაცხნეს ტყუენი, რომელნი მან განათავისუფლნის და რომელნი უკუმოიკსნნის თვსთა ყოვალყთაგან ფასითა“*, – წერს დავითის ისტორიკოსი (მეტრეველი, 2008: 338). როგორც ჩანს, ყოვალთა მიერ ქართული მოსახლეობის შეპყრობისა და დატყვევების ფაქტები არც თუ იშვიათი იყო. გაფანტულად ცხოვრებას ხელი არ შეუშლია ყოვალთათვის თავი დაენებებინათ თავიანთი საქმიანობისთვის, თუმცა მნიშვნელოვნად შეიძლება შემცირებულიყო მათი მმართველური რეიდები ადგილობრივ მოსახლეობაზე. ყოვალთა ძარცვა-რბევამ არ მიიღო ისეთი მასშტაბური ხასიათი საქართველოში, როგორც უნგრეთში. საქართველოში მყოფ ყოვალეებს მეფესთან ერთად თუ დამოუკიდებლად ხშირად უწევდათ მარბიელი რეიდების მოწყობა მეზობელ მუსლიმურ სახელმწიფოებზე, რაც მათ საკმარისი შემოსავლით უზრუნველყოფდა და თავად მეფეც ზრუნავდა ყოვალეებზე როგორც საბრძოლო აღჭურვილობისა და იარაღის, ისე ცხენებისა და საქონლის კუთხით. უნგრეთში დიდი კუმანიისა და მცირე კუმანიის გეოგრაფიული მდებარეობა (ორივე დასახლება ქვეყნის შიდა ტერიტორიაზე მდებარეობს), განაპირობებდა ყოვალთა ძარცვა-რბევის ობიექტად ადგილობრივი მოსახლეობის ქცევას. ყოვალეები მიწათმოქმედებას თავად არ მისდევდნენ და მიწათმოქმედების პროდუქტებს ძარცვა-რბევით მოიპოვებდნენ. პიტერ გოლდენი აღნიშნავს, რომ ყოვალეებს თავიანთი პოლიტიკური ძლიერების პერიოდში და ხელსაყრელ ვითარებაში მიწათმოქმედების პროდუქტებისა და სხვა მოხმარების საგნების მოპოვება მარბიელი რეიდების მოწყობით უფრო აკმაყოფილებდათ (Golden, 1984: 63). ლაშა-გიორგის დროინდელი მემატთანე აღნიშნავს: *„ოვსმან, მთიულმან და ყოვალყმან და სუანმან ვერ იკადრიან პარვა“* (მეტრეველი, 2008: 354). მართალია ეს კონკრეტული ცნობა გიორგი III-ის მეფობის პერიოდს ეხება, მაგრამ წარმოაჩენს რომ ყოვალთათვის ქურდობა დამახასიათებელი იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში მემატთანეს არ დასჭირდებოდა ამ ფაქტის სპეციალურად აღნიშვნა.

ყივჩაღთა განსახლება საქართველოსა და უნგრეთში განსხვავებულად მოხდა, რისი მიზეზიც შეიძლება, აგრეთვე, ყოფილიყო გეოგრაფიული ფაქტორი. ყივჩაღთათვის ხელსაყრელ საცხოვრებელ ტერიტორიას ვაკე ადგილები წარმოადგენდა, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავდა მათ დასახლებას მთიან რეგიონებში. უნგრეთის ტერიტორიები ამ მხრივ ბევრად ხელსაყრელი იყო ყივჩაღთათვის და შეეძლოთ ჯგუფურად დასახლება. საქართველოში კი მათ სხვადასხვა ტერიტორიებზე გადანაწილება მოუწიათ. დავითმა გამოუყო მათთვის ხელსაყრელი ადგილები: *„დააყენა ადგილთა სამათოდ მარჯვეთა“* (მეტრეველი, 2008: 320). თავისუფლად შეიძლება ეს ადგილები ქვეყნის სხვადასხვა მხარეში ყოფილიყო, რომლებიც შესაფერისი იქნებოდა ყივჩაღთა ცხოვრების წესისათვის. გეოგრაფიული ფაქტორი ხელს შეუწყობდა დავით აღმაშენებლის გადაწყვეტილებას მათი გაფანტულად დასახლების შესახებ. ბუნებრივი გარემო მეფის სასარგებლოდ მოქმედებდა.

გარდა ყივჩაღთა განსახლების საკითხისა, მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ დავითის პოლიტიკა ყივჩაღთა მიმართ. დავით აღმაშენებელს, სანამ ყივჩაღებს ჩამოასახლებდა, როგორც ჩანს, მათ შესახებ წინასწარვე შეეგროვებინა ცნობები, რაც მეფის წინდახედულ, გააზრებულ და ფრთხილ პოლიტიკაზე მეტყველებს. დავითის მემკვიდრე წერს: *„ამან მეორემან ალექსანდრე განიზრახა სივრცითა გონებისათა, – რამეთუ სხუებრ არა იყო ღონე, და უწყოდა კეთილად ყივჩაღთა ნათესავისა სიმრავლე და სიმწუნე წყობათა შინა, სისუბუქე მიმოსვლისაჲ, სიფიცხლე მიმართებისაჲ, ადვილად დასამჭირველობაჲ და და ყოვლითურთ მომზაველობაჲ ნებისა თვისისა“* (მეტრეველი, 2008: 318-319). მეფეს გააზრებული ჰქონდა როგორც დამატებითი სამხედრო ძალის საჭიროება, ისე ყივჩაღთა თვისებები. ყივჩაღებთან ურთიერთობის დამყარებასა და მათთან დაახლოებას ისახავდა მიზნად დავითის ქორწინება ყივჩაღთა მთავრის ათრაქა შარადანის ძის ქალიშვილ გურანდუხტზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ დავით აღმაშენებელი არა მარტო იცნობს ყივჩაღთა საბრძოლო შესაძლებლობასა და მათი ცხოვრების წესს, არამედ კარგად იცის პოლიტიკური ვითარება და არსებულ მდგომარეობას სათავისოდ იყენებს. ყივჩაღების სამხედრო პოლიტიკური ვითარების გამწვავება გამოიწვია ვლადიმირ მონომახის პოლიტიკამ, რომელმაც შეძლო რუსი მთავრების გაერთიანება ყივჩაღთა წინააღმდეგ. ვლადიმირის ლაშქრობებზე გადმოცემულია რუსული მატთანის ლავრენტთანულ ტექსტში და აღწერილია ის ზიანი, რაც ყივჩაღებს ამ ლაშქრობების შედეგად მიაღწიათ. ბრძოლებში დაკარგეს როგორც მნიშვნელოვანი მთავრები, ისე დიდძალი საქონელი (Hazzard Cross and Sherbowitz-wetzor, 1953: 201-202; 203-204).

ყივჩაღთა საქართველოში ჩამოსახლების შესახებ მოგვითხრობს ვოლინელი მემკვიდრე: *„იგი (რომანი) ეჯიბრებოდა თავის პაპას მონომახს, რომელმაც დაღუპა უწმინდური ისმაიტელნი, ყივჩაღებად წოდებულნი, განდევნა რა ოტროკი აფხაზეთში რკინის კარებს იქით, ხოლო სირჩანელნი, დონის მახლობლად დარჩენილნი, თევზით თავს ირჩენდნენ“* (ცინცაძე, 1956: 190; Perfecky, 1973: 17). წარმოდგენილი ცნობა ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ყივჩაღების საქართველოში ჩამოსახლება ვლადიმერ მონომახის დამსახურებაა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ დავითის ისტორიკოსის ცნობებს, რომ დავითმა კარგად იცოდა ყივჩაღთა ბუნება და საომარი შესაძლებლობები და, ასევე, ცნობა, რომ *„პირველ მრავალთა წელთაჲსა მიერ მოეყვანა სანატრელი და ყოვლად განთქმული სიკეთითა გურანდუხტ დედოფალი,*

შვილი ყივჩაყთა უმთავრესისა, ათრაქს შარაღანის ძისაჲ, სჯულიერად მეუღლედ თვსად და დედოფლად ყოვლისა საქართველოჲსა“ (მეტრეველი, 2008: 319), ჩანს, რომ ყივჩაღების ჩამოსახლება დავით აღმაშენებელს 1118 წლამდე გადაუწყვეტია. ყივჩაღთა მთავართან დანათესავება მხოლოდ ხელშემწყობი ფაქტორი იყო (მესხია, 1986: 36; მეტრეველი, 1990: 176). ზედმეტად გადაჭარბებულად მიიჩნევენ ვოლინელი მემატიანის ცნობას ვლადიმერ მონომახის ყივჩაღთა წინააღმდეგ ლაშქრობებზე მამუკა წურწუშია (წურწუშია, 2012: 184). ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ „რიგი დამარცხებების მიუხედავად, ყივჩაღთა გაერთიანებები მთელი XII საუკუნის განმავლობაში განაგრძობენ ცხოვრებას თავიანთი განსახლების ადგილებში. ადგილზე რჩება ყივჩაღთა დონის გაერთიანებაც, ათრაქს ძმის სირჩანის მეთაურობით, რასაც იგივე მემატიანეც ადასტურებს“ (წურწუშია, 2012: 184). ათრაქს ურდო რომ საკუთარი ნებით წამოვიდა ჯერ ჩრდილოეთ კავკასიაში და შემდეგ საქართველოში, კარგად ჩანს შემდეგი ცნობიდან: 1116 წელს იაროპოლკმა ილაშქრა ყივჩაღთა წინააღმდეგ და დაარბია მათი ქალაქები. ხოლო შემდგომ 1120 წელს, როდესაც კვლავ გაემართა მათ დასალაშქრად, ყივჩაღები ვეღარ იპოვა და უკან დაბრუნდა (ცინცაძე, 1956: 192). თუ ათრაქს ურდოს საქართველოში ჩამოსახლება ვლადიმერის ლაშქრობებით იყო გამოწვეული, მაშინ იაროპოლკს უნდა სცოდნოდა მათი გადასახლების შესახებ და, შესაბამისად, აღარ უნდა მოეწყო ლაშქრობა.

უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ ყივჩაღები ეკონომიკურად მძიმე მდგომარეობაში იყვნენ რუსთა ლაშქრობების გამო. მათი საქონლის უმეტესი ნაწილი ამ ბრძოლებში დაიკარგა. საცხოვრებლის გარდა დავით აღმაშენებელმა ისინი ცხენებითა და საქონლით აღჭურვა: *„ესენი (ანუ ყივჩაღები) განასრულნა ცხენებითა და საჭურველითა“* (მეტრეველი, 2008: 320). მოგვიანებით კი მეფემ ყივჩაღებს *„უჩინა საზამთროჲ სადგური და საზრდელი და კაცნი ზედა-მდგომნი მათნი“* (მეტრეველი, 2008: 329). გამოსაზამთრებელი ადგილების გამოყოფა მეტყველებს იმაზე, რომ ყივჩაღებმა მეფის დახმარებით კვლავ შეაგეს თავიანთი საქონლის ჯოგები. დავითის ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ ყივჩაღები საქართველოში ჩამოსახლებისას იყვნენ *„უპოვარნი“* (მეტრეველი, 2008: 318-319), რაც მათ სიღარიბესა და საქონლის ჯოგების სიმცირეზე მიუთითებს. ცხენებითა და საჭურველით მომარაგების აუცილებლობაც მეტყველებს მათ რთულ ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ყივჩაღთა ეკონომიკური ძლიერება, მათ ბრძოლისუნარიანობას ზრდიდა, რადგან ყივჩაღთა მთავარ სამხედრო ძალას ცხენოსანი მეომრები წარმოადგენდნენ. შესაბამისად, მათი ცხენებითა და საბრძოლო აღჭურვილობით მომარაგება სამხედრო თვალსაზრისით ორივე მხარისთვის სასარგებლო იყო.

დავით აღმაშენებლის ურთიერთობა ყივჩაღებთან ყოველთვის არ ყოფილა მშვიდობიანი ხასიათის. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ყივჩაღები ატყვევებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას და მეფეს მათი უკან გამოხსნა ფულით უწევდა. სამწუხაროდ, დავითის ისტორიკოსი არ ახსენებს დავითის მიერ გატარებულ რაიმე სადამსჯელო ღონისძიებას ყივჩაღთა ამ საქციელის გამო. ყივჩაღებს, დავითის ისტორიკოსისავე ცნობით, არაერთხელ უცდიათ მეფის ღალატი და მისი მოკვლაც კი, თუმცა მეფის საპასუხო ქმედება ისევ არ ჩანს (მეტრეველი, 2008: 346).

საინტერესოა, როგორი იყო ქართველი მოსახლეობის დამოკიდებულება ყივჩაღთა მიმართ. დავითის მემკვიდრე ალნიშნავს შემდეგს: „*და გამოიყვანა სიმრავლე ფრიად დიდი, სიმამრი და ცოლის ძმანი თჳსნი და არა ცუდად დაშურა, არცა უსაქმოდ იქნა გამოყვანებაჲ მათი, არამედ მათითა ჳელითა მოსრნა სრულიად სპარსეთისა ძალნი და დასცა შიში და ზარი ყოველთა მეფეთა ქუეყანისათა და მათითა თანა-ყოლითა ქმნა საქმენი დაურწმუნებელნი, ვითარცა ითქვას წაღმართ*“ (მეტრეველი, 2008: 320). ჯაბა სამუშიას აზრით, თხზულების ამ ნაწილში დავითის ისტორიკოსი თითქოს ეკამათება ვიღაცას, რაც იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ ყივჩაღთა ჩამოსახლებით ყველა კმაყოფილი არ იქნებოდა (სამუშია, 2021: 184). ქართველ დიდებულთა დამოკიდებულება ამ საკითხისადმი კარგად ჩანს მაშინ, როდესაც დიდებულებმა თამარ მეფეს მოსთხოვეს უგვაროების მაღალი თანამდებობიდან გადაყენება, რომელთაგან ერთ-ერთი იყო ნაყივჩაღარი ყუბასარი. მიუხედავად იმისა, რომ ყუბასარი, სავარაუდოდ, ყივჩაღთა შორის მაღალი სოციალური სტატუსის მქონე იყო (ყუბასარი მეთაურობს ყივჩაღთა ჯარს დემნა უფლისწულისა და ივანე ორბელის აჯანყების წინააღმდეგ გიორგი მეფის ბრძოლისას (მელიქსეთ-ბეგი, 1952: 60)), ქართველი დიდებულებისათვის ის უგვარო იყო.

არც უნგრელი დიდებულები იყვნენ კმაყოფილნი ყივჩაღთა უნგრეთში დასახლებით, რაც იმაში გამოიხატა, რომ მათ დახოცეს ყივჩაღთა მთავარი კუტენი და მისი ამალა (Master Roger, 2010: 173-75). ქართველი დიდებულთა მოტივიც აშკარაა, მათ არ სურთ თავიანთი გავლენის დამცრობა სამეფო კარზე, ყივჩაღთა ჩამოსახლების შემდეგ კი მეფეს მათგან დამოუკიდებლადაც შეეძლო მნიშვნელოვანი სამხედრო ღონისძიებების გატარება. გიორგი III-მ ნაყივჩაღარი ყუბასარი ისეთ მაღალ თანამდებობებზე დანიშნა, როგორც იყო ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი. ყუბასარის გავლენა და როლი ბევრად გაიზარდა, რაც თავისთავად ქართველი დიდებულების უკმაყოფილებას გამოიწვევდა.

მათეოს ურჰაეცის ცნობით დავითმა დიდგორის ბრძოლაში ყივჩაღთა მნიშვნელოვანი ნაწილი - 15 ათასი მეომარი გამოიყვანა (დავლიანიძე, 1966: 245-246). ეს ცნობა შეიძლება გადაჭარბებული მოგვეჩვენოს; შედარების მიზნით აღვნიშნავთ, რომ რუსული მატანიის ლავრენტიანულ ტექსტში ასევე დასახელებულია ყივჩაღთა 12 ათასიანი არმია, ხოლო ვლადიმირ მონომახი თავის ანდერძში ახსენებს ყივჩაღთა 8 ათასიანი არმიას (Hazzard Cross and Sherbowitz-wetzor, 1953: 148-149; 212). ძნელი სათქმელია რამდენად ზუსტია წყაროთა მიერ ყივჩაღთა რაოდენობის განსაზღვრა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ საჭიროების შემთხვევაში ყივჩაღებს შეეძლოთ დიდი არმიის გამოყვანაც. ისეთ მნიშვნელოვან ბრძოლაში, როგორც დიდგორის ბრძოლა იყო, არ არის გამორიცხული, რომ დავით აღმაშენებელს ყივჩაღთა საკმაოდ დიდი ლაშქარი გამოეყვანა. ქართველთათვის მნიშვნელოვან ბრძოლაში ყივჩაღებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ყივჩაღები მთლიანად იყვნენ დამოკიდებულები მეფეზე, შესაბამისად, მათი რაზმები უშუალოდ მეფის განკარგულებაში იმყოფებოდა და მეფე ნაკლებად იყო დამოკიდებული ფეოდალთა მიერ გამოყვანილ არმიაზე. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ დავითი საერთოდ აღარ იყენებდა ფეოდალურ ლაშქარს, მნიშვნელოვან ბრძოლებში მრავალრიცხოვან და მთავარ ძალას, ცხადია, ისევ ქართული არმია წარმოადგენდა.

ცივჩალები რომ უშუალოდ მეფეს ემორჩილებიან, მეტყველებს სტეფანოზ ორბელიანის ცნობა: „ხოლო მეფე გიორგი სჯდა ტვილისსა შინა, თვინიერ ძალთა და უწოდა რომელსამე ყიბჩაღს, რომელსა ეწოდა ყუბასარ, და ჰპოვა ჯარი ვიდრე ხუთ ათასამდე. და გარდა მისსა არავინ ჰყვა შემწედ“ (მელიქსეთ-ბეგი, 1952: 60). გიორგი III-ს ჯარი დემნა ბატონიშვილის აჯანყების ჩასახშობად სჭირდებოდა. ცივჩაღთა ჩამოსახლებით დავითმა შეიძინა ახალი სამხედრო ძალა, რომელიც ფლობდა ქართული არმიისგან განსხვავებულ საბრძოლო ტაქტიკას. ცივჩაღები მომთაბარე ხალხი იყო, ისევე, როგორც თურქ-სელჩუკები. შესაბამისად, მათი მომთაბარული ბრძოლის ტაქტიკა ქართულ არმიას მეტ ძალას შესძენდა და თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლა უფრო შედეგიანი გახდებოდა. თუ ერთ დროს თურქ-სელჩუკთა მარბიელი რაზმები არბევდნენ და მარცვავდნენ საქართველოს ტერიტორიებს, ამჯერად იმავეს ცივჩაღები ახორციელებდნენ მუსლიმურ სახელმწიფოებზე. ასეთი ლაშქრობები ცივჩაღთა ცხოვრების განუყოფელი ნაწილი და შემოსავლის მიღების მნიშვნელოვანი წყარო იყო, რაც დავით აღმაშენებელმა თავის სასარგებლოდ გამოიყენა.

საქართველოში ცივჩაღთა დასახლების საკითხის კვლევისას მნიშვნელოვანია მათი ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებაში. დავითის ისტორიკოსი ცივჩაღთა გაქრისტიანებაზე საუბრობს, „და თვთ ცივჩაყნიცა უმრავლესნი ქრისტიანე იქმნებოდეს დღითი-დღე და სიმრავლე რიცხვსა მხნე შეეძინებოდა ქრისტესა“ (მეტრეველი, 2008: 320). ნიშნავდა თუ არა ქრისტიანობის მიღება ცივჩაღთა გაქართველებას? ვფიქრობთ, რომ დავითის სიცოცხლეში ეს ვერ მოხდებოდა, რადგან ქრისტიანობას არ შეუცვლია მათი ცხოვრების წესი სამხედრო-პოლიტიკურ თუ სოციალურ და რელიგიურ სფეროში. ცივჩაღთა რწმენა-წარმოდგენებზე საუბრისას მამუკა წურწუშია აღნიშნავს, რომ ქრისტიანობა მხოლოდ დაემატა მათ რწმენა-წარმოდგენებს და სინკრეტული ხასიათი მიიღო (წურწუშია, 2013: 165). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტიანობის მიღება მათ გაუადვილებდათ ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრებას. ჯაბა სამუშია მიიჩნევს, რომ ცივჩაღთა გაქრისტიანება არ უნდა მომხდარიყო ძალდატანებით, დავითის მეთაურობით აღნიშნავს, რომ მათი უმრავლესობა გაქრისტიანდა, დარჩენილი ნაწილი კი თავის რწმენას ინარჩუნებდა (სამუშია, 2021: 108). ჩანს მეფე ფრთხილ პოლიტიკას ატარებდა, არ სურდა ცივჩაღთა უკმაყოფილების გამოწვევა მკაცრი რელიგიური პოლიტიკით, ქრისტიანობის მიღება ცივჩაღთათვის ნებაყოფლობითი უნდა ყოფილიყო. მათთვის ახალი რელიგიის მიღება არ წარმოადგენდა სირთულეს, ეს მათთვის უფრო პოლიტიკური ნაბიჯი იყო, ვიდრე სარწმუნოებრივი, რადგან ქრისტიანობის მიღებით მათი ურთიერთობები ადგილობრივ მოსახლეობასთან და მეფესთან უფრო მყარი გახდებოდა და მეტი სარგებლის მიღებას შეძლებდნენ. იგივე სურათია უნგრეთშიც, სადაც დასახლებული ცივჩაღები მეფე ბელას საცხოვრებელი ტერიტორიების სანაცვლოდ ქრისტიანობის მიღებასა და მორჩილებას აღუთქვამდნენ (Master Roger, 2010: 137-141). აქაც ნათლად ჩანს მათი პოლიტიკური მოტივი: ისინი, მონღოლთაგან განდევნილნი, თავშესაფარს უნგრეთში ეძიებდნენ და ჩანს, კარგად იცოდნენ როგორც პოლიტიკური, ისე რელიგიური ვითარება, რის გამოც ქრისტიანობის მიღებას უპრობლემოდ დათანხმდნენ. უნგრეთის მეფე ბელა IV-მ თვითონ მონათლა ცივჩაღთა მთავარი კუტენი (Master Roger, 2010: 155). შეიძლება ითქვას, რომ ცივჩაღთა მიერ ქრისტიანობის მიღება, იყო ეს პოლიტიკური თუ რელიგიური მოტივით განპირობებული,

დააჩქარებდა მათ დაახლოებას ადგილობრივ მოსახლეობასთან, თუმცა ეს ხანგრძლივი პროცესი იქნებოდა.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ ყივჩაღთა დამოკიდებულებაზე მშობლიური სტეპების მიმართ. ვოლინელ მემატინეს დაცული აქვს ცნობა, რომლის მიხედვითაც სირჩანი, ათრაქას ძმა, აგზავნის საქართველოში მეზუკე ორევას, რომელსაც ავალებს გადასცეს შემდეგი რამ ოტროკს (ასე მოიხსენიება რუსულ წყაროებში ათრაქა შარაღანის ძე): „ვლადიმერი უკვე მკვდარია, დაბრუნდი და მოდი შენს ქვეყანაში. გადაეცი ეს ჩემი სიტყვები მას, უმღერე ყივჩაღური სიმღერები; და უკეთუ არ ისურვოს წამოსვლა, მიეცი მას საყნოსავად ჯადო მწვანელი ევშანი“ (ცინცაძე, 1956: 190). ათრაქამ მართლაც არ ისურვა დაბრუნება და ორევმა მიაწოდა ჯადო მწვანელი ევშანი, რის შემდეგაც აცრემლებულმა ოტროკმა თქვა: „უმჯობესია ჩემი ქვეყნის მიწაში ჩონჩხად ქცეული ჩავწვე, ვიდრე უცხოეთში დიდებით ვიცხოვრო“. და დაბრუნდა იგი თავის ქვეყანაში (ცინცაძე, 1956: 190). წარმოდგენილი ცნობიდან ჩანს, ყივჩაღებს აქვთ მშობლიური ტერიტორიისადმი განცდა. ისინი ხომ უკვე მრავალი წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ სამხრეთ რუსეთის სტეპებში. თუმცა, თავიდან ათრაქას არ სურდა წასვლა. მოვლენათა ასეთ განვითარებას არც სირჩანი გამორიცხავს. ათრაქას ასეთი პოზიცია უნდა მიუთითებდეს იმ ფაქტზე, რომ ყივჩაღები საქართველოში კარგად და უზრუნველად ცხოვრობდნენ. ათრაქას დაბრუნებას ხელი შეუწყო მათი მთავარი მოწინააღმდეგის, ვლადიმერ მონომახის სიკვდილმა, აგრეთვე დავით აღმაშენებლის გარდაცვალებამაც.

ჯაბა სამუშია აღნიშნავს, რომ დემეტრე I არ იქნებოდა კეთილად განწყობილი ყივჩაღთა მთავრისადმი, რადგან არსებობდა საფრთხე, რომ დემეტრეს ძმა ვახტანგი, რომელიც დავითს ყივჩაღი დედოფლისგან ჰყავდა, მის წინააღმდეგ გამოსულიყო, ყივჩაღები კი თავისთავად ვახტანგს დაუჭერდნენ მხარს (სამუშია, 2021: 110). დავითის გარდაცვალების შემდეგ დემეტრე I-თან დაძაბულ ურთიერთობას არანაკლები როლი უნდა შეესრულებინა ყივჩაღთა მშობლიურ სტეპებში დაბრუნებაში. ალბათ, ყივჩაღთა გარკვეული ნაწილი, შეიძლება ნახევარიც კი, დარჩა საქართველოში. თუმცა, დემეტრეს მეფობის პერიოდში მათი სამხედრო-პოლიტიკური გავლენა მეტად სუსტია, ვახტანგის გამოსვლა დემეტრეს წინააღმდეგ წარუმატებლად დასრულდა, რაც შესაბამისად აისახა ყივჩაღთა მდგომარეობაზეც. ისინი არ ჩანან დემეტრეს მიერ წარმოებულ ბრძოლებში. უკვე გიორგი III-ის დროს კი მათ კვლავ დაიბრუნეს გავლენა და აქტიურად ჩანან სამხედრო-პოლიტიკურ მოვლენებში.

ამრიგად, ყივჩაღთა საქართველოში ჩამოსახლებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურ განვითარებაში. დავით აღმაშენებელმა მათი დახმარებითაც შეძლო საბოლოოდ განედევნა თურქ-სელჩუკები ქვეყნიდან. მიუხედავად იმისა, რომ მათ ჩამოსახლებას ახლდა სირთულეები, რაც უმეტესწილად მათი გაფანტულად განსახლებით უნდა იყოს გამოწვეული. სხვა მხრივ მეფე მათ ყველანაირად უზრუნველყოფდა, როგორც სამოვრებით, ისე საქონლით, ცხენებითა და შეიარაღებით. მიუხედავად გარკვეული სირთულეებისა, ყივჩაღთა სამხედრო ძალამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოს გაძლიერებას სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით. შესაბამისად, დავითის გადაწყვეტილება ყივჩაღთა ჩამოსახლების შესახებ შეიძლება შეფასდეს დადებით მოვლენად.

გამოყენებული ლიტერატურა და ბიბლიოგრაფია:

- დავლიანიძე, ლ. (1966). მათეოს ურჰალის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ. კრ. საქართველო რუსთაველის ხანაში. თბილისი. „მეცნიერება“.
- კაკაბაძე, ს. (1982). დიდგორის ომი. თბილისი. „განათლება“.
- მარგიშვილი, ს. (2006). მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ. ომი სელჩუკთა სამყაროს წინააღმდეგ. თბილისი. „სიესტა“.
- მელიქსეთ-ბეგი, ლ. (1952). სტეფანე სივნიელის „ორბელთა ისტორიის“ ქართული ვერსია. *საისტორიო მოამბე*. ტ. 6. თბილისი. საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველო.
- მესხია, შ. (1986). ძლევაი საკვირველი. საისტორიო ძიებანი. 3. თბილისი. „მეცნიერება“.
- მეტრეველი, რ. (2002). დავით აღმაშენებელი. მეფე თამარი. თბილისი. „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
- მეტრეველი, რ. (2008). ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიაზე. თბილისი. „მერიდიანი“. „არტანუჯი“.
- მეტრეველი, რ. (2008). ცხორებად მეფეთ-მეფისა დავითისი. თბილისი. „მერიდიანი“. „არტანუჯი“.
- სამუშია, ჯ. (2021). დიდგორის ბრძოლა „ძლევაი საკვირველი“. თბილისი. „პალიტრა L“.
- სტეფანაძე, ჯ. (1984). სად წავიდნენ ყივჩაღები? *მნათობი*. N 8. თბილისი. „საქართველოს ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა“.
- ჩხატარაიშვილი, ქ. (1966). უცხოელები XII საუკუნის საქართველოს ლაშქარში. კრ. საქართველო რუსთაველის ხანაში. თბილისი. „მეცნიერება“.
- ცინცაძე, ი. (1956). ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიიდან. თბილისი. გამომცემლობა „თსუ“.
- წურწუმია, მ. (2012). ყივჩაღთა საკითხისათვის XII საუკუნის დასაწყისის ქართულ პოლიტიკაში. *თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები*. 6. თბილისი. გამომცემლობა „თსუ“.
- წურწუმია, მ. (2013). ვანისა და ზურტაკეტის სამარხები როგორც წყარო შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის. *საისტორიო კრებული*. 3. თბილისი. „მხედარი“.
- ჯავახიშვილი, ი. (1983) ქართველი ერის ისტორია. 2. თბილისი. „მეცნიერება“.
- Engel, P. (2001). *The Realm of St. Stephen. A History of Medieval Hungary. 895-1526*. London, New York. I.B. Tauris publishers.
- Golden, P. B. (1984). *Cumanica I: The Qipcaqs in Georgia. Archivum Eurasiae Medii Aevi*. IV. Wiesbaden.
- Hazard Cross, S., Sherbowitz-wetzor, Olgerd P. (1953). *The Russian Primary Chronicle*. Cambridge, Massachusetts.
- Master Roger. (2010) *Epistle to the Sorrowful Lament upon the Destruction of the Kingdom of Hungary by the Tatars*. Translated by János M. Bak and Martyn Rady. Budapest. Central European university press.

Perfecky, G. A. (1973). The Hypathian Codex. Part II. The Galician-Volynian cronicle. Harvard series in Ukrainian studies. Vol. 16. II.

Simon De Keza. (2017). Gesta Hunnorum et Hungarorum. https://kupdf.net/download/simon-de-keza-gesta-hunnorum-et-hungarorum_58d53d77dc0d607f33c34693_pdf ნახვის დრო: 17.05.2021.

Tarján, T. (1993). Képes Krónika. Fordította Geréb László. Magyar Hírlap és Maecenas Kiadó.

Nino Kakalashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Georgia and Qipchaqs in the Age of David Aghmashenebeli

Summary

The presented article discusses the settlement of the Qipchaqs (Cumans) in Georgia during the reign of David Aghmashenebeli. The main issue concerns the settlement of the Qipchaqs, with various opinions existing on the matter. The Qipchaqs were settled in both internal and border areas of the country. This kind of settlement became the reason for their dissatisfaction.

King David provided the Qipchaqs with the territories for settlement, herds of cattle, horses and weapons. Qipchaqs often marched against neighbouring Muslim states of Georgia and they also participated in the most important battle, such as the battle of Didgori. Their military forces proved very effective for Georgia.

There were tensions arising between Georgians and Qipchaqs, with the latter capturing Georgians and attempting treachery against the king.

Qipchaqs, settled in Georgia, converted to Christianity, which was due to political rather than religious motives. This helped to integrate into Georgia community more easily.

ძველი ქართული ნარატიული წყაროები
(მოკლე მიმოხილვა)*

როგორც ცნობილია, ბოლანდისტთა მიერ *Acta Sanctorum*, ანუ წმინდანთა აქტების გამოცემისა⁴⁰ და ჰუმანიტარულ მეცნიერებაში *Geschichtsschreibung*, ანუ ისტორიოგრაფიისა და *Geschichtswissenschaft*, ანუ ისტორიული მეცნიერების, მიზნებისა და ამოცანების ფორმულირების და მათ შესასწავლად *Hilfswissenschaft*, ანუ დამხმარე მეცნიერების გამოყენების აუცილებლობის განსაზღვრის⁴¹ შემდეგ ჰუმანიტარია კაცობრიობის ისტორიული და კულტურული მეხსიერების ჩამოყალიბების პროცესის ამსახველი ორი უმთავრესი წერილობითი დარგის, ჰაგიოგრაფიისა და ისტორიოგრაფიის, არსის, ურთიერთმიმართებისა და ურთიერთზეგავლენის საზღვრებს ადგენს. ამასთან, თუკი XIX-XX საუკუნეების განმავლობაში ჰუმანიტართა უმეტესობა ცდილობდა მკაცრად გაემიჯნა ამ ორი დარგისათვის დამახასიათებელი ჟანრობრივი, სახეობრივი, თუ ფორმისეული თავისებურებანი ერთმანეთისგან, თანამედროვე მეცნიერები სულ უფრო მეტად იხრებიან იმ აზრისკენ, რომ ძნელია ზუსტი ზღვარი გაავლო ამ წყაროთა დარგობრივ, თუ ჟანრობრივ, თავისებურებათა შორის. ამიტომ, ამ სახის გვიან ანტიკური და შუა საუკუნეების წერილობითი ძეგლების შესასწავლად თანამედროვე მეცნიერება მათ ერთ ჯგუფად გაერთიანებას და *ნარატიული წყაროებად* სახელდებას გვთავაზობს.⁴²

ნარატიული ელემენტი ისტორიული წყაროს განუყოფელ ნაწილად ჯერ კიდევ ანტიკურ სამყაროში იქცა და ტექსტში ეპიკური და ფოლკლორული ელემენტების სიჭარბის წყალობით მას ლიტერატურული ნაწარმოებისათვის დამახასიათებელი თვისებები შესძინა გვიანანტიკურობასა და შუა საუკუნეებში ისტორიოგრაფიულ ნაწარმოებთა ნაწილმა

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი FR-21-660].

⁴⁰ Gábor Klaniczay, “Hagiography and Historical Narrative,” in M. Bák and Ivan Jurković, eds., *Chronicon: Medieval Narrative Sources. A Chronological Guide with Introductory Essays*. Brepols Essays in European Culture 5. (Turnhout: Brepols, 2103; შემდგომ - *Chronicon*), 111-118, at 113

⁴¹ “Modern surveys of the history of historiography tend to distinguish between pre-modern “historiography” (*Geschichtsschreibung*) and modern “historical science. (*Geschichtswissenschaft*)...” Hans-Werner Goetz, “The “methodology” of medieval chroniclers,” in *Chronicon*, 25-33, at p. 25; “[T]he emergence of modern historical scholarship, and its vast source collections based on the new archivist’s craft of *Hilfswissenschaften* in the eighteenth and nineteenth century,” Gábor Klaniczay, “Hagiography and Historical Narrative,” 113

⁴² *Chronicon; Medieval Narrative Sources. A Gateway into the Medieval Mind*, ed. Ludo Milis, Werner Velbeke, and Jean Goussens. Medievalia Lovaniensia Series 1, Studia 24 (Leuven: Leuven University Press, 2004); Muriel Debié, “The Question of Genres in Hagiography and Historiography” in eadem, “Writing History as ‘Histories’: The Biographical Dimension of East Syriac Historiography,” in *Writing ‘True Stories.’ Historians and Hagiographers in the Late Antique and Medieval Near East*. eds. Arietta Papaconstantinou, Muriel Debié, and Hugh Kennedy. Cultural Encounters in Late Antiquity and the Middle Ages 9. Turnhout, Brepols, 2010, 43-75, at 44-46.

ანტიკური ისტორიოგრაფიის ეს მახასიათებლები შეინარჩუნა;⁴³ ამასთან, გვიან ანტიკურ ლიტერატურაში შემუშავდა ახალი ჟანრი, ჰაგიოგრაფია, რომელიც, ერთი მხრივ, ევსევი კესარიელის "საეკლესიო ისტორიის" მსგავსად მოციქულთა აქტების "ისტორიული" ამბების გადმოცემის გაგრძელებას ემსახურებოდა, ხოლო, მეორე მხრივ, ლიტერატურულ ჟანრობრივ კანონებს ემორჩილებოდა.⁴⁴ ალბათ ამიტომ, რომ XX საუკუნეში ჰუმანიტართა უმეტესობა "საეკლესიო ისტორიების" რაობას ყველაზე სადაოდ მიიჩნევდა და ხან ისტორიოგრაფიას, ხანაც ჰაგიოგრაფიას აკუთვნებდა.

ორივე ამ ჟანრის თხზულებათა ნარატიულ წყაროებად გაერთიანების ტენდენცია გარკვეულწილად ქართულ სინამდვილეში ივანე ჯავახიშვილის მიერ "ძველი ქართული საისტორიო მწერლობის" შედგენისას გამოყენებულ პრინციპებს ენათესავება. დიდმა ქართველმა მეცნიერმა ქართველთა ისტორიული მეხსიერების ჩამოყალიბების პროცესის ამსახველი ჰაგიოგრაფიული და ისტორიოგრაფიული წყაროები მთლიანობაში დაინახა და იმ პერიოდისათვის ისტორიოგრაფიის ანალიზისას მიღებული მეთოდოლოგიური მიდგომის საფუძველზე კომპლექსურად განიხილა.⁴⁵ იმავე მასალის ანალიზი შემოგვთავაზა არანაკლებ მნიშვნელოვანმა ქართველმა მკვლევარმა, კორნელი კეკელიძემ, რომელმაც ქართული ისტორიოგრაფიის ძეგლები „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“ ფარგლებში განიხილა.⁴⁶ ორივე მკვლევრის სამეცნიერო ნაშრომები გვიანი ანტიკური და შუა საუკუნეების ნარატიული წყაროების ამბივალენტურ ბუნებას უსვამს ხაზს და მათი შესწავლისას ინტერდისციპლინური ანალიზის გამოყენების აუცილებლობაზე მიგვითითებს.

აღსანიშნავია, რომ ნარატიულ წყაროთა ანალიზისათვის გამოყენებული თანამედროვე მიდგომათა უმეტესობა მიზნად არ ისახავს ჰაგიოგრაფიული და ისტორიოგრაფიული ნაწარმოებების ჟანრობრივი რაობის სიზუსტის დადგენას. მათ მიზანს უფრო მეტად ნარატიული წყაროებს ისტორიულობისა თუ ლიტერატურულობის კრიტერიუმების განსაზღვრა წარმოადგენს. ასე, ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებთა "ისტორიულობის" განსაზღვრისას თანამედროვე მკვლევარნი არა იმდენად ნაწარმოებში აღწერილი ამბების რეალურობის დადგენაზე ამხვილებენ ყურადღებას, არამედ მასში ტოპოსური ელემენტების განცალკევების აუცილებლობასა და მასში შეტანილი ცნობების მნიშვნელობაზე ისტორიული

⁴³ Stephanos Euthymiadis, "Byzantine History-Writers and Their Representation of History," in *Chronicon*, 69-79; გურამ მამულაია. „ლეონტი მროველის და ჯუანშერის წყაროები: ფალაური ეპოსი ლეონტი მროველის და ჯუანშერის საისტორიო თხზულებებში. წყაროს სტრუქტურული ანალიზი,“ *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე* 4 (1964): 243-275.

⁴⁴ Gretchen E. Minton, "The same cause and like quarrel": Eusebius, John Foxe, and the Evolution of Ecclesiastical History," *Church History* 71 / 4 (2002): 715 – 742.

⁴⁵ ივანე ჯავახიშვილი, *თხზულებანი 12 ტომად*. ტ. 8: *ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლად*. ნაწ. I. *ძველი ქართული საისტორიო მწერლობა*. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1977 (პირველი გამოცემა: თბილისი: ალ. ჯაბადარი (ქართული ამხანაგობის სტამბა, 1916).

⁴⁶ კორნელი კეკელიძე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*. ტ. 1. შევსებული გამოცემა: თბილისი: მეცნიერება, 1980 (პირველი გამოცემა (განსხვავებული სათაურით): თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1923); მისივე, "საისტორიო მწერლობა" წიგნში: მისივე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*. ტ. 2. (თბილისი, თსუ გამომცემლობა 1958), 249-305 (პირველი გამოცემა (განსხვავებული სათაურით): თბილისი: საქართველოს ცენტრალური არქივის გამომცემლობა, 1924).

და კულტურული ანთროპოლოგიისათვის, უფრო ზუსტად კი მენტალობის, ყოველდღიური ცხოვრების, რიტუალებისა და ა.შ. ისტორიისათვის.⁴⁷

ნარატიული წყაროების განხილვისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ტექსტები უპირველესად ისტორიული მეხსიერების ფორმირებას ემსახურება. როგორც ვიცით, ორიგინალური ქართული მწერლობის ისტორია V საუკუნეში ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების შექმნით იწყება;⁴⁸ ამასთან, ჩვენამდე არ შემონახულა არც ერთი ისტორიოგრაფიული ტექსტი, რომელიც შეგვიძლია დაზუსტებით დავათარილოთ VII-IX საუკუნეზე უფრო ადრეული პერიოდით. სწორედ ამ პერიოდითაა განსაზღვრული ნახევრად ისტორიოგრაფიული, ნახევრად ჰაგიოგრაფიული ნარატივის (მე კი მას საეკლესიო ისტორიოგრაფიის ნიმუშს ვიწოდებდი) - *მოქცევაჲ ქართლისაჲ-ს* დაწერის დრო⁴⁹ (თუმცაღა,

⁴⁷ მაგალითისათვის მხოლოდ რამდენიმე ნაშრომს დავასახელებ: Anthony J. Woodman, *Rhetoric in Classical Historiography. Four Studies* (London and NY: Routledge, 1988); Gabrielle M. Spiegel, *The Past as Text: The Theory and Practice of Medieval Historiography*. Parallax_ Re-visions of Culture and Society Baltimore and London: The Johns Hopkins University Press, 1997); *Historiography. Critical Concepts in Historical Studies*. Ed by Robert M. Burns Vol 1. Foundations; Vol. 2 Society; Vol. 3. Ideas; Vol. 4. Culture; Vol. 5. Politics (London and NY: Routledge, 2006); *Turning Points in Historiography. A Cross-Cultural Perspective* ed. by Q. Edward Wang and Georg G. Iggers. Rochester Studies in Historiography 1 (Rochester, NY: Boydell and Brewer, The University of Rochester Press, 2002); *Historiography and Identity I: Ancient and Early Christian Narratives of Community*. Ed. by Walter Pohl and Veronica Weiser. Cultural Encounters in Late Antiquity and the Middle Ages 24 (Turnhout: Brepols, 2019); *Historiography and Identity II: Post-Roman Multiplicity and New Political Identities*. Ed. by Gerda Heydemann and Helmut Reimitz. Cultural Encounters in Late Antiquity and the Middle Ages 27 (Turnhout: Brepols, 2020); *Historiography and Identity III: Carolingian Approaches*. Ed. by Rutger Kramer, Helmut Reimitz, and Graeme Ward. Cultural encounters in late antiquity and the Middle Ages 29 (Turnhout: Brepols, 2021); *Historiography and Identity IV. Writing History Across Medieval Eurasia*. Ed. by Walter Pohl and Daniel Mahoney. Cultural Encounters in Late Antiquity and the Middle Ages 30 (Turnhout, Brepols, 2021); *Historiography and Space in Late Antiquity*, ed. by Peter van Nuffelen (Cambridge: Cambridge University Press, 2019).

⁴⁸ ჯავახიშვილი, *საისტორიო მწერლობა*, 56; კეკელიძე, *ლიტერატურის ისტორია* I, 113.

⁴⁹ *მოქცევაჲ ქართლისაჲ-ს*თან დაკავშირებით გამოთქმული მნიშვნელოვანი მოსაზრებანი თავმოყრილია კრებულებში: *წმინდა ნინო. საისტორიო კრებული* I. რ. სირაძე და სხვ., რედ., (თბილისი: არტანუჯი, 2008); *წმინდა ნინოს ცხოვრება და ქართლის მოქცევა*, ს. მახარაშვილი და სხვ., რედ., (თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტი, 2009); G. Shurgaia, ed., *Santa Nino e la Georgia. Storia e spiritualita cristiana nel Paese del Vello d'oro*. Atti Del I convegno international de studi Georgiani. Roma, 30 Genasio 1999 (Rome: PAA-Edizioni Antonianum, 2000).

იხ. აგრეთვე: ზაზა ალექსიძე, «*მოქცევაჲ ქართლისაჲ*» და მისი სინური რედაქციები. (თბილისი: საქართველოს საპატრიარქო, 2007); Steven Rapp Jr. and Grego Paul, “*The Conversion of K’art’li: The Shatberdi Variant, Kek. Inst. S-1141.*” *Le Museon* 119 (2006): 169-225; Steven Rapp, Jr., *The Sasanian World through Georgian Eyes Caucasia and the Iranian Commonwealth in Late Antique Georgian Literature* (Farnham, Ashgate, 2014). Chapter 2, “*St Nino Cycle,*” 105-168, განს. 105-108; მისივე, *Studies in Medieval Georgian Historiography: Early Texts and Eurasian Contexts*. Corpus Scriptorum Christianorum Orientalium, vol. 601, subsidia, vol. 113. (Louvain: Peeters, 2003), 32-36; B. Martin-Hisard, «*Jalons pour une histoire du culte de Sainte Nino (fin IVE–XIIIe s.),*» in J.-P. Mahé and R. W. Thomson, eds. *From Byzantium to Iran. Armenian Studies in Honour of Nina G. Garsoïan*. Occasional Papers and Proceedings 8 (Atlanta, GA: Scholars Press, 1997), 53–78.

მეცნიერთა ნაწილი ვარაუდობს, რომ ამ ტექსტის კომპოლაცია IV-დან IX საუკუნემდე მიმდინარეობდა;⁵⁰ ხოლო მისი ისტორიოგრაფიული ნაწილი VII-დან IX/X სს. უნდა დათარიღდეს⁵¹). ჩვენამდე მოღწეული საერო ისტორიოგრაფიის უადრესი ნიმუში უფრო გვიანდელია და მისი შექმნა, სავარაუდოდ, VIII საუკუნის შემდგომი პერიოდით უნდა დათარიღდეს. *ქართლის ცხოვრება*-ში შემავალი ორი საწყისი თხზულების, ანუ ლეონტი მროველისა და ჯუანშერის ნარატივები XI საუკუნეშია შექმნილი, თუმცა მკვლევართა აზრით, მათ მიერ გამოყენებული წყაროები უფრო ადრინდელია და VII-IX საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს.⁵²

როგორც ვხედავთ, ქართულ სინამდვილეში ისტორიოგრაფიული ჟანრის ტექსტები უფრო გვიანდელია, ვიდრე ჰაგიოგრაფიული. დაზუსტებით რთული სათქმელია, რატომ ხდება გვიან ანტიკურ და ადრეული შუა საუკუნეების ქართულ სამწერლობო ტრადიციაში ისტორიოგრაფიული ტექსტების უგულვებელპყობა. ეგება, ეს ტენდენცია ბიზანტიასთან კონფესიურ ერთობას უნდა დაუკავშიროთ? როგორც სირიული ქრისტიანობის ცნობილი მკვლევარი, მაურიელ დები აღნიშნავს, “წარსულის ფიქსაცია და ინტერპრეტაცია წარმოადგენდა სეპარატისტული ეკლესიისა და თემის ლეგიტიმაციის გაძლიერების აუცილებელ საშუალებას.”⁵³ თუმცაღა, არც ისაა გამორიცხული, რომ, როგორც უკვე

⁵⁰ ი. გიპერტი, « წმ. ნინოს ლეგენდა: განსხვავებულ წყაროთა კვალი, » *ენათმეცნიერების საკითხები* 1/2 (2006): 104-122, აქ 104-105. კირილ თუმანოვი ტექსტს VII საუკუნით ათარიღებს: Cyril Toumanoff, “Medieval Georgian Historical Literature (VIIth-XVth Centuries),” *Traditio* 1 (1943): 139-182, აქ 149-153. ბერნარ უტიეს აზრით VII საუკუნით უნდა დათარიღდეს მოქცევას საწყისი ტექსტის გადაკეთებული ვერსია: B. Outtier, “La Christianisation du Caucase,” in *Il Caucaso. Cerniera fra culture dal mediterraneo alla Persia (secoli IV-XI)*, Actes du colloque du Centre italien d’études sur le haut moyen-âge, 20-26 avril 1995, vol. I. Settimane di studio del Centro italiano di studi sull’alto Medioevo 43. Spolète, [n.l.], 1996, 553-568, at 565.

⁵¹ რევაზ სირაძე, “წმინდა ნინოს ცხოვრება” და დასაწყისი ქართული ჰაგიოგრაფიის (თბილისი: საქართველოს საპატრიარქო, 1997); მარიამ ჩხარტიშვილი, *ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები: “ცხოვრება წმიდისა ნინოსის”* თბილისი: მეცნიერება, 1987),

⁵² პავლე ინგოროყვა ლეონტი მროველს VIII საუკუნის ავტორად თვლიდა: პ. ინგოროყვა, “ლეონტი მროველი, ქართველი ისტორიკოსი მერვე საუკუნისა” *ენიძვის მოამბე* 10 (1941): 93-152; კორნელი კეკელიძე არ დაეთანხმა მის აზრს და დაასაბუთა, რომ ლეონტი XI საუკუნის ავტორია: კ. კეკელიძე, „ნინოს ცხოვრების მატანიისეული რედაქციის ავტორი,“ *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*. ტ. 2. (თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1945), 269-280; გიორგი მელიქიშვილმა აჩვენა, რომ მროველის ნაშრომი შეიცავს ნაწყვეტს, რომელიც VIII-IX საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს. გიორგი მელიქიშვილი, “საქართველოს ისტორიის უძველესი და ძველი ისტორიის წყაროები,” in *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. 1. რედ. გ. მელიქიშვილი (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1970), 52. იმავე ნასილს მანანა სანაძე VII-VIII სს. ათარიღებს მანანა სანაძე, “*ქართლის ცხოვრება*” და *საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი (ქართლოსიდან მირიანამდე)* (თბილისი: საქართველოს მაცნე, 2001), 174-175.

⁵³ “[T]he record and interpretation of the past was a necessary means of enforcing the legitimacy of the separatist Church and community.” Muriel Debié, “Syriac Historiography and Identity Formation,” in Bas ter Haar Romeny, ed. *Religious Origins of Nations? The Christian Communities of the Middle East*. CHRC 89.1-2. (Leiden/Boston: Brill, 2009), 93-114, at 94.

მრავალჯერ აღნიშნა ქართველ მეცნიერთა მიერ, იმ პერიოდისათვის ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების ისტორიოგრაფიის ნაწილად, უფრო ზუსტად კი ისტორიული მეხსიერების შექმნის თანაფარდ საშუალებად აღიქმებოდა.⁵⁴

ამასთან, თუკი ჰაგიოგრაფიული ჟანრის თხზულებების ქვე-კატეგორიები - მარტვილობანი, ცხოვრებანი, საქმენი და სასწაულთა აღწერა - საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისათვის ყოველთვის ჟანრობრივი სპეციფიკის გამომხატველი ზუსტი ტერმინით მიეწოდებოდა, ძველ ქართულ ისტორიოგრაფიულ კორპუსთან დაკავშირებით ამ თვალსაზრისით პრობლემური სიტუაციაა შექმნილი, რაზეც თუნდაც ქართლის ცხოვრების სათაურის თარგმანის სხვადასხვა ვარიანტი - *The Georgian Chronicles*,⁵⁵ *The Georgian Chronicles of K'arthlis Ts'khovreba: A History of Georgia*,⁵⁶ *K'art'lis c'xovreba. The Georgian Royal Annals*.⁵⁷

შესაბამისად, აუცილებელია გაგრძელდეს ჩვენამდე მოღწეული ქართული ისტორიოგრაფიული კორპუსის, ანუ სამეფო ხელისუფლების მიერ სანქციონირებული კრებულის, *ქართლის ცხოვრების* უცხოელ მკვლევართათვის ჩვეული და ბიზანტიურ-ლათინურ, სირიულ, თუ ისლამურ ისტორიოგრაფიასთან ანალოგიით განსაზღვრული ჟანრობრივი დეფინიციის ძებნა. ამისათვის კი, ვფიქრობ, უპრიანია გამოვიყენოთ სპარსული ისტორიოგრაფიის მკვლევრის, მიმი ჰანაკას მიერ აპრობირებული მეთოდოლოგია, რომელიც ისტორიული ტექსტის ანალიზისათვის კოორდინატთა სისტემის გამოყენებას გვთავაზობს, სადაც ერთ ღერძზე მოთავსებულია ფორმის, მეორეზე კი - შინაარსის განგრძობითობა.⁵⁸ მსგავსი მიდგომა საშუალებას გვაძლევს ერთმანეთისაგან განვასხვაოთ სხვადასხვა ფორმა და სპეციფიური შინაარსი ერთსა და იმავე ტექსტის ფარგლებში. ფორმა შეიძლება მოიცავდეს ნარატიულ ისტორიას, ქრონიკას, ანალებს, ნარატიულ ან ანალისტურ ქრონიკას, ბიოგრაფიას და ა.შ. შინაარსი შეიძლება შეიცავდეს უნივერსალურ, საეკლესიო, ეთნიკურ, ლოკალურ, ნაციონალურ და სხვ. ისტორიას. ამ გზით კონკრეტული ნარატიული

⁵⁴ ჯავახიშვილი მოიხმობს ვახუშტი ბაგრატიონს, რომელიც აღნიშნავს, რომ საისტორიო მწერლობა „განიყოფების ორად: საეკლესიოდ და სამოქალაქოდ.“ ჯავახიშვილი, *საისტორიო მწერლობა*, 30. ჯავახიშვილის აზრით, “მთელი ქართული საისტორიო მწერლობა, რომელმაც კი ჩვენამდე მოაღწია, წარმოიშვა მარტვლობათა და წმინდანთა ცხოვრებებიდან იქვე, 47.

⁵⁵ Robert Thomson, *Rewriting Caucasian History. The Medieval Armenian Adaptation of the Georgian Chronicle. The Original Georgian Text and the Armenian Adaptation*. (Oxford Oriental Monographs. Oxford: Clarendon, 1996)

⁵⁶ Roin Metreveli and Stephen Jones, eds., *Kartlis Tskhovreba. A History of Georgia. Translated and with Commentary*. (Tbilisi, Artanuju Publishers, 2014)

⁵⁷ *The Georgian Annals (= K'art'lis C'xovreba)*: Toumanoff, *Georgian Historical Literature*, 149; Steven Rapp, Jr, ed., *K'art'lis c'xovreba. The Georgian Royal Annals and Their Medieval Armenian Adaptation*. Vol. I. Delmar-NY: Caravan Books, 1998.

⁵⁸ “[T]o plot each particular historical writing on a grid, where one axis is a continuum of form, and the other - a continuum of content.” Mimi Hanaoka, “Perspectives from the Peripheries: Strategies for “Centering” Persian Histories from the “Peripheries,”” *Journal of Persianate Studies* 8, 2015, p. 1-22, at p. 2. ნორბერ კერსკენი აღნიშნავს, რომ :შუა საუკუნეების ნაციონალური ისტორიოები აღვწერთ ფორმისა და შინაარსის მეშვეობით (“Medieval national histories can be described in terms of form and of content”). Norbert Kersken, “National Chronicles and National Consciousness,” in *Chronicon*, p. 119-126, at p. 119.

წყაროს ანალიზი საშუალებას გვაძლევს ისეთი სიზუსტით მოვახდინოთ თითოეული ტექსტის სპეციფიურ თავისებურებათა განსაზღვრა, რომ ისინი გასაგები გახდეს სხვადასხვა კულტურული საფუძველის მქონე მკითხველისათვის.

მსგავსი მეთოდოლოგიის გამოყენების აუცილებლობაზე მეტყველებს თუნდაც ერთ-ერთი ტერმინის, „ლოკალური ისტორიის“ მნიშვნელობათა შორის სხვაობა კლასიკურ ბერძნულ, გვიან ანტიკურ, შუა საუკუნეების დასავლურ ქრისტიანულ და X-XV საუკუნეების სპარსულ-არაბულ ისტორიოგრაფიაში. თუკი კლასიკური ბერძნული ტრადიციისათვის ლოკალური ისტორია ქალაქ-სახელმწიფოს ნარატიულ ისტორიად მოიაზრებოდა,⁵⁹ გვიან ანტიკურ და შუა საუკუნეების დასავლურ ისტორიოგრაფიაში იგი აყო არა მხოლოდ *civitas* სახელმწიფოს ისტორია, არამედ ლოკალური ისტორიების სინთეზი, გადმოცემული *gesta martyrum, gesta episcoporum, gesta abbatum*-ის სახით, რამაც კულმინაციური ფორმა მიიღო *Liber Pontificalis* -ში. ამგვარი ნაწერის უმთავრესი მიზანი იყო ეკლესიის სიწმინდისა და ზეციურობის ჩვენება, რაც ადგილობრივ ისტორიას იმავდროულად ინსტიტუციონალურ ისტორიადაც აქცევდა.⁶⁰ რაც შეეხება შუა საუკუნეების ისლამურ სამყაროს, აქ ლოკალური ისტორია მოიაზრებდა ბიოგრაფიული ლექსიკონებისა და ნარატიული ქრონიკების კომბინაციას, რომელიც აგრეთვე მოიცავდა კარისა და დინასტიურ ისტორიოგრაფიას და გვიხატავდა იდენტობებს, რომლებიც იყო როგორც ლოკალური, აგრეთვე ცენტრალიზებული ფართო მუსლიმური *omma* (საზოგადება, თემი)-ს საშუალებით.⁶¹

თუკი ჩვენ ამ ტერმინს ქართული წყაროებთან მიმართებით გამოვიყენებთ, ვთქვათ, მისი გვიან ანტიკური და შუა საუკუნეების დასავლურ ეროპული მნიშვნელობით, თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ქართული ჰაგიოგრაფიული წყაროები მარტივოლოგიის, *liber episcoporum*, და *liber abbatum* კატეგორიაში მოთავსდება. როგორც ჩანს, შუა საუკუნეების ქართველი მწერლები ჰაგიოგრაფიული ჟანრის თხზულებებს სწორედ ამგვარად აღიქვამდნენ; ალბათ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ქართულ მწიგნობრულ ტრადიციაში ტერმინი - ცხოვრება (*vita*) - გამოიყენება როგორც ჰაგიოგრაფიული, აგრეთვე ისტორიოგრაფიული თხზულებების აღსანიშნავად.⁶²

⁵⁹ Daniel J. Tober, “The Autobiographical Community: Local Historiography in Classical and Hellenistic Greece.” Phd Dissertation. Department of Classics, Princeton University, 2013.

⁶⁰ “[S]howing the saintliness of a Church and thus the sacred character of all that it encompasses,” Michael Sot, “Local and Institutional History (300–1000),” in Deborah Mausekopf Deliyannis, ed. *Historiography in the Middle Ages*. Leiden–Boston, Brill, 2003, p. 89–114, at p. 112.

⁶¹ “[C]hallenge and reconfigure notions of what constitutes “central” or “peripheral” in the medieval Islamic world and articulate identities that are simultaneously deeply local yet enmeshed within the broader Muslim *omma*.” Hanaoka, “Perspectives from the Peripheries,” p. 2

⁶² ჯავახიშვილი, საისტორიო მწერლობა, 27.

ლეონტის *მეფეთა ცხოვრებაში* მოხსენიებულია ავტორის, ანდა მისი წინამორბედის მიერ გამოყენებული ორი უცხოური წყარო - *ცხოვრება ბერძენთა* და *ცხოვრება სპარსთა*: „ვითარცა წერილ არს ესე განცხადებულად ცხოვრებასა ბერძენთასა,“ „ვითარ წერილ არს ცხოვრებასა სპარსთასა.“ *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. 1 (თბილისი: სახელგამი, 1955), 17; ქართველ მეცნიერთა აზრით, *ცხოვრება ბერძენთა* უნდა

ვფიქრობ, ჰანაოკას კორდინატთა სისტემისეულ დეფინიციას უახლოვდება მარკა ლორთქიფანიძის დაკვირვება ქართლის ცხოვრების ტექსტზე. მკვლევარის თქმით, კრებული ოფიციალური ისტორიოგრაფიის იდეოლოგიას გამოხატავს.⁶³ „ქართლის ცხოვრება უფრო ... ნაციონალური ისტორიის მომთხრობი „ქრონიკის“ ტიპის საისტორიო თხზულებაა, მასთან მსგავსებას ამჟღავნებს რუსული „ლეტოპის“-ი ქართულად მათიანედ რომ ვთქვათ. მაგრამ ის, რასაკვირველია, ყველა ნაწილში ერთნაირი არ არის. უძველესი ისტორიის ამსახველი თხზულებები (ე. წ. მეფეთა ცხოვრება, ვახტანგ გორგასლის ისტორია), უფრო ეპიკური სტილის ნაწარმოებებია, მაღალი მხატვრული ღირსებების მქონე, მათში უხვადაა შესული ისტორიული გადმოცემები.“⁶⁴

როგორც ვხედავთ, ლორთქიფანიძე, ერთის მხრივ, განსაზღვრავს კრებულს როგორც კარის ოფიციალურ და ნაციონალურ ისტორიოგრაფიას; მეორე მხრივ კი მისი ჟანრობრივი დეფინიციაცაა მოცემული. ჩემი აზრით, ერთადერთ უზუსტობას საბჭოთა იდეოლოგიით ნაკარნახევი შედარება წარმოადგენს. როგორც ცნობილია, მიუხედავად იმისა, რომ летопись-ს ძირითადად ახასიათებენ, როგორც ნარატივს, რომელიც ეხმაურება ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიას და იყენებს ადგილობრივ ფოლკლორულ გადმოცემებს, თავად კრებულის სათაურიც კი - летопись, გულისხმობს, რომ მოვლენათა თხრობის ქრონოლოგიურ მარკერად გამოყენებულია სიტყვა “в лето. . .”, ანუ „წელსა...“⁶⁵ რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ იგი ან გვიანი ბიზანტიური ქრონიკის, ანარადა ანალისტური ქრონიკის სტილისტიკას უნდა მისდევდეს.⁶⁶

რაც შეეხება კარის ისტორიოგრაფიას, როგორც ცნობილია, შუა საუკუნეების ისტორიოგრაფია „ზოგადად ხასიათდება იდეით, რომ ისტორია დიდი ადამიანების მიერ იქმნება“ და „შესაბამისად, ეხება ძირითადად მეფეთა და იმპერატორთა, ან სხვა თანამედრობის (ეპისკოპოსებისა და აბატების) და მნიშვნელოვანი ფუნქციის მქონე პირთა (როგორც. მაგ.

წარმოადგენდეს ფსევდო-კალისტენეს *ალექსანდრიანს* (კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 255); რობერტ თომსონის აზრით, „არაა აუცილებელი, რომ წერილობით წყაროებზე მინიშნება იმას ნიშნავდეს, რომ ლეონტი მათ ციტირებას ახდენს ადრეული წერილობითი ვერსიიდან (როგორც, მაგ. *ხვადაი-ნამაკი*) და არა ზეპირი ტრადიციიდან“ (“[R]eference to written sources does not necessarily mean that Leonti actually is quoting from one of the earlier written versions (such as the *Xuday-namak*) rather than citing from oral tradition.” Thomson, *Rewriting Caucasian History*, p. 16, nt. 55.

⁶³ მარიამ ლორთქიფანიძე, *რა არის „ქართლის ცხოვრება“?* თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1989), 27

⁶⁴ იქვე, 96.

⁶⁵ სლავური ისტორიული კრებულის სახელწოდება ბერძნული *Chronographikon*-ის თარგმანს უნდა წარმოადგენდეს

⁶⁶ როგორც როლანდო მათი აღნიშნავს შუა საუკუნეების ქრონიკების ენციკლოპედიაში, „ამ ტექსტთა [ავტორის დეფინიციით, აღმოსავლეთ სლავთა ავტოქტონური ისტორიოგრაფია, რომლის უძველესი ტრადიცია მიდის კიევამდე, სადაც სხვადასხვა წყარო, რომელთა ნაწილი ლეგენდური იყო, შეიკრიბა, რათა კიევის რუსის ისტორია მოეთავსებინათ ქრისტიანული და ბიზანტიური ისტორიის ჩარჩოში - ი.ე.] უმეტესობა ანალისტურ ჩარჩოშია მოქცეული და მოცემულია რუს-ის ისტორია დაწყებული მეცხრე საუკუნიდან ქრონიკოსის დრომდე (“most of these texts described, in an annalistic framework, the history of the Rus’ from the ninth century up to the time when the Chronicler worked.”) R. Marti, “Slavia Orthodoxa,” in Graeme Dunphy and Cristian Bratu, eds., *Encyclopedia of the Medieval Chronicle*. vol. 2. Leiden: Brill, 2010, 1371-1374, at 1373 (შემდგომ - *Encyclopedia of the Medieval Chronicle*).

მისიონერების) საქმეებს, ზუსტად მათი ფუნქციის გამო.⁶⁷ ამდენად, შუა საუკუნეების ისტორიოგრაფია, რომელიც „ძირითადად პოლიტიკურ ისტორიად აღქმებოდა (ეკლესიის ისტორიის ჩათვლით) და მჭიდრო კავშირში იყო ინსტიტუციასთან (სამეფო, საეპისკოპოსო, მონასტერი, ქალაქი და ა.შ.⁶⁸), შესაბამისად, იგი *a priori* კარის ისტორიოგრაფია უნდა ყოფილიყო, სხვაობდა მხოლოდ „კარის“ გაგება.

ვინაიდან ქართლის ცხოვრებას ნამდვილად ატყვია „ოფიციალური“ სანქციონირების კვალი და ზოგადად ჩვენამდე მოღწეული ადრეული ქართული ისტორიოგრაფიული წყაროების სიმცირის გამო, ვფიქრობ, შესაძლებელია დავსვათ შეკითხვა, ხომ არ შეიძლება ქართულ ისტორიოგრაფიასთან მიმართებაში საქმე გვექონდეს წყაროების ეთიოპიური „ზაგვეს დინასტიური სანქციონირების“ მსგავს ფენომენტთან. როგორც ცნობილია, ეს დინასტია ეთიოპიაში აღზევდა XII საუკუნის დასაწყისში, და საკუთარი დინასტიის სოლომონური წარმომავლობის ტრადიციის დამკვიდრების მიზნით გაანადგურა მანამდე არსებული თითქმის მთლიანი წერილობითი მასალა, ანუ „ისტორია გადაიწერა წარსულის განადგურების მეშვეობით.“⁶⁹

ზოგადად კი, ვფიქრობ, ლორთქოფანიძისეული დეფინიცია, რომ ქართლის ცხოვრება წარმოადგენს „ქრონიკის ტიპის კრებულს, რომელიც ნაცონალურ ისტორიას გადმოგვცემს“ მართებულია იმ შემთხვევაში, თუკი შევთანხმდებით, რომ ქრონიკა წარმოადგენს ისტორიოგრაფიულ ნარატივს, რომელშიაც „დროის ორგანიზება ხდება თაობების, ზეობების, ან დროის სხვა დიდი ჯგუფების მეშვეობით და შეიძლება წარმოადგენდეს კარგად დამუშავებულ და საკმაოდ განვითარებულ ნარატივს.“⁷⁰ თუმცადა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქრისტიანული ქრონიკა ევსევისეული გაგებით უნდა წარმოადგენდეს საერო და

⁶⁷ Medieval historiography was “characterized by the idea that history was made by great men” and, “therefore, dealt primarily with the deeds of kings and emperors or other office-holders (bishops and abbots) and persons with important functions (like missionaries, for example), precisely because of their function.” Hans-Werner Goetz, “The “Methodology” of Medieval Chroniclers,” in Bák and Jurković, *Chronicon*, 25-34, at 50.

⁶⁸ It “was principally seen as political history (including the Church)” and “was firmly linked to an “institution” (kingdom, bishopric, monastery, town, etc.)” იქვე.

⁶⁹ “[H]istory was rewritten by destroying the past.” Marilyn E. Heldman, “Metropolitan Bishops as Agents of Artistic Interactions Between Egypt and Ethiopia During the Thirteenth-Fourteenth Centuries,” In Colum Hourihane, ed. *Interactions: Artistic Interchange between the Eastern and Western Worlds in the Medieval Period*. A Colloquium organized by the Index of Christian Art, April 8-9, 2004. Index of Christian Art, Department of Art and Archeology. Princeton & Pennsylvania: University Press, 2007, 64-105, at 86.

⁷⁰ “[O]rganize[s] time by generations, reigns, or other large units of time and can represent elaborated and highly developed narratives.” Patrick N. Geary, “Chronicles, Annals, and Other Forms of Memoria,” in *Chronicon*, 13-24, at 14.

ჩემთვის ცნობილია, რომ თანამედროვე ისტორიულ მეცნიერებაში ანალებს განიხილავენ, როგორც ქრონიკის ერთერთ ფორმას (“recent scholarship has tended to see annals as a type of chronicle”), მე კვლავ კარჩევ ძველებურად გამოვიყენებ ანალები, როგორც ისტორიული ტექსტის განცალკევებული კატეგორია (“annals as a distinct category of historical writing”) Graeme Dunphy, “Annals,” in *Encyclopedia of the Medieval Chronicle* 145-52, at 47.

სასულიერო ისტორიის კომბინაციას, ვფიქრობ, ამ ტერმინის ხმარებას *ქართლის ცხოვრებასთან* მიმართებით მაინც სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ.

ვფიქრობ, უფრო ზუსტი იქნება ვთქვათ, რომ ქართლის ცხოვრება წარმოადგენს „ნაციონალურ“ ისტორიოგრაფიულ კრებულს, რომლის კოორდინატთა სისტემის შინაარსის ღერძი შედგება ეპიკური, ეთნიკური, ნაციონალური, ლოკალური და დინასტიური ისტორიებისაგან, ხოლო ფორმის ღერძი წარმოდგენილია *origines gentium* (თუ მას წარმოვიდგენთ ისტორიოგრაფიის ცალკე ჟანრად, რომლის წინამორბედებიც კლასიკურ ეთნოგრაფიაშია), ქრონიკებით, ანალისტური ქრონიკით, ბიოგრაფიებით, ჰაგიოგრაფიითა და ჰიმნოგრაფიით.

ამასთან, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ უკანასკნელი კვლევების თანახმად „ნაციონალური ისტორია“ განისაზღვრა, როგორც „კონკრეტული რეგიონის ისტორია, რომელსაც გააჩნია ნათლად მოხაზული ტერიტორია სპეციფიური სახელითა და თემის/გვარის ერთობით. ეს მახასიათებლები ხშირად ერწყმის მმართველი დინასტიის გენეალოგიურ ნარატივს, რომელიც მჭიდრო კავშირშია ტერიტორიასთან და/ან ხალხთან.“⁷¹ ევროპის ნაციონალური ისტორიები მიყვება ხალხთა ისტორიის ადრეულ შუა საუკუნეების კონცეფციას, რომელიც სამყაროს დასაბამიდან იღებს სათავეს, და რომელშიაც დინასტიური ლეგიტიმაცია დაკავშირებულია ეთნიკურ განგრძობითობასთან; ეს ადრეული კონცეფცია გამდიდრებულია ახალ ელემენტებით, რომელთა შორისაცაა ქვეყნის დასახელების დაკავშირება ლეგენდარულ ეთნონიმთან (*heros eponymos*), რომელიც ხშირად ნოეს შთამომავლადაა გამოყვანილი. ამ ისტორიათა უმეტესობა იწყება რეგიონის გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული აღწერით, რომელიც ხალხთა ისტორიის ჩარჩოს ქმნის. ხანდახან წარმოდგენილია აგრეთვე მეზობლებისა და საზღვრების ჩამონათვალი, რომელიც ჩართულია მათთვის ცნობილი სამყაროს მიმოხილვაში.⁷² ითვლება, რომ ევროპული ნაციონალური ისტორიები ძირითადად XII საუკუნის შემდგომ იწერება, თუმცა მათი საფუძველი უკვე VII-VIII საუკუნეებშია ჩამოყალიბებული.⁷³

დასკვნის სახით შეძლება ითქვას, რომ ჩემი ერთადერთი დაკვირვება, რომელიც ნაციონალური ისტორიის ჟანრის დეფინიციის განსაზღვრისას ჩნდება, ტერმინოლოგიას ეხება. ვიდაიდან, როგორც ცნობილია, ნაციის, ანუ ერის დაბადების პერიოდად თანამედროვე ჰუმანიტარული, სოციოლოგიური თუ პოლიტიკური მეცნიერება XIX საუკუნეს მიიჩნევს,⁷⁴

⁷¹ “the history of a definite region with either a clear-cut territory with a specific name or a real or imagined community of lineage. These features are frequently combined and often complemented by the genealogical narrative of a ruling dynasty closely connected with the territory and/or of the people.” This is a definition “regarding their content.” “Regarding their form, most of these chronicles cover the history from the very beginning to the time of their writing.” Kersken, “National Chronicles,” 119.

⁷² “Most of these histories open with a geographical-ethnographical description of the region offering a framework for the history of people. Sometimes the neighbours and the borders—embedded in an overview of the known world—are listed.” იქვე 123.

⁷³ იქვე p. 120.

⁷⁴ Ernest Gellner, *Nations and Nationalism*. Ithaca: Cornell University, Press, 1983.

რამდენად გამართვლებულია ტერმინის - ნაციონალური - ხმარება შუა საუკუნეების წყაროებთან მიმართებით? ამდენად, ან უნდა გავიზიაროთ მეცნიერთა ნაწილის მიერ გამოთქმული მოსაზრება ნაციის კონცეფციის შუა საუკუნეებში არსებობის შესახებ,⁷⁵ ანარადა ვიფიქროთ ტერმინის - ნაციონალური ისტორიოგრაფის - ჩანაცვლებაზე სხვა ტერმინით, ვთქვათ, ეთნიკური ისტორიოგრაფიით.

Irma Karaulashvili
Iliia State University

Ancient Georgian Narrative Sources (A Brief Outline)

Summary

The present paper represents a Georgian adaptation of one of my articles, which offers one of the first attempts at offering an analysis of complex nature of the Georgian narrative sources. Narrative sources is the term under which scholars of humanities and social sciences of any nationality unite hagiographical and historiographical writings they have to treat as primary material while studying various issues related to the history of their country.

The English version of this paper deals not only with the general characteristics of the Georgian narrative sources, but also explores their connection to the process of identity formation, which is intrinsically linked to, and even shaped by various historiographical and hagiographical narratives (published in: *L'Arménie et les Arméniens, entre Byzance et le Levant. Mélanges offerts à Gérard Dédéyan*. Vol. 2. Isabelle Augé, Marie-Anna Chevalier, Claude Mutaflan et Isabelle Ortega, eds. Collection "Histoire et sociétés." Montpellier: Presses universitaires de la Méditerranée, 2023, 95-110).

In this paper I suggest to use a method already exploited by Mimi Hanaoka for analysing Persian historiography. It suggests "to plot each particular historical writing on a grid, where one axis is a continuum of form, and the other - a continuum of content." This approach allows us to distinguish various forms and specific content within one and the same text.

⁷⁵ "The nation has certainly been one of these so far as very modern history-writing is concerned. Given its usefulness as a concept informing historical texts from a much earlier period, we must guard against any cavalier and universalized use of its language, but be equally mindful that it cannot be simply ruled out of court as entirely inappropriate in pre-nineteenth century histories." Daniel Woolf, "Of Nations, Nationalism, and National Identity. Reflections on the Historiographic Organization of the Past," in Q. Edward Wang and Franz Fillafer, ed. *The Many Faces of Clio. Cross-cultural Approaches to Historiography. Essays in Honour of Georg G. Iggers* (New York: Berghahn Books, 2006), pp. 71-103, at 93-94.

ლიანა (ლია) ბაშელიშვილი
შოთა რუსთაველის სახელობის
ლიტერატურის ინსტიტუტი

მისტიკური ტოპოსები ქართულ აგიოგრაფიაში

„ტოპოსი - საერთო ადგილი (ბერძ. τόπος κοινός, ლათ. locus communis) სტერეოტიპული, კლიშირებული სახე, მოტივი, აზრი, მოსაზრება“... ტოპოსების ფუნქციონირების საკითხი ლიტერატურაში პირველად ე. კურციუსმა წამოჭრა თავის ნაშრომში «ევროპული ლიტერატურა და ლათინური შუასაუკუნეები» (1948), რომელშიც მან გვაჩვენა, თუ როგორ შეაღწია ლიტერატურაში რიტორიკული ტოპოსების სისტემამ, გადაიქცა რა საყოველთაოდ ხმარებად უნივერსალურ კლიშეებად. კურციუსის თანახმად „ტოპოსი - რაღაც ანონიმურია. ის გამოდის მწერლის კალმიდან, როგორც ლიტერატურული რემინისცენცია. მას, როგორც მოტივს, სახვით ხელოვნებაში ახასიათებს დროითი და სივრცული ყოვლადმყოფობა ... ამ არაპიროვნულ სტილურ ელემენტში, ჩვენ ვხვებით ისტორიული ცხოვრების ისეთ პლასტს, რომელიც ძალიან ღრმად, ვიდრე ინდივიდუალური წარმოსახვა ან გამონაგონი” (Curtius, 1972: 9). ჰაგიოგრაფიული თხზულების ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი ვერ განხორციელდება ტოპოსთა სერიოზული კლასიფიკაციის გარეშე. «წამებათა» და «ცხოვრებათა» ჟანრს შეიძლება ჰქონდეს როგორც საერთო, ასევე განსხვავებული ტოპოსები. ლიტერატურული აგიოგრაფიის დიდ ჟანრებში - «წამებასა» და «ცხოვრებაში» ასკეტურ-მისტიკური ტოპოსები ზუსტად ასახავენ ისტორიული ცხოვრების ისეთ პლასტებს, რომლებიც «ძალიან ღრმად», ხშირად უფრო მნიშვნელოვანია ვი, ვიდრე ჰაგიოგრაფის ინდივიდუალური წარმოსახვა, რადგან მათში დაშრევებულია დიდი ტრადიცია ან კულტურულ-რელიგიური კონტექსტები. ასკეტურ-მისტიკური ტოპოსები საერთოა როგორც ბიბლიის, ასევე ასკეტურ-მისტიკური ლიტერატურის, პატრისტიკის და აგიოგრაფიისათვის. ხშირად ძნელია განსაზღვრო, რომელი ჟანრია მათ შორის «გამცემი» და რომელი - «მიმღები».

მისტიკური ტოპოსების კლასიფიკაცია პირველ რიგში ტექსტის ორგანიზაციის პრობლემას უკავშირდება. აგიოგრაფიული ტექსტი მხოლოდ მაშინ აღიქმება ტექსტად, როცა ზედაპირზე არ დევს ე. წ. თამაშის წესები და ტექსტის აგების კანონზომიერება. ყველა მისტიკურ ტოპოსს თხზულებაში თავისი დრო-სივრცული და ბიბლიური კონტექსტები გააჩნია. ლოკუსი, ანუ საერთო ადგილი მეორდება თითქმის ყველა ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში, მაგრამ წარმოაჩენს ისეთ ახალ წახნაგს, რომელიც მოცემულ ტოპოსს განუმეორებლობის ელფერს ანიჭებს. მლოცველობის ტოპოსთა ქვემოთ წარმოდგენილი ანალიზი ეფუძნება ქრისტიანულ ლიტერატურაში ყველაზე რთულად გადმოსაცემი პროცესის აღწერას. ეს მლოცველობის მისტიკური ლოკუსებია, რომლის მარტივი ფორმის აღსაწერად აგიოგრაფები იყენებენ სიტყვიერი, ანუ ხმიანი ლოცვის ტოპოსს, რომელსაც ენაცვლება - „მდუმრიადი“, უხმო ლოცვის ტოპოსი, და თუ აგიოგრაფის თხზულება ძალიან დიდი წმინდანის ცხოვრების აღწერას გადმოგვცემს, მასში უდავოდ გამოყენებული იქნება გონიერი ლოცვისა, და მისტიკური განჭვრეტის ლოკუსები. სხვაგვარად აგიოგრაფი ვერ შეძლებს

მისტიკური განდმრთობის აღწერას. წმინდანის მიერ ნათლის შემეცნების, ნათლის სამოსელით შემოსვისა და ნათლის გამოსხივების ტოპოსები, რომელსაც, გრიგოლ ღვთისმეტყველის აზრით, სამების (ფლოროვსკი, 1992, 260), ხოლო მაქსიმე აღმსარებლის აზრით, ქრისტეს შემეცნება ახლავს თან (Максим Исповедник, 2013: 66-67) ყველაზე ძნელად ექვემდებარება სიტყვიერ აღწერას. მლოცველთა პლასტიკური ხატიც ტოპოსადაა ქცეული და ისიც გადმოსაცემია, მაგრამ შედარებით იოლად აღსაწერი. ქართულ ჰაგიოგრაფიაში ძირითადად ორანტის ჟესტისა და სუნთქვითი ვარჯიშების Iokuseb-ს ვხვდებით, ცალკე განსახილველია „სულნელის შემეცნების“ ტოპოსი, რომელთა აღწერა დამოკიდებულია აგიოგრაფის პიროვნულ ოსტატობაზე, მის ერუდიციაზე და ღვთისმეტყველებით განათლებაზე. წმინდა შიო თავისი ლოცვის დამამთავრებელ ეტაპზე სწორედ რომ “მიუთხრობელ სულნელს” შეიმეცნებს, რომელიც ღთისმშობლის გამოჩენას ახლავს თან.

სიწმინდის ლიტერატურულ ისტორიას, რომელიც ქართულ აგიოგრაფიაში ხორცშესხმული, ძირითადად ორი ნაკადი კვებავს - თეოდიცეა და ანთროპოდიცეა (ὁ ἄσφραπος – ადამიანი და το δίκαιο – სამართლიანობა, ანუ ადამიანის გამართლება და Θεός – ღმერთი და το δίκαιο –სამართლიანობა, ღვთის გამართლება). ლიტერატურულ აგიოგრაფიაში თეოდიცეის თემა სრულყოფილად ანთროპოდიცეაშია ხორშესხმული სიტყვიერი ხატების მეშვეობით, რომელშიც წმინდანის ცხოვრება გადმოცემულია ასკეტური და მისტიკური ტოპოსების მეშვეობით, მონასტრული ცხოვრების ამსახველ სხვა ლოკუსებთან ერთად. მისტიკურ ტოპოსებში მოღვაწის „მოუკლებელი“ ინდივიდუალური ლოცვა აღწერილი (μονολύγιστος προσευχή) და ისინი გვხვდება „ათცამეტ ასურელ მამათა ცხოვრების“ გვიანდელ რედაქციებშიც და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“. რა თქმა უნდა, საუბარი მხოლოდ ადრეულ ისიხაზმზე შეიძლება გვქონდეს, უფრო ძველი ფორმულის ვარიანტით, ვიდრე ისიხასტების ცნობილი ფორმულა: „იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი“. გრიგოლ ხანცელის ცხოვრებაში „მე“ „ჩუენითა“ შეცვლილი, რაც უპარესად მნიშვნელოვანია არქაული კონტექსტის გასაგებად. ფსალმუნის მუხლის გამოყენება ისიხასტურ პრაქტიკაში, თეოდორა მონაზვნის დანერგილი, იოანე საბანისძის თხზულებაში გვხვდება ე.წ. „უღარდილო ფსალმუნება“ (იოანე საბანისძე, 1959: 70). მისტიკური ტოპოსები, რომლებიც უფრო ზუსტ ტერმინოლოგიას შეიცავს, ვიდრე ნებისმიერი „კეთილი საქმე“ (ისააკ ასური, 1911: 166). ლოცვის ამბა ისაკ ასურისეული განმარტება ასე გამოიყურება: სიტყვიერი ლოცვა, მდუმრიადი ლოცვა, გონიერად ზრახვა, სულითა მეტყველება, ისიხასტური ტოპოს-ტერმინებია, რომლებიც თითქმის ყველა აგიოგრაფიულ თხზულებაში ხვდება. მისტიკური გნოსისის ამსახველი ტოპოსებიდან აგიოგრაფები იყენებენ ნათლის სამოსელით შემოსვის ტოპოსს, თუალშეუდგამი ნათლის და დიდების, როგორც განდმრთობის დამასრულებელი ეტაპის საკვანძო ტოპოსს.

ადრექრისტიანულ სამყაროში წმინდა მამები ლოცვად მიიჩნევენ ყველაფერს, რაც მათი აზრით, «მშვენიერი ქმნადობა», სულის სიკეთისადმი ლტოლვა, სულის აღორძინების მცდელობა იყო. ასკეტურ ღვწასა და მისტიკურს შორის (მლოცველობა უკანასკნელის პრეროგატივა), ჯერ კიდევ არ არსებობდა პირობითი ზღვარი. იგი მხოლოდ VI საუკუნეში ჩნდება წმინდა მამათა შრომებში იმ სახით, რომლის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია

აგიოგრაფიული გმირის მისტიკური ღვწის მოდელის რეკონსტრუქცია. ლოცვა ლიტურგიკულ ღვთისმეტყველებაში „ასიმეტრიული დიალოგია“ ... გონების საუბარია ღმერთთან, მისი ზეაქტრია ღვთაებრივ სფეროში“ (ისააკ ასური, VII ს.). თავის თეორიულ ტრაქტატებში სწორედ ისააკ ასური ხვეწს წინამორბედთა ნააზრევს, თუმცა ასკეტური ღვწის ზოგიერთ განაწესს იგი მაინც მლოცველობას მიაკუთვნებს. ისააკ ასური განაცალკევებს ერთმანეთისაგან ლოცვის სხვადასხვა ფორმასა და სახეობას: სიტყვიერს ანუ ხმიანს, წმინდა ლოცვას, გონიერს ანუ მშვიინვიერს, მლოცველობით განჭვრეტასა და მლოცველობით შემეცნებას. ამრიგად, მამა ისააკის შრომებში ვხედავთ ლოცვის ოთხ საფეხურს: სიტყვიერ ლოცვას, წმინდა ლოცვას, სულიერ ლოცვას, მლოცველობით განჭვრეტას. ამათგან მხოლოდ სიტყვიერი ლოცვა არის ხმიანი, ყველა დანარჩენი, ქართველ ჰაგიოგრაფთა ტერმინი რომ ვიხმაროთ, „უღარღილო“ ანუ „მღუმრიადი“.

ჰაგიოგრაფთა თხზულებებში სიწმინდის იკონომია, ანუ სიწმინდის სამოსელის ქსოვა (გიორგი მცირე), განღმრთობა შეუძლებელია ასკეტური ღვწის და მისტიკური შემეცნება - განჭვრეტის გარეშე. ჰაგიოგრაფიული თხზულების გმირიც სიწმინდის სამოსელის ქსოვას ძირითადად „თვის“ ლოცვით იწყებს, რადგან „რომელი კრებულსა შორის იყოს, ვერ შემძლებელ არს ესრეთ შეძინებად გალობისგან, ვითარ შეიძენს ლოცვისგან თვისისგან“ (იოანე სინელი, 1980: 261) - წერს სინას მთის თვალსაჩინო მოღვაწე, „კლემასის“ ავტორი და ისიხასტური მოძღვრების იდეოლოგი იოანე სინელი (დაახ. 570-649).

ისიხია (Ἰσιχία) ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს მღუმარეს, უტყვს, უშფოთველს, განმარტოებულს, განმარტოებულ ადგილს. ქართველ აგიოგრაფთა თხზულებებში ისიხასტის აღმნიშვნელად დაყუდებული იხმარება. ხშირად მას ან მოუკლებლად მლოცველი, ან უშფოთველი და უტყვი, რინდი ენაცვლება. ათონელი აგიოგრაფები კი ისიხასტებს სოხასტერში მცხოვრებნს, დაყუდებულებს უწოდებენ. აკად. ივანე ჯავახიშვილიც ლექსემა «სოხასტერის» ეტიმოლოგიას ისიხაზმს უკავშირებს.

მლოცველობისადმი მიძღვნილ თეორიული ხასიათის შრომებში საგანგებოდ აღნიშნულია, რომ მეოთხე საუკუნეში მოღვაწე კოპტი განდეგილების ასკეტურ-მისტიკურ პრაქტიკაში დიდი ადგილი ეჭირა სიტყვიერ და უხმო ფსალმუნებას (ფსალმუნებაში არ ვგულისხმობთ ლაუდაცირების მიზნით წარმოთქმულ გალობას, არამედ ერთი და იგივე ფსალმუნის, ან ფსალმუნის რომელიმე მუხლის, კანონის შეგნებულად, მრავალგზის გამეორებას, ხმით, სიტყვიერად, ან უხმოდ). იოანე სინელი აღნიშნავდა, რომ სწორედ „უღარღილო ფსალმუნება“ ... მოკლე, ერთფრაზიანი ფორმულებია წინასახე ისიხასტური ლოცვისა - *μνηστικὸς προσευχή*. ამგვარი ლოცვის ნიმუში იოანე საბანისძის თხზულებაშია წარმოჩენილი (იოანე საბანიძე, 1956: 70), რომელიც სათანადოდ გაანალიზებულია პროფ. გრ. ფარულავას მიერ (ფარულავა, 1996: 144). წმინდა შიო მღვიმელის მისტიკური ზეადსვლა სათნოებათა კიბეზე ჰაგიოგრაფის მიერ წარმოჩენილია გამოწვლილვით, ისიხასტური სწავლების შესაბამისად. წმინდა შიო აღავლენს ვედრებას, *ლოცვას, მადლიერებას, აღთქმა-შეპირებას, შუამდგომლობას* (შეადარეთ: „ამრიგად, უწინარეს ყოვლისა, შეგაგონებთ ჰყოთ ვედრებანი, ლოცვანი, შუამდგომლობანი, მადლიერებანი ყველა ადამიანისთვის“ (პავლე მოციქული, I ტიმოთე 2:1). ჰაგიოგრაფი გვიყვება იმის შესახებაც, თუ როგორ შეიმეცნებს

წმინდა გრიგოლ ხანძთელი წმინდა ლოცვის მდგომარეობაში ღვთაებრივ ლოგოსებს: „თუალშეუდგამ ნათელს“ ანუ ღმერთს; ხილულ სამყაროს; უხილავსა და დაფარულს; ღვთაებრივ შესაქმეს; საშინელი სამსჯავროს არსს. ეს ხუთი ლოგოსი ანუ მჭვრეტელობითი შემეცნების ხუთი ტოპოსი ფიგურირებს ორიგენეს (დაახ. 185-254), კლიმენტი ალექსანდრიელის (დაახ. 150-215), ბასილი დიდის (დაახ. 330-379), გრიგოლ ღვთისმეტყველის (329-389), გრიგოლ ნოსელის (დაახ. 335-394), მაკარი ეგვიპტელის (დაახ. 300-391), მაქსიმე აღმსარებლის (580-662) თეოლოგიურ თხზულებებში. ღვთაებრივი ლოგოსების შემეცნება-განჭვრეტის ეტაპები შესანიშნავად აქვს აღწერილი გიორგი მერჩულეს გრიგოლ ხანძთელის წარმოთქმულ ლოცვაში ხანძთის ეკლესიის საძირკველის გაჭრის ჟამს. ამ ლოცვაში თითქმის ხუთივე ლოგოსის შემეცნებაზე გვესაუბრება ჰაგიოგრაფი (გიორგი მერჩულე, 1964: 256). განსაკუთრებით კი ყურადღებას ამახვილებს საშინელი სამსჯავროს არსზე. სწორედ მისი შემეცნების შემდეგ სული, გონება, რომელიც ღვთაებრივ უკუნშია ჩაფლული, ანუ «მლოცველობითი განჭვრეტის ბოლო საფეხურზე იბრუნებს ნათელხილვის უნარს შერთვის, განღმრთობის გზით და სულიწმინდა გარდმოავლენს მასზე კურთხევას“. არანივთიერი ნათლის, ან ნათლის დისკოს შემეცნება, ქართველ ჰაგიოგრაფთა სიტყვებით რომ ვთქვათ, „მიუთხრობელი ნეტარებით“ დაატკობს მლოცველს.

შერთვის, განღმრთობის გზაზე გასულიერებული ცნობიერება გარდაქმნის ადამიანის „გვამს“, სხეულს. სულიწმინდის მადლით წმინდანი თავად ასხივებს ნათელს და ხდება ნათლის სამოსელით მოსილი, რადგან წმინდანებს ამქვეყნიურ ცხოვრებაში ეძლევათ საზღაური მომავალი სისავსისა. „სხეული განიდმრთობა სულთან ერთად“ (მაქსიმე აღმსარებელი). ამიტომაც ასხივებენ მზესავით ნათელს ქართველი წმინდანებიც - დავით გარეჯელი, შიო მღვიმელი, გრიგოლ ხანძთელი, სერაპიონ ზარზმელი, ილარიონ ქართველი, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები. ისიხასტურ ტოპოსებს განეკუთვნება ისეთი გნოსეოლოგიური ლოკუსი, როგორც „სულნელის შემეცნება“. ამ ტოპოსს აქტიურად იყენებს იოანე საბანასძე, გიორგი მერჩულე, გიორგი მთაწმინდელი და გიორგი მცირე. „მიუთხრობელი სულნელი“, რომლის აღწერა ისეთივე ძნელია, როგორც „თვალშეუდგამი ნათელისა“, აუცილებელ ტოპოსს წარმოადგენს, რომელსაც აგიოგრაფები იყენებენ ყველა საჭირო შემთხვევაში, როცა წმინდანის განღმრთობაზე გვესაუბრებიან.

ლოკუსებს უნდა მივაკუთვნოთ „წმიდა მთა“, რომელიც მირჩე ელიადეს აზრით, უძველესი ტროპია, „Axis mundi“-ა (Элиаде, 1994: 32), რომელიც უხვადაა გაცოცხლებული ქართველ აგიოგრაფთა თხზულებებში. არმაზის მთა, ზადენის მთა, მთაწმინდა, მთაწმინდა ქალკედონის ნახევარკუნძულზე და ა. შ. სწორედ ეს მთაა ყველაზე ახლოს ზეცასთან.

იოანე საბანასძის, გიორგი მერჩულის, სერაპიონ ზარზმელის, ათცამეტ ასურელ მამათა ცხოვრების ამსახველ თხზულებებში, გიორგი მცირის მოთხრობაში მისტიკურ ლიტერატურაში დამკვიდრებულ ყველა ისიხასტურ ტერმინს ვხვდებით. ისიხასტური ლოცვის პროტოტიპის აღმნიშვნელი „უღარდილო ფსალმუნებად“, წმინდა, გონიერი ლოცვის ფორმები - „მდუმრიადი ლოცვა“, „გონიერად ზრახვა“, „სულითა მეტყუელება“ ქართველ ჰაგიოგრაფთა თხზულებებში მოიაზრება როგორც განღმრთობის, თეოზისის ესა თუ ის კონკრეტული საფეხური.

სახელდებით ლოცვას იესო ქრისტესადმი, რომელსაც ეფუძნება კლასიკური ისიხასტური მოძღვრება („იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი“), პირობითად ფორმულას რომ უწოდებენ თეოლოგოსები, არ ჩანს არც „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“, არც მთაწმინდელთა ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში, თუმც გიორგი მერჩულე თხზულების დასაწყისშივე გვესაუბრება „მოუკლებელ ლოცვაზე“.

მლოცველის პლასტიკური ხატის ეგზეგეზის გარეშე არასრულყოფილია მსჯელობა მლოცველობით ქმნადობაზე. ქართველ აგიოგრაფებთან გვხვდება „ხელგანპყრობით“ ლოცვის ტოპოსი, ანუ ორანტის ჟესტი, რომელიც რომის კატაკომბების მხატვრობაშიც ფიგურირებს და კოპტ მეუდაბნოეთა ცხოვრების ამსახველ თხზულებებშიც. კლასიკური ხატი ისიხასტი მლოცველისა, გრიგოლ პალამას დაზუსტებით, ელია წინასწარმეტყველის მიერ ღვთის ხილვის ხატს რომ უკავშირდება (ბიბლია, (----), 3 მეფეთა 18: 42), ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებში საერთოდ არ გვხვდება. შესაბამისად, არც იმ სუნთქვით ვარჯიშებზე და მედიტაციებზე საუბრობენ ქართველი აგიოგრაფები, რომელთა გარეშე გვიანდელი ისიხასტური მოძღვრება არც კი მოიაზრება. ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ისიხაზმს არ ჰყავდა ადეპტები ქართულ სინამდვილეში.

გამოყენებული ლიტერატურა და ბიბლიოგრაფია:

არსენი კათალიკოსი. (1964). ცხოვრება შიოსი და ევაგრესი. *ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები*. 1. თბილისი.

ბიბლია, (----), 3 მეფეთა 18: 42).

გიორგი მერჩულე. (1964). გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. *ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები*. 1. თბილისი.

იოანე სინელი. (1980). კლემაქსი რომელ არს კიბე. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის საეკლესიო კალენდარი. თბილისი.

ისააკ ასური (1911).

იოანე საბანისძე. (1959). აბოს წამება. ჩვენი საუნჯე. *ქართული მწერლობა 20 ტომად*. გამომცემლობა „ნაკადული“.

ფარულავა, გ. (1996). ასკეზი - მხედრობა. *ცისკარი*. № 5–6, № 7–8, № 9–10. თბილისი.

Curtius, E. R. (1972). Zum Begriff einer historischen Topik. *Toposforschung: Eine Dokumentation*.

Исаак Сирин, св. (1993). Слова подвижнические. Москва. Репр. переизд.: Сергиев Посад.

Элиаде, М. (1994). Священное и мирское. Перевод с французского, предисловие и комментарий Н. К. Горбовского. И-во МГУ.

Максим Исповедник, прп (2013). Главы о любви. Перевод А. И. Сидорова. Москва. Сибирская Благовонница.

Флоровский, Г. В. (1992). Византийские отцы V–VIII вв. Из чтений в православном богословском институте в Париже. Изд. 2-е. Москва. Паломник.

Mistical topoi in Georgian hagiography
Summary

The literary history of holiness, proposed by ancient Georgian writers, was initially fueled by two powerful and inexhaustible currents: anthropodicy (from the Greek *ἄνθρωπος* - “man” and *τὸ δίκαιο* - “justice”, “justification of a person”) and theodicy (from the Greek *Θεός* - “God ” and *τὸ δίκαιο* - “justice”, “justification of God. It is in hagiography that the topic of theodicy is fully revealed through anthropodicy, demonstrating to readers or listeners various aspects of the spirituality of saints, both martyrs and monks, as well as the actions of God in their lives. In order to determine the mystical ideal of the Georgian experience of ascetic heroes, their attitude to classical hesychasm is determined. The report provides evidence that Georgian hagiographers used epistemological symbols of contemplation of the uncreated world and fragrance to verbally convey the phases of mental prayer and theory-transformation. According to the hagiographers, the dispensation of prayer consists of the following stages of prayer-making: verbal prayer, spiritual prayer, and prayerful contemplation. The path of the mystical ascent of the Reverend Shio Mgvimeli, David Garejeli, Ioane Zedazneli, Abo Tbileli, Grigol Khantsteli and Eptvtime Atoneli, Giorgi Mtatsmindeli and others was considered by us taking into account the principles of early hesychasm: unceasing prayer, smart doing, contemplation of the uncreated light and fragrance, glory and theory. The work reproduces the exegete of the plastic image of the praying pose (orant gesture) of the holy fathers: Ioan Zedazneli, Shio Mgvimeli, Grigol Khantsteli and Eptvtime Atoneli. The features of the breathing practice of the blessed have also been established. The features of the breathing practice of the blessed have also been established. At this stage, it is possible with good reason to declare the presence of the Georgian tradition of early hesychasm - an ascetic –mystical experienceConstructed by Georgian hagiographers.

ნესტან სულავა
იოვანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იოვანე მტბევრის მოღვაწეობა და ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა

იოვანე მტბევრის მოღვაწეობის შესახებ. X საუკუნის II ნახევრის ტბეთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი იოვანე მტბევარი ცნობილია როგორც ჰიმნოგრაფი, მწიგნობარი, მთარგმნელი. ტბეთის ტაძარი აშოტ კუხმა ააგო და საკათედროდ აქცია. ტბეთის პირველი ეპისკოპოსი მწერალი, ჰაგიოგრაფი, მთარგმნელი სტეფანე მტბევარი იყო. კ. კეკელიძემ 995 წელს დავით ოშკელისა და არქიპოსის მიერ გადაწერილი ტბეთის პირველი სახარების ანდერძ-მინაწერებიდან მოპოვებული ცნობების მიხედვით აღნიშნა (ხელნაწერი ინახება სანკტ-პეტერბურგის ბიბლიოთეკაში, # 2102), რომ იოვანე ჯერ ტბეთის მთავარეპისკოპოსი ყოფილა, ხოლო შემდეგ - აწყურის მთავარეპისკოპოსი: „ქრისტე, ადიდე იოვანე მამამთავარი, პირველ მტბევარი და აწ შენ მიერ მაწყვერელ ეპისკოპოსი. დაიწერა საყდარსა შინა ტბეთისასა, ქორონიკონსა სიე“ (კეკელიძე, 1960: 173), ე. ი. 995 წელს იოანე უკვე აწყურის მთავარეპისკოპოსია, მაგრამ იოვანეს მტბევრობისა და მაწყვერლობის ზუსტი განსაზღვრა ცნობათა მოუღწევლობის გამო შეუძლებელია. 995 წლისათვის კი მიქაელ მოდრეკილის მიერ საწელიწდო იადგარის შედგენა კარგა ხნის დასრულებულია. ტბეთის სახარების ბოლოსიტყვაობა მოწმობს, რომ იოვანე ცოცხალი იყო შაორის მონასტრის წმინდანთა ცხოვრების შედგენის დროს, ე. ი. 1002 წელს, რადგან ანდერძში წერია: „და მეცა, ცოდვილი იოვანე მტბევარი, ამის წიგნისა უცბად მჩხრეკელი, შემიწყალე“ (კეკელიძე, 1960: 173). ანდერძ-მინაწერების მიხედვით, ვიცით მისი მშობლების სახელებიც, მათ ჰრქმევიათ არსენი და მარიამი. იოვანე მტბევარი ხელნაწერთა მოპოვება-გამრავლებით იყო დაინტერესებული. იოვანეს სახელი როგორც მაწყვერელი ეპისკოპოსისა ნახსენებია იაკობ მოციქულის „ჟამისწირვის“ ხელნაწერში, A-86-ში. დავიმოწმებთ ცოცხალთა მოსახსენებლის ტექსტს: „მოიკსენე, უფალო, და ადიდე მომგებელი ამა ჟამისწირვათაჲ იმონ ქართლისა კათალიკოზი და შეიწყალენ და ადიდენ იოვანე, აწყურელი ეპისკოპოსი, და ეფრემ წილკნელი. უფალო, შეიწყალენ მსახურნი და მოღუაწენი ამის უდაბნოდსანი, უფალო, შეიწყალენ დაჩი და სუიმონ“ (A-86, 30v; აღწერილობა A კოლექციისა, 1973: 298). იოვანე მტბევრის სახელს უკავშირდება ტბეთის სახარებისა და ტბეთის/სვანური მრავალთავის გადაწერა, იგი მათი და სხვა ხელნაწერთა მომგებელი, ანუ დამკვეთ-მომპოვებელი იყო.

მცირე რამ ტბეთის/სვანური მრავალთავის შესახებ, რომელიც X ს. ძეგლია. ხელნაწერი A-19 ტბეთის მონასტერშია გადაწერილი, მაგრამ საუკუნეთა განმავლობაში ინახებოდა სვანეთში და მისი სახელწოდებაც აქედან წარმოდგა. კრებულმა სხვადასხვა ავტორის 72 ჰომილია შემოინახა. ხელნაწერი ცალკე არ არის გამოცემული, მაგრამ მასში მოთავსებული მასალის დიდი ნაწილი სხვადასხვა შინაარსის კრებულშია დაბეჭდილი. ხელნაწერის მომგებლები არიან მამფალი იოვანე მტბევარი და მამა თეოდორე, რაც ანდერძშია მითითებული. დავიმოწმებთ ანდერძის ტექსტს: „ქრისტე, შეიწყალენ წიგნისა მომგებლნი

მამფალი მტბევარი იოვანე და მამა თეოდორე. ამენ“ (*აღწერილობა* (1973), I., გვ. 71; A-19, 122v). ხელნაწერის აღმწერმა განსაზღვრა მინაწერის მიახლოებითი თარიღი და აღნიშნა, რომ მინაწერი გაკეთებულია მეათე საუკუნის ნუსხურით ქვედა აშიაზე. მინაწერი ყურადღებას იმით იქცევს, რომ მასში ერთ-ერთი მომგებელია ცნობილი ჰიმნოგრაფი იოვანე მტბევარი, რომელიც მამფლად არის მოხსენიებული, რაც მოწმობს იოვანეს დამსახურებას საქართველოს ეკლესიისა და, სავარაუდოდ, სახელმწიფოს წინაშე, სხვაგვარად ასე არ მოიხსენიებდნენ. სვანურ მრავალთავში შეტანილი თხზულებებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს იოვანე საბანის ძის „წმ. აბოს წამების“ ტექსტის ფრაგმენტი, „საკითხავი თქუმილი წმიდისა დედისა ჩუენისა ნინოისა ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჳსა“ (194v-198r), რომელიც 1898 წელს მ. ჯანაშვილმა გამოსცა წიგნში „История грузинской церкви“; სვანურ მრავალთავში ძირითადად ჰომილეტიკური თხზულებებია გადაწერილი, მათი ავტორები არიან ცნობილი მქადაგებლები წმ. იოვანე ოქროპირი, წმ. ბასილი დიდი-კაბადოკიელი, წმ. გრიგოლ ნაზიანზელი, წმ. გრიგოლ ნოსელი, წმ. კირილე იერუსალიმელი, ივლიანე ეპისკოპოსი; რამდენიმე ჰომილია ეძღვნება წმ. სტეფანე პირველწამებულს; ხელნაწერ წიგნში შეტანილია აპოკრიფებიც; აგრეთვე, საყურადღებოა დიონისე არეოპაგელის ცხოვრების ქართული ტექსტი (90r-93r), თვით დიონისე არეოპაგელის სახელით ცნობილი ეპისტოლე ტიმოთესადმი (93v-94v), რაც იმას მოწმობს, რომ არეოპაგელის თარგმნა წმ. ეფრემ მცირემდე დაწყებულია.

ტბეთის/სვანური მრავალთავის ანდერძის ცნობას იოვანე მტბევრის შესახებ განსაკუთრებული ღირებულება შესძინა იოვანეს მამფლად მოხსენიებამ. ამიტომ დავუბრუნდეთ მინაწერს, რომელშიც იოვანე მტბევარი მამფლადაა მოხსენიებული. სამეცნიერო ლიტერატურაში მამფალი, ჩვეულებრივ, განმარტებულია როგორც მამა-უფალი; სიტყვა ისეთივე წარმომავლობისადაა მიჩნეული, როგორც დედოფალი//დედაუფალი. ნიშნავს ამა თუ იმ კუთხის მმართველს, მბრძანებელს. ძველ ქართულ მწერლობაში დამოწმებულია მისი ორგვარი მნიშვნელობა: 1. იგი აღნიშნავს საეკლესიო იერარქიის უმაღლეს საფეხურზე მდგომ პირებს, კათოლიკოსებს, მთავარეპისკოპოსებს; 2. საერო პირს, რომელიც რომელიმე მხარის მმართველია. იოვანე საბანის ძე ამ სიტყვით კათოლიკოსს მიმართავს, რაც იმას უნდა მიუთითებდეს, რომ იგი მხოლოდ საერო პირის კი არა, სასულიერო პირის ზედწოდებაც უნდა ყოფილიყო. გიორგი მერჩულის „წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“ მამფალია გუარამი, აშოტ კურაპალატის უმცროსი შვილი. 3. ინგოროყვამ თავის მონოგრაფიაში „მამფალი“ მიიჩნია ტიტულად, რომელიც „ჭვარავს ძველს იბერიაში მიღებულს სახელისუფლო ტიტულს „პიტიახში“ („პიტიახში“ ირანული ტერმინია, „მამფალი“ ამის შესაფარდი ერთ-ერთი ადგილობრივი, ქართული ტერმინი ყოფილა)“ (ინგოროყვა, 1954: 72). მისი აზრით, IX საუკუნეში „ბაგრატ I-ის დროს აღდგენილი ქართველთა სამეფოს ორი „სამამფლო“ იგივეა, რაც ძველი იბერიის სამეფოს საპიტიახშონი. გვარამ მამფალი, რომელიც იყო მმართველი ქვემო ქართლისა (მესხეთის მიმდგომი სანაპირო თემებით) ძველი იბერიის ქვემო ქართლის პიტიახშის ადგილზე ზის“ (ინგოროყვა, 1954: 72). 3. ინგოროყვას დამოწმებული აქვს ის საბუთები, რომლებშიც „მამფლის“ ტიტულით სხვადასხვა

ისტორიული პირი იხსენიება. ერთ-ერთი მათგანია სტეფანოზ მამფალი, რომელიც ნახსენებია ატენის სიონის ფრესკულ წარწერაზე (აბრამიშვილი, 1977)

ზემოთ დამოწმებული წყაროების მიხედვით, იოვანე საგალობლებში მტბევრად მოიხსენიება, რაც იმას მიუთითებს, რომ მან ტბეთის ეპისკოპოსობის პერიოდში დაწერა ის საგალობლები, რომლებიც მიქაელ მოდრეკილის საწელიწდო იადგარშია შეტანილი. იოვანე მტბევარი მთარგმნელადაცაა მიჩნეული, ვარაუდობენ, რომ თარგმნილი აქვს რამდენიმე საგალობელი. ხელნაწერში საგალობლებთან არის დაქარაგმებული მინაწერი ავტორობაზე: „იოვანე მტბევარი“. ჩვენამდე მოღწეული მთელი მისი მემკვიდრეობა მოთავსებულია მიქაელ მოდრეკილის „საწელიწდო იადგარში“. ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერების მიხედვით, მიქაელის იადგარის შედგენიდან რამდენიმე წლის შემდეგ იოვანე აწყურის წინამძღვარი, მაწყვერელი ეპისკოპოსი, გამხდარა. მაგრამ უცნობია, დაწერა თუ არა მაწყვერლობისას საგალობლები, ჯერჯერობით ამის შესახებ ცნობები არ გვაქვს. სავარაუდოდ, უნდა დაეწერა.

იოვანე მტბევრის საგალობლებიდან ერთი აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ეძღვნება, 14 საგალობელი კი დღესასწაულებს 21 დეკემბრიდან 28 იანვრამდე (ძვ. სტ.). კ. კეკელიძის აზრით, „იოვანე მტბევარსაც ძველებური ტიპის სტიქირარის დაწერა განუზრახავს“ (კეკელიძე, 1960: 174). ბერძნული Στιχηάριον სტიქარონი საღვთისმეტყველო-სამგალობლო ტექსტებს მოიცავს; იგი ორი სახისაა: 1. ნაწილი ტექსტებისა ნოტირებულია, 2. ნაწილი მხოლოდ ტექსტებია. უწინარეს ყოვლისა, სტიქირარში შედის ოქტოიხოსი (ქართულ ლიტურგიკაში ტერმინი „პარაკლიტონი“ გამოიყენება), ტრიოდონი, თვენი; მასში შეიძლება განთავსებული იყოს ძლისპირნი და ღვთისმშობლისანი რვავე ხმისა, „ნათელთანი“. იოვანე მტბევრის საგალობლები ეძღვნება მაცხოვრის შობის წინადღის, შობის, ნათლისღების დღესასწაულებს; აგრეთვე, იმ სასულიერო მოღვაწეებს, რომელთა ხსენების დღეც აღნიშნული დროის მონაკვეთზე, 21 დეკემბრიდან 28 იანვრამდე (ძვ. სტ.), მოდიოდა, კერძოდ, წმინდა მამათა: წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის, წმ. ბასილი ნეოკესარიელის, წმ. ევთიმის, წმ. იოვანე ოქროპირის, წმ. კლიმის, წმ. იოსებ მართლის, ყოველთა მამათა მეუდაზნოეთა ხსენებას. ყველა ამ ხსენებულ წმინდა მამათა მიერ შექმნილი ჰომილიები და, აგრეთვე, მათ შესახებ შექმნილი ქადაგებები შეტანილია ტბეთის//სვანურ მრავალთავში, რაც იმას უნდა მიუთითებდეს, რომ იოვანე არა მხოლოდ დამკვეთია კრებულისა, არამედ მისი შედგენილობაც, შესაძლოა, მისი თაოსნობით იყოს განსაზღვრული, რაც იოვანე მტბევარს შემდგენელ-რედაქტორად წარმოგვიდგენს, რადგან იოვანე მტბევრის საგალობლებსა და მრავალთავში შეტანილ ნათარგმნ და ორიგინალურ თხზულებებს შორის შეიძლება კავშირი დავინახოთ. მიქაელ მოდრეკილმა იოვანე მტბევრის საგალობელთა შესახებ მნიშვნელობა და ღირსება გამოხატა სიტყვებით, რომ ისინი გამოთქმულია „სიბრძნითა სულისა წმიდისაჲთა“ (ინგოროყვა, 1913: 90). აგრეთვე, გამოჩენილი ჰიმნოგრაფისადმი დამოკიდებულება გამოხატა თავის საწელიწდო იადგარში იოვანეს მინიატურის მოთავსებით. ყოველივე ეს იოვანე მტბევრის პოპულარობასა და მისი საგალობლებისადმი დამოკიდებულებას მოწმობს.

საგალობელთა სახისმეტყველება. იოვანე მტბევრის საგალობლები გამოირჩევა ღრმა საღვთისმეტყველო აზროვნებით, მომხიბლავი პოეტური სტილითა და სადა სამეტყველო ენით, რომელიც ბიზანტიური საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სტილის კალკი არ არის,

პირიქით, ქართული სალიტერატურო ენის ტრადიციებს აგრძელებს, რაც მკითხველისა თუ მსმენელისათვის მისაწვდომს ხდის ურთულეს მისტიურ სააზროვნო სისტემას. ასეთივე ენობრივი სისადავითა და ნათელი სტილით ხასიათდება ტბეთის სახარების ბოლოსიტყვაობაც. ქართულ ჰიმნოგრაფიაში იოვანე მტბევარი ერთ-ერთი იმ ავტორთაგანია, რომელიც საგალობელთა სიუხვით გამოირჩევა.

იოვანე მტბევრის შემოქმედების მხატვრულ-გამომსახველობითი სისტემა და საშუალებები იმეძვიდრა ქართულმა სალიტერატურო ენამ, რისთვისაც შეიძლება მისი ერთი საგალობლის დასაწყისის დამოწმება: „რომელმან სიბრძნით დაამყარნა სამყარონი ძალითურთ და დააფუძნა ქუეყანაჲ წყალთა ზედა“ (S-425, 75v); ამგვარი დასაწყისი სასულიერო პოეზიის ტრაფარეტული გამოთქმას, იგი ემსგავსება „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სტროფის პირველ ტაეპს: „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა“, ხოლო პარალელი „ვეფხისტყაოსანთან“ მიუთითებს პოემის ორგანულ კავშირს ჰიმნოგრაფიასთან. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ მოსე ჯანაშიელის მითითება „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სტროფის პირველი ტაეპის პარალელად საგალობლის ერთი ტროპარიდან ფრაზა, რომელიც აღმოჩნდა მიქაელ მოდრეკილის საგალობლიდან, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მ. ჯანაშიელმა პირველმა შენიშნა ჰიმნოგრაფიის კავშირი რუსთველის პოემის პირველ ტაეპთან. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის - „რომელმან“ - სიმბოლურ საღვთო სახელად გამოყენება. „რომელმან“ ზოგჯერ ჩანაცვლებულია კითხვითი ნაცვალსახელით „ვინ“, რასაც მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით ენიჭება მნიშვნელობა. ამავე დროს, იგი გრადაციულია და გამოხატავს ქრისტიანულ ღმერთს, სამებას, ჰიპოსტასებს, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს, ბიბლიურ პატრიარქებს, ანგელოზთა დასებს, წინასწარმეტყველებს, მოციქულებს, წმინდა მამებს. ეს იმას ნიშნავს, რომ „რომელმან“ პოლისემანტიკური საღვთო სიმბოლური სახელია.

იოვანე მტბევრის საგალობლებში ასახული ზოგადქრისტიანული მოტივები, ჰიპოდიგმურ-პარადიგმული სახეები ემყარება ბიბლიურ და საღვთისმეტყველო ლიტერატურას, რომელთა საშუალებით შესაძლებელია სახისმეტყველებითად დატვირთული სემანტიკური ერთეულების „ახალის“, „ძველის“, „ხის“ გააზრება. ჰიმნოგრაფის სამეტყველო ენა გამოირჩევა ამაღლებული განწყობით, რიტმულობით, ანაფორული კომპოზიციით. მის საგალობლებში წამყვანია ზოგადქრისტიანული მოტივები და თემები, რაშიც საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური მწერლობის ნიმუშების ზედმიწევნითი ცოდნა ეხმარებოდა და მათი სახისმეტყველებითი სააზროვნო სისტემის საფუძველზე ესაუბრებოდა მსმენელსა თუ მკითხველს. იოვანეს საგალობლებში ნათლად შეიგრძნობა საღვთისმეტყველო სიღრმე და მისტერიის სიდიადე, რითაც ყოველი მისი საგალობელი მაღალი პოეტური კულტურის ნიმუში და სიტყვის სიღრმისეული გამოხატულებაა. იოვანე მტბევარი ქრისტიანულ ლიტერატურაში დამკვიდრებულ პოეტურ ხატ-სახეებსა და მხატვრულ გამოთქმებს ეყრდნობა, რაც მარცვლედოვან საზომთან ერთად ქმნის საგალობლის პოეტურ სამყაროს და სახისმეტყველებით სააზროვნო სისტემებს.

იოვანე მტბევრის საგალობლებში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „ცნობადი ხის“ მეტაფორა, რომელიც ქრისტეს ხატ-სახედ გვევლინება და რომლის ნაყოფმა უკვდავება მიანიჭა

კაცობრიობას. შობისადმი მიძღვნილ საგალობელში იოვანე მტბევარი ცხოვრების ხის სიმბოლოს, ერთი მხრივ, „პირველ სამოთხეს“, მეორე მხრივ, ბეთლემს უკავშირებს, როგორც კაცობრიობის სულიერი განვითარების ორ საწყისს: „ბეთლემო, რამეთუ, ხც იგი ცხოვრებისად შენ შორის აღმოსცენდ დღეს და განმიღებს ურჩებით დაჰშულსა პირველ სამოთხესა და კუალად მაგებს ჩუენ მუნვე...“ (ინგოროყვა, 1913: 56). ბეთლემი და სამოთხე ორი სიმბოლური ტოლფარდი დროსივრცული სამყაროა, რადგან სამოთხე იყო პირველი ადამის, ცოდვადაუცემელი ადამის სამყოფელი სივრცე, ხოლო ბეთლემმა კაცობრიობის განდმრთობისა და ცნობადი ხის ნაყოფის ახალი გემომსხილვით ქრისტესკენ მიმავალი გზა დასახა: „განელო დღეს ბეთლემს სამოთხედ, მოვედით, გემოდ ვიხილოთ ხისა მის ცნობადისად, რომელ არს ქრისტე“ (ინგოროყვა, 1913: 53). საგალობელი ასახავს იმ ქრისტიანულ მოტივს, რომლის მიხედვით ცნობადის ხით დაცემული კაცობრიობის ცოდვები მაცხოვარმა ჯვარცმით გამოისყიდა და სიცოცხლის ხისკენ მიმავალი გზა გაუკაფა. ეს მოტივი ბიბლიიდან მომდინარეობს, კერძოდ, შესაქმის წიგნში ნათქვამია: „აღმო-ვე-აცენა ღმერთმან მერმე ქუეყანით ყოველი ხე შუენიერი ხილვად და კეთილი საჭმელად და ხე ცხოვრებისა - შორის სამოთხესა და ხე იგი - ცნობად კეთილისა და ბოროტისა“ (შეს. 2:9). უფალმა სწორედ ამ ცნობადი ხის ნაყოფის გემომსხილვა აუკრძალა ედემის მკვიდრთ, ადამსა და ევას. ქრისტიანული საღვთისმეტყველო ლიტერატურის მიხედვით, ცნობადის ხე თვითშემეცნების აქტს უკავშირდება, რაც ნემესიოს ემესელის სიტყვებით ასეა გადმოცემული: „იყო უკუჭ გემომსხილვა რომელსამე ნაყოფისა შემქმნელი ცნობისა თვისისა ბუნებისადასა“ (ნემესიოს ემესელი, 1914: 12). კეთილისა და ბოროტის შეცნობის, განდმრთობის სურვილმა სიკვდილი და ხრწნილება დაამკვიდრა ღვთისგან ქმნილ პირველ ადამიანებში. შესაქმემი ვკითხულობთ: „იხილა დედაკაცმან, რამეთუ კეთილ არს ხე ჭამად და სათნო თვალთათვს ხილვად და შუენიერ განცდად“ (შეს. 3:6). ედემის ბაღში დარგული ცნობადის ხე არის სიმბოლო ადამის მიერ დაკარგული სამოთხისა, უკვდავებისა, რადგან სწორედ მისი ნაყოფის გემომსხილვით დაკარგეს პირველმა ადამიანებმა სამოთხე, უკვდავება, რის შემდეგაც ღმერთმა მათ „უკერნა სამოსელნი ტყავისანი“ და გამოაძევა პირველსამყოფელიდან; ამიერიდან იწყება ადამიანის მიერ დაკარგული სამოთხის ძიება.

ბიბლიური „ცნობადის ხე“ და „სიცოცხლის ხე“ ქრისტეს გულისხმობს. დავიმოწმოთ იოვანე მტბევრის სიტყვები: „ბეთლემო, იხარებდ, რამეთუ ხც იგი ცხოვრებისად შენ შორის აღმოსცენდა“ (ინგოროყვა, 1913: 56). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სიცოცხლის ხის მეტაფორა ღვთისმშობელსაც უკავშირდება. ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში ცხოვრების ხე ღვთის მეტაფორული სახელია. „რომელმან ჰძლოს, მივჰსცე მას ჭამად ძელისა მისგან ცხოვრებისა, რომელი არს შორის სამოთხესა ღუთისა“ (გამოცხ. 2:7). საგალობლებში ხის სიმბოლიკას უკავშირდება ძელის სიმბოლიკაც, რომელიც ძალზე მრავალფეროვანია, რადგან ძელი ცნობადის ხესაც ეწოდება. ძელი ცნობადის ხის ნაყოფის გემომსხილვით ჩადენილ ცოდვას აქარვებს, რაც მას სიცოცხლის ხის თვისებებს სძენს: „ღმერთი უვნებელი დამოეკიდე ძელსა, რადთა ჩუენ, წარმართთა, მოვისთულოთ ძელისაგან ნაყოფი უკუდავებისად და მონებისაგან თავისუფლებად“ (ინგოროყვა, 1913: 147).

ბიბლიური სახისმეტყველების კვალობაზე წმინდა მამათა სიმბოლური ხატ-სახეებია ფინიკი, ლიბანის ნაძვი, ზეთისხილი, რომლებიც ღვთის სახლში, ღვთის ეზოში დანერგულებად იწოდებიან. ზეთისხილი წმინდანის სიმბოლოდ გაიაზრება და იგი იმ სიბრძნეს უკავშირდება, რომელიც გამოჩნდება მხოლოდ სიმართლისა და სამართლის გზაზე. თავისი ცხოვრების წესით, ღვთის სამსახურით, წმინდა მამები უფლის ეზოში დანერგულ ნაყოფიერ ხეებად იწოდებიან, მაგალითად, იოვანე მტბევრის საგალობლით, წმ. კლიმის შესახებ ნათქვამია: „ვითარცა ზეთისხილი მსხმოა ყოვლად ნაყოფიერი, სახლსა შინა ღმრთისასა მდგომარე იყავ, ღირსო კლიმი“ (ინგოროყვა, 1913: 120). აქ უთუოდ უნდა აღინიშნოს, რომ იოვანე მტბევრის საგალობლების ზეთისხილი სიმბოლურად იოვანე საბანის ძის „წმ. აბოს წამებაში“ ნახსენებ ზეთისხილს მოგვაგონებს, ხოლო ნაძვი ლიბანისა უშუალოდ სიმბოლურად უკავშირდება „მოქცევად ქართლისადს“ „ნაძვი ლიბანისას“ სიმბოლოს, რაც, საზოგადოდ, ერთიანობაში წარმოგვადგენინებს ჰაგიოგრაფიულ-ჰიმნოგრაფიულ სიმბოლურ სააზროვნო სისტემებს, სახისმეტყველებით ასპექტებს.

იოვანე მტბევრის საგალობლებში წმინდა მამები ღვთის სახლში აღმოცენებულად მოიაზრებიან, ქრისტეს მცნებათა წყაროთი ირწყვებიან და სულის განმაცხოველებელ ღვლეს ეწაფებიან. მაგალითად, წმ. კლიმისადმი მიძღვნილ საგალობელში ნათქვამია: „სახლსა შინა ღმრთისასა მდგომარე იყავ, ღირსო, წარსადინელსა წყალთა მათ ცხოველთა ქრისტეს მცნებათასა და ირწყვებოდი მათ მიერ, კლიმი“ (ინგოროყვა, 1913: 120). სულის ზრდისა და ნაყოფიერების წყაროდ ზეციური ცვარია მიჩნეული. ესაა „ცვარი მადლისა“, „ცვარი ცხოველს მყოფელი“, უკვდავების ნექტარი, რამდენადაც ის უკავშირდება განთიადს, ცას, ცვარი არის ღვთაებრივი სიტყვის გამოხატულება, მეტაფორა. იოვანე მტბევარი წერს, რომ ცვარი ქრისტეს მცნებათა მეტაფორაცაა: „აღყუავილე ცუარითა მოძღურებისა შენისათა“ (ინგოროყვა, 1913: 99).

სამეცნიერო ლიტერატურაში ერთხანს იოვანე მტბევრის საგალობელთა შესახებ სკეპტიკური შეხედულება სუფევდა და აღნიშნავდნენ, რომ მარტივი სახეობრივი სისტემით ქმნის საგალობლებს, მაგრამ ამ განხილვამ დაგვარწმუნა, რომ იოვანე მტბევარი მხარს უსწორებს მეთაურის ქართველ ჰიმნოგრაფებს, რომელთა საგალობლები მიქაელ მოდრეკილმა შეიტანა თავის საწელიწდო იადგარში, თან ასე მრავალრიცხოვანი საგალობლები. ისინი რომ სიმბოლურ-მხატვრული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი და საყურადღებო არ ყოფილიყო, კრებულში ასე უხვად არ შეიტანდა, რადგან მიქაელის კრებული ანთოლოგიაა, მეთაურის საუკეთესო ჰიმნოგრაფიული თხზულებების ანთოლოგია, რომელსაც მოსე ჯანაშვილმა „საუნჯე მეთაურისა“ უწოდა.

გამოყენებული ლიტერატურა და ბილიოგრაფია:

აბრამიშვილი, გ. (1977). სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში (საქართველოს ისტორიის წყაროები, 5; ეპიგრაფიკული ძეგლები და ხელნაწერთა მინაწერები, 1). თბილისი. „მეცნიერება“.

აღწერილობა A კოლექციისა, (1973). ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა. I. თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“.

გამოცხადება??

ინგოროყვა, პ. (1913). ძველ-ქართული სასულიერო პოეზია. I. თბილისი.

ინგოროყვა, პ. (1954). გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. თბილისი.

ინგოროყვა, პ. (1965). თხზულებანი, III, თბილისი.

კეკელიძე, კ. (1960). ქართული ლიტერატურის ისტორია. I. თბილისი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

Nestan Sulava,

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Samtskhe-Java State University

Iovane Mtbevari's work and hymnographic legacy

Summary

The aim of the research is to study the hymnographic legacy of Iovane Mtbevari from the codicological-textological and theological-literary point of view. His hymns are included in the “Iadgar” (S-425) compiled by Mikael Modrekili in Shatberdi Monastery in 978-988. Iovane Mtbevari wrote original hymns during his tenure as bishop of Tbeti, because he is referred to as Mtbevari in the hymns. This is a handwritten note on the authorship: "Iovane Mtbevari". One of Iovane's hymns is dedicated to the glorious celebration of Easter, and 14 hymns to the holidays from December 21 to January 28. According to K. Kekelidze, Iovane Mtbevari intended to write an ancient type of stichir. Iovane Mtbevari's hymns are dedicated to the Saviour's Christmas Eve, Christmas, and Epiphany celebrations, as well as to those religious figures whose commemoration day coincided with the mentioned period of time. In the hymns of Iovane Mtbevari, general Christian motifs, hypodigm-paradigm types are based on biblical and theological literature, which he uses to understand "new", "old", "wood" and other symbols. The spoken language of the hymnographer is distinguished by an elevated mood, rhythm and anaphoric composition. The artistic-expressive system and tools of Iovane Mtbevari's work were inherited by the Georgian literary language. The hymns are dominated by general Christian motifs and themes.

თენგიზ სიმაშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ლეკების (ხუნძები/ავარები) ხელახლა ჩამოსახლება კახეთში 1950-იან წლებში
(საარქივო მასალების ფონზე)**

1944 წლის 18 მაისს, მიღებულ იქნა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთობლივი დადგენილება, საქართველოდან, კერძოდ ყვარლის რაიონიდან XIX საუკუნის ბოლოს ჩასახლებული ლეკების(ხუნძები) დაღესტნის ასსრ-ში, ყოფილი ჩეჩენ-ინგუშეთის ასსრ-სგან დაღესტნისთვის მიერთებულ მიწებზე გადასახლების შესახებ. 1944 წლის 25 ივლისის, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთობლივი დადგენილების მიხედვით, წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები უნდა ჩატარებულიყო ისეთი გათვლებით, რომ დაღესტნელი მოსახლეობის საქართველოდან გამგზავრება დაღესტნის ასსრ-ს ტერიტორიაზე უნდა დამთავრებულიყო 1944 წლის 10 აგვისტოს (შსსა, ფ. 14, ან. 18, ს. 81).

შუა აზიაში დეპორტირებული ჩეჩენ-ინგუშეთის ასსრ-ს მოსახლეობისგან განსხვავებით, ყვარლის რაიონის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო საბჭოების - „თივ-თებელჯოხის“ და „ხაშალხუტის“ მცხოვრებ ლეკ მოსახლეობას ნებას რთავდნენ თან წაეღოთ პირადი საკუთრება, მათ შორის წაეყვანათ წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელი. ასევე, აღნიშნული სასოფლო საბჭოების კოლმეურნეობებს უფლება ჰქონდათ კოლმეურნეობის კუთვნილი წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელი გადაერეკათ დაღესტანში (შსსა, ფ. 14, ან. 18, ს. 81).

1944 წლის 25 ივლისის # 373, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთობლივ დადგენილებაში - „დაღესტნის ასსრ-ში საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები დაღესტნელების გადასახლება“, აღნიშნული იყო, რომ კოლმეურნეებს და კერძო პირებს, სსრკ-ს სახალხო კომისართა საბჭოს, 1944 წლის 9 მარტის #255-74 cc დადგენილების შესაბამისად, ნება ეძლეოდათ უფასოდ ემგზავრათ რკინიგზით. ახალ საცხოვრებელ ადგილზე ჩასვლისთვის მათ ასევე ეკუთვნოდათ სხვა სახის შეღავათები (შსსა, ფ. 14, ან. 18, ს. 81).

ყვარლის რაიონის ლეკებით დასახლებული სოფლებიდან, ახალ საცხოვრებელ ადგილზე მოსახლეობის გამგზავრება, მათი მოძრავი ქონების გადაზიდვა, ქალაქ თელავის რკინიგზის სადგურიდან განხორციელდა. ლეკი მოსახლეობა ყვარლის რაიონიდან თელავში ავტომანქანებით ორგანიზებულად გადაიყვანეს. ამისათვის, როგორც ამ ბრძანებულებაშია ნათქვამი - დაახლოებით 50 სატვირთო ავტომანქანა და 33 ტონა ბენზინი იქნა გაგზავნილი ყვარლის რაიონში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის(ბ) ცენტრალური კომიტეტის და სახალხო დეპუტატთა საბჭოს დადგენილების მიხედვით, ყვარლის რაიონიდან დაღესტნის ასსრ-ში

ლეკების გამგზავრების შემდეგ, ლეკებით(ხუნძები) დასახლებული სოფლების - თებელჯოხის და თივის ლიკვიდაცია, ანუ ოფიციალური გაუქმება მოხდა.

1956-1957 წლებში კი იწყება, 1944 წელს საკუთარი მიწებიდან აყრილი და დეპორტირებული ხალხების - ჩეჩნების, ინგუშების, ბალყარელების და ყარაჩაელების აქტიური დაბრუნების პროცესი თავის სამშობლო მხარეებში. ცხადია, ამაში დიდი როლი ითამაშა იმ გარემოებამ, რომ 1956 წლის 25 თებერვალს გამართულ დახურულ სხდომაზე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ნიკიტა ხრუშჩოვმა, დაგმო სტალინის „პიროვნების კულტი“, მისი საშინაო პოლიტიკა და მათ შორის, მოსახლეობის გადასახლება-დეპორტაციები.

1956 წელს ჩეჩნებს, ინგუშებს, ბალყარელებს და ყარაჩაელებს გაუუქმეს ე. წ. სპეც-გადასახლებულის ანუ დეპორტირებულების სტატუსი. მათ თავისუფლად გადაადგილების უფლება მიიღეს. თუმცა, ისინი თავის საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნებას ვერ ახერხებდნენ, სანამ, 1957 წლის 19 იანვარს, არ გამოქვეყნდა, სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება - „ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის აღდგენის შესახებ“. ამავე წელს აღდგა ბალყარელების, ყარაჩაელების და ყალმუხების ეროვნული ავტონომიები.

ცნობილია, რომ 1944 წელს, დეპორტირებული ხალხების საცხოვრებელ ადგილებში საქართველოდან ჩასახლებული ქართველები, ყოველგვარი პროტესტის გარეშე გამობრუნდნენ უკან მშობლიურ მხარეებში, ანდა საქართველოს სხვა ტერიტორიებზე იქნენ ჩასახლებული. მაგალითად, ყვარლის რაიონის მეზობლად მდებარე თელავის რაიონში 1957 წელს, ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქის ყოფილი ტერიტორიიდან წამოსულ ქართველებს, რომლებიც იქ ადრე ყარაჩაელების გადასახლების შემდეგ ჩასახლეს, თელავის რაიონში გამოუყვეს მიწა, აუშენეს სახლები და დაასახლეს. ამაზე მეტყველებს, თელავის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის მასალებში დაცული დოკუმენტები. საუბარია არა კახეთის, არამედ საქართველოს სხვა ტერიტორიებიდან ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქის ყოფილ ტერიტორიაზე ჩასახლებულ ქართველებზე (სეა, კრა., ფ. 600, ა. 1, ს. 851).

რაც შეეხება, ყვარლის რაიონიდან ლეკების(ხუნძები) გასახლების და მათ შემდგომი „დაბრუნების“ შესახებ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია ძალიან საინტერესო მასალები, რომლებიც გვაძლევენ საშუალებას აღვადგინოთ ის რეალური ისტორია, რაც იმ დროს მოხდა. ასევე, გავაანალიზოთ კონკრეტული მიზეზები, თუ რატომ და როგორ „დაბრუნდა“ ლეკი მოსახლეობა ყვარლის რაიონში და არა თავის ნამდვილ სამშობლოში - დაღესტანში.*

როგორც ცნობილია, 1953 წლიდან, სტალინის გარდაცვალებიდან სულ რამდენიმე თვეში, აქტიურად იწყება სტალინის პერიოდის სსრკ-ს საშინაო პოლიტიკის „გადახედვის“ პროცესი. გამომდინარე იქიდან, რომ საბჭოთა კავშირის „ახალი“ ხელმძღვანელობა, ნიკიტა ხრუშჩოვის, თუ სხვა მაღალი რანგის საბჭოთა ბიუროკრატიული აპარატის წარმომადგენლების სახით, საქართველოს მოიაზრებდა, როგორც სტალინის „სამშობლოდ“,

* სტატია

ქართველებს კი მის მხარდამჭერებად, იწყება ისეთი ქმედებების განხორციელება, რაც გამოიწვევდა სტალინის „მომხრეების“, თუ მხარდამჭერების „დასუსტებას“.

ალბათ ამისი მიზეზი იყო, რომ საქართველოდან გასახლებული ლეკი მოსახლეობის საქართველოში დაბრუნების სურვილს დიდი წინააღმდეგობა არ შეხვედრია. ასევე დასაშვებია, რომ ამ პროცესებს ხელს სსრკ-ს ცენტრალური ხელისუფლება გარკვეული მიზეზების გამო ხელსაც უწყობდა. სხვა ახსნა არ აქვს, იმ ხანად განვითარებულ მოვლენებს, რომლის დასაწყისად უნდა ჩათვალოს, ჩვენს მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში მოძიებული, 1944 წლამდე საქართველოში მცხოვრები ლეკი მოსახლეობის სახელით დაწერილი წერილი. იგი 1955 წლითაა დათარიღებული და ხელმოწერილია ლეკურ მოსახლეობაში „გავლენიანი“ პირების - „კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე და პარტ-ორგანიზაციის პირველადი მდივანი, კპკ-ს წევრი 1940 წლიდან მამედოვის“ და „კოლმეურნეობის ყოფილი წევრი, ლაგოდების მოქალაქე, 67 წლის მოხუცი, უპარტიო ტაგუევის“ მიერ. წერილი ეგზავნება - „სსრკ-ს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მარშალ, ამხანაგ ნ. ბულგანინს“ (შსსა, ფ. 14, ან. 31, ს. 196).

მას ადევს შემდეგი რეზოლუცია: „საქართველოს ცკკპ მჯავანაძეს, დაღესტნის კპკ საოლქო კომიტეტს, დანიალოვს. გთხოვთ, განიხილოთ ეს საკითხი და მიიღოთ საჭირო ზომები“, მ. საბუროვი, 1955 წლის 25 ნოემბერი“ (შსსა, ფ. 14, ან. 31, ს. 196).

აღნიშნული წერილი ძალიან მნიშვნელოვანია იმის გამოსარკვევადაც, თუ როგორ იწყებოდა ჩეჩენ-ინგუშეთის ასსრ-ს იმ ყოფილი მიწებიდან, რომლებიც იურიდიულად დაღესტნის ასსრ-ს მიაკუთვნეს და სადაც 1944 წელს დაასახლეს საქართველოდან გადაყვანილი ლეკები, ამ უკანასკნელების ყვარლის რაიონში ჩასახლების პროცესი:

„სსრკ-ს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მარშალ, ამხანაგ ნ. ბულგანინს
ლაგოდების რაიონის სოფელ შრომაში მცხოვრებ იუსუპ ალიეროვის-ძე მამედოვის
და ჯემალ ტუგაევის, მცხოვრები ლაგოდებში, ვოროშილოვის სახელობის ქუჩის # 8
განცხადება

მოგმართავთ, 463 დაღესტნელი ოჯახის სახელით, რომლებიც ხალხის მტრის ბერიას ნებით უკვე 11 წელია არიან სრულიად უუფლებო მდგომარეობაში, მათ არავითარი დანაშაული არ ჩაუდენიათ. ჩვენ თერთმეტი წელია წარუმატებლად ვცდილობთ აღვადგინოთ ჩვენი კონსტიტუციური უფლება - ვიშრომოთ და ვიცხოვროთ სსრკ-ს ჩვენი მრავალნაციონალური ოჯახის გვერდით და მსგავსად.

ძნელად დასაჯერებელია, რომ ჩვენს დროს, როდესაც პარტიის და მთავრობის მთელი პოლიტიკა მიმართულია იმაზე, რომ სსრკ-ს ხალხების ცხოვრება სულ უფრო და უფრო გაუმჯობესდეს, როდესაც ჩვენი სახელმწიფოს ძლიერების გამტკიცების ხარჯზე სსრკ-ს მთავრობა შესაძლებლად მიიჩნევს ამინისტია გაუკეთოს იმ მოქალაქეებს ვინც ჩაიდინეს მძიმე დანაშაულებები, ამ დროს ასობით ადამიანი, ვისაც არასოდეს ჩაუდენია დანაშაული, და პირიქით პატიოსნად და კეთილსინდისიერად შრომობდა, აღმოჩნდნენ უუფლებო და არაადამიანურ მდგომარეობაში. ამ მდგომარეობაში იმყოფება 463 ოჯახი - რამოდენიმე ასეული საბჭოთა მოქალაქე.

1944 წელს, ჩვენ ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ძალდატანებით გადაგვასახლეს საქართველოდან დალესტანში და ჩვენ აღმოვჩნდით მოქალაქეობის გარეშე. ჩვენ ფაქტიურად ჩამოგვართვეს ხმის უფლება, რადგან არსად არ ვირიცხებით და 1947 წლის საბჭოს არჩევნებში ვერ მივიღეთ მონაწილეობა, ხოლო კოლმეურნეობა ჩვენ არ გვიღებს, ასევე არ გვიღებენ სამუშაოზე ქარხნები და ფაბრიკები.

იმის მაგივრად, რომ ჩვენ სხვა ხალხების მხარდამხარ ვიშრომით ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ, ჩვენ იძულებული ვართ, როგორც ოდესღაც დღიურად დაქირავებულმა პირებმა, ვიმუშაოთ კერძო პირებთან პურის ლუკმისთვის. ჩვენს ბავშვებს არ იღებენ სკოლებში და ისინი იზრდებიან მცირეგანთლებულები.

1944 წელს შეწყვიტეს ახალგაზრდების წითელი არმიის რიგებში გაწვევა, დიდი სამამულო ომის ფრონტებზე დაღუპული მეომრების ოჯახებისთვის არ იძლევიან პენსიებს, მრავალშვილიან დედები არ იღებენ შემწეობას, რომ შეინახონ და გაზარდონ შვილები, ჩვენ არ ვართ დაბეგრული გადასახადებით.

დღევანდელ დღეს ჩვენი მდგომარეობა უფრო გაუარესდა. ჩვენ გამოგვყარეს ყვარლის რაიონიდან და იძულებული ვართ ვიცხოვროთ ქუჩაში, სადაც ადამიანები იღუპებიან. ჩვენი სასაფლაოები მოხნეს და ჩვენ არ გვაქვს ადგილი, სადაც შეიძლება დაკრძალოთ ჩვენი მიცვალებულები. წისქვილებში აუკრძალეს ავარელი მოქალაქეებისთვის ფქვილის დაფქვა.

ჩვენ გვეძულქრებიან, რომ თუ ჩვენ არ წავალთ ჩვენი რაიონიდან, სადაც მთელი ცხოვრება გაატარეს ჩვენმა მამებმა და პაპებმა, ჩვენ საქონელს და ჩვენს ნივთებს კონფისკაციას გაუკეთებენ. ქართველ კოლმეურნეებს, ვინც შეიფარეს ჩვენი ოჯახები აიძულებენ გაგვყარონ სახლებიდან.

ჩვენ დალესტნელებს გვსურს პატიოსნად ვიშრომით, გვქონდეს უფლება ვიყოთ კოლმეურნეობების წევრები - აქტიური მონაწილეობა მივიღოთ კომუნიზმის მშენებლობაში, მაგრამ 11 წლის განმავლობაში ჩვენ გვართმევენ ამ უფლებას.

რატომ მოგვექცნენ ასე? ჩვენ ხომ არავითარი დანაშაული არ ჩავკვიდენია, ჩვენ დაგვსაჯეს არაფრის გამო, რეპრესირებულებად გვაქციეს, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ჩვენს უკანონოდ მოგვექცნენ. მოხდა შემდეგი:

საქართველოში ასი წლის წინ მცხოვრები დალესტნელები იყვნენ აყრილი ყვარლის რაიონში ნაცხოვრები სოფლებიდან ხაშალხუტი და თივ-თებელჯოხი. 1944 წლამდე ჩვენ ვცხოვრობდით ამ სოფლებში, რომლის მოსახლეობა შეადგენდა 800 მეურნეობას დალესტნელი ოჯახების.

1944 წელს ყველა ეს 800 ოჯახი* ძალდატანებით იქნენ გადასახლებული დალესტნის ასსრ-ს, რიტლოვსკის რაიონში. გადასახლეს მუქარით, რომ თუ არ გადავსახლდებოდით,

* დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ყვარლის რაიონიდან რეალურად გაასახლეს სულ 470 ოჯახი, რომელთა ქონება შეფასებულ იქნა 1 289 920 მანეთად [კახეთის რეგიონალური არქივი, ყვარლის რაიონის მასალები, ფონდი 1, საქმე 763, გვერდი 1,2]

მაშინ ჩვენც ისე მოგვეცეოდნენ როგორც ჩეჩნებს. მთელი ჩვენი შეძენილი მეურნეობა(ქონება) - სახლები, ბაღები და სხვა ჩამოგვართვეს და გვაიძულეს ცხოვრება დაგვეწყო თავიდან.

ჩვენც არაფერი გვექონდა, რომ გვეჭამა, მკვეთრმა გაუარესებამ ცხოვრებისეული და კლიმატური პირობების მიგვიყვანა მძიმე შედეგებამდე - გადასახლებული დაღესტნელების თითქმის ნახევარი დაიხოცა და დანარჩენები, თავი რომ გადაერჩინათ თავის თანასოფლელების ბედისგან დაბრუნდნენ თავისთან სამშობლოში, საქართველოში.

თუმცა, დაღესტნელების ოჯახებს ნება არ დართეს ჩასახლებულიყვნენ თავის სახლებში და ჩვენ უბრალო თავშესაფრის ძებნა მოგვიხდა, რომ ბავშვები და მოხუცები არ დახოცილიყვნენ ღია ცის ქვეშ, ასევე მოგვიწია სხვადასხვა რაიონში გაფანტვამ.

ახლა ჩვენი დაღესტნური ოჯახები მიდი-მოდთან ყვარლის, ლაგოდების, ბელაქნის, წითელ-წყაროს, ახმეტის და საქართველოს სსრ-ს სხვა რაიონებში. სადღაც სიბრალოლის გამო შეიფარეს თავისთან სახლებში ქართველმა კოლმეურნეებმა, ზოგს ესეც არ აქვს.

ამის შესახებ, 1953 წლის 4 მარტს (#73-983) დავწერეთ განცხადებაში, რომელიც გავაგზავნეთ სსრკ-ს უმაღლეს საბჭოში, მაგრამ ჩვენი განცხადება გადაგზავნილი იქნა მშრომელთა დეპუტატთა საბჭოების, თბილისის საოლქო საბჭოში, რომელმაც ჩვენ არც კი გვიპასუხა.

1953 წლის 16 ნოემბერს, ჩვენ შევიტანეთ განცხადება საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სახელზე და ვითხოვეთ ნება დაერთოთ დავბრუნებულებიყავით ჩვენს სოფლებში, მაგრამ ეს განცხადება გადაგზავნილი იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ინაურთან. პასუხი მისგან ჩვენ ვერ მივიღეთ და მასთან მიღებაზე არ დაგვიშვეს. ჩვენ ასევე მივმართეთ განცხადებით საქართველოს ცკ კპც და ცკკპ მაგრამ პასუხი მათგანაც არ მიგვიღია.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ასეთ უუფლებო და არაადამიანურ მდგომარეობაში მდგომარეობაში აღმოვჩნდით ხალხის მტრის ბერიას გამო. იმის გამო, რომ ცალკეულმა უსულგულო ჩინოვნიკებმა, დაივიწყეს, რომ ჩვენს ქვეყანაში მოქალაქეები მიუხედავად მათი ნაციონალური კუთვნილებისა თანაბრები არიან - არ სურთ გამოსწორონ მდგომარეობა და დაეხმარნენ ჩვენს ოჯახებს მოიპოვონ მშვიდობა.

მოგმართავთ თქვენ, ჩვენ გთხოვთ დაუდოთ ბოლო უუფლებო არსებობას და ხეტიალს არაფერში დამნაშავე 463 დაღესტნური ოჯახის და დაგვეხმაროთ ჩვენ დავიწყოთ ცხოვრება, ისე როგორც ცხოვრობენ ჩვენი სამშობლოს მოქალაქეები.

ჩვენ გთხოვთ, თქვენ მისცეთ მითითება საქართველოს ხელისუფლებას დაგვაბრუნონ ჩვენ ჩვენს მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე, ჩვენს სამშობლოში, დაგვიბრუნონ ჩვენი სახლები, რომლებისგანაც, 800-დან დარჩა მხოლოდ 200.

პირობას გაძლევთ თქვენ, მართალია ჩვენი სოფლები თითქმის დანგრეულია, ჩვენ დაუდალავი შრომით აღვადგენთ დანგრეულ მეურნეობებს, შევქმნით ახალ კოლმეურნეობებს და ყველა ღონეს ვიხმართ იმისათვის, რომ ეს ახალი კოლმეურნეობა გახდეს სანიმუშო. ჩვენ მოგვენატრა ჩვენი სამშობლო და ვიშრომებთ გასამშაგებელი ძალით.

* ეს განცხადება სავარაუდოდ დაიწერა არა 4 მარტს, არამედ სტალინის გარდაცვალების შესახებ ოფიციალური ინფორმაციის გავრცელების დღეს - 5 მარტს

ჩვენ ძალიან გთხოვთ, არ გაგზავნოთ ჩვენი წერილი საქართველოში, რადგან ჩვენ დაგვარგეთ ყოველგვარი იმედი იმის, რომ ჩვენ იქ დაგვეხმარებიან.

ყოფილი თავმჯდომარე კოლმეურნეობის და მდივანი პირველადი პარტი-ოპორგანიზაციის, კომუნისტური პარტიის წევრი 1940 წლიდან მამედოვი, კოლმეურნეობის ყოფილი წევრი, ლაგოდების მოქალაქე 67 წლის მოხუცი, უპარტიო ტაგუევი“ (მსსა, ფ. 14, ან. 31, ს. 196).

მცირე ექსკურსი ისტორიაში - ეს წერილი იწერება მაშინ, როდესაც ნიკიტა ხრუშჩოვი, იმ დროს საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი (1953-1964), სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე (1958-1964) იწყებს სტალინის და მისი გარემოცვის, ასევე ლავრენტი ბერიას „თანამებრძოლების“, ახლობლების და მათი ეთნიკურობიდან გამომდინარე, ქართველების წინააღმდეგ ფარულ ბრძოლას, რაც უკვე დიად გაცხადდა, 1956 წლის 25 თებერვალს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX საკავშირო ყრილობის მიმდინარეობისას გამართულ „დახურულ“ სხდომაზე - ნიკიტა ხრუშჩოვმა „დაგმო“ „პიროვნების კულტი“ და გააკრიტიკა სტალინი.

როგორც ვიცით, 1956 წლის 9 მარტს თბილისში, სწორედ ხრუშჩოვის გარემოცვის ბრძანებით მოხდა, ემოციურ ნიადაგზე დაწყებული სტუდენტ-ახალგაზრდობის მშვიდობიანი, ასე ვთქვათ, „პროსტალინური“ დემონსტრაციის დარბევა. „წითელი არმიის“ ნაწილების მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას, მომიტინგეებს შორის მოჰყვა დიდი მსხვერპლი - ოფიციალურად 27 ადამიანი დაიღუპა, თუმცა, არაოფიციალური მონაცემებით, დაზოცილთა რაოდენობამ 100 ადამიანს გადააჭარბა.

მოსკოვში, მარშალ ბულგანინის სახელზე გაგზავნილი ამ ზემომოყვანილი დოკუმენტის დეტალურ ანალიზს აქ არ გავაკეთებთ. ვფიქრობთ, უმჯობესია მკითხველმა თვითონ შეადაროს მასში მოყვანილი ფაქტების სისწორე და მათი ავტორებისეული ინტერპრეტაცია, ჩვენ მიერ ზემოთ გაანალიზებულ, მათ შორის რუსეთის იმპერიის პერიოდის მასალებს. როგორც ჩანს, საკუთარი უფლებების დაცვა და მხოლოდ აღვნიშნავთ შემდეგს, რომ წერილში საკმაოდ ბევრი შეუსაბამობებია ისტორიულ რეალობასთან. თუნდაც იმისი თქმა, რომ საქართველოდან დაღესტანში გადაყვანილი ლეკებს „ყველაფერი წაართვეს“.

საქმე იმაშია, რომ საქართველოდან გასახლებულ ლეკებს აუნაზღაურეს სახლების, ბაღების და სხვა ქონების ღირებულება. ისინი ჩეჩნებივით და ინგუშებივით არ გადაასახლეს ისეთ ადგილებში, სადაც ელემენტარული საცხოვრებელი პირობებიც კი არ იყო. გარდა ამისა, ყვარლის რაიონიდან ლეკების გადაყვანა დაღესტნის რესპუბლიკაში, რომლის შემადგენლობაშიც 1944 წლიდან იურიდიულად შედიოდა ის ტერიტორიები, სადაც ჩასახლდნენ, რაც რეალურად მათი სამშობლოში დაბრუნება იყო. ამასთან, მათ უმეტესობას დაღესტანში ისედაც გააჩნდათ სახლები და მიწის ნაკვეთები.* წერილში კი, მისმა ავტორებმა თავის სამშობლოდ საქართველო „გამოცხადეს“.

* სტატიაში გამოყენებულია მასალები: თენგიზ სიმაშვილი, კახეთში მცხოვრები ლეკები საარქივო მასალების მიხედვით (ნაწილი II: 1940-1950-იანი წლები), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XIX. თბილისი. 2023

დოკუმენტების ანალიზიდან ირკვევა, მაღალი რანგის მოსკოველი ჩინოვნიკის - საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის (1952-1961), საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პრეზიდიუმის წევრის (1952-1957) და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. საბუროვის მოწერილობა და ლეკების მიერ მარშალ ბულგანინის სახელზე გაგზავნილი წერილის ასლი, საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების მიერ მაშინვე იქნა აყვანილი „კონტროლზე“ და გადაცემული „შესასწავლად“.

ამას ადასტურებს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განსაკუთრებული სექტორის გამგის გურგენიძისადმი გაგზავნილი, 1955 წლის 13 დეკემბრით დათარიღებული, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ა. ასმოლოვის საიდუმლო წერილი:

„გაცნობებთ, რომ საქართველოს სსრ-ს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, 1944 წლის 18 მაისის #546 დადგენილების თანახმად, საქართველოს სსრ-ს ყვარლის რაიონის სოფლების ხაშალხუტი და თივის საბჭოებიდან, 1944 წელს იქნენ გადასახლებული დალესტნის ასსრ-ში ლეკები 800 ოჯახამდე. გადასახლება წარმოებდა საქართველოს ცნკ დალესტნის ცნკ-ს წარმომადგენლების მიერ მონაწილეობით. ყველა მასალა გადასახლებულებზე ინახება ყვარლის მშრომელთა დეპუტატთა საბჭოს რაიადმასკომში. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ასმოლოვი“ (შსსა, ფ. 14, ან. 31, ს. 196).

ამ წერილის გაგზავნიდან მალევე, 1956 წლის 2 თებერვალს, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე, სსრკ-ს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. საბუროვს წერს:

„თქვენი მითითების თანახმად, 1955 წლის 25 ნოემბერს განვიხილე მოქალაქეების მამედოვი იუსუპ ამირის ძის და ტაგუევი დჟამალის განცხადება, მათ გადასახლებაზე საქართველოს სსრ-დან დალესტნის ასსრ-ში. აღნიშნული საკითხის შესწავლით დადგინდა შემდეგი: თანახმად სსრკ-ს სახალხო კომისართა საბჭოს, 1944 წლის 18 მაისის დადგენილებისა „გადასახლების დალესტანში ასსრ-ში საქართველოს სსრ-ში მცხოვრები დალესტნელების“, 1944 წლის აგვისტოში განხორციელდა საქართველოს სსრ-ში ყვარლის რაიონში მცხოვრები დალესტნელების მეურნეობების, კოლმეურნეების და კერძო პირების გადასახლება.

ამ გადაწყვეტილების განსახორციელებლად ადგილზე ე. ი. ყვარლის რაიონში ჩავიდნენ დალესტნის კპ საოლქო კომიტეტის წარმომადგენლები, დალესტნის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხანაგი დანიალოვის ხელმძღვანელობით, რომელიც ამჟამად არის დალესტნის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანი. მათ ჩაატარეს შესაბამისი მოსამზადებელი სამუშაო ადგილზე, რის შედეგად გამოგზავნილ იქნა კომისია, რომელმაც განახორციელა გასახლება.

კოლმეურნეობების ყველა მოძრავი ქონება, კოლმეურნეების და კერძო პირების მსხვილი და წვრილფეხა პირუტყვი გადაყვანილ იქნა ახალი გასახლების ადგილზე. დალესტნის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტის და დალესტნის სახალხო კომისართა საბჭოს ხელმძღვანელობით, ისინი გადაყვანილ იქნენ ახალი განსახლების ადგილზე დალესტნის ასსრ-ში.

დარჩენილი საზოგადოებრივი და კერძო პირების უძრავი ქონება - შენობები, საცხოვრებელი სათავსოები და სხვა შეფასდა, დალესტინის ასსრ-ს და საქართველოს მინისტრთა საბჭოების შერეული კომისიის წარმომადგენლების მიერ და მათი ღირებულება ანაზღაურებულ იქნა საბიუჯეტო სახსრების ხარჯზე დადგენილი წესით.

აღნიშნული გასახლება ჩატარდა მხოლოდ ნებაყოფილობით და ძალდატანების შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია. სულ გასახლდა ორი კოლმეურნეობა, 470 მეურნეობა და კერძო პირი.

ინფორმაციისთვის მოგახსენებთ, რომ გადასახლება ჩატარდა სოფლებში თივი და ხაშალხუტი. იმის გამო, რომ შენობები იყო ძალიან მყიფე და გამოუსადეგარი, გადასახლების შემდეგ მათი უმრავლესობა იქნა დანგრეული.

სოფელ თივში დღეს არ არის არც ერთი ძველი შენობა და ადგილი გამოიყენება მხოლოდ თესვისთვის და ხაშალხუტში გარკვეულ შენობებში ახლადჩასახლებულები დასახლდნენ და დანარჩენი კი, დაანგრიეს გამოუსადეგარობის გამო.

ადგილზე შემოწმებით დადგინდა, რომ გასახლებული დალესტინელების, ან მათი ოჯახის წევრების ნაწილმა დატოვა თავისი ახალი საცხოვრებელი დალესტინის ასსრ-ში და ეწევიან მოქარავენ ცხოვრებას, ემალებიან სახელმწიფო მიწოდებებს და გადასახადებს. ამასთან, ზამთრის დროს ისინი იმალებიან საქართველოს სსრ-ს კოლმეურნეობების სამოვრებზე, სადაც ინახავენ მათ საკუთრებაში მყოფ საქონელს. წლის სხვა დროს კი ბრუნდებიან დალესტინის ასსრ-ს მთიან ადგილებში.

მოქალაქეების მამედოვის და ტუგაევის მიერ მათ განცხადებაში მოყვანილი მტკიცება, დალესტინელების თითქოს იძულებით გადასახლებაზე საქართველოს სსრ-დან დალესტინის ასსრ-ში არ შეესაბამება სინამდვილეს და არის განმცხადებლების მიერ გამოგონილი.

მხედველობაში იღებს რა არსებულ ვითარებას და შეუძლებლობას ასეთ მდგომარეობაში დარჩენის, საქართველოს ცკ კპ გთხოვთ დაავალდებულოთ დალესტინის კპ საოლქო კომიტეტი და დალესტინის მინიტრთა საბჭო ჩაატარონ საჭირო სამუშაოები ორგანიზაციულ-სამეურნეო გაძლიერებისთვის კოლმეურნეობების, გადასახლებულების საქართველოს სსრ-დან მათი ახალი ჩასახლების ადგილზე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მჟავანაძე, 1956 თებერვალი“ (შსსა, ფ. 14, ან. 31, ს. 196).

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ვასილ მჟავანაძის ამ წერილში მოყვანილ ინფორმაციებით ვიგებთ, რომ 1944 წელს საქართველოდან დალესტანში ლეკების დასახლებაში, სწორედ დალესტინის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტი და დალესტინის სახალხო კომისართა საბჭო მონაწილეობდნენ, რაც დასტურდება სხვა მასალებითაც.

დალესტინის ასსრ-ს წარმომადგენლებს შესაბამისი „სამუშაო“ ჩაუტარებიათ, ყვარლის რაიონიდან დალესტანში მოსახლეობის გასახლებისთვის და კომისიაც გამოუგზავნიათ. სავარაუდოა, რომ ყვარლის რაიონიდან ლეკი მოსახლეობის დალესტინის ასსრ-ს ტერიტორიაზე დაბრუნების პროცესი გარკვეულწილად „გაუადვილა“ მათ იმ

გარემოებამ, რომ, ჯერ კიდევ 1940-1941 წლებში, დაღესტნის ასსრ-ს და საქართველოს სსრ-ს უმაღლესი რანგის ხელისუფლების დავალებით, რაიონული მმართველობითი რგოლის წარმომადგენლები ერთმანეთს შეხვდნენ და გადაწყვიტეს ლეკი მოსახლეობის უკან, სამშობლოში „დაბრუნება“.

წერილიდან ჩანს, რომ დაღესტანში გადასახლებული ლეკების მიერ დაღესტნის ტერიტორიის დატოვება და მოქარავენე ცხოვრება, მათი ტრადიციული მეურნეობის დარგის, მესაქონლეობითაც იყო განპირობებული (შსსა, ფ. 14, ან. 31, ს. 196).

საქართველოს ეროვნული არქივის, კახეთის რეგიონულ არქივში დაცულია საინტერესო დოკუმენტები, რომელთა შორის არის, 1956 წელს დაღესტნის ასსრ-დან, ყვარლის რაიონის ტერიტორიაზე „დაბრუნებული“ და თვითნებურად ჩასახლებული ლეკების ოჯახების რაოდენობების შესახებ ინფორმაცია, სხვადასხვა სასოფლო საბჭოების მიხედვით.

ყვარლის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე დავითაშვილი, 1956 წლის 30 იანვარს, აღნიშნულის შესახებ საქართველოს სსრ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს წერდა: „სსრ კავშირის სახალხო კომისარიატის 18 მაისის # 546 დადგენილების შესაბამისად, სსრკ-ს სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს ცენტრალური კომიტეტის, 1944 წლის 25 ივლისის # 373 დადგენილებით, 1944 წლის აგვისტოში ყვარლის რაიონის ტერიტორიიდან გასახლებულ იქნენ მუდმივად მაცხოვრებელი ლეკები, ყოფილი ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის იმ რაიონებში, რომლებიც ჩეჩნეთ-ინგუშეთის გადასახლების შემდეგ მიაკუთვნეს დაღესტნის ასს რესპუბლიკას. ყვარლის რაიონიდან აღნიშნულ რაიონებში გასახლებულ იქნა სულ 470 ოჯახი, რომელთა ქონება შეფასებულ იქნა 1 289 920 მანეთად“ (კრა, ფ. 1, ან. 1, ს. 763).

ყვარლის რაიონის აღმასკომს, 1955 წლის მარტის თვეში ჩაუტარებია შემოწმება და დაუდგენიათ: „321 ოჯახამდე ლეკს თვითნებურად მიუტოვებია მათვის მუდმივ საცხოვრებლად განკუთვნილი რაიონები და დაღესტანში დასახლების მაგივრად ჩავიდნენ ყვარლის რაონში.. ყვარლის რაიონის მშრ. დეპ. საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე - დავითაშვილი“ (კრა, ფ. 1, ან. 1, ს. 763).

როგორც აღმოჩნდა, იმ პერიოდში ყვარლის რაიონში თვითნებურად ჩასული ლეკების გამო, სიტუაცია თანდათან „მწვავდებოდა“ და ამას ადასტურებს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაგზავნილი სხვადასხვა სახის ინფორმაციები და მოხსენებითი ბარათები.

საქართველოს ყვარლის კომუნისტური პარტიის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი აივაზაშვილი, 1957 წლის 25 ივლისს, საქართველოს კპ ცკ-ის პირველ მდივანს მუავანაძეს უგზავნის შემდეგ მოხსენებით ბარათს:

„სრულიად საიდუმლოდ

საქართველოს კპ ცკ-ის პირველ მდივანს

ამხ. ვ.კ. მუავანაძეს

როგორც მოგეხსენებათ სს კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებით 1944 წელს ყვარლის რაიონიდან დაღესტნის ასსრ-ში გადაყვანილ იქნა ლეკების 460 კომლი, რომლებსაც საქართველოს სსრ ბიუჯეტიდან გადაერიცხათ მიწების ღირებულება.

ამა წლის ივლისის თვის დასაწყისში ყვარლის რაიონის სოფელ მთისძირში სატვირთო ავტოტაქსით დაიწყო დაღესტნელი მცხოვრებლების ჩამოსვლა. აღნიშნულზე, იმ დღისითვე თქვენ გაცნობეთ და საჭირო ზომების მისაღებად, თქვენს მიერ მოვლინებულ იქნენ ამხანაგები გ. შარაშენიძე (საქ. კპცკ-ი) და დ. რომელაშვილი (საქ. სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო).

მათ, ჩვენთან ერთად განუმარტეს ჩამოსულებს, რომ ამ ტერიტორიებზე მათი დასახლება შეუძლებელია. ჩამოსული ლეკები კი, კატეგორიულად აყენებდნენ საკითხს მათ ყოფილ საცხოვრებელ ადგილზე დასახლების შესახებ. ამის გამო, რომ მათი გაყვანა მაშინვე არ მოხდა, ივლისის პირველი ნახევრიდან გროზნოდან, უკვე მასიურად დაიწო ავტომანქანებით და მატარებლით ლეკების ჩამოსვლა, რის შესახებაც მაშინვე გაცნობეთ და თქვენი დავალებით ადგილზე ჩამოვიდნენ ამხ. მ.ი. კუჭავა და ამხ. ვ.მ. ჯანჯღავა.

ჩვენ, თქვენი მითითების თანახმად, პირველად შევთავაზეთ გარდაბნის, წითელწყაროს და სხვა რაიონებში დასახლება, შემდეგ ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონების კოლმეურნეობებში, მაგრამ მათ ამაზე კატეგორიული უარი განაცხადეს.

მდგომარეობა დღითიდღე რთულდება და თქვენი დავალებით მოვლინებულმა ხელმძღვანელმა მუშაკებმა გადაწყვიტეს წესრიგის დამყარების მიზნით მილიციის მუშაკთა გაძლიერება. ისინი ახლაც ადგილზე არიან. ლეკები არ იქნენ რა გადაყვანილი ამ ხნის განმავლობაში, ისინი ერთ ადგილზე დაბანაკდნენ, გაიკეთეს ქოხები და განაგრძობენ იქ ცხოვრებას.

თქვენი მითითების შესაბამისად, ადგილზე ამხანაგ ა.ნ. ინაურთან ერთად კვლავ ვესაუბრეთ, ვურჩიეთ, რომ ღია ცის ქვეშ მოხუცებით, ბავშვებით მათი ცხოვრება არ შეიძლება. შევთავაზეთ სოფელ მთისძირის გვერდითვე ახლა უკვე 2-3 კოლმეურნეობასთან ერთად დასახლება და სამუშაოს მიცემა, მაგრამ მათ ამ წინადადებაზე უარი განაცხადეს.

ეს წინადადებები ადგილზე მათი წარმომადგენლების (უნცუკულსგ(კ)ი - დაღესტნის ასსრ, ბალიევი - ჩეჩენო -ინგუშეთის ასსრ) აგრეთვე საქ. სსრ მინისტრთა საბჭოდან ამხანაგი გ. მიროტაძე, მ. ბუჯიაშვილთან ერთად, გუშინ ე. ი. 24 ივლისს კვლავ შევთავაზეთ, მაგრამ მათ ამის მოსმენა უკვე არც კი სურთ. მოითხოვენ ერთსა და იგივეს: ჩვენ გვინდა ჩვენი ყოფილი საცხოვრებელი ადგილი!

აქვე მოგახსენებთ, რომ ამჟამად ჩამოსული არიან 235 კომლამდე 1000 სულზე მეტი, ელოდებიან კიდევ ამდენს, რომლებიც მათი გადმოცემით გამოსულები არიან. ამას გარდა საქონელი ცხვარი 10 000, მსხვილფეხა 500 და სხვ. უკვე მოაყენეს საქართველოს საზღვრებს.

მდგომარეობა მეტად სერიოზულია და დღითიდღე მწვავედება. მოსალოდნელია ჩამოსული დაღესტნელების მიერ ბინებში ძალით შესვლა და აქედან გამომდინარე ადამიანთა დიდი მსხვერპლი.

საქართველოს კ.პ. ყვარლის რაიკომის მდივანი ა. აივაზაშვილი“ (შსსა, ფ. 64, ან. 16, ს. 11).

საბჭოთა ხელისუფლებას იმ ხანად, არ გაუჭირდებოდა ლეკების საქართველოდან „გაყვანა“ და დაღესტანშივე საცხოვრებლებით დაკმაყოფილება, მაშინ როდესაც მათ უმეტესობას, ჯერ კიდევ 1941 წელს დაღესტანში თარატის რაიონში გააჩნდათ სახლები (კრა.,

ფ. 496, ან. 1, ს.6). ასევე, თუ ამას დავამატებთ, იმ გარემოებასაც, რომ 1956 წლის 9 მარტს, საბჭოთა ხელისუფლების მიერ თბილისში შეყვანილმა ჯარის ნაწილებმა დაარბიეს და დახვრიტეს სტუდენტების და უბრალო ადამიანების მშვიდობიანი დემონსტრაცია, ნათელი ხდება, არსებობდა რეალური მიზეზები, რის გამოც ლეკები საქართველოში დაუბრკოლებლად ჩავიდნენ.

გარდა ამისა, პასუხგასაცემია კითხვები, თუ რატომ არ დაბინავდნენ ლეკები საქართველოს იმ ტერიტორიებზე, რომლებსაც სთავაზობდნენ - გარდაბნის, წითელწყაროს, ასევე ლაგოდეხის და ყვარლის რაიონების სხვა ადგილებში. ასევე, ვისი იმედი ჰქონდათ მათ, როდესაც, პრაქტიკულად „ულტიმატუმის ენით“ ელაპარაკებოდნენ საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივ წარმომადგენლებს.

როგორც კომუნისტური პარტიის ყვარლის რაიონის პირველი მდივანი აივაზაშვილი წერს: „ჩამოსული ლეკები კატეგორიულად აყენებენ საკითხს მათ ყოფილ საცხოვრებელ ადგილზე დასახლების. პირველად შევთავაზეთ გარდაბნის, წითელწყაროს და სხვა რაიონებში დასახლება, შემდეგ ლაგოდეხის და ყვარლის რაიონებში დასახლების, მაგრამ ყველა ამაზე კატეგორიული უარი მივიღეთ“ (შსსა, ფ. 64, ან. 16, ს. 11).

როგორც ჩანს, საქართველოს იმდროინდელმა ხელისუფლებამ იცოდა, სსრკ-ს ცენტრალური ხელისუფლების დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. შესაძლებელია, მართლაც არსებობდა საშიშროება, რომ ქართველი ხალხისთვის დაებრალებინათ, რომ ჩაგრავდნენ ეროვნულ უმცირესობებს და ეს გამხდარიყო ქართველების, რეპრესირების საბაბი. სწორედ ამ წლებში, ხომ გავრცელდა მოსაზრება, რომ ნიკიტა ხრუშჩოვი აპირებდა ქართველების შუა აზიაში გადასახლებას, საქართველოში კი რუსი და სხვა ეროვნების ხალხების ჩამოსახლებას.

საქართველოს იმდროინდელმა ხელისუფლებამ გაითვალისწინა სხვა გარემოებებიც და „ჩათრევას, ჩაყოლა ამჯობინა“, თუმცა ლეკების „კატეგორიულ“ მოთხოვნებს მაინც ვერ აკმაყოფილებდა. ამაზე მეტყველებს, 1957 წლის 2 ოქტომბერს, ყვარლის რაიონის მაღალი თანამდებობების პირების მიერ, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გაგზავნილი შემდეგი წერილი:

„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 29 ივლისის # 485-ს და 1957 წლის 17 აგვისტოს #533 დადგენილებებით გადაწყდა, რომ ჩეჩენ-ინგუშეთიდან თვითნებურად ჩამოსული ლეკები დასახლებულნი ყოფილიყვნენ ყვარლის რაიონის ტერიტორიაზე. ყვარლის რაიონის სოფელ ჭიკაანის - „ხრუშჩოვის“, სოფელ ახალსოფლის - „ლენინის“, „მარჯანიშვილის“ და სოფელ ბალოჯიანის „წითელი ოქტომბრის“ სახელობის კოლმეურნეობებს, რჩევა მიეცათ განეხილათ საერთო კრებებზე საკითხები და მიეღოთ თავიანთ წევრებად ჩეჩენ-ინგუშეთის ასსრ რესპუბლიკიდან თვითნებურად ჩამოსული ლეკები და მიეზომათ მათთვის საკარმიდამო ნაკვეთები.

დადგენილების მომზადების დროს, თვითნებურად ჩამოსულ დაღესტნელთა უმრავლესობამ საქართველო სსსრ მთავრობის კომისიას თანხმობა განუცხადა ზემოაღნიშნულ კოლმეურნეობებში წევრად შესვლასა და მუშაობაზე, მაგრამ შემდეგ ისინი აღარ ასრულებენ დადგენილებას და სოფელ ბალოჯიანის კოლმეურნეობის ტერიტორიაზე დროებით

დასახლებული 160 კომლის გარდა, ყველა უარს აცხადებს დასახლებულ კოლმეურნეობებში შესვლაზე და მათთან მუშაობაზე.

სოფელ ჭიკვანის „ხრუმოვის“ და სოფელ ახალსოფლის „ლენინის“ და „მარჯანიშვილის“ სახელობის კოლმეურნეობების ტერიტორიებზე დასახლებული ლეკები დაჟინებით მოითხოვენ გამოეყოთ ცალკე ტერიტორია სოფელ მთისძირის „ჭავჭავაძის“ სახელობის კოლმეურნეობის, საიდანაც გადასახლებული იქნენ 1944 წელს ნაკვეთებიდან და იქ შეიქმნას მათგან დასახლებული პუნქტი და ცალკე კოლმეურნეობა, ამას ასაბუთებენ თავიანთი რელიგიური რწმენითა და ზნე-ჩვეულებათა თავისებურებით.

1944 წელს ყვარლის რაიონის მთისძირის და თივ-თებელჯოხის ტერიტორიიდან გასახლებული იქნა 470 კოლმეურნე ოჯახი. ამჟამად ჩამოსახლდა 3 კოლმეურნეობა 494 კოლმეურნე ოჯახი, რასაც დაემატა 1944 წლიდან დაწყებული თვითნებურად დაბრუნებული 100 ოჯახზე მეტი, ამრიგად 594 ოჯახი იმყოფება რაიონში მოსალოდნელ ზამთრის წინ მინიმალურ საცხოვრებელ პირობებს მოკლებული. გასათვალისწინებელია, რომ დაღესტნელთა კოლმეურნეობებმა ჩამორეკეს ცხვარი 5600 სული, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი 685 სული, ცხენი 78 სული, რასაც ემატება პირადი სარგებლობის პირუტყვიც დიდი რაოდენობით.

ადგილზე გატარებული მუშაობის შედეგად, თვითნებურად ჩამოსული ლეკების ერთი ჯგუფისაგან განცხადებები წევრად მიღებაზე შევიდა ახალსოფლის „მარჯანიშვილის“ სახელობის კოლმეურნეობაში. ამა წლის 30 სექტემბერს, ჩატარდა კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრება, კრებაზე ლეკებმა უარყვეს განცხადებების დაწერა და განაცხადეს, რომ მათ „არ სურთ ქართველების კოლმეურნეობაში წევრად შესვლა“.

ახალსოფლის „ლენინის“ სახელობის კოლმეურნეობაში შეტანილი 72 განცხადება უკანვე წაიღეს და აღარ მიაქვთ კოლმეურნეობაში, ხოლო ჭიკვანის „ხრუმოვის“ სახელობის კოლმეურნეობაში არც ერთი განცხადება არ მიიტანეს. დასახლებული კოლმეურნეობების თავმჯდომარეები ყოველდღე აკითხავდნენ და ეთათბირებინ ლეკებს, მაგრამ მათი პასუხი ყოველთვის ერთია.

მდგომარეობა გართულებულია იმითაც, რომ ჭიკვანის „ხრუმოვის“, ახალსოფლის „ლენინის“ და „მარჯანიშვილის“ სახელობის კოლმეურნეობების – წევრთა უმრავლესობა წინააღმდეგია, არ უნდათ მიიღონ წევრებად თვითნებურად ჩამოსული ლეკები მიწების სიმცირისა და რელიგიური ჩვეულებებით სასმელი წყლების და სხვა საზოგადოებრივი ადგილების გაბინძურების გამო.

იმის გამო, რომ თვითნებურად ჩამოსულ ლეკებს მტკიცედ გადაუწყვეტიათ არ დარჩნენ ამჟამად მათთვის მიჩენილ ადგილებში, არა ზრუნავენ შეიქმნან პირობები გამოზამთრებისათვის, იმყოფებიან ხის ფოთლების ქოხებში ანტისანიტარულ პირობებში. ადგილი აქვს კუჭ-ნაწლავითა და ბავშვთა გადამდებ სნეულებებით დაავადებებს. ავადმყოფობის უკვე 285 შემთხვევაა აღრიცხულია -გარდაცვლილია ერთი მოზრდილი და 9

ბავშვი.* რაიონის ჯანმრთელობის დაცვის მუშაკების არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, რომ ავადმყოფი ბავშვები მოათავსონ საავადმყოფოში უარს აცხადებენ. მძიმე მდგომარეობა მოელის მათ პირუტყვსაც ბინების და საკვების მოუგვარებლობის გამო.

ჩეჩენ-ინგუშეთის ტერიტორიიდან თვითნებურად ჩამოსულ ლეკთა მოთხოვნის დაკმაყოფილება და მათი სოფელ მთისძირის „ჭავჭავაძის“ სახელობის კოლმეურნეობის ტერიტორიაზე დასახლება გამოიწვევს იქ მცხოვრებთა შევიწროებას და მათ თანდათანობით განდევნას.

ამჟამად შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი ერთია: ზამთრის დადგომამდე ადმინისტრაციული წესით გაყვანილ იქნეს, ყვარლის რაიონიდან ჩეჩენ-ინგუშეთის ტერიტორიიდან თვითნებურად ჩამოსული ახალსოფლისა და ჭიკაანის ტერიტორიაზე დაბანაკებული ლეკები. გთხოვთ თქვენს მითითებას” (შსსა, ფ. 64, ან. 16, ს. 11).

ყვარლის რაიონის საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებს, ცენტრალური ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლოთ, რადგან ლეკი მოსახლეობა ქართველ მოსახლეობასთან შედარებით „პრივილიგიურულ“ მდგომარეობაში იმყოფებოდა. 1955 წლის ნოემბერში, სსრკ-ს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მარშალ ბულგანინთან გაგზავნილ წერილში, ისინი სტალინის „პერიოდში“ მოქალაქეობა-წართმეულ, უუფლებო მდგომარეობაში ჩაყენებულ, რეპრესირებულ ხალხებს აკუთვნებდნენ თავს და „სტალინ-ბერიასგან დაჩაგრულებს“ იმიჯი ჰქონდათ მორგებული (შსსა, ფ. 14, ან. 31, ს. 196).

შესაბამისად, აუცილებელი იყო, რომ ლეკები უნდა დაესახლებინათ ყვარლის რაიონის ტერიტორიაზე. პრობლემას ართულებდა ის გარემოება, რომ ადგილობრივი ქართველი მოსახლეობაც წინააღმდეგი იყო მათი ხელახლა ჩასახლების: „მიწების სიმცირისა და რელიგიური ჩვეულებებით სასმელი წყლების და სხვა საზოგადოებრივი ადგილების გაბინძურების გამო“ (შსსა, ფ. 64, ან. 16, ს. 11). ეს კი, მეორეს მხრივ, შესაძლებელს ხდიდა ლეკებს და ქართველებს შორის მომავალში, ეთნიკურ ნიადაგზე კონფლიქტები დაწყებულიყო. მოვლენების ასეთი განვითარება კი, ცხადია ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხსაც დააყენებდა. ამიტომ, საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი წარმომადგენლები ცდილობდნენ საქმე ასეთი სახის დაპირისპირებამდე არ მისულიყო.

1950-იან წლებში ყვარლის რაიონში ლეკების „თვითნებურად“ ჩასახლების ისტორიას კარგად „ასახავს“, ყვარლის რაიონის კომუნისტური პარტიის პირველი მდივნის, აივაზაშვილის მიერ, 1957 წლის 15 ოქტომბერს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივან ვ.პ. მჭავანაძისადმი გაგზავნილი, შემდეგი მოხსენებითი ბარათი:

„როგორც მოგახსენებათ, ამა წლის ივლისის თვის დასაწყისში, როცა ჩეჩენ-ინგუშეთიდან ყვარლის რაიონის სოფელ მთისძირში თვითნებურად იწყეს ჩამოსვლა ლეკებმა, ჩვენ მაშინვე გაცნობეთ.“

* მამედოვის და ტაგუევის წერილისგან განსხვავებით, აქ გარდაცვლილების სხვა რაოდენობაა დასახელებული

* აღნიშნული წერილი იხილეთ ზემოთ (შსსა, ფ. 64, ან. 16, ს. 11).

თქვენს მიერ მეორე დღესვე ადგილზე მოვლენილი იქნენ ამხ. ამხ. გ.ი. შარაშიძე და დ.ზ. რომელაშვილი. ჩვენ დასახლებულ ამხანაგებთან ერთად განუმარტეთ ლეკებს, რომ მათი იქ დასახლება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რადგან იქ უკვე ცხოვრობს ქართველი მოსახლეობა. ჩამოსული ლეკები კი, კატეგორიულად აყენებდნენ საკითხს თავიანთ ყოფილ საცხოვრებელ ადგილზე დასახლებისას.

იმის გამო, რომ ვერ გადაწყდა მათი (10-15 კომლის) მაშინვე იმ ადგილებიდან გაყვანა, ივლისის თვის განმავლობაში მასიურად იწყო გროზნოდან ავტოტრანსპორტებით და რკინიგზით მათი შემოსვლა. ამის შესახებაც გაცნობებთ და თქვენს მიერ ადგილზე მოვლენილი იქნენ ამხ. გ.ი. კუჭავა, ნ.ბ. ინაური, ვ.ნ. ჯანჯღავა და სხვა.

საქ. კ.პ. ცენტრალური კომიტეტის მითითების შესაბამისად ვურჩიეთ ლეკებს წითელწყაროსა და გარდაბნის რაიონებში სახლების მიღებისა და იქ დასახლების შესახებ. მათ ამაზეც კატეგორიული უარი განაცხადეს.

აწლის ივლისის თვეში მიღებულ იქნა საქ. კ.პ. ცენტრალური კომიტეტის და საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებისა მათი ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონში დასახლების შესახებ. მათ ამაზეც უარი განაცხადეს და ბოლოს როცა საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს აწლის 29 ივლისის დადგენილებით გადაწყდა, რომ ისინი უნდა დასახლებულიყვნენ ყვარლის რაიონის რამოდენიმე კოლმეურნეობასთან, წინააღმდეგ შემთხვევაში გადასახლებული იქნებოდნენ. დაინახეს რა ადგილზე მათ წასაყვანად მომზადებული ავტოტრანსპორტი და მილიციის, სამხედრო ნაწილების წარმომადგენლები, ისინი დათანხმდნენ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით მიჩნეულ ადგილებში დასახლებაზე, რომ მათ ჩვენს მიერ მიჩნეული ადგილები მოიწონეს საცხოვრებლად ფაქტია. ამას ადასტურებს მაგალითად სოფელ ჭიკაანის კოლმეურნეობასთან მისახლებული ლეკთა კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. კობტიევის დეპუტა, რომელიც მან გააგზავნა დასახლების მეორე დღეს. (თან ერთვის) ლეკები დასახლდნენ 4 ადგილას, მაგრამ ორ ადგილას მყოფი ლეკები სახელდობრ ჭიკაანისა და ახალსოფლის „ლენინის“ სახელობის კოლმეურნეობასთან მისახლებულები, არც განცხადებას წერენ კოლმეურნეობაში შესვლაზე და არც ემზადებიან ზამთრისათვის. არ იკეთებენ საცხოვრებელ ბინას და სხვა. კატეგორიულად მოითხოვენ თავიანთ ძველ საცხოვრებელ ადგილს.

თქვენგან მივიღეთ ჩვენ მათ მიერ გამოგზავნილი განცხადება, რომელსაც ხელს აწერს 6 ლეკი. ისინი განცხადებითაც პირდაპირ მოითხოვენ და წერენ „რამდენად კანონიერია, რომ ჩვენს სახლებში სხვები ცხოვრობენ და ჩვენ კი ღია ცის ქვეშ უბინაოდ ვიხოცებოდეთ?“

თავიანთ ვრცელ განცხადებაში წერენ: „მიღებული გადაწყვეტილებით ჩვენ ქართველებთან ერთად უნდა ვცხოვრობდეთ, ეს არაა ცუდი, ამას ბევრი რამ, რომ არ უშლიდეს ხელს. ჩვენ მუსულმანები ვართ, ენა - სხვა გვაქვს, ადათი და ჩვეულება სხვა გვაქვს. ქრისტიანების დაკლულს ჩვენი ხალხი არ ჭამს, ჩვენ რომ ვლოცულობთ იმ წყალს ქრისტიანები არ სვამენ, ჩვენს ხალხს ღორი ეჯავრება, სადაც ღორი გაივლის იქ არ ილოცებს და წყალსაც არ დალევენ“.

წერილს შემდეგი შინაარსით ამთავრებენ: „მთისძირის ახლანდელი მცხოვრები ქართველები ისევ ქართველებთან გადაესახლებინათ და ჩვენთვის დაგეთმოს ჩვენი ძველი სოფელი მთისძირი“. ძველ ადგილზე დასახლებას მოითხოვენ თავიანთ ყოფაცხოვრების და რელიგიური ზნე-ჩვეულებებით და ყოველმხრივ ცდილობენ „დაასაბუთონ“, რომ მათ ქართველებთან ცხოვრება არ შეუძლიათ. ამასთან უნდა მოგახსენოთ ჩვენი რაიონის დასახლებული სოფლების კოლმეურნეთა უმრავლესობა წინააღმდეგია მათ მისახლებაზე მიწების სიმცირისა და რელიგიური - ჩვეულებებით სასოფლო წყლებისა და სხვა საზოგადოებრივი ადგილების დაბინძურების გამო, ბალლოჯიანის „წითელი ოქტომბრის“ კოლმეურნეობის გამგეობამ მათთან მისახლებულ იმ ლეკთა განცხადება, რომლებმაც სურვილი განაცხადეს. კოლმეურნეობაში შესვლაზე განიხილა და მიიღეს ისინი არსებული წესით და მათაც დაიწყეს - საცხოვრებელი ბინების კეთება. რაც შეეხება, როგორც ზემოთ მოგახსენეთ ახალსოფლის და ჭიკაანის კოლმეურნეობებთან მისახლებული ლეკები კვლავ კატეგორიულ უარსა ცხადებდნენ. უკანასკნელად ამ ერთი კვირის წინ გააცანით რა ზემოაღნიშნული მდგომარეობა თქვენს მიერ მოვლინებულ იქნენ ამხ. ამხ. ვ.ნ. ჯანჯღავა, მ.ფ. შვირკოვი და სხვა. ჩვენთან ერთად მათაც განუმარტეს ლეკებს, რომ მათი ეს მოქმედება კანონსაწინააღმდეგია და სხვ. მაგრამ მიუხედავად ყველა ამისა – ისინი კვლავ ერთი და იგივეს გაიძახიან მთისძირში დასახლებას.

როგორც მოგეხსენებათ, ამ საკითხთან დაკავშირებით ადგილზე იყვნენ აგრეთვე დალესტნის რესპუბლიკიდან ხელმძღვანელი მუშაკები, მათ ურჩიეს გამოყოფილ ადგილებზე დასახლება, მაგრამ უარით გაისტუმრეს ისინიც. მოგახსენებთ, რომ მდგომარეობა დღითიდღე უარესდება, თოვლი უკვე მთის კალთებზეა, ზამთარი მოახლოვდა, ისინი კი თავიანთი ამ ჯიუტობის გამო ღია ცის ქვეშ მოხუცებითა და პატარა ბავშვებით უმწეო მდგომარეობაში არიან, უარეს მდგომარეობაში ყავთ პირუტყვი, როგორც კოლმეურნეობისა ისე პირადი, მოსალოდნელია მძიმე ეპიდემიური დაავადება და ყველა სხვა გართულება. გთხოვთ, თქვენს მითითებას. საქართველოს კ.პ. ყვარლის რაიკომის მდივანი ალ. აივაზაშვილი“ (შსსა, ფ. 64, ან. 16, ს. 11).

ამ პერიოდში, სსრკ-ში, სადაც რელიგიური თემატიკა გარკვეულწილად ტაბუდადებული და მიჩქმალული იყო, ასე თამამად რელიგიურ გრძნობებზე აპელირება მეტყველებს, რომ ლეკი მოსახლეობა არ ერიდებოდა საბჭოთა ხელისუფლების წინაშე თავისი მოთხოვნების ამ ფორმით დასაბუთებას და იმედიც ჰქონდა, რომ მათ წინააღმდეგ რაიმე დამსჯელ ღონისძიებას არ გამოიყენებდნენ. როგორც საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, ლეკები სოფელ ჭიკაანში კოლმეურნეობების წევრებად მაინც მიუღიათ. ჩვენ მიერ მოძიებულ საარქივო მასალებში დაცულია, ამ პერიოდში სოფელ ჭიკაანის კოლმეურნეობაში წევრებად მიღებული ლეკების სია. დოკუმენტში ჩამოთვლილია კომლებში შემავალი ლეკი მოსახლეობის გვარ-სახელები. ამ საქმის გარეკანს აწერია: „1957 წელს თვითნებურად ჩამოსახლებული ლეკების სია, რომელთა კომლების რაოდენობა უდრის 268 კომლს, მცხოვრებთა რაოდენობა 757 სულს, 1957 წლის აგვისტოს მდგომარეობით“ [კრა., ფ. 35, ან.1, ს.141, გვ. 1-26].

ყვარლის რაიონის ტერიტორიაზე, „ეტაპობრივად“ ჩასული ლეკების ძირითადი მასის 1957 წელს ჩასახლებას ადასტურებს, 1990 წლით დათარიღებული სოფელ ჩანტლისყურეს ლეკი მოსახლეობის ერთობლივი წერილიც, სადაც ნათქვამია: „1957 წელს, როცა ჩვენი სოფელი ჩამოსახლდა და შეუერთდა ჭიკაძის კოლმეურნეობას ჩვენ ჩამოვიყვანეთ და ჩავაბარეთ კოლმეურნეობაში ცხვარი, საქონელი, ტრანსპორტი და სხვა“ [კრა., ფ.1, ა. 1, ს.321, გვ. 121].

მოძიებული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ყვარლის რაიონში თვითნებურად ჩამოსული ლეკების კოლმეურნეობების წევრებად მიღების პროცესი შემდგომ წლებშიც გრძელდებოდა [კრა., ფ.35, ს.141, გვ. 27-29].

ყვარლის რაიონის, სოფელ ჭიკაძის სასოფლო საბჭოს, 1958-1960 წლებით დათარიღებულ მასალებში ასევე დაცულია, ამ სასოფლო საბჭოში „დროებით მაცხოვრებელთა“ სიები. ესენი ძირითადად არიან ლეკები, რომლებსაც „მუდმივ საცხოვრებლად“ ზოგს უწერია ქალაქები - თელავი, თბილისი, ზოგს კი სოფლები - ჩანტლისყურე, ახალსოფელი, ოქტომბერი (ზინობიანი), შიბლიანი - ვაჭრეთის რაიონი. ამ ადამიანების საკმაო ნაწილს, მუდმივ საცხოვრებლად მითითებული აქვს დაღესტანი, რაც ჩვენი აზრით ადასტურებს, რომ მათ დაღესტანში საცხოვრებელი ბინები და მიწის ნაკვეთები გააჩნდათ. საბჭოთა პერიოდში, ხომ მოქალაქე ოფიციალურად იყო „ჩაწერილი“ მის კუთვნილ საკარმიდამო ნაკვეთში თუ სახლში, რაც „ასახული“ იყო მის პასპორტში [კრა., ფ.35, ა.1, ს.135, გვ. 1-4].

ჩვენს მიერ მოძიებული სხვა მასალებიდან ირკვევა, რომ „ლეკების საკითხი“ კვლავ დიდხანს „იდგა“ ყვარლის რაიონის და საქართველოს სსრ-ს ხელმძღვანელების „ყურადღების“ ცენტრში.

ამრიგად, ჩვენს მიერ მოკვლეული საარქივო მასალების ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ ყვარლის რაიონში მცხოვრები ლეკი მოსახლეობის საქართველოში ხელახლა ჩამოსახლების ისტორიის გამომზეურება, აუცილებელი და საჭიროა ჩვენი უახლესი ისტორიის უკეთ შესასწავლად.

გამოყენებული ლიტერატურა და ბიბლიოგრაფია:

- სეა, კრა, ყვარლის რაიონის მასალები, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 763.
- სეა, კრა, ყვარლის რაიონის მასალები, ფონდი 35, აღწერა 1, საქმე 141 .
- სეა, კრა, თელავის რაიონი, გიორგი ჯამიაშვილის პირადი ფონდი, ფონდი #491, აღწერა 1, საქმე #6.
- სეა, კრა, თელავის რაიონის აღმასკომის მასალები. ფონდი #600, აღწერა 1, საქმე # 851.
- შსსა, ფონდი 14, აღწერა 18, საქმე 81.
- შსსა, ფონდი 14, აღწერა 31, საქმე 196.
- შსსა, ფონდი 64, აღწერა 16, საქმე 11.

Repeated Settlements of the Leks (Khundzakhs/Avars) in Kakheti in the 1950s (Based on Archival Materials)

Summary

It is not known to the general public that with the support of the government of the Russian Empire, the Leks settled in the territory of Kakheti mainly at the end of the 19th century and the beginning of the 20th century.

The fate of the Lek population settled in Kakheti was greatly influenced by the events that took place in March 1944, known as the deportation of the population from the Chechen-Ingushetia Autonomous Soviet Socialist Republic (Chechen-Ingushetia SSR).

At that time, the former territory of the Chechen-Ingushetia SSR joined the Dagestan SSR, where the Lek population was taken from different places, including Dagestan, as well as from Georgia, namely from the Kvarli region. They took up residence on the place of Chechnya-Ingushetia population settlement.

In 1956-1957, the deported peoples - Chechens, Ingush, Balkars and Karachais actively started to return to their homelands. Having settled in their places of residence, the Lek people did not return to Dagestan any longer and settled in Kvareli district without permission.

The documents searched by us during the study as revealed the fact that the re-settlement of the Leks who came to Kvareli region without permission at that time was quite a difficult process. This was reflected in the archival materials as well as in the oral histories of the interviewees.

The research process revealed the interest of the central authorities of the Soviet government in the migration of Leks to Kakheti in the 1950s, which had far-reaching goals.

დავით ჭავჭავაძის მოღვაწეობის ისტორიიდან აშშ-ში

საქართველოს მისი წიალიდან გამოსული ბევრი ისეთი შვილი ახსოვს, რომელთაც მსოფლიოში ფართოდ გაითქვეს სახელი და დიდი აღიარება მოიპოვეს. სწორედ ერთ-ერთ ასეთ წარმატებულ პიროვნებას წარმოადგენდა ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ოფიცერი დავით ჭავჭავაძე.

დ. ჭავჭავაძის წინაპრები უაღრესად წარჩინებული პიროვნებები იყვნენ. კერძოდ, მისი დიდი ბაბუა გახლდათ რუსეთის არმიის კავალერიის გენერალი ზაქარია გულბათის ძე ჭავჭავაძე (1825–1906 წწ.). მისი ვაჟი ალექსანდრე (1870–1931 წწ.) კი რუსეთისა და საქართველოს არმიების გენერალ-მაიორი იყო, რომელიც 1931 წელს კონტრრევოლუციური მოღვაწეობის ბრალდებით დახვრიტა საბჭოთა ხელისუფლებამ.

რაც შეეხება დავითის მამას – პავლე ჭავჭავაძეს (1899–1971 წწ.), იგი თავისი დროისათვის ცნობილი მწერალი და 1932 წელს ნიუ-იორკის ქართული სათვისტომოს ერთ-ერთი დამაარსებელი გახლდათ. ხსენებული სათვისტომოს შექმნასთან დაკავშირებით გამართულ წვეულებაზე სუფრას თავადი დავით (უჩა) დადიანი (1875–1932 წწ.) უძღვებოდა, პავლე ჭავჭავაძე კი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ გამორჩეულ მოღვაწე გიორგი მაჩაბელთან (1885–1935 წწ.) ერთად თამადის თანაშემწე ყოფილა. ნადიმი 12 საათს გაგრძელებულა – დღის 3 საათიდან ღამის 3 საათამდე.

წარჩინებულთა ოჯახის წარმომადგენელი, კერძოდ კი რუსეთის საიმპერატორო ოჯახის წევრი, იყო დავით ჭავჭავაძის დედა ნინა რომანოვაც (1901–1974 წწ.). იგი იყო, დიდი მთავრის – გიორგი მიხეილის ძის (1863–1919 წწ.) შვილი, ასევე დიდი მთავრის – მიხეილ ნიკოლოზის ძის (1832– 1909 წწ.) შვილიშვილი და თავად იმპერატორ ნიკოლოზ პირველის (1825–1855 წწ.) შვილთაშვილი.

რაც შეეხება ნინა რომანოვას დედას, იგი საბერძნეთის მეფის – გეორგიოს პირველის (1863–1913 წწ.) შვილი გახლდათ. თავად ნინა რომანოვა კი პეტერბურგში დაიბადა მიხაილოვსკოეს სასახლეში. მან 1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე, დატოვა სამშობლო და ცხოვრება ჯერ დიდ ბრიტანეთში, 1927 წლიდან კი ამერიკის შეერთებულ შტატებში განაგრძო. პავლე ჭავჭავაძემ და ნინა რომანოვამ 1922 წლის 3 სექტემბერს იქორწინეს ლონდონში.

დავით ჭავჭავაძე დაიბადა 1924 წლის 20 მაისს ლონდონში. როგორც ითქვა, მისი ოჯახი 1927 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახლდა, სადაც ჯერ ნიუ-იორკში დამკვიდრდნენ, 1939 წლიდან კი მასაჩუსეტისის შტატის პატარა ქალაქ უელფლიტში (Wellfleet, Massachusetts), სადაც დავითს ახლო ურთიერთობა დაუმყარებია ინტელექტუალური წრის ისეთ წარმომადგენლებთან, როგორებიც იყვნენ: ცნობილი ამერიკელი მწერლები ედმუნდ უილსონი (Edmund Wilson – 1895–1972) და ჯონ დოს პასოსი (John Dos Passos – 1896–1970) (3).

როგორც ინტერნეტში მოპოვებული საარქივო დოკუმენტიდან ჩანს, 1941 წელს დავითმან სწავლა დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ანდოვერის (მასაჩუსეტისის შტატი) ფილიფის აკადემიაში (Phillips Academy Andover). 1942 წელს კი სწავლა განაგრძო იელის უნივერსიტეტში (Yale University) (5). თუმცა, არც იქ მოუხდა მას სწავლის უწყვეტად დასრულება, რადგან 1943 წელს, პირველი კურსის დახურვის შემდეგ, ჯარში გაიწვიეს. ხსენებული სასწავლებლის საბოლოოდ დასრულება დავითმა 1950 წელს მოახერხა (2).

დავით ჭავჭავაძის სამხედრო კარიერა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1943 წლიდან იწყება. იგი თავდაპირველად ამერიკის შეერთებული შტატების ჯარის იმ შენაერთში მუშაობდა კავშირგაბმულობის ოფიცრად, რომელიც ალასკაზე იყო ბაზირებული. აქ ყოფნის პერიოდში დავითს რუს სამხედროებთანაც იმდენად ახლო მეგობრული ურთიერთობა დაუმყარებია, რომ ისინი მას თურმე „ამხანაგ პრინცსაც“ კი (Comrade Prince) ეძახდნენ (1).

როგორც რუსულის კარგად მცოდნე, დ. ჭავჭავაძე მალევე გადაიყვანეს მერილენდის შტატში არსებულ სამხედრო ბაზა კემპ რიჩიზე (Camp Ritchie), სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტში კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. აღნიშნულ ადგილზე საქმისადმი გამოჩენილი ერთგულებისა და თავდადების გამო მას შტაბის სერჟანტის წოდება მიანიჭეს. ამის შემდეგ იგი ისევ ალასკაზე გადაიყვანეს ისეთ სამუშაოზე, რომელიც რუსული ენის კარგად ცოდნას მოითხოვდა. თუმცა იმის გამო, რომ ხსენებული პოზიციის დასაკავებლად სამხედრო წოდების ქონაც იყო აუცილებელი, რაც დ. ჭავჭავაძეს იმხანად არ ჰქონდა, მის ადგილზე კირილ შიშმარევი (Kyrill F. de Shishmareff – 1907–1975 წწ.) დანიშნეს.

ხსენებული პიროვნება ძალზე ცნობილი სამხედრო მოღვაწე იყო, რომელიც გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე წმინდა იოანე იერუსალიმელის მალტის ორდენით (The Sovereign Order of Saint John of Jerusalem) იქნა დაჯილდოვებული და მიენიჭა ლეიტენანტ გრანდ მასტერის (Lieutenant Grand Master) წოდება (6). მაგრამ სულ მალევე გაირკვა, რომ მიუხედავად სამხედრო საქმეში ასეთი დიდი მიღწევებისა, შიშმარევი რუსული ენა არ იცოდა, რის გამოც იგი დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს, მის ადგილზე კი კვლავაც დ. ჭავჭავაძე დანიშნეს. 1944 წლის 24 ივლისს მას ჯერ უმცროსი ლეიტენანტის წოდება მიანიჭეს, არასრული ერთი წლის შემდეგ კი უფროსი ლეიტენანტობა უბოძეს (4).

1943–1946 წლებში დ. ჭავჭავაძე მუშაობდა აშშ–ში საბჭოთა კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის – ანდრე გრომიკოს (1909–1989 წწ.) თარჯიმნად, რაც უდავოდ წარმოადგენდა მისადმი უდიდესი ნდობის გამოცხადებას ორივე ქვეყნის მხრიდან.

დავითის მიერ რუსული ენის საფუძვლიანად და სიღრმისეულად შესწავლის საქმეში გადამწყვეტი როლი ითამაშა მისი მშობლების მიერ ბავშვის აღზრდაში დამხმარედ აყვანილმა რუსმა ქალბატონმა ვერა ნაგოვსკიმ (Vera Nagovskiy). ხსენებული პიროვნება, როგორც 1930 წლით დათარიღებული აშშ–ს აღწერის დოკუმენტით დასტურდება, 1894 წელს დაბადებულია რუსეთის იმპერიაში. შეერთებულ შტატებში საცხოვრებლად იგი 1927 წელს გადასულა (7). ვერა ნაგოვსკიმ ცამეტი წელი გაატარა ჭავჭავაძეების ოჯახში, რა დროსაც მან დავითს არა მარტო რუსული ენა შეასწავლა საფუძვლიანად, არამედ რუსული ცხოვრების წეს–ჩვეულებანიც.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დ. ჭავჭავაძემ კვლავ განაგრძო თარჯიმნად მუშაობა. იგი ამჯერად ამერიკის ჯარის სარდლობამ ბერლინში გაგზავნა, სადაც მონაწილეობა მიიღო ამერიკელი, ბრიტანელი, ფრანგი და საბჭოთა პოლიტიკოსების მიერ გამართულ ისეთ შეხვედრებში, სადაც ომისშემდგომი გერმანიისა და საერთაშორისო წესრიგის პრობლემატური საკითხები განიხილებოდა (3). მხოლოდ ამის შემდეგ, 1950 წელს, შეძლო დავითმა იელის უნივერსიტეტის საბოლოოდ დასრულება.

იმავე 1950 წელს იწყება დავით ჭავჭავაძის მოღვაწეობა ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოში (CIA), რაც ოცდახუთი წლის განმავლობაში გაგრძელდა. აი, როგორ იხსენებს დავითი მისი ცხოვრების ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენას 1989 წელს გამოცემულ თავის მემუარული ხასიათის წიგნში „გვირგვინები და შინელები სანგრებში: რუსი ბატონიშვილი ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში“ („Crowns and Trenchcoats: A Russian Prince in the CIA“):

„აგვისტოს ბოლოს ტელეგრამა მომივიდა. „გთხოვთ, 1950 წლის 5 სექტემბერს ანგარიში წარუდგინოთ ვაშინგტონს.“ ამგვარად დაიწყო ჩემი ოცდახუთწლიანი კარიერა ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოში და მე გავხდი რომანოვთაგან პირველი და ერთადერთი, რომელიც ბოლშევიკების რეჟიმის წინააღმდეგ იმუშავებდა“ (4).

რაც შეეხება მისთვის სამსახურებრივად დაკისრებულ მოვალეობას, მას დ. ჭავჭავაძე თავის მემუარებში შემდეგნაირად აღწერს: „საქმეთმწარმოებლის (Case Officer) საქმიანობა დაუსრულებლად გრძელდებოდა, აგენტთან (ან ინფორმატორთან) შეხვედრის შემდეგ მე უნდა დამეწერა ანგარიში ყოველივე ზემოთქმულის თაობაზე. მათ შორის, შეხვედრის დროის, ადგილისა და მომავალი შეკრების შესახებ; ასევე აგენტის მორალური და ოჯახური მდგომარეობის თაობაზე. აგრეთვე იმის შესაძლებლობებზე, რამდენად შემეძლო ახალი ინფორმაციის მოპოვება, უსაფრთხოების სფეროში არსებული რეალური თუ პოტენციური სიძნელების დაძლევა და ა. შ.“ (2).

აქვე, სამწუხაროდ, ისიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ დავითი თავს უფრო რუსული სამყაროს ნაწილად მიიჩნევდა და მისი ისტორიული სამშობლოს – საქართველოს შესახებ ნაკლებად ამახვილებდა ყურადღებას. ამის ნათელ მაგალითს თუნდაც ზემოთ ნახსენები მისი მემუარული წიგნის სათაურიც წარმოადგენს, სადაც იგი თავის თავს „რუს ბატონიშვილად“ მოიხსენიებს. ასევე უცნაური და რამდენადმე მიუღებელია ისიც, რომ მისი ძალზე ღირსეული ქართული საგვარეულო წარმომავლობის მიუხედავად, დავითი თავის თავს რომანოვად მოიხსენიებს და არა ქართველად.

დავით ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ საუბრის დროს რამდენიმე სიტყვა სტალინის ქალიშვილთან – სვეტლანა ალილუევასთან მისი ურთიერთობის შესახებაც უნდა ითქვას. აი, რას წერს დავითი თავის მემუარებში ამასთან დაკავშირებით:

„1967 წელს, როდესაც საბჭოთა დიქტატორის – სტალინის ქალიშვილმა სვეტლანა ალილუევამ აშშ-ში ცხოვრების უფლება მიიღო, მე და ის დავმეგობრდით. თვეების განმავლობაში, როცა კი ვნახულობდი, ან ვეხმიანებოდი მას, სვეტლანას ერთი საქებარი სიტყვაც კი არ უთქვამს სტალინის შესახებ“.

ერთხელ სვეტლანამ დავითს, როგორც რუსული სიმღერების მოყვარულსა და უბადლო შემსრულებელს, თურმე თხოვა, გიტარის თანხლებით ემღერა მასთან. „იგი მთხოვდა კიდევ და კიდევ მემღერა, – იხსენებს დავითი, – ვიდრე თითქმის მთლიანად არ ამოვწურე ჩემი რეპერტუარი რევოლუციამდელი ჟანრის სიმღერებისა. ამის შემდეგ სვეტლანამ ხელზე მაკოცა. არც ერთ ქალს მანამდე ჩემთვის ხელზე არ ეკოცნა. იმ საღამოს მისი სიტყვებიდან ვიგრძენი, რომ ეს იყო მობოდიშება იმისთვის, რაც მამამისმა და მისმა გარემოცვამ ჩაიდინეს ჩვენი და რუსეთის წინააღმდეგ“ (3).

დ. ჭავჭავაძემ ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოში აქტიური მოღვაწეობა 1974 წელს დაასრულა. თუმცა, მისი ავტორიტეტიდან და დამსახურებიდან გამომდინარე, მას ნება დართეს, მისი ინტერესების გათვალისწინებით გაფორმებული კონტრაქტორის საფუძველზე კვლავაც გაეგრძელებინა მუშაობა ხსენებულ სააგენტოში. დავითის თქმით, „ეს ნიშნავდა, რომ მე კვლავ საჭირო ვიყავი, ხელფასს ნამუშევარი დღეების მიხედვით მივიღებდი და ასევე უფლებას ვიტოვებდი, დავთანხმებოდი, ან უარი მეთქვა კონკრეტულად რომელიმე სამუშაოს შერულებაზე. ეს მართლაც დიდებული რამ იყო!“ (4).

პენსიაზე გასვლის შემდეგ, 1974 წელს, დ. ჭავჭავაძემ პირველად იმოგზაურა რუსეთში და მოინახულა ის ადგილები, სადაც ემიგრაციაში წასვლამდე მისი ოჯახი ცხოვრობდა. საბჭოთა კავშირში მან მეორედაც იმოგზაურა 1977 წელს. როგორც ლონდონში გამომავალ გაზეთ „ტელეგრაფში“ ამ მოგზაურობასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული წერილიდან ვგებულობთ, ამ მოგზაურობის დროს მას საქართველოშიც მოუხერხებია ჩამოსვლა თავის ქალიშვილთან – მარიასთან ერთად და თავისი წინაპრების კარ–მიდამოც მოუნახულებია წინანდალში.

კერძოდ, აი, რა ინფორმაციას გვაწვდის გაზეთი ამასთან დაკავშირებით: დავით ჭავჭავაძე „ეწვია წინაპრების სახლს წინანდალში, სადაც ახლა მუზეუმი გახსნილი. მისი ერთ–ერთი წინაპარი იყო XIX საუკუნის სახელგანთქმული პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე (1786–1846 წწ. – ო. ნ.)“ (3). ამ მოგზაურობამ დავითზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ეს ამბავი მან თავის მემუარებში ცალკე ეპიზოდად შეიტანა. ნათქვამის დასტურად, დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტს ხსენებული ეპიზოდიდან:

„დამეუფლა შეგრძნება, რომ ისეთ ადგილას ვიყავი, სადაც ჩემი გვარი ასოების არეულ–დარეულ და ძნელად წარმოსათქმელ კომბინაციას კი არ წარმოადგენდა, არამედ ყველა მცნობდა... გამორჩეული ქართული სტუმართმოყვარეობა, რომლის შესახებაც გადმოცემით ვიცოდი, ყველგან იგრძნობოდა. სულ რამდენიმე ქართული სიტყვა ვიცი და მხოლოდ იმის თქმას ვახერხებდი, რომ ამერიკიდან ჩამოსული ქართველი ვიყავი... ისინი მაშინვე გვარს მეკითხებოდნენ. ეფექტი კი გასაოცარი გახლდათ. ტაქსის მძღოლები, რომლებიც სულ თავიანთ მცირე შემოსავალზე ჩიოდნენ, ჩემგან ერთ კაპიკსაც არ იღებდნენ, ფულს არც რესტორნები გვახდევინებდნენ... ერთმა ქალმა ხელზე ორჯერ მაკოცა, როდესაც გაიგო, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძის შთამომავალი ვიყავი...“

ნება დამრთეს, ალექსანდრეს საწერ მაგიდასთან დავმჯდარიყავი, რომელიც სტუმრებისაგან თოკით იყო გამოყოფილი; ეს დიდი პატივია, მითხრეს მათ... იქ გარსევანის დიდ პორტრეტთან ერთად ჭავჭავაძეთა ოჯახის გენეალოგიაც იყო წარმოდგენილი, რომელიც

მამაჩემით მთავრდებოდა. ჩემთვის ყველაზე უფრო დიდი სიურპრიზი იყო იქ გამოფენილი მამაჩემის პორტრეტი და მისი ორი წიგნი; გამახსენდა მამაჩემის ნათქვამი, რომ მან წინანდლის კოლმეურნეობის თავმჯდომარისაგან ქართულად დაწერილი შეტყობინება მიიღო, რომლითაც იგი საოჯახო ფოტოების გამოგზავნას ითხოვდა. მამას ჩემი ფოტო არ გაუგზავნია, რადგან მიიჩნია, რომ ეს „კგბ“-ს ფანდი იყო ჩემი ფოტოს ხელში ჩასაგდებად. წერილი ამ სიტყვებით მთავრდებოდა: „ყველას გვჯერა, რომ ერთ დღეს თქვენს წინანდალს თქვენც ეწვევით...“ (4).

პენსიაზე გასვლის შემდეგ დ. ჭავჭავაძე აქტიურ ლიტერატურულ, მთარგმნელობით და სასწავლო-აკადემიურ მოღვაწეობას შეუდგა. კერძოდ, გარდა ზემოთ არაერთხელ დამოწმებული მემუარული ხასიათის წიგნისა „გვირგვინები და შინელები სანგრებში: რუსი ბატონიშვილი ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში“ (1989 წ.), მას შემდეგი წიგნებიც აქვს გამოცემული: „ვლასოვის მოძრაობა: გერმანელების მხარეზე მებრძოლი საბჭოთა მოქალაქეები – 1941-1945“ (The Vlassov movement: Soviet citizens who served on the German side, 1941—1945, (1950) და „დიდი ჰერცოგები“ (The Grand Dukes, (1989). რაც შეეხება სასწავლო-აკადემიურ მოღვაწეობას, დავითი ლექციებს კითხულობდა ჯორჯ ვაშინგტონისა (George Washington University, Washington DC) და ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტებში (George Mason University, Fairfax, Virginia).

რაც შეეხება დ. ჭავჭავაძის ოჯახურ მდგომარეობას, იგი სამჯერ იყო დაქორწინებული. მან პირველად 1952 წლის 13 სექტემბერს იქორწინა ჰელენ ჰასტედზე (Helen Husted – დაიბადა 1933 წელს ნიუ-იორკში). ჰელენთან დაკავშირებით აქ მეტად მნიშვნელოვანი ერთი ფაქტიც მინდა აღვნიშნო: გარდა იმისა, რომ მან ბრწყინვალედ იცოდა რუსული ენა, მას დისერტაციაც ჰქონია დაცული ქართული ანბანის შესახებ. აღნიშნული ქორწინებიდან დავითსა და ჰელენს ორი შვილი ეყოლათ – მარია (დაიბადა 1953 წლის 28 აგვისტოს ვაშინგტონში) და ალექსანდრა (დაიბადა 1954 წლის 24 დეკემბერს დასავლეთ ბერლინში, გერმანიაში). მიუხედავად ამისა, მათი ქორწინება ხანმოკლე აღმოჩნდა და ისინი 1959 წელს განქორწინდნენ (8).

მეორედ დავითმა იუდიტ კლიპინგერზე (Judith Clippinger – 1929-1997 წწ.) იქორწინა 1959 წლის 28 დეკემბერს. დავითს მასთანაც ორი შვილი შეეძინა – კატერინი (დაიბადა 1960 წლის 29 დეკემბერს ვაშინგტონში) და მაიკლი (დაიბადა 1966 წლის 24 დეკემბერს ვაშინგტონში). პირველი ქორწინების მსგავსად, 1970 წელს მათი ქორწინებაც გაყრით დასრულდა (9).

საინტერესო ფაქტს იხსენებს დ. ჭავჭავაძე თავის მემუარებში ვაჟის – მაიკლის დაბადებასთან დაკავშირებით: „როდესაც დედაჩემმა ჩემი ვაჟის დაბადების შესახებ შეიტყო, ტელეფონში სიხარულისაგან შესძახა: „ვაშა, დინასტია გადარჩა!“ (1).

დ. ჭავჭავაძემ მესამედ 1979 წელს იქორწინა ეუჯინი დე სმიტზე (Eugenie de Smitt. დაიბადა 1939 წელს ნიუ-იორკში). მიუხედავად იმისა, რომ მასთან დავითს შვილი აღარ შესძენია, ეს ქორწინება მისი სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა.

დავით ჭავჭავაძე 2014 წლის 5 ოქტომბერს, 90 წლის ასაკში, თირკმლის უკმარისობით გარდაიცვალა. სიცოცხლის ბოლო წლები მან გაატარა ვაშინგტონში, სადაც ძალზე ხშირად სტუმრობდნენ რუსეთიდან ემიგრირებულები და დისიდენტები (1).

ასეთია უმთავრესი შტრიხები მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში უცხოეთში ნაცხოვრები ჩვენი თანამემამულის მოღვაწეობისა. სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ მას, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სამსახურში აქტიურად მდგარ პიროვნებას, საგულისხმო დამსახურება მიუძღვის ამ ქვეყნის წინაშე, იგი მშობლიურ ქართულ ფესვებსა და ცნობიერებას იმდენად აღმოჩნდა მოწყვეტილი, რომ საკუთრივ მისი ისტორიული სამშობლოსადმი არსებითად ფასეული და მნიშვნელოვანი ფაქტობრივად არაფერი გაუკეთებია.

საბედნიეროდ, მის მიერ ნებსით თუ უნებლიედ დაშვებული ამ შეცდომისა თუ უნებური დანაშაულის ერთგვარად გამოსწორებას დღეს მისი შვილი – მარიამი აპირებს, რომელიც 1994 წელს დაარსებული საქველმოქმედო ორგანიზაციის – „საქართველოს ამერიკელ მეგობართა ასოციაციის“ აღმასრულებელი დირექტორია და შეძლებისდაგვარად ცდილობს საკუთარი წვლილი შეიტანოს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა და ბიბლიოგრაფია:

http://www.washingtonpost.com/local/obituaries/david-chavchavadze-cia-spy-with-russian-royal-roots-dies-at-90/2014/11/08/dd65f86-5ec6-11e4-9f3a-7e28799e0549_story.html

<http://www.independent.co.uk/news/people/prince-david-chavchavadze-descendant-of-czar-nicholas-who-became-a-cia-officer-recruiting-and-interrogating-cold-war-russian-agents-9878127.html>

<http://www.telegraph.co.uk/news/obituaries/11219248/Prince-David-Chavchavadze-obituary.html>

<http://achp.si.edu/chavchavadze/moderndavid.html>

https://archive.org/stream/catalogueofphill00phil_11/catalogueofphill00phil_11_djvu.txt

<http://web.archive.org/web/20120320072051/http://www.sosjmalta.org/content.php?ID=9>

<https://familysearch.org/ark:/61903/1:1:X42K-PJ5>

<http://www.thepeerage.com/p6400.htm>

<http://fr.rodovid.org/wk/Personne:129042>

From The History of David Chavchavadze's Activities in The USA

Summary

Many people coming from Georgian roots have gained a great reputation throughout the world. One of such is Central Intelligence Agency (CIA) officer Davit Chavchavadze. His ancestors, both from father and mother's sides were very famous people.

Davit Chavchavadze was born in 1924, May 29 in London. In 1927, his family moved from Great Britain to the USA. In different times Davit was working, in US army as an officer and as a Russian language interpreter for high political and state officials as well as in CIA. When he retired, he became active in literature translations, as well as in academic and education direction.

Davit Chavchavadze died, in 2014 in Washington. Unfortunately, even though he was dedicated to the USA and played a significant role in this country, he turned out to be so cut off from the native Georgian origin and national awareness that he has done very little or even nothing for his historical homeland.

**საქართველოს მწერალთა კავშირი და ეროვნული მოძრაობა საქართველოში
(1988-1991)**

საქართველოს მწერალთა კავშირი „სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის“ სახელწოდებით 1917 წელს ჩამოყალიბდა. ამის შემდეგ მას სახელი არაერთხელ შეეცვალა. თუმცა საბჭოთა პერიოდში მას სახელთან ერთად ფუნქციაც მნიშვნელოვნად შეეცვალა. საქართველოს მწერალთა კავშირი, ფაქტიურად, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთ იდეოლოგიურ დაწესებულებად გადაიქცა. საბჭოთა ხელისუფლების მითითებით მწერალთა კავშირი მწერლებზე მუდმივ ზედამხედველობას ახორციელებდა. საბჭოთა ხელისუფლების მეხოტბე მწერლებს წარმატებული კარიერა გარანტირებული ჰქონდათ, მათ უბეჭდავდნენ წიგნებს, აძლევდნენ ჰონორარებს, ნიშნავდნენ მაღალ თანამდებობებზე და ა. შ. ხელისუფლებისათვის მიუღებელი მწერლები კი შერისხულები იყვნენ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ისინი განწირულები იყვნენ იზოლაციისთვის _ მათთვის ყველა დაწესებულების კარი დახშული იყო.

ქართველი მწერლების უმეტესობა ცდილობდა ოქროს შუალედი ეპოვა, გაწევრიანებულიყო საქართველოს მწერალთა კავშირში და, შენიღბულად, თავის შემოქმედებაში ეროვნული ინტერესები დაეცვა. საბედნიეროდ ბევრი მწერალი ამას ოსტატურად ახერხებდა.

მიუხედავად მძლავრი საბჭოური კონიუნქტურისა, ქართული მწერლობა ერის წინამძღოლის ფუნქციას მაინც ასრულებდა. ამასთან, საქართველოს მწერალთა კავშირი უპირისპირდებოდა იმას, ვინც მას ერის წინამძღოლის ფუნქციის შესრულებაში შეეცილებოდა. ამის თვალსაჩინო მაგალითია ზვიად გამსახურდიასა და საქართველოს მწერალთა კავშირის ურთიერთობა. ამ დაპირისპირების კულმინაციას 1977 წლის 1 აპრილს ზვიად გამსახურდიას საქართველოს მწერალთა კავშირიდან გარიცხვა წარმოადგენდა. ზ. გამსახურდიას კავშირიდან გარიცხვის ოფიციალურ მიზეზად კი მისი ანტისაბჭოთა საქმიანობა დასახელდა.

ამდენად, საქართველოს მწერალთა კავშირი ერთგვარად გაორებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა: ერთი მხრივ ჩამდგარი იყო საბჭოთა ხელისუფლების სამსახურში და რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლ მწერლებს სჯიდა, ანუ წარმოადგენდა მწერლის ერთგვარ ხუნდს, თუმცა მეორე მხრივ კი შეფარვით ქართულ საზოგადოებას სულიერ საზრდოს აძლევდა და ერის წინამძღოლის ფუნქციას ასრულებდა. საქართველოს მწერალთა კავშირის ასეთი გაორებული მდგომარეობა XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან დასრულდა.

1985 წლიდან საბჭოთა კავშირში ე. წ. „გარდაქმნის“ პროცესი დაიწყო, რამაც გარკვეული იმედები გააჩინა მოკავშირე რესპუბლიკებში, მათ შორის საქართველოში. გარდაქმნას მხარს უჭერდნენ რუსი მწერლები. საამისოდ შეიქმნა მწერლების მოძრაობა სახელწოდებით „აპრილი“, რომელშიც 500-ზე მეტი მოსკოველი მწერალი გაერთიანდა. მოძრაობის მიზანი იყო

გააერთიანებინა შემოქმედებითი ძალები გარდაქმნის პრინციპის გათვალისწინებით, მათ ამისთვის მიმართეს მოკავშირე რესპუბლიკების მწერალთა კავშირებს, მათ შორის საქართველოს მწერალთა კავშირს (სეა, უიკა, ფ. 8, ან. 1, ს. 3483, ფ. 4).

1988 წელს უნდა გამართულიყო სკკპ XIX პარტიული კონფერენცია. საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმში იმედს გამოთქვამდა, რომ შესაძლებელი გახდებოდა სსრკ პოლიტიკური, ეკონომიკური და მმართველობითი სისტემის რეფორმა. საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის მიერ სკკპ XIX პარტიული კონფერენციისთვის გაგზავნილ წერილში ჩამოყალიბებული იყო ის 19 საკითხი, რომლის გადაჭრაც მას საშურს საქმედ მიაჩნდა. ეს საკითხები იყო:

1. საბჭოთა კავშირი უნდა გადაქცეულიყო თანაბარუფლებიანი, სუვერენული რესპუბლიკების ფედერაციად, სადაც დაცული იქნებოდა თითოეული რესპუბლიკის ეროვნული ინტერესები და ერების სტალინური დაყოფა „დიდ“ და „მცირე“ ერებად, „უფროს“ და „უმცროს“ ძმებად წარსულს ჩაბარდებოდა.

2. სსრკ მოქალაქეობასთან ერთად უნდა შემოეღოთ რესპუბლიკის მოქალაქეობის სტატუსი.

3. რესპუბლიკაში საქმისწარმოება უნდა წარმართულიყო რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე. რესპუბლიკაში არ უნდა დაეშვათ თანამდებობაზე იმ პირის არჩევა, რომელიც არ იყო ამ რესპუბლიკის მოქალაქე და არ ფლობდა მის სახელმწიფო ენას.

4. რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი სიმდიდრე თუ ადამიანის მიერ შექმნილი ფასეულობანი რესპუბლიკის საკუთრებად უნდა გამოცხადებულიყო.

5. უნდა გაუქმებულიყო სსრკ მეცნიერებათა აკადემია და მას უნდა დარქმეოდა ნამდვილი სახელი - რუსეთის მეცნიერებათა აკადემია. ასევე უნდა გაუქმებულიყო უმაღლესი საატესტაციო კომისია.

6. საკავშირო სამინისტროებს უნდა შეზღუდვოდოდათ რესპუბლიკის წარმოების შემცირება, გაზრდა, შეცვლა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმების გარეშე.

7. თითოეულ რესპუბლიკას უნდა ჰქონოდა უფლება ვეტო დაედო ისეთი გადაწყვეტილებისთვის, რომელიც ემუქრებოდა რესპუბლიკის კეთილდღეობას, მის ეკოლოგიას, სოციალურ თუ კულტურულ ცხოვრებას.

8. რესპუბლიკას უნდა შეძლებოდა თვითონ გადაეწყვიტა დემოგრაფიული და მიგრაციული საკითხები.

9. რესპუბლიკის მოქალაქეობის მიღება-ჩამორთმევა უნდა ყოფილიყო მხოლოდ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პრეროგატივა.

10. წვევამდებებს სავალდებულო სამხედრო სამსახური უნდა გაეგლოთ მხოლოდ რესპუბლიკის ტერიტორიაზე. რესპუბლიკის ამჟამინდელი საზღვრები უნდა ჩათვლილიყო ხელშეუხებლად.

11. თითოეულ რესპუბლიკას უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა თვითონ განესაზღვრა თუ საზღვარგარეთის რომელ სახელმწიფოსთან დაამყარებდა ეკონომიკურ თუ კულტურულ ურთიერთობას, ჰყოლოდა წარმომადგენელი გაეროში, დამოუკიდებლად ჩართულიყო სხვადასხვა საერთაშორისო კულტურულ ღონისძიებებში.

12. როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკურ კანონმდებლობაში უნდა არსებულიყო მუხლი ეროვნული ღირსების დასაცავად.

13. რესპუბლიკას უნდა დაბრუნებოდა სხვადასხვა დროს მისი ტერიტორიიდან გატანილი კულტურული ფასეულობები და საარქივო მასალა.

14. უნდა დაგმოიბლიყო ხალხთა შერწყმისა და ერთ ენაზე გადასვლის მეცნიერულად მცდარი თეზა.

15. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას უნდა გამოჰყოფოდა რუსეთის კომუნისტური პარტია.

16. უნდა მომხდარიყო პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ფუნქციების გამიჯვნა.

17. პირის პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებში არჩევა უნდა მომხდარიყო მხოლოდ ორი ვადით.

18. აუცილებელი იყო რეფერენდუმის ფართოდ დანერგვა ქვეყანაში. სსრკ უმაღლეს საბჭოში არჩეული პირი უნდა ყოფილიყო იმ რესპუბლიკის მოქალაქე, სადაც მას ირჩევდნენ. სსრ უმაღლეს საბჭო უნდა გამხდარიყო ერთპალატიანი, სადაც იქნებოდა მხოლოდ ეროვნებათა საბჭო, ხოლო დეპუტატთა რაოდენობა იქნებოდა თანაბარი.

19. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, საგამომცემლო საქმიანობა უნდა წარმართულიყო პარიტეტულ საწყისებზე.

წერილი მთავრდებოდა მოწოდებით: „ქართველი მწერლები გამოთქვამენ ღრმა რწმენას, რომ სკკპ XIX პარტიული კონფერენციას ძალუმს მიიყვანოს ყველა ჩვენი რესპუბლიკა, ყველა ერი და ეროვნება დასახულ მიზნამდე - სამართლიანი, დემოკრატიული, ჰუმანური საზოგადოების აშენებამდე“ (სეა, უიცა, ფ. 8, ან. 1, ს. 3562).

ქართველებს არც აფხაზები ჩამორჩნენ. მათ 1988 წლის 17 ივნისს სკკპ XIX პარტიულ კონფერენციას 99 გვერდიანი წერილი, ფაქტიურად კი საჩივარი გაუგზავნეს, რომელსაც ხელს აწერდნენ აფხაზი მწერლები, პოეტები, ჟურნალისტები, მხატვრები, პროფესორები და პარტიული მუშაკები (სულ 58 ადამიანი). საჩივარში ჩამოთვლილი იყო ქართველების მიერ აფხაზების მისამართით ჩადენილი „დანაშაულებები“, კერძოდ: სტალინის და ბერიას დროს გატარებული რეპრესიები, კულტურის ძეგლთა მოსპობა, აფხაზური ენის აკრძალვა, სკოლების და გამომცემლობების დახურვა, საქმისწარმოებიდან აფხაზური ენის ამოღება, აფხაზეთში ეკოლოგიური კრიზისის შექმნა, აფხაზეთის ეთნიკური სურათის შეცვლა, აფხაზეთში ტოპონიმების შეცვლა, აფხაზი ხალხის გენოციდი. არსებული ვითარების გამოსასწორებლად წერილის ავტორები ითხოვდნენ აფხაზეთის ასსრ უშუალოდ შეერთებოდა საბჭოთა კავშირს (სეა, უიცა, ფ. 8, ან. 1, ს. 3504).

აღსანიშნავია, რომ აფხაზების მიერ XIX პარტიული კონფერენციისადმი გაგზავნილ წერილს გამოეხმაურა ოსების მოძრაობა „აღამონ ნიხასი“. წერილში აღნიშნული იყო: „... ჩვენს აღტაცებას იწვევს მამაცობა, ერთიანობა და დარაზმულობა აფხაზი ხალხისა, რომელიც არავითარ კომპრომისზე არ მიდის საკითხში, რომელიც მის წინაშე დგას ისტორიის მოცემულ მონაკვეთში - საკითხი სრული, უპირობო ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენისა, ეს კი უძველესი მაღალგანვითარებული კულტურის მემკვიდრე აფხაზი ერის უმდიდრესი

სოციალური, კულტურული და ეკონომიკური პოტენციალის ყოველმხრივი განვითარების ერთადერთი წინაპირობაა“ (გაზეთი *ლიტერატურული საქართველო*. (1989). N18).

სკკპ XIX პარტიულმა კონფერენციამ რეაგირების გარეშე დატოვა როგორც საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის, ასევე აფხაზების მიერ გაგზავნილი წერილები.

საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფის სურვილზე იყო საუბარი 1989 წლის 18 მარტს გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში შედგენილ წერილში, რომელიც საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, მიხეილ გორბაჩოვს გაეგზავნა. წერილს ხელს 30 000 აფხაზი აწერდა. წერილის ავტორები ითხოვდნენ აფხაზეთი მიეღოთ საბჭოთა კავშირის მეთექვსმეტე რესპუბლიკად (სეა, უიცა, ფ. 8, ან. 1, ს. 3506).

ე. წ. „ლიხნის წერილს“, რომელიც ურცხვად აყალბებდა ქართულ-აფხაზური ურთიერთობებსა და ზოგადად აფხაზეთის ისტორიას, დიდი გამოხმაურება მოჰყვა ქართულ საზოგადოებაში. მოვლენების ეპიცენტრში იყო საქართველოს მწერალთა კავშირი.

1989 წლის 4 აპრილს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის სხდომა გაიმართა, რომელიც აფხაზების მიერ 1988-1989 წლებში მოსკოვში გაგზავნილ წერილებს მიემდგინა. როგორც სხდომაზე აღინიშნა, წერილებში ფალსიფიცირებული იყო აფხაზეთის ისტორია, თითქოს ქართველები ჩაგრავდნენ აფხაზებს, ამიტომ თუ აფხაზეთის ასსრ დროზე არ გამოეყოფოდა საქართველოს და დამოუკიდებლად არ შევიდოდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, აფხაზი ერი გადაშენდებოდა და გაითქვიფებოდა ქართველებში.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ მუხრან მაჭავარიანმა წამოაყენა წინადადება, რომ უნდა შედგენილიყო ამ წერილის საპასუხო წერილი, სადაც აფხაზების მიერ წამოჭრილ ყველა საკითხს არგუმენტირებული პასუხი გაეცემოდა. მუხრან მაჭავარიანის აზრით, გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ უნდა გამოქვეყნებულიყო როგორც აფხაზების მიერ შედგენილი წერილი (წერილები), ასევე საპასუხო წერილი (ქართულ და რუსულ ენებზე). სასურველი იქნებოდა წერილების ავტორებს შორის დისკუსიის გამართვა, რასაც ტელევიზია და პრესა გააშუქებდა.

სხდომაზე გამომსვლელებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი მუხრან მაჭავარიანის წინადადებას და აღნიშნეს, რომ ის, რაც აფხაზეთში ხდებოდა, ეს იყო ათეული წლების განმავლობაში საქართველოს მთავრობის მხრიდან გაუმართლებელი ცალმხრივი დათმობის პოლიტიკის შედეგი. იწერებოდა აფხაზი მეცნიერების ცრუმეცნიერული ნაშრომები, მაშინ, როდესაც ქართველ მეცნიერებს არ აძლევდნენ საშუალებას სათანადო პასუხი გაეცათ მათთვის. სხდომის მონაწილეები მოითხოვდნენ გამოქვეყნებულიყო ქართველი მეცნიერების ტაბუდადებული ნაშრომები, რომლებშიც ობიექტურად და პირუთვნელად იყო განხილული ქართულ-აფხაზური ისტორიული ურთიერთობები, ეთნოგრაფიის და დემოგრაფიის საკითხები.

პრეზიდიუმის წევრებმა წამოაყენეს წინადადება საპასუხო წერილის შემუშავებაში, ქართველ ისტორიკოსებთან და იურისტებთან ერთად, ჩართულიყვნენ მწერლები: მუხრან

მაჭავარიანი, გრიგოლ აბაშიძე, თენგიზ ბუაჩიძე, რომან მიმინოშვილი, გურამ ფანჯიკიძე და რევაზ ჯაფარიძე (გაზეთი *ლიტერატურული საქართველო* (1989) N14).

გაზეთ „ლიტერატურული საქართველო“-ს რედაქციაში შევიდა მწერლის ფაზილ ისკანდერის წერილი (ის მამით ირანელი, ხოლო დედით აფხაზი იყო), სადაც ის ითხოვდა მის მიერ სსრკ სახალხო დეპუტატთა ყრილობის პრეზიდიუმისათვის გაგზავნილი დეპუტატის ტექსტის გამოქვეყნებას. ტექსტში საუბარი იყო იმის შესახებ, რომ ფაზილ ისკანდერი პრინციპული მოსაზრებით ხელს არ აწერდა ე. წ. ლიხნის წერილს, სადაც საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფაზე იყო საუბარი. „ხალხთა განმაცალკევებელი იდეები ყოველთვის დამღუპველია ამ ხალხთა ბედისთვის. მითიურ დამოუკიდებლობაზე ილუზიების თესვა კი არ არის საჭირო, არამედ დაზუსტება და გაღრმავება ჭეშმარიტი ავტონომიისა, მუხლჩაუხრელი შრომა და სულიერი ვაჟკაცობა“ - აღნიშნული იყო წერილში (გაზეთი *ლიტერატურული საქართველო* (1989) N 23).

აფხაზეთში სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა. თბილისიდან ჩასულ ქართული ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებსა და აფხაზ სეპარატისტებს შორის ბზიფში ადგილი ჰქონდა შეხლა-შემოხლას.

1989 წლის 1 აპრილს სოხუმში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი ჩავიდა. ის აფხაზურ ინტელიგენციას, უხუცესებსა და სტუდენტებს შეხვდა. სოხუმში იმყოფებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი შოთა გორგოძე ქართული მილიციის ნაწილებთან ერთად.

6 აპრილს საქართველოს პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბორის ადლეიბა, რომელიც ხელს აწერდა ე. წ. ლიხნის წერილს, თანამდებობიდან გაათავისუფლა. თანამდებობიდან გაათავისუფლეს ასევე ლიხნის წერილზე ხელმომწერი რამდენიმე პარტიული და პასუხისმგებელი მუშაკი (პატიაშვილი, 2013: 187).

როგორც აღვნიშნეთ, ე. წ. ლიხნის წერილს ქ. თბილისში მძლავრი საპროტესტო მოძრაობა და მასშტაბური მიტინგები მოჰყვა. მიტინგის მონაწილეები აპროტესტებდნენ აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფის სურვილს და, პირიქით, მოითხოვდნენ საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გამოყოფასა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას.

7 აპრილს თბილისში პარტაქტივის კრება გაიმართა, რომელსაც ჯ. პატიაშვილთან ერთად კონსტანტინ კოჩეტოვი (სსრკ თავდაცვის მინისტრის მოადგილე) და იგორ როდიონოვი (ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი) ესწრებოდნენ. დარბაზში ყველამ მხარი დაუჭირა მიტინგის დაშლას. რეჟისორი რეზო ჩხეიძე გამოვიდა ინიციატივით შექმნილიყო ინტელიგენციისა და საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფი, რომელიც მიტინგის ორგანიზატორებთან მოლაპარაკებას დაიწყებდა და შეძლებდა მათ დარწმუნებას, თუმცა ეს მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა (პატიაშვილი, 2013: 192).

7 აპრილს ჯუმბერ პატიაშვილი ტელევიზიით გამოვიდა და მოსახლეობას სიმშვიდისკენ მოუწოდა (პატიაშვილი, 2013: 194-197).

8 აპრილს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ: საქართველოს კპ ცკ პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი; საქართველოს კპ ცკ მეორე მდივანი ბ. ნიკოლსკი; საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია; საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ჩხეიძე; საქართველოს უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე; საქართველოს სსრ თავდაცვის საბჭოს მდივანი პ. გიორგაძე; არმიის გენერალი, თავდაცვის მინისტრის მოადგილე კ. კოჩეტოვი; გენერალ-პოლკოვნიკი, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი ი. როდიონოვი; გენერალ-ლეიტენანტი, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი ა. ნოვიკოვი; საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი შ. გორგოძე; საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. კარანაძე; საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ვ. შარაშენიძე; საქართველოს სსრ პროკურორის პირველი მოადგილე ნ. შოშიაშვილი.

სხდომაზე გადაწყდა მიტინგის ღამის საათებში დაშლა და მიტინგის ორგანიზატორების დაპატიმრება (პატიაშვილი, 2013: 199-205).

მიტინგის დაშლა 9 აპრილს, დილის 4 საათზე დაიწყო. საბჭოთა ჯარისკაცებმა დაარღვიეს მშვიდობიანი მიტინგის დაშლის დროს აპრობირებული ყველა მეთოდი და ნიჩბებით დახოცეს მომიტინგეები, გაუშვეს მომწამლელი გაზი. შედეგად 21 ადამიანი დაიღუპა, ათასობით კი მოიწამლა.

ის, რომ საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა წინასწარ ემზადებოდა 9 აპრილის მონაწილეების სამაგალითოდ დასასჯელად, მეტყველებს შემდეგი გარემოება:

1989 წლის 8 აპრილს, ანუ 9 აპრილის ტრაგედიაშივე ერთი დღით ადრე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. გორბაჩოვმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას „სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის კანონსა და სსრ კავშირის ზოგიერთ სხვა საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე. კერძოდ, ცვლილება შევიდა სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონში „სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“. ამ კანონის მეშვიდე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

„მუხლი 7. მოწოდება საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესწყობილების დამხობისა თუ შეცვლისათვის.

საჯარო მოწოდება საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი წეს-წყობილების დამხობისა თუ მისი შეცვლისათვის სსრ კავშირის კონსტიტუციის საწინააღმდეგო წესით, ან საბჭოთა კანონების შესრულებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად იმ მიზნით, რომ ძირი გამოუთხარონ სსრ კავშირის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებს, აგრეთვე ასეთივე შინაარსის მასალების დამზადება გავრცელების მიზნით ან გავრცელება - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან ჯარიმით ორი ათას მანეთამდე.

იგივე მოქმედება, ჩადენილი განმეორებით, ან პირთა ორგანიზებული ჯგუფის მიერ, ან მასობრივი ტირაჟირებისათვის განკუთვნილი თუ მომარჯვებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, -

- ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდ წლამდე ან ჯარიმით ხუთი ათას მანეთამდე“ (გაზეთი *კომუნისტი*. (1989) N84).

ქ. თბილისში კომენდატის საათი გამოცხადდა, მთელი ძალაუფლება სამხედრო კომენდატის ხელში გადავიდა, მას გადაეცა აღმასრულებელ-განმკარგულებელი ფუნქციები, მას დაემორჩილა ქ. თბილისში არსებული ყველა დაწესებულება, ორგანიზაცია, საწარმო, მათ შორის შინაგან საქმეთა ორგანოები. ყველა მისი ბრძანება და განკარგულება სავალდებულო იყო შესასრულებლად. ი. როდიონოვმა აკრძალა ქ. თბილისში უსანქციო კრებები, მსვლელობები, დემონსტრაციები და მიტინგები, ბინებში და სხვა ადგილებში ცეცხლსასროლი იარაღის, აფეთქებასაშიში საგნების და აალებადი ნარევეების შენახვა (გაზეთი *კომუნისტი*. (1989). N84).

10 აპრილს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე რესპუბლიკის სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე მუხრან მაჭავარიანი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნები გურამ ფანჯიკიძე და ენვერ ნიჟარაძე და სხვები.

შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ 9 აპრილს მთავრობის სახლის წინ მანიფესტაციის გარეკვის დროს გამოყენებული მეთოდები მიუღებელი იყო საზოგადოებისათვის, რომელმაც დემოკრატიზაციისა და საჯაროობის მაგისტრალური გზა აირჩია. უფრო მეტიც, მსგავსი ქმედება მიმართული იყო გარდაქმნის წინააღმდეგ. მათი თქმით, საჭირო იყო გულდასმით გამოეძიებინათ ის მიზეზები, რომელმაც ადამიანები იმსხვერპლა, განსაზღვრულიყო თუ, ვის რა პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მომხდარზე (გაზეთი *კომუნისტი*. (1989). N84).

გაზეთ „კომუნისტის“ 11 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა ლიტერატურათმცოდნისა და ფოლკლორისტიკის ვახუშტი კოტეტიშვილის წერილი, რომელშიც ის აცხადებდა: „რადა ყოფილა ჩვენი გარდაქმნა, საჯაროობა, შეხედულებათა პლურალიზმი, თუკი ამ განსხვავებულ თვალსაზრისს, თუნდაც მცდარს, მიუღებელს, ისევ და ისევ შეიარაღებულ ძალებს დავუპირისპირებთ და სისხლით ჩავახშობთ?!“

რითიღა უნდა აღვუდგეთ წინ განსხვავებულ აზრს? ისევ ტანკებით? ხელკეტებით? ორპირალესილი ვითომნიჩბებით? ფარებითა და ჩაჩქნებით აღჭურვილი სპეციალური რაზმებით? - კითხულობდა კოტეტიშვილი (გაზეთი *კომუნისტი*. (1989). N84).

12 აპრილამდე გაზეთი „კომუნისტი“, ფაქტიურად, დუმდა, მხოლოდ 12 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა დაღუპულთა სიები. ამავე ნომერში აღნიშნული იყო თბილისის პროკურატურის განცხადება, რომლის თანახმადაც განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც იძიებდა საქართველოს პროკურატურა. აღძრული საქმეების გამო დააპატიმრეს: ვანო ხუბუნაიშვილი, მერაბ კოსტავა, გიორგი ჭანტურია, ირინა სარიშვილი და ზვიად გამსახურდია (გაზეთი *კომუნისტი*. (1989). N85).

ქართველი მწერლების ნაწილი მომხდარზე პასუხისმგებლობას ეროვნული მოძრაობის ლიდერებს აკისრებდა, მაგალითად, გაზეთ „კომუნისტის“ 12 აპრილის ნომერში დაიბეჭდა

მწერალ ჭაბუა ამირეჯიბის წერილი სათაურით „ჭკუით, ქართველებო!“ ავტორი აღნიშნავს, რომ „უახლოეს ხანს გამოირკვევა, უფრო გვიან, უფრო დიდი სიზუსტით დადგინდება ჭეშმარიტება და ვიმედოვნებ, ქართველი ერის ისტორიას შემორჩება ეს სისხლიანი ეპიზოდი, როგორც უდიდესი შეცდომისა და ხალხის უსინდისო მოტყუების მაგალითი“. ხალხის მომტყუებლებში ჭაბუა ამირეჯიბი ზვიად გამსახურდიასა და მის თანამებრძოლებს, ანუ აქციის ორგანიზატორებს გულისხმობდა. ჭ. ამირეჯიბი წერილს ამთავრებდა შემდეგი სიტყვებით „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს. ჩვენ უნდა შევიგნოთ ეს. ლაგამი ამოვდოთ ჩვენს ტემპერამენტსა და გზნებას...“ (გაზეთი *კომუნისტი*. (1989). N85).

14 აპრილს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. პატიაშვილი თანამდებობიდან გადადგა, პლენუმმა მის ნაცვლად გივი გუმბარიძე აირჩია (გაზეთი *კომუნისტი*. (1989). N88).

აპრილის მოვლენების გამოსამიებლად სამი კომისია შეიქმნა: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომისია (სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის, ბელორუსიის უს თავმჯდომარის გ. ტარაზევიჩის თავმჯდომარეობით), საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისია (იურისტ თამაზ შავგულიძის თავმჯდომარეობით) და სსრკ სახალხო დეპუტატთა ყრილობის კომისია (ასევე იურისტ ანატოლი სობჩაკის თავმჯდომარეობით) (ლიგაჩოვი, 2002: 3-4; ყორანაშვილი, 2001: 13). დასახელებული კომისიების მიერ წარმოებული გამოძიება, ცხადია, არასრულყოფილი იყო.

სსრკ სახალხო დეპუტატმა, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ დასვა საკითხი სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, გენერალ-პოლკოვნიკ ი. როდიონოვის დეპუტატობიდან გაწვევის შესახებ (გაზეთი *ლიტერატურული საქართველო*. (1989). N20). იგორ როდიონოვი, რომელიც ხელმძღვანელობდა 9 აპრილის მიტინგის დაშლის ოპერაციას, სსრკ სახალხო დეპუტატთა საბჭოში საქართველოდან იყო არჩეული. საბოლოოდ ამომრჩევლებმა ის უკან გაიწვიეს (გაზეთი *ლიტერატურული საქართველო*. (1989). N 22).

9 აპრილმა სრულიად გააშიშვლა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება, რომელსაც არ შეეძლო კრემლის წინაშე საკუთარი მშვიდობიანი მოქალაქეების დაცვა. ამ რეჟიმის უკვე აღარ სჯეროდა იმ ადამიანებსაც, რომლებიც ადრე მისი ერთგულები იყვნენ. საქართველოს ახალი ხელისუფლება ვერ ახერხებდა სიტუაციის მართვას, ქვეყანაში ძალაუფლებას, ფაქტიურად, ეროვნული მოძრაობის ლიდერები ფლობდნენ.

1989 წლის აპრილში საქართველოს მწერალთა კავშირის წევრებმა წერილით მიმართეს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს მ. გორბაჩოვს. წერილში საუბარი იყო 9 აპრილს საბჭოთა ჯარისკაცების მიერ მშვიდობიანი მომიტინგეების ბარბაროსულ დარბევაზე. დალუპულიდან უმეტესობა ქალი იყო, დაშავებული ადამიანები მოთავსებული იყვნენ საავადმყოფოში, რომელთა უმეტესობის მდგომარეობა უიმედოდ ითვლებოდა. წერილში შემფოთება იყო გამოთქმული საინფორმაციო გამოშვება „ვრემიაში“ გაჟღერებული უკიდურესი ცინიზმის გამო, რომ თითქოს საბჭოთა ჯარისკაცები ცდილობდნენ დარბევის დროს არ დაშავებულიყვნენ ქალები და ბავშვები. არადა

დაღუპულთაგან ყველაზე პატარა 16 წლის გოგო, ხოლო ყველაზე ასაკოვანი კი 70 წლის ქალი იყო.

მწერლების განმარტებით 9 აპრილის სისხლიანი აქცია ლოგიკური გაგრძელება და დაგვირგვინება იყო ქართველი ხალხის იმ საყოველთაო ლანძღვა-გინებისა ცენტრალურ პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში რომ იყო გაჩაღებული. ქართველი ახალგაზრდები იჩაგრებოდნენ ჯარში, სადაც მათდამი გაუმართლებელი სიძულვილი იყო გაბატონებული. თბილისში დატრიალებულ „ბართლომეს დამეს“ საბჭოთა ჯარისკაცები უმწეო ადამიანებს ალესილ ნიჩბებს და ხელკეტებს ურტყამდნენ შემახილებით „სტალინისათვის!“ მიტინგის დაშლისას არ გამოიყენეს საყოველთაოდ მიღებული პრაქტიკა (წყლის ჭავლი და ა. შ.), პირდაპირ გადავიდნენ ხოცვა-ჟლეტაზე.

მწერლები ხაზს უსვამდნენ კომენდატის საათის წესების დარღვევით გამოცხადებასაც. მათი თქმით 10 აპრილს 23:00 საათზე ტელევიზიით გამოვიდა ამიერკავკასიის ჯარების სარდალი და გამოაცხადა: ზუსტად ამ წუთიდან, 23:00 საათიდან, ქ. თბილისში კომენდატის საათია დაწესებული. ამ დროს ქუჩაში იმყოფებოდნენ ადამიანები, რომლებმაც კომენდატის საათის შესახებ არაფერი იცოდნენ. დაიწყეს ამ ადამიანების ცემა, მანქანების მსხვრევა, დაიწყო სროლა, მძიმედ დაიჭრა ოთხი ადამიანი, რომელთაგან ორი გარდაიცვალა. ქართველი მწერლები სვამდნენ კითხვას, ნუთუ არ შეეძლო ამ სარდალს რადიოში ან ტელევიზიაში ერთი საათით ადრე გამოსვლა? რა თქმა უნდა შეეძლო, მაგრამ მაშინ ხომ ვერ იპოვიდნენ ქუჩაში საკბილოს? ამიტომაც ეს მიზანმიმართულად გაკეთდა. ხელისუფლების მხრიდან იყო მცდელობა დაემაღლათ დაღუპულთა სიკვდილის მიზეზები. ხალხს არ სჯერა დაღუპულთა და დაშავებულთა შესახებ ოფიციალური ექსპერტიზის დასკვნის. ამიტომ გთხოვთ სასწრაფოდ მოიწვიოთ ექსპერტები საერთაშორისო ორგანიზაციებიდან - ნათქვამი იყო წერილში.

ქართველი მწერლები მოითხოვდნენ ობიექტურად გამოეძიებინათ მომხდარი, სამაგალითოდ დაესაჯათ ამ ხოცვა-ჟლეტის მომწყობი დამნაშავეები, ცენტრალურ ტელევიზიას კი ეჩვენებინა განვითარებული მოვლენების ნამდვილი არსი, ემხილებინა ისინი, ვინც შეცდომაში შეიყვანა „ვრემიას“ რედაქცია, საკავშირო პრესას, ტელევიზიას და რადიოს ფართოდ და სრული სიმართლით გაემუქებინა მოვლენები და მთელი საბჭოთა კავშირისთვის ემცნო იმ ადამიანთა გვარები, რომლებმაც ფეხქვეშ გათელეს არა მარტო ადამიანთა ღირსება, არამედ საბჭოთა კავშირში მიმდინარე რევოლუციური პროცესები.

აუცილებლად სათანადო შეფასება და განზოგადება უნდა მისცემოდა თბილისის სისხლიან აქციას და უნდა თქმულიყო პირდაპირ, რამდენად შეეფერებოდა მომხდარი დემოკრატიას, გარდაქმასა და საჯაროობას - აცხადებდნენ მწერლები (სეა, უიცა, ფ. 8, ან. 1, ს. 3488).

საქართველოს მწერალთა კავშირის წევრებმა წამოაყენეს წინადადება 9 აპრილს დაღუპულები ქაშუეთის წინ მდებარე პარკში დაეკრძალათ. საქართველოს მწერალთა კავშირმა დაღუპულთა ოჯახის წევრებს მიმართა კითხვით, იყვნენ თუ არა თანახმა აღნიშნულ პარკში მომხდარიყო მათი დაკრძალვა. დაღუპულთა ოჯახის წევრები თანახმა იყვნენ, თუ დაკრძალვის ცერემონიალი ყოველგვარი სავალალო ინციდენტის გარეშე ჩაივლიდა (სეა, უიცა, ფ. 8, ან. 1, ს. 3489). ამ ინიციატივით საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს

ედუარდ შევარდნაძეს წერილით მიმართეს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ მ. მაჭავარიანმა, საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ე. ამაშუკელმა, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ე. შენგელაიამ, საქართველოს დიზაინერთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ზ. წერეთელმა, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ნ. მაგლობლიძევილმა, საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ გ. ლორთქიფანიძემ და საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ს. ცინცაძემ.

წერილის ავტორები მიზანშეწონილად მიიჩნევენ 9 აპრილს დაღუპულთა დაკრძალვას ქაშუეთის წინ მდებარე სკვერში მას შემდეგ, რაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ქაშუეთის ეკლესიაში პანაშვიდს გადაიხდიდა. წერილის ავტორები ითხოვდნენ დაღუპულთა დაკრძალვის დღეს თბილისიდან საჯარისო ნაწილები გაეყვანათ, ხოლო დაღუპულთა ფოტოსურათები კი პრესაში გამოქვეყნებულიყო (სეა, უიცა, ფ. 8, ან. 1, ს. 3489). სამწუხაროდ, ეს ინიციატივა ვერ განხორციელდა.

1989 წლის 19 მაისს ქართველი მწერლების სახელით საბჭოთა კავშირის გამგეობის სამდივნოს საპროტესტო ღია წერილით მიმართეს მუხრან მაჭავარიანმა, ხუტა ბერულავამ, ენვერ ნიჟარაძემ და გურამ ფანჯიკიძემ. წერილის ავტორები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირი არ გამოეხმაურა 9 აპრილს თბილისში დატრიალებულ ტრაგედიას. წერილში უკმაყოფილება იყო გამოთქმული გაზეთ „ლიტერატურნაია გაზეტას“ მთავარი რედაქტორის, პოეტ ი. ვორონოვის მიმართ, რადგან აღნიშნულ გაზეთში დამახინჯებულად იყო წარმოდგენილი ამ გაზეთის კორესპონდენტის ინფორმაცია 9 აპრილის მოვლენებზე. ამის გამო ამ კორესპონდენტმა უარი თქვა ამ ცრუ ინფორმაციაზე და საერთოდ გაზეთის კორესპონდენტობაზე.

გაზეთმა მკითხველს დაუმალა თავისი მიმომხილველის, პროფესიონალი ფოტოჟურნალისტის იური როსტის ფოტორეპორტაჟი. იური როსტი უშუალო მონაწილე იყო 9 აპრილის მოვლენების და საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად აღბეჭდა საბჭოთა ჯარისკაცების ბარბაროსული ქმედებები. ამის გამო მწერლები მადლობას უხდიდნენ იური როსტს. მწერლები ასევე წუხდნენ იმის გამო, რომ „ლიტერატურნაია გაზეტამ“ არ გამოაქვეყნა საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნის, ქართული ლიტერატურის საბჭოს თავმჯდომარის ე. ევტუშენკოს მხურვალე თანაგრძნობით სავსე წერილი, რომელსაც 600-ზე მეტმა მოსკოველმა მწერალმა დაუჭირა მხარი. „ლიტერატურნაია გაზეტამ“ ასევე არ დაბეჭდა 19 აპრილს მოსკოვში, ქართველი ერის სოლიდარობის ნიშნად გამართული „აპრილის“ კომიტეტის სხდომის ანგარიში.

წერილი მთავრდებოდა შემდეგი გადაწყვეტილებით: „დღეიდან საქართველოს მწერლები ყოველგვარ შემოქმედებითს ურთიერთობას წყვეტენ „ლიტერატურნაია გაზეტასთან“, სანამ მის ფურცლებზე პატიოსნად არ უამბობენ მრავალმილიონიან მკითხველთა აუდიტორიას სიმართლეს - მხოლოდ სიმართლეს! - იმ შემადრწუნებელი

დანაშაულის შესახებ, რომელიც 1989 წლის 9 აპრილს ჩაიდინეს თბილისში“ (სეა, უიცა, ფ. 8, ან. 1, ს. 3484).

1989 წლის 12 ივნისს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა მწერალ გიზო ზარნაძის მიმართვა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მიმართ (სეა, უიცა, ფ. 8, ან. 1, ს. 3484), სადაც ის ითხოვდა იური როსტისთვის მწერალთა კავშირის ყოველწლიური პრემიის (პუბლიცისტიკის დარგში) მინიჭებას რეპორტაჟისათვის „ტრაგიკული ღამე თბილისში“, რომელიც 1989 წლის 13 აპრილს გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა (გაზეთი *ლიტერატურული საქართველო*. (1989). N19). იური როსტს ჯარისკაცებმა ფოტოაპარატი წაართვეს და დაუმტვრიეს, მაგრამ გადარჩენილი ფირიც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მთელ მსოფლიოს მოსდებოდა შემადრწუნებელი კადრები (ასევე აღსანიშნავია გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ რედაქტორის ვახტანგ აბაშიძის გამბედაობა, რომელმაც ეს მასალა დაბეჭდა). გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ რედაქცია, 9 აპრილის ამბებთან დაკავშირებით გამოჩენილი სიმამაცის გამო, დაარბიეს. 30 მაისს სახალხო დეპუტატთა პირველ ყრილობაზე სიტყვით გამოსულმა ი. როდიონოვმა გაზეთი სამხედრო უწყებისთვის მიუღებელი ინფორმაციების გამოქვეყნებაში დაადანაშაულა (გაზეთი *ლიტერატურული საქართველო*. (1989). N 22).

საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მუხრან მაჭავარიანი სხვადასხვა ორგანიზაციიდან იღებდა წერილებს, სადაც მხარდაჭერა იყო გამოხატული იურის როსტისთვის პრემიის მინიჭების საკითხთან დაკავშირებით (სეა, უიცა, ფ. 8, ან. 1, ს. 3484).

9 აპრილს თბილისში მომხდარი ტრაგედიის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა არაერთი სამმიმრის დეპეშა მიიღო (სეა, უიცა, ფ. 8, ან. 1, ს. 3491; გაზეთი *ლიტერატურული საქართველო*. (1989). N15; გაზეთი *ლიტერატურული საქართველო*. (1989). N 18). მათ შორის სსრკ მწერალთა კავშირის ქართული ლიტერატურის საბჭოს თავმჯდომარის ევგენი ევტუშენოვისგან. დეპეშაში აღნიშნული იყო, რომ გარდაქმნის მხარდამჭერ მწერალთა მოსკოვის კომიტეტის „აპრილის“ წევრები იზიარებდნენ იმ დიდ მწუხარებას, რომელიც ქართველმა ხალხმა განიცადა 9 აპრილის ტრაგედიის შედეგად. დეპეშაში აღნიშნული იყო: „მოვითხოვთ უზუსტესად დადგინდეს: ვინ გასცა ეს უაზროდ სასტიკი ბრძანება, ვინ იყო მისი შემსრულებელი? დაბოლოს, დამნაშავე უნდა დაისაჯოს, რათა შემდგომში აღარავის მოეგუნებოს უდანაშაულო ადამიანებზე ხელის აღმართვა“. დეპეშას ხელს ექვსასზე მეტი მოსკოველი მწერალი - გარდაქმნის მხარდამჭერ მწერალთა მოსკოვის კომიტეტის „აპრილის“ წევრები აწერდნენ (ყველა სსრკ მწერალთა კავშირის წევრი) (გაზეთი *ლიტერატურული საქართველო*. (1989). N17).

9 აპრილის მოვლენებს გამოეხმაურა კლუბ „მოსკოვსკაია ტრიბუნა“ მიტინგით, სადაც მიიღეს მიმართვა ქართველი ხალხისადმი. მიმართვაში გამოხატული იყო თანაგრძნობა და სოლიდარობა თბილისში დატრიალებულ ტრაგედიასთან დაკავშირებით. საქართველოში მომხდარი ტრაგედია შედარებული იყო ჩერნობილის ტრაგედიასთან. „მასობრივმა ბანდიტურმა აქტმა არ შეიძლება თავზარი არ დასცეს ყველა მოქალაქეს“ - ნათქვამი იყო მიმართვაში. მიმართვა მთავრდებოდა მოთხოვნით ჩატარებულიყო მომხდარზე საჯარო გამოძიება, დასჯილიყვნენ დამნაშავეები, გაუქმებულიყო სპეციალური ჯარები.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მწერალთა კავშირის გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 1989 წლის 26 მაისის ნომერი, რომელიც გამბედაობისა და სიმამაცის გამოხატულება გახლდათ. გაზეთის მოწინავე გვერდზე დიდი ასოებით დაბეჭდილი იყო: „26 მაისი საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღეა!“. აქვე იყო მოთავსებული „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“ და საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 26 მაისის სხდომის სტენოგრაფიდან ამონარიდი. ამავე ნომერში, ასევე, დაბეჭდილი იყო შემდეგი მასალა: ალექსანდრე ბენდიანიშვილის წერილი „ქართველი ერის სუვერენულ უფლებათა აღდგენისა და განმტკიცების პრობლემები 1917-1920 წლებში“; წერილი 1956 წლის 9 მარტის მოვლენებზე; გურამ შარაძის წერილი „შალვა ამირეჯიბი“; 1921 წლის 7 მაისის კონსტანტინე გამსახურდიას მიერ ვლადიმერ ულიანოვ-ლენინისადმი გაგზავნილი ღია წერილი (გაზეთი *ლიტერატურული საქართველო*. (1989). N21).

საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნომ, ქართველ მწერალთა სახელით, სსრკ სახალხო დეპუტატთა ყრილობას მიმართა. ქართველი მწერლები იმედს გამოთქვამდნენ, რომ მოხდებოდა 9 აპრილის მოვლენების ობიექტური გამოძიება. წერილში აღშფოთება იყო გამოთქმული ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის ი. როდიონოვის მიერ ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვის გამო, მაშინ, როდესაც ამომრჩევლებმა მას უნდობლობა გამოუცხადეს და გაიწვიეს დეპუტატობიდან. ი. როდიონოვმა ერთმანეთში აურია ჭორიც და მართალიც, თუმცა მას გამორჩა ჯარისკაცების მიერ გამოყენებული ქიმიური გაზი და „უწყინარი“ ნიჩაბი. „ჩვენ მაინც გვჯერა, რომ ჭეშმარიტება გაიმარჯვებს, სიმართლე გაიმარჯვებს, რადგანაც XX საუკუნის მიწურულს წარმოუდგენელია ვანდალიზმის, კაცთმომულეობის შავბნელი იდეების გამარჯვება“ - აღნიშნული იყო მიმართვაში (გაზეთი *ლიტერატურული საქართველო*. (1989). N 22).

9 აპრილის მოვლენებს ქართველმა მწერლებმა არაერთი ლექსი მიუძღვნეს, რომელთა შორის აღსანიშნავია მორის ფოცხიშვილის ლექსი „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები“. ეს ლექსი, ფაქტიურად, იმდროინდელი საქართველოს ჰიმნად იქცა.

1989 წლის 15 ივნისს საქართველოს მწერალთა კავშირის საერთო კრება გაიმართა, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე რთულ ვითარებას მიემდგნა. კრება შესავალი სიტყვით მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მუხრან მაჭავარიანმა გახსნა. „ახლა თვალთმაქცობა და ორმაგი თამაში ქვეყნის ღალატი ტოლფასია. დაუყოვნებლივ უნდა გაანალიზდეს შექმნილი სიტუაცია და გამოიძებნოს გზები, რომლებიც ერს დაღუპვისაგან გადაარჩენს“ - განაცხადა მან. მუხრან მაჭავარიანმა კრების მიერ განსახილველი საკითხები ჩამოთვალა: 1921 წლის 25 თებერვალს დამოუკიდებელი საქართველოს ანექსია; საქართველოს წვევამდელთა სავალდებულო სამხედრო სამსახური; საქართველოში მყოფ აზერბაიჯანელ და სომეხ ლტოლვილთა სამშობლოში დროულად დაბრუნება.

საქართველოს მწერალთა კავშირის საერთო კრებამ მიიღო მიმართვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსადმი, რომელიც დამსწრეთ რომან მიმინოშვილმა გააცნო (გაზეთი *ლიტერატურული საქართველო*. (1989). N 25).

15 ივნისს საქართველოს მწერალთა კავშირის საერთო კრების მიერ მიღებულ დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ ქვეყანაში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარების

მიზეზი ხელისუფლებისა და მოსახლეობის გათიშულობით იყო განპირობებული. წლების განმავლობაში ხელისუფლება ატარებდა ანტიეროვნულ პოლიტიკას, საქართველო გადაქცეული იყო ინტერნაციონალიზმის ექსპერიმენტულ პოლიგონად. კრემლის მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის გამოხატულება იყო საქართველოში 9 აპრილს დატრიალებული ტრაგედია და უზბეკეთში ივნისში განვითარებული მოვლენები. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირი აუცილებელ საჭიროებად მიიჩნევდა სასწრაფოდ მოწვეულიყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე საგანგებო სესია, რომელზეც უნდა განხილულიყო შემდეგი საკითხები:

1. ცნობილ იქნას რსფსრ-სა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება დარღვეულად რსფსრ-ს მხრიდან და, აქედან გამომდინარე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1921 წლის 25 თებერვალს ანექსირებულად.

2. საქართველოს სსრ ფაქტიური სუვერენიტეტი განხორციელდეს მთელს მის ტერიტორიაზე.

3. შემოღებულ იქნას საქართველოს სსრ მოქალაქის სტატუსი.

4. სსრკ კანონები საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გავრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი იქნებიან დამტკიცებულნი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ.

5. აღდგეს საქართველოს სსრ კონსტიტუციაში 1978 წელს ამოღებული მუხლი, რომელიც ანიჭებს რესპუბლიკას უფლებას იყოლიოს ეროვნული საჯარისო ფორმირებანი, ხოლო ამ მუხლის რეალიზაციამდე რესპუბლიკის წევრად იქნებიან მოიხადონ სამხედრო სამსახური საქართველოს ტერიტორიაზე.

6. რესპუბლიკაში შექმნილი უმძიმესი დემოგრაფიული ვითარებისა და მცირემიწიანობის გამო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის საგანგებო გადაწყვეტილებამდე შეწყდეს რესპუბლიკაში მასობრივი იმიგრაციული პროცესი და გამოსწორდეს ამ მხრივ ადრე დაშვებული შეცდომები.

დადგენილებაში ასევე აღნიშნული იყო, რომ თუ საქართველოს უმაღლეს საბჭოს არ შეეძლო აღნიშნული საკითხების დადებითად გადაჭრა, მაშინ აუცილებელი იყო რეფერენდუმის გზით სსრკ კონსტიტუციის 72 მუხლით მონიჭებული უფლების განხორციელება, რომელიც გულისხმობდა სსრკ შემადგენლობიდან თავისუფლად გასვლას.

მწერალთა კავშირის კრება მიმართავდა წინადადებით საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაერთიანებებს და შემოქმედებით კავშირებს, შეერთებოდნენ ამ მოთხოვნებს (გაზეთი *ლიტერატურული საქართველო*. (1989). N 24).

1989 წლის 15 ივლისს ქ. სოხუმში ადგილი ჰქონდა შემზარავ ფაქტს: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის შენობა (განთავსებული იყო პირველი საშუალო სკოლის შენობაში) აფხაზებმა ალყაში მოაქცეს და შიგნით არავის უშვებდნენ. პროვოკაციის თავიდან ასაცილებლად ქართველები გადავიდნენ რუსთაველის სახელობის პარკში და დახმარებისთვის მიმართეს აფხაზეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას. ამ დროს პარკში შეკრებილ ქართველებს თავს დაესხნენ აფხაზები. დაიღუპა 16 და დაიჭრა 140 ადამიანი, რომელთაგან უმეტესობა ეთნიკური ქართველი იყო. დაღუპულთა შორის იყო

„სრულიად საქართველოს ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ვლადიმერ (ვოვა) ვეკუა.

15 ივლისს აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ გახშირდა რუსულ ჟურნალ-გაზეთებში ქართველი ერის ლანძღვა-გინება. ერის ღირსების დაცვა თავის თავზე ქართველმა მწერლებმა აიღეს. 1990 წლის 2 მარტს მუხრან მაჭავარიანმა, ჭაბუა ამირეჯიბმა, გურამ ფანჯიკიძემ, გრიგოლ აბაშიძემ, ენვერ ნიჟარაძემ, გიორგი გაჩეჩილაძემ, თამაზ წიფწივაძემ, ამირან კალაძემ, გიზო ზარნაძემ, ელიზბარ ჯაველიძემ, ლევან ხაინრდავამ და ანა კალანდაძემ ღია წერილით მიმართეს ჟურნალ „დრუჟბა ნაროდ“-ის მთავარ რედაქტორს სერგეი ბარუზდინს. აღნიშნულ ჟურნალში დაიბეჭდა სტატია სათაურით „ექსტრემიზმს არა!“ სტატიაში გატარებული იყო აზრი, რომ თითქოს „ქართველ თავადთა ნაშიერნი“ რუსების წინააღმდეგ ეროვნულ შუღლს აღვივებენ იმით, რომ ხმის ჩახლეჩამდე გაჰკვირდნენ ანტირუსულ მოწოდებებს, თითქოს ქართველები აბუჩად იგდებდნენ აფხაზებს, შემოკედლებულ ოსებს, არ ინდობდნენ „საკუთარ სისხლსა და ხორცს“ ე. წ. მესხეთელ თურქებს. საპასუხო წერილში გაბათილებული იყო აღნიშნული უსაფუძვლო ბრალდებები (სეა, უიცა, ფ. 8, ან. 1, ს. 3565).

1989 წლის 22 სექტემბერს საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, მუხრან მაჭავარიანმა და მწერალთა კავშირის მდივნებმა ხუტა ბერულავამ, ენვერ ნიჟარაძემ და გურამ ფანჯიკიძემ წერილი გაუგზავნეს საბჭოთა კავშირის გენერალურ პროკურორს ალექსანდრე სუხარევს. წერილის ავტორები აპროტესტებდნენ 15 ივლისს აფხაზეთში მომხდარი ტრაგედიის საქმეზე ძიების შეწყვეტის გამო. ამ გადაწყვეტილებას შესაძლოა დაუსჯელობის სინდრომი გაემლიერებინა აფხაზეთში (სეა, უიცა, ფ. 8, ან. 1, ს. 3485). თუმცა, ცხადია, მომხდარის ობიექტური გამოძიება კრემლის ინტერესებში არ შედიოდა.

კრემლი ცდილობდა მის ხელთ არსებული ყველა ბერკეტი გამოეყენებინა საქართველოსა და ქართველების წინააღმდეგ. გაძლიერებულ ანტიქართულ პროპაგანდაში ჩართული იყვნენ ოსი და აფხაზი მწერლებიც.

1990 წლის 12 თებერვალს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის სხდომა გაიმართა, რომელსაც მუხრან მაჭავარიანი თავმჯდომარეობდა. სხდომის დღის წესრიგში რამდენიმე საკითხი იდგა, მათ შორის ოსი მწერლის ნაფი ჯუსოითის საკითხი, რომელიც ანტიქართულ პროპაგანდას ეწეოდა (სეა, უიცა, ფ. 8, ან. 1, ს. 3545). საქართველოს მწერალთა კავშირიდან ნაფი ჯუსოითს სამჯერ გაუგზავნეს შეტყობინება, რათა მწერალთა კავშირის სხდომაზე გამოცხადებულიყო, სადაც მის საკითხს განიხილავდნენ. მიუხედავად ამისა, ჯუსოითმა არცერთ შეტყობინებას არ უპასუხა და შესაბამისად სხდომაზეც არ გამოცხადდა. ამის შემდეგ ნაფი ჯუსოითი გარიცხეს საქართველოს მწერალთა კავშირიდან (სეა, უიცა, ფ. 8, ან. 1, ს. 3545).

ოსმა და აფხაზმა მწერლებმა შეწყვიტეს საქართველოს მწერალთა კავშირთან ყოველგვარი თანამშრომლობა.

1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმის საფუძველზე 9 აპრილს საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამ მოვლენას მხარი აუბა საქართველოს მწერალთა კავშირმა და 1991 წლის 19 აპრილს საბჭოთა კავშირის მწერალთა

კავშირის რიგები დატოვეს და მოსკოვში გასაგზავნად საწევრო ბილეთები ჩააბარეს ქართველმა მწერლებმა. მწერლებს პირველი მაგალითი მუხრან მაჭავარიანმა მისცა (სეა, უიცა, ფ. 8, ან. 1, ს. 3600; ფ. 8, ან. 1, ს. 3599).

თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის დატოვება, გარკვეულ დრომდე, მიზანშეწონილად არ მიაჩნდათ და ამის მიზეზად მატერიალურ საკითხს ასახელებდნენ. მაგალითად, ასეთი იყო გივი კარბელაშვილი, რომელმაც ითხოვა გადაევადებინათ მისთვის საბჭოთა კავშირის მწერალთა რიგებიდან გასვლა (სეა, უიცა, ფ. 8, ან. 1, ს. 3599).

1991 წლის 17 ივნისს საქართველოს მწერალთა კავშირმა საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის მდივნის ს. კოლოვის წერილი მიიღო. ს. კოლოვი ადასტურებდა ქართველი მწერლების საწევრო ბილეთების მიღებას (სეა, უიცა, ფ. 8, ან. 1, ს. 3599).

ამდენად, საქართველოს მწერალთა კავშირის გაორებული მდგომარეობა, რომელშიც ის იმყოფებოდა 1921 წლიდან (საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობიდან), XX საუკუნის მეორე ნახევრიდან დასრულდა. საქართველოს მწერალთა კავშირი სრულად ჩადგა ქართველი ერის სამსახურში და ზურგს უმაგრებდა საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას. მიუხედავად ამისა, ქართულ მწერლობაში ერია თითო-ოროლა ადამიანი, რომელიც კვლავ საბჭოთა პლატფორმაზე რჩებოდა, თუმცა ეს საერთო სურათს ვერ ცვლიდა. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, სამწუხაროდ, ქართველი მწერლების ნაწილი ეროვნული მთავრობის მოწინააღმდეგეთა ბანაკში აღმოჩნდა, რამაც ქვეყანას გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა.

გამოყენებული ლიტერატურა და ბიბლიოგრაფია:

ლიგაჩოვი, ე. (2002). თბილისის საქმე. წიგნიდან „გორბაჩოვის გამოცანა“. პირველი გამოცემა. თბილისი.

პატიაშვილი, ჯ. (2001). ოცდასამი წლის შემდეგ. თანაავტორი ელბა ფოლადიშვილი. თბილისი.

ყორანაშვილი, გ. (2001). 9 აპრილი. მითი და სინამდვილე. თბილისი.

გაზეთი *კომუნისტი*. (1989). N84.

გაზეთი *კომუნისტი*. (1989). N85.

გაზეთი *კომუნისტი*. (1989). N88.

გაზეთი *ლიტერატურული საქართველო*. (1989). N14.

გაზეთი *ლიტერატურული საქართველო*. (1989). N15.

გაზეთი *ლიტერატურული საქართველო*. (1989). N17.

გაზეთი *ლიტერატურული საქართველო*. (1989). N18.

გაზეთი *ლიტერატურული საქართველო*. (1989). N19.

გაზეთი *ლიტერატურული საქართველო*. (1989). N20.

გაზეთი *ლიტერატურული საქართველო*. (1989). N21.

გაზეთი ლიტერატურული საქართველო. (1989). N22.
გაზეთი ლიტერატურული საქართველო. (1989). N23.
გაზეთი ლიტერატურული საქართველო. (1989). N24.
გაზეთი ლიტერატურული საქართველო. (1989). N25.

სეა უიცა, ფონდი 8, ანაწერი 1, საქმე 3483.
სეა უიცა, ფონდი 8, ანაწერი 1, საქმე 3562.
სეა უიცა, ფონდი 8, ანაწერი 1, საქმე 3504.
სეა უიცა, ფონდი 8, ანაწერი 1, საქმე 3506.
სეა უიცა, ფონდი 8, ანაწერი 1, საქმე 3488.
სეა უიცა, ფონდი 8, ანაწერი 1, საქმე 3489.
სეა უიცა, ფონდი 8, ანაწერი 1, საქმე 3484.
სეა უიცა, ფონდი 8, ანაწერი 1, საქმე 3491.
სეა უიცა, ფონდი 8, ანაწერი 1, საქმე 3485.
სეა უიცა, ფონდი 8, ანაწერი 1, საქმე 3545.
სეა უიცა, ფონდი 8, ანაწერი 1, საქმე 3600.
სეა უიცა, ფონდი 8, ანაწერი 1, საქმე 3599.
სეა უიცა, ფონდი 8, ანაწერი 1, საქმე 3565.

Levan Jikia
National Archives of Georgia

The Writers' Union of Georgia and the National Movement in Georgia (1988-1991)

Summary

The Writers' Union of Georgia was established in 1917 under the name - „The Writers' Union of All Georgia”. After that, its name has changed several times. Moreover, during the Soviet period along with the name, its function changed significantly as well. The Writers' Union of Georgia, in fact, turned into one of the ideological institutions of the Central Committee of the Communist Party of Georgia. Most of the Georgian writers attempted to find the golden mean, to join the Writers' Union of Georgia and disguisedly, to protect national interests in their work. Fortunately, a lot of writers managed to carry out it skillfully. Despite the powerful Soviet conjuncture, Georgian writing served as the leader of the nation. In addition to it, the Union of Georgian Writers faced those who would prevent it from performing the function of leading the nation. A striking example of this is the conflicting relationship between Zviad Gamsakhurdia and the Union of Writers of Georgia.

Such a dual situation of the Union of Georgian Writers ended in the second half of the 80s of the 20th century, Georgian writers courageously raised their voices against the following events: 1. In 1988 Abkhazians sent a letter to the 19th Party Conference of the CPSU where they demanded the separation of Abkhazia from Georgia; 2. On March 18, 1989, the Abkhazians drew up the so-called

„Likhni’s Letter” where the issue of Abkhazia’s separation from Georgia and joining the Soviet Union as the 16th allied republic was also raised; 3. On April 9, 1989, Soviet soldiers brutally attacked peaceful protesters in Tbilisi.

The role of the Union of Georgian Writers in the national movement of Georgia, especially since the second half of the 80s of the 20th century, has not yet become the subject of special research.

**კელაპტარი - ქართულ ეთნოკულტურაში
(გალის რაიონის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)**

სტატიის საფუძველს სამეცნიერო ლიტერატურასთან ერთად, ძირითადად თანამედროვე გალის რაიონში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალა წარმოადგენს. მასში ყურადღება გამახვილებულია თუ რა ცვლილებები განიცადა მიცვალებულთან დაკავშირებულმა წეს-ჩვეულებებმა, ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. კერძოდ, აღწერილი და განხილულია კელაპტართან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები თანამედროვე გალის რაიონში.

კილანტარი//კელანტარი - კელაპტარი მეგრულში დიდი ზომის ცვილის სანთე-ლია. მეგრული „კელაპტარი“ მიცვალებულის სახელზე სანთლისგან ჩამოსხმული თი-თქმის რეალურად ხის სიდიდისაა, რომლის ტოტებზე ფრინველებია მოთავსებული (ბარდაველიძე, 2006:83). მკვლევარ თეიმურაზ გვანცელაძის აზრით კელანტარი ბერძ-ნული წარმოშობისაა და ამ ლექსემამ სემანტიკა საკუთრივ ქართულ ნიადაგზე შეი-ცვალა (სასანთლე - ცვილის სანთელი), იგივე ლექსემა **კელანტარი** ფორმით და დიდი სანთლის მნიშვნელობით, დასტურდება მეგრულში, რაც ქართული კელაპტარი სიტ-ყვის ახალ მნიშვნელობას ემთხვევა (გვანცელაძე, 1997: 79). აქვე საინტერესოა აღინიშნოს, რომ სულხან-საბას განმარტებით - სასანთლე, სანთლის სადგარია (ორბელიანი, 1991: 364; ანთელავა, 2006: 76-77). თავდაპირველი სიტყვა კელაპტარი ქართულშიც სა-სანთლეს აღნიშნავდა (მთაწმინდელი, 1946: 23). გვიან შუა საუკუნეებში ამ სიტყვას ქართულში შეეცვალა სემანტიკა და მიიღო მსხვილი ცვილის სანთლის მნიშვნელობა „კელაპტარი - სასანთლე, ხოლო აწ დიდს სანთელსა უკმობენ ტყუვილად (ორბელიანი, 1991: 364). თეიმურაზ გვანცელაძის აზრით ეს ქრისტიანული ტერმინი აფხა-ზებს უსესხებიათ XI-XVIII საუკუნეებს შორის (გვანცელაძე, 2011: 342), რადგან მათ და-ვიწყებული ჰქონიათ X-XI საუკუნეებში ზედაპირულად ათვისებული ქრისტიანული რეალიები. იგი აფხაზურში მეგრულიდანაა შესული. ტერმინს „ა-კაღანტარი“ საფუ-ძვლად უდევს მეგრული სიტყვა „კილანტარი“, რომელიც, თავის მხრივ, ქართული სიტყვის „კელაპტარი“ შესატყვისია.

სერგი მაკალათიას ცნობით ძველად მიცვალებულის გამზრდელებს, მიძას და მო-რდუს მოჰქონდათ „კილანტარი“ (კელაპტარი), რომელსაც აკეთებდნენ გრძელი ალვის ხისგან. შეიძლება სხვა ხეც, გარდა მუხისა, მხოლოდ რაც შეიძლება გრძელი უნდა ყოფილიყო. ამ გრძელ ხეს შემოახვევდნენ შავი და თეთრი ფერის გასანთლულ მიტ-კალს, ზედ მის წვერზე დააკრავდნენ იხვისმაგვარი ფრინველის ხისგან გამოთლილ ქანდაკებას (მაკალათია, 1941: 289), რომელიც შეიძლება, როგორც გასვენების დღეს, ისე ორმოცზე და წლისთავზეც მოეტანათ. კელაპტარს გარშემო ანთებული სანთლები ჰქონდა გაკეთებული, რომელსაც ეზოში დადგამდნენ. აქ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მიცვალებულისთვის საკურთხის გამართვისას აუცილებლად უნდა დაეკლათ იხვი, რომელიც დღესაც დასტურდება ეთნოგრაფიული მასალებით თანამედროვე გალში (ასედ, 2020). ზოგი მკვლევარი ამაში სიცოცხლის ფრინველს

ხედავს, ხოლო მკვლევარ ნინო აბაკელიას ანთებული კელაპტარი ფრინველით თავზე „ნათლის ხის“ ადგილობრივ ვარიანტად მიაჩნია (აბაკელია, 2007: 34). საინტერესოა ასევე, რომ აღნიშნულ დღეს გამზრდებებს და ძიძებს შავად შემოსილი ბუდეები „სურდილი ხოჯეფი“ მოჰყავდათ, რომელსაც ზედ შავი ნაჭერი ჰქონდა გადაფარებული და რქებზე ანთებული სანთლები ეკეთათ, ნინო აბაკელიას ცნობით ხის ტოტებისა და ცხოველის რქის მიმართების საკითხი, შესაწირავი ცხოველის რქებზე ანთებული სანთლები კელაპტა-რზე ანთებული სანთლების იზოფუნქციური ვარიანტია (აბაკელია, 2004: 160).

ნინო აბაკელიას, ცნობით მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული ტოტები-ანი სანთელი, ხშირად თითქმის რეალური ხის ზომის და მასზე შემომჯდარი ფრინველის გამოსახულებით, „კილანტარის“ სახელწოდებით იყო ცნობილი. გასვენებაში მიცვალებულის ნათლიას ან ნათლულს აუცილებლად მოჰქონდა კილანტარი - კელაპტარი, რომელსაც, როგორც რიტუალურ საგანს დაკრძალვისა და გლოვის წესებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა (აბაკელია, 2009: 31-41). ეს იყო ხელნაკეთი ცვილის სანთელი, რომელსაც შემოხვეული ჰქონდა შავი ნაჭრის ფითილი.

თანამედროვე გალის რაიონში რესპოდენტები აღნიშნავენ, რომ შავი ლენტით მორთული **კილანტარი//კელანტარი** - კელაპტარი ტირილში მოზარუესთან ერთად აუცილებლად, მხოლოდ ნათლულს მიაქვს ნათლიასთან. ანთებული კელაპტარი გასვენების დღეს მიცვალებულის თავთან იდო, ხოლო დასაფლავების შემდეგ სასაფლაოზე ანთებულს ტოვებდნენ (ასედ, 2022). ხალხური გაზრებით გარდაცვლილ ბეწვის ხიდზე გადასვლისას, ნათლულის მიერ მორთმეული კელაპტარი უნათებს გზას და კუბოში ჩადებული ქამარი ეხმარება დაბრკოლებების უპრობლემოდ გადალახვაში (ასედ, 2022). გალის რაიონში სავალდებულო იყო კელაპტარი ნათლულს მიეტანა ნათლიასთან, ხოლო საქართველოს სხვა კუთხეებში დამწუხრებულ ოჯახში კელაპტრით მისვლა გათხოვილი ქალის და ნათლულის ვალდებულებას წარმოადგენდა (Калан-даров, 1855: 21).

კილანტარი - კელაპტარი გამოიყენებოდა ასევე, მიცვალებულის წლისთავის ცერემონიალის ჩატარებისას. წლისთავზე კილანტარს ეზოში გაიტანდნენ და მასზე დამაგრებულ ფრინველს მიზანში ესროდნენ. ვინც მოახვედრებდა გამარჯვებულად ის ითვლებოდა და ჯილდოს მიიღებდა (მაკალათია 1941: 289).

კელაპტარი აფხაზებში დასტურდება სხვადასხვა სახელწოდებებით: ასჩამაკას, ა-ოკემის, ა-კვალანტარის, ა-კვანის, და ა-ხანაფის სახელებით, თუმცა აღწერილობითა და ფუნქციებით დამთავრებული იგი იმეორებს დაკრძალვისა და გლოვის წეს-ჩვეულებებში გამოყენებულ რიტუალურ საგანს კელაპტარს (ანთელავა, 2006:76; Малия, 2003: 245). ტერმინი „ა-კვალანტარს“ საფუძვლად უდევს მეგრული სიტყვა „კი-ლანტარი“, რომელიც, თავის მხრივ, ქართული „კელაპტარი“ ფორმის შესატყვისია. რიტუალური სანთლის მეორე სახესხვაობა აოკუმ ა-კვალანტარი ასჩამაკასგან განსხვავდებოდა, იმით რომ იგი ახალგაზრდა და შთამომავლობის გარეშე დარჩენილი მამაკაცის სიკვდილის შემთხვევაში მზადდებოდა (აბაკელია, 2009: 34, Джанашвили, 1894: 1-59). ასჩამაკა (აშიამაკა) წლისთავის აუცილებელ ძღვენს წარმოადგენდა, რომელსაც ნათესავი ქალი აკეთებდა. ასჩამაკას ზემოდან ცვილისაგან დამზადებული ფრინველი ჰქონდა დამაგრებული (Малия, 2003: 244).

აფხაზებში ა-კვალანტარი – მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული სიმბოლო – „მიცვალებულის ხე“ ერთ მეტრამდე სიგრძის ცვილის განტოტვილი სანთელია, რომლის ღერძი მთელ სიმაღლეზე სპირალურად წითლად არის შეღებილი და სადგართან თეთრი ლენტი აქვს შემოხვეული. სანთლის თავში დასმულია ცვილისაგან დამზადებული ჩიტის გამოსახულება. ასეთი სანთლის ჩამოქნა აფხაზებმა ორმოცზე ან წლისთავზე იცოდნენ (ანთელავა, 2006: 76; Малия, 2003: 240-255).

აფხაზური ა-კვალანტარის და მეგრული კვალანტარის მორთულობაში თვალში საცემია მრავალი ხალხის (მათ შორის, ქართველების) მითოლოგიიდან და ფოლკლორიდან კარგად ცნობილი მოტივი „ჩიტი ხეზე“ (მსოფლიო, კოსმიურ ხეზე შემომჯდარი ფრინველი მიცვალებულის, წინაპრის სულს განასახიერებს), როგორც მიცვალებულის სულის ნიშანი. ეს ფრინველი ადგილობრივთა რწმენით არის მტრედი. იგივე მოტივს ვხვდებით მიცვალებულის კულტთან დაკავშირებულ აფხაზურ სხვა სიმბოლოებშიც: „ა-კვანი“, „ა-ოკუმი“, „ა-ხანაფი“.

ა-კვანი-ი – მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული სიმბოლო, რომელიც წლი-სთავზე (ავსხურა) გამართულ მიხანში სროლის ნიშანს წარმოადგენს, არის ვერტიკალურად დაყენებული ძელი, რომლის ტანი შემკულია ფერადი ქაღალდებით ან ქსოვილის ნაჭრებით; სხვადასხვა სიმაღლეზე ჰორიზონტალურად დაჭედებული აქვს ხის თამასები, რომლებიც ზემოთ და ქვემოთ განტოტვილია წვრილად გასანთლული პატ-რუქებით. თამასებზე ჰკიდია სხვადასხვა გამოსახულებები. ძელის ტანზე, რამდენიმე ადგილზე მოთავსებულია თოფისწამალი. აკვანი თავისი შესახედაობით აშკარად მორ-თულ ხეს მოგვაგონებს. შეჯიბრში მონაწილეებმა იარაღიდან სროლით უნდა ჩამოაგდონ ხეზე ჩამოკიდებული – საჩუქრები (ანთელავა, 2017: 405-406; Джанашия, 1960: 87-88; Шиллинг, 1926: 74-75; Шиллинг, 1931: 76; Инал-Ипа. 1965: 545).

ა-ოკუმი-ი – მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული სიმბოლო წარმოადგენს ერთ მეტრამდე სიგრძის ხის განტოტვილ კარკასს, რომელიც ფერადი ფურცლებითა და წვრილად გასანთლული პატრუქებით არის შემკული და ცვილისგან ან ხისგან დამზადებული ფრინველების გამოსახულებით არის დამშვენებული. გარდა ამისა, აოკუმზე კანფეტები, სხვადასხვა ხილი და წვრილმანი საჩუქრები (ცვირსახოცი, ქისა და სხვ.) ჰკიდია. ასე მორთული ა-ოკუმი-ი მიცვალებულის ოჯახში ნათესავს ან ახლობელს მოაქვს და გარდაცვლილის ნიშანთან მდგარ მაგიდაზე დებს (ანთელავა, 2017: 446-447, Шиллинг, 1926: 74-75; Шиллинг, 1931: 76). ტერმინი ა-ოკუმი-ის აფხაზური ენით ახსნა ვერ ხერხდება. შესაძლოა, იგი კავშირში იყოს გუნდრუკის, საკმეველის აღმნიშვნელ მეგრულ ფორმასთან – „ოკუმაფუ“. ამ უკანასკნელის პარალელურად გამოიყენება სიტყვა „საკმელი“, საიდანაც მოდის აფხაზური „ა-საკუმალ“ – საკმეველი (ანთელავა, 2006: 111, ანთელავა, 2017: 877).

ა-ხანაფი-ი – მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული სიმბოლოა, რომელიც ორმოცზე ან უფრო ხშირად წლისთავზე გამართული დოდის (მარულის) ერთგვარ პრიზს წარმოადგენს. ახანაფი არის ოვალური ფორმის ხის კარკასი, მორთული ძაფზე ასხმული წაბლით, კაკლით, თხილით, კანფეტებით და თავზე წამოცმული ვაშლით. დოდის დროს ახანაფი უჭირავს ერთ მხედარს, რომელსაც დანარჩენები მისდევენ და ცდილობენ ხელში ჩაიგდონ იგი ან მორთულობის ნაწილი მაინც ააცალონ. როგორც ჩანს, ეს არის მაგიური

ხასიათის ქმედება, რომელიც, ძველი წარმოდგენების თანახმად, „მიცვალებულის ხის“ ან მისი ნაწილის მოპოვებით გარდაცვლილის გამანაყოფიერებელ ძალასთან ზიარებას ითვალისწინებს. (Шиллинг, 1926: 74-75; Шиллинг, 1931: 76).

თანამედროვე ყოფაში აფხაზებში სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით ეს ტერმინები თითქმის გამქრალია და მხოლოდ ასჩამაკა ფიგურირებს, რომელიც ჩვეულებრივმა სანთელმა შეცვალა (Зельницкая, Ботяков, (2009). Современная поминальная обрядность у абхазов, https://lib.kunstkamera.ru/files/lib/978-5-88431-211-1/978-5-88431-211-1_03.pdf?fbclid=IwAR1w1RfGu4USdZTs8HoGQRb8WW2pGZHJ3tDcubYjyyDLW80OjBFyMm9Y9I ; Зельницкая, (2013). Влияние трансформации Абхазского общества в XX в. на изменения в похоронно-поминальной обрядности в современной Абхазии. [file:///C:/Users/NINO/Downloads/42652121%20\(3\).pdf](file:///C:/Users/NINO/Downloads/42652121%20(3).pdf)).

მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული ეს სიმბოლო სხვადასხვა ტერმინებ-ით საქართველოს სხვა კუთხეებშიც დასტურდება:

სვანეთში ცალცალკე ამზადებდნენ გარდაცვლილი ქალებისა და კაცებისათვის სარიტუალო კელაპტრებს (აბაკელია, კვანტიძე, 2017: 16). ნინო აბაკელიას აზრით, ამ ნივთში შეიგნობა კელაპტარი, მეგრული კილანტარი და აფხაზური ა-კილანტარ, რომელსაც, როგორც რიტუალურ საგანს, დასავლეთ საქართველოს დაკრძალვისა და გლოვის წესებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა (აბაკელია, 2009: 31-41). ასევე, სვანეთში წერილობითი წყაროებით დასტურდება კამარაი (თალი) - მიცვა-ლებულის კულტთან დაკავშირებული სვანური სიმბოლო - ხის პატარა ბოძის ზედა ნაწილზე ვერტიკალურად დამაგრებული რკალისებურად მოღუნული მცენარის ტო-ტები, რომელზედაც ჩამოკიდებულია სხვადასხვა ხილი, მათ შორის კამარაის აუცი-ლებელი ატრიბუტი - ყურძენი, აგრეთვე ნაირფრად შეღებილი კვერცხები, ყველისგან დამზადებული მზის, მთვარისა და ფრინველთა ფიგურები, ყველისავე წნულები, პუ-რის თაველები და სხვ. კამარაის დგამენ მიცვალებულის წლისთავისადმი მიძღვნილ სუფრაზე. (წარსულში კამარაის დამზადება საადდგომო სუფრისთვისაც იცოდნენ). კურთხევის შემდეგ, კამარაის მორთულობას ქალები სუფრაზე ჩამოარიგებდნენ, ხო-ლო მის ხის კარკასს წვავდნენ. სვანური კამარაი წარმოადგენს მსოფლიო ხის ნაირსა-ხეობას, რომელიც პარალელს პოულობს სიცოცხლისა და სიუხვის ხის, როგორც საკუთრივ სვანური, ისე, ზოგადად, ქართული სიმბოლოების სახით (ონიანი (1980). *ძეგლის მეგობარი*. № 55, გვ. 31-34.). კამარაის პარალელურად ასევე ფიქსირდება ტერმინი **ჯიჯბახი** (აბაკელია, 2009: 35).

გურიაში კელაპტარს ნათლული და ნათესავები ამზადებდნენ, იღებდნენ ერთი მეტრის სიგრძის მკლავის სიმსხო ისლის ღერებს, შემოაკრავდნენ სანთელში ამოვლე-ბულ - გასანთლულ მიტკალს. ზოგჯერ კელაპტარს შანდალში ჩარგულს წაიღებდნენ, ეზოში შესვლისას აანთებდნენ და მიცვალებულს თავთან დაუდგამდნენ. გურიაში ფიქსირდება ქალიშვილის მიერ ოჯახში კელაპტრის მიტანა (ქაჯაია, 1980: 159-160). მი-ცვალებულის დატირების პატივისცემას ზარითა და კელაპტრების რაოდენობით გა-ნსაზღვრავდნენ ხოლმე. დიდ პატივისცემად ითვლებოდა სატირალში კელაპტრით მისვლა.

ჩვენი მოსაზრებით ძველად გარდა ნათელმირონით ნათესავისა კელაპტრის მო-ტანა შეეძლოთ ახლო ნათესავებსაც. ამას გვაფირებინებს ცნობა იმის შესახებ, რომ „შავე-ბში ჩაცმული ნათესავები მსვლელობებს აწყობდნენ შორეული სოფლებიდან. ძველად ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი თანხმლები ჰყოლოდათ, როგორც ცხენოსნები, ასევე ქვეითნიც. პროცესიას წინ მიუძღოდა შავი ნაჭრებით მორთული დიდი კელაპტარი, რომელსაც წესისამებრ ჭირისუფალ ქალს უნდა სჭეროდა (სახოკია, 1956: 124; აბაკელია, 1999: 310-317).

როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში მიცვალებულის წლისთავ-ზე ნიშნის დატირების შემდეგ იმართებოდა დოდი/მარულა. გამარჯვებული საჩუქ-რდებოდა (ოჩიაური, 1940: 71-78). სამეგრელოში ზემოთ ხსენებულ მარშრუტში „ჯინ-ჯი ხატის“ (ფუძის ხატის) ჩართვა და გარდაცვლილის ცხენის მონაწილეობა, ასევე, იმაზე მიგვანიშნებს, რომ მარშრუტი შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო. გამოკვლევის თანახმად, ზემოთ მოტანილი რიტუალი „ზღურბლის გადალახვის“ რიტუალი უნდა ყოფილიყო და მაჩვენებელი იმისა, რომ გარდაცვლილ სულს არა მარტო მეგობრები (ანუ გარდაცვლილ ახლობელთა სულები) მიაცილებდნენ, არამედ ცოცხლებიც. მარულას რიტუალი წლისთავზე (ან დაკრძალვის დღეს) ფაქტობრივად იმეორებს რწმენა-წარმოდგენებში დაცულ მარშრუტს და წარმოადგენს ახალ გარდაცვლილი სულის საიქიოში მოგზაურობის მარშრუტის ილუსტრაციას სააქაოში, ხოლო ცოცხლების მიერ გარდაცვლილთა ამგვარი „გაცილება“ უზრუნველყოფდა ამ უკანასკნელთა სულის მშვიდ დამკვიდრებას საიქიოში, წინაპართა საზოგადოებაში.

მარულას შემდეგ სამეგრელოში იმართებოდა მეორე სახის შეჯიბრი „ყაბახი“. ამი-სათვის ეზოში აირჩევდნენ ყველაზე მაღალ ხეს და მასზე მიამაგრებდნენ გრძელ ჯოხს, რომელსაც თავი ჰქონდა გაჩეხილი და ნიშნის ამოსაღებად შიგ ჩადებული იყო თეფში ან ფიცარი, ზოგან კი ჯოხზე მიცვალებულის ქისასაც ჩამოჰკიდებდნენ. ეს ხე ფორმა-ლურად და შინაარსობრივად ახდენს საკრალური სივრცის ორგანიზაციას. მეთოფე-ები იწყებდნენ ნიშანში სროლას. ვინც ნიშანს მოახვედრებდა მას ეძლეოდა საჩუქარი ფულით, საქონლით ან რაიმე ნივთით. ყაბახის გამართვის დროს მეთოფენი ესროდნენ „კელაპტრის“ ფრინველს და ვინც მას ჩამოაგდებდა საჩუქრდებოდა. ძველად კელაპ-ტარი შეჯიბრშიც გამოიყენებოდა, რომელშიც მიცვალებულის ცხენი ან თვითონ სუ-ლიც მონაწილეობდა.

აფხაზებში კელაპტარი მიცვალებულის ნიშანთანაც შეიძლება ყოფილიყო წარმო-დგენილი, ხოლო გალის რაიონში (სამეგრელოშიც) გასვენების დღეს სასაფლაოზე მიჰქონდათ და იქ ტოვებდნენ. კელაპტარი სასაფლაოზე იწვებოდა (აბაკელია 2009: 35). ნაშრომის მიზანია გალის რაიონის ეთნოგრაფიული ყოფის შესახებ ახალი ეთნო-გრაფიული მასალის ჩართვა სამეცნიერო მიმოქცევაში და შესაბამისი ანალიზის გაკე-თება. დამატებით წყაროდ გამოყენებულია საქართველოს სხვადასხვა კუთხის ეთნო-გრაფიული კვლევები, რომელიც კელაპტართან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების განზოგადების საშუალებას იძლევა.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ ხე თავისი მრავლისმომცველი ასპექტით, ქრი-სტიანული სარწმუნოების მიხედვით, საკმაოდ მყარადაა შემორჩენილი - ოღონდ, რა თქმა უნდა, საკულტო და საწესჩვეულებო რიტუალების სახით. აქვე უნდა აღნიშნოს, რომ უძველეს სალოცავებში ხის დარგვა და მისი მოვლა-გახარება უფრო მნიშვნელო-ვანი საკულტო რიტუალად იყო მიჩნეული, ვიდრე ცხოველის შეწირვა. საკულტო რი-ტუალების გარდა, ხის

თავყანისცემის გადმონაშთს ვხვდებით ყოფით ცხოვრებაშიც: იქნება ეს ავადმყოფის ტაბლაზე აღმართული „ბატონების ხე“ თუ მიცვალებულის სახელზე ჩამოქნილი „მეგრული კელაპტარი“. მიცვალებულისა და ხის მარადიული წრებრუნვის ანუ სულის „მოჩვენებითი უკვდავების“ ერთგვარი გამოხატულებაა - აფხაზეთში მიცვალებულის ხეზე გადგმა (ვახუშტი ბატონიშვილი, 1941: 172). ხის კუ-ლტის სხვადასხვა ინტერპრეტაციებს ვაწყდებით მეტნაკლებად საქართველოს თით-ქმის ყველა კუთხეში, რაც გვაფიქრებინებს, რომ ქართული წარმართული კულტურის არქექტიპების ბუნებრივი და უმტკივნეულო ჩანაცვლება მოხდა ქრისტიანულ ცნობი-ერებაში, რაც ამგვარი სახისმეტყველებითი ასპექტით გამოისახა უძველეს სასულიერო ძეგლებში.

ამრიგად, თანამედროვე გალის რაიონის ყოფაში მიცვალებულთან დაკავშირე-ბული კელაპტარი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფორმით გამოიყენებოდა. თანამე-დროვე ყოფაში მიუხედავად იმისა, რომ კელაპტარი მიცვალებულთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებში მონაწილეობს, მისი ფუნქციური დატვირთვა შესუსტებულია. კე-ლაპტარის თავზე აღარაა გამოსახული ფრინველი. ორმოცზე ან წლსთავზე დოღი/მა-რულა ან ყაბახი, სადაც უნდა მიეღო მონაწილეობა რიტუალურ სამგლოვიარო საგანს კელაპტარს, არ სრულდება. დღეს კელაპტარი დიდი ზომის ცვილის სანთელია, რომე-ლსაც შემოხვეული აქვს შავი ფერის მიტკალი, რომელიც მზა სახითაც იყიდება როგორც საეკლესიო მაღაზიებში ასევე ბაზრობებზე. იგი აუცილებლად სულიერ ნათესავს - ნათლულს მიაქვს გარდაცვლილის სახელზე, რომელიც მთელი დღის განმავლობაში მიცვალებულის თავთან მდგარ მაგიდაზე დევს და ანთია. დასაფლავების შემდეგ სასაფლაოზე ანთებულს ტოვებენ. ზემოთმოტანილი მასალის ამ მოკლე მიმოხილვი-დანაც ჩანს, რომ მიუხედავად დროთა განმავლობაში მომხდარი ცვლილებებისა, რაც რიგ შემთხვევაში აძნელებს ზოგიერთი წეს-ჩვეულების თავდაპირველი შინაარსისა და მნიშვნელობის ამოცნობას, მაინც დაცული ჩანს კელაპტარის, როგორც სამგლოვიარო რიტუალური საგნის მნიშვნელობა.

გამოყენებული ლიტერატურა და ბიბლიოგრაფია:

აბაკელია, ნ. (1999). დაკრძალვისა და გლოვის წესები სამეგრელოში (კოლხეთი, ოდი-ში). არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, ისტორიის, ხუროთმოძღვრებისა და ეთნო-ლოგიის ნარკვევები. თბილისი-ზუგდიდი.

აბაკელია, ნ. (2004). ცხენის სიმბოლიკისათვის კოლხურ მითო-რიტუალურ სისტემაში. კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული. ტ XI. თბილისი.

აბაკელია, ნ. (2007). ციკლური სიმბოლიზმი დაკრძალვისა და გლოვის წესებში დასავლურ ქართულ ტრადიციაში. ქუთაისი.

აბაკელია, ნ. (2009). საკრალური ხე და მისი ალომორფული ვარიაციები. დაკრძალვი-სა და გლოვის წესები საქართველოში. კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული. XIII. თბილისი.

აბაკელა, ნ., კვანტიძე, გ. (2017). სარიტუალო სამოსის მნიშვნელობა სვანურ გლოვასა და დაკრძალვის წესებში. კრებული: წელიწდეული. IX. ქუთაისი.

ანთელავა, ნ. (2006). აფხაზური მითები, რიტუალები, სიმბოლოები. თბილისი.

ანთელავა, ნ. (2017). კავკასიის ხალხთა მითები და რიტუალები. თბილისი.

ასედ???

ბარდაველიძე, ვ. (2006). ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაზარ). თბილისი.

გვანცელაძე, თ. (1997). ქართველური სუბსტრატის საკითხისათვის აფხაზურ ენაში ქრისტიანული საკულტო ლექსიკის მიხედვით. ქართველური მემკვიდრეობა. ტ. I. ქუთაისი.

გვანცელაძე, თ. (2011). აფხაზური ენა, სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება. თბილისი.

ვახუშტი ბატონიშვილი (1941). აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბილისი.

მაკალათია, ს. (1941). სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბილისი.

მთაწმინდელი გიორგი (1946). ცხოვრება იოვანესუ და ეფვთმესი. თბილისი.

ონიანი, ჯ. (1980). კამარაი. *ძეგლის მეგობარი*. № 55. თბილისი.

ოჩიაური, ალ. (1940). მიცვალებულის კულტი რომკასა და უკენახადუს თემებში. მსე. ტ.

3. თბილისი.

სახოკია, თ. (1956). ეთნოგრაფიული ნაწერები. თბილისი.

სასანთლე, (1991). სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. თბილისი.

ქაჯაია, ნ. (1980). მიცვალებულის კულტი გურიაში. მასალები გურიის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის. თბილისი.

ქაჯაია, ნ. (1985). მიცვალებულის კულტი ლეჩხუმში. კრებული: ლეჩხუმი. თბილისი.

Джанашвили, М. (1894). Абхазия и абхазцы. Записки Кавказского отдела имп. русского географического общества. Кн. 16.

Джанашия, Н. С. (1960). Статьи по этнографии Абхазии. Сухум.

Зельницкая, Р. Ш., Ботяков Ю. М. (2009). Современная поминальная обрядность у абхазов, https://lib.kunstkamera.ru/files/lib/978-5-88431-211-1/978-5-88431-211-1_03.pdf?fbclid=IwAR1w1RfGu4USdZTs8HoGQRb8WW2pGZHJ3tDcubYjyyDLW80OjBFyMm9Y9I

Зельницкая (Шларба), Р. Ш., (2013). Влияние трансформации Абхазского общества в XX в. на изменения в похоронно-поминальной обрядности в современной Абхазии. [file:///C:/Users/NINO/Downloads/42652121%20\(3\).pdf](file:///C:/Users/NINO/Downloads/42652121%20(3).pdf)

Инал-Ипа, Ш. Д. (1965). Абхазы. (историко-этнографические очерки). Сухум.

Каландаров, (1855). Похоронные обряды у гуртов. Кавказ, .

Маля, Э. М., (2003). Древо-свечи в погребальной обрядности абхазов. Кавказ: история, культура, традиции, языки. По материалам Международного научного Конференция, посвященная 75-летию Абхазского института Гуманитарные исследования им. А. Д. И. Гулиа. АНА 28-31 мая 2001 г. Сухум.

Шиллинг, Е. М. (1926). В Гудаутской Абхазии. Этнография. М.-Л., №1-2.

Шиллинг, Е. М. (1931). Абхазы. Религиозные верования народов СССР. т. II. М.-Л.

Candles in Georgian Ethnoculture
(Based on ethnographic materials obtained in Gali region)

Summary

The basis of the report is scientific literature along with ethnographic materials obtained in Gali region. It focuses on the changes in the dead-related customs influenced by cultural circumstances at the different stages of historical development. In particular, there are issues about the cult of the dead described and discussed in the present-day Gali region.

A large candle – **Kilantari/Kelantari** is often identified in the dead-related customs in Gali region. **Kelantari** is a big wax candle in Mingrelian. This word was established in the Abkhazian language from Mingrelian. The term “a-kialantar” is derived from the Mingrelian word “Kilantar”, which means a large candle in Georgian.

In daily life, the **Kilantari/Kelantari**, or a large candle is decorated with a black ribbon and a godchild brings it to a godparent at the funeral. A lit candle is placed beside the head of a dead person during a funeral day and left lit on the grave after the burial.

A branchy candle with a bird (often in size of a tree) associated with the dead-related customs was known as “Kilantari”. At the funeral, a godparent or a godchild of a late person used to bring a huge candle – Kilantari, which had special importance as a ritual object during burial and mourning traditions. It was a handmade wax candle wrapped in black clothes.

According to the respondents, a big candle brought by the godchild was used to light the path to the late person while passing through the bridge of fur and help to overcome obstacles. In Gali region, it was obligatory only for the godchild to bring a candle to a godparent, while in other regions of Georgia, a married daughter from the family or a godchild had to bring the candle to the mourning family.

In old times, the parents of the dead person used to make a huge candle from a poplar tree (other trees were also possible except oak). The candle must have been as long as possible. This tree was covered with black and white waxed calico and on the top of the tree, there was placed a statue of a duck-like bird curved from wood, which was brought at the burial day, the 40th or anniversary day. The huge candle was surrounded by small lit candles. It was placed in the yard and fixed in one place. It is noteworthy, that the family had to slaughter a duck for a special food (Sakurtkhi) prepared for the dead soul. This fact is still identified by ethnographic materials in present-day Gali, however, some researchers consider it as a bird of life and a lit candle with a bird on its top as a local variation of a “tree of life”. In the decorations of Abkhazian A-kiliantar and Mingrelian Kilantari, there is a “bird in the tree” (a bird in a cosmic tree represents a soul of an ancestor) well-known in mythology and folklore, which is a symbol of the dead soul. Based on the beliefs of the locals, this bird is a pigeon.

A-kiliantar in Abkhazian associated with the cult of the dead, represents the Tree of the Dead, which is a one-meter-long wax candle with branches. Its axis is painted spirally in red and wrapped with a white ribbon at the stand. A bird made of wax is placed on the top of the candle. Abkhazians used to make this type of candle for the 40th or anniversary day.

Thus, the article refers to a big candle related to the dead associated customs in the present-day Gali region, which was used in various forms at different times. Some researchers call it a tree of the dead, however, present-day it is a big wax candle decorated with a black ribbon.

The paper aims new ethnographic materials about Gali ethnographic life to be involved in scientific usage and conduct relevant analysis. The additional source is ethnographic studies of different regions of Georgia, which allows us to generalize customs related to a large candle.

საბჭოთა ანტირელიგიური პროპაგანდის ასახვა ქართულ ხალხურ პოეზიაში

„ვერვის ხელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად“.
(მათ. 6:24)

რელიგიასთან მიმართებაში ბოლშევიზმი მეტად აგრესიული პოლიტიკის გზას დაადგა. თავისი ათეისტური პროპაგანდის დაანონსება ვლ. ლენინმა რევოლუციამდე ბევრად ადრე დაიწყო, ჯერ კიდევ 1905 და 1909 წლებში, როცა რელიგიისადმი სოციალიზმისა და მუშათა პარტიის დამოკიდებულებას განიხილავდა და პირველი ნიადაგი ფრთხილად მოსინჯა რუს ხალხში: *„ყველა სრულიად თავისუფალი უნდა იყოს, იწამოს რომელი რელიგიაც უნდა, ან არავითარი რელიგია არ იწამოს, ე. ი. იყოს ათეისტი, როგორც ჩვეულებრივ არის ხოლმე ყოველი სოციალისტი. სრულიად დაუშვებელია მოქალაქეთა რაიმე უფლებრივი განსხვავება მათი სხვადასხვა რელიგიური რწმენის გამო“* (ლენინი, 1980: 5). პარალელურად, განაგრცობდა რა მარქსის ცნობილ გამონათქვამს - *„რელიგია ხალხის ოპიუმია“* - სულაც არ მალავდა, რომ რწმენა და რელიგია ჩამორჩენილობად და განუვითარებლობად ითარგმნებოდა ბოლშევიკების მიერ და არც აპირებდა მასთან კომპრომისს: *„ჩვენი პარტია (რსდმპ) მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის შეგნებულ, მოწინავე მებრძოლთა კავშირია. ასეთი კავშირი არ შეიძლება გულგრილად უყურებდეს და არც უნდა უყურებდეს გულგრილად შეუგნებლობას, უმეცრებას ან ბნელეთის მოციქულობას რელიგიურ რწმენათა სახით“* (ლენინი, 1980: 8).

რამდენიმე წელიწადში ეს სიტყვები რუსეთის ყველა მოქალაქეს პირდაპირი მნიშვნელობით შეეხება, როცა ლენინის რევოლუციამდელი მოსაზრებები საბჭოთა რუსეთში 1918 წლის 23 იანვარს გამოცემული დეკრეტით დაკანონდება: რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია გამოეყო საბჭოთა სახელმწიფოს, ხოლო სკოლა - ეკლესიას. მაგრამ დეკრეტის მიღმა იგულისხმებოდა საჯარო სივრცის სრული დესაკრალიზაცია და სეკულარიზაცია, აიკრძალა ჯვრისწერა და დაკანონდა სამოქალაქო ქორწინება, დაუშვებელი გახდა წესის აგება მიცვალებულისთვის, გაიძარცვა და დაიხურა ეკლესიები. სამხედრო კომუნიზმის პერიოდში სასულიერო პირების იძულებით სამუშაოზე გაყვანაც ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ლენინის სიტყვები - *„რელიგია კერძო საქმედ უნდა გამოცხადდეს“* (ლენინი, 1980: 5) - სრულად შესრულდა: რელიგია არა მხოლოდ სახელმწიფოსგან გამოიყო, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრებიდანაც სრულად განიღვენა და კერძო, პრივატული სივრცის ნაწილად გადაიქცა, რამაც მის გახალხურებას, ფოლკლორიზაციას შეუწყო ხელი. ტრადიციული რწმენა აღარ იყო კულტურული იდენტობის ნიშანი; სამღვდელოება პარტიულმა, სახელდახელოდ შექმნილმა *„ინტელიგენციის“* ფენამ ჩაანაცვლა, ღვთისმსახურება - პროპაგანდამ, სამოთხე - აღთქმულმა კომუნიზმმა, მრევლი - პროლეტარიატმა, ღმერთი - ბელადმა; სკოლებში საღვთო რჯულის ნაცვლად სოციალიზმის სწავლება შემოიღეს; თავყრილობების ადგილი ტაძრის ნაცვლად კლუბ-ბიბლიოთეკა ან კოლმეურნეობა გახდა. ხალხის სალაპარაკო თემა - სოციალისტური

აღმშენებლობა, კოლექტივიზაცია და ინდუსტრიალიზაცია. ხალხური ლექსიც ძალზე მარტივად, ფორმულასავით გამოთქვამს ეპოქის იდეოლოგიას:

*რას მიქვია ეკლესია, რას მიქვია წირვა,
გაუმარჯოს ჩვენ კოლექტივს, მძიმე ინდუსტრიას.⁷⁶*
(ლენინი და სტალინი, 1939: 142)

1918-1921 წლების სამოქალაქო ომის პერიოდში ბოლშევიკებს მორწმუნე მრევლის მხარდაჭერაც სჭირდებოდათ, ამიტომ რადიკალურ ფორმებს არ იღებდა ეკლესიასთან და სამღვდელოებასთან ბრძოლა. განსაკუთრებით მძიმე ფორმები ამ პროცესმა 1922 წლიდან მიიღო, როდესაც სამოქალაქო ომის შედეგად დასუსტებული რუსეთის ეკონომიკა უკიდურეს კრიზისს განიცდიდა, რუსეთის ქალაქებში ხალხი პრაქტიკულად შიმშილით იხოცებოდა. ბოლშევიკებს კარგად ესმოდათ, რომ სამყაროზე წარმოდგენები ხშირ შემთხვევაში განპირობებულია მედიით. მედიას შეუძლია ადამიანის ხედვის შეცვლა, რადგან ის ენდობა მედიას. ამ პერიოდის გაზეთებში კი ადამიანები უმთავრესად შიმშილსა და ნეკროფაგიის შემთხვევებზე კითხულობდნენ: „*რუსეთში ამ ჟამათ საშინელი სიმშლიობა მძვინვარებს, დამშეული ხალხი აღარ ერიდება დამპალი მძორის ჭამას, მაგრამ იმასაც ვერ შოულობს. იყო მაგალითები მიცვალებულის ხორცის ჭამის. თვითელი ჩვენთაგანი მოვალეა დაეხმაროს დამშეულ კუთხეს*“ (გაზეთი *მიწის მუშა*. (1922). N12); პარტიული პრესა ხშირად იუწყებოდა, რომ შიმშილისგან საქართველოშიც არაერთი ადამიანი დაიღუპა: „*სიმშლი ჩვენში თანდათან ძლიერდება და ფართო ხასიათს ღებულობს. იყო რამდენიმე შემთხვევა სიმშლით სიკვდილისა, როგორც ამის შესახებ იტყობინებთან ბორჯომიდან, შორაპნიდან და სხვ.*“ (გაზეთი *მიწის მუშა*. (1922). N17); რომ მომრავლდა სხვადასხვა ინფექცია და ა.შ.

თითქოს ამ კრიზისისგან თავის დასაღწევად, ლევ ტროტსკის ინიციატივით, 1922 წლის 23 თებერვალს გამოიცა დეკრეტი საეკლესიო ქონების ამოღების შესახებ (Декрет ВЦИК, 1922, <https://docs.historyrussia.org/ru/nodes/111420-dekret-vtsik-o-poryadke-izyatiya-tserkovnyh-tsennostey-nahodyaschihsya-v-polzovanii-grupp-veruyuschih-23-fevralya-1922-g#mode/inspect/page/2/zoom/4>). დეკრეტის თანახმად, ეკლესიის საცავებში შენახული ძვირფასეულობა მშვიერი ხალხის გამოკვებას უნდა მოხმარებოდა, რითიც საკუთარი ეკონომიკური პოლიტიკის კრახის გადაფარვას ცდილობდნენ ბოლშევიკები. ამ დეკრეტის ნამდვილ მოტივად ისტორიკოსები ხშირად სამხედრო-პოლიტიკურ მიზეზებს ასახელებენ (ვაჩნაძე და გურული, 2008: 37), მაგრამ სახელისუფლო პროპაგანდა წინასწარ, დეკრეტის გამოსვლამდე ამზადებდა მოსახლეობას და ნერგავდა აზრს, თითქოს შიმშილის დამარცხების ერთადერთი გამოსავალი საეკლესიო განძეულობის გაყიდვა იყო.

შიმშილი და სიმამღრე. 1922 წლის დასაწყისის პროპაგანდისტულ ნარატივში ერთმანეთთანაა დაპირისპირებული ხალხის შიმშილი და მღვდლების სიმამღრე. კარიკატურებსა და სამთავრობო პოსტერებზე მღვდლები მეფის რუსეთის ერთ-ერთ დასაყრდენად არიან წარმოდგენილი ბურჟუაზიასა და კულაკებთან ერთად. ხაზგასმულია

⁷⁶ ნაშრომში გამოყენებული ყველა ხალხური ლექსი ჩაწერილია შვიდი ან რვა მარცვლიანი სტრიქონით. ჩვენ გავაერთიანეთ სტრიქონები და ვბეჭდავთ 14 ან 16-მარცვლიანი სტრიქონით.

მათი გადაჭარბებული სიმსუქნე, ლაჟღაჟა ლოყები, ხარბი თვალეები, ასევე ვერცხლისმოყვარეობა, მექალთანეობა და მათ მიერ ეკლესიების ძარცვა.

ხელისუფლებას დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებია; ოდიოზურად წარმოჩენილი სასულიერო პირები მალევე გაჩნდა ხალხურ პოეზიაშიც. განსაკუთრებით თვალშისაცემია მღვდლების სიხარბე და გემოთმოყვარეობა, რაც მათთვის ღვთისმსახურებაზე მნიშვნელოვანია:

*ჩვენი მღვდელი სულის მტერი, სუსუნაკი, ტაბლის მტერი,
სანამ კორკოტს აკურთხებდა, ცხრაჯერ მიატანა ხელი.*

*

*რუისში ერთი მღვდელია, ბებერ თხას უგავს წვერია,
ბევრი შილაფლავი სჭამა, ამოიზუნზლა წვერია.*

*

*მეწულოვი, ჩვენი მღვდელი, ტანში არის ცოტა სქელი,
სანამ ტაბლას აკურთხებდა ცხრაჯერ მიატანა ხელი.*

*

*მღვდელი იმას არ დაემებს, რაც ქალაღდშია სწერია,
თვალი უფრო იქითკენ აქვს - რომელ პურშია ყველია.*

(ლომთათიძე, 1928: 23-26).⁷⁷

შეჭამა სოფელი მღვდელმა, როგორც საქონელი მგელმა

გადმოდგება და ქადაგებს - გეიგონე ჩემმა მრევლმა:

გადიდი და ონჯოხეთი,⁷⁸ მოახლოვდა ჯოჯოხეთი;

ვისაც გაქვს ფული - მომეცი, რომ გიწირო თითოს ერთი.

მუშას ლობიო აჭამეთ, მღვდელს მთართვი მშრალად ბეჭი,

ზედ შავი ღვინო ჩარეჭი, მღვდელმა გადაშალა მკერდი.

(ლმა, 20007-ხ, გვ. 1).

წახალისებული იყო სასულიერო პირების მორალური, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, მათი გამასხარავება და ცილისწამება; სიძულვილის პარტიულმა ენამ ხალხურ პოეზიაშიც შეაღწია და ისე დაკანონდა, რომ საბჭოთა ფოლკლორის ერთ-ერთ მთავარ ნიშნად იქცა.

ვახ, დელია დელია! ეს ბოსლეველი ღვდელია.

ბებერ თხას უგავს წვერია,

დაეხეტება ტაბლებზე, სადაც სუქანი წვერია,

ისე შეჭამა ტაბლები, სულ მოითხუპნა წვერია.

⁷⁷ გ. ლომთათიძის კრებულში ერთმანეთის მიყოლებით დაბეჭდილი ეს შარჟები ასევე ერთად მოხვდა ლიტერატურის მუზეუმის არქივის 1934 წლით დათარიღებულ ჩანაწერში, რომელიც არჩილ ახვლედიანს გაუგონია ლეჩხუმში (იხ. ლმა, 20007-ხ, გვ. 20). საარქივო ჩანაწერი, შესაძლოა, ლომთათიძის კრებულის გავლენით იყოს შექმნილი და გაგზავნილი გაზ. „კოლექტივიზაციისთვის“.

⁷⁸ გადიდი და ონჯოხეთი სოფლებია ვანის რაიონში. ჩამწერის კომენტარი.

*დიაკონი წერწეტა, ცემით მოსწყვიტა წელია,
ტარასტა კარში გამორბის, ვაი, შიში რა ძნელია!*
(გაზეთი კოლექტივიზაცია. (1934). N 241)

განსხვავებით საბჭოთა ფოლკლორის ნიმუშთა უმრავლესობისგან, ეს ლექსი გახალხურებულია, რადგან მისი ვარიანტი მრავლად გვხვდება, ხშირად მხოლოდ სოფლის სახელია შეცვლილი (რაც ვარიანტის ჩაწერის ადგილის იდენტურია⁷⁹), ზოგჯერ თვით ბრალდება იცვლება, ტექსტის სტრუქტურა კი უცვლელია:

*დილიკოურის ღვდელია ციკანს მიუგავს წვერია,
ის ხომ იმას არ კითხულობს, რაც რომ ქაღალდში წერია.
დარი და გვალვა დაუდგეს, გათხელება წვერია,
ღმერთო, შენ ამოუწყვიტე, მინდორში ლურჯი ცხენია.*
(გაზეთი კოლექტივიზაცია. (1934). N 265)

მხოლოდ გაზეთში დაბეჭდილ ინფორმაციას, შესაძლოა, ვერ შეერყია ადამიანის ნდობა სულიერი მოძღვრის მიმართ. ყველა მღვდელი ხომ არ იქნებოდა სიხარბესა და მექალთანეობაში შემჩნეული? ამიტომ კომუნისტებს რაღაც ისეთი უნდა მოეფიქრებინათ, რაც ერთნაირად გავრცელდებოდა ყველა სასულიერო პირზე. სამღვდელოების ნამდვილი მარგინალიზაცია მათი „კლასობრივ მტრებთან“ მიზმიტ დაიწყო. მეფის ხელისუფლებასთან, როგორც აბსოლუტურ ბოროტებასთან, თავად-აზნაურების, მღვდლების, კულაკებისა და ვაჭართა კლასის, აგრეთვე მენშევიკების დაკავშირება კი ბოლშევიკებს მათი ლიკვიდაციის საკმარის საფუძველს აძლევდა, რადგან ისინი ხელს უშლიდნენ საზოგადოების განვითარებას, განათლებას, ებრძოდნენ სამართლიანობას, ეწეოდნენ შრომის ესპლოატაციას და მხოლოდ საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებაზე ფიქრობდნენ. პროლეტარიატმა მალე დაიჯერა „კლასობრივ მტერზე“ გამარჯვება:

*მაგონდება ძველათ, როცა ნიკოლოზი პატრონობდა,
ჩვენი შრომით შექმნილ დოვლათს მუქთახორა პატრონობდა.
ვაჭართა და ღვდელთა მიზანს ვერ უძლებდა ჩვენი ზურგი,
სისხლსა გვწოვდენ და კანონიც იყო ძმათა ჩვენთვის ურგი.*
(ლმა, 20008-ხ, გვ. 21).

კოლექტივი გაიშალა, გლეხი წელში აიშალა;
კულაკის და მღვდლების კერა ტივისავით დაიშალა.

(გაზეთი კოლექტივიზაცია. (1930). N 282).

*ამოწყვეტა ვის მიეცეს? - დიაკვანსა და ღვდელსაო!..
ჯერ ჭირნახული წამართვა, მერე აგროვებს ბზესაო.*
- *გებრალეობდეს ღარიბი, ღვდელი, რათ ართმევ ბევრსაო?*
- *მდიდარი კაცი მიჩივლებს, დამაგლეჯავენ წვერსაო,
მაგ შენი სიღარიბითა, ვერსად გაიგნებ გზებსაო,*

⁷⁹ გ. ლომთათიძეს მოჰყავს მისი ქოლოთური და ხაშურული ვარიანტებიც; მათ იმეორებს სოლ. ყუბანეიშვილიც.

*თუ წმინდა პურს არ ამირწყავ, რად დაგჯერდები ქერსაო?!
(ყუბანივილი, 1932: 31).*

უკანასკნელ, ქართულ ლექსში სასულიერო პირი გამოყვანილია ექსპლოატატორად, რომელიც არა მხოლოდ არაპროპორციული და შეუბრალებელია ღარიბთა მიმართ არამედ მის ამგვარ დამოკიდებულებას ღარიბი ფენის უუფლებობა და დაუცველობა განაპირობებს, განსხვავებით ძალაუფლების მქონე მდიდრისგან, რომელსაც შეუძლია მღვდელს სასამართლოში უჩივლოს. ხალხური ლექსი, ფაქტობრივად, საზოგადოებრივ იერარქიას წარმოგვიდგენს, სადაც ძალაუფლების სათავეში *ბურჟუაზია* დგას, რომელსაც ექვემდებარება როგორც *სასამართლო*, ისე *სამღვდელოება*. ლექსში სასულიერო პირი ინსტრუმენტიზებულია კლასობრივი ურთიერთობების გასაღვივებლად. მთქმელი ამხელს სამღვდელოებას, რომელიც ქონებრივი და უფლებრივი განსხვავების გამო ადამიანებს არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს, რითიც ქრისტეს მოძღვრებას ეწინააღმდეგება. ასეთ მღვდელს დავიწყებული აქვს უმადლესი სამსჯავრო და მსაჯული, ამიტომ, ბუნებრივია, რომ მას აქვს შიში ჩინოვნიკი მოსამართლის მიმართ, ვისაც შეუძლია „წვერის დაგლეჯით“ სამღვდელო პატივი ჩამოართვას.

მაგრამ კომპარტია ებრძოდა არა მხოლოდ სამღვდელოებას, როგორც კლასს, არამედ ებრძოდა ხალხის რწმენას და ამისთვის არ ერიდებოდა არც ღმერთის და არც წმინდანების შეურაცხყოფას. მაგალითად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამოცემა „მიწის მუშა“, რომელიც კვირაში ორჯერ გამოდიოდა და მთელი საქართველოს ტერიტორიაზე ვრცელდებოდა, ჯერ კიდევ დეკრეტის გამოსვლამდე, 1922 წლის 4 თებერვლის ნომერში, აქვეყნებს სტატიას სათაურით „როგორ ატყუებდა სამღვდელოება ხალხს?“. სტატია რუსეთში მრავალ მონასტერში შენახულ ე. წ. უხრწნელ, სასწაულმოქმედ წმინდანად შერაცხული პირების ნეშტს ეძღვნება. ავტორი მოგვითხრობს, რომ ადამიანები დადიოდნენ ამ ნეშტთან განკურნების რწმენით. „*კარგი დრო ჰქონდათ მათ! მარა, მობრუნდა იმათთვისაც გლახა წელიწადი! რუსეთში რევოლუცია მოხდა, ძველი წესები დაინგრა და ხალხი ახალ ცხოვრების შენებას შეუდგა. არც სამღვდელოებას შერჩა ძველი დრო. ხალხი დიდი ხანია ეჭვობდა იმ წმინდანების შესახებ, რომელიც ათასწაირად იყო შეფუთული და მას მხოლოდ შორი-ახლოდან თუ დაანახებდენ ვინმეს. მოინდომეს მათი გახსნა-ნახვა! ნახეს და რა გამოდგა! ყველა მაგალითის მოყვანა ძნელია, მარა ზოგიერთი ძლიერ საგულისხმოა. ყოველ შემთხვევაში არსად არც ერთი მართლა გაუხრწნელი ნეშტი არ აღმოჩენილა“.* შემდეგ ჩამოთვლილია სხვადასხვა წმინდანის სამარხები, სადაც ზოგან ან არაფერი, ან აგურის ნატეხები და ნახშირი, ან ბამბით და ბზით გატენილი ტომარაა აღმოჩენილი: „*ალექსანდრე სვირელის ნეშტი გამოდგა სანთლისგან გაკეთებული, არც ხორცი, არც ძვალი, არც ტყავი - იმას არ ჰქონია... ასე იყო რუსეთში, ასეა ჩვენშიც, ოღონდ ეს იქ გამოჩნდა, აქ კი ჯერ დაფარული და დამალულია“* (გაზეთი *მიწის მუშა*. (1922). N 10).

ქართველმა ბოლშევიკებმა მალე მიაღწიეს, რომ საქართველოშიც გაეთხარათ წმინდანთა სამარხები, როგორც, მაგალითად, 1923 წლის 18 თებერვალს ქუთაისში შეკრიბეს დასავლეთ საქართველოს ყოველი სოფლიდან მორწმუნე ადამიანები და, მიუხედავად სასულიერო პირების წინააღმდეგობისა, მათ თვალწინ გახსნეს დავით და კონსტანტინე მოწამეთა სამარხები. პრესა იუწყებოდა, რომ ამაღლებულ ადგილზე გამოჩნდა ამხ. ვალია

ბახტაძე, ხელში „წმინდანის“ თავის ქალით, და მიმართა ხალხს, როგორ ატყუებდა და მარცვავდა გარყვნილი სამღვდელოება მათ წინაპრებს. „დამტვერილი და დაობებული“ ძვლები გადაუტანიათ ქუთაისში და ჩამოუტარებიათ ქალაქის ქუჩებში ყველას დასანახად. (გაზეთი *კომუნისტი*. (1923). N 42 და 45).

ქართველი წმინდანების სამარხების შემთხვევაში ვერ გაბედეს, თუმცა რუსეთში წმინდანების შემთხვევაში გაკვრით, სხვათა შორის მინიმუმბულია, რომ ზოგ სამარხში პოულობენ ქალის სამკაულებს, ერთგან ნახეს ქალის გულსაბნევი („ბროშკა“), რომელზედაც ქალის სახელი „შურა“ იყო ამოტვიფრული (გაზეთი *მიწის მუშა*. (1922). N 10). არავინ იცის, მართლა პოულობდნენ თუ არა ბოლშევიკები რუს წმინდანთა სამარხებში ქალის სამკაულებს (ქართველ წმინდანებთან დაკავშირებით ასეთ ინფორმაციას ვერ შევხვდით), მაგრამ პრესის ფურცლებით გავრცელებული მსგავსი ცნობები პროპაგანდისტული ნარატივის არგუმენტაციისთვის გამოიყენებოდა ხალხზე ზემოქმედების მოსახდენად.

მექალთანეობა/მრუშობა. ბოლშევიკურ ხელისუფლებას არც კი დაუშვია ორი იდეოლოგიის - ქრისტიანული რელიგიის და კომპარტიის - თანაარსებობა საბჭოეთში; მრევლის გაპროლეტარების მიზნით პროპაგანდის ერთ-ერთი სტრატეგიული ნაბიჯი საკრალურ-ხელშეუხებელი სიწმინდეების გაუფასურება და სამღვდელოების რეპუტაციის შელახვა გახდება. მღვდელს, როგორც ქრისტიანული რელიგიის სახეს, სწორედ ის უნდა დაბრალდეს, რაც ქრისტიანობის პრინციპებს ეწინააღმდეგება. მხოლოდ მუცელდმერთობა არ კმაროდა სამღვდელოების ავტორიტეტის დასასუსტებლად, მას მრუშობის ცოდვაც უნდა დამატებოდა მეტი დამაჯერებლობისათვის. ბოლშევიკური ლოგიკით, მრევლი გაემიჯნება ეკლესიას და პარტიას მიემხრობა, თუ ცხადად დაინახავს სამღვდელოების შებღალულ მორალურ-ზნეობრივ სახეს.

ამას ემსახურებოდა პარტიული ფოლკლორისტების, - გიორგი ლომთათიძისა და სოლომონ ყუბანეიშვილის, - მიერ 1928 და 1932 წლებში გამოცემული კრებულები გამომცემელთა კომენტარებით. ავტორებს მოჰყავთ სხვადასხვა ნიმუში ხალხური სიტყვიერებიდან, რათა აჩვენონ, თუ როგორ ამასხარავენ უბრალო ხალხი სამღვდელოებას. აღნიშნულია ისიც, რომ გარკვეული ფუნქციები, რომლებიც ადრინდელ ჩანაწერებში საერო პირებს მიეწერებოდა, თანამედროვე ყოფაში მღვდლებზე გადავიდა (ყუბანეიშვილი, 1932, გვ. 3). ასეთია, მაგალითად, ზღაპრის საერთაშორისო საძიებლის ერთ-ერთი ყველაზე შემზარავი სიუჟეტური ტიპი - ATU 510B - როდესაც მეფე დედოფლის სიკვდილის შემდეგ გადაწყვეტს, ცოლად საკუთარი ქალიშვილი შეირთოს.⁸⁰ მეფის ნეგატიური ფუნქცია გადატანილია ქვრივ მღვდელზე, რომელიც საცოლედ ეძებს ვინმეს, ვისაც თავისი გარდაცვლილი ცოლის ქოშები მოერგება. ასეთი კი მხოლოდ მისივე ქალიშვილი აღმოჩნდება, რომლის ცოლად შერთვას დაუყოვნებლივ გადაწყვეტს მღვდელი. ქალიშვილი მოახერხებს მამისგან თავის დაიხსნას, ბატონის რძალი გახდება და შვილსაც გააჩენს, რომელსაც მღვდელი ყელს გამოსჭრის, ხოლო

⁸⁰ ამავე სიუჟეტურ ტიპს განეკუთვნება შარლ პეროს ზღაპარი „ვირის ტყავი“.

დანას საკუთარ ქალიშვილს ჩაუდებს, როგორც დანაშაულის ნივთმტკიცებას. მღვდლის ქალიშვილს ბატონი სახლიდან გააგდებს. (ყუბანიშვილი, 1932: 53-54).⁸¹

უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ XIX საუკუნის ფოლკლორულ ჩანაწერებში, კერძოდ, ნოველისტურ ზღაპრებსა და ანექდოტებში, ყველგან, სადაც ფიგურირებს მღვდელი, როგორც პერსონაჟი, ის უარყოფითი ფუნქციითაა წარმოდგენილი,⁸² რაც სავსებით ცხადჰყოფს, რომ ხალხისთვის უცხო არ ყოფილა სასულიერო პირთა უზნეობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ფოლკლორში არ გადავიდოდა. თუმცა თუ ადრინდელ პროზაულ ჩანაწერებში შიგადაშიგ გაივლებდნენ უზნეო, მექალთანე და ხარბი მღვდლები, XX საუკუნის 20-იანი წლებიდან ამორალურობა გახდება სამღვდელოების მთავარი მახასიათებელი და პროპაგანდის ძალით ეს იარლიყი გავრცელდება ყოველ მათგანზე. ხალხი კი, თავის მხრივ, რელიგიურ პირებს ხალხური შაირების და შარჟების ობიექტად აქცევს:

*აქეთ ნუში, იქით ნუში, შუაზე ფარდა ჩამოუშვი;
რაც რომ კარგი ქალებია, მღვდელ არტემთან გამოუშვი.*
(გაზეთი კოლექტივიზაცია. (1934). N 276).⁸³

*ლევანაშვილი ხუცესი: - მე როდის მეხუცებაო,
საყდარში აღარავინ დადის, ქალებს ელაქუცებაო.*

*

*წადი, იმ ხუცესს უთხარი: ჩემსას ნუ დაიარება,
არ მინდა იმისი ლოცვა, არც იმისი ზიარება.
ჩვენ რომ საყდარში გვგონია, ქალებში დაიარება.*

*

- ბერო, სული გირჩვენია, თუ ლამაზი ქალებიო?
- საიქიოს სული მინდა, აქ - ლამაზი ქალებიო
(ლმა 20007-ხ, გვ. 18-20)⁸⁴.

იუმორი, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, ფოლკლორული ჟანრებიდან ყველაზე ხშირად შაირებში და ანექდოტებში გვხვდება. მის სოციალურ და ფსიქოლოგიურ ფუნქციაზე აქ არ შევჩერდებით, მაგრამ როგორც კულტურული მოვლენა, შეიძლება ითქვას, ყველაზე დღემოკლე და შეზღუდულია, რადგან ყოველთვის კონკრეტული დრო და კონტექსტი განსაზღვრავს იმას, რაზეც ხალხს ეცინება, ხოლო

⁸¹ სოლომონ ყუბანიშვილი ტექსტს შემოკლებით ბეჭდავს და არ ასახელებს წყაროს, საიდანაც ეს ზღაპარი მის მიერ შედგენილ კრებულში მოხვდა, მისი პირადი არქივი კი, რომელიც კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება, ჯერჯერობით შეუსწავლელია და, შესაბამისად, მკვლევართათვის მიუწვდომელიც.

⁸² პეტრე უმიკაშვილის (1838-1904) არქივში არაერთი ზღაპარი და მახვილისტყვაობაა, სადაც მღვდლები უარყოფითი ფუნქციით გვხვდება. მაგ. „მღვდელი და მოჯამაგირე“, „მღვდელი და მოჯამაგირე კოპალე“, „აღდგომა აღარ იქნებაო“, „ზოგჯერ ეშმაკსაც უნდა დაუჯეროვო“ და სხვ. (უმიკაშვილი, 1964).

⁸³ გაგონილი გურიაში, ჩაიწერა პ. ზამბახიძემ.

⁸⁴ ეს ტექსტები, რომელთა საარქივო პასპორტში აღნიშნულია, რომ ლექსებში გაიგონა არჩილ ახვლედიანმა, პირველად დაიბეჭდა საქართველოს უღმრთოთა კავშირის მიერ გამოცემულ კრებულში „სამღვდელოება ქართულ ზეპირსიტყვიერებაში“ (ლომთათიძე, 1928: 17-19).

კონტექსტიდან მოგლეჯით ის აქტუალობას კარგავს. ამავდროულად, იუმორი შეიძლება იყოს ერთ-ერთი საუკეთესო და ყველაზე უტყუარი საშუალებაც ამა თუ იმ პოლიტიკურ-სოციალური და კულტურული კონტექსტის გასაგებად. ადამიანში სიცილის ემოციის გამოწვევა ხელოვნების ერთ-ერთი ძნელად მისაღწევი ამოცანაა და ამიტომაც ყველაზე იშვიათი. სხვადასხვა ეპოქაში კომედიური ჟანრის ნაწარმოებები ყველაზე სერიოზული და საჭირბოროტო თემების დასამუშავებლად გამოიყენებოდა. მაგრამ ტოტალიტარული სახელმწიფო თვითონ წყვეტს, რაზე უნდა გაიცინოს ხალხმა, ფაქტობრივად, აკონტროლებს ისეთ ბუნებრივ ადამიანურ რეაქციას, როგორცაა სიცილი. სწორედ ამიტომ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უშიშროების არქივში ორმოცამდე საქმეს ვხვდებით, სადაც ადამიანებს ანტისაბჭოთა და/ან კონტრრევოლუციური ანეკდოტების მოყოლა ედება ბრალად. როგორც წესი, ეს ანეკდოტები მოწმეების დაკითხვებიდან ხდება ცნობილი. უფრო ხშირად კი მოწმეები ერიდებიან ანეკდოტის მოყოლას სასამართლოს წინაშე და უბრალოდ ფაქტს ადასტურებენ. მათ შორის არის ერთი ანეკდოტი კომუნისტისა და მღვდლის შეკამათებაზე: *ერთხელ შეკამათდნენ კომუნისტი და მღვდელი. კომუნისტი ამტკიცებდა, რომ ადამიანი წარმოიშვა მაიმუნისგან, ხოლო მღვდელი ამტკიცებდა, რომ ადამიანი ღმერთმა შექმნა და თქვენ, კომუნისტები კი მაიმუნისგან ხართ წარმოშობილებიო* (შსსუა, N. 45287, გვ.109-110). ამ ანეკდოტის მოყოლისთვის 119-ე პოლკის მსროლელ ვასილ თედორეს ძე ჩერნოვს (დაბ. 1894 წ.) 10 წლით მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა. ეს ანეკდოტი, რომელზეც დღეს შეიძლება არც გაგვეცინოს, მაშინ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა საზოგადოებისთვის მავნებელ საფრთხედ მიიჩნია და გასაგებია რატომაც: მასში დაფიქსირებულია ორი ურთიერთსაპირისპირო აზრი ადამიანის წარმოშობის შესახებ - სამეცნიერო და რელიგიური, კომპარტიის ექსკლუზივისტური მეტანარატივი კი გამორიცხავდა საბჭოეთში ნებისმიერი არამეცნიერული, ან ალტერნატიული აზრის, ამ შემთხვევაში - რელიგიური აზრის გავრცელებას. ცხადია, მღვდლის ენამოსწრებული ხუმრობაც მაინცდამაინც სასიამოვნო არ იქნებოდა კომუნისტებისთვის.

ხალხურ იუმორს საზოგადოების გამაერთიანებლის ფუნქცია აქვს, მაგრამ როცა მოვლენა თავისთავად სასაცილო არ არის, მეტიც, ტრაგიკულია, მოქმელი უხეშ სკაბრეზულ ფორმას მიმართავს და ამგვარად შეეცდება სიცილის გამოწვევას ხალხში:

*ქმრიან ქალებს ებნება: დეილოცა თქვენი ბედი,
ანაფორას იკაპიწებს - დამეჭედეთ აბა ერთი.
ქალი სუსტი არსებისა, აღარ იცის ამის მეტი
ჩამოუჩოქა ხუცესმა, დეივიწყა ზევით ღმერთი.
წამოესწრო ჩავიძე, რაცხას კაცი ჩავიქრდეს.
მღვდელმა ესროლა პორტმანი - თუ გამამხილე, მომკალი.*

(ლმა, 20007-ბ, გვ. 1-3).⁸⁵

⁸⁵ ნათქვამი ბ. გიორგაძის, ჩაწერა ჩუბინიძემ (ვანი).

თუ დავაკვირდებით ამ საარქივო ჩანაწერს, რომელსაც დღის შუქი არასდროს უნახავს, დავინახავთ არა მხოლოდ მღვდლის გარყვნილებას, რომელმაც ღმერთი დაივიწყა და ქმრიან ქალებს ეარშიყება, შემდეგ კი ცდილობს, მოქრთამვით დაფაროს თავისი დანაშაული, დავინახავთ სიძულვილის ენას ქალთა მიმართ, რადგან ლექსში განზოგადებულია ქალური არსების სისუსტე და დავინახავთ საზოგადოებასაც, ვინმე ჩაფიძის სახით, რომელიც შესაძლებელია მოისყიდო, ოღონდ შენი დანაშაული არ გაამხილოს და ასე გადაფარო ყველა უზნეობა. და ამ რამდენიმე სტრიქონში გადმოცემულ დანაშაულთაგან (მღვდლის გარყვნილება, ქალის მრუშობა, კორუფცია) ყველაზე ტრაგიკული მაინც ადამიანების გაყიდული ხმაა, მოსყიდული დუმილი. კოლექტიურ ჩაფიძეს შეუძლია ქრთამის სანაცვლოდ პირში წყალი ჩაიგუბოს და გაჩუმდეს, თვალის დაიბრმავოს და ყურის დაიხშოს, მით უმეტეს, რომ მოგვიანებით ბოლშევიკები ამ დუმილისთვის ფულს კი აღარ შესთავაზებენ, არამედ დუმილი ადამიანების თვითგადარჩენის ერთადერთი საშუალება გახდება.

ვერცხლისმოყვარეობა. 1922 წლის დეკრეტი დიდ წინააღმდეგობას გამოიწვევს როგორც სამღვდლო, ისე მორწმუნე საზოგადოებაში. რუსეთში მას არაერთი აჯანყება მოჰყვება და მრავალ სიცოცხლეს შეიწირავს. ადამიანები გააპროტესტებენ საკულტო სიწმინდეების ხელყოფას, მათ საბაზრო საქონლად გადაქცევას.

ბოლშევიკები სათავისოდ გამოიყენებენ მღვდლების წინააღმდეგობას, მათ „ხალხის მტრებად“ შერაცხავენ იმის ხაზგასმით, რომ მათთვის საეკლესიო განძეულობა უფრო ძვირფასი იყო, ვიდრე მოშიშშილე თანამემამულეების სიცოცხლე:

„ეკლესიებში უზღვავი სიმდიდრეა დაგროვებული. ეს იმ სულის ცხონების მსურველ მუქთა ხორა მდიდრებისაგან შეწირული ქონებაა, რომელიც მუდამ მშრომელ ხალხს აჯდა კისერზე. გადაწყვეტილია იმ ოქრო-ვერცხლისა და თვალ-მარგალიტის გამორთმევა, რომელიც ბლომათ მოიპოვება ეკლესიებში.

ზოგან სამღვდლოება მაინცა და მაინც არ უარობს, ზოგან ძლიერ ჯიუტობს და ნებაყოფლობით არაფერს იძლევა, მარა მათ მსუნაგ მუცლის გაძლომა რომ შეუძლებელია, ეს ვინ არ იცის. ამიტომ ახლა, რუსეთში ზოგან ნებით და ზოგან - ძალით ეკლესიების სიმდიდრეს აგროვებენ, რათა ის გაჰყიდონ და ამ ფულით დამშეულებისათვის პური შეიძინონ. ეკლესიების სარდაფებში სიმდიდრის დაგროვებას რომ მშვიერი ხალხის სიკვდილისგან გადარჩენა აჯობებს, ეს დასამტკიცებელი არავისთვის არ უნდა იყოს (გაზეთი მიწის მუშა. (1922). N 20).

„მიწის მუშა“, როგორც ყველა საბჭოური გაზეთი, პერმანენტულად აქვეყნებდა ანტირელიგიური პროპაგანდის შემცველ სტატიებს; მისი რიტორიკა დღითიდღე უფრო მკაცრი და შეურიგებელი ჩანდა; საზოგადოებას კაცთმოყვარეობისა და თანაგრძნობისკენ მოუწოდებდა; პარალელურად მოჰყავდა ცნობები რუსეთის ეკლესიებიდან, რომ თითქოს მრევლი უმეტესად მშვიდობიანად შეხვდა ეკლესიის სარდაფებიდან ოქრო-ვერცხლის გამოტანას და გაყიდვას მშვიერი მოსახლეობის დასაპურებლად; რომ ვერაფრით დაათმობინეს ეკლესიის ქონება თვალ-მარგალიტით შემკულ ანაფორიან ხუცებს, მიუხედავად იმისა, რომ ხალხს ისე შია, ადამიანის ხორცს ჭამს. სტატიები ეკლესიის დასუსტებას და მისი ერთიანობის (ღმერთი, სამღვდლოება, მრევლი) დარღვევას ემსახურებოდა, ამიტომ ხშირად სწორედ ამ

ერთიანობის შემაღენელ-შემქმნელებია ერთმანეთთან შეპირისპირებული, მაგ., „მშვიერი ხალხი და ქრისტეს მოყვარე სამღვდელოება“; რომ მღვდელმთავრები საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებისთვის სასიკვდილოდაც სწირავდნენ მრევლს:

რუსეთის პატრიარქმა ტიხონმა გამოსცა ბრძანება და თავის სამწყსოს შეუთვალა თავი შეაკალით და ნურაფერს დაანებებთ მთავრობასო. შეიქნა მთელ რუსეთში ეკლესიის საკურთხეველიდან ქადაგება. ხუცები, რომლებიც მთელი საუკუნოებით ლოცვა-კურთხევას უგზავნიდნენ და ღმერთს ავედრებდნენ თვითმპყრობელ ჯალათებს, წყევლა-კრულვას ანთხევდნენ მუშათა და გლეხთა მთავრობის წინააღმდეგ. რატომ? - იმიტომ, რომ ამ მთავრობამ გაბედა და ხელი შეახო ეკლესია-მონასტრებში დამარხულ განძს, რომ მისი განაღდებათ მშვიერი ხალხი სიკვდილიდან ეხსნა.... მუშები და გლეხები ხუცებისა და ბერების ამ ფარისევლურმა ქადაგებამ ვერ მიიმხრო, მარა იქ ორიოდ ბებრუცანა, გუშინდელი შავრაზმელები და ძველი მეფის მთავრობის ჩინოვნიკები ახმაურდნენ. მთავრობას ასეთი „მეამბოხეთა“ დაწყნარება არ გასჭირვებია. ეკლესიებსა და მონასტრებს ქონება მაინც ჩამოართვეს და დღეს იმის განაღდებათ აღებული ფულით რუსეთში უკვე მოდის საზღვარგარეთ ნაყიდი სურსათი დამშეულთა დასაპურებლად (გაზეთი მიწის მუშა. (1922). N 29).

და თუკი სამღვდელოება საეკლესიო საგანძურის დაცვას, გადამალვას ან საზღვარგარეთ გატანას შეეცდებოდა (რისი არაერთი დადასტურებული ფაქტი არსებობს), ამას სახელმწიფო ქონების მითვისებად და მიტაცებად უთვლიდა მთავრობა. სახელმწიფო ქონების მიტაცებისთვის საბჭოეთში მკაცრად ისჯებოდნენ, განსაკუთრებით „ხალხის მტრები“, რომელთა მიმართ საყოველთაო ნულოვანი ტოლერანტობა გამოცხადდა. საბჭოთა ხელისუფლება მატერიალურად გადატაკებულ პროლეტარიატს თანდათან სულიერ ფასეულობებსაც გამოაცლის და ამ გზით დაიმსგავსებს მას როგორც სიძულვილის ენით, ისე გაუგონარი სისასტიკითაც მოყვასის მიმართ. „ხალხის მტრის“ იარლიყი, რომელიც სამღვდელოებას, მენშევიკებს და კულაკებს მიეკრო, ადამიანებს არა მხოლოდ ათავისუფლებდა ემპათიისგან, არამედ უკრძალავდა კიდევ ყოველგვარ სიბრაულს და თანაგრძნობას.

ქართულ ფოლკლორში არის ერთი ხალხური ლექსი ორ ვარიანტად, ერთ-ერთს თავისი ამბავიც ახლავს. ეს ამბავი მოგვითხრობს, რომ ყოფილა ერთი მათურის (უკანა ფშავი) ხევისბერი ფუნჩია ხუციშვილი. როგორც ჩანს, არეულობა რომ ატეხილა და ბოლშევიკები ეკლესია-მონასტრების საგანძურს დაესივნენ, ფუნჩიას ხატის კუთვნილი ოქრო-ვერცხლი, თასები და საკულტო საგნები გადაუმალავს. ეს ამბავი დუშეთის პოლიტსამმართველოს უფროსის - (მ)კერვალიშვილის ყურამდე მისულა და ხევისბერი თავისთან დაუბარებია (ქართული ხალხური პოეზია, 1980: 318). წარმოშობით ქიზიყელი მკერვალიშვილი⁸⁶ შეუდრეკელი და მეტად სასტიკი კაცი რომ ყოფილა, ამას გვაფიქრებინებს ხევისბერის შფოთვა

⁸⁶ მკერვალიშვილი (ზოგ ვარიანტში კერვალიშვილი) საბჭოთა პერიოდის რამდენიმე ლექსში გვხვდება. ყოველი მათგანი დუშეთშია ჩაწერილი.

(„ცხრუება“), რომელიც თავის გადასარჩენ პასუხს ვერ პოულობს („ვერ ვგონობ შასაქციელსა“), და ეს ლექსიც ავის მომასწავებელი წასვლის წინ უთქვამს:

*„მათურის ხევისბერმა თქვა: ცუდი დაგვიდგა დრუება,
გაგვიცვდა დასტურ-ხევისბრებს ხატში ქადების გრუება;
მიბარებს მკერვალიშვილი, დამაწყებინა ცხრუება,
ვერ ვგონობ შასაქციელსა, დავწვი ჩემ გადაყრუება“.*
(ქართული ხალხური პოეზია, 1980: 171).

ლექსის ვარიანტი 1935 წელს გამოცემულ კრებულში შევიდა სათაურით: „ხევისბერის ჩივილი“:

*მათურელ ხევისბერმა თქვა: კარგი გაგვიცვდა დრუება,
ხატში ყოფნა და სიმღერა, წილოებების გრუება.
მიბარებს მკერვალიშვილი, მუხლში მომვიდა ცხრუება,
რა უნდა უთხრა, არ ვიცი, არა მაქვს იმთვენ შნუება.*
(საუნჯე ხალხური შემოქმედებისა (1935). გაზეთი კოლექტივიზაცია. N. გვ. 123).

1922 წელს, როცა საბჭოთა ხელისუფლებამ მთელი ძალისხმევა ეკლესიის, როგორც სოციალიზმის მთავარი მტრის, წინააღმდეგ მიმართა, რადგან ქრისტიანული ეკლესია ინსტიტუციონალიზებული რელიგია იყო, ხოლო საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ტრადიციულ მითო-რიტუალურ სისტემებს, - როგორცაა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ჯვარ-ხატების საკულტო სისტემა, სვანეთის მითო-რიტუალური სისტემა, სხვადასხვა კუთხის რელიგიური ტრადიციები და რიტუალები - „რელიგიურ გადმონაშთები“ უწოდა და დიდ საფრთხედ არ მიიჩნია. ამ ხალხური რელიგიური სისტემების მიმართ რუსეთის იმპერია მეტ აგრესიას ავლენდა და მართლმადიდებლობის სახელით ებრძოდა მათ.⁸⁷ ამიტომ საბჭოთა მთავრობამ დასაწყისში გადაწყვიტა, ტრადიციული ხალხური რელიგია დაეპირისპირებინა ინსტიტუციონალიზებული მართლმადიდებლობისთვის და ერთგვარი უპირატესობა მიენიჭებინა მისთვის იმით, რომ თავიდან მასთან აშკარა ბრძოლა არ გამოუცხადებია. ამ პერიოდის სამთავრობო დისკურსი კარგად ჩანს *მოგზაურის ფსევდონიმით* გამოქვეყნებულ ვრცელ წერილში „მივხედოთ ხევსურეთს“: „... წყეული ნიკოლოზი არ ზრუნავდა ამ კუთხეზე, მხოლოდ ნამუსგაყიდულ და გარეწარე პირებს მღვდლების სახით აგ ზავნიდა ძალად ამ კუთხეში. ძალად იმიტომ, რომ ხევსურებს საერთოდ სძულდათ ეს სულგაყიდული, ვითომდა „მამები“, ვინაიდან მათ თავიანთი ჩვეულებით ჰყავდათ თავისი ხევის ბერ-დეკანოზები, ერის კაცები, რომელთა ერთი სიტყვა მათთვის კანონი იყო. იმიტომ, რომ ისინი მართლა ხალხის მოკეთენი იყვნენ... იგივე წყეული მთავრობა უშენებდა მათივე ხარჯით იმ ეკლესიებს, რომელიც მათ არა სწამდათ, იმიტომ რომ თავიანთი „ყორები“ ანუ სალოცავები გააჩნდათ: უბრალო, სადა სიპის ქვებით ამოშენებული, სადმე დაბურულ ადგილას და ისე სწამდათ, რომ იქ შეფარებულ ნადირს ხელსაც კი ვერ ახლებდნენ...“ (გაზეთი მიწის მუშა. (1922). N 63).

⁸⁷ ბესარიონ ნიქარაძე ერთგან შენიშნავს, რომ სვანეთში იმპერიის დროს დასუსტდა პაპების ინსტიტუტი.

მოკლე ამონარიდიც კი მრავალი მიმართულებით განხილვის საშუალებას იძლევა, თუმცა ყველაზე თვალშისაცემი ალბათ ისაა, თუ როგორ ცდილობდნენ ბოლშევიკები ხალხში ქრისტიანობის სიძულვილი გაეღვივებინათ, სავარაუდოდ, იმ იმედით, რომ „წარმართულ“ მითო-რიტუალურ სისტემებს შემდეგ ადვილად მოერეოდნენ. ასეც მოხდა: რამდენიმე წელიწადში საბჭოეთმა რელიგიური რწმენის ნებისმიერ გამოვლინებას დაუწყო ბრძოლა ხალხში, რისი მაგალითიც არის მათურელი ხევისბერის, ფუნჩია ხუციშვილის, ამბავი. აღ. ოჩიაურს მისგან კიდევ ერთი ლექსი ჩაუწერია, სავარაუდოდ 1939 წელს, სადაც ხევისბერი მიმართავს ვინმე ყუნჯიას, რომელსაც, როგორც ჩანს, წვერი გაუპარსავს და პარტიაში შესვლას აპირებს, ხევისბერი კი აფრთხილებს, რომ კომუნისტობას წვერის მოპარსვა და ტუჩის გამოჩენა არ შეეღობა:

*- ყურ დამიგდე, ყუნჯიაო, შენ რას გეტყვის ფუნჩიაო,
წვერი მოგიპარსვინებავ, დაგიჩენავ ტუჩიაო.
კამუნისტობას აპირებ, შენ ის გიძე გულჩიაო,
კამუნისტობას ვერ იქამს შენფერ ბაიყუშიაო.
(ქართული ხალხური პოეზია, 1980: 171).*

ლექსი თითქოს ამბობს, რომ ადამიანები, რომელთაც გაკომუნისტების განზრახვა ჰქონდათ, წვერს იპარსავდნენ, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო კომუნისტობისთვის, რომ კომუნისტობა რაღაც შეუვალობას, პრინციპულობას და სისასტიკესაც კი ავალეზდა ადამიანს, როგორც, მაგალითად თავმჯდომარე, რომელსაც ასევე გამოუთქვა ლექსი უკვე ხანშიშესულმა ფუნჩიამ:

*ფუნჩიამ თქვა: - რა უნდა ვქნა, უგონთა ვარ მთვრალივითა,
წამივიდა ჯეილობა, გაიარა ქარივითა,
გადამაგდო ქვეყანამა ბაღში მწარეს სხალივითა.
დარდმა გული გამიგალა ცხენის ფეხზე ნალივითა.
თავმჯდომარევე, გენაცვალე, ნუ მალონებ ჯარიმითა,
ჩემთვის ჩამოკიდული ხარ, ხევისურების ფარივითა:
საცა მნახავ, დამიყვირებ იალალის ხარივითა
ფშავისხევს შამეჩვით, ფუტკრის მონავალივითა
(ქართული ხალხური პოეზია, 1980: 132).*

თავმჯდომარეს აქვს უფლება, არა მხოლოდ დააჯარიმოს, არამედ დაუყვიროს ხანშიშესულ ხევისბერს, რომელიც თავს მწარე მსხალივით გარიყულად გრძნობს ქვეყნისგან და დარდისგან გული ცხენის ნალივით აქვს გადალეული. სხვა ლექსში იგივე ფუნჩია შუაფხოს გაწამებულ ცხოვრებას ბრიგადირებს აბრალებს (ქართული ხალხური პოეზია, 1980: 132).

ზოგადად, სასულიერო პირების შეურაცხყოფა და დამცირება კარგ ტონად ითვლებოდა საბჭოეთში, როგორც, მაგალითად, გუდამაყრელი გრიგოლ გოგოლაურმა ცხენი წაართვა მღვდელს და ხალხური მთქმელისგან ამის გამო ქებას იმსახურებს:

*გრიგოლის ქებას გაიმბობ, გოგოლაურის შეილსაო,
გუდამაყარში მოსულა, აღმასკომშია ზისაო.*

*სულ გაულალამ ხარ-ძროხა, ბობოლა კულაკისაო...
მღვდელს რაღა უყო, აგერა, ამ პეტრიაიშვილსაო,
წართო იორღა ცხენი, ახლა ფეხითა დისაო.
რა უყოს ქადა-პურებსა, რაით წაილოსყ ისაო?
თუ ფეხით წაალებინე, წესი არ არის მღვდლისაო .*

(საუნჯე ხალხური შემოქმედებისა (1935). გაზეთი კოლექტივიზაცია. N. გვ. 96-97).

წერილი „მიხედოთ ხევსურეთს“ მომდევნო ნომერშიც გრძელდება და ხევსურეთის ინფრასრუქტურისა და სხვა პრობლემებთან ერთად განათლების საკითხსაც მიმოიხილავს. მაგალითად, სკოლის არაარსებობას, რის გამოც დაახლოებით 5-6 ათასი კაცი, „ათასგვარ წარმართულ ადათ ჩვეულებათა ქსელში არიან გაბმულნი... წყეულ ნიკოლოზის დროს მართალია გახსნა ერთი სკოლა სოფ. ბარისახოში, ე. წ. „კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ“, მაგრამ როგორც თვით სახელიდან დაინახავთ, ამ საზოგადოების მიზანი იყო ხალხის გონების დაჩლუნგება და ვინ არ იცის, რა ასულდგმულებდა იმ საზოგადოებას. საზოგადოთ ბერებსა და ხუცებს სწავლა-განათლება ჟამივით ეზარებათ და თუ აქ ამ მიყრუებულ კუთხეში მათ სკოლის საქმეს მოჰკიდეს ხელი, რა თქმა უნდა, ეს იმიტომ კი არ უქნიათ, რომ ხალხში ნათელი შეეტანათ, არამედ თავიანთი მოწამლული ენით ჩაესახათ ამ გულუბრყვილო ჩამორჩენილ მთიულები „ღვთისა და ბატონის“ სიყვარული და მორჩილება. ამიტომაც მფარველობდნენ მათ მეფის ჩინოვნიკები, მოურავები და მათი დამქაშები. მიხედნენ ხევსურები თუ რა საწამლავს ასმევდნენ მათ ეს ანაფორაში გახვეული ქრისტეს მოციქულები და ერთ ბედნიერ დღეს ცეცხლი წაუკიდეს მათ ბუნავს, ეს სკოლის სახელით მონათლული საწამლავის გამავრცელებელი ალაგი მოსპეს და თვით ანაფორიანი მატყუარებიც. ეს მოხდა 1906-7 წლებში.“ (გაზეთი მიწის მუშა. (1922). N 64).

ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს გლეხის მდგომარეობა, რომელსაც ტრადიციული რწმენა-წარმოდგენები ახალი, სოციალისტური რწმენა-წარმოდგენებით ეცვლებოდა. მას არწმუნებდნენ, რომ ფასეულობები, რომელზეც გაიზარდა, მისი დაჩაგვრისა და დაბეჩავებისთვის იყო გამოგონილი, რომ მღვდლები ღვთისმსახურები კი არა, მონარქისა და არისტოკრატის საყრდენი იყო, რომ ისინი ადამიანების გაუნათლებლობით და ჩამორჩენილობით სარგებლობდნენ და ასე უნარჩუნებდნენ ძალაუფლებას მეფეს. მალე ეს რიტორიკა ხალხში გავრცელდება და პოეზიაშიც გაისმება.

სამღვდელოების მარგინალიზაცია. ხშირად ხალხური ლექსების ლირიკული გმირი თვითონ სასულიერო პირია, რომელიც პირველ პირში ყვება თავისი რადიკალურად შეცვლილი ცხოვრების შესახებ. მაგალითად, თელავში ჩაწერილი ლექსი „მღვდლის გოდება“ ერთდროულად ასახავს არა მხოლოდ ახალ რეალობას და მის ფერხულში ჩაბმულ საზოგადოებას, არამედ უფუნქციოდ დატოვებულ სამღვდელოებას, მათ მარგინალიზაციას და ლიკვიდაციასაც კი. სავარაუდოდ, სწორედ ამიტომ არასდროს არსად არ დაბეჭდილა ის და მხოლოდ არქივს შემორჩა:

*ღმერთო, ღმერთო, ეს რა ვხედავ? აღარც წირვა, აღარც ლოცვა.
გადირია ირგვლივ ხალხი, მოდაშია ღვდლების ხოცვა.
საყდრებს ზურგი შემიქციეს, აღარ დადის აღარც ერთი,*

*ყველამ წიგნი დაიჭირა, გაუწყრებათ აგრემც ღმერთი.
თვალნი ჩემნი ეს რას ხედვენ, ყველა სწავლას ეშურება
იქ გაისმის ჩემი გმობა, ღმერთო, ეს რა მეყურება.
საფლავებზე აღარ მოაქვთ, არც საყდარში შესაწირი,
სიმშლიისგან გულმოდული დავჯდები და ვტირი, ვტირი.
წუხელ სიზმარშია ვნახე ჩემი ძველი ყოფა-ქცევა
გასუქებულს მეხვეოდა ჩემი ფოფოღია ევა.
ანაფორაც გამიხუნდა, ძლივს ვაკონკებ ესეც რჩება,
სიმშლიისგან მიკნავლებულს სიკვდილის დროც დამიდგება.
(ლმა 20008-ხ, გვ. 20).*

როგორც ჩანს, მღვდლების შიმშილის თემა განსაკუთრებით ამხიარულებდა ადამიანური თანაგრძნობისგან დაცლილ პროლეტარიატს. თუ 1920-იანი წლების პროპაგანდა მშვიერი ხალხისა და მამლარი სამღვდელოების ოპოზიციანობაზე იყო აგებული, 1930-იან წლებში ხალხთან ერთად სამღვდელოებაც მშვიერია და დანანებით მისტირის ძველ დროს. ამ მხრივ საინტერესოა 1936 წელს ვ. ლოლაშვილის მიერ გურჯაანში ჩაწერილი ტექსტი, რომელშიც მღვდლისა და გლეხის გაბაასებაა მოცემული. ეს ტექსტი პირველად გამოქვეყნდა გაზ. „კოლექტივიზაციის“ მე-3 ტომში 1936 წელს. ეს კრებული, როგორც საქართველოს კომპარტიის ოფიციალური ორგანოს მიერ შედგენილი სპეციალური გამოცემა, „მთავლიტის“ უმკაცრეს ცენზურას გადიოდა. ეტყობა, ბოლშევიკი ცენზორები ისე აღფრთოვანებულან ლექსის მეორე ნაწილით, - სადაც გლეხი სამღვდელოებას ამხელს, როგორც ექსპლოატატორებს და „ხალხის მტრებს“, სადაც გლეხობა უარს ამბობს მღვდელზე და მიცვალებულის ქრისტიანული დაკრძალვის წესზეც კი, - რომ გამოეპარათ მღვდლის შეფასება, თავის უწინდელ კარგად ყოფნას გლეხობის კარგ ცხოვრებას რომ უკავშირებს. ეს, ფაქტობრივად, 1930-იანი წლების რიტორიკის სამხილია „ბედნიერი და მამლარი საბჭოთა გლეხობის“ მიმართ:

*უწინ რა კარგად ვიყავით, კარგად ცხოვრობდა გლეხია,
ის უწინდელი ტყავ-ჩოხა სუყველას ჩამოგვეხია.
- შენ ის გადარდებს, მამაო, ქადები შემოგელია,
გვჭამდი და გვგლეჯდი გლეხებსა, შენ იყავ ჩვენი მტერია.
ჩვენი ნაშრომი ამაგი ახლა ხო შემოგელია!
აქ ნაყოფთ საიქიოსა არ წავალთ შაუცდელია,
ვიძახით ყოველ კუთხეზე აღარ გვინდარის მღვდელია!
ვინცა მოკვდება, დავმარხავ, მღვდელი აღარა გვჭირია.
მღვდელი და დიაკვანია ხალხისა არი მტერია,
ზურგზე უკიდავ ხურჯინი შიგ უძე ქადა-ყველია.
ორივე ჩვენი მტერია, ღვინო-არაყის მსმელია.
(ქართული ხალხური პოეზია, 1980: 152).*

ხალხურმა მთქმელებმა ფოლკლორისთვის დამახასიათებელი ყველა ფორმა მოსინჯეს საბჭოთა რიტორიკის გასაღეხად. ხან პირველ პირში ალაპარაკებდნენ რეპრესიების

მსხვერპლთ, ხან ერთმანეთში. ასეთია ქიზიყელი მთქმელის, ისაკო მირიანაშვილის, ლექსიც „ხუცების ჩივილი“:

*ხუცემ შესჩივლა ხუცესსა: რა მოსდის შენსა მუცელსა
სამ კვდარს რომ ერთად ყლაპავდი, არც კი არტყამდი ტუჩებსა.
- რა გითხრა, ჩემო ონიფრე, ჩემი გაძლება ძნელია,
ველარა გვშველის ხატები და ველარც წმინდა ელია
გლეხი გამიძვრა ხელიდან და სარჩოც შემომელია,
მივბრუნდეთ საქმეს, დავადგეთ, შრომას მოვკიდოთ ხელია.
(გაზეთი კოლექტივიზაცია. (1934). N 291)*

უფუნქციოდ დარჩენილი სასულიერო პირები, მათი ფიზიკური გადარჩენის საფრთხე, იზოლირება სამყაროსგან - ეს იყო ის, რასაც ყოველდღიურობაში ხედავდა მრევლი. ის ასევე უყურებდა, რომ ბევრი მათგანი გაუჩინარდა სოფლიდან, ზოგიერთს საჯაროდ, ძალადობით გაკრიჭეს წვერი, ხოლო ზოგმა ვერ გაუძლო ასეთ ზეწოლას და კაბა თავისი ნებით გაიხადა თვითგადასარჩენად. თავისთავად მიუღებელი, ძალადობრივი აქტი ან თუნდაც ისეთი მოვლენა, როგორცაა მღვდლობაზე უარის თქმა და სამოქალაქო პირის სტატუსის დაბრუნება, შეიძლება დასაცინი და გასამასხარავებელი გახდეს, როგორც სამღვდელო ატრიბუტიკა - მღვდლის ანაფორა და წვერი, მუდამ ირონიის ობიექტი რომაა ფოლკლორში:

*სულ სხვანაირ ხმაზე გალობს დასაქცევი ჩვენი მღვდელი,
ეხლა წვერი შეუმოკლდა, ნიკალას დროს ჰქონდა გრძელი.
(საუნჯე ხალხური შემოქმედებისა (1935). გაზეთი კოლექტივიზაცია. N. გვ. 88).*

მაგრამ ხელისუფლებისთვის არ არსებობდა ყოფილი მენშევიკი, კულაკი და მღვდელი. შავსიელობა საბედისწერო იყო. ერთ იმერეთში ჩაწერილ ხალხურ ლექსში მთქმელი ჭკუასუსტადაც კი მოიხსენიებს მღვდელს, რომელიც მზად არის, ხელშეკრულება დადოს კომუნისტებთან - ოღონდ მათ წრეში იქნას მიღებული, თანახმაა ემსახუროს მათ, და თუკი შეეცდება, მაკრატლისთვისაც მზად არის. მღვდლის ერთგულება სასაცილოდ არ ჰყოფნიდა არც კომუნისტებს და არც ლექსის მთქმელს და ამიტომაც უწოდებს მას ჭკუათხელს:

*ოსიაურის მღვდელიო, ჭკუაზე არი თხელიო,
თითონ გორისკენ გაგ ზავნეს, სახლზე აიღო ხელიო,
კომუნისტებს ეხვერწება: „მეც მოგიწერო ხელიო!..
თუ რამე საქმეში შევცდე, დამადეთ მაკრატელიო!..
მე ხო თმას აღარ დავემებ, ნუ დამიკარგეთ მრევლიო“.
(ლომთათიძე, 1928: 27).*

როგორც ყოფილ კულაკს არ იღებდნენ კოლექტივში და გარიყული იყო საზოგადოებისგან, ისე მღვდლებსაც წაერთვათ სოციალური ინტეგრაციის შესაძლებლობა, განსაკუთრებით ეკრძალებოდათ მათ სკოლებში მუშაობა, რათა მაქსიმალურად დაეცვათ ახალგაზრდა თაობა ქრისტიანული სწავლებისაგან.

1930 წლის გაზ. „კოლექტივიზაციის“ ფურცლებზე არაერთგზის გვხვდება აგრესიული მოწოდებები მათ მიმართ. დაუშვებელი იყო „შავსიელები მასწავლებლებად“, ყოველი მსგავსი

შემთხვევა უმაღლეს და აღმოფხვრილიყო. არც ერთ კომუნისტს არ ჰქონდა უფლება, მფარველობა გაეწია ყოფილი „კლასობრივი მტრისთვის“: „ქუთაისის ოლქის გომის თემის შვიდწლედის გამგე ა. ცინცაძე დიდ მფარველობას უწევს შავსიელ მასწავლებლებს, სოფ. მტერჩაულის ოთხწლედში მასწავლებლად არის ყოფილი მღვდელი ს. ცინცაძე, სოფ. ოფეთის ოთხწლედში - კულაკის შვილი ხუნდაძე და სხვ. რკინის ცოცხი ამ დახავსებულებს!“ (გაზეთი კოლექტივიზაცია. (1930). N 18). მათი „ბნელი წარსული“ არათუ სკოლაში, კოლექტივში გაწევრიანებასაც მიუწვდომელს ხდიდა: „კოლმეურნეობათა მოძრაობა ხშირად იღებს მახინჯ ფორმებს. ... კოლექტივში ისეთებმაც კი მოიყარეს თავი, რომელთა მიღება კოლექტივებში აკრძალულია. მაგალითად, კოლექტივებში ხშირად შეხვდებით ყოფილ მღვდლებს, რომელთაც მხოლოდ რამდენიმე თვის წინ მიუწვდებოდათ თავი მღვდლობისათვის, შეხვდებით ყოფილ ვაჭრებს, სპეკულიანტებს, ნამამასახლისრებს, ნაყაჩაღრებს და სხვა ბნელი წარსულის მქონე პირებს. ... შორს ჩვენგან ცხვრის ქურქში გახვეული მგლები!“ (გაზეთი კოლექტივიზაცია. (1930). N 17).

ხელისუფლების მხრიდან ასეთი მარგინალიზაციის და რეპრესიების მიუხედავად დიდი ტერორის დროს ჯერ კიდევ იყვნენ ადამიანები, რომელთაც სჯეროდათ, რომ „ხელისუფლებანი იცვლებიან, მიდიან და მოდიან, მაგრამ რელიგია და ეკლესია რჩებიან ურყევად. თუ ახლა ქართველი ხალხი დაბეჩავებულია, ის მალე გათავისუფლდება“ (შსსუა, N. 38841). ეს სიტყვები 1938 წელს, ერთ-ერთ საეკლესიო დღესასწაულზე, სადღეგრძელოს ფორმით წარმოუთქვამს დავით მელიტონის ძე ჭიჭინაძეს, რის გამოც ის დააპატიმრეს.

ბრძოლა ღმერთთან. არათუ სამღვდელოების ან სიწმინდეების, თავისი მიზნისთვის ხელისუფლება არ ერიდებოდა ღმერთის შეურაცხყოფასაც. როგორც რუსულ, ისე ქართულენოვან პრესაში სატიტულო გვერდზე პერიოდულად ჩნდებოდა ღრუბლების მიღმა გამოსახული ღმერთების (იესო ქრისტე, მუჰამედი, იაჰვე ერთად) და ანგელოზების გამოსახულებები, ღრუბლებში შიგადაშიგ ჩაკარგული ემშაკები, ხოლო ღრუბლებზე ქვემოდან მიყუდებულ ხოლო კიბეზე - საბჭოთა მუშა ხელში უროთი, რომელსაც ღმერთებს უმიზნებს. კომპოზიციას ახლავს სიტყვიერი ტექსტი, მაგალითად: «С земными царями разделались, принимаемся за небесных. Господи благослави!» (газета *Безбожник*. (1923). #1). მსგავსი კარიკატურა გვხვდება იმავე წლის 6 თებერვლის ქართულ გაზეთში „მუშა“. ამ კარიკატურების კომპოზიციური სქემა ებრაულ ტრადიციაში ბაბილონის გოდოლზე გავრცელებულ ხალხურ გადმოცემებს მოგვაგონებს, სადაც გოდლის მშენებელთა ამპარტავნება გამოიხატება არა მხოლოდ ღმერთთან გატოლების მიზნით ცათამბჯენი კომპის შენებაში, არამედ იმაშიც, რომ ისინი ისრებს ისროდნენ ზეცაში. ეს გადმოცემები მოგვითხრობს, რომ როდესაც უფლის ანგელოზები ისრებს სისხლში ამოავლებდნენ და უკან აბრუნებდნენ, გოდლის მამშენებლები ძლიერ ხარობდნენ, რადგან ფიქრობდნენ, რომ ზეცის ყველა მკვიდრი ამოხოცეს (ინწკირველი, 2017: 81-85).

1923 წლის 4 იანვრის ქართული გაზეთ „სპარტაკის“ სატიტულო გვერდზე კომპარტიის მთელი ანტირელიგიური პროპაგანდაა თავმოყრილი. გაზეთის მთავარ სლოგანს - „ძირს სარწმუნოება - სიბნელი!“ - ზურგს უმაგრებს სატიტულო წერილი - „გაუმარჯოს მეცნიერება-განათლებას!“; თითქმის მთელი გვერდი უკავია კომპოზიციას, რომელზეც გამოსახულია, თუ

როგორ აფეთქებენ შეიარაღებული წითელარმიელები ღრუბლებს ტექსტებით - „ღმერთს ვაფეთქებთ“, „ზეცის სამოთხე მდიდრებს, მიწიერი - პროლეტარებს!“ ხოლო მიწაზე პროლეტარები შეჰყურებენ მარადიული ცეცხლის თანხლებით გადამლილ წიგნს, რომლის ფურცლებზე ვკითხულობთ: „ძირს სარწმუნოების მატყუარობა, წინ - მეცნიერებისაკენ“ (გაზეთი *სპარტაკი*. (1923). N 1).

ქრისტიანული სარწმუნოება, რომელიც საუკუნეების განმავლობაში განათლების მთავარი კერა და ეროვნული კულტურის მთავარი მასაზრდოებელი იყო, სიბნელედ და ჩამორჩენილობად უნდა აღქმულიყო მოსახლეობაში, რომლის ცხოვრება რევოლუციისებრი სისწრაფით იცვლებოდა თვალსა და ხელს შუა. ხელისუფლება ებრძოდა ფუნდამენტურ ღირებულებებს, რომ როგორმე აღმოეფხვრა ღვთის რწმენა პროლეტარულ მასად ჩაფიქრებულ ხალხში.

კომუნისტები ხვდებოდნენ, რომ მორწმუნე ადამიანისგან, ვისაც შთამომავლობის გარდა, ქრისტიანული რწმენაც ჰქონდა და წინაპართა ტრადიციებთან იდენტობაც, ჭკმში პროლეტარს ვერ გამოიყვანდნენ; რელიგიურ ტრადიციებთან ბრძოლაც არ იყო ადვილი; კომპარტიას ისლა რჩებოდა, გაეძლიერებინა შეტევა სამღვდელოებაზე, და გარკვეულ წარმატებას მიაღწია კიდევ ათწლეულების განმავლობაში. მაგრამ ეს იყო მაქსიმუმი, რასაც მიაღწია პროპაგანდამ და გვაჩვენა, რომ მისი შესაძლებლობები უსაზღვრო არ არის. ხალხურ პოეზიაში, რომელიც უმეტესად სწორედ პროპაგანდის გართიმულ ვარიანტს წარმოადგენს და ისევე აღსავსეა სიძულვილის ენით, როგორც სააგიტაციო მოწოდებები „ხალხის მტრების“ მიმართ, ფოლკლორში ერთი აუგი სიტყვაც კი არ ითქმება ღმერთზე(!); ამის მოტივაცია თითქოს კომპარტიის სხვადასხვა ორგანოში დაბეჭდილი პარტპოეტების შექმნილი ანტისაშობაო და ათეისტური ლექსები უნდა ყოფილიყო, მაგრამ ისინი არ გახალხურებულა, ქართველ ხალხს არ მიუღია ღვთისმგმობი პროპაგანდა. თითქოს ყველამ ერთად გადაწყვიტა, რომ ამ უკიდურეს რელიგიურ კრიზისში, რომელიც აუცილებლად ითხოვდა მსხვერპლს, როგორც ნებისმიერი კრიზისი ითხოვს, ღმერთი კი არ უგულებელყო, არამედ სამღვდელოება მოეკვეთა თავისი წიაღიდან, როგორც ნამდვილი *განტევების ვაცი* (შესაძლოა, სამღვდელოებამ თვითონ აიღო თავის თავზე მსხვერპლის სტატუსი), რადგან ტრადიციულ რწმენას ასე პარტიის კარნახით ვერც დაივიწყებდა და ვერც შეეღებოდა ხალხი, რომლის მსოფლმხედველობა, აზროვნება და ლექსიკაც კი მთლიანად გადაჯაჭვული იყო სარწმუნოებასთან, როგორც სოფ. ღვანკითში გაგონილი ერთი პარადოქსული ლექსი აჩვენებს:

*თავადსა და აზნაურშვილს ამოგდებას რა მოუშლის,
ღმერთი რისხავს და უფალი, ეშმაკები მხარს გაუშლის.
სამოთხეში ვინ შეუშვებს, ჯოჯოხეთში ვინ დაუშლის.*
(ლმა, 20006-ხ გვ. 32).

ეს ლექსიც არასდროს გამოქვეყნებულა ფართო საზოგადოებისთვის. ამჯერად „მთავლიტის“ მუშაკები მიხვდნენ, რომ მართალია, მთქმელი „კლასობრივ მტერს“ ამოგდებას უსურვებს, მაგრამ ლექსის ტერმინოლოგია თავიდან ბოლომდე ქრისტიანულია, რაც, ცხადად მიანიშნებდა, რომ მიუხედავად სოციალისტური იდეების გაზიარებისა, ადამიანების სააზროვნო სისტემიდან ქრისტიანობა ამოგდებული და განდევნილი არ იყო.

ამგვარად, ხალხურ პოეზიაში საბჭოთა ანტირელიგიური პოლიტიკის თემატიკაზე შექმნილი ხალხური ლექსების - რომელთაც უმეტეს შემთხვევაში კონკრეტული ავტორ-მთქმელი ჰყავს - შესწავლამ გამოავლინა, რომ მათი უმრავლესობა პოეტურად ამუშავებს საბჭოური პროპაგანდის თითქმის ყველა საკითხს (ვერცხლისმოყვარეობა, მრუმობა, გემოთმოყვარეობა), ლექსიკითაც კი იმეორებს მას, როცა საქმე სამღვდელოებას ეხება. კვლევა-ძიებამ ასევე გამოავლინა, რომ ის ხალხური მთქმელებიც კი, რომელთა ლექსები განსაკუთრებით გამოირჩევა სიძულვილის ენით, თავს არიდებენ საბჭოური პროპაგანდის იმ ნაწილს, რომელიც ღვთის გმობისკენ მოუწოდებდა მოსახლეობას.

გამოყენებული ლიტერატურა და ბიბლიოგრაფია:

ვაჩნაძე, მ., გურული, ვ. (2008). რუსეთის ეკლესიის ისტორია (სალექციო კურსი). ნაწ. მესამე (1900-2001), ნაკვ. პირველი (1901-1945). თბილისი. გამომცემლობა „არტანუჯი“.

ინწკირველი, ე. (2017). ბიბლიური ამბები ხალხურ ტრადიციაში. თბილისი. გამომცემლობა „მერიდიანი“.

ლენინი და სტალინი ქართულ პოეტურ ფოლკლორში. (1939). რედაქცია და წინასიტყვაობა დიმიტრი ბენაშვილისა. თბილისი. გამომცემლობა „ფედერაცია“.

ლენინი, ვლ. (1980). სოციალიზმი და რელიგია. მუშათა პარტიის დამოკიდებულებაზე რელიგიისადმი. თბილისი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

ლომთათიძე, გ. (1928). სამღვდელოება ქართულ ზეპირსიტყვიერებაში. გამოცემა საქართველოს უღმრთოთა კავშირისა. ტფილისი.

უმიკაშვილი, პ. (1964). ტ. IV. თბილისი. „ლიტერატურა და ხელოვნება“.

ქართული ხალხური პოეზია. (1980). ტ. XII. თბილისი. „მეცნიერება“.

ყუბანეიშვილი, ს. (1932). სამღვდელოება ხალხურ სიტყვიერებაში. ტფილისი. სახელმწიფო გამომცემლობა.

Декрет ВЦИК «О порядке изъятия церковных ценностей, находящихся в пользовании групп верующих», 23 февраля 1922 г. // *Собрание узаконений и постановлений...* 1922 г. М., 1950. № 19. Ст. 217. С. 381-382.

პერიოდიკა:

გაზეთი *კოლექტივიზაცია*. (1930). N 17.

გაზეთი *კოლექტივიზაცია*. (1930). N 282.

გაზეთი *კოლექტივიზაცია*. (1934). N 241.

გაზეთი *კოლექტივიზაცია*. (1934). N 265.

გაზეთი *კოლექტივიზაცია*. (1934). N 276.

გაზეთი *კოლექტივიზაცია*. (1934). N 291.

გაზეთი კოლექტივიზაცია. (1935). N.
გაზეთი კომუნისტი. (1923). N42.
გაზეთი კომუნისტი. (1923). N45.
გაზეთი მიწის მუშა. (1922). N 10.
გაზეთი მიწის მუშა. (1922). N12.
გაზეთი მიწის მუშა. (1922). N17.
გაზეთი მიწის მუშა. (1922). N 20.
გაზეთი მიწის მუშა. (1922). N 29.
გაზეთი მიწის მუშა. (1922). N 63.
გაზეთი მიწის მუშა. (1922). N 64.
გაზეთი სპარტაკი. (1923). N 1.
газета *Безбожник*. (1923). #1.

ლმა, 20006-ბ.

ლმა, 20007-ბ.

ლმა, 20008-ბ.

შსსუა, N 45287.

შსსუა, N 38841.

Eter Intskirveli
Caucasus University

Reflection of Soviet anti-religious propaganda in Georgian folk poetry

Summary

The paper explores the reflection of Soviet anti-religious propaganda in folklore, following the history of the Soviet Union. The anti-religious appeals had a significant impact on clerics and priests. Georgian folklore attributes their marginalization and declaration as 'enemy of the people' to three main reasons: greed, avarice, and immorality.

Folk texts are a valuable source for studying how propaganda reached the core of the people, how it determined their tastes, values, mood, and everyday life; How the Soviet government deprived the materially poor proletariat of spiritual values and in this way made it look like them both with the language of hatred and unheard of cruelty towards their fellow man; in these poems, the priests and deacons are exulted and brought out as the enemies of the people. Accordingly, the label of "enemy of the people" completely freed the proletariat imbued with the revolutionary spirit from any empathy.

ქრისტინე ბებია
დამოუკიდებელი მკვლევარი

**საქართველოში მესხური ვაზის აღდგენილი ჯიშები და ამ თემასთან დაკავშირებული
საკითხების ზოგადი მიმოხილვა**



საუკუნეების წინ მესხეთში მევენახეობა მაღალ დონეზე იყო განვითარებული. ამას მოწმობს ნასახლარებთან შემორჩენილი ვაზის უძველესი ჯიშები და ქვაში გამოკვეთილი უნიკალური საწნახელები. მესხეთში ვაზის სამასამდე ჯიში არსებობდა. მესხური ვაზის ჯიშები და მისგან დაყენებული ღვინის სახეობები გამორჩეული გემოვნური თვისებების მატარებელია. ეს ამ რეგიონის კლიმატის „ბრალიცაა“ და ასევე მნიშვნელოვანია, რომ ამ რეგიონში ვაზს ტერასებზე აშენებდნენ.



მესხეთი საკმაოდ მთაგორიანია და აქ ვაზები გვხვდება ზღვის დონიდან 1000-1680 მეტრზე. მთაგორიანობის გამო აქ ვაზებს და ხეხილს ძირითადად ფერდობებზე აშენებდნენ. ფერდობებს ხელით ატერასებდნენ, საჭიროების შემთხვევაში შეჰქონდათ ქვა და ნიადაგის მდიდარი ფენები. ქვას ამუშავებდნენ და მშრალი წყობით ქმნიდნენ ტერასებს (ისტორიულად ტერასებს დარიჯებს და ოროკოებს უწოდებდნენ). ქვისგან აშენებული ტერასები საკმაოდ ეფექტურია, მზის სხივის დახრის კუთხე უკეთესია. ტერასებზე აერაცია საკმაოდ მაღალი და ეფექტურია, რაც ვაზს დაავადების თავიდან არიდებაში ეხმარება. აღსანიშნავია, რომ ბაზალტის ქვები, რომლითაც ძირითადად იქმნება ტერასები, დიდხანს ინარჩუნებს მზის სითბოს და მას ღამეც ინახავს, რაც ხელს უწყობს ყურძნის სწრაფ დამწიფებას.




ზამთარში კლიმატი საკმაოდ ცივია და ყინვისგან დასაცავად ვენახს გადააწვენდნენ და გაზაფხულამდე მიწაში მარხავდნენ. ამჟამად უფრო შეფუთვის მიმართავენ, რათა ვაზი არ გაიყინოს.



აღსანიშნავია, რომ მშრალი კონტინენტური კლიმატის გამო მესხეთში ვაზს ნაკლებად წამლავდნენ. მშრალი კლიმატის გამო ვაზი ნაკლებად ავადდება და ამის გამო შეწამვლას ის თითქმის არ საჭიროებდა. თუ იწამლებოდა, მხოლოდ ნატურალური მეთოდებით, ბალახების ექსტრაქტითა და სხვა ბუნებრივი გზებით. ეს „ბუნებრიობა“ ყურძენს და მისგან დამზადებულ ღვინოს კიდევ უფრო გამორჩეულს ხდიდა. მესხური ღვინოები მსუბუქი ხასიათისაა და შედარებისთვის, ჩამოჰგავს უფრო იმერულ და ქართლის, ვიდრე კახურ ღვინოებს.



ვარძიასთან მდებარე ერთ-ერთ სოფელ ჭაჭკარში 65-მდე ქვის საწნახელია შემორჩენილი, რაც იმის მანიშნებელია, რომ ძველად ამ ადგილზე დიდი რაოდენობით ყურძენი იწურებოდა. დაწურული წვენი ტიკებში ისხმებოდა და ვარძიაში შეჰქონდათ. იქ კი, ღვინოს ქვევრებში აყენებდნენ. ჭაჭა სოფელში რჩებოდა. სახელწოდება „ჭაჭის კარი“, მოგვიანებით კი „ჭაჭკარი“ სწორედ აქედან მოდის. ვარძია დახურული კომპლექსი იყო, რომელსაც საიდუმლო შესასვლელი ჭაჭკარიდან ჰქონდა.



XVI საუკუნის ბოლოს მესხურ ტერასებზე უკანასკნელი რთველი შედგა, რის შემდგომაც ვაზის ყველა ჯიში თითქმის მთლიანად განადგურდა. ეს სამწუხარო ფაქტი ოსმალების შემოსევას უკავშირდება, როცა ეს მხარე გადაიწვა, ვაზის უმეტესობა გაჩეხეს და მევენახეობა-მელვინეობაც მიყუჩდა ამ მხარეში. მოგვიანებით საბჭოთა კავშირმაც არ დააკლო და ყველა მცირემოსავლიანი ვაზის ჯიში, რომელიც უხვ მოსავალს არ იძლეოდა, განადგურეს. რამდენიმე ჯიში, რომელიც საუკუნების წინ საქართველოს ფარგლებს გარეთ იქნა გატანილი, იშვიათი ვაზის ჯიშების მკვლევარმა და მელვინემ, გიორგი ნათენაძემ საქართველოში დააბრუნა. ამას წინ უძღოდა მესხური ვაზის ჯიშების შესწავლა, რის შემდეგაც გადაწყვიტა დაკარგული ჯიშების მოძიება და ტრადიციების აღდგენა. ამის შემდეგ მან მოიძია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ შემთხვევით შემორჩენილი მესხური ვაზის ჯიშები და დააბრუნა მესხეთში. მესხური ვაზის კვლევაში დიდი როლი ითამაშა ბატონ ლევან

უჯმაჯურიძემ (საქართველოს სამეცნიერო კვლევითი ცენტრი), ვისი დახმარებითაც ნათენაძემ მოახდინა 24 მესხური ვაზის ზუსტი იდენტიფიცირება.



ამჟამად სამასამდე უძველესი ვაზის ჯიშებიდან მხოლოდ მცირედია აღდგენილი. მაგალითად, „თამარის ვაზი“, „ცხენისძუბუ“, „ბეჟანო“, „მესხური მწვანე“ და სხვა.



„თამარის ვაზი“ გიორგიმ თურქეთის საზღვარზე, მტკვრის სათავეებთან, ოლოდის ხეობაში იპოვა. ეს თურქეთ-საქართველოს ნეიტრალური ზონაა, სადაც ამჟამად ნასოფლარები, ეკლესიები, ციხესიმაგრეების და ტერასული მეურნეობის ნაშთებია შემორჩენილი. სწორედ ამ ხეობაში გადააწყდა გიორგი „თამარის ვაზს“ 2011 წელს. „თამარის ვაზი“ გადაშენების პირას იყო. ლეგენდის მიხედვით ეს იყო თამარ მეფის გამორჩეული ვაზი, რომლისგანაც მაღალხარისხიანი ღვინო ყენდება. სწორედ ამიტომ ეწოდა ამ სახეობას თამარის ვაზი. ამ ჯიშის ყურძენს დიდი მტევნები და მსხვილი მარცვლები აქვს, მტევანი საშუალო ზომისაა, ცილინდრულ-კონუსური. „თამარის ვაზი“ საშუალოზე ძლიერი ზრდისაა. სავეგეტაციო პერიოდი კვირტის გაშლიდან სრულ სიმწიფემდე 157-160 დღეა. სრულ სიმწიფეში ოქტომბერის მეორე ნახევარში შედის. მტევნის საშუალო წონა 80-120 გრამია, მარცვალი საშუალო ან მცირე ზომის, მომრგვალო, მუქი ლურჯი, თითქმის შავი. კანი საშუალო სისქისაა. რბილობი საშუალოდ წვნიანია, მომჟაო-მოტკბო გემოთი, წვენი შეუფერავია. მისი შაქრიანობა მესხურ ტერასებზე აღწევს 25%-ს, მჟავიანობა _ 15 გ/ლ-ს. მიიღება სუფრის წითელი მშრალი ღვინო. როგორც ყურძენი, გამოირჩევა სასიამოვნო გემოთი და ერთ-ერთი საუკეთესო სუფრის ყურძენია, ასევე ღვინოც კარგი მზადდება. აღსანიშნავია ისიც, რომ თუ ჭაჭაზე დავაყენებთ, მუქ ლალისფერ ღვინოს მივიღებთ, ხოლო ჭაჭის გარეშე ვარდისფერ ღვინოს.



უძველეს ჯიშთა შორის არის „სამარიობო“, რომელსაც გიორგი 10 წელიწადს ეძებდა და სრულიად შემთხვევით იპოვა ახალციხესა და ასპინძაში, სადაც აქა-იქ ხარობდა. ამ ჯიშის მესხეთში დაბრუნების შემდეგ ის ტერასებზე დარგეს, გაამრავლეს და სამომავლოდ უხვ რთველობასაც ელოდებიან. „სამარიობო“ საადრეო ჯიშია, რომელიც სხვა ყურძნებთან შედარებით ადრე მწიფდება. იქიდან გამომდინარე, რომ მესხეთის რეგიონი ცივი კლიმატით გამოირჩევა, აქ ყურძენს ოქტომბრის ბოლოს, ზოგჯერ კი ნოემბრის დასაწყისში კრეფენ. „სამარიობო“ კი, მარიამობის თვეში შემოდის და მისი დაკრეფა აგვისტოს ბოლოს უკვე შეიძლება. „სამარიობო“ ხშირად სხვა ჰიბრიდულ ჯიშებში ერევათ. მას ხშირად წითელ ყურძენსაც ეძახიან, რომელიც სინამდვილეში ჰიბრიდია და მოლდოვიდან შემოიტანეს. ერთ-ერთმა კომპანიამ მოლდოვური ჯიშისგან წარმოებულ ღვინოს ასეც დაარქვა და „სამარიობოს“ სახელით ღვინოსაც უშვებს. თუმცა, ნამდვილი „სამარიობო“ წითელი არ არის, არამედ თეთრი ყურძენია და მისი ღვინოც თეთრია. წითელი „სამარიობო“ ფიზიკურად არ არსებობს. მტევანი საშუალო ზომისაა, კონუსური ფორმის, ახასიათებს დატოტვა. საშუალო სიკუმსის ან მეჩხერია. მარცვალი საშუალო ზომის და ოვალური ფორმისაა, თეთრი. კანი თხელი აქვს, ცვილისებრი ნაფიფქით მცირედ დაფარული. რბილობი საშუალო სიმკვრივისაა, მეტად წვნიანი, სასიამოვნო გემოთი. „სამარიობო“ საშუალო ზრდისა და საშუალომოსავლიანია. სავეგეტაციო პერიოდი კვირტის გაშლიდან სრულ სიმწიფემდე 140-150 დღეა. სამარიობო გამოიყენება ხარისხიანი სუფრის თეთრი მშრალი ღვინის დასამზადებლად, ცქრიალა ღვინის მისაღებად და სასუფრე ყურძნად.

მესხეთში ერთ-ერთი უძველესი, უნიკალური ჯიშია „ცხენისძუძუ“, რომლის მარცვლები კონუსურია და თითას წააგავს. „ცხენისძუძუ“ საუკეთესო სუფრის ყურძენია. ის ნათენაძეების გვარის ოჯახური მემკვიდრეობაა, რომელიც ნათენაძეების საკარმიდამო ნაკვეთში, სოფელ ჭაჭკარშიც ხარობს. ეს არის 4 საუკუნის ვაზი, რომელიც დღესაც ცოცხალია და მსოფლიოში ყველაზე ძველ მსხმოიარე ვაზად ითვლება. ის უკვე მრავალ ქვეყანაშია ცნობილი. „ცხენისძუძუ“ ზამთრის სიცივისადმი საოცარი გამძლეობით გამოირჩევა. მას ქართული ვაზის ჯიშებს შორის ყველაზე მეტად განვითარებული ფესვთა სისტემა აქვს, ფესვები ძალიან ღრმად ჩადის ნიადაგში. შედარებისთვის სხვა ჯიშებთან ასეთი ცდა ჩაატარეს: „ცხენისძუძუ“, ქართლური „ჩინური“ და „შავკაპიტო“ გვერდიგვერდ გაახარეს დამყნობის გარეშე. შემოდგომაზე „ცხენისძუძუს“ მთავარ ფესვს 58-60 სმ სიგრძე ჰქონდა, „ჩინურის“ 30-35 სმ იყო, ხოლო „შავკაპიტოსი“ 20-28 სმ. ასე რომ, „ცხენისძუძუს“ ფესვი სხვა ჯიშებზე ორჯერ ძლიერია, ნიადაგშიც უფრო ღრმად ჩადის და უფრო სწრაფად იზრდება. სხვათა შორის, მესხურ ჯიშებს ასეთი თვისება აქვს: სითხე, რომელიც ვაზის ტანშია დარჩენილი, მთლიანად ნაწილდება ფესვებში. ამიტომ, როდესაც ფესვი დიდი და ღრმაა, ვაზი შესაძლოა გაყინვას გადაურჩეს. „ცხენისძუძუსაც“ ეს თვისება აქვს. მიუხედავად იმისა, რომ „ცხენისძუძუ“ ზამთრის სიცივეს კარგად იტანს, ახალგაზრდა ვაზს სხვა ჯიშებთან ერთად ფუთავენ ხოლმე. ამ ჯიშის ყურძნისგან ძალიან კარგი, მაღალალკოჰოლური სუფრის ღვინო გამოდის საინტერესო, მრავალფეროვანი ხილის არომატით. არსებობს ორი სახის „ცხენისძუძუ“ – თეთრი და შავი. „ცხენისძუძუ თეთრი“ ძლიერი ზრდისაა და საშუალოზე მაღალმოსავლიანია. სავეგეტაციო პერიოდი კვირტის გაშლიდან სრულ სიმწიფეში ოქტომბრის პირველ ნახევარში

შედის. ყურძნის სრული სიმწიფის პერიოდში მისი შაქრიანობა აღწევს 17.5-19%-ს, ხოლო მჟავიანობა - 9-10 გ/ლ-ს. თუ „ცხენისძუძუს“ ნოემბრის შუა რიცხვებამდე დავაცდით, მაშინ შაქრიანობა 27%-ს აღწევს. მიიღება სუფრის თეთრი, მშრალი ღვინო, იგი ღია ჩალისფერია, მოყვითალო იერით და არომატული. დაძველებულს ახასიათებს მსხლის კომპოტის სურნელი. შესაძლებელია, გამოყენებული იქნეს საშუალო ღირსების სასუფრე ყურძნად. „ცხენისძუძუ შავი“ საშუალო ზრდისაა, აქვს ხორციანი რბილობი და გამოირჩევა სასიამოვნო და ჰარმონიული გემოთი. სრულ სიმწიფეში ოქტომბრის შუა რიცხვებიდან შედის. ყურძნის სრული სიმწიფის პერიოდში მისი შაქრიანობა აღწევს 16-18%-ს, ხოლო მჟავიანობა - 7-10 გ/ლ-ს. ძირითადად გამოიყენება სასუფრე ყურძნად.

ასევე საინტერესო ჯიშია „ბეჟანო“. სიტყვა „ბეჟანო“ მოზაიკურ ფერებს ნიშნავს. ეს ჯიში გიორგიმ სოფელ ხიზაბავრაში იპოვა მდინარის პირას, სადაც მხოლოდ ეს ერთადერთი ძირია შემორჩენილი. მის ყურძენზე ვერ ვიტყვით, რომ სასუფრეა, მაგრამ ღვინო ძალიან კარგი გამოდის. „ბეჟანო“ საშუალო ზრდა-განვითარებისაა. სავეგეტაციო პერიოდი კვირტის გაშლიდან სრულ სიმწიფემდე 180 დღეა, ხოლო სრულ სიმწიფეში ოქტომბრის ბოლოს შედის. ყურძნის სრული სიმწიფის პერიოდში მისი შაქრიანობა აღწევს 16%-ს, ხოლო მჟავიანობა - 9 გ/ლ-ს. „ბეჟანოს“ მტევანს რომ დააკვირდეთ, მისი თითოეული მარცვალი სხვადასხვა ფერისაა, მცირე ან საშუალო ზომის, ცილინდრული ან ცილინდრულ-კონუსური ფორმის. მარცვალი საშუალო ან მცირე ზომისაა, მომრგვალო, მუქი-ლურჯი. კანი თხელი და საკმაოდ მკვრივი აქვს, ცვილისებრი ფიფქით ზომიერად დაფარული. რბილობი წვნიანია, გემო - ჰარმონიული. ამ ჯიშისგან დაყენებული ღვინო ჟანგისფერია და უფრო რაღაც ნაზავია, ვერც ქარვისფერს დავარქმევთ, ვერც თეთრსა და ვერც წითელს. „ბეჟანოსგან“ გიორგი უკვე წურავს ღვინოს, მაგრამ ის ახლაც დაკვირვების პროცესშია. თუმცა, ამ დრომდე იმის თქმა დანამდვილებით შეუძლებელია, რომ მისგან დაწურულ ღვინოს გამორჩეული გემო აქვს და საიმედო პოტენციალი.




იშვიათ ჯიშებს შორის ასევე ერთ-ერთი გამორჩეულია „მესხური მწვანე“. „მესხური მწვანე“ განსხვავდება გორული და კახური მწვანისგან მტევნის სიდიდით, ფორმით, მარცვლის

სიმსხოთი, ფოთლის აგებულებით, შეფერვითა და გემოთი. უფრო გავრცელებულია სოფ. აწყურის და სოფ. გურკელის მიდამოებში. ეს ყურძენი მცირე რაოდენობით მთელ რეგიონში ხარობს. გვხვდება როგორც ადიგენში, ასევე ახალციხესა და ასპინძაში. ისიც გამოირჩევა გამძლეობით, მაგრამ შაქრიანობა დაბალი აქვს, 18-19%. ეს ღვინოზეც აისახება. მტევანი კონუსურია, გვხვდება ცილინდრული ფორმისაც, მკვრივი ან საშუალო სიმკვრივის. მარცვალი საშუალო ზომისაა, მომრგვალო ფორმის, მომწვანო-მოყვითალო შეფერვის, სქელკანიანი. წვნიანია, ნაკლებ რბილობიანი, მომჟავო-მოტკბო გემოთი. მესხური მწვანე საშუალოზე ძლიერი ზრდით ხასიათდება და საშუალომოსავლიანია. სრულ სიმწიფეში ოქტომბრის ბოლოსკენ შედის. ყურძნის სრული სიმწიფის პერიოდში მისი შაქრიანობა აღწევს 19-20%-ს, ხოლო მჟავიანობა - 8.5-9 გ/ლ-ს. მესხური მწვანესგან მიიღება ნაკლებ ალკოჰოლიანი სუფრის თეთრი ღვინო და საკუპაჟე მასალა ცქრილა ღვინის დასამზადებლად. „მესხური მწვანესგან“ დაწურული ღვინო გამოირჩევა ძალიან კარგი, მრავალფეროვანი არომატით. ამ ჯიშის ვაზის უპირატესობაც სწორედ ეს არის. „მესხური მწვანე“ და სხვა იშვიათი ჯიშები ხიზაბავრის ტერასებზეა გაშენებული და როგორც სხვა ჯიშები, დაკვირვების პროცესს ჯერ კიდევ გადის...



ხშირად ღვინოს სხვადასხვა ჯიშის შერევით აკეთებენ და ამას თავისებური ხიზლი აქვს, ღვინო საინტერესო და გამორჩეული გემოს იღებს და უფრო დახვეწილი გამოდის. ამ ხერხს გიორგიც მიმართავს. ეს გადაწყვეტილება პრაქტიკული მოცემულობის შედეგაცაა, როცა მოსავალი იმხელა არაა, რომ ღვინო მხოლოდ ერთი ჯიშისგან დაყენდეს.



ტერასებზე რთველის დაბრუნება ამდენი წლის შემდეგ ისტორიული მოვლენაა. 2015 წელს გიორგი ნათენაძეს დაიწყო მესხური ტერასების აღდგენა და აღადგინა ისტორიული ხიზაბავრის დარიჯები, 12 ჰა. ფართობზე. ამ ეტაპისთვის აღდგენილია ისტორიული ტერასების მცირე ნაწილი, სადაც გაშენებულია 24 მოძიებული მესხური ვაზი და პირველი რთველიც 2018 წელს, 4 საუკუნის შემდეგ პირველად შედგა. მიუხედავად იმისა, რომ უკვე რამდენიმე წელი გავიდა, ვაზისთვის ეს დიდი დრო არაა, მაინც ახალი ეთქმის და მუდმივი დაკვირვებისა და მეთვალყურეობის პროცესშია ახლაც, მაგრამ მესხური ვაზის ჯიშები და მათგან დაყენებული ღვინოები იმდენად გამორჩეული და ინდივიდუალურია, რომ ბევრმა გაიცნო და ის უკვე მსოფლიო ბაზარზეც პოპულარული და ცნობილია. სამომავლოდ იგეგმება კიდევ რამდენიმე ჰექტარის გაშენება, სადაც სხვა აღდგენილი ჯიშებიც დაირგება და შესაბამისად, ახლა თუ ყველა აღდგენილი ჯიშისგან არ ჩამოისხმება ღვინო ბოთლებში გასაყიდად ადგილობრივ თუ საერთაშორისო ბაზარზე, არამედ მხოლოდ ნაწილი, სამომავლოდ ამ მიმართულებითაც იგეგმება გაფართოება. ისტორიული ტერასების, მესხური ვაზის ჯიშების აღდგენა, ამ ჯიშებისაგან ღვინის დაყენება ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართული ვაზის, ვენახის, ღვინის და ზოგადად ქართული კულტურისთვის...





Kristine Bebia
Independent scholar

General Review of the Meskhetian Restored Grape Species in Georgia and Issues Related to this Subject

Summary

Centuries ago viticulture was highly developed in Meskheta. This is evidenced by the old vine varieties preserved with the settlers and the unique winepresses carved into the stone. There were about three hundred grape varieties in Meskheta, which themselves and wines therefrom are standing out for their palatability. This could be “blamed” on the region's climate and it is also important that in this region vineyards were built on the terraces. The climate in Meskheta is cold and the cultivation of terraces is power efficient, the solar energy is penetrating better and the radiation is more equal. Basalt stones used for building terraces retain heat of the sun, keeping it even through the night, which is helping the grapes to ripe faster. In the winter in order to keep it from the frost the vineyard is tilted and dug in the ground till the spring. Due to the dry climate, the grapes were less prone to diseases,

thus they hardly ever needed the chemical treatment... At the end of the 16th century the last harvest was held on the Meskhetian terraces, when this area was burned, vines were cut down and viticulture and winemaking were banned. Centuries later, Meskhetian grape species studies, their research and reviving of the tradition is related to the name of Giorgi Natenadze, researcher of the rare grape species and viniculturist. He also searched for the varieties of Meskhetian grapes grown outside of Georgia and brought them back to Meskheta. One of them is "Tamar's vine" ...

At present only a small part of grape varieties (for example, "Tskhenis zudzus Tetri", "Bezhan", "Meskhetian Green" and others...) and a small part of the historical terraces have been restored, but it is planned to build several more hectares, where other restored varieties will be planted, which is a very important event for Georgian culture of vines, vineyards, wine (and culture in general)...

საფრანგეთის დიპლომატიური არქივის ცნობები ვიქტორ ლეტელიეს შესახებ

1801 წელს ცარისტულმა რეჟიმმა აღმოსავლეთ საქართველო გამოაცხადა რუსეთის იმპერიის გუბერნიად. ეს იყო სუვერენული სახელმწიფოს ანექსია, რასაც საქართველოში არაერთი სახალხო აჯანყება მოჰყვა. 1826-1832 წლებში საქართველოში მომზდდა ქართველ თავად-აზნაურთა შეთქმულება, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს გამოხსნას რუსეთის იმპერიის მარწუხებიდან. ცნობილია, რომ შეთქმულების ხელმძღვანელებსა და ორგანიზატორებს საერთაშორისო კავშირები ჰქონდათ ევროპის მოწინავე ქვეყნების წარმომადგენლებთან. პოლიტიკური და იდეოლოგიური თვალსაზრისით 1832 წლის შეთქმულება მოქცეულია იმ დროის ევროპაში (საბერძნეთი, სერბია, იტალია, პოლონეთი, ბელგია და ა. შ.) მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა საერთო კონტექსტში. „დასავლური სამყაროდან რამდენიმესაუკუნოვანი იძულებითი იზოლაციის შემდეგ 1832 წლის შეთქმულების ორგანიზატორებმა საქართველო ევროპული პროცესების „ველში“ შეიყვანეს და ამით იგი „ჩართეს გლობალური ხასიათის ისტორიულ პროცესში“ (კაციტაძე (1997) *ლიტერატურული საქართველო* 15-22, VIII, #33). ამათანავე, შეთქმულებას ჰქონდა **ფართო (კავკასიური) მასშტაბი და მიზანდასახულობა**. კარგად იყო ორგანიზებული, **გამოირჩეოდა ეთნიკური მრავალფეროვნებით** (აფხაზები, სომხები... ბორჩალოელი მუსლიმები..), იგი **მოიცავდა საქართველოს ყველა სოციალურ ფენას** (ბატონიშვილები, თავადაზნაურობა, სამღვდელოება, გლეხობა). სკრუპულოზურად იყო დამუშავებული აჯანყების გეგმა და, რომ არა ი. ფალავანდიშვილის გამცემლობა, შეთქმულების ინიციატორებსა და ორგანიზატორებს ჰქონდათ აჯანყების წარმატებით დასრულების სერიოზული შანსი (ჯოლოგუა, 2022: 272).

სამწუხაროდ, 1832 წლის ბოლოს შეთქმულება გამჟღავნდა და ყველა მონაწილე დააპატიმრეს. მის ხელმძღვანელებსა და ორგანიზატორებს თავდაპირველად მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა, თუმცა საბოლოოდ, ისინი რამდენიმე წლით გადაასახლეს რუსეთის სხვადასხვა გუბერნიაში და საბოლოოდ, შეიწყალეს და სამშობლოში დაბრუნების უფლებაც მისცეს. მიზეზი ამისა კი იყო შემდეგი: ა) ხელისუფლებას არ სურდა გამომჟღავნებულიყო რუსეთის პოლიტიკის მიმართ საყოველთაო და მწვავე უკმაყოფილება „ნებაყოფლობით“ შეერთებულ ქვეყანაში; ბ) რუსეთს არ უნდოდა დაეკარგა დომინანტური პოზიცია ჩრდილოეთ კავკასიაში გაჩაღებული ომის პლაცდარმად ქცეულ საქართველოში; გ) ნიკოლოზ I-ს გადაწყვეტილი ჰქონდა, კავკასიაში თავისი პოლიტიკის საყრდენად გადაექცია ქართველი თავადაზნაურობა და, აქედან გამომდინარე, სურდა ურთიერთობა ჰქონოდა **არა დასჯილ**,

არამედ შეწყალებულ ფენასთან. ამიტომ საგამომძიებლო კომისიამ საქმე ისე წარმართა, თითქოს შეთქმულები ებრძოდნენ არა ზოგადად პოლიტიკურ სისტემას, არამედ უკმაყოფილონი იყვნენ ადგილობრივი (რუსული) მმართველობის ადმინისტრაციული პოლიტიკით (ჯოლოგუა, 2022: 275).

საქართველოს ეროვნულ არქივში უხვადაა მასალა, რომლის მიხედვითაც დასტურდება, რომ შეთქმულების ინიციატორებსა (დიმიტრი და ოქროპირ ბატონიშვილები) და ორგანიზატორებს (თამარ ბატონიშვილი, ელიზბარ ერისთავი, ალექსანდრე ორბელიანი, სოლომონ დოდაშვილი) ინტენსიური კავშირები ჰქონდათ ინგლისისა და საფრანგეთის პოლიტიკურ და დიპლომატიურ წრეებთან, აგრეთვე, ირანის ხელისუფლებასთან, ოსმალეთის საელჩოსა და ეგვიპტის ფაშა მუჰამად ალისთან. შეთქმულებაში ჩართულნი იყვნენ თბილისში მცხოვრები პოლონელები (ძმები პეტრე და მათე ზავილეისკები და სხვ., აგრეთვე, 1830-1831 წწ. პოლონეთის წარუმატებელი აჯანყების შემდეგ თბილისში გადმოსახლებული მონაწილეები) (ჯოლოგუა, 2022: 260).

ქართველი შეთქმულები სასამართლო ჩვენებებში ხშირად ასახელებენ ამ პერსონებს. მათ შორის, საქართველოში საფრანგეთის საკონსულოს მდივან ფრანგ ვიქტორ ლეტელიეს, როგორც „ფარული საზოგადოების“ აშკარა მონაწილეს (გოზალიშვილი, 1935: 45-46). ვიქტორ ლეტელიეს რუსეთსა და საქართველოში ინტენსიური კონფიდენციალური ურთიერთობა ჰქონდა შეთქმულების ინიციატორებთან: დიმიტრი და ოქროპირ ბატონიშვილებთან, აგრეთვე, ფარნაოზ ბატონიშვილთან, ალექსანდრე ჭავჭავაძესთან, გიორგი რევაზის ძე ერისთავთან, დიმიტრი ორბელიანთან და სხვ.; „მას კავშირი ჰქონდა აგრეთვე მარი ბროსესთან. სხვათა შორის, მარი ბროსეს მიერ 1830 წელს პარიზში გამოცემული ე. წ. „პარიზის ქრონიკის“ ხელნაწერი სწორედ ლეტელიემ გადასცა მ. ბროსეს (ხანთაძე, 1996: 20). დღემდე მიჩნეული იყო, თითქოს შეთქმულების გაცემისას ვ. ლეტელიე იმყოფებოდა პეტერბურგში და დაუყოვნებლივ დატოვა რუსეთი და სამშობლოში დაბრუნდა. შესაბამისად, საგამომძიებლო კომისიამ მისი დაკითხვა ვერ შეძლო.

ვიქტორ ლეტელიეს მონაწილეობას შეთქმულებაში არსებული ჩვენებებისა და აქტების მონაცემების მიხედვით ასაბუთებენ და იზიარებენ ქართველი მეცნიერები: გიორგი გოზალიშვილი, მაქსიმე ბერძნიშვილი, აბელ კიკვიძე, ილია ტაბაღა, თამაზ ჯოლოგუა, დიმიტრი შველიძე, როსტომ ჩხეიძე, აკაკი სურგულაძე და სხვები.

დღეისათვის ვ. ლეტელიეს შესახებ არსებული ცნობები მეტად მწირია. უცნობია მისი დაბადება-გარდაცვალების თარიღიც კი. (სხვათა შორის, ინფორმაცია მის შესახებ არც ფრანგულ ვიკიპედიაში იძებნება).

ჩვენი კვლევის მიზანია შევისწავლოთ:

1. ვიქტორ ლეტელიეს ბიოგრაფია და მისი კავშირები 1832 წლის შეთქმულებასთან.
2. საფრანგეთთან ქართველ შეთქმულთა კავშირების ობიექტური მიზეზები.
3. საფრანგეთის ხელისუფლების რეალური მიზნები საქართველოსთან დაკავშირებით.

კვლევისას ვიყენებთ წყაროთმცოდნეობით, დედუქციის, ბიოგრაფიულ, ისტორიულ-შედარებით მეთოდებს.

ვინ არის ვიქტორ ლუი ლეტელიე, რა ცნობები გვქონდა დღემდე მისი პიროვნების შესახებ და რა ახალი ინფორმაციის მოძიება შევძელით.

2022 წლის დეკემბერში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის („ევროპეიზმის სათავეებთან- ალ.ორბელიანის თხზულებების აკადემიური ოთხტომეულის გამოცემა“) ფარგლებში სამეცნიერო მივლინებით ვიმყოფებოდით საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიურ არქივსა და პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში. მივლინებისას მივაკვლიეთ რამდენიმე საინტერესო დოკუმენტსა და წიგნს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი ხდება ვიქტორ ლეტელიეს ბიოგრაფიის მნიშვნელოვნად დაზუსტება, მისი როლისა და მისიის განსაზღვრა 1832 წლის შეთქმულებაში და ზოგადად, საფრანგეთის პოლიტიკაში.

არსებული და ახლადმიკვლეული წყაროების მიხედვით ცნობილია, რომ იგი იყო „პარიზის აზიური ასოციაციის“ წევრი. მწერალი, რედაქტორი, მთარგმნელი, მოგზაური, ბიბლიოფილი, პოლიგლოტი, აღმოსავლეთმცოდნე, პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიურ არქივში დაცული ვ. ლეტელიეს პირადი დოკუმენტებისა და მისი მოხსენებითი ბარათების მიხედვით ვეცნობით მას, როგორც დიპლომატსა და პოლიტიკურ ანალიტიკოსს. შეგვიძლია ვისაუბროთ საქართველოში საფრანგეთის მთავრობის მიზნებზე.

პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში იძებნება მისი რედაქტორობით გამოცემული გაზეთები: 1). „L'Artisan“ პარიზის მუშა მონიტორი და დეპარტამენტები, ინდუსტრიული, კომერციული, ლიტერატურული, თეატრალური და სარეკლამო ფურცელი, რომელიც სპეციალურად ეძღვნება მუშათა კლასს, მისი ინტერესების დაცვას და მდგომარეობის გაუმჯობესებას (მთავარი რედაქტორი M. Victor Letellier, გაზეთი გამოდიოდა 15.09. 1842 - 12.01.1843.) 2). მოქალაქე ვიქტორ ლეტელიეს "l'Impitoyable"-ს დამფუძნებელი-მთავარი რედაქტორის პირველი წერილი გენერალ კავენიას (ჟურნალი გამოვიდა 1848 წ. სექტემბერს).

როგორც ჩანს, იგი ასევე, თარგმნიდა და ბეჭდავდა საცნობარო, სამოგზაურო, სათავგადასავლო და სხვადასხვა ჟანრისა და თემატიკის ნაწარმოებებს: 1) იგავ-არაკთა რჩეული თარგმნა თურქულ ენაზე კონსტანტინოპოლის ეფენდის მიერ და გამოცემული ფრანგული ვერსიით... ლ. ვიქტორ ლეტელიე 1826 წელს; 2) „აღმოსავლური, ფრანგულ-იტალიური, არაბული, თურქული და ბერძნული ლექსიკა... ლ.-ვიქტორ ლეტელიე, ... 235 გვ. 1838 წ; 3) „დამფუძნებელი კრება“, სატირა, ლ.-ვიქტორ ლეტელიე 1849; 4) გზამკვლევი „ერთი წელი დიუნკერკში“: სახელმძღვანელო ყველასთვის / ლ. ვიქტორ ლეტელიე, 1850; 5) „წერილები ჩემს ქალიშვილს ინგლისის ისტორიის შესახებ, ლექსში და პროზაში“ 1858; 6) სახელმძღვანელო-გზამკვლევი პრაქტიკული კოლოდიონური ფოტოგრაფიისთვის ავტორი L.-V. ლეტელიე 1860 და სხვ.

ვიქტორ ლეტელიე ბიბლიოფილიც ყოფილა, ამაზე მიუთითებს მისი გამორჩეული ინტერესი ძველი ქართული ხელნაწერი წიგნების მიმართაც. როგორც ცნობილია, იგი ფლობდა ძველი ქართული გამოცემებისა და ხელნაწერების მდიდარ კოლექციას (ამ კოლექციიდან რამდენიმე ხელნაწერი ამჟამად პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაშია

დაცული. მათ შორისაა 1782 წ. დავით რექტორის მიერ გადაწერილი „ომანიანი“, იოანე იალღუზისძის მიერ 1812 წ. გადაწერილი სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი. ეს ხელნაწერები აღწერილია ექვთიმე თაყაიშვილის მიერ 1933 წ. პარიზში გამოცემულ წიგნში „პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და 20 საიდუმლო დამწერლობის ნიმუში“).

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტორს დიპლომატიურ არქივში დაცული ვიქტორ ლეტელიეს პირადი საქმის #2603 მეშვეობით ვიგებთ ინფორმაციას მისი წარმომავლობის, დაბადების თარიღის, საქართველოში კონსულად დანიშვნის და მოღვაწეობის შესახებ.

კონსულ გამბას 1826 წლის 13/15 ივლისის ერთი წერილის მიხედვით ვიქტორ ლეტელიე 1797 წ. დაბადებულა. წარმომავლობით იგი ყოფილა გრაფის ოჯახიდან. განათლება მიუღია სამართლისა და სანოტარო საქმის მიმართულებით და ფლობდა აღმოსავლურ ენებს. 1826 საქართველოში საფრანგეთის კონსულის ჟაკ ფრანსუა გამბას რეკომენდაციით დაინიშნა კანცლერად. კონსტანტინეპოლის გავლით გაემგზავრა ჯერ ოდესაში, შემდეგ ჩამოვიდა საქართველოში და 1827 წლიდან დაიწყო მუშაობა თბილისში საფრანგეთის საკონსულოში კანცლერად.

ლეტელიემ კარგად იცოდა ქართული ენა, შეადგინა „ფრანგული გრამატიკა ქართულად ახსნილი“, რომელიც განკუთვნილი იყო ქართულ სკოლებში სახმარად. ლეტელიე წიგნის წინასიტყვაობაში წერს, რომ მან იგი თავდაპირველად ფრანგულად შეადგინა, შემდეგ მისმა თანამშრომელმა ახალგაზრდა ქართველმა გადააკეთა, ხოლო სხვა ქართველებმა შეამოწმეს რამდენად ნათლად იყო გადმოცემული აზრი. ლეტელიემ ჯერ კიდევ პეტერბურგში ცოლად შეირთო მადამ რავერჟი, რომელიც ადრე ასწავლიდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ბავშვებს (სეა, ფ. 1457, რგ.XVI, ა.2922).

1829 წელს ლეტელიემ ითხოვა საკონსულოში ვიცე კანცლერის პოზიცია, თუმცა როგორც ჩანს, ეს თხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული.

1830 წლის 6 სექტემბერს ლეტელიეს მიუმართავს პარიზში სახელმწიფო მდივნისთვის და სამსახურიდან გათავისუფლება უთხოვია. მიზეზად ასახელებდა იმ შეუფერებელ პირობებსა და ფინანსურ შეჭირვებას, რაც მას დახვდა საქართველოში. ლეტელიე ამ ხნის განმავლობაში მდივნის პოზიციასთან ერთად ასრულებდა თარჯიმნის მოვალეობასაც ამ ქვეყნის რამდენიმე ენაზე. გამბას დავალებით დახმარებია ფრანგ მკვლევრებს, ასევე, ლორდებს: შვეიცერსა და მილიოტს, თუმცა სამწლიანი სამსახურის (ორჯერ იმეორებს ჯ. გ.) სანაცვლოდ მხოლოდ 30 ვერცხლი მიუიღია. იგი უკმაყოფილოა კონსულ გამბასი, გამოჩენილი უმადურობისა და უსამართლობის გამო. ძალიან ემადლიერება საქართველოს გენერალურ გუბერნატორს (იგულისხმება ზავილესკი ჯ. გ.).

როგორც ჩანს, მისი თხოვნა დააკმაყოფილეს, რადგან 1840 წლის 1 სექტემბერს გაცემულ ცნობაში მითითებულია, რომ ვიქტორ ლეტელიე 1827-1830 წწ. ასრულებდა საფრანგეთის საკონსულოს კანცლერის მოვალეობას. 1840 წლის 31 აგვისტოს გაცემული ცნობით კი დადასტურებულია, რომ 1827-1830 წწ. არქივში არსებული დოკუმენტაცია წარმოებულია

კანცლერ ვიქტორ ლეტელიეს მიერ და ინახება საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს კანცელარიაში.

ამრიგად, საარქივო მონაცემების მიხედვით შესაძლებელი ხდება, რომ დაზუსტდეს მეცნიერთა შორის არსებული აზრთა სხვადასხვაობა, დგინდება, რომ ვიქტორ ლეტელიე საქართველოში საფრანგეთის საკონსულოს მდივნად მუშაობდა **1827-1830 წწ.**

ბუნებრივად ჩნდება კითხვა, სად მოღვაწეობდა შემდგომ წლებში ვიქტორ ლეტელიე და ნამდვილად ჰქონდა თუ არა კავშირი ქართველ შეთქმულებთან?

ქართველი მეცნიერები ერთხმად აღიარებენ, რომ **ვიქტორ ლეტელიეს** ურთიერთობა ჰქონდა (პირადად იცნობდა, ან უსაუბრია) ქართველ შეთქმულებთან. ეს მოსაზრება ცალსახად ემყარება 1832 წლის **შეთქმულთა ჩვენებებს**, რომლებიც ინახება საქართველოს ეროვნული არქივის საცავებში, ფონდი # 1457. 26 წიგნში დაცულია შეთქმულთა დაკითხვის ოქმები. ეჭვიმტანილთა მიერ მიცემული ჩვენებების მიხედვით ირკვევა, საქართველოში საფრანგეთის საკონსულოს მდივნის კავშირი შეთქმულებთან. დავიმოწმებთ რამდენიმე მათგანს.

გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენებიდან: „...მე პეტერბურგში ჩამოსულმა ვნახე იგი პირველად ფარნაოზ ბატონიშვილთან...ბატონმა **ლეტელიემ**, გაიგო რა რომ მე საქართველოში მივდივარ, მთხოვა ორი თუ სამი წერილის წამოღება თ. ალ. ჭავჭავაძესთან, რომლებიც მე დანიშნულებისამებრ ჩავაბარე... **ლეტელიემ** დაიწყო, რომ საქართველო ასე გაუნათლებელი არასოდეს არ ყოფილა როგორც ეხლა, მთავრობა არ ცდილობს მის განათლებას და მისი მდგომარეობის გაუმჯობესებას. იგი ამჟამად საშინელ მდგომარეობაშია, რადგან დაჩაგრულიაო. როგორც მახსოვს თქვა აგრეთვე, რომ აბა გადახედეთ, ფრანგები როგორ ცდილობენ გაუმჯობესებას, ალჟირის ყველა კუთხეში მოწყობილია უნივერსიტეტები, სასწავლებლები და ყველაფერი, რაც კი საჭიროა, მის განათლებლად. ბოლოს აღწერა საქართველო შავ ფერადებში — სწორედ არ მახსოვს როგორ ლაპარაკობდა, კიცხავდა რუსეთის მთავრობას...“ (სეა, ფ.1457, რგ.IV, ა. 584).

მისივე სხვა ჩვენებით „**1832 წელს მაისში ბ. ლეტელიე** ფარნაოზ ბატონიშვილთან მხოლოდ ერთხელ იყო“.

დიმიტრი ორბელიანის ჩვენებით „დიდხანს გველაპარაკა **ლეტელიე** - მე ქართულად, გიორგი ერისთავს კი ფრანგულად და საქართველოს შესახებ გვითხრა, რომ მთავრობა მას უსამართლოდ ეპყრობა, არ ცდილობს არაფრით მის განათლებას და ერთი სიტყვით, სურს მისი დაქვეითება, რის გამოც საქართველო უნდა ეცადოს თავი გაინთავისუფლოს და ფრანგები კეთილი ხალხია და უშველიან ფულითა და ყოველგვარი საშუალებითა“ (გოზალიშვილი, 1970, გვ.485).

ალ. ჭავჭავაძე: „**ფრანგი ლეტელიე** გავიცანი 1829 წ. ტფილისში, მისი შეთქმულებაში მონაწილეობის შესახებ არაფერი არ ვიცი. მე მას ძალიან იშვიათად ვნახულობდი. 1830 და 1831 წლებში ის რამდენჯერმე იყო ჩემთან, მაჩვენებდა თავის ქართულ დიალექტზე თარგმანებს“ (გოზალიშვილი, 1835: 45-47).

სწორედ შეთქმულთა ამ ჩვენებების საფუძველზე დასძენს **გიორგი გოზალიშვილი:** „**მერვე ჯგუფში:** „ვიხედაც შეიძლება იჭვის მიტანა, რომ მათ ან იცოდნენ შეთქმულების ამბავი, ან მას თანაუგრძობდნენ, საფრანგეთის **საკონსულოს მდივნის ლეტელიეს მონაწილეობა...ეჭვს**

გარეშეა“ (გოზალიშვილი, 1935: 38) ... „ყოფ. ტფილისის საფრანგეთის საკონსულოს მდივანს ლეტელიეს ქართველთა შეთქმულებაში თვალსაჩინო ადგილი ჰქონია. ის დაკითხული არა ყოფილა, რადგან შეთქმულების გამომყვანებისთანავე სამშობლოში წავიდა... ვიდრე დაარსდებოდა ს.პეტერბურგის კომისია და ჯერ არ დაბრუნებულა რუსეთში, (ლეტელიემ უთუოთ შეიტყო თბილისში შეთქმულების გამყვანება და თავს უშველა დროულად საზღვარგარეთ წასვლით (გოზალიშვილი, 1976: 206).

მ. ბერძნიშვილის ცნობით ლეტელიე 1832 წელს პეტერბურგში იყო: ამის შესახებ როზენი ატყობინებს ჩერნიშევს. „აქ მყოფი ფრანგების შეთქმულებაში მონაწილეობაზე იმ შემთხვევაში შეიძლება ლაპარაკი, თუ აღმოჩნდებოდა რაიმე საეჭვო **ფრანგ ლეტელიეზე**, კონსულ გამზასთან რომ იყო, ჯერჯერობით მასზე ვიცით მხოლოდ კორნეტი გიორგი ერისთავის და პრაპორშჩიკი დიმიტრი ორბელიანის განცხადებები იმის შესახებ, რომ ისინი რამდენჯერმე შეხვდნენ ლეტელიეს და ებაასნენ პეტერბურგში. (ბერძნიშვილი, 1983: 80) ფ. OBD, ს. 163. ფ. 135).

ილია ტაბაღუას ცნობით „...ექვსი წლის განმავლობაში ვიქტორ ლეტელიე წარმატებით ეუფლებოდა ქართულ ენას და აქტიურად მუშაობდა საკონსულოს საქმეებზე, ასევე ეცნობოდა საქართველოს. 1832 წელს თბილისში მოეწყო ანტირუსული შეთქმულება, მასთან დაკავშირებული იყო ვიქტორ ლეტელიე, იგი შემთხვევით გადაურჩა დაპატიმრებას. მოასწრო საქართველოდან თავის გარიდება (ტაბაღუა, 1996: 162).

თამაზ ჯოლოგუას მოსაზრებით „დოკუმენტური წყაროების მიხედვით, ლეტელის აქტიური კონფიდენციალური ურთიერთობა აქვს შეთქმულებთან როგორც საქართველოში, ისე რუსეთში“ (ჯოლოგუა, 2022: 265).

ამრიგად, ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტური ცნობების მიხედვით, ირკვევა, რომ ვიქტორ ლეტელიე საქართველოში 1832 წელს სამსახურებრივ მოვალეობას აღარ ასრულებს, თუმცა ამავე ცნობებითა და შეთქმულთა ჩვენებებით დგინდება, რომ მას ფარული კავშირები და შეხვედრები აქვს ქართველ შეთქმულებთან. თანაუგრძნობს მათ და ამხნევეს. გარდა ამ ზეპირი ურთიერთობისა, მეტად საგულისხმოა დიპლომატიურ არქივში დაცული ის სამი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც დგინდება, რომ ვიქტორ ლეტელიე ამ ხნის განმავლობაში დროს უქმად არ კარგავს და იგი საფუძვლიანდაც ეცნობა ამიერკავკასიაში საქართველოს, ლაზეთის, სომხეთის, ასევე, სპარსეთის, ოსმალეთისა და რუსეთის ისტორიას. მეტიც, მოგზაურობს იქ, რის შემდეგაც განუზრახავს საგანგებოდ წიგნის გამოცემა და სწორედ ამისთვის **1838 წელს ვ. ლეტელიე** ითხოვს შუამდგომლობას საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტორს არქივების დირექციასთან, რათა მისცენ ნება იმუშაოს იქ არსებულ სხვადასხვა დოკუმენტებზე, რომლებიც ეკუთვნის საფრანგეთის საელჩოს სპარსეთში და პირიქით, სპარსეთის საელჩოს საფრანგეთში. როგორც იგი მიუთითებს, სპარსეთთან საფრანგეთის პირველი ურთიერთობები იწყება ლუი XIV - ისა და ნაპოლეონის პერიოდში. ითხოვს, რომ მისცენ ნაშრომის დასრულების საშუალება და სდებს პირობას, რომ ნაშრომის გამოცემისას დიდ სიფრთხილესა და წინდახედულებას გამოიჩინოს და და გამოცემამდე გააცნობს დირექტორატს.

იმავე, 1838 წლის 10 სექტემბერს, იგი მიმართავს გრაფ კომიტეს, აცნობებს რომ ასრულებს ნაშრომს, რომლის გამოცემას აპირებს მომავალში (ანგარიში ჩემი მოგზაურობის შესახებ აზიაში, ლაზეთში, თურქეთსა, სპარსეთში და საქართველოში).

მართლაც, 1840 წელს პარიზში გამოიცა წიგნი „მოგზაურობა და მარშრუტი კონსტანტინეპოლში, ლაზეთს შორის, საქართველოში, სპარსეთისა და რუსეთის ნაწილში 1826 წლიდან 1833 წლამდე ლუი ვიქტორ ლეტელიეს მიერ, წიგნი I, 440 გვერდი.

ამრიგად, ვიქტორ ლეტელიე 1830 წ. მართლაც გათავისუფლდა საკონსულოს მდივნის მოვალეობიდან, თუმცა მისი დიპლომატიური მისია კავკასიასა და რუსეთში ამით არ დამთავრებულა. გარდა იმისა, რომ იგი მოგზაურობს და სწავლობს ამ ქვეყნების ისტორიას და მათ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ყოფას, რაც კარგად ჩანს ამ წიგნიდანაც, იმავედროულად, საგანგებო მოხსენებით ბარათებსაც აგზავნის საფრანგეთში.

რისი იმედი ჰქონდათ ქართველ შეთქმულებს ევროპისგან?

ჩვენების მიხედვით შეთქმულები აპირებდნენ დახმარების თხოვნით მიემართათ საფრანგეთის, ინგლისის მთავრობებისათვის. როგორც ჩანს, რუსეთში მცხოვრებ ოქროპირ და ფარნაოზ ბატონიშვილებს საიმედო კავშირები ჰქონდათ ევროპაში და, აჯანყების გამარჯვების შემთხვევაში, იმედოვნებდნენ საფრანგეთიდან ისეთი პირების მოწვევას, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებას მმართველობის სისტემის გამართვაში დაეხმარებოდნენ.

ფილადელფოს კიკნაძის ჩვენებით: „ოდეს იყო საქართველოსა... მეფის ძე ოქროპირ გამომიცხადა მე ჰაზრი საქართველოსა შინა მეფობის აღდგენისა, რომელ უკეთუ საქართველოსა შინა მოხდების რაიმე აღრეულობა ანუ წინააღმდეგობა, მაშინ ხელმწიფე როსიისა დაუტევებს საქართველოსა“. **ალ. ორბელიანის იხსენებს:** ზაქარია ჩოლაყოვმა მითხრა: ალექსანდრეო, ეხლა მოსკოვში რომ ვიყაო, ოქროპირ ბატონიშვილთან ლაპარაკი მქონდაო, რომელიც ემზადება ფრანციაში წასასვლელად, იქიდგან ჯარს მოიყვანს შავი ზღვითაო ფრანციელებისასაო, და მაშინ ადვილათ განთავისუფლდებითო... ესეც ბევრჯელ უთქომს ჩემთვის: ჩემი ძმა ალექსანდრეც აპირებს ფრანციაში წასვლასო საქართველოს თავისუფლებისათვისაო (გოზალიშვილი, 1935: 61). **ალ. ორბელიანის** ჩვენებითვე ირკვევა, რომ „1831-სა განზრახვა გვქონდა წინადადებითა თამარ ბატონიშვილისათა, მე ჩემი ცოლშვილით, ელიზბარ, და გიორგი დავითის ძეთ ერისთოვთ, და ჩემ ძმას ვახტანგ, რათა უნდა წავსულიყავით იერუსალიმის სახელზე ხელმწიფე იმპერატორის ნებითა, და **ოსმალის სამმღვარში** რომ უნდა შევსულიყავით, მაშინ ჩვენთაგანი ერთ-ერთი რომელიმე ალექსანდრე ბატონიშვილთან უნდა წასულიყო, ის ჩვენთან მოეყვანა და შემდეგ სწორეთ იერუსალიმს უნდა მივსულიყავით, იქ ქრისტეს საფლავს თაყვანი უნდა გვეცა, და იქიდგან, ფრანციას პარიჟში უნდა მივსულიყავით, იქიდგან გვსურდა, და განძრახვა გვქონდა, რომ ანგლიაში გაგვეგზავნა ვინმე, და ჩვენი მისვლა პარიჟში ეცნობებინა. _ შემდეგ ჯერ აქ, **პარიჟში**, უნდოდათ ეჩივლათ, რომ უსამართლოდ არის წართმეული საქართველო ბაგრატიონთაგან. _ შემდეგ **ანგლიაში** უნდა გავსულიყავით, და იქაც ისე უნდა შეგვეჩივლა, მასკვან **ავსტრიაში** უნდა გამოვსულიყავით და იქაც ეგეთივე უნდა შეგვეჩივლა, ყველგან შემწეობა უნდა გვეთხოვნა, რომ თავიანთი მამული ისევე დაჰბრუნებოდათ, ესე იგი საქართველო, და განეთავისუფლებინათ რუსებიდგან“...ოდესცა საქართველოში აღრეულობა მომხდარიყო, და

იქ ოქროპირ ბატონიშვილს შეეტყო, რითაც ღონით უნდა ყოფილიყო, ფრანციაში უნდა წასულიყო, და იმას იქიდგან ესაქმა. ეს გარემოება დოდაევმა მითხრა: თუ აქ მოხდა რამეო, ოქროპირ პარიჟში წავაო“ (სეა . ფ.1457, რვ. 8. ა.1441-1444.) აგრეთვე, (ორბელიანი, 2023: 76).

თამარ ბატონიშვილს ურჩევია: „ფრანციაში ერთ-ერთი დიდი კაცი ვინმე გაგზავნეთ, რომ ეს აღრეულობა გამოუცხადოსო, და შემწეობა სთხოვოს საქართველოს მაგიერათაო, ესეც სთხოვოს, რომ რამთენიმე ჭკვიანნი კაცნი გამოგზავნონ აქ, საქართველოში, რადგანც აქ დიახ ცოტა ჭკვიანნი კაცნი გვყვანანო. ისინი იქიდგან რომ მოვლენ, მაშინ ის ფრანციელები დიახ კარგათ დაწყობენ საქართველოში რიგსაო“ (გოზალიშვილი, 1935: 87).

ამრიგად, 1832 წლის შეთქმულების ინიციატორთა და ორგანიზატორთა კავშირები უცხოეთის პოლიტიკურ და დიპლომატიურ წრეებთან მკაფიოდ მიუთითებს მათს ევროპულ ორიენტაციასა და სურვილზე, გამარჯვების შემთხვევაში (რისთვისაც ისინი ევროპაში მოკავშირეებს ეძებდნენ) მათი დახმარებით ჩამოეყალიბებინათ სახელმწიფოებრივი მოწყობის ევროპული მოდელი – კონსტიტუციური მონარქია.

რამდენად რეალური იყო შეთქმულთა მოლოდინები და რა ინტერესი ჰქონდა საფრანგეთს საქართველოსთან დაკავშირებით?!

ვფიქრობთ, ამ კითხვაზე ყველაზე ზუსტ პასუხს იძლევა ვიქტორ ლეტელიეს მიერ 1833 წელს დაწერილი მოხსენებითი ბარათი სპარსეთის შესახებ „Mémoire sur la nécessité d'établir des relations commerciales avec la Perse par V. Letellier. – 43MD/36. — (RUSSIE, 1.) – 1830-1832.

1833 წლის დამლევს ვიქტორ ლეტელიემ მიმართა საფრანგეთის პერის, ბავარაში მეფის მინისტრს, ბატონ დე ბურგონის მისი თხოვნის პასუხად მოხსენებითი ბარათით. (მოხსენებითი ბარათის შინაარსია: რუსული და ინგლისური პოლიტიკის შესახებ ამ მხარეში. საფრანგეთის ინტერესები ამ მხარესთან კავშირის დამყარების საქმეში. რუსული მმართველობა საქართველოში და სამხედრო ძალები, რომელნიც მას ძალუმს იყოლიოს ამ მხარეში“ (წერილი თარგმნილია ილია ტაბალუას მიერ (ტაბალუა, 1996: 164-184).

როგორც მოხსენებიდან ირკვევა, კონსულმა გამბამ საფრანგეთის მთავრობას შესთავაზა დიდი სავაჭრო გაერთიანების შექმნა, რომელიც რუსეთთან კონკურენციის გზით მიზნად დაისახავდა ხელთ ეგდო მთელი ვაჭრობა სპარსეთთან და შუა აზიასთან. როგორც ლეტელიე წერს, ეს განზრახვა იმთავითვე განწირული იყო მარცხისთვის, რადგან აზიისკენ ორი მიმართულებით აქვს რუსეთს ვაჭრობა: 1).ასტრახანის და 2. „საქართველოს გზით, ამიერიდან სწორედ აქედან უფრო იღწვის რუსეთი აზიისკენ და საფუძვლიანად აქვს განზრახული ხელში მოიგდოს იქაური ვაჭრობა“ (ტაბალუა, 1996: 166).

ლეტელიე თანმიმდევრულად ხსნის აზიის საჭიროებებს და მიიჩევს, რომ რუსეთი ბოლო წლებში საკმაოდ გაძლიერდა ამ მხრივ, ამიტომაც: „საფრანგეთის ვალია თანმიმდევრულად გაადევნოს თვალი ამ იმპერიის მოქმედებას არა მარტო ევროპაში, სადაც მისი წინსვლა აწყდება რა წინააღმდეგობებს, ყოველთვის უფრო ნელი და შეფერხებული იქნება, არამედ ყველგან, სადაც კი ის მიწის თუნდაც მცირე ნაგლეჯს ფლობს: აზიაში, სადაც ყოველდღიურად იზრდება მისი ტერიტორია და გავლენა, სპარსეთში, სადაც რუსეთი უკვე თავისი კანონების მოკარნახე ჩანს“ (იქვე:167).

როგორც კავკასიის მოსაზღვრემ, მან (რუსეთმა ჯ. გ.) გადაწყვიტა დაეპყრო აზია და კავკასია. მისი მთები უძლურნი აღმოჩნდნენ, ვერ შეაკავეს იგი. დერბენდი და ბაქო დაიკავეს, თვით გილიანი და მაზანდერაც პეტრეს დაემორჩილნენ... **საქართველოს სამეფოსაც ბოლო მოეღო ... იგი მფარველს ეძებდა და ბატონი კი იპოვა.**“ შემდეგ ლეტელიე აღწერს, როგორ მიიერთა რუსეთმა საქართველოს და სომხეთ-აზერბაიჯანის ტერიტორია. ვარაუდობს, რომ რუსეთი უახლოეს მომავალში შეეცდება არზრუმისა და თავრიზის ხელში ჩაგდებას და მიიჩნევს, რომ „**მხოლოდ ევროპის პოლიტიკას შეუძლია ამის გადავადება და შესაძლოა აღკვეთაც კი**“, ამიტომაც საფრანგეთის ინტერესს უნდა წარმოადგენდეს, მეტიც, მისი როგორც **დიდი სახელმწიფოს, ღირსების საქმეც არის, რომ ამიერიდან სპარსეთის საქმეთაგან გამდაგრი არ იყოს და იყოლის იქ თვითმხილველი მეთვალყურე**“. ლეტელიე მიიჩნევს, რომ ევროპაში არასრული ცნობები აქვთ დედამოწის ამ ნაწილში მიმდინარე ვითარების შესახებ. რომ არა საფრანგეთის საკონსულო თბილისში, შესაძლოა აზიაში ამ ომების შესახებ ვერაფერი შეეტყვოთ და მისი შედეგებიც ვერ შეემჩნიათ, ევროპისთვის უცნობია რუსეთის მიზნები და მისი მომავლის პოლიტიკა. თვით საქართველოსაც კი, რომელსაც 30 წელია მეტი რუსეთი მართავს, ზოგი სპარსეთს მიაკუთვნებს და ზოგიც თურქეთს.

იგი აფრთხილებს საფრანგეთის მთავრობას, რომ მალე დადგება დრო, როცა აზიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენები მოხდება და რომ რუსეთი ერთპიროვნულად დაეუფლება მთელი აზიის სავაჭრო არეალს. ამიტომ საფრანგეთი განზე არ უნდა გაუდგეს საკითხს, რომელიც მისგან თითქოს შორსაა, მაგრამ ამავე დროს, უშუალოდ ეხება მას, ამიტომ ურჩევს, რომ სპარსეთში იყოლიონ წარმომადგენლობა, რომელიც მუდმივად საქმის კურსში იქნება.

ევროპას დღემდე ბუნდოვანი ცნობები აქვს საქართველოში რუსული მმართველობის, მისი სამხედრო ძალების, ადმინისტრაციისა და პოლიტიკის შესახებ. ასეთივე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ხალხზე, რომელსაც მართავენ და ხალხზე, რომელიც მართავს მათ.

ლეტელიე იმასაც აცნობებს, რომ კავკასია მრავალეთნიკური დასახლებაა, რომლის მართვა განუვითარებელმა რუსეთმა იკისრა. საქართველო თვითონ უნდა ყოფილიყო ცივილიზაციის მიმცემი და განა რუსეთი გამოდგებოდა ასეთი საქართველოსთვის? მაგრამ **რუსეთი ბატონობს, ხალხი ემორჩილება!** ლეტელიეს დაკვირვებით, საქართველოსთვის ამჟამად წარსულზე მეტადაა აუცილებელი დახელოვნებული მმართველობა. შემდეგ იგი ვრცლად საუბრობს რუსეთის გახსნილ მადაზე აზიის ქვეყნების მიმართ და მის რეპუტაციაზე ევროპაში. აცნობებს მინისტრს, რომ რუსეთი ყოვლად არასაიმედო პარტნიორია, რომ მან უტიფრად დაარღვია 1821 წელს მიღწეული შეთანხმება ოდესის თავისუფალ ნავსადგურად აღიარების შესახებ. ამ სახელმწიფოსთან რაიმე სავაჭრო ხელშეკრულების დადება შეუძლებელია, მისი თვითნებობის, შარიანობის, განცალკევებულობისადმი მიდრეკილების გამო. ის დარწმუნებულია, რომ შეუძლია ევროპის დანარჩენ ნაწილთან ურთიერთობის გარეშეც იოლად გავიდეს.

საბოლოოდ, ვ. ლეტელიე დასძენს, რომ „ამ ვითარებიდან გამომდინარე, თუ ოდესმე ჩვენი ვაჭრობისთვის საქართველოს გზაზე სამუდამოდ უარის თქმა დაგვჭირდება, ჩემი აზრით, ერთადერთი გზა, ეს არის გზა მიმავალი სპარსეთში ტრაპზონზე და არზრუმზე გავლით. რაც მარსელიდან 20-25 დღეს არ აღემატება“.

ეს მოხსენება ვრცელ ანალიზს წარმოადგენს იმდროინდელი სპარსეთის სახელმწიფო სისტემის, მისი კულტურის, პოლიტიკის შესახებ. ლეტელიეს მიაჩნია, რომ სპარსეთი ბევრად ევროპული ქვეყანაა, ვიდრე თურქეთი. საბოლოოდ, მისი ხედვა ასეთია: “საფრანგეთს გამიზნული უნდა ჰქონდეს ახალი და ფართო ურთიერთობანი. ყველაზე უფრო ხელსაყრელი და ხანგრძლივი ურთიერთობის დამყარება უზრუნველყოფილია სპარსეთთან.”

ამრიგად, როგორც ამ მოხსენებიდან ირკვევა, ევროპის, და ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საფრანგეთის ინტერესს საქართველოს მიმართ, უპირველს ყოვლისა, განსაზღვრავს მაშინდელი გეოპოლიტიკური მდგომარეობა. კერძოდ, როგორც ვ. ლეტელიე ურჩევს თავის ხელისუფლებას, საფრანგეთი უნდა დაინტერესდეს, რომ ადგილი მოიპოვოს აზიის ვრცელ სავაჭრო ბაზარზე, სადაც რუსეთი იმჟამად ერთპიროვნული მოთამაშეა. ამისათვის მას აუცილებლად ესაჭიროება სავაჭრო კავშირი ბევრად უფრო ცივილიზებულ სპარსეთთან, ეს გზა კი საქართველოზე გადის. ცხადია, ვიქტორ ლეტელიე, შესანიშნავად იცნობს საქართველოს კუთხეებს და მის ისტორიას, „ქართველები მუდამ მიიკვლევდნენ თავის გზას ყველაზე უფრო ბარბაროსულ ხალხთა შორისაც კი“, ამდენად, ეს ქვეყანა ცივილიზებულია, მაგრამ უსაფრთხო არაა, რადგან საქართველოს რუსეთი მართავს, ამიტომაც რაღა გასაკვირია, რომ საფრანგეთს სწორედაც რომ ხელს აძლევდა რუსეთის მმართველობის მოსპობა, ან შესუსტება საქართველოში. 1832 წლის შეთქმულება კი ამის კარგი შესაძლებლობას იძლეოდა. ამიტომაც ახლა უკვე გასაგებია და სარწმუნო ხდება საფრანგეთის ინტერესი საქართველოს მიმართ. 1832 წლის აჯანყების გამარჯვების შემთხვევაში „რუსეთის ხელისუფლების მიერ საქართველოს დატოვება“ ან უარეს შემთხვევაში, მისი მმართველობის შესუსტება და არეულობა, როგორც ამას ფარნაოზ ბატონიშვილი ვარაუდობდა, ცხადია, საფრანგეთის წისქვილზეც ასხამდა წყალს. ამიტომაც უკვე გასაკვირი არაა, რომ საფრანგეთს ჰქონოდა საქართველოს დახმარების რეალური მიზანი. ამით შეიძლება აიხსნას ისიც, თუ რატომ ჰქონოდათ ქართველ შეთქმულებს ევროპის და კონკრეტულად, ფრანგების დახმარების ასეთი დიდი იმედი.

ამრიგად, კვლევის შედეგად შესაძლებელი გახდა ვიქტორ ლეტელიეს ბიოგრაფიის მნიშვნელოვნად დაზუსტება. მისი, როგორც გამორჩეულად ნიჭიერი დიპლომატის, პოლიტიკური ანალიტიკოსის მისია განსაკუთრებულია საფრანგეთის სახელმწიფოსათვის. ცხადია, ეს ცნობები მხოლოდ მცირე ნაწილია. ვიქტორ ლეტელიე დიდი დიაპაზონის მოღვაწეა, შესაბამისად, მეტად მნიშვნელოვანია მისი არქივის მოძიება. როგორც დიპლომატიურ არქივში გვითხრეს, შესაძლოა ეს მასალები ნანტის სახელმწიფო არქივში ინახებოდეს. ეს კი ჩვენი კვლევის მიზანსა და არეალს უფრო აფართოებს. რათა უფრო დეტალურად იქნეს შესწავლილი ვიქტორ ლეტელიეს როლი ქართველთა შეთქმულებაში. ასევე დაგეგმილი გვაქვს მისი წიგნის თარგმნა და კომენტარებით გამოცემა.

კვლევით ბევრად უფრო სარწმუნო გახდა, რომ ქართველ შეთქმულთა კავშირები ევროპასთან ერთობ საფუძვლიანი და საიმედო ყოფილა. შესაბამისად, ასევე, სარწმუნო და რეალური იყო საფრანგეთის მიზნებიც კავკასიაში. სამწუხაროდ, საქართველოს ევროპასთან კავშირის იმედი ამაო გამოდგა. როგორც ჩანს, საფრანგეთისთვისაც ფუჭი აღმოჩნდა ვიქტორ

ლეტელიეს რჩევა, რომ გეოპოლიტიკური ნიშნით სპარსეთის იმპერიასთან სავაჭრო კავშირის დამყარება მეტად საშური და აქტუალური იყო.

ამ სტატიას ისევ ლეტელიეს 1843 წლის ერთი მინაწერით დავასრულებ: „სამწუხაროდ, უწინდებურად უნიათონი აღმოვჩნდით ...დამრჩენია მხოლოდ სინანული გამოვთქვა, რომ მეფის მთავრობამ მიივიწყა სხვადასხვა მოხსენებითი ბარათები, რომელთა მისთვის წარდგენის პატივი მქონდა“.

გამოყენებული ლიტერატურა და ბიბლიოგრაფია:

ბერძნიშვილი, მ. (1983). მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისთვის. II. თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“.

გოზალიშვილი, გ. (1935). 1832 წლის შეთქმულება. ტ. I. ტფილისი. „სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

გოზალიშვილი, გ. (1976 [1970]). 1832 წლის შეთქმულება. ტ. III. თბილისი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

კაციტაძე, კ. (1997). ესეი ქართულ პოლიტიკურ რომანტიზმზე. *ლიტერატურული საქართველო*. # 33. თბილისი.

ორბელიანი, ა. (2023). თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად. ტ. V. ტომი შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თამაზ ჯოლოგუამ და ჯულიეტა გაბოძემ. თბილისი. გამომცემლობა «სამშობლო».

საქართველოს ეროვნული არქივი, 1832 წლის შეთქმულების საგამომიებო კომისიის ჩვენებები, წიგნები 1-26, 1457

ტაბაღუა, ი. (1996). ვიქტორ ლეტელიეს მოხსენებითი ბარათი სპარსეთზე. ი. ტაბაღუას თარგმანი, in საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან. ტ. 3.

ხანთაძე, შ. (1996). ისტორიოგრაფიული ნარკვევი. თბილისი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

შველიძე, დ. (----). 1832 წლის შეთქმულებრივი მოძრაობის ისტორიიდან. თბილისი. გამომცემლობა „უნივერსალი“.

ჯოლოგუა, თ. (2022). 1832 წლის შეთქმულების რაობისათვის. კრებული ნარკვევები, ლიტერატურული პორტრეტები, პუბლიკაციები. თბილისი. გამომცემლობა „არტანუჯი“.

Letellier, Victor, Voyage et itinéraire à Constantinople, parmi les Lazes, la Géorgie, la Perse et une partie de la Russie de 1826 à 1833 par Louis Victor Letelie, Livre I, 1840.

Letellier, Victor, «Dossier personnel de Victor Letelie n° 2603», in Archives diplomatiques du ministère français des Affaires étrangères, 1833-1840.

Letellier, Victor, «Mémoire sur la nécessité d'établir des relations commerciales avec la Perse par V. Letellier», in Archives diplomatiques du ministère français des Affaires étrangères 43MD/36).

**French Trace in 1832 Georgian Conspiracy
Summary**

In 1832, in Georgia, there was conspiracy, aiming to throw off the shackles of Russian Empire from Georgia. The testimonies of conspirators confirm that the initiators (Dimitri and Okropir Batonishvili) and organizers (Tamar Batonishvili, Elizbar Eristavi, Alexander Orbeliani, Solomon Dodashvili) had extensive relations with the political and diplomatic circles of England and France, among them, with Frenchman Victor Letellier, the secretary of the Consulate of France in Georgia. Georgian scientists share the opinion that he has participated in the conspiracy. Goal of our research was to study: 1. Biography of Victor Letellier and his relations with the conspiracy of 1832. 2. Objective reasons of relations of Georgian conspirators with France. 3. Actual goals of the government of France related to Georgia. According to the materials found in the course of assignment to the Diplomatic Archive of France in December 2022, it became possible to clarify the details of Victor Letellier's biography. In 1827- 1830, he served as the secretary of Consulate of France in Georgia. He had secret relations and meetings with Georgian conspirators. He supported and sheered them up. He studied the history of Transcaucasia, Georgia, Lazica, Armenia, as well as Persia, Ottoman and Russia and as a result, in 1840, in Paris, he has published the book *Travel and Rout in Constantinople, Among the Laz, Georgia, Persia and Part of Russia, from 1826 to 1833* by Louis Victor Letellier, book I, 440 pages. Victor Letellier has also traveled to Persia, with special assignment, to find the ways for making trade contacts with the Persian Empire. Diplomatic Archive of France contains Victor Letellier's report (*Mémoire sur la nécessité d'établir des relations commerciales avec la Perse par V. Letellier, 1830-1832*) sent to Bavaria, to the royal minister, Monsieur de Bourgogne. V. Letellier advised his government that France should show interest to entry to the large market of Asia, where, at that time, Russia was the sole player. For this, it needed trade contacts with much better civilized Persia and this way ran across Georgia. Thus, interest of France to Georgia was determined by its geopolitical location at that time. Therefore, it is apparent that France had actual goal for providing support to 590 Varia Georgia. This can also explain the reason of such great hopes of Georgian conspirators that the Europe and specifically France would support them. Unfortunately, the hope for European aid to Georgia turned out to be in vain. It seems that the French government could not or did not appreciate Victor Letellier's opinion that the connection with Georgia was very urgent and relevant for geopolitical reasons.

**დავით კარიჭაშვილის საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში
მოღვაწეობის უცნობი დეტალები**

დავით კარიჭაშვილის შეგნებულმა ცხოვრებამ და მოღვაწეობამ, შეიძლება ითქვას, ქართველი ერისთვის ორი უმნიშვნელოვანესი საზოგადოების – ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებების მხარდამხარ იარა. იგი იმ თავდადებულ მამულიშვილთა შორისაა, რომელთა სახელებიც ერის კულტურული თუ სამეცნიერო ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან მომენტს ეხმიანება. აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან ერთად, დ. კარიჭაშვილის ინტერესთა სფერო მეტად მრავალმხრივი იყო – მწერლობა, ენათმეცნიერება, ისტორია, ლექსიკოგრაფია, პუბლიცისტიკა. მის სახელს უკავშირდება „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გამოცემა ორგზის, ქმწკგ საზოგადოების სრული კატალოგის შედგენა, სამეცნიერო თუ ლექსიკოგრაფიული ნაშრომების არცთუ მცირე ჩამონათვალი.

ვერ ვიტყვით, რომ დავით კარიჭაშვილის ღვაწლი მივიწყებული იყოს. თავის დროზე მისი სამეცნიერო ნაშრომების შესახებ გამოთქმული აქვთ მოსაზრებები ცალკეულ მეცნიერებს (სიმონ ჯანაშია, სარგის ცაიშვილი, იოსებ მეგრელიძე...). სულ რამდენიმე წლის წინ კი, მკვლევარმა ლია კარიჭაშვილმა შესანიშნავი მონოგრაფია უძღვნა მის ცხოვრება-მოღვაწეობას (კარიჭაშვილი, 2013). თუმცა, ვფიქრობთ, რომ დავით კარიჭაშვილის საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში საქმიანობის პერიოდი უფრო საფუძვლიან შესწავლას იმსახურებს. ამისი თქმის საფუძველს გვაძლევს იმ მასალის გაცნობა, რომელიც დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ვრცელი საარქივო ფონდის სახით. ესაა მეტად მნიშვნელოვანი წყარო აღნიშნული თვალსაზრისით, მით უფრო, რომ ჩვენს ხელთაა ამ ფონდის დღემდე გამოუქვეყნებელი საარქივო დოკუმენტები (მიმდინარეობს დამუშავება), რომელთა გაცნობაც დაგვეხმარება მეტნაკლებად ნათლად წარმოვაჩინოთ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში დავით კარიჭაშვილის მუხლჩაუხრელი მოღვაწეობის ცალკეული დეტალები.

როგორც ცნობილია, ექვთიმე თაყაიშვილის მიერ დაარსებული საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების პირველ კრებაზე (1907 წ.) აირჩიეს ნამდვილ და დამფუძნებელ წევრებად იმდროინდელი საქართველოს მოწინავე ინტელიგენციის საერო თუ სასულიერო პირთა თვალსაჩინო წარმომადგენლები (კორნელი კეკელიძე, კალისტრატე ცინცაძე, მოსე ჯანაშვილი, დავით სარაჯიშვილი, იუსტინე აბულაძე ...). არჩეულ პირთაგან ერთ-ერთი პირველი დასახელდა დავით კარიჭაშვილი, რომელიც დაინიშნა თავმჯდომარის ამხანაგად ანუ მოადგილედ (*ძველი* (1909). I, გვ. 3-4). ეს თანამდებობა ეკავა მას სიცოცხლის ბოლომდე და, რაღა თქმა უნდა, თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებდა ყველა საჭირო შემთხვევაში. როგორც ცნობილია, ექვთიმე თაყაიშვილი ხშირად დადიოდა ექსპედიციებში სამეცნიერო მიზნით. ასეთ დროს, ცხადია, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების

საქმიანობას დავით კარიჭაშვილი უძღვებოდა. 1912 წლის 23 ივნისის საზოგადოების სხდომის ჟურნალი (#68) გვაუწყებს: „... მოისმინეს თავმჯდომარის წინადადება: რადგან ამ ზაფხულში მე და მდივანი სოფლად მივდივართ, ჩვენს ჩამოსვლამდე საჭიროა თავმჯდომარის და მდივნის მოვალეობის აღსრულება განაწილდეს წევრთა შორის; თავმჯდომარეობა ამ ზაფხულს მიენდოს დავით კარიჭაშვილს, ხოლო მდივნობა — ალექსანდრე ყიფშიძეს.“⁸⁸

მსგავსი შემთხვევები, ცხადია, არ ატარებდა ერთეულ ხასიათს. ხოლო ექვთიმე თაყაიშვილის იძულებითი ემიგრაციის შემდეგ კი, პირველ, 1921-1924 წლებში, ძირითადად, დავით კარიჭაშვილი წარმართავდა საზოგადოების კრებებსა და საქმიანობას. 1924 წლამდე საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარის ოფიციალური არჩევნები არც ჩატარებულა. სავარაუდოდ, გასაბჭოების პირველ წლებში ჯერ კიდევ არსებობდა იმედი, რომ ქვეყანაში რაღაც შეიცვლებოდა პოლიტიკური თვალსაზრისით და ექვთიმე თაყაიშვილი დაბრუნებას შეძლებდა.

ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, ცხადია, ვალდებული იყო თავისი საქმიანობა ახალ მთავრობასთან შეეთანხმებინა. ამ პროცესების წარმართვაც დავით კარიჭაშვილს ევალებოდა. ჩვენს ხელთაა ასეთი ხასიათის დოკუმენტი: ახლად ჩამოყალიბებულ პროფესიონალურ კავშირთა ბიურო მიმართავს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას და აცნობებს: „თანახმათ პროფესიონალურ კავშირთა საორგანიზაციო და საინსტრუქტორო განყოფილების მიერ შემუშავებული სიისა, თქვენი საზოგადოება უნდა შევიდეს განათლებისა და სოციალისტურ კულტურის მუშაკთა კავშირში. ამიტომ გთხოვთ მოახთინოთ (სტილი დაცულია) არჩევნები დელეგატებისა მომავალი კავშირის გამგეობის ასარჩევად. ამასთან გაცნობებთ, რომ ყოველი 50 წევრი ირჩევს 1 დელეგატს“.

აღნიშნული დოკუმენტი ახლავს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების 1921 წლის 24 მაისით დათარიღებული კრების ოქმს, რომელიც გვაუწყებს: „კრება გაიხსნა მასწავლებელთა კავშირის სახლში (ყოფილი ახალი კლუბი) საღამოს ექვსის ნახევარზე, დავით კარიჭაშვილის თავმჯდომარეობით. ... თავმჯდომარე აქვეყნებს საორგანიზაციო ბიუროს მოწერილობას „საზოგადოების“ სახელზე: საზოგადოებას ევალება აირჩიოს დელეგატები განათლებისა და სოციალისტური კულტურის მუშაკთა კავშირის გამგეობის ასარჩევად, ყოველ 50 წევრზე 1 დელეგატი. რადგან საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ამჟამად ჰყავს 550 წევრამდე, ამიტომ საზოგადოებას უფლება აქვს გააგზავნოს 10 დელეგატი. ... დელეგატებად არჩეულ არიან: 1. მიხეილ ზანდუკელი, 2. ვარლამ ბურჯანაძე, 3. დავით კარიჭაშვილი, 4. კორნელი კეკელიძე, 5. აკაკი შანიძე, 6. ნინო რცხილაძის ასული, 7. მარიამ რცხილაძის ასული, 8. ვასილ ედილაშვილი, 9. იროდიონ სონღულაშვილი და 10. სერგი გორგაძე.“

აღნიშნული დოკუმენტი ჩვენთვის საინტერესოა, ერთის მხრივ, იმის გამო, რომ ზუსტ ცნობას გვაწვდის იმ პერიოდში საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების

⁸⁸ იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული არქივის ნაწილი მუშავდება ამჟამად, ცალკეული საარქივო ერთეულებისთვის ნომრის მითითება ვერ მოხერხდა.

წევრთა რაოდენობის შესახებ. ამასთანავე, ნათლად ჩანს, რომ ახალი, საბჭოთა ხელისუფლება მოითხოვდა ყველა ორგანიზაციისა თუ გაერთიანებისგან მმართველი ორგანოებისადმი დაქვემდებარებას. ამ პროცესების სწორად წარმართვას კი, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მხრიდან, ხელმძღვანელობდა დავით კარიჭაშვილი. მასვე ევალებოდა ფინანსური საკითხების მოგვარებაც.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების 1921 წლის 28 აპრილის სხდომის ჟურნალი გვაუწყებს, რომ კრებამ მოისმინა დავით კარიჭაშვილის განცხადება საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებით. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ „... საჭიროა ახალ მთავრობასთან გამოვარკვიოთ ჩვენი დამოკიდებულება: გავაცნოთ ჩვენი საქმიანობის პროგრამა და გამოვითხოვოთ 90 000 000 მანეთი.“ თუმცა, მომდევნო, 1921 წლის 29 მაისით დათარიღებული სხდომის ოქმიდან (#207) ირკვევა, რომ ეს თანხა საზოგადოებას არ მიუღია: „მოისმინეს მდივნის, ს. გორგაძის განცხადება: ჩვენ მიერ აღძრული შუამდგომლობა სახალხო კომისარიატის წინაშე 90 000 000 მანეთის დახმარების შესახებ ჯერ კიდევ განხილული არ არის კომისარიატში. მოსამსახურე პირთ კი, ახალი დეკრეტის ძალით, გაორკვეებული ჯამაგირით დაკმაყოფილება სჭირიათ (დაახ. 30 000 მანეთი). საჭიროა ეს თანხები ჩვენი კასიდან დავაკმაყოფილოთ, ვიდრე კომისარიატისაგან მივიღებთ დახმარებას“.

აღნიშნული ოქმიდან ცნობილი ხდება კიდევ ერთი ოფიციალური დოკუმენტის შესახებ, კერძოდ: „სხდომის მონაწილეებმა მოისმინეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მოწერილობა 1921 წლის 25 მაისის თარიღით: თხოულობენ სამ წარმომადგენელს სხვადასხვა რაიონების ადმინისტრაციულად გადამმიჯვნელს კომისიაში. დაადგინეს: წარმომადგენლებად დაინიშნონ დავით კარიჭაშვილი, აკაკი შანიძე და სერგი გორგაძე.“ ამით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ დავით კარიჭაშვილი მუდმივად სათავეში ედგა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საქმიანობას. ამასთანავე, საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ხელისუფლება სერიოზულ ანგარიშს უწევს აღნიშნულ საზოგადოებას და მის წარმომადგენლებს იწვევს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის გადასაჭრელად, როგორც ქვეყნის ადმინისტრაციული დაყოფაა.

1924 წელს გადაწყდა, ჩატარებულიყო საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს წევრთა და საზოგადოების თავმჯდომარის ოფიციალური არჩევნები. საზოგადოების 1924 წლის 2 თებერვლის წლიური კრების ოქმი გვაცნობებს: „...დასახელებულ პირთაგან თანხმობა მიღებულია, ერთის გამოკლებით, სახელდობრ, პროფესორის ივანე ალექსანდრეს მის ჯავახიშვილისა, რომელიც სიაში დასახელებულია საზოგადოებისა და საბჭოს თავმჯდომარედ და რომელსაც უარი განუცხადებია ავადმყოფობის გამო. კრება ერთხმად ადგენს: პროფ. ივ. ჯავახიშვილი არჩეულ იქნას საზოგადოებისა და საბჭოს თავმჯდომარედ, რაც მას ეცნობოს საგანგებო დეკლარაციით სამი კაცისგან: დავით კარიჭაშვილი, იასონ ლორთქიფანიძე და ექიმი ივანე ელიაშვილი“ (მეტრეველი, 1982, გვ.250). თუმცა, თავმჯდომარის არჩევის შემდეგაც, როგორც აღნიშნავს ს. ჯანაშია: „საზოგადოების თავმჯდომარის ავადმყოფობის გამო, დავით კარიჭაშვილს ხშირად უხდებოდა საზოგადოების ყოველდღიური საქმიანობისა და საჯარო კრებების ხელმძღვანელობა“ (ჯანაშია, 1987: 373).

მოგვიანებით, 1927 წ. ივანე ჯავახიშვილი წერდა დავით კარიჭაშვილს: „ღრმად პატივცემულო ბატონო დავით! ამასთანავე გაახლებთ ჩემ განცხადებას საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარეობისგან აქ აღნიშნული საპატიო მიზეზების გამო გადადგომის შესახებ, გთხოვთ იგი საბჭოსა და საზოგადოების მორიგ სხდომას მოახსენოთ და წესდების ძალით, თავმჯდომარეობას შეუდგეთ. გულითად მადლობას მოგახსენებთ თქვენც პირადად და საბჭოს ყველა წევრსაც სათითაოდ საერთო თანხმობრივი მუშაობისთვის. გადადგომის შემდგომაც მომავალში მზად ვარ, რითაც კი შემძლიან, საზოგადოებას დახმარება გავუწიო და ვემსახურო. მარად თქვენი გულწრფელი პატივისცემელი ივ. ჯავახიშვილი“ (მეტრეველი, 1982: 217-218).

ასეთ მუხლჩაუხრელ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ხელი არ შეუშლია დავით კარიჭაშვილისთვის, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყოფილიყო ავტორი მეტად საინტერესო ლექსიკოგრაფიული თუ სამეცნიერო ნაშრომებისა. როგორც ცნობილია, სწორედ დავით კარიჭაშვილის ინიციატივით დაარსდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში ლინგვისტური განყოფილება (*ძველი* (1909). I, გვ. 33–34). ამ განყოფილების 1907 წლის 27 სექტემბრით დათარიღებული სხდომის ოქმი გვაუწყებს: „... კრებამ გამოიტანა შემდეგი დადგენილება: ამჟამად ლინგვისტური განყოფილების მთავარ საზრუნავად აღიარებულ იქნას ლექსიკონისთვის მასალის შეგროვება და სრული ქართული ლექსიკონის შედგენა როგორც მწერლობიდან, ისე ცოცხალი ენის კილოკავებიდან; დაწვრილებით ამ მუშაობის გეგმის შედგენა მიენდოს თავმჯდომარეს დ. კარიჭაშვილს, რომელმაც იგი უნდა წარმოუდგინოს განყოფილების მომავალ კრებას“. ლინგვისტური განყოფილების მომდევნო კრებაზე კი დავით კარიჭაშვილმა წაიკითხა მოხსენება, რომელშიც დაწვრილებითაა წარმოდგენილი მომავალი სალექსიკონო მუშაობის გეგმა. საინტერესოა მის მიერ დეტალურად აღწერილი სამუშაო პროცესი, რომელიც, ფაქტობრივად, შეიძლება მივიჩნიოთ იმ დროისთვის სახელმძღვანელო ინსტრუქციად სალექსიკონო მასალის შეგროვებისას. დ. კარიჭაშვილი წერს: „... ყოვლის სიტყვის განმარტება უნდა იწერებოდეს ცალ–ცალკე პატარა თაბახის ნაჭერზე (თაბახის 1/6 – ზე), განმარტების დასასაბუთებლად უნდა მოტანილ იქნას ის ფრაზები, რომლებშიაც კი გასამართებელი სიტყვები ნახმარნი არიან მწერლობაში თუ სახალხო ნაწარმოებში. ასე შეგროვილი და განმარტებული სიტყვები წაკითხულ იქნებიან განყოფილების კრებაზე და მოწონების შემდეგ გადაეცემიან შესანახად საზოგადოების ბიბლიოთეკაში, სადაც იგინი დალაგებულ იქნებიან ანბანის რიგზე. ... შეგროვილი მასალა შეინახება მთლად ლექსიკონის გამოცემამდე“.

ლინგვისტური განყოფილების მუშაობის ერთ-ერთ თვალსაჩინო შედეგად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ გამოცემული „ძველი საქართველოს“ II ტომში დაბეჭდილი „თუშური ლექსები, შეკრებილნი ივანე ბუქურაულის მიერ“. ტექსტს ბოლოში ახლავს თუშური სიტყვების განმარტებები. ამ განმარტებათა ავტორებად მითითებულნი არიან დავით კარიჭაშვილი და ივანე ბუქურაული (კარიჭაშვილი და ბუქურაული, 1913. თუშური ლექსები. *ძველი საქართველო*, II).

ლინგვისტურმა განყოფილებამ იარსება 1912 წლამდე და გაუქმდა დავით კარიჭაშვილის ინიციატივითვე. ამ წლის 23 ივნისით დათარიღებული სხდომის ოქმი კი

გვამცნობს: „ლინგვისტური ფრაქციის ყოფილი თავმჯდომარე დ. კარიჭაშვილი აცხადებს, რომ საჭიროება აღარ არის ასეთ ფრაქციაში. თუ რამე იქნება ლინგვისტური მასალა, შეიძლება საბჭოშივე და ჩვეულებრივ სხდომაზე განვიხილოთ ხოლმე“.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებათა მიმდინარეობას თუ გადავხედავთ, ცხადი გახდება, რომ ეს კრებები ატარებდა წმინდად სამეცნიერო ხასიათს. აქ განიხილებოდა ცალკეულ მომხსენებელთა რეფერატები, ეწყობოდა მსჯელობა მათ გარშემო და შემდეგ ეძლეოდა ავტორს რეკომენდაცია მოხსენების დასაბეჭდად, ძირითადად, აღნიშნული საზოგადოების გამოცემებში. მომხსენებელთა შორის ხშირად იყვნენ ექვთიმე თაყაიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, იუსტინე აბულაძე, აკაკი შანიძე, დავით კარიჭაშვილი ... სწორედ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში წაიკითხა ამ უკანასკნელმა თავისი ნაშრომების დიდი ნაწილი („ვინ არის „კალმასობის“ ანუ „ხუმარსწავლად“ წოდებული ქართული ენციკლოპედიის ავტორი“, „დავით დიდი კუროპალატის გენეალოგია“, „საქართველოს წარმართი ღმერთები ჩვენს მატთანში“ და სხვა).

ჩვეულებრივ, ვიდრე გაიმართებოდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრება, საზოგადოების საბჭო ვალდებული იყო ეცნობებინა ამ ფაქტის შესახებ სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარსამმართველოსთვის ნებართვის მოთხოვნით. ეს იყო იმ დროს მეცნიერებისა და კულტურის მაკონტროლებელი ორგანო. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცულია ამ სახის მიმართვების ნაწილი, მათ შორის 1925 წლის 28 ოქტომბრით დათარიღებული დოკუმენტი. მისი შინაარსი ასეთია: „სამეცნიერო დაწესებულებათა გამგეს. შაბათს, ღვინობისთვის 31–ს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებაზე (საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში) წაიკითხავს მოხსენებას დავით კარიჭაშვილი: „ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიიდან“. დასაწყისი საღამოს 7 საათზე. გაცნობებთ რა ამას, გთხოვთ ნებართვას. საზოგადოების მდივანი ს. ჯანაშია. (რეზოლუცია: ნებადართულია. ვუკ. ბერიძე)“ (მეტრეველი, 1982: 219).

დავით კარიჭაშვილმა ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიასთან დაკავშირებით საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებებზე ორი მოხსენება წაიკითხა. მათგან ერთ–ერთი სწორედ ისაა, რომლის შესახებ ზემოთ მოტანილ დოკუმენტშია საუბარი. ხოლო მეორე მოხსენება „ვინ იყო ნიკიფორე ირბახი“, ავტორმა საზოგადოების კრებას ამავე წლის 24 იანვარს წარუდგინა. მოგვიანებით, სამწუხაროდ, უკვე დავით კარიჭაშვილის გარდაცვალების შემდეგ, 1929 წელს წიგნადაც გამოიცა ეს ნაშრომი. ჩვენ აქ არ შევუდგებით მის განხილვას, რადგან ღია კარიჭაშვილმა მას საკმაოდ ვრცელი, საფუძვლიანი გამოკვლევა მიუძღვნა (კარიჭაშვილი, 2013: 33–46). თავად ავტორი კი ამ წიგნის წინასიტყვაობაში წერდა: „დღევანდლამდე არ დაწერილა ქართული წიგნების ბეჭდვის სისტემატური ისტორია. ჩვენი შრომა არის პირველი ცდა ამნაირის ისტორიის დაწერისა, როგორც ასეთს, რასაკვირველია, მას ექნება ბევრი ნაკლი, მაგრამ ამას თავისი მიზეზები აქვს“ (კარიჭაშვილი, 1929: 5).

სიცოცხლის ბოლომდე აგრძელებდა დავით კარიჭაშვილი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში სამეცნიერო თუ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. 1925 წელს საზოგადოების ახლციხის ახალგაზსნილი განყოფილების თავმჯდომარედაც მისი კანდიდატურა დასახელდა. 1925 წ. 31 მაისს საქ. სს საზოგადოების სხდომათა ჟურნალში

(#240) ვკითხულობთ: „მოისმინეს საკითხი „საზოგადოების“ ახლად გახსნილი განყოფილებისათვის ახალციხეში ცენტრალური საბჭოს წევრთაგან თავმჯდომარის დასახელების შესახებ; საბჭოს მიერ დასახელებული კანდიდატი წარედგინება არაჩვეულებრივ საზოგადო კრებას ასარჩევად. კანდიდატად დასახელებულია დავით გიორგის ძე კარიჭაშვილი“. ხოლო 1927 წლის 29 აპრილს, მის გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე, როდესაც ჩატარდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრება (#254), საბჭოს არჩევნებში დავით კარიჭაშვილმა, ივანე ჯავახიშვილთან და აკაკი შანიძესთან ერთად, ხმათა უმრავლესობა მიიღო. კრების ჩანაწერი გვაუწყებს: „... შემდეგ თავმჯდომარე მოახსენებს კრებას, რომ საზოგადოების საბჭოს ეხლანდელ შემადგენლობას უკვე გაუვიდა რწმუნების ვადა და საჭიროა მოეწყოს ახალი არჩევნები. ფარული კენჭის ყრით კრება ირჩევს საზოგადოების საბჭოში შემდეგ პირთ: პროფ. ივ. ჯავახიშვილი (20 ხმა), პროფ. კ. კეკელიძე (17 ხმა), პროფ. აკ. შანიძე (20 ხმა), ს. გორგაძე (19 ხმა), დ. კარიჭაშვილი (20 ხმა), პროფ. გ. ჩუბინაშვილი (17), ს. ყაუხჩიშვილი (17 ხმა), სვ. ჯანაშია (18 ხმა), გ. ბოჭორიძე (16 ხმა), შ. ამირანაშვილი (15 ხმა), გ. ჯაკობია (14 ხმა), პროფ. გ. ნათაძე (15 ხმა), ირ. სონღულაშვილი (17 ხმა)“.

და ბოლოს, ჩვენს ხელთაა 1930 წლის 13 აპრილით დათარიღებული საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომის ჟურნალი (#261), რომელიც გვამცნობს, რომ გადაწყდა „მიმომხილველში“ დავით კარიჭაშვილისა და სერგი გორგაძის ნეკროლოგების დაბეჭდვა: „დაიბეჭდოს (ნეკროლოგების სახით) საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში წაკითხული სათანადო მოხსენებები ს. ჯანაშიასი და ალ. ბარამიძისა“. აქ ერთი რამაა საინტერესო, კერძოდ, ს. გორგაძე გარდაიცვალა 1930 წლის [24] მარტს (და არა 1929 წლის 10 ივნისს, როგორც ეს ოფიციალური წყაროებიდანაა ცნობილი), რის შესახებაც ცნობას გვაწვდის საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომის ჟურნალი (1930 წლის 25 მარტი, #260): „მოისმინეს თავმჯდომარის ცნობა საბჭოს წევრის ს. გორგაძის გარდაცვალების შესახებ. პატივი სცეს განსვენებულის ხსოვნას ზეადგომით“. ამდენად, ნეკროლოგის გამოქვეყნების გადაწყვეტილება (სხდომის ჟურნალი #261) დროულია. მაგრამ დავით კარიჭაშვილი გარდაიცვალა გაცილებით ადრე, 1927 წ. 26 ივლისს (ბაბუნაშვილი და ნოზაძე, 1994: 207). ერთი შეხედვით უცნაურად ჩანს გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ ნეკროლოგის შესახებ საუბარი. ამ ფაქტს მხოლოდ ერთი ახსნა შეიძლება ჰქონდეს. საქმე ის გახლავთ, რომ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა „მიმომხილველი“, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, ჩაფიქრებული იყო, როგორც პერიოდული ვრცელი კრებული. მასში უნდა დაბეჭდილიყო ერთი, შესაძლოა, ორი წლის განმავლობაში შეკრებილი მასალა და რამდენადაც ნეკროლოგის იმდროინდელი ფორმატი არ გულისხმობდა მოკლე გამოსათხოვარ სიტყვას, არამედ ეს იყო ვრცელი მიმომხილველ გარდაცვლილის ცხოვრება-მოღვაწეობისა, ამიტომ ასეთი სახის მოხსენების დაბეჭდვა გარკვეული დროის შემდეგაც ბუნებრივი იყო. სამწუხაროდ, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ფინანსური შესაძლებლობები ყოველთვის შეზღუდული იყო და ყველა წამოწყების ხორცშესხმა ვერ ხერხდებოდა. იმავე სხდომაზე, რომელიც ზემოთ იყო ნახსენები (#260), „მიმომხილველის“ გამოცემის შესახებაც

მიიღეს გადაწყვეტილება, კერძოდ: „მოისმინეს მდივნის განცხადება „მიმომხილველის“ ტირაჟის შემცირების შესახებ ქაღალდის ეკონომიის გულისათვის. ტირაჟი შემცირდეს 350 ცალამდე. ამონაბეჭდების გამრავლებასთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხების გადაწყვეტა მიენდოს პრეზიდიუმს. ამონაბეჭდები უნდა გაკეთდეს არა მხოლოდ საავტორო, არამედ გასაყიდიც“. თუმცა, აღნიშნული კრებულის გამოცემა 1930 წელს ვეღარ მოხერხდა უსახსრობის გამო. „მიმომხილველის“ მხოლოდ I წიგნი გამოვიდა (ტფილისი. 1926 წ.), ხოლო მეორე წიგნისთვის შეგროვილი მასალა, სავარაუდოდ, სხვადასხვა კრებულში მოთავსდა. სიმონ ჯანაშიას ზემოთ აღნიშნული გამოსათხოვარი მოხსენებაც, ვფიქრობთ, ის წერილია, რომელიც მოგვიანებით მისი შრომების V ტომში დაიბეჭდა. იგი ასე ემშვიდობება დავით კარიჭაშვილს: „ქართველ მკვლევართა კიდევ არაერთი თაობა მადლიერებით შეაჩერებს ყურადღებას ამ ადამიანის ცხოვრების გზაზე, როცა მის მიერ მოვლილი საგანძურის კარებს შეაღებს და როცა არაერთგზის მიჰმართავს იმ ხიდს, რომელიც დავით კარიჭაშვილის ერთგულებით გადებული არის ქართულ სიძველეთა შესწავლის დიდ სამყაროში ქაოსიდან სისტემისაკენ“ (ჯანაშია, 1987: 373).

წარმოდგენილი მასალა, რომლის ნაწილი დღემდე უცნობი იყო, ვფიქრობთ, შესაძლებლობას იძლევა თვალი გავადევნოთ დავით კარიჭაშვილის თავდადებულ მოღვაწეობას საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.

გამოყენებული ლიტერატურა და ბიბლიოგრაფია:

ბაბუნაშვილი, ზ. და ნოზაძე, თ. (1994). მამულიშვილთა სავანე. დიდუბის პანთეონი. თბილისი. გამომცემლობა „ირმისა“.

კარიჭაშვილი, დ. (1929). ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია. თბილისი. გამომცემლობა „სახელგამი“.

კარიჭაშვილი, ლ. (2013). მსახურება ღვთისა და ერისა. თბილისი. გამომცემლობა „ჩვენი მწერლობა“.

მეგრელიძე, ი. (1970). რუსთველოლოგიები. თბილისი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

მეტრეველი, რ. (1982). საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება. თბილისი. გამომცემლობა „ხელოვნება“.

ცაიშვილი, ს. (1955). ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები. თბილისი.

ჯანაშია, ს. (1987). შრომები V. თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“.

Elene Chagelishvili
Korneli Kekelidze Georgian
National Centre of Manuscripts

Unexplored details of Davit Karichashvili's work in the Historical and Ethnographic society of Georgia

Summary

Among the Georgian figures of the period of the end of the 19th century and the years of the 1920s, whose names are associated with the Society for the Spreading of Literacy among Georgians, as well as the creation and multifaceted activities of historical and ethnographic societies in Georgia, Davit Karichashvili occupies an important place. He took a direct part in the establishment of these two most important societies for the Georgian nation and took an active part in their activities until the end of his life. Davit Karichashvili's field of interest was very diverse: writing, linguistics, history, lexicography, and journalism. In addition, he was the deputy chairman of the Historical and Ethnographic Society of Georgia, and after the forced emigration of Ekvtime Takaishvili, he actually performed the duties of the chairman himself.

The extensive archival material of the Historical and Ethnographic Society of Georgia preserved in the National Center of Georgian Manuscripts allows us to follow the path of Davit Karichashvili's scientific and public activities in the Historical and Ethnographic Society. It is significant that the information provided in the article, in the form of archival documents, part of which was unknown to the scientific community, is being published for the first time.

ვახტანგ ღამბაშიძის ალბომი, როგორც ისტორიული წყარო

ხელნაწერი ალბომი, რომლისთვისაც ვახტანგ ღამბაშიძეს „ოქროს წიგნი“ უწოდებია, შეიცავს მრავალ უნიკალურ ავტოგრაფს, რომელთა ავტორები ცნობილი ქართველი პოეტები, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები, ქართველი ემიგრანტები, ქართველოლოგები, უცხოელი ექიმები და ვახტანგ ღამბაშიძის ოჯახის წევრები არიან. აქ ვხვდებით ლექსებს, ესეებს, შთაბეჭდილებებს, მილოცვებს და მხოლოდ ხელმოწერებსაც კი. 2019 წელს მომზადდა ვახტანგ ღამბაშიძის წიგნი-ალბომის ფოტოტიპური გამოცემა, ჩანაწერების ბეჭდური ვარიანტებით, მოხსენიებულ პირთა მოკლე ანოტირებული სამიებლებით და კომენტარებით, რითაც ხელმისაწვდომი გახდა მკითხველთა ფართო წრისათვის.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა 1925-1945 წლებში, ქართული ემიგრაციის წარმომადგენლების და გერმანელ დამპყრობლებთან ტყვედ მყოფი რამდენიმე ქართველის ჩანაწერების, როგორც ისტორიული წყაროს განხილვა და მათი დაკავშირება საქართველოსა და მსოფლიოში მომხდარ მოვლენებთან.

ალბომში დაცული მასალის გაცნობის, შესწავლის, ავტორების იდენტიფიცირების საფუძველზე, კვლევის თვისობრივი და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით, შეგვიძლია ვიმსჯელოთ თუ როგორი იყო ქართული ემიგრაციის სპექტრი, რომელი პარტიები მოქმედებდნენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, რა მიზეზებმა განაპირობა ემიგრაციაში წასვლა, როგორი იყო ქართული ემიგრაციის ერთი ნაწილის დამოკიდებულება ნაცისტური გერმანიის მიმართ და რა მოლოდინები ჰქონდათ, როგორი იყო ურთიერთობა ემიგრაციის წევრებს შორის, როგორი იყო ქართველ ტყვეებთან ურთიერთობა მეორე მსოფლიო ომის დროს.

ვახტანგ ღამბაშიძე თავის მოგონებებში წერდა: „აქ გადმოსულ თაობაში ბევრნი არიან ისეთი პირები, რომელნიც ძალიან ახლო მონაწილეობას იღებდნენ ჩვენ საზოგადო ცხოვრების მიმდინარეობაში. მათი მოგონება, დაკვირვება და საერთო შეხედულება არ არის უმნიშვნელო და უყურადღებოდ დასაგდება, (ღამბაშიძე, 2018: 26).

ალბომი იხსნება აკაკი წერეთლის ლექსით „პატარა ცემი“ და გრძელდება XX საუკუნის ქართველ და უცხოელ მოღვაწეთა ჩანაწერებით. 1904 წლიდან 1920 წლამდე პერიოდის ჩანაწერები ძირითადად ეხება კურორტ ცემის უმშვენიერესი ბუნებით აღტაცებული დამსვენებლების შთაბეჭდილებებს და ვახტანგ ღამბაშიძის ფასდაუდებელი შრომისადმი მაღლიერების გამოხატვას. ჩანაწერები შეწყდა საქართველოში 1921 წელს განვითარებული მოვლენების გამო და განახლდა 1924 წელს, როცა ვახტანგ ღამბაშიძე საბოლოოდ დამკვიდრდა პარიზში. თუკი დავესესხებით ქართველ ექიმს, ვახტანგ მუსხელიშვილს, მართლაც, მშვენიერ და, ამავე დროს, მწუხარებით დანისლულ გრძნობას ვიგრძნობთ ამ სახსოვარის გადათვალისწინებისას. განწყობა და პათოსი ისტორიული რეალობის შესაბამისია. თითოეული მათგანის მიღმა ადამიანების და ქვეყნის ბედი იკითხება. ამის მაგალითია

ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის, მიხაკო წერეთლის ორი ჩანაწერი. ერთი, თარიღდება 1909 წლის 18 ივლისით: „ ბრძანა ვახტანგმან მკურნალმან, და აღჩნდა სანატორია, პატარა ცემის სახელით, თვით სამოთხისა სწორია?“ და მეორე, 1926 წლით დათარიღებული ჩანაწერი: „ჩვიდმეტი წელი გავიდა სადღაა სანატორია? დავკარგეთ ჩვენი ქვეყანა, მართლაც სამოთხის სწორია“ (ვახტანგ დამბაშიძის ალბომი, 2019: 51).

ალბომი წარმოდგენას გვიქმნის ქართული ემიგრაციის სპექტრზე. საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები, საქართველოში მოქმედი სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები, რომლებმაც დატოვეს სამშობლო და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში დაიდეს ბინა. ემიგრაციის მიზეზი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაა. „ის უბედურებაა, რომლის მსგავსი არაფერი არ ახსოვს ჩვენი წარსულის მრავალ ჭირნახულ მატთანეს“ (დამბაშიძე, 2018: 2).

ოდნავ განსხვავებულია მათი ემიგრაციაში გამგზავრების დრო. აქ ვხვდებით როგორც 1921 წელს ემიგრაციაში წასულების, ასევე საქართველოს ანექსიის დროს უცხოეთში მყოფთა ხელნაწერებს, რომლებიც აღარ დაბრუნდნენ საქართველოში და ასევე 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყების მონაწილეებს, რომლებიც აჯანყების დამარცხების შემდეგ იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ საქართველო.

ემიგრანტული პერიოდის ერთ-ერთი პირველი ჩანაწერი ეკუთვნის ქაქუცა ჩოლოყაშვილს, სპირიდონ ჭავჭავაძეს, შალვა ამირეჯიბს, ელიზბარ ვაჩნაძეს და ჟერომ მამალაძეს. ეს არის მხოლოდ ხელმოწერები და თარიღდება 1925 წლის 2 იანვრით. საგულისხმო ფაქტია, რომ არანაირი მინაწერი, არ არსებობს. დასახელებულ პირთაგან მხოლოდ ჟერომ მამალაძეა 1921 წლიდან პოლიტიკური ემიგრანტი. დანარჩენი სამი საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლის მონაწილენი არიან და 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ დატოვეს საქართველო. მარტივად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ამ ადამიანების მდგომარეობა. „მებრძოლი საქართველოს წარმომადგენლები, რომლებსაც საბრძოლო ასპარეზი გამოაცალეს და ოცნება წაართვეს“ (პაპავა, 1990: 44). ცნობილია, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილი აჯანყების დამარცხების შემდეგ, ორი თვის მანძილზე ისევ აგრძელებდა ბრძოლას, შემდეგ კი დატოვა თავის თანამებრძოლებთან ერთად საქართველო და ჯერ თურქეთში, შემდგომ საფრანგეთში, არაერთი დაბრკოლების შემდეგ დაიღო ბინა. შეფიცულთა რაზმის წევრის, ალექსანდრე სულხანიშვილის სიტყვებით „ევროპაში შემოსვლა გადაეცა ქაქუცას საბედისწეროდ. საშინლად ცუდად იმოქმედა მასზე პარიზის ჰავამ. საუბედუროდ, ჩვენ არ გვქონდა შეძლება, რომ ქაქუცასთვის რიგიანად მოგვევლო... ერთხანს სანატორიუმში გავგზავნეთ, ოტსაუაში, სადაც იგი რამდენიმე თვეს დარჩა და ძალიან მოუხდა კიდეც. ჭრილობისგან მას მარჯვენა ფილტვის თავი ჰქონდა დაზიანებული; აი, ეს გადაეცა კაჟივით მაგარ ვაჟკაცს მომაკვდინებელ ჭლექად...“ (სულხანიშვილი, 1981: 196). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ვახტანგ დამბაშიძე იყო მისი მკურნალი ექიმი და სიცოცხლის ბოლო წუთებშიც ქაქუცას გვერდით იდგა.

ემიგრაციაში დაასრულეს სიცოცხლე შალვა ამირეჯიბმა და ელიზბარ ვაჩნაძემაც. გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე 1947 წელს საქართველოში დაბრუნდა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც პარიზში საბჭოთა საელჩოს თანამშრომელი ილია თავაძე დაუკავშირდა, სამშობლოში

დაბრუნება შესთავაზა და დაარწმუნა, რომ წარსულში ანტისაბჭოთა ქმედებებისთვის პასუხისგებაში არ მისცემდნენ.

1951 წლის 1 დეკემბერს სპირიდონ ჭავჭავაძე დააპატიმრეს სამშობლოს დალატისა და შეიარაღებული აჯანყების მოწყობის ბრალდებით. მან აღიარა ყველა ანტისაბჭოთა ქმედება, მაგრამ უარყო ის ფაქტი, რომ საქართველოში დაბრუნდა უცხოური სადაზვერვო ორგანოების დავალებით საბჭოთა კავშირის საზიანოდ მავნებლური საქმიანობის გასაგრძელებლად. 1953 წლის 23 ივნისის დადგენილებით მას მიესაჯა ქონების კონფისკაცია და 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, სადაც მალევე გარდაიცვალა.

გიორგი (ჟერომ) მამალაძე 1921 წელს ჩავიდა პოლონეთში და ოფიცერთა სკოლის დამთავრების შემდეგ კონტრაქტით მსახურობდა პოლონეთის არმიაში, სადაც მაიორის წოდება მიანიჭეს. 1939 წლის სექტემბრის კამპანიაში გიორგი მამალაძე იბრძოდა გერმანელებისა და საბჭოელების წინააღმდეგ. ერთი ცნობით, საბჭოთა ტყვეობაში მოხვედრილი მაიორი გიორგი მამალაძე და კაპიტანი მიხეილ რუსიაშვილი სტარობელსკის, ოსტაშკოვისა და კოჟელსკის ბანაკების სხვა ტყვეებთან ერთად დახვრიტეს კატინში 1940 წლის გაზაფხულზე. მეორე ვერსიით ჟერომ მამალაძე მაიორ ეჟი მალინოვსკის სახელით იმყოფებოდა კოხელსკის სამხედრო ტყვეების ბანაკში. 1941 წლის 14 ივლისს სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ მიუსაჯა სიკვდილით დასჯა, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი იმავე წლის 28 ივლისს „კომუნარკის“ პოლიგონზე.

1941 წელს სსრკ-ზე გერმანიის თავდასხმის ფაქტს სიხარულით შეხვდნენ ქართული ემიგრაციის ერთი ნაწილის წარმომადგენლები. დაიწყო ქართველი მოხალისეების რეგისტრაცია. პირველები „თეთრგიორგელები“ ჩაეწერნენ. მათ შორის იყო სიმონ ბერეჟიანი, პოეტი, მხატვარი, კარიკატურისტი. ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენელი. „თეთრი გიორგის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და წევრი. 1920 წელს წარგზავნეს გერმანიაში სასწავლებლად და საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ, სამუდამოდ დარჩა ემიგრაციაში. მისი დამოკიდებულება ემიგრანტული ცხოვრების მიმართ კარგად ჩანს ვახტანგ ღამბაშიძის ალბომში გაკეთებული ჩანაწერით: უცხოეთი, ჩვენი უსინდისო დედინაცვალი. უსინდისო ვამბობ, რათა მძულს როცა ქართველები ამბობენ, საფრანგეთი ეს არის ჩვენი მეორე სამშობლო. არ არსებობს ჩვენთვის, ქართველთათვის მეორე სამშობლო“ (ვახტანგ ღამბაშიძის ალბომი, 2019: 100).

1941 წელს იგი ჩადის გერმანიაში და "სიმონ ბერეჟიანის" სახელით ირიცხება ვერმახტის ქართულ ლეგიონში, რომელსაც ვერმახტის ქართველი გენერალი შალვა მაღლაკელიძე ხელმძღვანელობდა. იმავდროულად, სიმონ ბერეჟიანი აქტიურად მონაწილეობდა გერმანიაში მოქმედი ქართული სამოკავშირეო შტაბის მუშაობაში. როგორც ჩანს, გამგზავრებამდე ის სტუმრობდა ვახტანგ ღამბაშიძის ოჯახს და ჩანაწერიც დაუტოვებია 1941 წლის 30 ივნისს: „ბატონო ვახტანგ, მივდივარ და სრული დარწმუნებული, რომ ვიხილავ ჩემს მიწას. თუ ბედმა მიმტყუნა და სადმე, სხვის მიწაზე დავიძინო საუკუნოდ, ამითაც ბედნიერი ვიქნები, რათა უკანასკნელი ჩემი გაურჟოლება „საქართველო“ იქნება (ვახტანგ ღამბაშიძის ალბომი, 2019: 98). წინასწარმეტყველური აღმოჩნდა მისი სიტყვები. სიმონ ბერეჟიანი გაურკვეველ ვითარებაში

დაილუპა 1942 წლის დამლევს. რუმინეთში ყოფნისას მას სულიერი დაავადების ნიშნები დაეტყო. 1942 წლის სექტემბერში ისე ცუდად გახდა, რომ აუცილებელი გახდა საავადმყოფოში მოთავსება. მისი კვალი სწორედ ამ სამხედრო ლაზარეთში დაიკარგა. მოგვიანებით, მიუნხენის რადიომ გადასცა ცნობა, რომ სიმონ ბერეჟიანი შტუტგარდში, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ვახტანგ ღამბაშიძის ბინაში იკრიბებოდნენ სხვადასხვა თაობის ქართველი ემიგრანტები და იმართებოდა საუბრები ქართული კულტურის, ლიტერატურის, ისტორიის შესახებ, იკითხებოდა მოხსენებები და მოგონებები. ამის ერთ-ერთი დასტურია 1943 წელს, ვახტანგ ღამბაშიძის მიერ გაკეთებული ჩანაწერი: კვირას, 13 თებათვეს 1943 წ. გიგო დიასამიძის და გრიგოლ რობაქიძის სანახავად მოწვეულნი იყვნენ მეგობრები და პატივისცემელნი ვახტანგ ღამბაშიძის ბინაზე 104 r.d' Arras-ზე- ლუქსემბურგის ბაღთან, პარიზში“ (ვახტანგ ღამბაშიძის ალბომი, 2019: 104) ამ შეხვედრას სახსოვარ და სიამოვნებით სავეს დღეს უწოდებს ავტორი. ჩანაწერს თან ერთვის დამსწრე პირთა ხელმოწერები. ესენი არიან საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები, ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლები. პარიზიდან გამგზავრების წინ, გრიგოლ დიასამიძეს შემდეგი ჩანაწერი გაუკეთებია: „იმედი არა მაქვს გადამწყდარი, რომ ჩვენ ყველანი ოდესმე ვიხილავთ ჩვენს ტანჯულ სამშობლოს, ტურფა საქართველოს. ოთხჯერ მივედი აქ პარიზში ყოფნის დროს ჩემს ვახტანგთან, დავტკბი თბილის გრძნობით, რომელიც დამხვდა მის გარემოში და გადავხალისდი. გაუმარჯოს საქართველოს“ (ვახტანგ ღამბაშიძის ალბომი, 2019: 105).

ასეთი შეხვედრებით, როგორც ექვთიმე თაყაიშვილი ალბომში გაკეთებულ ჩანაწერში აღნიშნავს, “მრავალ პარტიებად და ფრაქციებად დაქსაქსული ემიგრაციის გაერთიანებასაც ცდილობდა ვახტანგ ღამბაშიძე” (ვახტანგ ღამბაშიძის ალბომი, 2019: 108).

მეორე მსოფლიო ომის დროს, ვახტანგ ღამბაშიძის ინიციატივით, ქართველი სამხედრო ტყვეებისა და ემიგრაციის დასაცავად შეიქმნა ორგანიზაცია „ქართული ეროვნული კომიტეტი საფრანგეთში“, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა.

1944 წლის 23 მარტს, ვახტანგ ღამბაშიძის ხელნაწერ ალბომში თავისი ჩანაწერი დაუტოვებია ქართველ ლოტბარ დავით კასრაძეს: “ქართველი ხალხის შვილს, ბ-ნ ვახტანგ ღამბაშიძეს და მის ოჯახს დღეგრძელი სიცოცხლე, რომელთაც აღმომიჩინეს და მიმიღეს ისე, როგორც საკუთარი შვილი და გამიწიეს დიდი დახმარება ჩემი ამ საშინელი ავადმყოფობის განკურნების საქმეში. მივემგზავრები რა პარიზიდან, მრჩება მშვენიერი მოგონება ძვირფას მკურნალის იმ მშვენიერი მამობრივი გრძნობებისთვის, რომელიც მე აქ ვნახე და შედეგად დიდი არის” (ვახტანგ ღამბაშიძის ალბომი, 2019: 107). 1941 წელს დავით კასრაძე ძმასთან ერტად ომში გაიწვიეს. გიგუშა კასრაძე ომში დაილუპა, დავითი კი ტყვედ ჩავარდა. ვუსტრავის ღია ბანაკიდან მან მოახერხა დაკავშირებოდა გერმანიის აღმოსავლეთ სამინისტროს ქართული განყოფილების ხელმძღვანელ გიორგი მაღალაშვილს. ქართველი ემიგრანტების ხელშეწყობით მკურნალობდა ვახტანგ ღამბაშიძესთან და გამოჯანმრთელების შემდეგ დაბრუნდა ვუსტრავის ტყვეთა ბანაკში, სადაც ქართველ ტყვეთაგან ჩამოაყალიბა მომღერალთა და მოცეკვავეთა გუნდი. ამ გზით ბევრი ემიგრანტი სიკვდილს გადაურჩა.

ინჟინერი ლავრენტი ყუფარაძეც მეორე მსოფლიო ომის მონაწილე იყო, რომელიც ქართველმა ემიგრანტებმა დაიხსნეს და მასაც ვახტანგ ღამბაშიძე მკურნალობდა. 1945 წლის 15 მაისს გაკეთებულ ჩანაწერში ვკითხულობთ: “1939-1945 წლების ომებმა დიდი უბედურება დაატრიალა მთელი კაცობრიობის თავზე. მილიონები მსხვერპლად შეეწირა ამ საშინელ ომს. ზოგი დარბეული ჯარის ნაწილები მოხვდა სხვადასხვა კუთხის მსოფლიოს ტერიტორიაზე. ასეთივე ბედი ეწია ჩვენს პატარა ერსაც. ნაწილი ქართველი ტყვეებისა მოხვდა საფრანგეთში. პატივცემულო ვახტანგ, უნდა აღინიშნოს თქვენი შეხვედრა ამ დაჩაგრულ, დაავადებულ და გაუბედურებულ ხალხისადმი. თქვენი ტკბილი მუსაიფით, ყოველგვარი დახმარებით, ამხნევებით და უნერგავდით მათში მაგარ სულს, სიმტკიცეს და სიმხნევეს” (ვახტანგ ღამბაშიძის ალბომი, 2019: 113).

ვახტანგ ღამბაშიძე საფრანგეთის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარედ სამგზის აირჩიეს. ის იყო ყველა ქართველის პატივისცემელი, განურჩევლად მათი პოლიტიკური შეხედულებებისა. „თითოეული თქვენი ოჯახის წევრი ჩემთვის მახლობელია. იმიტომ, რომ თქვენთან ერთხელ მოსაუბრე კაცი მყის იმა მხურვალეობას გრძნობს, რომელსაც მამულიშვილურ გრძნობით აღჭურვილი ადამიანი თავისთავად გადასცემს. რადგან ამა მოგონებების რვეულში მე მიხვდება ჩემი აზრის გამოთქმა, ისეც უკანასკნელ ფურცელზე, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელობა ჩემი ბუნებისთვის მიუღებელია. ამა ხვედრს სიამოვნებით ვღებულობ იმ პირთა შემდეგ, რომელთაც აქვე მოუთავსებიათ თქვენთვის მიძღვნილი გულიდან ამონახეთქი თავთავიანთი გრძნობები. გუშინ მოგახსენეთ, რომ არა წესიერი (არალეგალური ცხოვრება მეჯავრება და ვეღარც ვეთვისები მას. მიუხედავად იმისა, რომ შიშისა გრძნობების ძებნაში ვარ და დღემდის ვერ მიპოვია.

თქვენი მორჩილი, დაუფიქრებელივ დევნილ საშიშროებაში მყოფი მყის თქვენსკენ მოილტვის შეუშინებელივ“ (ვახტანგ ღამბაშიძის ალბომი, 2019: 114).

ეს ჩანაწერი ეკუთვნის ავთანდილ მერებაშვილს, საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეს, მეცენატს. ადამიანს, რომლის მიმართაც არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობდა ქართულ ემიგრაციაში. ცნობილია, რომ ავთანდილ მერებაშვილი 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხების, მამისა და ნათესავების დახვრეტის შემდეგ ემიგრაციაში წავიდა. 1924 წელს ის ჩავიდა ბერლინში და თავისი მეგობრის, ემიგრანტ საღირაშვილის მეშვეობით აქტიურად დაიწყო კონტაქტების დამყარება ქართულ ანტისაბჭოთა პოლიტიკურ ემიგრაციასთან. ქართველი ემიგრანტების ნაწილმა მას ბრალი დასდო საბჭოთა სპეცსამსახურებთან კავშირში და დააყენა ქვეყნიდან მისი გაძევების საკითხი. ახსნა-განმარტებებისთვის მერებაშვილმა ემიგრანტებთან შეხვედრა ითხოვა, სადაც განაცხადა, რომ ის მართლაც იყო ბერლინში სპეციალური დავალებით გაგზავნილი საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ, თუმცა საბჭოთა დაზვერვასთან ფარული თანამშრომლობა მან იკისრა საბჭოთა კავშირიდან ემიგრაციაში წასვლის მოტივით, რათა შემდგომ ებრძოლა საქართველოს მტრების წინააღმდეგ. ის საკუთარ დამსახურებად მიიჩნევდა გერმანიაში საბჭოთა საელჩოს თანამშრომლების ინტიმური ცხოვრების გამოაშკარავებას. დაასახელა ზოგიერთი ქართველი ემიგრანტი, რომლებსაც თითქოსდა კავშირი ჰქონდათ საბჭოთა საელჩოსთან. სხვებს შორის მიაჩნდა ვახტანგ ღამბაშიძის ძმაზე - დავით ღამბაშიძეზე (სულაძე, 2012: 107-108). ქართული

სათვისტომოს თავმჯდომარე გიორგი კერესელიძემ მერებაშვილი 1925 წელს საფრანგეთში გაამგზავრა, რათა მის პიროვნებაში უკეთ გარკვეულიყვნენ. 1926 წელს კი საფრანგეთიდანაც მოუწია გადასვლა, გრიგოლ ვეშაპელის მკვლელობის გამო. საბჭოთა ხელისუფლება, მისი მომხრეები და ემიგრანტთა ნაწილი გრიგოლ ვეშაპელის მკვლელობას, მისი პროსაბჭოთა განწყობის გამო მიაწერდა ნოე რამიშვილს და შალვა ქარცივაძეს, რომლებმაც თითქოსდა ეს აქცია განახორციელეს მერებაშვილის ხელით. ანტისაბჭოთა პოზიციაზე მყოფი ემიგრანტები მიიჩნევდნენ, რომ გრ. ვეშაპელის მკვლელობა განხორციელდა საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ დაქირავებული აგენტის ხელით. გრიგოლ ვეშაპელი მომხრე იყო ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნების და 1925 წელს პარიზში გამომავალი თავისი გაზეთის "ახალი საქართველოს" ფურცლებიდანაც ემიგრანტებს სამშობლოში დაბრუნებისკენ მოუწოდებდა. მალე ვეშაპელის მომხრეებმა სამშობლოში დაბრუნების მსურველთა სიების შეგროვება დაიწყეს. ეს არ შედიოდა საქართველოს სსრ საგანგებო კომისიის და განსაკუთრებით ლ. ბერიას გეგმებში. „საქართველოში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, ჩვენ არ მოვინდომეთ, რომ პარიზში ქართველი მენშევიკური პარტიის ზოგიერთი ოპოზიციონერი წევრი საქართველოს დაბრუნებოდა, მაგრამ ნებართვა დაბრუნებაზე მაინც იქნა გაცემული მათზე 1925 წელს. ჩვენ წინააღმდეგი ვიყავით მათი დაბრუნების, რამეთუ მათ ყოფნას პარიზის მენშევიკურ ორგანიზაციაში შეეძლო გამოეწვია ამ ორგანიზაციის დაშლა და ჩვენი ღრმა რწმენით, იგი უკვე გაუჩინარდებოდა დიდი ხნის უკან (სულაძე, 2012: 186). 1926 წლის ივლისით დათარიღებულ მოხსენებით ბარათში, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყოფილი წევრი ვ. ალიხანაშვილიც აღნიშნავს, რომ გრიგოლ ვეშაპელის სიკვდილით ხელსაყრელი მომენტია შექმნილი ქართული ემიგრაციის დასაშლელად (სულაძე, 2012: 129).

ფრანგულმა სასამართლომ მკვლეელი გაათავისუფლა და მხოლოდ საფრანგეთიდან გასახლება მიუსაჯა. თუმცა გრიგოლ ვეშაპელის მკვლელობასთან დაკავშირებით არსებობს გენერალ შალვა მაღლაკელიძის მოგონებები, რომლის მიხედვითაც ვეშაპელი მოღალატე არ ყოფილა, ის მისივე კაცმა მოკლა და სწორედ მერებაშვილი იყო ბოლშევიკების აგენტი

საფრანგეთიდან მერებაშვილი ბელგიაში წავიდა. შალვა მაღლაკელიძის მოგონებიდან: მერებაშვილი ბელგიაში გადაასახლეს, ვითომ მდიდარი ბელგიელი ქალი შეურთავს, მაგრამ ჩვენ ვეჭვობდით რომ ეს მოსკოვის ფულია“ (სულაძე, 2012: 114). 1944 წლამდე მერებაშვილი ბელგიაში ცხოვრობს. როგორც სჩანს, მას არ გაუწყვეტია კავშირი ვახტანგ ღამბაშიძის ოჯახთან. 1943 წელს ვახტანგ ღამბაშიძის ბინაში გამართულ შეხვედრაზე, რომელიც მოეწყო გრიგოლ რობაქიძის და გრიგოლ დიასამიძის პატივსაცემად, ქართული ემიგრაციის წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდა მერებაშვილის მეუღლე, ინეს მერებაშვილიც.

1945 წლის მაისში მერებაშვილი პარიზშია და ვახტანგ ღამბაშიძის ოჯახში სტუმრად მყოფი მის ალბომში ტოვებს დიდი პატივისცემით და მადლიერებით სავსე ჩანაწერს. II მსოფლიო ომის შემდეგ, როცა ნაცისტებთან თანამშრომლობის ბრალდებით საბჭოთა მთავრობამ სხვა ქართველებთან ერთად, მოკავშირეებს მერებაშვილის გადაცემაც მოსთხოვა, მან ევროპა დატოვა. ჯერ არგენტინაში ჩავიდა, ბუენოს-აირესის მახლობლად, ლომას დე

ზამორაში, შემდეგ ბოლივიაში გადავიდა, ბოლოს კი ჩილეში დასახლდა. 1947 წელს ჩილეში საბჭოთა კავშირთან ურთიერთობა გაწყვიტა და ევროპიდან ლტოლვილები შეიფარა.

ავთანდილ მერებაშვილის ჩანაწერი უკანასკნელია ვახტანგ ღამბაშიძის ალბომში. 1945 წელს ვახტანგის მეუღლეც აღესრულა. თავად ვახტანგ ღამბაშიძე გარდაიცვალა 1951 წლის 10 აგვისტოს, კინლოხში, შოტლანდიაში, სადაც სტუმრად იყო ჩასული თავის ქალიშვილ ჟორჟეტასთან. იგი ჟორჟეტასა და მისი მეუღლის ნილ სტუარტის მამულში დაკრძალეს.

ისტორიის და მათ შორის საქართველოს უახლესი ისტორიის შესწავლა სხვადასხვა ტიპის წყაროების გამოყენებით ხდება. დღეს, როცა ისევ აქტუალურია საქართველოს პოლიტიკური არჩევანის საკითხი, დამოკიდებულება მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებთან, საგარეო ფაქტორების გავლენა ქვეყნის სახელმწიფოებრივ განვითარებაზე, ვახტანგ ღამბაშიძის ხელნაწერი ალბომი მნიშვნელოვანი შენაძენია საქართველოს უახლესი ისტორიის შესწავლით დაინტერესებულ პირთათვის და წარსულის გააზრების წყაროც. ალბომის გაცნობის და იქ დაცული ჩანაწერების შესწავლის საფუძველზე დავადგინეთ, რომ სხვადასხვა ტიპის ჩანაწერები აზუსტებს და ავსებს არა მხოლოდ ვახტანგ ღამბაშიძის როგორც ექიმისა და საზოგადო მოღვაწის ღვაწლს და დამსახურებას, არამედ აქ ვხვდებით საინტერესო ცნობებს ქართული ემიგრაციის წევრთა საქმიანობაზე, ურთიერთდამოკიდებულებაზე, მიზნებზე და მუდმივ მოლოდინზე იხილონ დამოუკიდებელი საქართველო.

გამოყენებული ლიტერატურა და ბიბლიოგრაფია:

- ვახტანგ ღამბაშიძის ალბომი. (2019). თბილისი. „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“.
- პაპავა, თ. (1990). გაბნეული საფლავები. თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“.
- სულაძე, გ. (2012). ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები. თბილისი. „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“.
- სულხანიშვილი, ა. (1981). ჩემი მოგონებანი. სან-ფრანცისკო.
- ღამბაშიძე, ვ. (2018). ჩემი თავგადასავალი. თბილისი. საქართველოს ეროვნული არქივი.

The album by Vakhtang Gambashidze is a historical source

Summary

The goal of our research was to review the records of 43 representatives of the Georgian emigration and several Georgians who were held captive by the German invaders in 1925-1945 as a historical sources and to connect them with the events in Georgia and the world. In the album, we find poems, essays, congratulations, impressions and signatures. On the basis of getting to know them, studying them, identifying the authors and using qualitative and quantitative methods of research, we can judge what was the spectrum of Georgian emigration, which parties were active in Georgia before the establishment of the Soviet government, what reasons led to emigration, what was the attitude of a part of Georgian emigration towards Nazi Germany and what were their expectations, what was the relationship between the members of the emigration and what was the relationship with Georgian prisoners during the Second World War.

Various types of records clarify and complement not only the achievements and merits of Vakhtang Gambashidze as a doctor and public figure, but here we find interesting information about the activities of the Georgian emigration, mutual dependence, goals and constant expectation to see an independent Georgia.

**სახალხო პოეტი იოსებ დავითაშვილი
ქართველ მემუარისტთა მოგონებებში**

ქართველმა მემუარისტებმა: **იაკობ მანსვეტაშვილმა** (1855-1944) და **სოფრომ მგალობლიშვილმა** (1851-1925) სახალხო პოეტ **იოსებ დავითაშვილს** (1850-1887) საინტერესო მოგონებები მიუძღვნეს. პოეტს მემუარისტები კარგად იცნობდნენ და მასთან პირადი და სამსახურებრივი ურთიერთობა აკავშირებდათ. მათი ცნობები იოსებ დავითაშვილის შესახებ მეტად სანდოა. ისინი მეტწილად ემთხვევა და ავსებს ერთმანეთს.

ლიტერატორი და ჟურნალისტი **იაკობ მანსვეტაშვილი** 1886 - 1890 წლებში ილია ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიაში“ მუშაობდა. იგი რედაქციის მუდმივი თანამშრომელი იყო. ამავე პერიოდში თანამშრომლობდა ყოველთვიურ ჟურნალ „მომამბესა“ და საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილში“. იაკობ მანსვეტაშვილს ხუთი წლის განმავლობაში ეკავა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მდივნის თანამდებობა. შესაბამისად, ის კარგად იცნობდა ყველა იმდროინდელ მეტად თუ ნაკლებად გამოჩენილ საზოგადო მოღვაწესა და მწერალს, რომელთაც საინტერესო მოგონებები მიუძღვნა. მოგონებები ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“ მუშაობის პერიოდიდან შეადგენს იაკობ მანსვეტაშვილის მემუარების ყველაზე საინტერესო ნაწილს. მის გალერეაში ვხედავთ ისეთ მოღვაწეებს, როგორებიც არიან პლატონ იოსელიანი, გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, ვანო მაჩაბელი, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი, იაკობ გოგებაშვილი, რაფიელ ერისთავი, გრიგოლ ვოლსკი, ასიკო ცაგარელი, ნიკო ცხვედაძე, კოტე ყიფიანი, იოსებ დავითაშვილი და სხვები.

ქართული მემუარული ლიტერატურის განვითარებაში ასევე დიდია მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, **სოფრომ მგალობლიშვილის**, წვლილი. მას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული მემუარული ლიტერატურის დიდი მნიშვნელობა აწმყოსა და მომავლისათვის და ამ საქმეს დიდი პასუხისმგებლობით უდგებოდა. ის მემუარებს 1900-იანი წლებიდან გარდაცვალებამდე, 1925 წლამდე, წერდა და აქვეყნებდა. სოფრომ მგალობლიშვილს, რომელიც აქტიურად მოღვაწეობდა ხალხოსანთა ჟურნალ „იმედსა“ და ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“, საინტერესო მოგონებები აკავშირებს ქართველ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან. სოფრომ მგალობლიშვილი მათ შესახებ ბევრ ისეთ შემთხვევას, დეტალს გვაცნობს, როგორსაც სხვა მემუარისტებთან ვერ შევხვდებით. ეს კი მის მემუარებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს.

იაკობ მანსვეტაშვილი და სოფრომ მგალობლიშვილი მეტად შთამბეჭდავად ხატავენ ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დაუფიქრარ სახეებს. მემუარისტებს ეხერხებათ როგორც მათი გარეგნული პორტრეტების, ისე შინაგანი თავისებურებების ჩვენება, რომლებიც მოღვაწის, მწერლის, რაობას განსაზღვრავს.

თვითნასწავლმა პოეტმა **იოსებ დავითაშვილმა** თავისი ხანმოკლე შემოქმედებითი მოღვაწეობის დროს (1877-1887) რამდენიმე ათეული ლექსი დაწერა. ლექსების პირველი კრებული „სტირი“ გამოქვეყნდა 1880 წელს. იოსებ დავითაშვილის პოეზია გლახეკაცობისა და მუშა-ხელოსანთა მისწრაფებების გამომხატველია. მას ჩაგრულთა ხსნის ერთადერთ პირობად განათლება მიაჩნდა. იოსებ დავითაშვილის პატრიოტული ლირიკა თერგდალეულთა ზეგავლენითაა აღბეჭდილი („წუთისოფელში ცხოვრება“, „ახალ მოლექსეს“, „მოხუცის სინანული“) (ქსე, 1978, გვ. 337).

იაკობ მანსვეტაშვილმა და სოფრომ მგალობლიშვილმა პოეტ იოსებ დავითაშვილის დასამახსოვრებელი სახე შექმნეს. იაკობ მანსვეტაშვილი თავის მემუარებში აღნიშნავს **ილია ჭავჭავაძის** განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ჩვენი „ერთადერთი სახალხო მგოსნის“ მიმართ. მისი თქმით, ილია, რომელიც „ძალიან მკაცრად და სასტიკად ეკიდებოდა ლექსებს“ და **გაზეთ „ივერიაში“** გამოქვეყნების უფლებას ცოტას თუ აძლევდა, იოსებ დავითაშვილს უარს არ ეუბნებოდა და გზას უხსნიდა (მანსვეტაშვილი, 1985: 95-96). ილია და აკაკი ლექსებით რედაქციას არ ანებივრებდნენ, სამაგიეროდ ხშირად იბეჭდებოდა ვაჟა-ფშაველას პოეზია და ხალხური ლექსები. „ვბეჭდავდით აგრეთვე დავითაშვილის ლექსებს, თუმცა იმასაც **ბევრი მდარე ლექსი** მოჰქონდა ხოლმე, მაინც რედაქციის კარს არ ვუხშავდით: **ესეც იმავე ხალხური პოეზიის წარმომადგენელი იყო**“ (მანსვეტაშვილი, 1985: 96).

სოფრომ მგალობლიშვილის გადმოცემით, როდესაც პოეტი გარდაიცვალა, ილიამ მას დიდი პატივი მიაგო: „შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა და დაახასიათა მისი პოეზია“ (მგალობლიშვილი, 1938: 122). ილიამ იოსებ დავითაშვილის გარდაცვალების გამო „ივერიაში“ (გაზეთი *ივერია* (1887). N61) საგანგებო მეთაური დაბეჭდა, აქვე მოათავსა მისი ბიოგრაფიაც.

ლიტერატორ **ლადო მინაშვილის** შეფასებით, სწორედ ილია ჭავჭავაძის განუზომელ ავტორიტეტთან არის დაკავშირებული ის გარემოება, რომ იოსებ დავითაშვილის სახელი დავიწყებას არ მიეცა. „ილია ჭავჭავაძემ იოსებ დავითაშვილის გარდაცვალებისას წარმოთქმულ სიტყვაში საგანგებოდ გახაზა მისი მნიშვნელობა ჩვენი ლიტერატურისათვის, როგორც დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენლისა. მანვე იოსებ დავითაშვილი იმ ქართველთა გუნდს მიაკუთვნა, რომელთაც სამშობლოს წინაშე გარკვეული ღვაწლი მიუძღვით სიტყვითა თუ საქმით (მინაშვილი, 2010: 242).

უნდა აღინიშნოს, რომ **აკაკი წერეთელი** იოსებ დავითაშვილის შეფასებისას ილიას პოზიციაზე იდგა. იოსებ დავითაშვილის პანაშვიდზე წარმოთქმულ სიტყვაში აკაკიმ ყურადღება გაამახვილა მის განსაკუთრებულ ღირსებაზე: „ის არ ყოფილა არც გამოჩენილი მეცნიერი და არც სამაგალითოდ შესანიშნავი მწერალი. შემცდარია ის, ვისაც ჰგონია, რომ მარტო მოლექსეობისათვის ვსცემდეთ მას პატივს. დაბალ წოდებაში ნიჭი იშვიათი არ არის და არც მოშაირობაა განსაკუთრებითი მოვლინება. **განსვენებული იმითი იყო შესანიშნავი უფრო, რომ თავის პირადობაზე იმდენად არა ჰფიქრობდა, რამოდენადაც საზოგადოებაზე**“ (წერეთელი, 1990: 412).

ლიტერატორ **ლადო მინაშვილის** თვალსაზრისით, გამოჩენილ სამოციანელთა: **ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის** „ამგვარი შეფასება იყო საფუძველი და იმისი პირობაც, რომ

იოსებ დავითაშვილს მოკრძალებული ადგილი დათმობოდა მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში“ (მინაშვილი, 2010: 242).

იაკობ მანსვეტაშვილი და სოფრომ მგალობლიშვილი ხატავენ იოსებ დავითაშვილის საინტერესო პორტრეტს და მას ახასიათებენ, როგორც ძალიან თავმდაბალ ადამიანს. **იაკობ მანსვეტაშვილის თქმით**, ის იყო „მშვიდი, წყნარი, მორიდებული, მორცხვი. მოვიდოდა რედაქციაში, შემოაღებდა კარებს და გაჩერდებოდა“ (მანსვეტაშვილი, 1985: 96); მოპატიჟების შემდეგაც ვერ ბედავდა შემოსვლას, ადგილიდან არ იძვროდა, ტუჩებზე ოდნავი ღიმილი გადაჰკრავდა; ისე ეჭირა თავი, თითქოს რაღაც დანაშაული მიუძღოდა და ბოდიშს იხდიდა. **სოფრომ მგალობლიშვილის გადმოცემითაც**, იოსებ დავითაშვილი მოკრძალებული და მორცხვი ადამიანი იყო, რომელსაც თავის გაჭირვებაზე საუბარი ერიდებოდა. „თუ ოჯახში შეჩვეული არ იყო, ხმას ვერ ამოაღებინებდით, პურის ჭამას ვერ გაბედავდა თავისუფლად, რა გინდ მშიერი ყოფილიყო, თავის ნაკლებულობას და საჭიროებას ვერ გაგიბედავდათ პირდაპირ“ (მგალობლიშვილი, 1938: 120).

იოსებ დავითაშვილის მოკლე ბიოგრაფიაში, რომელიც **ილია ჭავჭავაძემ** პოეტის გარდაცვალებისთანავე, 1887 წელს, შეადგინა, მისი პიროვნული თვისებებიც არის აღნიშნული. ილიასა და მემუარისტების შეხედულებები არსებითად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. „საკვირველი თავდაბალი, უწყინარი, უბოროტო კაცი იყო განსვენებული.“ – წერს ილია, – „იმისაგან წყენა, ავი სიტყვა, ავი საქმე არავის ახსოვს... მეტად საყვარელი, ტკბილი, ჩუმი კაცი იყო. ქალაქის ხელოსნებს და სხვაგანაც, საცა იცნობდნენ, ყველას უყვარდა და ყველა პატივსა სცემდა“ (ჭავჭავაძე, 1986: 148).

იაკობ მანსვეტაშვილი იოსებ დავითაშვილს ხალხური პოეზიის წარმომადგენლად მიიჩნევს, რომლისთვისაც „ლექსი ... მთელი იმისი სიცოცხლე იყო, მთელი იმისი სული და გული... მთელ თავის არსებას შიგ აქსოვდა“. ის ბავშვივით გულუბრყვილო იყო და მის ლექსებშიც ასეთი გულუბრყვილობა არის გამოხატული. საყმაწვილო ჟურნალმა „ჯეჯილმა“⁸⁹ ტყუილად არ აიღო თავისი გამოცემის დევიზად იოსებ დავითაშვილის ლექსი: „იზარდე, მწვანე ჯეჯილო, დაპურდი, გახდი ყანაო!“ (მანსვეტაშვილი, 1985: 96).

სოფრომ მგალობლიშვილის მიერ სწორადაა დანახული იოსებ დავითაშვილის პოეზიის ძირითადი თემა. ის გლეხობისა და მუშა-ხელოსანთა მისწრაფებებს, ფიქრსა და ოცნებას გამოხატავს. პოეტის მიერ განსახიერებული ღამის მეხრეები და გუთნისდედები იხვეწებიან, რომ მათ წერა-კითხვა ასწავლონ. „სწავლის გზა ფართო მომეცით, არ დამიკეტოთ კარები, გლეხი ვარ, მაგრამ კაცი ვარ, მეც ქვეყნად დავიარები“, – ვკითხულობთ ლექს „გლეხის ბიჭის ვედრებაში“ (მგალობლიშვილი, 1938: 120). იოსებ დავითაშვილი თვითნასწავლი იყო. ცოდნა შეგირდობის დროს სახელოსნოში თვითონ ჰქონდა შეძენილი, მაგრამ ბევრი კითხვით, შრომით ენა გაივარჯიშა. როგორც კი დროს იშოვიდა, ქართულ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს კითხულობდა. მას ძალიან სწყუროდა სწავლა. სულ იმის ოცნებაში იყო, როდის

⁸⁹ საყმაწვილო ყოველთვიური ჟურნალი „ჯეჯილი“ გამოდიოდა 1890-1920 წლებში. მისი რედაქტორი და გამომცემელი იყო ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა.

მოეფინებოდა საქართველოს სახალხო სკოლები, რომლებიც გლეხკაცობაში განათლების სხივს შეიტანდა.

ილია ჭავჭავაძის გადმოცემით, სწავლას მონატრებული იოსებ მანსვეტაშვილი „სულ ამ ცოდნისა და განათლების უქონლობასა სჩიოდა და მისი მწუხარება და ნაღველი ის იყო, რომ გლეხი უსწავლელია. ეს ჰკბენდა გულში, ესა სტანჯავდა...“ (ჭავჭავაძე, 1986: 146); „ყველგან, საცა კი რაიმე შემთხვევა ეძლევა, განსვენებული დავითაშვილი სულ ამას იძახის ტკბილისა და მშვიდობიანის სიტყვითა, რომ ჩვენი, მუშა-გლეხის ხსნა სწავლა და განათლებააო“ (ჭავჭავაძე 1986: 145).

მემუარისტები აღნიშნავენ მატერიალურ სიდუხჭირეს, რომელიც სახალხო მგოსნის ცხოვრებას თან სდევდა. **იაკობ მანსვეტაშვილი** იგონებს: „დავითაშვილი ხელოსანი იყო, დურგალი, მუდამ რაღაცა დატანჯული სახით გამოიყურებოდა. როცა კი მინახავს, სულ ერთი და იგივე ტანისამოსი ეცვა: ტანზე გარუჯული, გახუნებული შალის ჩოხა, თავზე ისეთივე გახუნებული გარბალდის ქუდი და ფეხზე ხარაზის ჩუსტები. ეს იყო მთელი მისი სამკაული“ (მანსვეტაშვილი, 1985: 96-97).

სოფრომ მგალობლიშვილი წარმოგვიდგენს დაღვრემილ, ცხოვრებისაგან გათანგულ კაცს, რომელმაც თავისი ხანმოკლე სიცოცხლე ტანჯვა-წვალებაში განვლო. ის შეხედულებით თითქოს ბრგე ვაჟკაცი იყო, მაგრამ ჯან-ღონე სნეულებით ჰქონდა გატეხილი. მატერიალურმა გაჭირვებამ ხელი შეუწყო ავადმყოფობას და უდროოდ დაასნეულა. იოსებ დავითაშვილს გორში და ჰყავდა, რომელთანაც საცხოვრებლად 1880-იანი წლების დამდეგს გადავიდა. ამ დროს პატარა ქალაქში სამუშაოს შოვნა ძნელი იყო და ამიტომ სულ გაჭირვებაში იმყოფებოდა. „მე გორში ისეთი ნათესავი არავინა მყავს, რომ შეეძლოს ხელის გამართვა. ერთი ქვრივი და მყავს, ისიც კარგია, რომ ამ ხნის განმავლობაში პურს მაჭმევს ნაცვლად იმისა, რომ მე ვშველიდე, როგორც უპატრონო დას“, – სწერს იოსებ დავითაშვილი სოფრომ მგალობლიშვილს და სთხოვს სიტყვა შეაწიოს ქველმოქმედ **ნიკო დიასამიძესთან**,⁹⁰ რომ თუმანი ან თუმანზე ნაკლები ასესხოს (მგალობლიშვილი, 1938: 120-121). წერილი დათარიღებულია 1884 წლის 28 ნოემბრით. როცა სცენისმოყვარეებმა გორში წარმოდგენა გამართეს, იოსებ დავითაშვილიც გამოცოცხლდა. ნიკო დიასამიძემ მათ თავისი სახლი მუქთად დაუთმო, თეატრის ყურისმგდებლად კი მუშა-პოეტი დაინიშნა. იგი თან დეკორაციებსაც დგამდა. ჯამაგირი მცირე ეძლეოდა. აქეთ-იქიდან მცირეოდენ შემწეობასაც იღებდა, მაგრამ საკმარისი არ იყო. ბოლოს „ცხოვრებისაგან გაწამებული მგოსანი“ თელავში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც ნაადრევად გარდაიცვალა. თელავის ქართველობამ განსვენებული დიდი პატივით დაკრძალა. გორის საკრებულო ტაძარშიც პანაშვიდი გადაიხადეს. ყველაზე დიდი პატივი კი თბილისში მიაგეს, „სადაც სულმნათმა ილიამ შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა და დაახასიათა მისი პოეზია“ (მგალობლიშვილი, 1938: 122).

სოფრომ მგალობლიშვილი ადასტურებს ქართველ მწერალთაგან არაერთგზის აღნიშნულ ფაქტს: ჩვენ, ქართველებმა, გლოვა-ტირილი დიდი ამბით ვიცით, ხოლო სიცოცხლეში მივიწყებულნი გვყავს ზემადლით ცხებული ჩვენი მწერლები, რომლებიც

⁹⁰ ნიკო დიასამიძე (1845-1897) - საზოგადო მოღვაწე, მეცენატი, ქართული თეატრის მოამაგე.

სამშობლოში ასრულებენ სიცოცხლეს, უკიდურეს სიღარიბეში იხოცებიან და მხოლოდ სიკვდილი გაგვახსენებს ხოლმე, რომ დაგვარგეთ დიდებული ადამიანი.

მემუარისტის სიტყვით, ამ ბოლო დროს ჩვენმა საზოგადოებამ თავისი მოწინავე შვილების სიყვარული და პატივისცემა ისწავლა, დიდი გულშემატკივრობა გამოიჩინა და თავისი ღარიბი ჯიბე აღარ დაიშურა დასწავლულ და სიღარიბეში მყოფ ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა დასახმარებლად. იოსებ დავითაშვილის დროს კი ასეთი გულისხმიერება და დაფასება არ ყოფილა. ჩვენი „ერთადერთი სახალხო მოსანი“ სწორედ სიღარიბემ და გაჭირვებამ იმსხვერპლა (მგალობლიშვილი, 1938: 118-119).

დასკვნის სახით: მე-19 საუკუნის ქართველი მემუარისტებმა: **იაკობ მანსვეტაშვილმა და სოფრომ მგალობლიშვილმა** თავიანთ მოგონებებში გააცოცხლეს პოეტ **იოსებ დავითაშვილის** შთამბეჭდავი სახე. მათ წარმოაჩინეს მისი როგორც გარეგნული, ისე შინაგანი თვისებები: თავმდაბლობა, სიმორცხვე, მოკრძალება, უწყინარობა. მემუარისტები იოსებ დავითაშვილს ჭეშმარიტ სახალხო მოსნად მიიჩნევენ, რომლის პოეზიაც დაბალი ფენების მისწრაფებებს გამოხატავს.

მოგონებებში აღწერილია იოსებ დავითაშვილის ცხოვრებისეული პერიპეტიები: მატერიალური სიდუხჭირე, რომელიც პოეტს მუდამ თან სდევდა და ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა; გულგრილობა საზოგადოებისა, რომელმაც პოეტს მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ მიაგო ღირსეული პატივი; დიდი ილიას კეთილგანწყობილება, რომელმაც ქართულ პოეზიაში სახალხო პოეტის მოკრძალებული ადგილი მნიშვნელოვნად განსაზღვრა.

იაკობ მანსვეტაშვილისა და სოფრომ მგალობლიშვილის მოგონებები განსმჭვალულია ღრმა სინანულით ყველასგან მივიწყებული სახალხო მოსნის - იოსებ დავითაშვილის ხანმოკლე და გაუხარელი ცხოვრების გამო.

გამოყენებული ლიტერატურა და ბიბლიოგრაფია:

- მანსვეტაშვილი, ი. (1985). მოგონებები. თბილისი.
- მგალობლიშვილი, ს. (1938). მოგონებანი. თბილისი.
- მინაშვილი, ლ. (2012). ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია. იოსებ დავითაშვილი. II. თბილისი.
- წერეთელი, ა. (1990). რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად. ტ. IV. პუბლიცისტური და კრიტიკული წერილები. თბილისი.
- ჭავჭავაძე, ი. (1986). რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად. წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. ტ. III. თბილისი.
- ჭიქაბერიძე, მ. (2020). XIX საუკუნის ქართველ მწერალთა მემუარული მემკვიდრეობა. თბილისი.
- (1978). ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. III. თბილისი.
- გაზეთი *ივერია* (1887). N61. ტფილისი

People's poet Ioseb Davitashvili in the memories of Georgian memoirists (according to Jacob Mansvetashvili and Soprom Mgaloblishvili)

Summary

The article is dedicated to the forgotten Georgian folk poet of the 19th century, Ioseb Davitashvili (1850-1887). The sincerity, immediacy, and lively conversational speech of his poems can be seen, bringing them closer to folk poetry.

Georgian memoirists: Iakob Mansvetashvili and Soprom Mgaloblishvili brought us interesting information about Ioseb Davitashvili. They brought to life both his external portrait and his inner features.

Memoirists note Ilia Chavchavadze's special attitude towards "our only public servant". According to Iakob Mansvetashvili, Ilia, who evaluated poems very strictly and allowed only a few to be printed in "Iveria" newspaper, paved the way for Ioseb Davitashvili. According to Sofro Mgaloblishvili, when the poet died, Ilia printed an extraordinary commander in "Iveria" (1887, N 61), and also placed a biography there.

Both memoirists describe Ioseb Davitashvili as a very modest person. According to Iakob Mansvetashvili, he was "calm, quiet, shy, shy. He would come to the editorial office, close the doors and stop." According to Soprom Mgaloblishvili, Ioseb Davitashvili was "of a very modest and shy nature" who avoided talking about his hardships.

The opinion of memoirists about Ioseb Davitashvili's poetry is interesting. Jacob Mansvetashvili considers it a representative of folk poetry. One of the main themes of Ioseb Davitashvili's poetry was correctly seen by Soprom Mgaloblishvili: the peasants embodied by him beg to be taught to read and write. Ioseb Davitashvili dreamed of public schools that would include education in the peasantry.

The memoirists note the material poverty that always accompanied the life of the public servant. He spent his life in poverty and looking for luck.

In the memoirs of Iakob Mansvetashvili and Soprom Mgaloblishvili, the impressive face of the public servant is depicted. The memoirists knew him well, had a personal and professional relationship with him, which adds more credibility and reliability to their memories.

სამშობლოს ხატი მაკა ჯოხაძის პოსტსაბჭოთა პუბლიცისტიკაში

პუბლიცისტური ტექსტების დანიშნულება და შესაძლებლობა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების ფორმირების პროცესში განსაკუთრებულია. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის ეს ლიტერატურა ცნებებით აზროვნებს და მისი ავტორის დამოკიდებულება აქტუალური საკითხების მიმართ „სახეებით აზროვნებაზე“ არანაკლებ გავლენიანია. მეოცე საუკუნის დასასრულისა და 21-ე საუკუნის ქართულმა პუბლიცისტიკამ საუკეთესოდ შემოინახა ყველა ტრადიცია, რომლის მთავარი აქცენტები ჩვენს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ყოფაზე არის პროექცირებული. პუბლიცისტურმა ჟანრმა სამეცნიერო-ისტორიული ლიტერატურის პარალელურად, თავის თავზე აიღო ქვეყნის იდეოლოგიური რეკონსტრუქციის მემპტიანის ფუნქცია. მიუხედავად ამისა, მკვლევრები მაინც შენიშნავენ, რომ „უკანასკნელ ხანს ერთგვარი ნიჰილისტური დამოკიდებულება გაჩნდა პუბლიცისტური ჟანრის მიმართ, თითქოს მოწინავე სტატია, ფელეტონი ან ნარკვევი მხოლოდ კომუნისტური „წარსულის გადმონაშთები“ იყვნენ“ [1. 5]. ჟანრული თავისებურებანი ეპოქის შესაბამისად განიცდის ცვლილებას და ეს კანონზომიერება მხოლოდ პუბლიცისტიკაზე არ აისახება. ნოდარ ტაბიძე აღნიშნავს ხუთ ფუნდამენტურ პრინციპს, რომელიც კონსტიტუციური რჩება ნებისმიერ ეპოქაში და მისი რევიზია შეუძლებელია. ეს გახლავთ: „ცნებებით აზროვნება, ტენდენციების გამჟღავნება პირდაპირ და შეუნიღბავად, აქტუალურობა, განზოგადება და აუდიტორიაზე ზემოქმედება“ [3.14]. ეს უკანასკნელი პუბლიცისტიკის მათგანზე მთავარია და იგი განსაკუთრებულად ღირებულია, როცა ავტორის ეთიკურ-პიროვნულ და პროფესიულ რეპუტაციასთან თანაარსებობს. სწორედ ასეთ ავტორთა შორისაა მაკა ჯოხაძე, რომელიც გამომსახველობითი ხელწერით, ნაციონალურ პრობლემებზე ობიექტური რეაგირების უნარით უაღრესად სანდო მწერლად შეიძლება ვადიაროთ. მისი პუბლიცისტიკა თვითმყოფადია თავისი ღრმააზროვნებით, პრობლემურობით, მგრძნობელობით, რომლის რეგისტრი განსაკუთრებით მაღალია, როცა საქმე ჩვენი სახელმწიფოებრივი და ეროვნული ყოფის მნიშვნელოვან საკითხებს შეეხება.

მაკა ჯოხაძის სამწერლობო გზა 70-იანი წლებიდან იწყება, იბეჭდებოდა არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც. იგი არა ერთი მოთხრობების კრებული, მონოგრაფიისა და პიესების ავტორია. მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები. მაკა ჯოხაძის შემოქმედება აღიარებული და შეფასებულია მკითხველის მიერ. დიდია ინტერესი მის მიმართ მკვლევართა და კრიტიკოსთა მხრიდანაც. მასზე დაწერილი აქვთ: როსტომ ჩხეიძეს, ინგა მილორავას, მაია ჯალიაშვილის, იოსებ ჭუმბურიძეს, გურამ პეტრიაშვილს, ნანა კუციას, მურმან ჯგუბურიასა და სხვ.

ვინაიდან მწერლის შემოქმედებითი არეალი ვრცელია, ჩვენი ინტერესი მაკა ჯოხაძის შემოქმედების მიმართ ამჯერად მისი პოსტსაბჭოთა პერიოდის პუბლიცისტიკით შემოიფარგლება, რომელსაც ავტორმა თავი მოუყარა კრებულებში: „გამარჯვება შიშზე“ (1999),

„სამოთხე უსიყვარულოდ“ (2009), „ჩანაწერები-ჩაძირული დღესასწაული“ (2013). ნაშრომი ღირებულია თავისი დოკუმენტურობით, გამორჩეულია ემოციურობითა და მხატვრობით, რომელიც განსაკუთრებულ ფონს უქმნის ავტორის მთავარ სათქმელს. მართალია, მსჯელობა ეყრდნობა ემოციურ არგუმენტებს, თუმცა ყოველთვის ჰარმონიულად თანაარსებობს ფაქტების მართებულ, რაციონალურ გააზრებასთან. მაკა ჯოხაძის შემოქმედების მკვლევარნი განსაკუთრებულად აღნიშნავენ ემოციურ ნოტებსა და ლიტერატურულ ფორმას მის პუბლიცისტიკაში. ნანა კუცია მისადმი მიძღვნილ ესეში აღნიშნავს: „გრჩევა განცდა, რომ ცალკეული ესეები კრიალ კენჭებით ქმნიან სამყაროს ერთიან, ფერადოვან მოზაიკას, ყოველი ფერი თვითკმარია, განუმეორებელი, ერთადერთი. აქ ფერი აქვს ყოველს-ადამიანს-სიტყვას, საგანს“ [2. 55]. მაკა ჯოხაძის პუბლიცისტიკის ერთ-ერთ მახასიათებლად მიიჩნევა ის გარემოებაც, რომ რაზედაც უნდა წერდეს ამ „ფერადოვანი ესეების“ ავტორი, ყველგან იკვეთება სამშობლოს ხატი, მისი საზოგადოებრივი სივრცის უმთავრესი, განმსაზღვრელი ფენომენი. იოსებ ჭუმბურიძე თავის ესეში „გაფცქვნილი სამშობლოს სევდა“, რომელიც მწერლის პუბლიცისტიკას ეძღვნება ამ ტენდენციის ასეთ ფორმულირებას გვთავაზობს: „მაკა ჯოხაძის სამშობლო“ და შენიშნავს: „არაერთხელ გამოიკვებია: რამ მოუყარა თავი ამ ქალბატონში ერთი მხრივ, ასეთ სინაზეს და სათნოებას, მეორე მხრივ კი ასეთ შეუპოვრობას, როცა საქმე სამშობლოს ინტერესების დაცვას ეხება“ [9. 196].

იმისათვის, რომ უკეთ გავიაზროთ მაკა ჯოხაძის პუბლიცისტიკის მთავარი სათქმელი, დაგვჭირდება მცირე რეტროსპექტივა „მაკა ჯოხაძის სამშობლოს“ 90-იანი წლების სოციალურ-პოლიტიკური რეალობისა. როგორც ცნობილია, პოსტსაბჭოთა პერიოდში სისტემის დემონტაჟის ყველაზე მძიმე სეგმენტი მენტალური გადაწყობა აღმოჩნდა. ღირებულებების აქამდე არსებული ორიენტირები ჩამოიშალა და ჰომოსოციალური აზროვნება პირისპირ აღმოჩნდა იმ განსაცდელის წინაშე, რომელსაც ერთდროულად ქმნიდა თავისუფლების განცდა, ღმერთის აღმოჩენა და ეროვნული თვითშეგნების დაბადება. ეკონომიკური გამოწვევებითა და სხვადასხვა მენტალური საცდურით სავსე საქართველოში პუბლიცისტურ ჟანრს განსაკუთრებული მისია დაეკისრა, ვინაიდან ჯერ კიდევ შორი იყო სოციალური ქსელების და ტელემედიის მასობრივ ზეგავლენამდე. ვიდრე პუბლიკაციები ციფრულ მაუწყებლობაში გადაინაცვლებდნენ, ავტორთა ძალისხმევა გაცილებით შრომატევადი და ფასეული იყო იმის გათვალისწინებითაც, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემების პარალელურად მომრავლდა ბულვარული გამოცემებიც, რომელთა გამიჯვნა რიგითი მკითხველისთვის ადვილი არ იყო. ამ არაერთგვაროვან, ჯერ კიდევ დაულაგებელ გარემოში მაკა ჯოხაძის აკადემიურობა, ესთეტიკა და რაც მთავარია, დამოკიდებულებები ქვეყანაში არსებული პროცესების მიმართ თანმდევნი აღმოჩნდა ქართული მწერლობის მაგისტრალური ხაზის განვითარებისა. მისი მგრძნობელობის შემოქმედისთვის ეს იყო სრულიად ბუნებრივი, რადგან ოთარ ჭილაძისა არ იყოს, ჩვენ არ მივეკუთვნებით იმ ბედნიერ ქვეყნების რიცხვს, სამშობლოს თავისუფლება რომ არ ეოცნებებათ. ამ ისტორიული მოცემულობიდან გამომდინარე, ქართველი მწერლისთვის შეუძლებელი იყო და მომავალშიც შეუძლებელი იქნება ამ განცდის გარეშე აზროვნება. თუმცა

ის თავისებურებანი, რომელიც მაკა ჯოხაძის შემოქმედებაში შეინიშნება, გამომსახველობითი თვალსაზრისით ორიგინალური, მისეული და უაღრესად შთამბეჭდავია.

მაკა ჯოხაძის ესეისტიკაზე საუბრისას უნდა გამოვყოთ ის მახასიათებლები, რომელიც განსაკუთრებულად პროდუქტიულს ხდის მის შემოქმედებას. ეს გახლავთ: 1. ინფორმაციულობა, რომელიც სცდება ნაციონალურ სამანებს და გლობალური შემეცნებითი ფუნქცია აქვს. 2. კომპოზიციის აგების უნიკალური ტექნიკა 3. მხატვრული სახეებითა და მეტაფორებით აზროვნება, რომელიც ზოგადად პუბლიცისტური ჟანრისთვის დამახასიათებელი არ გახლავთ, მაგრამ მაკა ჯოხაძესთან ის ქმნის განსაკუთრებულ ემოციურ ფონს და კარგად თანაარსებობს ესეს სივრცეში. 4. დოკუმენტური ფაქტების ჩართვა სულიერი დროის განაზრებისათვის. ეს უკანასკნელი მისთვის, როგორც მწერლისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. 5. სამშობლოს მეტაფორას უპირობო არსებობა პიროვნულში, პიროვნულისა და საზოგადოებრივის იგივეობა.

ერთ-ერთ ინტერვიუში მაკა ჯოხაძე აღნიშნავს, რომ მისი სტილი „მეტაფორული აზროვნებაა“, ხოლო „მეტაფორა პოეტის სიმართლეა, რომლისთვის მან პასუხი უნდა აგოს“ [7.240]. მიუხედავად იმისი, რომ ამ ინტერვიუში იგი თავის რომანებზე საუბრობს, იგივე თავისუფლად შეიძლება მივუსადაგოთ მის ესეისტიკას, რადგან მეტაფორა აქაც მისი სააზროვნო სივრცის საყრდენია, რომელზეც მწერალი თავის მკითხველს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან იდეოლოგიურ ორიენტირებს მოუნიშნავს. აქვე ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ საბჭოურ სისტემაში მეტაფორული აზროვნება გადარჩენისა და სათქმელის მკითხველამდე მიტანის გარანტი გახლდათ. მწერლებისთვის ეს იყო შემოქმედებითი თვითგადარჩენის საუკეთესო საშუალება. ამდენად, ქართულ მწერლობას მეტაფორების სარგებლიანობის დიდი გამოცდილება გააჩნია. თავის „ჩანაწერებში“ მაკა ჯოხაძე მკითხველთან ურთიერთობას რეალობიდან ირეალურში გადასვლას ადარებს, რომელმაც „ნამდვილი ქირურგივით ბოლომდე უნდა გადახსნას მოუშუშებელი ჭრილობა და ზედმოწვევით ზუსტი სიტყვებით გაწმინდოს, გაასუფთავოს ის, ამ პროცესის გამგებად და თანამოზიარედ გაქციოს შენც და მკითხველიც“ [7. 7].

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად აკადემიური პუბლიცისტიკის ჟანრული სპეციფიკისადმი ერთგულებისა, პროფესორი ნოდარ ტაბიძე მაინც აღიარებს მაკა ჯოხაძის ესეისტიკის სპეციფიკას: „მის შემოქმედებაში საოცარი შერწყმა მოხდა მწერლობისა და ჟურნალისტიკის. მწერლის სიტყვა ამოღებული მახვილია, მაგრამ დისტანციაზე გათვლილი, ჟურნალისტიკის სიტყვა კი ისარია, რომელიც დღეს, ამ წუთას, ამ მომენტში უნდა მოხვდეს მიზანს და მაკა ჯოხაძესთან ორივე პროფესიაა შეერთებული“ [4. 38].

მაკა ჯოხაძის შემოქმედებით თავისებურებებზე საუბრობს მკვლევარი მაია ჯალიაშვილი. იგი წინ წამოწევს მწერლის იმ შემოქმედებით მახასიათებლებს, რომელიც უზრუნველყოფს მის წარმატებულ კომუნიკაციას მკითხველთან.: „ყოველმომცველია ამ ჩანაწერების სულიერი დრო- სივრცე, რომელიც საოცარი სისავსით ირეკლავს მაკა ჯოხაძის, როგორც გამორჩეული თანამედროვე მწერლის, პიროვნულ ტკივილს, ერის ჭირ-ვარამსა და კაცობრიულ სატკივარს. ფიქრის ნაკადები ისე ნატიფადაა გადაწული ერთმანეთთან, რომ ბუნებრივად გადაედინება პიროვნული განცდა ზეპიროვნულში“ [10].

მურმან ჯგუბურია თავის წერილში აღნიშნავს მაკა ჯოხაძის შემოქმედების თვითმყოფადობას და მნიშვნელობას ქართულ მწერლობისთვის: „ბარემ აქვე ვიტყვი: პროზაიკოსი ქალების დიდად ამ მწამს.. მარგარეტ იურსენარის მოვლენა ისეთია, როგორც არის დაახლოებით ის, რომ კანონს გამონაკლისიც გააჩნია. ასევე შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს მწერლობაშიც მაკა ჯოხაძის მოვლენაც გამონაკლისია“ [8. 44].

მაკა ჯოხაძის როგორც მწერლისა და პიროვნების ფენომენზე, ინტერკულტურულ სივრცეში მისი აღიარების აუცილებლობაზე საუბრობს როსტომ ჩხეიძე: „შემიდარებია ჟანა დ'არკისთვისაც, მარგარეტ იურსენარისა და ვირჯინია ვულფისთვისაც შემიდარებია. კი მაგრამ... ეს ხომ სხვადასხვა პოლუსებია? ეტყობა არც ისე სხვადასხვა, რადგან ამ თვისებებმა შესაძლოა ერთ ადამიანში მოიყაროს თავი, როცა ის პიროვნება მაკა ჯოხაძეა. დახვეწილი სტილისა ყოფით რეალობაშიც და მხატვრულ სინამდვილეშიც და მეამბოხე ყოველგვარი სიცრუის, სიყალბის და ფარისევლობის წინააღმდეგ“ [3.61].

მაკა ჯოხაძის პუბლიცისტიკაზე საუბრისას მისი თემატური პრიორიტეტები შეიძლება ასე ჩამოვყალიბოთ: 1. სულიერი საქართველო როგორც ჩვენი ეროვნული არსებობის მთავარი საყრდენი. 2. სამშობლოსთვის თავდადებული- „გაუბზარავი, მთლიანი პიროვნებები“. 3. გლობალურ სამყაროში ეროვნული იდენტობის შენარჩუნების საფრთხეები, (ანუ „ღრუბელსაც თავისი სამშობლო აქვს“) 4. მწერლობის მისია და მისიონერები. 5. უფლის განცდა, როგორც ადამიანურობისა და სამშობლოს სიყვარულის უმთავრესი ნიშანი.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, თუ რა განაპირობებს თანამედროვეთა მხრიდან მწერლის ასეთ მაღალ შეფასებებს. ვფიქრობთ, მათი მოსაზრებები ეყრდნობა არა მხოლოდ ჟანრულ თავისებურებებს და შემოქმედებით ოსტატობას, არამედ უპირველესად თემატიკას, რომელიც მწერლის ყველა რეფლექსიის საფუძველია. „მისი უზენაესობა სამშობლო“ მაკა ჯოხაძესთან არის მთავარი საკითხი, რომელიც ყველგანმყოფობს და დომინირებს. მისი პატრიოტიზმის ესთეტიკა დახვეწილი, რაფინირებულია, ვერსად გადავაწყდებით სიყალბის უნებლიე, მცირე მონასმსაც, რომელიც ხშირად იპარება პატრიოტული მოტივების გაშუქებისას. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდში ეროვნული კულტურის კრიტიკისა და ნიჰილიზმის ქადაგების მცდელობებმა შედეგი მაინც გამოიღო, საგრძნობლად შემცირდა მის მიმართ მგრძნობელობა და შესუსტდა გამოხატვის ესთეტიკისადმი პასუხისმგებლობა. პატრიოტიზმი გახდა სოციალურ-პოლიტიკურ ფაქტორების მძევალი. ასეთ ვითარებაში მაკა ჯოხაძის ესთეტიკის და მხატვრულ-გამომსახველობითი უნარების მქონე მწერლებს უდიდესი მისია ეკისრებათ, მათ უნდა შეძლონ გამარჯვება იმ ყოფითი მეტაპროზების ავტორებთან ორთაბრძოლაში, რომლებიც პატრიოტიზმს ეპატაჟის მექანიზმად იყენებენ. „დღეს ხომ სამშობლოს სიყვარული ისევე საშიშია, როგორც სიტყვა პატრიოტიზმი. ნეტა რა ამინებს, ამ სიტყვის ფონეტიკური ჟღერადობა, „სტარტოვკასავით“ რომ გაუდის ტკაცატკუცი, თუ საკუთარი სიმხდალე“ [5.13]- ასე განიცდის მაკა ჯოხაძე თავის წერილში „ხელოვანი და კოსმოპოლიტიზმი“ ქართულ სააზროვნო სივრცეში შექმნილ რეალობას და შემდეგ დასძენს: „კოსმოპოლიტიზმს, როგორც პრიორიტეტს ისე აღიქვამენ ინტელექტუალები, ანუ ძველი სახელი რომ ვიხმაროთ მათი მისამართით- მწიგნობარ-ფარისევლნი, ამ თვალსაზრისით მე უნუგემო პროვინციელად ვრჩები, რადგან ფუტკარსაც კი ეროვნულობის ჭრილიდან ვუყურებ

და ასე მგონია, სანთლის საუფლოში გამოკვეთილი მათი ვარძია, პაწია თაღები, სიმეტრიული სარკმლები, ერთი სიტყვით, ფიჭის უჯრედული წყობაც კი, საერთაშორისო სტანდარტებს არ ემორჩილება, არქიტექტურის თვალსაზრისითაც კი ეროვნულია“[5.268].

საგულისხმოა, რომ მაკა ჯოხაძის რეფლექსიები ნაციონალური თვითგადარჩენაზე არასოდეს ასოცირდება იზოლაციასა და მარგინალიზაციასთან. როგორც ცნობილია, აღნიშნული ხშირად სინთეზირდება ეროვნულ საკითხებთან და ერთგვარად იდენტობის შენარჩუნების სურვილს უკავშირდება. მაკა ჯოხაძესთან ქართული სამყარო მოიაზრება მსოფლიო კულტურული წესრიგის შემქმნელად და ნაციონალურ ყოფას მსოფლიო ინტელექტუალური თანამოაზრეობის გარეშე არ განიხილავს. „ქართული შემოქმედებითი ფენომენი თავისი ფანტაზიით არასოდეს ყოფილა შეზღუდული, ლოკალური, იმთავითვე სამყაროს კუთვნილებას წარმოადგენდა. თავის მხრივ, მთელი სამყარო მას ეკუთვნოდა“ [5.268]. ესეში „ჩვენი დროის აბო“, რომელიც არტურ ლაისტს ეძღვნება, მაკა ჯოხაძე აღნიშნავს, რომ პოეზიის საერთაშორისო ენას- „კაცად ყოფნის საერთაშორისო პაროლს“ შეუძლია სრულიად უცხო ადამიანი აქციოს შენიანად და ნათესავად. განსხვავებით „დღევანდელი ეგრეთ წოდებული კოსმოპოლიტი გლობალისტებისა, საერთაშორისო სავალუტო ფონდებთან თუ ნებისმიერ ორგანიზაციებთან საქართველოს სრული მიერთებითა და კაბალიზაციის პროცესით რომ არიან გართულნი და მამული-ენა-სარწმუნოება საკუთარი შეზღუდული სააზროვნო სისტემისა და პროვინციული სნობიზმის გამო ლოკალური მნიშვნელობის პატარ-პატარა მონაპოვრები ჰგონიათ“ [5.282].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მაკა ჯოხაძე ნაციონალური სიმყარის მთავარ დასაყრდენი სულიერ საქართველოა. მას მუდამ „მთლიანი, ჯანსაღი საქართველო“ ენატრება. სულიერ საქართველოზე მისი მსჯელობანი უპირველესია, ყველა განსაცდელის წყაროდ სწორედ აქ შექმნილ კრიზისს მოიაზრებს და ეკონომიკურ კოლაფსს მხოლოდ მის თანმდევ მოვლენად განიხილავს. 90-იანი წლების საქართველოს მაკა ჯოხაძე ასე წარმოგვიდგენს: „პრობლემები ვენებგადახსნილი მომაკვდავებით ყრია ყოველ ნაბიჯზე“, „ქვეყანა, რომელშიც ცვედანები კაცებს თამაშობენ და კახპები წმინდანებს“, „სადაც სიჩუმის საფასურად გენერლობაა ნაბობები“, „სადაც ერთ დროს მზისა და ვარდების ქალაქში ნაცრისფერი, უთოვლო ზამთრის ღამეები უიმედოდ ღაფავენ სულს“, „დედაქალაქს რახანია დაეკარგა ხობხისფერი, თბილისი ახლა კვამლისფერია, თბილისი ახლა ნავთისფერია“[6.264]. მწერლის მსჯელობა დამდგარ შედეგებზე მთავრდება დასკვნით, რომ „ეკონომიკურ-ფსიქოლოგიური ზეწოლა თავისთავად უღმერთობისა და ზნეობრივი გადაგვარების შედეგია“. სწორედ ასეთ დროს მაკა ჯოხაძე ხელოვნებას და განსაკუთრებით მწერლობას, უპირობო ლიდერის როლს ანიჭებს. რაც მთავარია, ის თავად იძლევა ამის მასტერკლასს და, მისივე თქმით, „ყველაზე საშიშ კონტრაბანდად“ შემორჩენილი სამართლიანობისათვის იბრძვის. 90-იანი წლების საქართველოს რეალობა ათქმევინებს მწერალს ერთი შეხედვით უცნაურ ფრაზას: „სამშობლოში სამშობლო მენატრებოდაო“ და თავისუფლების პირისპირ აღმოჩენილ საქართველოში შიშს- „თავისუფლების მარად ძველ და მარად ახალ ჯალათს“ უწოდებს. მოგვიანებით, 1999 წელს მისი ერთ-ერთ პუბლიცისტურ-ესეისტურ კრებული მან ასე დაასათაურა- „გამარჯვება შიშზე“ და იქვე განმარტა, რომ ეს შიში სწორედ სამშობლოს

დაკარგვის შიშთან იყო ასოცირებული: „სამშობლოს დაკარგვით გამოწვეული შიში ყველაზე უკეთ წარმოაჩენს ჩვენს დაფარულ არსს, ჩვენი არსებობის, კაცად ყოფნის უმთავრეს მიზანსა და დანიშნულებას“ [5.261].

სამშობლო მაკა ჯოხაძესთან არის მეხსიერებაა, რომელიც „წინ წასულებს“ მუდმივად უნდა გვახსოვდეს. „მაშ, წინ ფესვებისკენ“ მწერლის მთავარი თეზისია, რომლის გარეშე არ არსებობს ეროვნული სინდისი, ხოლო სინდისის გარეშე- სამშობლო. მისი სამშობლოს ხატი ყველაზე წმინდაა, „ჰანგებს გამოსცემს, მუსიკად იქცევა“. ემოცია იმდენად დიდია, რომ მწერალი სიტყვა სამშობლოს ბგერათმეხამებაშიც კი ახერხებს ასახოს ეროვნული თანხმობის გარეშე დარჩენილი ქვეყნის დრამა. ესეში „ხსოვნის ფირფიტები“ კვითხულობთ: „უცნაურია მეხსიერება. იქნებ ყველაფერმა დაკარგა აზრი?! ყველა ფერმა, რადგან სადღაც თავგანწირვით მიქრის საბედისწერო სიტყვა-სამშობლო, როგორც გზააბნეული მგზავრის ექო, ჰორიზონტზე მდგარი, დაისის მეწამულ შუქში ვეღარ გასტყორცნი სიტყვას **ქართული**-მიცურავს, მიდის სივრცეში გაშვებული სამი სფერო, სამი ხმოვანი **ა უ ი**, ქარიშხლიან დღეებში რომ დაეკარგათ თავ-თავიანთი თანხმოვნები- მეორე ნახევართა რწმენა, იმედი და სიყვარული“ [5.6]

მაკა ჯოხაძის ესეისტურ-პუბლიცისტური წერილები ეპოქალური რეალობის ანარეკლია. 90-იან წლებში განვითარებული მოვლენების შეფასება და „უფლის ნებას“ ამოფარებულ პოლიტიკოსთა პასუხისმგებლობის გააზრება მისთვის „სულიერი ჭრილობების“ შეხორცების მექანიზმია. ეს გახლავთ მისი „სულიერი საქართველოს“ აღორძინების პირობა: „სამშობლოს სახელით მოთამაშეთაგან განსხვავებით, მამაზეციერი დღემდე რჩება ქვეყნიერების შემქნელ ყველაზე თავისუფლებისმოყვარე (დემოკრატ) რეჟისორად და თავისივე შექმნილ ადამიანებს არჩევანის უფლებას გვიტოვებს. პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, იგი როლებს არ ანაწილებს, ჩვენს არჩევანს, ჩვენს თავისუფალ ნებას ადევნებს თვალს, ჩვენ კი, როლებს თავისივე ხელით ვირგებთ ამა ქვეყნის ძლიერთა ხელში, ამიტომაც ვჩანვართ ღირსებადაკარგულები, პიროვნებაწართმეულები, ქედწახრილი მონებივით ამიტომ ვთამაშობთ უწიგნურებს, ბრმებს, ხეიბრებს, საჭურისებს“ [6.262].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მაკა ჯოხაძის პუბლიცისტიკისათვის ნიშნულია სამშობლოს მეტაფორას უპირობო არსებობა სასიცოცხლო სივრცის ყველა განზომილებაში. ეროვნული მარცხით გამოწვეული ტკივილი იგივეობრივია მისი პიროვნული ტკივილისა, მორღვეულია ზღვარი პიროვნულისა და საზოგადოებრივის. ასეთი თანაარსებობა მწერლისთვის ორგანული და ბუნებრივია. მის ესეებში მუდმივად მეორდება მეტამორფოზა, სამშობლოდ ხატი „ადამიანური არსებობის ყველაზე ღრმა და სათუთი შრე“ უპირობოდ ჩნდება ყველგან- ფეხბურთის მატჩის დროს, ემანსიპირებულ ქალებზე საუბრისას, დედის მონატრებისას და შვილის მომავალზე, მეუღლეზე ფიქრისას. მაკა ჯოხაძის ესეებში ხშირად შევხვდებით მის თანამეცხედრს, ცნობილ თეოლოგს, მწერალს- აკაკი მინდიაშვილს. მათ შემოქმედებით ალიანსიც აქვთ, სიტყვის სიყვარულიც აერთიანებთ, მას როგორც ცოცხალ, ქმედითი ენერჯის მატარებელ „ორგანიზმად“ განიხილავენ“ და მამულის სამსახურში აყენებენ. სამშობლოს აჩრდილი დაჰყვება აკაკი მინდიაშვილის ყოველ გამოჩენას ესეებში, მის ქმედებასა და მსჯელობას, აქაც კი იკითხება მაკა ჯოხაძის „ნადველი სამშობლოზე“. პასუხს

კითხვაზე, თუ რა განაპირობებს მაკა ჯოხაძის პუბლიცისტიკის ამ მახასიათებელს, მისსავე ესეში მოვიძიებთ: „ისეთი დიდი და გაუსაძლისია ჩვენი საკუთარი მარცხით მოგვრილი ჭრილობა, რომ ბორხესივით მეც ყველაფერში ჩემი სამშობლოს ნამცვრებს დავემებ, ჩემი სამშობლოს ხატი მეღანდება“ [5.14].

სამშობლოს საყრდენი „გაუბზარავი, მთლიანი პიროვნებები“ მაკა ჯოხაძის საქართველოს პანოზე მნიშვნელოვანი სეგმენტია. მწერლისთვის ისინი ეროვნული საზრისის შეცნობისა და ქმედების მთავარი პერსონაჟებია. პრინციპი, რომლის მიხედვით არჩევს იგი თავის რეციპიენტებს გახლავთ ის, რომ ამ ადამიანებს თავიანთი ცხოვრების რთულ რელიეფზე უპირველესად სამშობლო აინტერესებდათ და „არასოდეს დამორჩილებიან ზერელობის მაუწყებელ ტემპს ცხოვრებისას- დროს გამოდევნებულ ამ პროვინციულ სნობიზმს, როცა ყველა და ყველაფერი მოსწრებაზეა- გაცნობაცა და გადავიწყებაც, სიყვარულიცა და სიძულვილიც, ჩაცმაცა და გახდაც, საფლავის ქვაცა და სანთლის დანთებაც დასწრებაზეა“ [6.257]. მაკა ჯოხაძის პერსონაჟთა გალერეაში არიან: ოთარ ჩხეიძე, რეზო ინანიშვილი, გენო კალანდია, რეზო თაბუკაშვილი, ნუგზარ ლორთქიფანიძე, გივი ალხაზიშვილი, ანა კალანდაძე და სხვანი. ესენი არიან „სიმართლისათვის აღმფოთებული“ ადამიანები, რომლებმაც თავისი ნიჰილიზმით არ დაუშვეს სამშობლოს „სულიერი დამბლა“. ასეთი პერსონაჟები მაკა ჯოხაძისთვის მთავარი საყრდენი, სიმძიმის ცენტრია ქვეყნის ჯანმრთელი საზრისისთვის. „ამგვარად ხელდასხული ადამიანებს ცრუ თავმდაბლობისთვის აღარ სცალიათ.“ ბრძოლა მათი ცხოვრების წესია და ამიტომაც თავის მისიასაც ბრძოლაშიო ხედავს: „მე როგორც მწერალი ვიბრძვი, რომ არ ვეკუთვნოდე სინამდვილეს“ [5.376]. ვფიქრობთ, ამ სინამდვილეში მწერალი სწორედ „ზერელობის მაუწყებელ ტემპს“ ანუ კონფორმიზმს უნდა მოიაზრებდეს.

როგორც ცნობილია, ქართული მწერლობისთვის დამახასიათებელია უფლისა და სამშობლოს განცდის იგივეობა. ასეთი სინკრეტიზმი არა მხოლოდ ისტორიულ ბედისწერით იყო განპირობებული, ქართველი კაცის სულიერი საზრისი უფლის მცნების გააზრებას ეყრდნობოდა და მიუხედავად სულიერი კრიზისების ჟამისა, მაინც არასოდეს განრიდება მასთან ყოფნის აუცილებლობას. მაკა ჯოხაძემ კარგად იცის ამ სულიერი გამოცდილების ფასი. ის, რომ „მისი მოწყენილი სამშობლო“ ვერ იარსებებს ამ განცდის გარეშე. „საქართველო ღმერთთან მოსაუბრე პოეტებით იყო განებივრებული“ [5. 163]- აღნიშნავს იგი ესეში, რომელიც გენო კალანდიას ეძღვნება და ქმნის საუკეთესო შესაძლებლობას, ისაუბროს „სოხუმის ომზე“, რომელიც მისთვის „საიდუმლო იყო, თავდაპირველად ბურუსით მოცული. მერე ყველაფერი გამჭვირვალე და გასაგები გახდა“ [5.147]. მიუხედავად ამისა, მაკა ჯოხაძისთვის ქვეყნის ისტორიის ეს დრამატული ფურცელიც უფლის იმედად რჩება: „ღმერთს თავის გეგმა აქვს“, „რა ხანია გუმანი მკარნახობს, რომ ვედარანაირი ავტორიტეტები, ვედარანაირი საერთაშორისო ძალები, ვედარანაირი ინტეგრაციისა თუ იზოლაციის პოლიტიკა ვედარაფერს შეცვლის და ვედარაფერს იზამს, გარდა უფლისა“ [5.149].

როგორც ვხედავთ, მაკა ჯოხაძის პუბლიცისტიკის შესწავლა ადასტურებს, რომ ამ ჟანრის განვითარების დინამიკა პოსტსაბჭოთა პერიოდში აკადემიური და ნაყოფიერი იყო. იგი სრულად ინარჩუნებდა ყველა იმ თვისებას, რომელიც საზოგადოებრივ-აქტუალური

საკითხების წარმოჩენის პარალელურად ნაციონალური ღირსებისა შენარჩუნებისა და ერის თვითგამორკვევის საქმეს ემსახურებოდა. პუბლიცისტიკა როგორც ჟანრი ექვემდებარება ტრანსფორმაციას, თუმცა საქართველოში მან უნდა შეინარჩუნოს ეროვნულ პრობლემებზე მძაფრი რეაგირების უნარი, რომლის კლასიკურ ნიმუშად სწორედ მაკა ჯოხაძის პუბლიცისტიკა უნდა ვაღიაროთ.

გამოყენებული ლიტერატურა და ბიბლიოგრაფია:

- ოსეფაშვილი, დ. (2004). პუბლიცისტიკის ჟანრთა ტრანსფორმაცია თანამედროვე ქართული პრესის მიხედვით. თბილისი. გამომცემლობა „უნივერსალი“.
- კუცია, ნ. (2012). წერილები უახლეს ქართულ ლიტერატურაზე. თბილისი. გამომცემლობა „მერიდიანი“.
- ჩხეიძე, რ. (2021). სახელდახელონი. თბილისი. გამომცემლობა „ჩვენი მწერლობა“.
- ტაბიძე, ნ. (2011). პუბლიცისტიკის საკითხები. თბილისი. გამომცემლობა „უნივერსალი“.
- ჯოხაძე, მ. (2009). სამოთხე უსიყვარულოდ. თბილისი. გამომცემლობა „ინტელექტი“.
- ჯოხაძე, მ. (1999). გამარჯვება შიშზე. თბილისი. გამომცემლობა „გეორგია“.
- ჯოხაძე, მ. (2013). ჩანაწერები-ჩადირული დღესასწაული. თბილისი. გამომცემლობა „ინტელექტი“.
- ჯგუზურია, მ. (2013). საქართველო უთარგმნელი ლექსია. ჟურნალი *ჩვენი მწერლობა*. N17, თბილისი.
- ჭუმბურიძე, ს. (2020). დაბმული უკვდავება. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. თბილისი
- ჯალიაშვილი, მ. (2023). სიყვარულის ექოები. მაკა ჯოხაძის „ჩადირული დღესასწაული“. <https://mastsavlebeli.ge/?p=36879> (07.08.2023)

Salome Kapanadze
Grigol Robakidz University

The icon of the motherland in Maka Jokhadze's post-Soviet journalism

Summary

The purpose and opportunity of journalistic texts in the process of formation of national-state consciousness is special. This literature of a socio-political nature thinks with concepts and its author's attitude towards current issues is no less influential. Georgian journalism of the end of the 20th century and the 21st century has best preserved all traditions, the main emphasis of which is projected on our nation-state existence. The journalistic genre, along with the scientific-historical literature, took upon itself the function of the chronicler of the country's ideological reconstruction. Its organizational quality is especially valuable when it coexists with the publicist's ethical-personal and professional reputation. Among such authors is Maka Jokhadze, who can be recognized as a highly reliable writer

with expressive handwriting and the ability to respond objectively to national problems. His journalism is unique in its sensitivity, which is especially high when it comes to important issues of our state and national existence. It is worth noting that whatever the author has to write about, the icon of the motherland, the most important and defining phenomenon of his thought space, is visible everywhere. The article discusses the writer's letters from the post-Soviet period. They are valuable for their documentation, they are distinguished by their emotionality and artistry, which create a special background for the author's main message. Maka Jokhadze's reasoning is mainly based on emotional arguments, although it always coexists harmoniously with a correct, rational understanding of the facts. The study of his journalism confirms that the dynamics of the development of this genre in the post-Soviet period is academic and fruitful. It fully preserves all the features that are useful for the mission of presenting public-actual issues and preserving national honor.

მიხეილ ქართველიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ანანო ნატროშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის მკვლელობის ასახვა ფრანგულენოვანი პრესის ფურცლებზე

თანამედროვეობაში უახლესი ისტორიის შესწავლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია. სასულიერო პირების, მით უფრო, ეკლესიის საჭეთმკყრობლების კვლევას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს, ვინაიდან თითოეული მათგანი საკუთარი პიროვნებითა და მოღვაწეობით მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა და განაპირობებდა საქართველოს ეკლესიის საერთო მდგომარეობას.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, კირიონ მეორის უაღრესად მრავალფეროვანი და მრავალმხრივი ცხოვრება-მოღვაწეობა და გარდაცვალება ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენადმე კარგად არის შესწავლილი; გაანალიზებულია ეპოქა და შემოთავაზებულია შესაბამისი დასკვნებიც (სრულიად საქართველოს, 2022: 312-339).

მიუხედავად ყველაფრისა, ზემოაღნიშნული სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ამ პიროვნების შესახებ სამეცნიერო კვლევას პერსპექტივა არ გააჩნია. არსებული მასალის ახლებურად გააზრება და სამეცნიერო მიმოქცევაში ახალი წყაროების შემოტანა ძალიან საინტერესო შედეგების მომტანი შეიძლება გახდეს.

კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ მეორის ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და დღემდე ამოუხსნელი საკითხი არის მისი ტრაგიკული აღსასრული, რომელზეც მეცნიერებსა თუ ზოგადად საკითხით დაინტერესებულ პირთა შორის ერთი აზრი არსებობს.

წინამდებარე ნაშრომის სამეცნიერო სიახლეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ჩვენს სტატიაში კვლევის მთავარი ობიექტი ფრანგულენოვანი პრესაა, რომელიც საკითხის საინტერესო დანახვის შესაძლებლობას იძლევა.

თავდაპირველად ხაზი გვინდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ დასავლურ, კერძოდ, ჩვენს შემთხვევაში, ფრანგულენოვან გარემოს საქართველოში განვითარებული მოვლენების შესახებ მეტად ფრაგმენტული ხასიათის ინფორმაცია აქვს. ამის დასტურად, თუნდაც ის ფაქტიც გამოდგება, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას ფრანგული პრესა რამდენიმე კვირის დაგვიანებით გამოეხმაურა⁹¹.

⁹¹ აღნიშნული საკითხის შესახებ ვრცლად იხილეთ ამ სტატიის ერთ-ერთი ავტორის, ანანო ნატროშვილის მოხსენება “საქართველოს დაპყრობის ასახვა ფრანგულენოვან პერიოდიკაში (გაზეთ L’Humanité-ს მიხედვით)”, რომელიც წაკითხულ იქნა ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 147-ე

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ კირიონ კათალიკოსის გარდაცვალების შესახებ პირველად ინფორმაცია გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე გაჩნდა, სადაც ვკითხულობთ: „ივნისის 26-ს ღამით ს. მარტყოფში ტრაგიკულად გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი ეპისკოპოზი კირიონი. ჩვენ ჯერ არ ვიცით, თუ რა პირობებში მოხდა ს. მარტყოფის ტრაგედია, ვიცით მხოლოდ, რომ მისი უწმინდესობა 26-ს დილით თბილისიდან მარტყოფში გაემგზავრა და ღამით კი ეს საშინელი ამბავი მოხდა“ (კათალიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის გარდაცვალება (1918). გაზეთი *საქართველო*. №126, გვ. 2).

ფრანგულენოვან პრესაში კი პირველი ცნობები დაახლოებით სამი თვის დაგვიანებით ჩნდება. ამ საკითხზე პირველად შვეიცარული გამოცემებში *Journal de Genève*-სა და *Gazette de Lausanne*-ში იწერება. საინტერესოა, რომ ორივე პუბლიკაცია 12 სექტემბრით თარიღდება და ორივე სტატია დაბეჭდილია რუბრიკის „რუსეთის მოვლენები“ ქვეშ, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ იმდროინდელ ფრანგულენოვან სამყაროში საქართველოს ცნობადობის ნაკლებობა სრულიად აშკარაა და ჩვენს ქვეყანას საერთაშორისო დონეზე კვლავაც რუსეთის ნაწილად განიხილავდნენ.

ინტერესს იწვევს სტატიების წყაროს საკითხიც. ორივე პუბლიკაციაზე ამ თემასთან დაკავშირებით მითითებულია, რომ ცნობები მიღებულია კონსტანტინეპოლიდან (*Le patriarche de Géorgie assassiné* (1918). *Gazette de Lausanne*. №251, p. 2; *Le patriarche de Géorgie assassiné* (1918). *Journal de Genève*. №254, p. 2). უნდა ვივარაუდოთ, რომ კათალიკოს-პატრიარქის მკვლელობის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა კათოლიკეთა ქართული საგანიდან, რომელიც XIX საუკუნეში დაფუძნდა და წლების განმავლობაში ძალიან მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა იყო - წარმატებით ახდენდა საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირებას საქართველოში განვითარებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების შესახებ.⁹²

ორივე პუბლიკაცია შინაარსობრივი თვალსაზრისით იდენტურია. ბუნებრივია, არც ერთგან მკვლელი დასახელებული არ არის და კათალიკოს-პატრიარქ კირიონთან დაკავშირებით დაშვებულია იდენტური ხასიათის შეცდომა: გამოცემა პატრიარქის ამომრჩევე ორგანოდ „ეროვნულ კრებას“ ასახელებს და არა საკათალიკოსო საბჭოს.

ასევე, ყურადღება უნდა გავამახვილოთ ცნობილ გაზეთებზე “*Le Figaro*” და “*Le Petit Parisien*”. ორივე ეს პუბლიკაცია 14 სექტემბრით თარიღდება.

გაზეთ “*Le Figaro*”-ში ვკითხულობთ: ბერლინიდან გადმოცემული დეპეშის მიხედვით, საქართველოს პატრიარქი და „კათალიკოსი“ კირიონ II უცნობმა პირებმა მოკლეს ტფილისის მახლობლად ერთ-ერთ მონასტერში, სადაც ის ზაფხულს ატარებდა. ბოლო წელს საქართველოს ავტოკეფალური ეროვნული ეკლესიის მოწყობის შემდეგ ის სასულიერო და

წლისთავისადმი მიძღვნილ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე. მართალია ჩვენი მაშინდელი კვლევის ობიექტს ერთი კონკრეტული გაზეთი წარმოადგენდა, მაგრამ შედარებით კონტექსტში შესწავლილი და გაანალიზებული იქნება სხვა პერიოდული გამოცემებიც.

⁹² სტამბოლის ქართული საგანის მრავალმხრივი და მრავალფეროვანი საქმიანობის შესახებ ვრცლად იხ.: (დალეჯიო დ'დალეისიო, 1921; ფუტკარაძე, 2012; ფუტკარაძე და სხვა, 2017; მალაყმაძე და სხვა, 2020).

საერო პირებით დაკომპლექტებული პირების მიერ ეროვნულ საბჭოზე არჩეულ იქნა [კათოლიკოს-პატრიარქად] (Un Assassinat (1918). *Le Figaro*. #257. p.2)

ზუსტად იგივე ტექსტი მეორდება იმავე დღეს გამოსულ გაზეთ “Le Petit Parisien” პუბლიკაციაში. ერთი და იგივე ინფორმაციის წყაროც - ორივე გამოცემა მას ბერლინიდან იღებს და ზუსტად იმეორებს წინა წყაროს ინფორმაციას (Un Assassinat du patriarche de Géorgie (1918). *Le Petit Parisien*. p.3).

ანალოგიური მდგომარეობა გვხვდება მომდევნო დღის - 15 სექტემბრის გაზეთ “Le Temps”-ში გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში „არეულობა და ტერორი“. ეს სტატია იბეჭდება რუბრიკაში „რუსეთის მოვლენები“. მასში გადმოცემულია რუსეთში განვითარებული მოვლენები და იქვე ნახსენებია, რომ „ბერლინიდან მიღებული ტელეგრამის მიხედვით, საქართველოს კათოლიკოსი და პატრიარქი კირიონ II მოკლულ იქნა უცხო ხალხის მიერ თბილისთან ახლოს“ (Les désordres et la terreur (1918). *Le Temps*. №20880, p. 2).

სხვა მდგომარეობა გვხვდება გაზეთ “Le Gaulos”-ის ფურცლებზე დაბეჭდილ სტატიაში. პუბლიკაცია „ბოლშევიკური რეჟიმი სისხლში იძირება“ (Vorst, (1918). *Le régime bolcheviste sombre dans un fleuve de sang. Le Gaulos*. №44940, p.2) საკითხის განსხვავებულ ინტერპრეტაციას გვთავაზობს: პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ აქ პუბლიკაციის წყაროდ დასახელებულია ბერლინში გამოშვებული Gazette de Berlin (ბერლინის გაზეთი), რომელიც ორენოვანი (გერმანული და ფრანგული) გამოცემა იყო. მასში დაბეჭდილია გერმანელი ჟურნალისტის ჰანს ფორსტის (Hans Vorst) პუბლიკაცია. ეს უკანასკნელი კი ცნობილია თავისი მრავალრიცხოვანი სტატიებით და წიგნებით ბოლშევიკურ თემაზე.

კერძოდ, კირიონ კათალიკოსის მკვლელობა პირდაპირ არის დაკავშირებული ბოლშევიკებთან, პუბლიკაციაში მითითებულია, რომ საბჭოთა რუსეთში არანაირი სამართალი არ არსებობს, ბოხოქრობს მხოლოდ მაქსიმალური კრიმინალი, რომლის უახლოესი მსხვერპლიც კათალიკოსი, პატრიარქი კირიონი გახდა (Vorst, (1918). *Le régime bolcheviste sombre dans un fleuve de sang. Le Gaulos*. №44940, p.2).

XX საუკუნის საფრანგეთში მოწინავე გაზეთების რიგში იდგა (და დღესაც დგას) სოციალისტური გაზეთი L’humanité, რომელიც, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, არ გვაწვდის ცნობებს პატრიარქის მკვლელობის შესახებ. აღნიშნული ფაქტი, რამდენიმე ძირითადი მიზეზით შეიძლება აიხსნას: საფრანგეთი, განსაკუთრებით კი მისი მემარცხენე ფრთა, საქართველოს კვლავინდებურად განიხილავს რუსეთის იმპერიის ნაწილად - არ აღიარებს მის დამოუკიდებლობას და, შესაბამისად, არ თვლის საჭიროდ გადმოსცეს ქვეყანაში განვითარებული მოვლენები;⁹³ გარდა ამისა, გაზეთი დაკავებულია, ძირითადად, პირველი მსოფლიო ომის დროინდელი გარემოებების აღწერით და ორიენტირებულია საერთაშორისო კუთხით აქცენტის გაკეთებაზე.

დასასრულს, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ მეორის მკვლელობა ფრანგულენოვანმა პრესამ ერთობ

⁹³ თუმცა, ობიექტურობისათვის აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული გაზეთი ეხება, უფრო ადრე, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებას.

ფრაგმენტულად გააშუქა, რისი მიზეზიც, შეიძლება ქართულ სახელმწიფოსა და მის ფარგლებში განვითარებული მოვლენების ნაკლები ცოდნით და ინტერესით აიხსნას. მიუხედავად იმისა, რომ ეს ცნობები ძალიან მწირია, მათი როლი და მნიშვნელობა ქართული საკითხის პოპულარიზაციასა და ცნობადობის ამაღლებაში სრულიად განსაკუთრებულია. საინტერესოა, თითოეული პუბლიკაციის ინფორმაციის წყაროც, რომელიც ერთმანეთისგან განსხვავდება, ეს საკითხი მომავალში უფრო სიღრმისეულ კვლევას მოითხოვს.

გამოყენებული ლიტერატურა და ბიბლიოგრაფია:

დალეჯიო დ'დალესიო, ე. (1921). ქართველები კონსტანტინეპოლში. სტამბოლი. საბეჭდავი კათოლიკე ქართველთა სავანისა.

სრულიად საქართველოს (2022). სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთა ბიბლიოგრაფია, შეადგინა და გამოსცა საქართველოს საპატრიარქოს ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფმა კონსტანტინე ალიბეგაშვილმა. თბილისი. გამომცემლობა „წიგნის სავანე“.

ფუტკარაძე (2012). სტამბოლის ქართული სავანე. თბილისი. გამომცემლობა „არტანუჯი“.

ფუტკარაძე და სხვა, (2017). წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან. ბათუმი.

მალაყმაძე და სხვა, (2020). წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან. ბათუმი.

გაზეთი *საქართველო* (1918). კათალიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის გარდაცვალება. №126. თბილისი.

Le patriarche de Géorgie assassiné (1918). *Gazette de Lausanne*. №251.

Le patriarche de Géorgie assassiné (1918). *Journal de Genève*. №254.

Les désordres et la terreur (1918). *Le Temps*. №20880.

Un Assassinat du patriarche de Géorgie (1918). *Le Petit Parisien*.

Un Assassinat (1918). *Le Figaro*. #257.

Vorst, H. (1918). Le régime bolcheviste sombre dans un fleuve de sang. *Le Gaulois*. №44940.

Mikheil Kartvelishvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Anano Natroshvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The reflection of assassination of Catholicos-Patriarch Kyrion II on the pages of the French-language press

Summary

Research topic - The history of Georgia in the 20th century is full of tragic events. From this point of view, one of the most important events is the murder of Catholicos-Patriarch Kyrion II of Georgia on June 27, 1918. This topic has been well studied in modern Georgian historical science, the

preconditions that preceded this tragedy have been highlighted, and the versions that were spread in the society at that time have been analyzed. Nevertheless, there are issues that can also become interesting research objects. In the present report, we will try to analyze how the mentioned issue was reflected in the contemporary French-language press of the era. Although the information is still fragmented to a large extent, we think it is of interest to see how the information was disseminated at the international level. The importance of the issue is increased by the fact that no special research has been conducted in this direction yet.

Relevance - the relevance of the issue is determined by several factors: firstly, despite the fact that 105 years have passed since this tragic event, the issues of interest to us have not been covered in scientific circles until now;

Second, the relevance of the issue is increased by the interest that prompts us to see how it was evaluated and what information was provided to the Western world about the current events in Georgia.

It must also be said that the material of the French-language press should be reconciled with the modern Georgian-language material of the era, which will give us the opportunity for a complex and global analysis of the issue.

Problem - The problem posed in the report is to present the history in a retrospective manner, which will allow us to see an important event for our country from an outsider's perspective. The French-language press offers us interesting views on this issue, and we consider it necessary to bring the material into the Georgian scientific reality.

Method - methodologically, our work is based on the complex-historical method, which aims at the most comprehensive analysis of the historical sources at our disposal. Based on the fact that the main object of our research is the periodical press, it is necessary to analyze what ideological-political publication we are dealing with, how information about Georgia gets on its pages, what kind of information is published, etc.

Conclusion - As a conclusion, it can be said that the issue chosen by us as an object of research, on the one hand, is important due to its social and political importance, and on the other hand - from the point of view of scientific novelty. The study of the issue in the paper revealed that the murder of the Catholicos-Patriarch Kyrion II of Georgia did not remain a local issue, only at the Georgian level, and it also had an international response.

**საყოველთაო განათლების სისტემა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში -
სოციალური თანასწორობის ბაზისი⁹⁴**

შესავალი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918 წლის მაისიდან, როგორც მას ქართველ და უცხოელ ავტორთა მნიშვნელოვანი ნაწილი აღნიშნავს, რეფორმათა ერთგვარ ლაბორატორიას წარმოადგენდა. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ლამის ყველა სფეროში დაინერგა ახალი ტიპის სისტემები, გატარდა უმნიშვნელოვანესი რეფორმები. რაღა თქმა უნდა, მათ შორის იყო განათლების სფეროც, რომელშიც ერთ-ერთი ყველაზე მოცულობითი, სისტემური და საკმაოდ წარმატებული რეფორმა გატარდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების სისტემის შესახებ არაერთი წიგნი თუ სტატიაა გამოქვეყნებული: დოდო ჭუმბურიძე, „განათლება 1918-1921 წლებში“, ალექსანდრე ბენდიანიშვილი, „საქართველოს პირველი რესპუბლიკა 1918-1921 წწ.“, სხვადასხვა ქართველ თუ უცხოელ ავტორთა ნაშრომებში (ვლადიმერ ვოიტინსკი, ერიკ ლი, კარლ კაუცკი და ა. შ.).

წინამდებარე კვლევის მიზანია, არა იმდენად განათლების სისტემის ზოგადი რეფორმის შესწავლა და ახსნა, არამედ ამ სისტემის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაციისა და მისი სოციალური პოლიტიკის ნაწილის, როგორც სოციალური მობილობის ხელშემწყობის და საზოგადოების ზოგადად განვითარების ბაზისის შესწავლა.

აღნიშნული კვლევის განსახორციელებლად ყველაზე აქტიურად გამოყენებული იქნა კონტენტ-ანალიზის კვლევის მეთოდი, რისი წყალობითაც დამუშავდა საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული ასობით საარქივო საქმე და პრესის 500-ზე მეტი სტატია. კვლევაში წარმოდგენილი იქნება საკითხთან დაკავშირებული მრავალფეროვანი ლიტერატურა.

კვლევის ფარგლებში ვცდილობთ გავცეთ პასუხები შემდეგ კითხვებს - რა მემკვიდრეობა გააჩნდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ახალი საგანმანათლებლო სისტემის შესაქმნელად? რა გამოცდილებასა და თეორიულ ხედვებს დაემყარა საყოველთაო განათლების რეფორმა? ვინ იყვნენ განათლების სისტემის რეფორმის ავტორები და განმახორციელებლები? რა ძირითად მიზნებს ისახავდა ახალი ქართული სკოლა? როგორ იყო გათვალისწინებული ახალ რეფორმირებულ სკოლაში სოციალური დაცულობის მექანიზმები? რა ფორმებით ცდილობდა სახელმწიფო საგანმანათლებლო

⁹⁴კვლევა [გრანტის ნომერი

FR2113590] განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით/This research [grant number FR-21-13590] has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG).

სისტემაში ღარიბ მოქალაქეთა ჩართვას? როგორ ხორციელდებოდა რეფორმა და რა შედეგები გააჩნდა 1921 წლის დასაწყისისათვის?

მემკვიდრეობა

რუსეთის იმპერიის პირობებში ქართველი ინტელექტუალები ხაზგასმით მოითხოვდნენ საიმპერიო ხელისუფლებისაგან ამიერკავკასიაში და საქართველოში საგანმანათლებლო ქსელის შექმნას. ნიკო ნიკოლაძე და მისი თანამოაზრეები ამ მოთხოვნებს საჯაროდ უყენებდნენ იმპერატორსა და მის ხელქვეითებს. ნიკოლაძე განათლების ფართოდ გავრცელებას ქართველი ერის კონსოლიდაციის მთავარ ფაქტორად მიიჩნევდა (ჩხაიძე, 2009: 82). ამგვარ დამოკიდებულებას ემხრობოდნენ ილია ჭავჭავაძე და სხვა „თერგდალეულები“. შედარებით უფროსი თაობა, დიმიტრი ყიფიანის მეთაურობით კი 1860-იანი წლებიდან ფიქრობდნენ და ზრუნავდნენ საგანმანათლებლო ინსტიტუტების ფორმირებაზე. დიმიტრი ყიფიანისა და მისი თანამოაზრეების მრავალწლიანი მუშაობის შედეგი იყო 1879 წელს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაფუძნება. მართალია, ქშწკგს-ის საქმიანობის შედეგად არაერთი სკოლა გაიხსნა, თუმცა საქართველოში მასობრივი სწავლა-განათლების ქსელის შექმნა მხოლოდ სახელმწიფოს რესურსების მობილიზებით იყო შესაძლებელი, რაც რუსეთის იმპერიის ინტერესებში საერთოდ არ შედიოდა (Iremadze, 2018: 292).

რუსეთის იმპერიის საბოლოოდ ჩამოშლამდე და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე განათლების სისტემაში რევოლუციური ცვლილებების განხორციელება ვერ მოხერხდა. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდგომ დროებითი ხელისუფლების პირობებში დაიძრა საყოველთაო განათლების სისტემის შემოღების საკითხი და გაჩნდა შესაძლებლობა შექმნილიყო თითოეული ერისათვის ნაციონალური სკოლები.

1917 წლის შემოდგომის სემესტრიდან, კავკასიაში დროებითი მთავრობის დანიშნული ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის ხელშეწყობით, დაიწყო სკოლების ნაციონალიზაცია. პირველ რიგში ნაციონალიზაციას დაექვემდებარა თბილისში მოქმედი სკოლები და გიმნაზიები, რომლებშიც რუსული ენის ნაცვლად ფართოდ დაინერგა ქართული და სომხური ენები. გიმნაზიათა მნიშვნელოვან ნაწილში შეიქმნა ქართულ და სომხურენოვანი სექციები.

1917 წლის თებერვლიდან 1918 წლის მაისამდე, გარდამავალ პერიოდში, საკმაოდ ნელი ტემპით ტარდებოდა განათლების რეფორმა. 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი გაუქმდა, ამიერკავკასიის კომისარიატსა და შემდგომ სეიმს მნიშვნელოვანი ქმედითი ნაბიჯები განათლების კუთხით თითქმის არ გადაუდგამს. 1917 წლის ნოემბერში ჩამოყალიბებულ საქართველოს ეროვნულ საბჭოში მოქმედებდა შესაბამისი კომისია, რომელიც მუშაობდა განათლების რეფორმის პროექტზე, თუმცა ამ პროექტების ხორცშესხმა 1918 წლის 26 მაისამდე შეუძლებელი იყო.

1917 წლის მიწურულს არსებული სკოლებისათვის მთავარ გამოწვევად ფინანსების სიმცირე მიიჩნეოდა. 1917 წლის ოქტომბრისათვის სახალხო მასწავლებლები თვეში იღებდნენ 80 მანეთს, სამრევლო სკოლის მასწავლებლები - 40 მანეთს, ხოლო სოფლებში მივლენილი

მასწავლებლები - 100 მანეთს, რაც ძალიან მცირე თანხა იყო და ხშირად ვერ აკმაყოფილებდა ელემენტარულ სასურსათო მოთხოვნებს (გორგაძე (1917). სახალხო მასწავლებელთა ცხოვრებიდან. *ერთობა*. #169, გვ. 3). ხელფასების სიმცირის გამო 1917 წლის დეკემბერში არაერთ მაზრაში გაიფიცნენ პედაგოგები. 1918 წლის 11 იანვრიდან ამიერკავკასიის კომისარიატის გადაწყვეტილებით პირველდაწყებით მასწავლებელთა ხელფასები გაიზარდა და 210 მანეთი შეადგინა.

სახალხო განათლების სამინისტრო

განათლების სისტემის შესაქმნელად სისტემური მუშაობა მხოლოდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ დაიწყო.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტრო 1918 წლის 26 მაისს შემდგომ ჩამოყალიბდა. სახალხო განათლების მინისტრის პოსტს 1918 წლის მაისიდან 1919 წლის 21 მარტამდე სოციალისტ-ფედერალისტი გიორგი ლასხიშვილი იკავებდა, მისი მოადგილის (ამხანაგის) პოსტი ალექსანდრე მდივანს ეჭირა. 1919 წლის 21 მარტიდან 1920 წლის დეკემბრის დასაწყისამდე მინისტრის პოსტს ითავსებდა შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი, ამ პერიოდში სამინისტროს ფაქტობრივად მინისტრის ამხანაგი სოციალ-დემოკრატი ნოე ცინცაძე უძღვებოდა. 1920 წლის 3 დეკემბერს სახალხო განათლების მინისტრის პორტფელი ყოფილმა სამხედრო მინისტრმა, ცნობილმა პედაგოგმა, სოციალ-დემოკრატმა გრიგოლ ლორთქიფანიძემ ჩაიბარა (სილაქაძე, 2018: 248).

სახალხო განათლების სამინისტრო 3 ძირითადი სტრუქტურული ერთეულისაგან შედგებოდა: 1. უმაღლესი და საშუალო სკოლების გამგეობისაგან (სამმართველოსაგან), 2. სახალხო სკოლების გამგეობისაგან და 3. საპროფესიო და სატექნიკო (პროფესიული) სკოლების გამგეობისაგან. სამინისტროს საშტატო ნუსხა თითქმის არასდროს ცდებოდა 100 კაცს და ხშირად 60 ერთეულით შემოიფარგლებოდა (1918 წლის ივნისში სამინისტროში სულ 39 თანამშრომელი მუშაობდა). სამინისტროში სამმართველოთა გამგის თანამდებობაზე ცნობილი პედაგოგები, პროფესორები და განათლების სფეროს სპეციალისტები მსახურობდნენ. მაგ.: გრიგოლ ნათაძე, სერგი დანელია, დიმიტრი უზნაძე, ალექსანდრე მიქაბერიძე, ვუკოლ ბერიძე და სხვ. (ჭუმბურიძე, 2018: 389-390). სახალხო განათლების სამინისტროს თავისი წარმომადგენლები ჰყავდა სოხუმისა და ბათუმის ოლქებში.

1918 წლის სექტემბერში მინისტრის ხელფასი 1500 მანეთი იყო, მოადგილის 1350, დამლაგებლის 300. ამ პერიოდისათვის ჯამში სამინისტროში 39 ადამიანი მუშაობდა. სამინისტროს ევალებოდა ყველა მიმართულებით რეფორმის პროგრამის შემუშავება, დანერგვა და კონტროლი (სეა, ცსა, ფ. 1935, ან. 1, ს. 50).

ახალი სკოლა

ახლად დამოუკიდებლობა მოპოვებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა გაცხადებულად თანასწორობაზე, ეგალიტარულ პრინციპებზე დაფუძნებული პოლიტიკის განმახორციელებელი იყო. რესპუბლიკის მთავრობამ და განსაკუთრებით მისმა ინსტიტუტმა - სახალხო განათლების სამინისტრომ -

ერთმნიშვნელოვნად უარყო რუსეთის იმპერიის გამოცდილება სახალხო განათლებასთან მიმართებაში. რომელიც გულისხმობდა განაპირა მხარეებში განათლების ფართოდ გავრცელების შეზღუდვას და ხელის შეშლას (Iremadze, 2018: 292).

საიმპერიო ინსტიტუტების ხელისშემშლელი პოლიტიკის შედეგად უნდა ჩავთვალოთ, ის, რომ საქართველოში 1914 წლამდე ყველა ტიპის მხოლოდ 864 სკოლა არსებობდა. ეს რიცხვი კიდევ უფრო ტრაგიკული ჩანს თუ სკოლათა გეოგრაფიულ განაწილებას მივაქცევთ ყურადღებას: სკოლათა 2/3-ზე მეტი დასავლეთ საქართველოში იყო თავმოყრილი, განსაკუთრებით ოზურგეთისა და ქუთაისის მაზრებში. 1917 წლის ბოლოსათვის ქართულ ადმინისტრაციულ ერთეულებში მოქმედ სკოლებში ჩარიცხულ მოსწავლეთა რაოდენობა 80 000-ს არ აღემატებოდა (ბენდიანიშვილი, 2001: 266).

რუსეთის იმპერიის პირობებში განათლება მიიჩნეოდა ერთგვარ პრივილეგიად. განათლება ხელმისაწვდომი იყო თავად-აზნაურობის უმრავლესობისათვის და გლეხთა მხოლოდ მცირე ნაწილისათვის. ეს მოცემულობა ცალსახად მიუღებელი იყო დემოკრატიულ პრინციპებზე დამყარებული რესპუბლიკისათვის. განათლების სისტემაში გამეფებული უთანასწორობის შესახებ სახალხო განათლების მინისტრი - გიორგი ლასხიშვილი ოფიციალურ მიმართებებში ღიად საუბრობდა: *„უთანასწორობაზე დამყარებულ წესწყობილებასთან ერთად ჩვენი სწავლა-განათლების სისტემაც ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს. ყოველგვარი დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლის დაწყებითი სკოლის მოწაფეებს, განაგრძონ სწავლა საშუალო სკოლის უმაღლეს კლასებში, უნდა მოისპოს, რათა სკოლა გაერთიანდეს სოციალურად“* (სეა, ცსა, ფ.1935, ან. 1. ს. 175).

ლასხიშვილის მიერ აღწერილ რეალობას ამყარებს ნოე ჟორდანიას მრჩევლის, ვლადიმერ ვოიტინსკის, შეფასებები: *„ქართული დემოკრატიის უმთავრესი საზრუნავი იყო განათლების ძირფესვიანი რეორგანიზაცია. ცარისტული რუსეთის სკოლებს მიზნად ჰქონდათ ორი რამ – სოციალური და ეროვნული ჩაგვრა. დემოკრატიული სახელმწიფოს მიერ დაარსებულ ახალ სკოლას უნდა განემტკიცებინა სოციალური თავისუფლება და ხელი შეეწყო ეროვნული კულტურის განვითარებისათვის. აღნიშნულის მისაღწევად, პირველ რიგში, საჭირო იყო, ხალხს მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობა მისცემოდა“* (ვოიტინსკი, 2018: 262).

1918 წლის ზაფხულში სკოლების ნაციონალიზაციის პოლიტიკის გამოცხადების შემდეგ სომხებმა და რუსებმა გამოთქვეს შეშფოთება, თითქოს საქართველოში სწავლა მხოლოდ ქართულად იქნებოდა, რაზეც ლასხიშვილმა გააკეთა განცხადება და თქვა, რომ ეთნიკურ უმცირესობებს მშობლიურ ენაზე სწავლის უფლება ექნებოდათ (სახალხო განათლების მინისტრის განმარტება (1918). *შრომა*. # 8, გვ. 4).

1918 წლის ზაფხულში დაწყებული განათლების რეფორმის უმთავრეს მიზნად ხელისუფლება სკოლათა რეორგანიზაციას, საყოველთაო უფასო, სავალდებულო საერო სწავლების შემოღებას ისახავდა (ჭუმბურიძე, 2000: 8-9). ლასხიშვილმა აქტიურად დაიწყო რეფორმებზე მუშაობა, ერთ-ერთ პირველ ინიციატივად კი სკოლების სრული ნაციონალიზაცია - საერო და ქართულ სასწავლებლად გარდაქმნა- წამოაყენა. ლასხიშვილი აცხადებდა: *„უმთავრესი საფუძველი კულტურული ცხოვრებისა ენაა. სამშობლო ენა ეს ის ნიადაგია, რომელზედაც აღმოცენდა ნორმალური, კულტურული ზრდა და განვითარება“*

ხალხისა. ამიტომ სწავლა-განათლება ხალხისა უსათუოდ სამშობლო ენაზე უნდა იყოს მოწყობილი“ (სეა, ცსა, ფ. 1935, ან. 1. ს. 58).

1918 წლის ივნისში განათლების სისტემის უმთავრეს გამოწვევად სკოლების, პედაგოგთა და სახელმძღვანელოთა სიმცირე იყო. პედაგოგთა სწრაფ ტემპში მოსამზადებლად მასწავლებელთა კავშირმა 1918 წლის ივნისში სპეციალური კურსები გახსნა ქუთაისის რეალურ სასწავლებელში, რომელშიც მასწავლებლობის მსურველებს ასწავლიდნენ ქართულ ენას, ლიტერატურას, ისტორიასა და გეოგრაფიას (ლადო ბზვანელი (ნაცვლიშვილი) (1918). *სახალხო საქმე*, #264, გვ. 4). სამინისტროს დაფინანსებით პედაგოგთა კურსები 1918 წლის ზაფხულში გაიხსნა თბილისში. პედაგოგებს სპეციალური თვენახევრიანი კურსები წაუკითხეს, რომლებიც შეეხებოდა - ფსიქოლოგიას, ენათმეცნიერებას, ძველ და ახალ ქართული ლიტერატურას. კურსების ლექტორები იყვნენ დიმიტრი უზნაძე, ივანე ჯავახიშვილი და სხვები (მასწავლებელთა კურსებზე (1918). *ერთობა*. #165, გვ. 3).

პედაგოგთა კურსები 1919-1920 წლებშიც გაგრძელდა. 1919 წელს დამფუძნებელმა კრებამ შეიმუშავა კანონპროექტი, რომელიც შეეხებოდა პირველდაწყებითი სკოლების მასწავლებელთა გადამზადებასა და ახალი კადრების მომზადებას (საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წლის 10 ივნისის სხდომის (№25) სტენოგრაფიული ანგარიში. გვ. 3). 1920 წლის აგვისტოდან მასწავლებელთა კურსების გეოგრაფია მნიშვნელოვნად გაიზარდა, ახალი კურსები გაიხსნა - თელავში, სიღნაღში, ზუგდიდში, ლეჩხუმისა და რაჭის მაზრებში, ქუთაისში, ზესტაფონში და თბილისში. თბილისში გაიხსნა კურსები თურქულენოვანი სკოლების მასწავლებელთა მოსამზადებლად; დაბა ბეშთაშენში (თბილისის მაზრა) - კურსები ბერძნებისათვის (განათლების სამინისტროში (1920). *საქართველოს რესპუბლიკა*. #178, გვ. 1).

მასწავლებელთა სოციალური ყოფა

1918-1920 წლებში სამინისტროს კანცელარია სავსე იყო წერილებით, რომლებითაც პედაგოგები მოითხოვდნენ ერთჯერად ფინანსურ დახმარებას, მკურნალობის დაფინანსებას, სააგარაკე ბინის დათმობას რეაბილიტაციისათვის (სეა, ცსა, ფ. 1935, ან 1, ს. 583). სამინისტროში წერილებს აგზავნიდნენ მოსწავლეები და სტუდენტები, რომლებიც სწავლის საფასურისგან გათავისუფლებას, ტანსაცმელსა და სტიპენდიას მოითხოვდნენ. ყოფილი მასწავლებლები და გარდაცვლილი მასწავლებლების ქვრივ-ოძლები ითხოვდნენ პენსიას. სამინისტრო რესურსების სიმცირიდან და კანონმდებლობის გაუმართაობიდან გამომდინარე, მხოლოდ თხოვნების 5-10%-ს თუ აკმაყოფილებდა (სეა, ცსა, ფ. 1935, ან. 1, ს. 466). ძირითადად ოძლებს და დამსახურებულ პედაგოგებს უნიშნავდნენ პენსიებს და მოსწავლეებს ათავისუფლებდნენ სწავლის საფასურისაგან. როგორც წესი, განათლების სამინისტრო ამგვარი დახმარებების გაცემისათვის თანხმობას სახელმწიფო კონტროლსა და ფინანსთა სამინისტროს სთხოვდა (სეა, ცსა, ფ. 1935, ან. 1, ს. 589). მასწავლებლების უმძიმესი სოციალური გაჭირვების შესახებ სამინისტროს წერილებს მასწავლებელთა კავშირიც ხშირად უგზავნიდა და სთხოვდა კონკრეტული მასწავლებლისათვის დახმარება გაეწიათ (სეა, ცსა, ფ. 1935, ან. 1, ს. 45). მოსწავლეებსა და სტუდენტებს, როგორც წესი, უფრო ხშირად უცხადებდა სამინისტრო უარს სტიპენდიისა თუ ერთდროული დახმარების დანიშვნაზე. სტუდენტები ასობით წერილს

აგზავნიდნენ სამინისტროში, რომლებშიც თავიანთ მძიმე ყოფას აღწერდნენ და უთითებდნენ, რომ უხდებოდათ სწავლის მიტოვება უსახსრობის გამო (სეა, ცსა, ფ. 1935, ან. 1, ს. 45).

1918 წლის აგვისტოში გაზეთი „შრომა“ პედაგოგთა ხელფასების სიმცირის შესახებ წერდა: *„უწყოდეს ყველამ, რომ მასწავლებელს გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლია სოფლათ, ვინემ კომისარს და მის ხუთ მილიციონერს. და ამ უკანასკნელებზე ხაზინა თვეში 1 850 მანეთს ხარჯავს. მდგომარეობა უცვლელი რჩება: სოფლის მილიციონერი თვეში 220 მანეთს, სოფლის კომისარი - 300 მან. სოფლის მასწავლებელი კი 210 მანეთს და იმასაც არ აძლევენ თავის დროზე. ბევრი რამ არის არანორმალური ჩვენს რესპუბლიკაში, მაგრამ ამ არანორმალურ მოვლენათა შორის მასწავლებლის მდგომარეობას პირველი ადგილი უჭირავს. ამიტომ მას უნდა მიექცეს უდიდესი ყურადღება. საჭიროა ერთხელ და სამუდამოთ დაინგრეს იერიქონის კედელი“* (ფარი (1918). შკოლა და ცხოვრება. შრომა. #6, გვ. 3-4).

1919 წლის 1 დეკემბრიდან მასწავლებელთა ხელფასები გაიზარდა და 1600 მანეთიდან 3800 მანეთამდე მერყეობდა თანამდებობისა და სკოლის საფეხურის მიხედვით. 1920 წლის 15 მაისიდან მასწავლებლები მოითხოვდნენ ხელფასების 100%-ით გაზრდას. თუმცა ეს საკითხი მათ სასარგებლოდ არ გადაწყდა და მხოლოდ 30-50%-იანი ზრდა მოხდა. ხელფასები გაიზარდა 1920 წლის დასაწყისშიც. 1920 წლის ოქტომბერში გამართულ მასწავლებელთა კონფერენციაზე პედაგოგებმა მოითხოვეს - დაწყებითი სკოლების მასწავლებლების ხელფასის ზრდა 15 000 მანეთამდე, უმაღლეს დაწყებითის - 18 000, ხოლო საშუალო - 20 000 მანეთამდე. გარდა ამისა, მასწავლებელთათვის უნდა გამოეყოთ ერთჯერადი დახმარება 20 000 მანეთი, მასწავლებელთა კოოპერატივებისათვის 10 მილიონის დახმარების გამოყოფა და სკოლებში შტატზე გაკვეთილების განაკვეთის შემცირება (ნოდე (1920), სრულიად საქართ. მასწავლებელთა მეორე კონფერენცია. საქართველოს რესპუბლიკა. #244, გვ. 3).

ღარიბ სტუდენტთა და მოსწავლეთა დასახმარებლად სახალხო განათლების სამინისტრო საზოგადოებას და ერობებს მოუწოდებდა დაენიშნათ სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტთათვის, რომლებიც სწავლის შემდგომ ერობებს და საზოგადოებას გამოადგებოდა. სამინისტრო აღნიშნავდა, რომ ამ პრობლემასთან გამკლავებას მარტო ვერ შეძლებდა (მოსწავლეთა უზრუნველყოფა (1920). ერთობა. #183. გვ. 3).

სასკოლო სისტემა გარდამავალ პირობებში

საქართველოს განათლების სამინისტროს ცნობებით 1918 წლის სექტემბრისათვის 1140-მდე ქართულენოვან სკოლაში იწყებოდა სწავლა. აქედან 900 სკოლა დასავლეთ საქართველოში იყო, 240 კი - აღმოსავლეთში. დასავლეთ საქართველოში 1 000 000 ეთნიკურად ქართველი ცხოვრობდა, აღმოსავლეთში კი - 600 000. დასავლეთში ყოველ 1100 მცხოვრებზე 1 ქართული სკოლა მოდიოდა. ხოლო აღმოსავლეთში ეს რიცხვი 2.4-ჯერ უფრო დაბალი იყო და 2500 მცხოვრებზე (ეთნიკურად ქართველზე) მოდიოდა 1 ქართულენოვანი სკოლა (სეა, ცსა, ფ. 1935, ა. 1, ს. 60).

1918-1919 სასწავლო წლის განმავლობაში პირველდაწყებით სკოლებში მოსწავლეები სწავლობდნენ 9 საგანს: ქართულ ენას, არითმეტიკა-გეომეტრიას, ბუნებისმეტყველებას, სამშობლოს აღწერას, საქართველოს ისტორიას, ხატვას, სიმღერა-გალობას, ხელსაქმე-

ხელგარჯილობას, ფიზიკურ ვარჯიშს. ხოლო უმაღლეს დაწყებით სკოლებში ამ საგნებს ემატებოდა - რუსული ენა, ფიზიკა, ალგებრა, მსოფლიო ისტორია, გეოგრაფია, და დამატებითი უცხო ენა (სეა, ცსა, ფ. 1935, ა. 1, ს. 32).

არაქართულენოვან სკოლებში საგნების დაახლოებით ამგვარი განაწილება მოქმედებდა და ქართულ ენას კონკრეტული ჯგუფის მშობლიური ენა ანაცვლებდა.

1920 წლის ოქტომბერში მთავრობის დადგენილების თანახმად განათლების სამინისტრომ რესპუბლიკის არაქართულენოვან სკოლებში სავალდებულო საგნებად ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის შეტანის გადაწყვეტილება მიიღო (სეა, ცსა, ფ. 1935, ა. 1, ს. 11).

სასკოლო რეფორმის ერთ-ერთი საკვანძო საკითხი იყო სასწავლო პროცესიდან საღვთო სჯულის საგნის ამოღება და ამ გზით სკოლათა სრულად საერო პლატფორმაზე გადაყვანა, ამ კუთხით მოქმედებები დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე დაიწყო. 1918 წლის 26 ნოემბრიდან ქართულენოვან სკოლებში ოფიციალურად გაუქმდა საღვთო-სჯულის სწავლება. საინტერესოა, რომ საღვთო სჯულის სწავლება გაგრძელდა სომხურ, თურქულენოვან და სხვა უმცირესობათა სკოლებში (ჭუმბურიძე, 2000: 164). აღნიშნული კანონი დაიწუნეს და გააკრიტიკეს ეროვნულ-დემოკრატიულმა და ნაციონალისტურმა პარტიებმა, პარლამენტის ტრიბუნიდან და პრესის საშუალებით დაგმეს მთავრობის გადაწყვეტილება და ეს კანონი სოციალ-დემოკრატების მიერ რელიგიასთან ბრძოლად შერაცხეს (გაბაშვილი (1918). საღვთო სჯული პარლამენტში. კლდე. 1918, 12).

1918 წლის შემოდგომაზე სწავლა ფასიანი იყო და წლიური საფასური 400-500 მანეთს შეადგენდა. თუმცა მოსწავლეთა დიდი ნაწილი სიდუხჭირესთან დაკავშირებული სოციალური შეღავათების გამო სწავლის საფასურისგან თავისუფლდებოდნენ. სკოლების მიერ წარდგენილი ანგარიშებიდან ჩანს, რომ მოსწავლეთა მიერ გადახდილი თანხები, შემოწირულობების ჩათვლით, არ აღემატებოდა სკოლის საერთო ხარჯების 25%-ს, დანარჩენ ხარჯებს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება ფარავდა (სეა, ცსა, ფ. 1935, ა. 1, ს. 497).

1918 წლის შემოდგომიდან სკოლების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩებოდა სამხედრო მოქმედებების გამო მამაკაცი პედაგოგების ფრონტზე გაწვევა. სკოლები ისედაც მწვავედ განიცდიდნენ პედაგოგთა სიმცირეს და ეს პროცესი კიდევ უფრო ართულებდა მდგომარეობას. სკოლები მიმართავდნენ სამინისტროს, რომ მობილიზაცია არ შეხებოდათ პედაგოგებს, რადგანაც ამით ფაქტობრივად იშლებოდა სასწავლო პროცესი (სეა, ცსა, ფ. 1935, ა. 1, ს. 497).

1919 წლის გაზაფხულზე ევროპაში პიკს მიაღწია ე. წ. „ესპანური გრიპის“ ეპიდემიამ. მართალია, ეს ვირუსი საქართველოში ბევრად მცირე მასშტაბით იყო გავრცელებული, თუმცა არსებობდა საფრთხეები, ამიტომ განათლების სამინისტროს განკარგულებით სკოლებში სპეციალური ზომები მიიღეს (სახალხო განათლების სამინისტროში (*საქართველოს რესპუბლიკა*. #57, გვ. 2). სამინისტრომ ასევე დროებით აკრძალა სასკოლო ექსკურსიები.

ხელისუფლების მხრიდან განათლების სისტემისადმი მგრძნობიარე დამოკიდებულებას განაპირობებდა საქართველოში სასკოლო სისტემაში არსებული

პრობლემების კარგად ცოდნა. პარლამენტისა და მთავრობის წევრთა მნიშვნელოვან ნაწილს პედაგოგები შეადგენდნენ. 1919 წლის თებერვალში გამართული დამფუძნებელი კრების არჩევნების შემდგომ კრების წევრთა 18 % პედაგოგი იყო (ხვადაგიანი, 2016, ფ. 43).

1919 წლის მაისშივე მთავრობაში განიხილეს სახალხო განათლების სამინისტროსა და ერობათა შორის უფლება-მოვალეობების განაწილების საკითხი. განათლების სამინისტროს ინიციატივით, საყოველთაო განათლების სისტემის სრულად გამართვამდე სამინისტრო, ფაქტობრივად, წარმმართველ ინსტიტუტად დარჩა, თუმცა აღინიშნა, რომ იქ, სადაც თვითმმართველობას ჰქონდა შესაბამისი ცოდნა და რესურსი, დაწყებითი სკოლები მათ განკარგულებაში მოქმედებდა, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების სკოლები ფინანსდებოდა როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური ხელისუფლებიდან. სამინისტრო იტოვებდა კონტროლის ფუნქციას ინსპექტორების ინსტიტუტის საშუალებით. მომავალში კი კიდევ უფრო მეტ დეცენტრალიზაციას გეგმავდა (სეა, ცსა, ფ. 1935, ან. 1, ს. 26).

განათლების სისტემაში განხორციელებულ რეფორმებს კრიტიკოსებიც არ აკლდა. 1919 წლის აპრილში გაზეთ „საქართველოში“ არაერთი სტატია გამოაქვეყნა იპოლიტე ვართაგავამ, რომელშიც აკრიტიკებდა ხელისუფლებას სკოლის არასწორად რეორგანიზაციისათვის *„ეს ეროვნული საქმე უნდა მოეწყოს არა კაბინეტებში და ბიუროკრატიულად, მას უნდა მიეცეს ფართო ხასიათი; ამის შესახებ მსჯელობასა და გარჩევაში მონაწილეობას უნდა იღებდეს საზოგადოებაც“* (ვართაგავა (1919), სკოლის რეორგანიზაციისათვის. *საქართველო*. #75, გვ. 1-2). ვართაგავა აკრიტიკებდა იმას, რომ სამინისტრომ თითქმის 1 წლის განმავლობაში ვერ შეიმუშავა რეფორმის კონკრეტული ტექსტი.

სასკოლო რეფორმა

1919 წლის 17 ივლისს მთავრობის სხდომაზე სასკოლო რეფორმის ავტორმა, სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგმა ნოე ცინცაძემ,⁹⁵ წარმოადგინა მოხსენება „საშუალო სკოლათა რეორგანიზაციის შესახებ“, რომლის დასაწყისშივე ნათქვამი იყო - *„ძველი სკოლა თავისი მიმართულებითა და შინაარსით ძველი სინამდვილის ღვიძლი შვილია და ცხადია, დღევანდელი ცხოვრებას და მის მიზნებს იგი ვერ დააკმაყოფილებს. მას აუცილებლად გარდაქმნა, რეორგანიზაცია ეჭირვება“* (სეა, ცსა, ფ. 1935. ან. 1, ს. 509). ეს ციტატა მკაფიოდ წარმოაჩენდა მთავრობის პოზიციას არსებული სისტემის ძირეულად გარდაქმნის აუცილებლობასთან დაკავშირებით. მოხსენებაშივე გაცხადებული იყო, თუ რას უნდა დამყარებოდა ახალი რეფორმა: *„დემოკრატიზმი სოციალურის ინერციით - აი მთავარი საფუძველი, რომელზედაც ჩვენი ახალი სკოლა უნდა აღმოცენდეს, ადამიანის მთლიანი ჰარმონიული და კერძოდ ბუნების, მისი ნებისყოფის განვითარება - აი უმთავრესი მიზანი, რომელსაც სკოლა უნდა ემსახურებოდეს! თავდაპირველად აღსანიშნავია, რომ თანასწორობის იდეაზე აგებულს დემოკრატიულ სახელმწიფოში ყოვლად შეუწყნარებელია, რომ სოციალურად და წოდებრივად განკერძოებულს ერის ყოველ წრეს, ყოველ კლასს, ჰქონდეს თავისი საკუთარი დამოუკიდებელი გზა განვითარებისთვის. თანასწორობა არა მარტო უფლებრივი მოვლენაა, იგი*

⁹⁵ ნოე ცინცაძე სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგად 1919 წლის 10 აპრილს დაინიშნა.

აუცილებლად კულტურულ თანასწორობას ჰგულისხმობს, და, მაშასადამე, მთელი საზოგადოების ცოცხალი ძალები თავისი განვითარებისათვის ერთგვარს, თანასწორსა და თანაბარ პირობებში უნდა იყოს. ცხადია, რომ საზოგადოების ყველა ელემენტისათვის ერთი საერთო განათლების სკოლაა საჭირო თავისი შინაარსით, თავისი პროგრამით ... ყველასათვის ერთი ისეთი სკოლა უნდა შეიქმნას, რომელიც როგორც თავისის შინაარსით, ისე შემადგენლობითაც ერთიანი იქნება“ (სეა, ცსა, ფ .1935. ან. 1, ს. 509).

განათლების ახალი რეფორმის თანახმად, ერთიანი სასკოლო სისტემა შედგებოდა სამი საფეხურისაგან. სკოლის პირველ საფეხურს წარმოადგენდა ე. წ „სახალხო სკოლა“, რომელიც ერთგვარ მოსამზადებელ (დაწყებით) კლასებს წარმოადგენდა. სკოლის მეორე საფეხური უმაღლესი დაწყებით სკოლა იყო, რომელიც 4 კლასს აერთიანებდა, სკოლის მესამე საფეხურს კი 4 კლასიანი საშუალო სკოლა წარმოადგენდა, რომელიც მე-5 კლასიდან იწყებოდა. რეფორმის გეგმის თანახმად თავდაპირველად საშუალო სკოლის საფეხური ერთიანი პროგრამით იმუშავებდა, თუმცა მომავალში შესაძლებელი იყო მოსწავლის სურვილის შესაბამისად პროფილური დიფერენციაცია. უკვე 1920 წლიდან მოსწავლეებს შეეძლოთ სწავლა გაეგრძელებინათ სასოფლო-სამეურნეო საშუალო სკოლაში, რომელიც კონკრეტული მიმართულებით ამზადებდა მოსწავლეებს. სასოფლო სამეურნეო საშუალო სკოლები განათლების სამინისტროსთან კოორდინაციით მიწათმოქმედების სამინისტროს დაქვემდებარებაში იარსებებდა (საქ. დე. რეს. სამ. აქტ. კრებ. 1990: 433).

სასკოლო განათლების რეფორმა გულისხმობდა ბიფურკაციის ხელშეწყობას, მოწაფეთა ნიჭის ინდივიდუალიზაციას, თუმცა თავად რეფორმის ავტორის განცხადებით, საქართველოში არსებული საგანმანათლებლო პრობლემებისა და კულტურული სინამდვილის პირობებში ეს პროცესი რთულად წარიმართებოდა, მაგრამ სამინისტროს ამ გზით უნდა ევლო. რეფორმის გეგმაში განხილული იყო ევროპული სასკოლო სისტემის მოდელები. საბოლოოდ, რეფორმის სტრატეგიით შემუშავდა რამდენიმე ეტაპიანი გეგმა, რომელიც 1919 წლის სექტემბერში უნდა დაწყებულიყო და 1923 წელს დასრულებულიყო. გეგმაში განხილული იყო მიზნებიდან გამომდინარე სასკოლო პროგრამის შედგენის საკითხი. რეფორმის გეგმის თანახმად სასკოლო პროგრამაში შეტანილი იქნა შემდეგი საგნები: **„ჰუმანიტარული საგნები: ქართული ენა და სიტყვიერება, რუსული და მსოფლიო ლიტერატურა, ორი უცხო ენა მათ შორის ერთი რუსული, მეორე არჩევით ფრანგული, ან გერმანული ან ინგლისური, ისტორია, პოლიტიკური ეკონომია, სამართლის მეცნიერება, ფსიქოლოგია, ლოდიკა; სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო საგნები: მათემატიკა, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბუნებისმეტყველება და ჰიგიენა; აღმზდელობითი საგნები: ფიზიკური ვარჯიშობა, სიმღერა-გალობა, მუსიკა, ხელსაქმე და ხელოვარჯილობა“** ერთ-ერთ (სეა, ცსა, ფ. 1935, ან. 1, ს. 509).

განათლების რეფორმის ფარგლებში დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული იქნა კანონი „დებულება საშუალო სკოლის რეორგანიზაციისა“, რომელშიც გაცხადებული იყო: **„საქართველოს რესპუბლიკის საერთო განათლების ყველა საშუალო სკოლა, რომელსაც მთავრობა თავისი ხარჯით ინახავს ერთი ტიპისაა. ქალაქების, ერობებისა და კერძო პირთა მატერიალური დახმარებით დაარსებული სკოლები შეიძლება რამდენადმე განსხვავდებოდეს**

პირველ მუხლში აღნიშნული ტიპისგან, მაგრამ თავისებური წესდებანი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დამტკიცდეს განათლების სამინისტროს მიერ. საერთო განათლების საშუალო სკოლის მიზანია აღზარდოს მოზარდი თაობა და მისცეს მას დასრულებული მთლიანი საშუალო განათლება და იმავე დროს მოამზადოს უმაღლესი სასწავლებლისთვის“ (სეა, ცსა, ფ. 1935, ან. 1, ს. 154).

სახალხო განათლების სამინისტროში შეიქმნა რეფორმის გატარების სპეციალური კომისია, რომელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორი დიმიტრი უზნაძე ხელმძღვანელობდა.

რეფორმის განხორციელების გზაზე სამინისტრო ეყრდნობოდა მონტესორის სწავლების მეთოდს, სამინისტრომ რეფორმის პირველი ტალღის დროს მარია მონტესორის რამდენიმე მოსწავლის ჩამოყვანაც დაგეგმა, საქართველოს საშუალო სკოლის მასწავლებელთათვის გამოცდილების გასაზიარებლად. ეს გეგმა 1920 წელს შესრულდა, მილანიდან თბილისში მონტესორის მოსწავლე ქალბატონი კონდუღმაირი ჩამოვიდა და კურსებიც გახსნა ქალაქის თვითმმართველობის ხელშეწყობით, კურსებს 40 მსმენელი დაესწრო (მონტესორის კურსების გახსნა (1920). *საქართველოს რესპუბლიკა*. #169, გვ. 3).

სასწავლო კომიტეტის საქმიანობით, 1920-1921 სასწავლო წლის დასაწყისში სასკოლო წიგნების დიდი ნაწილი ქართულ ენაზე უკვე არსებობდა, ნაწილი დაიწერა ქართველი ავტორების მიერ, ნაწილი კი ითარგმნა. სასკოლო წიგნები სავალდებულო სამეცნიერო რეცენზირებას გადიოდა (სახალხო განათლების სამინისტროში (1919). *საქართველოს რესპუბლიკა*. #100, გვ. 2).

სახალხო განათლების სამინისტრომ სასწავლო კომიტეტის საშუალებით შექმნა სასკოლო პროგრამები. ახალი პროგრამები შემუშავდა ქართული ენისა და ლიტერატურის, ასევე საქართველოს ისტორიის საგნებისათვის. ქართული ენის სასკოლო პროგრამა შეადგინა ცნობილმა პედაგოგმა ვუკოლ ბერიძემ. ლიტერატურის პროგრამაში ფართოდ იქნა წარმოდგენილი მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობა. მასში დიდი ადგილი ეთმობოდა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგისა და სხვათა ნაწარმოებებს. ფართოდ ისწავლებოდა და განიხილებოდა ქართული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები. პროგრამაში ასევე შეტანილი იყო პოემა „ვეფხისტყაოსანი“ (სეა, ცსა, ფ. 1935, ან. 1, ს. 80). საშუალო სკოლის მეექვსე-მერვე კლასების საქართველოს ისტორიის პროგრამა პროფესორმა ივანე ჯავახიშვილმა შეადგინა (სეა, ცსა, ფ. 1935, ან. 1, ს. 1000).

პროგრამების დანერგვის შემდგომ პრესაში ხშირად აკრიტიკებდნენ სასწავლო კურსებს, მათ შორის გრიგოლ გიორგაძემ გააკრიტიკა ისტორიის პროგრამა და აღნიშნა, რომ საშუალო სკოლის სამ კლასში ისტორიის სწავლება რეალურ საჭიროებებს ვერ პასუხობდა და მოსწავლეები პროგრამას ვერ ითვისებდნენ. ამის მიზეზად კარგი სახელმძღვანელოების არარსებობას ასახელებდა (სასკოლო საკითხი. (1920). *საქართველოს რესპუბლიკა*, #55, გვ. 3).

ქართულ პრესაში, ხშირად ქვეყნდებოდა სტატიები სოფლის სკოლებში არსებული აუტანელი პირობების შესახებ, განსაკუთრებით ზამთარში რთულდებოდა მდგომარეობა, რადგანაც სკოლებს ხშირად არ ჰქონდა შესაბამისად მოწესრიგებული კარ-ფანჯრები და იატაკი, ვერც თბებოდა უსახსრობის გამო. განათლების სამინისტრო სკოლებში,

განსაკუთრებით კი ახლადშექმნილ დაწესებულებებში, აქტიურად ატარებდა რევიზიებს პრობლემათა გამოსავლენად. რევიზიები ტარდებოდა არა მხოლოდ ქართულენოვან, არამედ ეთნიკური უმცირესობების სკოლებშიც (სეა, ცსა, ფ. 1935, ან. 1, ს. 734).

სამინისტრო 1919 წლის ზაფხულშიც აგრძელებდა მუშაობას სკოლებში სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრაზე. ცდილობდა განსაკუთრებით ღარიბ მოსწავლეთათვის შეექმნა პირობები სწავლა გაეგრძელებინათ უმაღლეს დაწყებით და საშუალო სკოლებში. ამისათვის გამოსცემდნენ ცირკულარებს, რომლებიც, ერთი მხრივ, სასწავლო პროგრამების ჰომოგენიზაციას ახდენდა, მეორეს მხრივ, კი ხსნიდა ბარიერებს სკოლის საფეხურების გადალახვისათვის (ჭუმბურიძე, 2000: 31-32).

1919 სასწავლო წლიდან იგეგმებოდა სკოლებში ტანვარჯიშის ფართოდ დანერგვა, რის გამოც სკოლებისგან ითხოვდნენ ინფორმაციას იმის შესახებ, ჰყავდათ თუ არა პედაგოგები და ჰქონდათ თუ არა შესაბამისი იარაღები (სეა, ცსა, ფ. 1935, ან. 1, ს. 17). 1919-1920 წლებში ტანვარჯიშის სწავლების გასაფართოებლად განათლების სამინისტრომ სპორტსაზოგადოება „შევარდენს“ დამფუძნებელი კრების დადგენილებით 2 მილიონი მანეთი გამოუყო (ტოლელი (1920). სასკოლო საკითხები. *საქართველოს რესპუბლიკა*. #57, გვ. 3).

სასკოლო სისტემის მშენებლობაში აქტიურად იყო ჩართული მასწავლებელთა პროფესიული გაერთიანება - პედაგოგთა კავშირი 1918-1921 წლებში ის ერთ-ერთი ყველაზე დიდი პროფკავშირი იყო და საკმაო გავლენებიც გააჩნდა პროცესებზე.

მასწავლებელთა კავშირი 1921 წლის თებერვალში აქტიურად იყო ჩართული საოკუპაციო ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში. 19 თებერვალს მასწავლებელთა კავშირი თავიანთ წევრებსა და თანამოაზრეებს მიმართავდა: *„ამბ. მასწავლებლებო! აუხსენით ხალხს, რომ მტერი ვერას დაგვაკლებს, თუ შიგნით წესრიგს დავიცავთ. დამშეული მტერი ჩვენში მოდის გასაძლომად. მას უნდა ჩვენი ქვეყანა დაიპყროს და გაზიდოს აქამდე თუ კი რამ ჩვენ გლეხობას გააჩნდა. ამას მოჰყვება სოფლების და ქალაქების აოხრება, ოჯახის და ცოლ-შვილის აწიოკება... ვისაც შეგვიძლია იარაღს ავისხამთ, სხვები სხვა გვარად დაგვებმართო სახელოვან ჯარს და გვარდას!... საქართველოს მასწ. კავ. აღმს. ბიურო“* (საქართველოს მასწავლებლობას (1921). *ერთობა*. #38, გვ. 2).

სასკოლო რეფორმის შედეგები

1921 წლის იანვარში თბილისში გაიმართა მასწავლებელთა ყრილობა, რომელსაც დელეგატები მთელი საქართველოდან დაესწრნენ. მასწავლებელთა ყრილობაზე სახალხო განათლების მინისტრმა გრიგოლ ლორთქიფანიძემ ერთგვარი სამანიფესტო განცხადება გააკეთა, რომელშიც ნათლად ახსნა თუ რა როლი ეკისრებოდათ სოციალურ სამართლიანობაზე და დემოკრატიაზე დაფუძნებულ რესპუბლიკაში პედაგოგებს. ლორთქიფანიძემ განაცხადა: *„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში არსებობდა ქართველთა მოდგმა, ქართველი ტომი, იყო საქართველოს სახელმწიფო, მას მართავდნენ ქართველნი მეფენი და მთავარნი, არსებობდა ქართული კულტურა, არსებობდა, ცხოვრობდა და იბრძოდა ქართველი ხალხი, მაგრამ ამისდა მიუხედავად ჯერ არ არსებულა ქართველთა ნაცია, ქართველი*

ერი, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ვინაიდან საერთოთ ძველსა და საშუალო საუკუნეებში იყვნენ ხალხები და არა ერები. ქართველი ერიც, ამ სიტყვის ჭეშმარიტ მნიშვნელობით, იბადებოდა და ყალიბდება დღევანდელ ისტორიულ ხანაში. უდიადესი მოვლენა ხდება ჩვენს ცხოვრებაში - ქართველი ხალხი გარდაიქმნეს ქართველ ერათ. ამ დიადი მოვლენის ერთი ნაწილი გამოიხატება იმაში, რომ მთელი ხალხი, დემოსი, გახელმწიფდა, ის მთლიანათ შეიქმნა პოლიტიკური და უზენაესობის მატარებელი, ე. ი. დამყარდა დემოკრატია, მაგრამ ამ დიდი ისტორიული მოვლენის მეორე და უფრო მნიშვნელოვანი ნახევარი ჯერ არ დასრულებულა; ამისთვის საჭიროა სრულად და ყოველ მხრივ განვითარდეს ქართული მეცნიერება, სწავლა განათლება, დასრულდეს ქართული კულტურა და ქართველი ხალხი მთლიანად შეიქმნას არა მარტო პოლიტიკური ხელისუფლების მატარებელი, არამედ გახდეს ამ კულტურის ჭურჭელი. როდესაც არა მარტო მართველნი და ინტელიგენტები, დიდებულნი და მწიგნობარი, არამედ მთელი ხალხი შეიქმნება კულტურის მატარებელი, მაშინ გარდაიქმნება ქართველი ხალხი ქართველ ერათ. ეროვნული მეობის შეგნება, ჭეშმარიტათ ნაციონალური კულტურის შექმნა და შესრულება, აი რა არის, ქვაკუთხედი და მთავარი საფუძველი. დიახ, დღეს შენდება ახალი, მტკიცე და ხალხური საქართველო და ამ შენობის მეტათ მნიშვნელოვანი ნაწილის ხუროთმოძღვარი და უბრალო დურგალიც არის ქართველი მასწავლებელი“ (ნოდე (1921). სრულიად საქართველოს მასწავლებელთა დელეგატების მე-2 ყრილობა. ერთობა. #8, გვ. 3).

ყრილობას სიტყვით ლორთქიფანიძის მოადგილემ ნოე ცინცაძემ მიმართა. ცინცაძემ შეაჯამა სამინისტროს საქმიანობა რეფორმის დაწყებიდან, 1919 წლის ზაფხულიდან 1920 წლის ბოლომდე. მინისტრის ამხანაგმა საყოველთაო განათლების დანერგვის შესახებ განაცხადა: „საყოველთაო განათლება განხორციელებულია რიგიანად გურიაში, სენაკის, ქუთაისის და ზუგდიდის მაზრებში, სოხუმის ოლქში ნაკლებად. აღმოსავლეთ საქართველოში სკოლების რიცხვის ზრდა თვალსაჩინოდ ხდება გორის, თელავისა და სიღნაღის მაზრებში, საერთოდ ეს ზრდა სკოლებისა და მოწაფეთა რიცხვისა მომეტებულად სწარმოებს საქართველოს გამოცხადების შემდეგ, ქალაქებში თითქმის ყველგან სასკოლო ქსელი შევსებულია, მხოლოდ განვიცდით მასწავლებელთა ნაკლებობას“ (ნოდე (1921). სრულიად საქართველოს მასწავლებელთა დელეგატების მე-2 ყრილობა. ერთობა. #8, გვ. 3-4).

ცინცაძემ მოხსენების წაკითხვისას ხაზი გაუსვა, რომ აქტიურად მუშაობდა პედაგოგთა მოსამზადებელი 3 თვიანი სასწავლო კურსები. მანვე აღნიშნა დაწყებითი კლასებიდან საბალო სწავლების გამოყოფის აუცილებლობაზე და ისაუბრა იტალიიდან მოვლენილი მონტესორის მოსწავლის საქმიანობის მნიშვნელობაზე. ცინცაძის მოხსენების თანახმად სამინისტრო პატრონაჟს უწევდა უმცირესობათა სკოლებს.

მასწავლებელთა ყრილობაზე დადგა საკითხი, რომ თუ თებერვლამდე არ გაიზრდებოდა მასწავლებელთა ხელფასები, მოხდებოდა საყოველთაო გაფიცვა. ამ ულტიმატუმს გამობდა სოციალ-დემოკრატიული პრესა და მასწავლებლებზე ფედერალისტებისა და დაშნაკების გავლენის შესახებ საუბრობდა. სოციალ-დემოკრატები გამოთქვამდნენ იმედს, რომ შეგნებული მასწავლებლები არ დაუშვებდნენ ამგვარ ულტიმატუმებს (მასწავლებელთა ყრილობის ერთი ნაბიჯის გამო (1921). ერთობა, #11, გვ. 1-2).

1921 წლის 28 იანვარს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ნ. ბოცვაძე წერდა - „ჩვენდა საბედნიეროთ გაფიცვის მომხრეებმა უკვე მოხსნეს თავიანთი დადგენილება, მაგრამ ის კი გულის ტკივილს უნდა იწვევდეს ჩვენში, რომ ამგვარი აზრის დაბადებაც კი შესაძლებელი ყოფილა ამ მიმე დროს“ (ბოცვაძე (1921). ცოტა რამ მასწავლებელთა ყრილობის შესახებ. საქართველოს რესპუბლიკა. #20, გვ. 3-4).

მასწავლებელთა ყრილობაზევე ნოე ცინცაძემ წარადგინა სტატისტიკური მონაცემები რესპუბლიკის ფარგლებში არსებული სხვადასხვა დონის სკოლების შესახებ. სტატისტიკაში არ იყო წარმოდგენილი ბათუმის ოლქი (ნოდე (1921). სრულიად საქართველოს მასწავლებელთა დელეგატების მე-2 ყრილობა. ერთობა. #13, გვ. 3).

მაზრებ ი	პირველ დაწყებითი			უმალეს დაწყებითი		
	რიცხვი			რიცხვი		
	სკოლა	მასწავლებელი	მოწაფე	სკოლა	მასწავლებელი	მოწაფე
ქუთაისის გუბერნია						
ქუთაისის მაზრა	1 98	588	1 6 676	3 1	140	3 491
სენაკის მაზრა	1 25	312	1 1 435	1 9	109	2 150
ლენხუმის მაზრა	9 4	94	7 178	4	21	3 16
რაჭის მაზრა	6 7	132	4 423	4	13	3 08
ზუგდიდის მაზრა	1 19	271	1 0 046	1 2	62	1 845
შორაპნის მაზრა	1 43	263	9 354	1 1	53	1 285
ოზურგეთის მაზრა	1 34	346	1 5 889	2 1	122	3 773
ქალაქე ბი	7 7	323	1 1 538	2 5	217	5 058
სულ	9 23	2 299	8 1 634	1 27	737	1 7 226
თფილისის გუბერნია						
ახალციხის მაზრა	1 9	31	6 60	1	14	4 50
ახალქალაქის მაზრა	1 9	21	1 55	1	4	1 45

გორის მაზრა	1 95	318	9 965	6	18	4 06
თიანეთის მაზრა	1 6	22	4 12	1	6	6 9
ბორჩალოს მაზრა	4 6	72	1 451	1	2	3 4
დუშეთის მაზრა	3 9	59	1 583	2	5	6 4
თფილისის მაზრა	6 5	106	3 721	4	18	2 32
სიღნაღის მაზრა	7 4	159	5 138	6	25	4 06
თელავის მაზრა	4 4	127	2 450	2	7	9 9
ქალაქები	1 44	599		1 9	211	3 718
სულ	6 20	1 514	4 6 344	4 3	310	5 623
სოხუმის ოლქი						
კოდორის მაზრა	2 7	47	1 380	0	0	0
სამურზაყანოს მაზრა	5 5	104	3 898	4	15	3 09
გუმისტინის მაზრა	6 8	104	2 895	0	0	0
გუდაუთის მაზრა	3 4	45	1 049	1	4	4 8
ქალაქები	1 8	51	1 451	4	28	4 85
სულ	2 02	351	1 0 673	9	47	8 42
საერთო ჯამში	1 745	4 141	1 38 651	1 79	1 094	2 3 691

აღნიშნული სტატისტიკის თანახმად 1921 წლის თებერვლისათვის. დასავლეთ საქართველოში (ზათუმის ოლქის გამოკლებით) იყო: 1261 სკოლა, 3 434 პედაგოგი და 110 375 მოსწავლე. აღმოსავლეთ საქართველოში იყო: 663 სკოლა, 1824 პედაგოგი და 51 967 მოსწავლე. დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა დაახლოებით 1 მილიონი იყო, აღმოსავლეთ საქართველოს კი - 1.5 მილიონი [1]. შედარებისათვის, 1918 წლის აგვისტოში

გიორგი ლასხიშვილის მოხსენებით აღმოსავლეთ საქართველოში მხოლოდ 790 მასწავლებელი მუშაობდა, ამავე პერიოდში დასავლეთ საქართველოში, ოკუპირებული ბათუმის ოლქის გამოკლებით, 1936 (სახალხო განათლების სამინისტროს მოხსენებიდან (1921). *ერთობა*. #13, გვ. 2-3).

სტატისტიკური მონაცემების წარდგენის შემდეგ ცინცაძემ ისაუბრა მომავალ წლებში დაგეგმილი ახალი სკოლების გახსნის შესახებ. ცინცაძის თქმით: „*სულ საქართველოს სასკოლო ჰასაკის ბავშვი (მცხოვრებთა რიცხვის 9.5% რომ ვივარაუდოთ) 211,560 იქნება. ჩვეულებრივი სახალხო სკოლის ოთხ განყოფილებიდან პირველ საფეხურისათვის საშუალოდ 100 მოწაფე რომ ჩავთვალოთ, - არსებული 1745 სკოლა 174 500 მოწაფეს დაიტევდა, მაგრამ თუ მოწაფეთა რაოდენობა მხოლოდ 138 651 განისაზღვრება, ეს უმთავრესად იმ გარემოებით აიხსნება, რომ აღნიშნულ 1745 სკოლათაგან ნაწილი დასრულებული არაა: მათმა დიდი ნაწილი უკანასკნელ ორი წლის განმავლობაშია და მამასადაძე, 1 ან 2 განყოფილებისაგან შედგება მხოლოდ, არიან კიდევ, რასაკვირველია სხვა მიზეზებიც, მოწაფეთა სიმცირისა: მაგ. ჩამორჩენილ ადგილებში სკოლას და განათლებას ჯერ კიდევ არ აქვს სასურველი მიმზიდველობა ხალხის თვალში, თუმცა უმეტეს შემთხვევაში, ეს უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, ძველი ინერცია ძლეული იქნა. მამასადაძე თუ სკოლაში საშუალოდ 100 მოწაფეს ვიანგარიშებთ, საყოველთაო განათლების ცხოვრებაში გასატარებლათ რესპუბლიკაში (ბათუმის ოლქის გამოკლებით) საჭირო ყოფილა დაახლოებით 2 100 სკოლა, ამას რომ გამოვაკლოთ 1745 სკოლა, გამოვა, რომ მომავალში საყოველთაო განათლების სასკოლო ქსელის მოსასრულებლად დაახლოებით 360-400 სკოლა უნდა გაიხსნას. ე. ი. თუ სახალხო სკოლის ზრდა ისეთივე ტემპით წავიდა, როგორც უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში, საყოველთაო სავალდებულო განათლების სასკოლო ქსელი 1923 წლისათვის, როგორც ეს ნავარაუდები იყო, განხორციელებულად უნდა ჩაითვალოს“ (სახალხო განათლების სამინისტროს მოხსენებიდან (1921). *ერთობა*, #13, გვ. 2-3).*

ცინცაძის მოხსენებით ოზურგეთის მაზრაში სასკოლო ასაკის მოსწავლეთა 100% უზრუნველყოფილია სკოლით, 1919 წლისათვის ოზურგეთის მაზრას სულ 6 ახალი სკოლის დაარსება დასჭირდა იმისათვის, რომ საყოველთაო სწავლა-განათლებაზე გადასულიყო (სეა, ცსა, ფ. 1935, ან. 1, ს. 161). პრობლემები იყო თურქულენოვანი (აზერბაიჯანულენოვანი) და ბერძნული სკოლების სიმცირესთან დაკავშირებით. 1921 წლისათვის იგეგმებოდა ახალი სკოლების გახსნა. 1921 წლის თებერვალში გამოქვეყნებული სტატისტიკის თანახმად ბათუმის ოლქის ჩათვლით მთელ რესპუბლიკაში ყველა ტიპის 2 034 სკოლა ფუნქციონირებდა.

ცინცაძისვე განცხადებით 1920 წლის ბოლოს რესპუბლიკის ფარგლებში მოქმედებდა 60 რუსულენოვანი, 81 სომხურენოვანი, 31 თურქულენოვანი, 66 ბერძნული, 48 ოსური და 20 აფხაზურენოვანი სკოლა. ასევე იყო ესტონური, გერმანული და აისორული სკოლები. ბორჩალოს მაზრაში⁹⁶ 31 ბერძნული, 16 თურქულენოვანი და 3 სომხური სკოლა მოქმედებდა. თბილისის მაზრაში 14 რუსული, 1 სომხური, 5 თურქული⁹⁷ და 4 ბერძნულენოვანი სკოლა იყო. რესპუბლიკაში არსებული 48 ოსურენოვანი სკოლიდან 41 გორის მაზრაში მოქმედებდა.

⁹⁶ მაზრაში მცირე რაოდენობით მოქმედებდა ქართულენოვანი სკოლები.

⁹⁷ სოფლებში - სოღანლუღში, აგტაგლის, ყარაიაზის, ქესალოს და მუღანლოს.

გუმისთვის მაზრაში 8 რუსული, 16 სომხური, 22 ბერძნული და 3 ესტონურენოვანი სკოლა მოქმედებდა, გუდაუთაში 15 სომხური, 5 რუსული და 3 ბერძნული. ახალციხის მაზრაში 4 სომხური და 4 თურქულენოვანი სკოლა მოქმედებდა. ახალქალაქის მაზრაში, სადაც მოსახლეობის 80% სომხური ეროვანი იყო, მხოლოდ 1 სომხური სკოლა მოქმედებდა. სიღნაღის მაზრაში 7 რუსული, 2 სომხური 4 თურქული და 5 ოსურენოვანი სკოლა მოქმედებდა. აისორული სკოლა მოქმედებდა დუშეთის მაზრის სოფელ ქანდაში (სეა, ცსა, ფ. 1935, ან. 1, ს. 917). გარდა ამისა ებრაელთა ეროვნული სკოლები არსებობდა ონში და კულაშში (სეა, ცსა, ფ. 1935, ან. 1, ს. 934).

1918-1920 წლებში მხოლოდ გორის მაზრამ 104 ახალი სკოლა შექმნა, მათგან მნიშვნელოვანი ნაწილი ოსურენოვანი იყო. გორის მაზრამ ასევე შექმნა 11 ახალი უმაღლეს დაწყებითი სკოლა (სეა, ცსა, ფ. 1935, ა. 1, ს. 161). 1919 წლისათვის ერთადერთი ოსური გიმნაზია მოქმედებდა ქალაქ ცხინვალში, რომელიც 1918 წელს შეიქმნა. ბორჩალოს მაზრამ, რომელშიც 1918 წლამდე ძირითადად მხოლოდ ბერძნული და რუსული სკოლები ფუნქციონირებდა 1920 წლის ბოლოსთვის 22 ახალი სკოლა შექმნა, მათგან 9 - თურქულენოვანი, 6 სომხური, 6 ქართული და 1 რუსული (სეა, ცსა, ფ. 1935, ან. 1, ს. 161).

საყოველთაო განათლების დასანერგად მიღებული კანონების და დეკრეტების ერთგვარი გაგრძელება და ლოგიკური დასასრული იყო სწავლა-განათლების შესახებ 1921 წლის კონსტიტუციაში გაკეთებული ჩანაწერი - კერძოდ 110-ე მუხლი - *„პირველდაწყებითი სწავლა საყოველთაო, უსასყიდლო და სავალდებულოა. საზოგადო სკოლების სისტემა ერთს ორგანიულ მთლიანობას წარმოადგენს, სადაც პირველდაწყებითი სკოლა საფუძველია საშუალო და უმაღლესი სკოლისა. სწავლა-განათლება ყველა საფეხურის სკოლებში საეროა.“* 111-ე - *„სახელმწიფო მიზნად ისახავს: პირველდაწყებით სკოლაში უღარიბეს ბავშვებს საზრდო, ჩასაცმელ-დასახური და სასწავლო ნივთები უფასოდ მიეცეს. ამ მიზნის განსახორციელებლად სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმართველობანი თავის შემოსავლის ერთ ნაწილს გადასდებენ ყოველ წლიურად“* (საქ. დემ. რე. სა. აქ. კრ. 1990: 476).

ზრდასრულთა და არაფორმალური განათლების სისტემა

რესპუბლიკის მთავრობისათვის მნიშვნელოვანი პრობლემა იყო, რომ მოქალაქეთა დიდ ნაწილს 1918 წლამდე ზოგადად განათლებაზე ხელი არ მიუწვდებოდა. 1920 წელს არაფორმალური განათლების სისტემის გაფართოების დასაჩქარებლად სპეციალური ინსტიტუტიც შეიქმნა (სახ. განათ. სამინისტროში (1920). *საქართველოს რესპუბლიკა*. #261, გვ. 3).

1920 წლის იანვარში სახალხო განათლების სამინისტრომ მთავრობას წარუდგინა პროექტი, რომლის მიხედვითაც ზრდასრული მოქალაქეების გასანათლებლად შეიქმნებოდა მოძრავი სახალხო უნივერსიტეტი და სოფლებში დაარსდებოდა ბიბლიოთეკები. რესპუბლიკაში დაწყებითი სკოლების ბაზაზე არსდებოდა საღამოს კურსები, იხსნებოდა ბიბლიოთეკები თემების ადმინისტრაციებისა და დაწყებითი სკოლებში, მაზრებსა და ქალაქებში მოქმედებდა სახალხო თეატრები, იხსნებოდა სახალხო უნივერსიტეტები. ასევე

მოქმედებდა მოძრავი კინემატოგრაფი, ჯარისკაცთა თეატრები და უნივერსიტეტები (ჭუმბურიძე, 2000: 181-184).

რესპუბლიკის განათლების სისტემის ერთ-ერთი მთავარი ინსტიტუტი იყო სახალხო უნივერსიტეტები, რომლებიც ზრუნავდნენ ზრდასრულთათვის ახალი ცოდნის მიცემაზე. სახალხო უნივერსიტეტების მსმენელთა უმრავლესობას მუშები შეადგენდნენ, რომლებმაც რუსეთის საიმპერიო რეჟიმის პირობებში განათლების მიღება ვერ შეძლეს.

1918 წლის 11 თებერვალს 10 წელი შეუსრულდა თბილისის სახალხო უნივერსიტეტს. პრესაში გამოქვეყნდა ანგარიში, რომელიც 10 წლიან საქმიანობას აჯამებდა. ანგარიშის თანახმად, 1908 წელსვე უნივერსიტეტში 500-მდე წევრი შევიდა, გამართულ ლექციებს 18 685 მსმენელი დაესწრო. ხანდახან ლექციებს 600-700 კაცი ესწრებოდა. კონცერტებითა და აქტივობებით პირველივე წელს 3000-4000 მანეთის შემოწირულობა მიიღო. სახალხო უნივერსიტეტში გაიხსნა წერა-კითხვის წრეები, ქართულ, სომხურ, თათრულ, ოსურ და ებრაულ ენებზე. 1909-1912 წლებში ლექციების მსმენელთა რიცხვი შემცირდა. 1908-დან 1913 წლამდე კრძალულ იქნა რუსულის გარდა ადგილობრივ ენებზე ლექციების წაკითხვა. 1917 წლიდან უნივერსიტეტს მართავდა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების კულტურა-განათლების განყოფილება (ხუხუნაიშვილი (1918). თვ. სახ. უნივერსიტეტი. ერთობა. #90, გვ. 3).

ვლადიმერ ვოიტინსკი სახალხო უნივერსიტეტის ქსელის შესახებ წერდა: *„ტფილისის სახალხო უნივერსიტეტი სხვადასხვა უბანში გაფანტული 12 განყოფილებისგან შედგება. ზოგიერთი განყოფილება ძალიან კარგად იყო მოწყობილი და ფლობს ფიზიკის, ქიმიისა და სხვა სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიებს... განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მასების პოლიტიკურ განათლებას და, ამ მიზნით, ტარდება ისტორიის, სამართლის, ეკონომიკის ლექციებს... სახალხო უნივერსიტეტები პროვინციების მნიშვნელოვან ქალაქებშიც არსებობ*

უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდნენ მთავრობისა და საკანონმდებლო ორგანოს წევრები: ნოე რამიშვილი, აკაკი ჩხენკელი, გრიგოლ გიორგაძე, გრიგოლ ლორთქიფანიძე, რაჟდენ არსენიძე, ალექსანდრე ლომთათიძე და სხვები (სხვა და სხვა (1920). საქართველო რესპუბლიკა. #79, გვ. 3). სახალხო უნივერსიტეტების ლექციებს მუდმივად ბევრი მსმენელი ესწრებოდა. 1919 წელს თბილისის სახალხო უნივერსიტეტის 12 განყოფილებაში 812 ლექცია გაიმართა ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე. ჯამში ყველა ლექციას ერთად მოუსმინა 46 145 კაცმა (სახალხო უნივერსიტეტი (1920). საქართველოს რესპუბლიკა. #52, გვ. 3).

ზრდასრულთა საღამოს სკოლების, წერა-კითხვის კურსების, სახალხო უნივერსიტეტების, ჯარისკაცთა უნივერსიტეტების, ბიბლიოთეკების გარდა რესპუბლიკაში არსებობდა მოძრავი კინოთეატრები, მუშათა თეატრები და სახელოვნებო წრეები, რომელიც თავისი არსით ასევე ზრდასრულთა განათლებას ემსახურებოდა.

დასკვნა

დემოკრატიულ რესპუბლიკაში შემუშავებული სასკოლო საყოველთაო განათლების რეფორმა დროის სიძვირის გამო სრულად ვერ განხორციელდა. თუმცა, 1921 წლის დასაწყისში გამოქვეყნებული ანგარიშების თანახმად რეფორმის დაგეგმილი შედეგების მნიშვნელოვანი ნაწილი იქნა მიღწეული. რესპუბლიკის მთავრობა, მცირე რესურსების მიუხედავად, ცდილობდა დასახული მიზანი - საყოველთაო და უფასო სასკოლო განათლების სისტემა - დაენერგა.

რეფორმა თავის არსში, გარდა საზოგადოების ზოგადი განათლების დონის ზრდისა, აერთიანებდა უმნიშვნელოვანეს სოციალურ ფუნქციას - მოესპო არსებული სოციალური ჩაგვრის სისტემა განათლების სფეროში და ისეთი შემოელო, რომელიც მოქალაქეებს განვითარების თანასწორ საშუალებებსა და სოციალური მობილობის შესაძლებლობას მისცემდა.

ახალი სისტემის მთავარი მახასიათებელი უნდა ყოფილიყო განათლების ხელმისაწვდომობა და თანასწორი საზოგადოების მშენებლობა. განათლება აღარ უნდა ყოფილიყო პრივილეგია, ის უნდა გამხდარიყო ყველასათვის აღიარებული უფლება, რომლის უზრუნველყოფასა და დაცვაზე იზრუნებდა თავად სახელმწიფო. რეფორმის წარმატებულობა განპირობებული იყო თავად რეფორმის პროგრამის მრავალმხრივობით, ინტელექტუალური რესურსების მობილიზებითა და იმ პერიოდში არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. რეფორმის ავტორებს გააჩნდათ ამბიცია და ამასთან მიმღებლობა შემოელოთ და დაენერგათ იმ პერიოდში მსოფლიოში გავრცელებული ახლებური მიდგომები.

განათლების სისტემის რეფორმის, ისევე როგორც სხვა სფეროების გარდაქმნის, ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი იყო ის, რომ მასში გათვალისწინებული იყო ადგილობრივი კონტექსტი და სახელმწიფოს მრავალფეროვნება. რეფორმა შეეხებოდა რესპუბლიკის მრავალეთნიკურ საზოგადოებას და მასში გათვალისწინებული იყო ეროვნულ უმცირესობათა ინტერესები, მათი მშობლიური ენის სტატუსი და ზოგადსახელმწიფოებრივი ინტერესები სახელმწიფო ენისა და საზოგადოებრივი საგნების სწავლების მიმართულებით.

გამოყენებული ლიტერატურა და ბიბლიოგრაფია:

ბენდიანიშვილი, ა. (2001), საქართველოს პირველი რესპუბლიკა. თბილისი. გამომცემლობა მემატთანე, 2001.

ვოიტინსკი, ვ. (2018). ქართული დემოკრატია. თბილისი. გამომცემლობა „თსუ“.

საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წლის 10 ივნისის სხდომის (№25) სტენოგრაფიული ანგარიში.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (19930). სპეც. რედ. ვ. შარაშენიძე. თბილისი. ივერთა მხარე.

სილაქაძე, დ. (2018). ლორთქიფანიძე გრიგოლ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) ენციკლოპედია ლექსიკონი. თბილისი. გამომცემლობა „თსუ“.

ჩხაიძე, ი. (2009). ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორია და ქართული ნაციონალური პროექტი „თერგდალეულები“. თბილისი. გამომცემლობა ახალი აზრი.

ჭუმბურიძე, დ. (2000). განათლება 1918-1921 წლებში. თბილისი. გამომცემლობა მემატთანე.

ჭუმბურიძე, დ. (2018). სახალხო განათლების სამინისტრო, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) ენციკლოპედია ლექსიკონი. თბილისი. გამომცემლობა „თსუ“.

ხვადაგიანი, ი. (2016). დამფუძნებელი კრება 1919. თბილისი. SovLab.

Iremadze, I, (2018). Education System Construction in the Democratic Republic of Georgia (Article), in the book „Modern History of Georgia“. Warsaw. KEW (The College of Eastern Europe).

სეა, ცსა, ფონდი 1935, ანაწ. 1, საქმე 11.

სეა, ცსა, ფონდი 1935, ანაწ. 1, საქმე 17.

სეა, ცსა, ფონდი 1935, ანაწ. 1, საქმე 26.

სეა, ცსა, ფონდი 1935, ანაწ. 1, საქმე 32.

სეა, ცსა, ფონდი 1935, ანაწ. 1, საქმე 45.

სეა, ცსა, ფონდი 1935, ანაწ. 1, საქმე 50.

სეა, ცსა, ფონდი 1925, ანაწ. 1, საქმე 58.

სეა, ცსა, ფონდი 1935, ანაწ. 1, საქმე 60

სეა, ცსა, ფონდი 1935. ანაწ. 1, საქმე, 80.

სეა, ცსა, ფონდი 1935, ანაწ. 1, საქმე 154.

სეა, ცსა, ფონდი 1935, ანაწ. 1, საქმე 161.

სეა, ცსა, ფონდი 1935, ანაწ. 1, საქმე 466.

სეა, ცსა, ფონდი 1935, ანაწ. 1, საქმე 497.

სეა, ცსა, ფონდი 1935, ანაწ. 1, საქმე 509.

სეა, ცსა, ფონდი 1935, ანაწ. 1, საქმე 583.

სეა, ცსა, ფონდი 1935, ანაწ. 1, საქმე 589.

სეა, ცსა, ფონდი 1935, ანაწ. 1, საქმე 734.

სეა, ცსა, ფონდი 1935, ანაწ. 1, საქმე 917.

სეა, ცსა, ფონდი 1935, ანაწ. 1, საქმე 934.

სეა, ცსა, ფონდი 1935. ანაწ. 1, საქმე 1000.

- გაზეთი ერთობა. (1917). N19.
- გაზეთი ერთობა. (1917). N169.
- გაზეთი ერთობა. (1918). N15.
- გაზეთი ერთობა. (1918). N90.
- გაზეთი ერთობა. (1918). N165.
- გაზეთი ერთობა. (1918). N190.
- გაზეთი ერთობა. (1919). N9.
- გაზეთი ერთობა. (1920). N13.
- გაზეთი ერთობა. (1920). №125.
- გაზეთი ერთობა. (1920). N183.
- გაზეთი ერთობა. (1920). N244.
- გაზეთი ერთობა. (1921). N8.
- გაზეთი ერთობა. (1921). N11.
- გაზეთი ერთობა. (1921). N13.
- გაზეთი ერთობა. (1921). N14.
- გაზეთი ერთობა. (1921). N17.
- გაზეთი ერთობა. (1921). N38.
- გაზეთი კლდე. (1918). №12.
- გაზეთი საქართველო. N182.
- გაზეთი საქართველო. (1919). N75.
- გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა. (1919). N57.
- გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა. (1919). N100.
- გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა. (1919). №107.
- გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა. (1919). N112.
- გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა. (1919). N139.
- გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა. (1919). N165.
- გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა. (1919). N78.
- გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა. (1920). №52.
- გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა. (1920). N55.
- გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა. (1920). N57.
- გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა. (1920). №79.
- გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა. (1920). N261.
- გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა. (1920). N177.
- გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა. (1920). N178.
- გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა. (1920). N179.
- გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა. (1921). N20.

გაზეთი სახალხო საქმე. (1918). N264.
გაზეთი სახალხო საქმე. (1918). N274.
გაზეთი შრომა. (1918). N6.
გაზეთი შრომა. (1918). N8.
გაზეთი შრომა. (1918). N6.

Irakli Iremadze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Faculty of Humanities,
Student of PhD program in History

Universal education system in the Democratic Republic of Georgia - the basis of social equality
Summary⁹⁸

Under the rule of the Russian Empire, education was considered more as a privilege than a fundamental human right. In 1918, only 25% of the Georgian citizens were literate as the number of schools, teachers and textbooks were insufficient. Building new schools aimed at introducing of new system - universal primary education.

There are various studies about the education system of the Democratic Republic of Georgia (DRG), however, they do not portray the education system reform from the social policy perspective.

In 1918-1921, the introduction of the universal education system was fast and successful, and resulted in a rapid increase (by 100-150%) in the number of schools, teachers and students. From May 26, 1918 to March 18, 1921, within these 1,028 days, up to 1 170 new schools were founded, and new curriculum, new textbooks and non-formal adult education systems were introduced.

The research applies content-analysis method and studies hundreds of archival files and more press articles. The research answers the following questions: What experiences and theoretical visions were the basis of the universal education? What were the main goals of the new Georgian school? What social security mechanisms were provided in the new schools? How was the reform carried out and what were its results by the beginning of 1921?

Materials obtained in the research process reflect the extent of the reform and its results in specific data.

ირაკლი მოდებაძე
საქართველოს ხელოვნების სასახლე - კულტურის ისტორიის მუზეუმი
საჯარო ლექციების დისკურსი საქართველოში (1918-1921)

⁹⁸This research [grant number FR-21-13590] has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG)

წინამდებარე კვლევის იდეა გაჩნდა სხვა პროექტის მიმდინარეობისას, კონკრეტულად კი საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევების კონკურსში გამარჯვებული პროექტის, „ქართული აფიშის ისტორია“, განხორციელების დროს, რომლის ფარგლებშიც, საქართველოს ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმის აფიშების ფონდში აღმოჩენილი იქნა საჯარო ლექციების ათეულობით აფიშა, დათარიღებული მე-19 საუკუნის ბოლოდან მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის ჩათვლით. ამ მასალისა და იმდროინდელი ქართული პრესის კვლევის შედეგები წარვადგინე საქართველოს ხელოვნების სასახლე - კულტურის ისტორიის მუზეუმის პირველ სამეცნიერო კონფერენციაზე მოხსენებით „საჯარო ლექციების დისკურსი საქართველოში (1910-1917)“, რომელშიც მიმოვიხილე საჯარო ლექციების ის შესაძლო მნიშვნელობა, რომელიც მათ ჰქონდათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფორმირებაზე. აღნიშნული კვლევისას აშკარა გახდა ლექტორებისა და მათ მიერ ჩატარებული ლექციების დიდი ნაწილი გარკვეულ, მყარ იდეოლოგიურ ბაზისზე იყო დაფუძნებული (გამოიკვეთა მკვეთრად სოციალისტური, მკვეთრად ნაციონალისტური და ამ ორის სინთეზი - ნაციონალისტურ-სოციალისტური იდეოლოგიები). ეს შეხედულებები კი სრულ შესაბამისობაში მოდიან პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის იდეალებთან და დამფუძნებელი კრების შემადგენლობის იდეოლოგიურ საფუძვლებთან. აღნიშნული დასკვნისთვის გამოდგება დამფუძნებელი კრების არჩევნების შედეგებიც, რომელშიც უმრავლესობა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მოიპოვა, მასთან ერთად კრების დეპუტატები გახდნენ პიროვნებები საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტების სარევოლუციო, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული და საქართველოს სოციალისტ რევოლუციონერთა პარტიებიდან (ირემამე, ჭანტურიძე, 2018: 88).




ილ. 1. ფ. ი. პალმოვის საჯარო ლექცია "ქალის როლის კაცობრიობის ისტორიაში".
 სახალხო სახლი. 1912 წელი. აფიშა დაცულია საქართველოს ხელოვნების სასახლე - კულტურის ისტორიის მუზეუმში.

შესაბამისად წინამდებარე სტატია ამავე თემის ერთგვარი გაგრძელებაა და, მეტწილად, მიზნად ისახავს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩატარებული საჯარო ლექციების კვლევასა და მათი დისკურსული მნიშვნელობის დადგენას.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ის წყაროები, რომლებსაც კვლევის ეტაპზე ვყვრდნობი. რადგან ამ პერიოდში აუდიო, და მითუმეტეს ვიდეო ჩაწერა თითქმის

შეუძლებელი იყო, კვლევა ფუნდებმა მეტწილად პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ განცხადებებსა თუ მიმოხილვებზე, აფიშებზე, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წლიურ ოქმებზე და სხვადასხვა პირთა ეპისტოლარულ მემკვიდრეობაზე.

ძალიან მოკლედ შეგვიძლია შევხვით ზოგადად საჯარო ლექციების საწყისებს საქართველოში, რომელიც დაახლოებით 1850-60-იანი წლებიდან უნდა იკვთებოდეს. ერთ-ერთი პირველი მსგავსი ცნობა გამოქვეყნებულია გაზეთში „კავკაზ“, 1860 წლის მე-12 და შემდეგ, მე-18 ნომრებში. აღნიშნული ცნობები გვატყობინებს, რომ გიმნაზიის მასწავლებელი ჟელტუხინი ატარებს მოხსენებათა 6-კვირიან ციკლს სამყაროს მოწყობის შესახებ. აღნიშნული ღონისძიებების მნიშვნელობაზე მიანიშნებს ის ფაქტიც, რომ „კავკაზის“ მე-12 ნომერში, რომელშიც განცხადება ერთგვარი წარმდგენი ხასიათისაა, ინფორმაციის გაზეთის საკმაოდ დიდი ნაწილი ეთმობა. კიდევ უფრო ვრცელია მე-18 ნომერში გამოქვეყნებული სტატია, რომელიც აჯამებს ლექციებს და გასცემს რეკომენდაციებს მომავალში მათი გაუმჯობესების შესახებ (აღნიშნულ სტატიას გაზეთის ნახევარზე მეტი აქვს დათმობილი).




ილ. 2. გიმნაზიის მასწავლებელ ჟელიხოვსკის საჯარო ლექციების ექვსკვირიანი ციკლი სამყაროს სტრუქტურის შესახებ. გაზეთი „კავკაზი“⁹⁹, 1860 წელი, #18. გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

მასალებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ საჯარო ლექციების ჩატარების პრაქტიკა განსაკუთრებით გააქტიურდა მე-20 საუკუნის დასაწყისში. მათი უმრავლესობა ტარდებოდა სახალხო უნივერსიტეტებში, სხვადასხვა კლუბებსა და თეატრებში. ლექციების თემატიკა მრავალფეროვანი იყო. ამაზე მეტყველებს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“¹⁰⁰

⁹⁹ გაზეთი „კავკაზი“ გამოიცემოდა 1846-1918 წლებში. დაარსდა მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის მიერ. ოფიციალურად, გაზეთი სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი ბეჭდვითი ორგანო იყო (გოგიაშვილი, 2017: 271).

¹⁰⁰ „საქართველოს რესპუბლიკა“ 1918 წელს დაარსდა და წარმოადგენდა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მოამბეს. დროებით დაიხურა 1921 წლის თებერვალში.

1920 წლის 5 მარტის ნომერში გამოქვეყნებული ცნობა თბილისის სამ სახალხო უნივერსიტეტში 1919 წლის ბოლო კვარტალში ლექციებზე დამსწრეთა სტატისტიკის შესახებ. ამ ცნობის მიხედვით ლექციები იკითხებოდა შემდეგ თემებზე: ქიმია, ბოტანიკა, მინერალოგია, ბუნებისმეტყველება, ვარსკვლავთმრიცხველობა, გეოგრაფია, საქართველოს სტრატეგიული საზღვრები, საქართველოს გეოგრაფია, სიმდიდრენი ჩვენი ქვეყნისა, ჰიგიენა, ფიზიოლოგია, ანატომია, ძველი და ახალი ისტორია, საქართველოს მწერლობა XIX საუკუნეში, პოლიტიკური ეკონომია, საფრანგეთის რევოლუცია, უმთავრესი საკითხები აღზრდისა, სოციოლოგია, სოციალური ბრძოლა ძველ რომში, ხელოვნების ისტორია, ფსიქოლოგია, საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა, სახელმწიფოებრივი უფლება, ცხოვრება და მეცნიერება ევროპელებისა, ცხოვრება განთქმულ პირებისა, სოციალიზმის ისტორია, ფილოსოფია, სოციალიზმი, ხელოვნების წარმოშობა, პოლიტიკური ეკონომია, ბოტანიკა, ხელოვნების ისტორია, მუშათა მოძრაობა ინგლისში, როგორ ხორციელდება სოციალიზმი, გლეხთა რევოლუცია გერმანიაში, მუშათა სოციალური მოძრაობა. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში სახალხო უნივერსიტეტებში (მხოლოდ თბილისში) ლექციებს დაესწრო 45000-ზე მეტი ადამიანი.



ილ. 3. „საქართველოს რესპუბლიკის“ 1920 წლის 5 მარტის ნომერში გამოქვეყნებული ცნობა სახალხო უნივერსიტეტებში 1919 წლის ბოლო კვარტალში ლექციებზე დამსწრეთა სტატისტიკის შესახებ. დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

1918-1921 წლების საქართველოში სახალხო განათლების მნიშვნელობაზე საუბრისას, შესაძლებელია ლუარსაბ ბოცვაძის ციტატის მოყვანა მის მიერვე დაარსებულ ჟურნალში „განათლება“¹⁰¹ დაბეჭდილი სტატიიდან „მეცნიერება და სახალხო განათლება“:

¹⁰¹ 1908 წელს ლუარსაბ ბოცვაძის მიერ დაარსებული ჟურნალი. სტატიები ქვეყნდებოდა განათლების პრობლემების შესახებ. ჟურნალის 1919-1920 გამოცემულ ნომერებში იბეჭდებოდა მოსაზრებები როგორც განათლების თეორიული ასპექტების, ისე ინფორმაცია მთავრობის მიერ პრაქტიკულად განხორციელებული რეფორმების შესახებ.

„უვიცი ადამიანი ბუნების მონაა, იგი ვერც ცხოვრების საუკეთესო იდეალს დაისახავს და ვერც მიაღწევს იმ სისრულეს, რომელიც სიმართლის, ჭეშმარიტების, სიმშვენიერის და სოციალ სამართლიანობის განხორციელებაში გამოიხატება. ამიტომ დღევანდელ ჩვენს საერთო საზრუნავ საგანს შეადგენს, როგორც ახალი ცხოვრების განმტკიცება, ისე მასთან ერთად ხალხში გამათლებლისა და მეცნიერების გავრცელება, რომელსაც მტკიცედ საძირკველი დღეიდან უნდა ჩაედგას.“ (ზოცვაძე (1919), მეცნიერება და სახალხო განათლება. განათლება. #1. გვ. 2).

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ის სამი საკითხი, რომელთა შესახებ საჯარო ლექციები ყველაზე ხშირად ტარდებოდა და, როგორც ჩანს, აუდიტორია და თავად მომხსენებლების ნაწილიც დაინტერესებულები იყვნენ იმდროინდელ საქართველოში ამ სამი სფეროს მდგომარეობით. ეს საკითხებია:

1. მედიცინა, ჰიგიენა და, ზოგადად, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები;
2. ხელოვნება;
3. პოლიტიკა.


განსაკუთრებული ყურადღება შეიძლება გამახვილდეს მედიცინისა და ჰიგიენის შესახებ ჩატარებულ ლექციებზე. ასეთი ლექციები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ ერთი მხრივ იმის გამო, რომ 1918-20 წლებში საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენდა ე. წ. „ესპანური გრიპის“ პანდემია. შესაძლოა სწორედ ამიტომ, სამედიცინო თემატიკის საჯარო ლექციები დიდი ინტენსივობით ტარდებოდა. ამის დასტურია გაზეთის „ერთობა“ ბევრ ნომერში გამოქვეყნებული ცნობა-ანონსი ექიმი ტურიაშვილის (დაზუსტებული ვინაობა უცნობია) მიერ ჩასატარებელი ლექციების შესახებ, რომლებიც შეეხებოდა ჰიგიენას, ადამიანის ანატომიას, კლიმატის გავლენას ადამიანის ფიზიკურ მდგომარეობაზე. ასევე, ღონისძიებათა საკმაოდ დიდი ნაწილი ეთმობოდა კონკრეტულად ქალთა ჯანმრთელობის საკითხებს.

შესწავლილი მასალა გვიჩვენებს, რომ აღნიშნულ თემაზე ლექციები ტარდებოდა როგორც თბილისში, ისე რეგიონებში. მაგალითად, 1919 წლის ჟურნალის „ერთობა“ 61-ე ნომერში დაბეჭდილია ინფორმაცია ხაშურში გავრცელებული „გადამდები ავადმყოფობის“ შესახებ, რომელიც ყოველდღე 5 ადამიანის გარდაცვალების მიზეზი ხდებოდა. გაზეთში აღნიშნულია, რომ გარდა „სასტიკი ზომების“ გამოყენებისა, ექიმებს მიეცათ რეკომენდაცია დაავადების შესახებ ჩატარებინათ საჯარო ლექციები, რათა ადამიანებს შესძლებოდათ „ამ საშინელი სენისაგან“ თავის დახსნა.

გადამდები დაავადებებისადმი და ქალთა ჯანმრთელობისადმი ყურადღების გამახვილება ორ გარემოებაზე მიუთითებს. პირველი - 1918 წლიდან, ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვისა და მედიცინაში მეცნიერული მეთოდოლოგიის მასობრივი დანერგვის ექსკლუზივი ბოლშევიკებს ჰქონდათ მისაკუთრებული, რაზეც განსაკუთრებით აქტიურად ზრუნავდა პროპაგანდა (კინემატოგრაფია, თეატრი (თუნდაც სანკულტურის თეატრი), პრესა და ა.შ.) (Dewar, 1979: 164-168). თუმცა, საჯარო ლექციების შესწავლა, სხვა მასალებთან ერთად, აშკარად მიგვითითებს როგორც ხელისუფლების მცდელობაზე

ჩამოყალიბებულიყო სამედიცინო სფეროს შესახებ ცოდნა და მოსახლეობას შესძლებოდა შესაბამისი სერვისებით სარგებლობა, ისე მედიცინის სხვადასხვა წარმომადგენელთა ინტენსიურ მცდელობებზე ინფორმაცია ზოგად ჰიგიენაზე, გარკვეული დაავადებების პრევენციაზე და მარტივი დაავადებების შესახებ მითების გაფანტვაზე, მასიური გამხდარიყო. შესაბამისად, საბჭოთა კავშირის დროს შექმნილი წარმოდგენა, რომ სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობაზე ზრუნვა მხოლოდ მათი დამსახურებაა - ბათილდება, რადგან ამის მინიმუმ ჩანასახები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დრო უკვე იყო დაფიქსირებული.

მეორე - გასათვალისწინებელია, რომ სამედიცინო თემატიკის საჯარო ლექციები საკმაოდ დიდი ნაწილი ქალთა ჯანმრთელობასა და ჰიგიენას ეთმობოდა. აღნიშნული მიმართულების მიმართ, 1917 წლის თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციების შემდეგ, ბოლშევიკებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს და ისეთი საკითხებისადმი, როგორებიცაა ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და ოჯახის პოლიტიკის დაგეგმვა, და ერთიანი სამოქმედო გეგმაც შეადგინეს (ალექსანდრა კოლონტაის ხელმძღვანელობით) (Bacexa, 2018: 4-6). ბოლშევიკების მიერ რუსეთში საკუთარი ხელისუფლების დამყარების შემდეგ, პირველ წლებში, ფემინისტური მოძრაობა მართლაც არ იყო სუსტი. 1919 წელს ალექსანდრა კოლონტაიმ და ინესა არმანდმა დააარსეს ჟენოტდელი, ანუ ქალთა განყოფილება, რომელიც ცდილობდა ქალების პოლიტიკური, სოციალური, სამუშაო და სამედიცინო მდგომარეობის გაუმჯობესებას (Massel, 1974: 207-212). ამ პრეცედენტმა, შემდეგში საბჭოთა კავშირის ხელისუფლებას მისცა საშუალება საკუთარი მმართველობა წარმოედგინა ერთგვარ განმათავისუფლებელ ძალად, ქალთა ემანსიპაციის გზაზე გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯად. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ხსენებული ალექსანდრა კოლონტაის პოლიტიკა ქალების მიმართ, რაც გულისხმობდა ქალთა „გამოხსნას“ საზოგადოებაში მხოლოდ დედობრივი როლის შესრულებისგან, ამ „განმათავისუფლებული ძალის“ სახელმწიფოსთვის სასარგებლო შრომის რესურსად აქცევდა და დიდად არ ითვალისწინებდა ქალის, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტის ჩამოყალიბებას (Старух, 2011: 61-63). აღნიშნული კონტექსტის გათვალისწინებით, 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესები კიდევ უფრო საინტერესო მნიშვნელობას იძენს. გარდა იმისა, რომ დამფუძნებელი კრების არჩევნებში ქალებს მონაწილეობის მიღების უფლება ჰქონდათ და მის შემადგენლობაშიც იყვნენ წარმოდგენილები (ირემამე და ჭანტურიძე, 2018: 5), პრაქტიკული ყურადღება ეთმობოდა ქალთა ჯანმრთელობასა და ჰიგიენასაც. შესაბამისად, ის დისკურსი, რომ ამგვარი საკითხები მხოლოდ ბოლშევიკების მიერ საქართველოში ხელისუფლების დამყარებისა და ვერტიკალური იერარქიის შედეგად „ზემოდან“ თავსმოხვეული ნარატივია, ბათილდება. ამ შემთხვევაში ხაზი უნდა გავუსვათ სიტყვა „პრაქტიკულს“, რადგან, როგორც ცნობილია, თეორიულად, ფემინისტური მიმართულება საქართველოში იქამდეც არსებობდა (ამის დასტურად კატო მიქელაძის დაარსებული გაზეთიც „ხმა ქართველი ქალისა“ შეიძლება მოვიყვანოთ). თუმცა, პრაქტიკულად, სახელმწიფოს დონეზე მსგავსი მიდგომა საქართველოში მხოლოდ პირველი რესპუბლიკის ჩამოყალიბების შემდეგ დადგა დღის წესრიგში.




ილ. 4. გაზეთ „ერთობის“¹⁰² 1919 წლის მე-3 ნომერში გამოქვეყნებული ცნობა ექიმ ტურიაშვილის მიერ ჩასატარებელი ლექციის „ქალთა ჰიგიენაზე“ შესახებ. (დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში).

მეორე მნიშვნელოვანი და ფართოდ რეპრეზენტირებული თემა გახლავთ ხელოვნება (მუსიკა, თეატრი, ლიტერატურა, უფრო მცირე დოზით - მხატვრობა). გარდა იმისა, რომ ხელოვნების სხვადასხვა დარგი (განსაკუთრებით - თეატრალური ხელოვნება) საქართველოში დიდი პოპულარობით ისედაც სარგებლობდა, 1910-იან წლებში განვითარებულმა მოვლენებმა ეს ინტერესი კიდევ უფრო გააღვივა. ერთი მხრივ, საქართველოში ამ დროს უკვე არსებობდა ერთგვარი დაპირისპირება კლასიკურ და ავანგარდულ თუ მოდერნისტულ პარადიგმებს შორის და დაპირისპირება ვლინდებოდა ხელოვნების სფეროშიც. ეს ფაქტი საჯარო ლექციებისა თუ მოხსენებების დროსაც შესამჩნევი იყო. მაგალითად, გაზეთ „ბათომის ცხოვრების“¹⁰³ 1921 წლის მესამე ნომერში დაბეჭდილია სტატია „მსახიობის დღის“ შესახებ ჩატარებული ღონისძიებების შესახებ. მათ შორის მოცემულია ინფორმაცია ქართველი რეჟისორისა და დრამატურგის, აკაკი ფაღვას სიტყვის გამოსვლასთან დაკავშირებით, რომელშიც ის აშკარად გამოთქვამს პრეტენზიებს „ცისფერყანწელების“ ესთეტიკასა და მორალზე (ილუსტრაცია 5).

¹⁰² ყოველდღიური გაზეთი „ერთობა“ იბეჭდებოდა 1917-1921 წლებში და წარმოადგენდა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებაში მყოფი პარტიის, სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პერიოდულ გამოცემას.

¹⁰³ „ბათომის ცხოვრება“ 1921 წლის იანვარ-თებერვალში, დაახლოებით 1 თვის განმავლობაში გამოიცემოდა. გაზეთის იდეოლოგიური ბაზისი სოციალ-დემოკრატია იყო და, შესაბამისად, ხელისუფლების მიმართ ლოიალობით გამოირჩეოდა.



ილ. 5. „ბათუმის ეხო“, 1921, #3. დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

მოდერნიზებული და არამოდერნიზებული კულტურული პარადიგმის დაპირისპირებას კიდევ ერთი გარემოება უწყობდა ხელს. 1918-1921 წლების ქართული პერიოდული გამოცემები პოლიტიკურად და იდეოლოგიურად პოლარიზებულ მხარეებს წარმოადგენდნენ. მაგალითად სოციალ-დემოკრატიული და პროსახელისუფლებო სახის სტატიები იბეჭდებოდა გაზეთებში "ერთობა" და "საქართველოს რესპუბლიკა". ამ ორი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოცემის გარდა 1918-1921 წლებში ამავე იდეოლოგიურ ვექტორს ატარებდნენ გაზეთები "თავისუფალი გზა", "ახალი სხივი", „ბათუმის ეხო“ და სხვ. სოციალისტ-ფედერალისტების მსოფლმხედველობას იზიარებდნენ გაზეთები "სახალხო საქმე" და "სოციალისტ-ფედერალისტი", ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისას - "კლდე"¹⁰⁴ (1919 წლიდან გამოდიოდა "სალი კლდის", ხოლო 1920-დან "პიტალო კლდის" სახელით) და "საქართველო", "ახალი ძალა", "ჩვენი ქვეყანა", „Грузия“ (ეს უკანასკნელი თავს მიუკერძოებელ, დამოუკიდებელ ორგანოდ აიდენტიფიცირებდა, თუმცა, რეალურად, სწორედ ეროვნულ-დემოკრატიული ღირებულებების იყო). საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას (ე. წ. ესერებს) მხარს უჭერდნენ გაზეთები: "რევოლუციონური დროშა",

¹⁰⁴ უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთის გამომცემელი იყო გრიგოლ ვეშაპელი, რომელიც რამდენიმე სხვა წევრთან ერთად გამოეყო საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას და ჩამოაყალიბა ჯერ ნაციონალურ-დემოკრატიული პარტია, შემდეგ კი - მიწის მესაკუთრეთა პარტია. მიუხედავად აღნიშნული გარემოებებისა, გაზეთი იდეოლოგიურად ახლოს იყვნენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიასთან.

"რევოლუციური ნობათი", „Знамя революции“ და სხვ. ბოლშევიკთა კომუნისტური პარტიის დასაყრდენს წარმოადგენდა გაზეთები "მუშის სიმართლე" და "კომუნისტი", რომელსაც აკრძალვის შემდეგ ეწოდა "საქართველოს კომუნისტი", ხელმეორედ დახურვის შემდეგ კი - "ახალი კომუნისტი".

აღნიშნული პოლარიზება შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც აისახებოდა კულტურული მოვლენების შესახებ ინფორმაციის გავრცელების, ხელოვნების შესახებ სტატიებისა თუ სხვადასხვა სახის ლიტერატურული ნაწარმოების გამოქვეყნებისას. სოსო სიგუა აღნიშნავს:

„ცისფერყანწელებს“ თავის ფურცლებს უთმობდა ეროვნულ-დემოკრატიების ყოველდღიური გაზეთი „საქართველო“, რომელიც 1916 წლიდან გამოდიოდა. ხოლო სოციალისტ-ფედერალისტების „სახალხო საქმეში“ იბეჭდებოდნენ კონსტანტინე გამსახურდია და იოსებ გრიშაშვილი. გალაკტიონ ტაბიძის მიმართ კეთილგანწყობილი იყო მმართველი პარტიის – სოციალ-დემოკრატთა (მენშევიკთა) გაზეთი „ერთობა“ და სოციალისტ-ფედერალისტების გაზეთი „სახალხო საქმე“ (სიგუა, 2002: 103-104).

მართლაც, ამ პერიოდის პრესის გადახედვისას აშკარაა, რომ თითოეული პარტიული გაზეთი საკუთარი პარტიის რიგებში შემავალი სახელოვანი მწერლებისა და პოეტების მეტად წარმოჩენას ცდილობს. ასე მაგალითად, მიხეილ ჯავახიშვილი, რომელიც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის რიგებში იყო, თავის ნაწარმოებებს ბეჭდავდა გაზეთში „საქართველო“, ამავე გაზეთში განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა დათმობილი ექვთიმე თაყაიშვილის მოღვაწეობასაც. სოციალისტურ-ფედერალისტურ პრესაში, გარდა ხსენებული კონსტანტინე გამსახურდიასა და იოსებ გრიშაშვილისა, დიმიტრი უზნაძისა და შალვა ნუცუბიძის სამეცნიერო თუ პოლიტიკურ-სოციალური წერილები იბეჭდებოდა. სოციალ-დემოკრატიების გავლენის ქვეშ გამოცემულ გაზეთებში კი ლიტერატურულ-კულტურული ნაწარმოებები შედარებით იშვიათად იბეჭდებოდა, თუმცა მსგავსი ტენდენცია მათთვისაც დამახასიათებელია.

1917 წელს, თებერვლის რევოლუციის შემდეგ, რუსეთიდან საქართველოში არაერთი მხატვარი, პოეტი, მწერალი და, ზოგადად, კულტურის წარმომადგენელი ჩამოვიდა. ისინი მალევე დაახლოვდნენ ადგილობრივ ხელოვანებთან. ხშირ შემთხვევაში ისინი დომინანტი, ერთგვარი მასწავლებლის პოზიციას იკავებდნენ და საქართველოში ავანგარდისტული ხელოვნების და რადიკალური მემარცხენე იდეოლოგიის გამავრცელებლად იქცნენ (Chikhradze, 2009: 9-12). მათ განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა ილია ზდანევიჩთან ჩამოუყალიბდათ - მასთან ერთად გამოსცემდნენ ჟურნალებს, გაზეთებს, პოეტურ კრებულებს, აწყობდნენ გამოფენებს, საღამოებს და ატარებდნენ ლექციებს. სწორედ ასეთი ორი ლექციის აფიშაა მოცემული ილუსტრაცია 6-ზე. პირველ ლექციას ატარებდა ალექსეი კრუჩონიხი, რუსული ფუტურიზმის უმნიშვნელოვანესი ფიგურა, რომელმაც ველიმირ ხლებნიკოვთან (რუსული ფუტურიზმის კიდევ ერთ მნიშვნელოვანი წარმომადგენელი) ერთად შექმნა „ზაუმი“, ერთგვარი ლინგვისტურ-აკუსტიკური ექსპერიმენტი ენობრივი მახასიათებლებით. ლექცია ემიგრაციის დაწყებიდან მალევე, 1917 წელსაა ჩატარებული და ქალურ სილამაზეს ეხება. აფიშაზე მოცემულია ის 7 საკითხი, რომელსაც ხელოვანი განიხილავს. მეორე ლექტორი

იური დეგენია, რომელიც ემიგრირებულთაგან ერთ-ერთი ყველაზე აქტიური პოეტი იყო და მიუხედავად იმისა, რომ სრულიად ახალგაზრდა, 27 წლის ასაკში, 1923 წელს, ბაქოში დახვრიტეს, უამრავი პოეტური კრებულის გამოცემა და ჟურნალ-გაზეთის დაარსება მოასწრო. მისი ლექციის სახელწოდება იყო „რა არის რუსული ფუტურიზმი?“. ღონისძიებას მესამე განყოფილებაც ჰქონდა, რომელზეც „ახალი ხელოვნების ნიმუშები“ იკითხებოდა.



ილ. 6. ალექსეი კრუჩონისისა და იური დეგენის ლექციები. 1917 წ. კონსერვატორიის დარბაზი. დაცულია საქართველოს ხელოვნების სასახლე - კულტურის ისტორიის მუზეუმში.

თბილისის ამ პერიოდში არა მხოლოდ რუსული ფუტურიზმის გავლენები და შედეგები იგრძნობოდა. ქართული ხელოვნებისთვის მნიშვნელოვანი იყო უშუალოდ ევროპულ ნარატივებთან კავშირი და მათთან სიახლოვე. ერთი მხრივ, ეს გამოიხატა ქართველი მხატვრების მივლინებით პარიზში (დავით კაკაბაძე, შალვა ქიქოძე, ლადო გუდიაშვილი, შემდეგ - ელენე ახვლედიანი და ქეთევან მაღალაშვილი). ეს არ იყო გაცნობითი ხასიათის ვიზიტი, რადგან მხატვრები იქ 1927 წლამდე დარჩნენ და უშუალოდ ჰქონდათ შეხება იმ დროის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სახელოვნებო ცენტრთან (შალვა ქიქოძე საფრანგეთივე დაიღუპა). მეორე მხრივ, საქართველოშიც ტარდებოდა ლექციები ევროპული თანამედროვე კულტურის შესახებ. მაგალითად, 1918 წელს ილია ზდანევიჩმა ჩაატარა სამი ლექციისგან შემდგარი კურსი იტალიური ფუტურიზმის შესახებ, რომელთაგან პირველი უშუალოდ ფილიპო ტომაზო მარინეტის, იტალიური ფუტურიზმის პირველ წარმომადგენელს ეხება (ილუსტრაცია 7).



ილ. 7. ილია ზდანევიჩის ლექციათა ციკლი იტალიური ფუტურიზმის შესახებ, 1918 წ.¹⁰⁵

საჯარო ლექციებისთვის მესამე და ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი თემა გახლდათ პოლიტიკა - იგულისხმება როგორც თეორია (პოლიტიკური მეცნიერებები), ისე, და ამ უკანასკნელის შესახებ ლექციები. გაცილებით დიდი ინტენსივობით ტარდებოდა თანადროული პოლიტიკის აქტუალური საკითხები.

პოლიტიკის შესახებ ლექციებს მართავდნენ როგორც პოლიტიკოსები, ისე დიპლომატები, ისტორიკოსები თუ კულტურის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები.


პოლიტიკის აქტუალურ თემებზე საჯარო ლექციების ჩატარების პრაქტიკის კარგი მაგალითია ივანე ჯავახიშვილის მოხსენება ქართველებისა და სომხების ურთიერთობის შესახებ. ეს ღონისძიება გამოიწვია სომხეთსა და საქართველოს შორის საომარი მოქმედებების დაწყება 1918 წლის დეკემბერში. ჩატარებული ლექციის შესახებ ინფორმაცია დაბეჭდილია 1918 წელს, გაზეთ „სახალხო საქმის“¹⁰⁶ 416-ე ნომერში. მას საკმაოდ ვრცელი სტატია აქვს დათმობილი, რომელშიც შემჭიდროებული სახით გადმოცემულია ივანე ჯავახიშვილის ლექციის მთავარი დებულებები. ივანე ჯავახიშვილმა მიმოიხილა საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობის განვითარების ეტაპები და იმ ტერიტორიის (სამხრეთ საქართველო - ჯავახეთი, ბორჩალო) ისტორიული კუთვნილების შესახებ ილაპარაკა, რომელიც ამ პერიოდში გახდა სადავო. მიუხედავად იმისა, რომ ჯავახიშვილის ლექცია მეტწილად ისტორიული მიმოხილვაა, მას სწორედ კონტექსტი აძლევს პოლიტიკურ დატვირთვას.

საჯარო ლექციებისა და მოხსენებების სიმრავლით გამოირჩეოდა აკაკი ფაღავა. 1915 წელს მოსკოვიდან საბოლოოდ დაბრუნდა საქართველოში და გარდა თეატრალური და სახელოვნებო თემებისა, ისტორიული და პოლიტიკური შინაარსის ლექციებსაც ატარებდა. მაგალითად, 1918 წლის 14 მარტით არის დათარიღებული აფიშა, რომელიც იტყობინება, რომ ფაღავა ქალაქის თეატრში საზავო მოლაპარაკებების შესახებ გააკეთებს მოხსენებას

¹⁰⁵ <http://modernism.ge/index.php?action=posters&lang=geo> - უკანასკნელად ნანახია 12.12.2023.

¹⁰⁶ „სახალხო საქმე“ 1917-1921 წლებში გამოიცემოდა და წარმოადგენდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიულ გაზეთს. სოციალისტ-ფედერალისტთა იდეოლოგია ერთი მხრივ ნაციონალურ, მეორე მხრივ კი სოციალისტურ საწყისებზე იყო დაფუძნებული და პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პირობებში, სოციალ-დემოკრატების მუშათა პარტიის შემდეგ, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასთან ერთად ყველაზე პოპულარულ პოლიტიკურ გაერთიანებას წარმოადგენდა. შესაბამისად, გაზეთის ფურცლებზე ხშირად იყო გამოქვეყნებული მთავრობისადმი კრიტიკული სტატიები.

(ილუსტრაცია 8). სავარაუდოდ, მხედველობაში იყო პირველი მსოფლიო ომის დროს მიმდინარე მოლაპარაკებები, კონკრეტულად კი ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება, დადებული რუსეთსა და გერმანიას შორის.



ილ. 8. აკაკი ფაღვას ლექცია „დღევანდელი ვითარება და საზავო მოლაპარაკება“. 1918 წ. ქალაქის თეატრი. დაცულია საქართველოს ხელოვნების სასახლე - კულტურის ისტორიის მუზეუმში.


აკაკი ფაღვა იყო 1919 წლის 7 ივნისს ორი ნაწილისგან შემდგარი ლექციის „დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა“ მომხსენებელიც. ამ ღონისძიების შესახებ დაბეჭდილი აფიშა საქართველოს ხელოვნების სასახლე - კულტურის ისტორიის მუზეუმშია დაცული (ილუსტრაცია 9). აფიშაზე ღონისძიების ორივე ნაწილის შესახებაა ინფორმაცია დატანილი - პირველი ნაწილი მოიცავდა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ პოლიტიკურ-საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ ფაღვას მსჯელობას. მეორე ნაწილში ლექტორს უნდა მიმოეხილა საერთაშორისო ვითარება და მისი გავლენა საქართველოზე.



ილ. 9. აკაკი ფაღვას ლექცია „დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა“, 1919 წ.

მიუხედავად ზემოთ განხილული მაგალითებისა, პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ წაკითხული ლექციების შესწავლისას აშკარად ჩანს, რომ იმ პერიოდის საქართველოში ყველაზე საჭირობო საკითხი რუსეთთან ურთიერთობა და ამ ურთიერთობის ფორმის ძიება იყო. ილუსტრაცია 10-სა და ილუსტრაცია 11-ზე ვხედავთ ორ აფიშას. ორივე აფიშაზე წარმოდგენილ ლექციაზე მომხსენებლები საქართველოს დიპლომატიური მისიის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლები იყვნენ.

პირველი, გაბრიელ ხუნდაძე ჯერ რუსეთში, შემდეგ კი აზერბაიჯანში აწარმოებდა ამ მისიას. აფიშაზე არამხოლოდ ლექციის სათაური, ჩატარების დრო და ადგილია აღნიშნული, არამედ მოცემულია მთლიანი პროგრამა და ის საკითხებიც, რომლებზეც მომხსენებელი ისაუბრებს: საბჭოთა რუსეთის ტერიტორიული ფარგლები (ჩეხო-სლოვაკების და მოკავშირეთა სამოქმედო ასპარეზი, ხალხის განწყობილება მათთან, საბჭოთა მთავრობა - საბჭოთა მთავრობის წარმოშობა, მისი პოლიტიკა საერთო-სახელმწიფოებრივი და ეკონომიკური თვალთახედვით, სხვადასხვა საზოგადოებრივი ძალების განწყობილება საბჭოთა მთავრობასთან, საბჭოთა მთავრობის ნაციონალური პოლიტიკა).




ილ. 10. გაბრიელ ხუნდაძის მოხსენება "რუსეთის დღევანდელ მდგომარეობაზე", 1918 წ. აფიშა დაცულია საქართველოს ხელოვნების სასახლე - კულტურის ისტორიის მუზეუმში.

მეორე ლექცია ჩაატარა ვლადიმერ ვოიტინსკიმ, რომელიც დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლებში ევროპასთან დიპლომატიურ ურთიერთობების დამყარების

მცდელობებში მონაწილეობდა. მისი სალექციო თემა იყო „რუსეთის რევოლუციის გაკვეთილები“.

ამ ლექციების თემატიკა ადასტურებს ზემოთ ნახსენებ თეზისს - საქართველოში ცდილობდნენ უკეთესად გაეგოთ რუსეთისთვის, რას წარმოადგენდა ის და რა ფორმით შეიძლებოდა მასთან ურთიერთობა თანამედროვე დროში.



ილ. 11. ვლადიმერ ვოიტინსკის ლექცია "რუსეთის რევოლუციის გაკვეთილები", 1918 წ. დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში


განსაკუთრებით აღსანიშნავია სტანისლავ ვოლსკის ლექცია „რა ხდება უკრაინაში და რა ხდება რუსეთში“, წაკითხული 1919 წელს. ლექციის შესახებ ინფორმაცია მოცემულია გაზეთ „ერთობის“ ამავე წლის 21-ე ნომერში. ვოლსკი გაზეთ „ნოვიაა ჟიონის“ რედაქციის წევრი იყო და საქართველოში კითხულობდა ლექციებს, ისეთ საკითხებზე როგორებიცაა „საბჭოთა მთავრობა და პარლამენტარიზმი“, „რუსეთის სოფლის აღწერა“, „განწირულთა ქვეყანაში“ და ა.შ. მათგან ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო უნდა ყოფილიყო მოცემული ლექცია, რომელსაც გაზეთმა „ერთობა“ საკმაოდ ვრცელი სტატია მიუძღვნა. სტატიაში დეტალურადაა განხილული ლექციის მიმდინარეობა, მასზე გამოხატული რეაქციები, დასმული კითხვები და მიღებული პასუხები. განსაკუთრებით საინტერესოა ლექტორის პოზიცია როგორც საკუთრივ რუსეთი, ისე რუსეთი იმპერიისგან გამოყოფილი რესპუბლიკების შესახებ: „რუსეთი, როგორც სახელმწიფოებრივი ორგანიზმი, მკვდარია, მისი აღდგენა ახლო ხანში შეუძლებელია, რადგან არ მოიპოვება არც ერთი საზოგ. კლასი, რომელიც არ იხრწნებოდეს და არ ინგრეოდეს. შეიძლება ოდესმე მოხდეს რუსეთი აღდგენა, მაგრამ ეს მოხდება არა შიგნიდან, არამედ გარედან - განაპირა ადგილებია ცოცხალი ნაწილი იმ მკვდარი სხეულისამ რომელსაც რუსეთი ეწოდება.“

ლექტორი იქვე აღნიშნავდა, რომ თავიდან ის არა თანაუგრძნობდა ახალი რესპუბლიკების დაარსებას, მაგრამ ახლა დარწმუნდა, რომ ეს ასე უნდა მოხდეს, მაგრამ იქვე ამბობს, რომ თუ ოდესმე უწერია რუსეთს აღდგენა, ეს, ფედერაციის თუ სხვა სახით მოხდება, განაპირა ადგილებიდან უნდა მოხდეს.

როგორც ჩანს, დამსწრეთა უმრავლესობას საკითხის ამგვარი დასმა არ მოეწონათ, რადგან მათ სოციალისტური რევოლუციის რევოლუციის, რაზეც ვოლსკი სრულიად მარქსისტული დებულებით უპასუხებს, რომ სოციალისტური რევოლუცია, რეალურად, მხოლოდ სახსე, მომწიფებულ საზოგადოებაში შეიძლება მოხდეს.

ილუსტრაცია 12-ზე მოცემულია ანასტას მიქოიანის 1919 წლის 28 ივნისის ჩატარებული ლექციის შესახებ დაბეჭდილი ცნობა გაზეთ „ერთობის“ ამავე წლის მეთოთხმეტე ნომერში. მიქოიანი საქართველოს მთავრობას, შეიძლება ითქვას, მემარცხენე იდეალების დალატში ადანაშაულებს და ცდილობს მის რეპრეზენტირებას როგორც უშუალოდ იმპერიალისტური სახელმწიფოს შთამომავლად. ლექციაში მონაწილეობს ივანე სტურუაც, რომელიც ორგანიზატორად გვევლინება.

სტატიის ავტორი სწორედ ამის გამო გამოთქვამს უკმაყოფილებას - რამდენად სწორია მტრულად განწყობილი ძალებისთვის თავისუფლად მოქმედების უფლების მიცემა ქვეყანაში, რომელიც ისედაც მუდმივი საფრთხის ქვეშაა.



ილ. 12. ანასტას მიქოიანის ლექცია სახალხო უნივერსიტეტში. გაზეთი „ერთობა“, 1919, #14. დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

1918-1921 წლებში ჩატარებულ საჯარო ლექციებზე დაკვირვება და კვლევა ერთი მხრივ იმდროინდელი საქართველოს მრავალფეროვან მისწრაფებებზე მიანიშნებს, თემატური მრავალფეროვნება და ლექციებზე დამსწრეთა რაოდენობა სწორედ ამაზე მიუთითებს. მეორე

მხრივ აშკარად ჩანს ის პრობლემები, რომლებიც საზოგადოებაშია დაგროვილი და როგორც სხვა სახით, ისე საჯარო ლექციების მეშვეობით აქტუალიზდება, იქნება ეს ჯანმრთელობის საკითხები და „ესპანური გრიპი“, სახვითი ხელოვნება, თუ ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით საგულისხმოა, რადგან სწორედ ამ ასპექტში იკვეთება იმდროინდელი ქართველი ინტელექტუალების თუ პოლიტიკოსების გეგმები, ხედვები და იმედები საქართველო-რუსეთის ურთიერთობასთან და, შესაბამისად, სუვერენული საქართველოს არსებობის გაგრძელებასთან დაკავშირებით.

გამოყენებული ლიტერატურა და ბიბლიოგრაფია:

ბოცვაძე, ლ. (1919). მეცნიერება და სახალხო განათლება. განათლება. 1 . თბილისი. აღმ. საქ. მასწავლებელთა კავშირთა ორგანო.

გოგიაშვილი, ე. (2017). გაზეთ „კავკაზის“ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალებიდან (1846-1918). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XII. თბილისი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ირემაძე, ი., ჭანტურიძე ს. (2018). პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში. თბილისი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

სიგუა, ს. (2002). მოდერნიზმი საქართველოში. თბილისი. გამომცემლობა „დიდოსტატი“.

ჩიხრაძე, მ. (2008). ფუტურისტული წიგნი, თბილისი 1917-1919. ვახტანგ ბერიძის სახელობის ქართული ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმში ქართული ხელოვნება ევროპისა და აზიის კულტურათა კონტექსტში. თბილისი.

Dewar, M. (1979). Labour Policy in the USSR 1917-1928. London&New York. The Royal Institute of International Affairs.

Massel, G. (1974). The Surrogate Proletariat - Moslem Women and Revolutionary Strategies in Soviet Central Asia, 1919-1929. Princeton, New Jersey. Princeton University Press.

Васеха, М. (2019). ПОЛИТИКА ОХРАНЫ МАТЕРИНСТВА И МЛАДЕНЧЕСТВА 1920-х гг. И «КОНСТРУИРОВАНИЕ» МАТЕРЕЙ НОВОГО ТИПА: ОПЫТ СИБИРСКОЙ ДЕРЕВНИ. Женщина в российском обществе 2019. № 2. Иваново.

Старуш, М. (2011). К ИСТОРИИ «ЖЕНСКОГО ВОПРОСА» В СССР В ПЕРВЫЕ ПОСТРЕВОЛЮЦИОННЫЕ ГОДЫ. Вестник Московского государственного университета культуры и искусств №5 (43). Москва.

Irakli Modebadze
Art Palace of Georgia – Museum of Cultural History

The discourse of the public lectures in Georgia (1918-1921)
Summary

The article presents the results of the research of public lectures held in Georgia in 1918-1921. The research material consisted of periodicals, magazines and newspapers published in the mentioned period, as well as informational posters of public lectures, epistolary correspondence about the first democratic republic of Georgia, annual reports of the literacy society.

In the paper, I reviewed the possible beginnings of public lectures in Georgia, as well as similar events held in the years preceding the research period.

Public lectures are studied synchronously in the article and are grouped thematically.

As a result of the research, the three topics on which public reports are made most often in Georgia during this period were identified: health and hygiene, art and politics.

კოოპერაციული მოძრაობის ანალიზი საქართველოში
XX საუკუნის 10-20-იანი წლების
ქართული პროფესიული პრესის მიხედვით

შესავალი

XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიაში შექმნილი ისედაც მძიმე ეკონომიკური ვითარება კიდევ უფრო დაამძიმა პირველმა მსოფლიო ომმა. საბოლოოდ ამ ომს დიდი იმპერიების რღვევა და ახალი გეოპოლიტიკური ვითარების ჩამოყალიბება მოყვა. იმპერიების დაშლის ფონზე კი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაარსდა, თუმცა არასრული სამი წლის შემდეგ ქვეყნის ანექსიამ დამოუკიდებლობას ბოლო მოუღო. დამოუკიდებლობამდე და დამოუკიდებლობის შემდეგაც ცდილობდნენ ქართველი ეკონომისტები საქართველოს განვითარების გეგმის შემუშავებას. ამ განვითარების ერთ არც თუ ისე მცირე ნაწილს ქართული კოოპერაციული მოძრაობის დაარსება და წინსვლა წარმოადგენდა.

ეს მოძრაობა მეფის რუსეთის დროს ჩაისახა ჩვენში; შემდეგ, პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დროს, განვითარება ჰპოვა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. გასაბჭოების დროს კი ინერციითა და მისი მესვეურების (რომლებიც გადაურჩნენ რეპრესიებს თუ ემიგრაციაში წასვლას) ძალისხმევით, გარკვეული წლები კოოპერაციულმა საქმემ განვითარების სწორი მიმართულების შენარჩუნება შეძლო, ასე გაგრძელდა მხოლოდ ბოლშევიკურ კოლექტივიზაციამდე.

XX საუკუნის 10-20-იან წლებში ქართული პროფესიული პრესა, საქართველოში არსებული რთული სოციალურ-ეკონომიკური ვითარების მიუხედავად, გარკვეულ აღმავლობას განიცდიდა. ამ პერიოდის ჟურნალ-გაზეთებში აქტიურად მიმდინარეობდა მსჯელობა იმჟამინდელი საქართველოს ეკონომიკასა და სოფლის მეურნეობაში არსებული პრობლემების, მათი დაძლევის გზების შესახებ.

ეკონომიკაში ჩამორჩენის დაძლევის ერთ-ერთ საშუალებად, როგორც აღინიშნა, კოოპერაციული მოძრაობის გაძლიერება მიიჩნეოდა. საქართველოში ყველა სიახლისა და ნოვაციის მსგავსად, ამ მოძრაობის სათავეშიც ილია ჭავჭავაძე იდგა. მისი თაოსნობით ჯერ კიდევ 1869 წელს დაარსდა საქართველოში პირველი კოოპერატივი „მომჭირნეობა“, რაც რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, დროში მცირედად ჩამორჩებოდა ევროპაში 1850-იან წლებში გახსნილ პირველ კოოპერატივებს.

„მომჭირნეობა“ იყო პირველი ნაბიჯი, რომელსაც მალევე მოჰყვა სხვა კოოპერატივების დაარსება. სამწუხაროდ, პირველი კოოპერატივების შესახებ ცნობები ძალიან მწირი და ფრაგმენტულია. უფრო თანმიმდევრული ხასიათი ცნობებს კოოპერატივების მუშაობის

შესახებ, პრესაში შედარებით გვიან ჩნდება. მაგალითად, ჟურნალ „Вестник кооперации“-ს (ვესტნიკ კოოპერაციი) 1909 წლის მონაცემების მიხედვით ქუთაისში მომხმარებელთა 12 საზოგადოება, ქუთაისის გუბერნიაში 3 სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა და ამდენივე ამხანაგობა იყო თბილისში (კანდელაკი 1909: 62).

აღსანიშნავია სახალხო ჟურნალი „კოოპერაცია“, რომელიც 1911 წლის 20 ივნისიდან გამოდიოდა ქუთაისში. გაზეთი 5 კაპიკი ღირდა, მოგვიანებით ღირებულება 3 შაურამდე გაიზარდა¹⁰⁷. გაზეთის თავფურცელზე, მის მესვეურთა თვალსაზრისით, იმ დროის საქართველოს ეკონომიკისთვის ყველაზე საჭირო მიმართულებები იყო ასახული: ფუტკარი, აბრეშუმის ჭია, ვაზი, ხორბალი, სიმინდი, ქარხანა, საპაეო ბურთი და თვითმფრინავიც კი. აქვეა მოწოდებებიც:

„საკოოპერაციო, საზოგადო და საეკონომიო ჟურნალი. გამოიწერეთ მთელი წლით, გაავრცელეთ, იკითხეთ ხალხში ხმამაღლა!“

თავდაპირველად ეს იყო პირველი სპეც. საკოოპერაციო ჟურნალი ქართულ ენაზე და გამოდიოდა ყოველთვიურად, 1912 წლიდან - ორ კვირაში ერთხელ, შემდეგ - თითო-ორჯერ. 1923-1924 წლებში ჟურნალის გამოცემა თბილისში გაგრძელდა ისევე ყოველთვიურად (<http://www.nplg.gov.ge/paperge/ka/browse/001948/>)¹⁰⁸.

როგორც დავინახეთ, რუსეთის იმპერიის პერიოდში დაარსებულმა ამ ძალიან მნიშვნელოვანმა ქართულმა გაზეთმა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დროსაც თქვა საკუთარი სიტყვა (1918-1921 წლებში) და ცოტა ხანი საბჭოთა ოკუპაციის პერიოდშიც მოახერხა თავის გატანა. თუმცა, მას შემდეგ, რაც ბოლშევიკური რეჟიმი საბოლოო გაბატონდა, 1924 წელს გაზეთი დაიხურა.

გამოცემას უცვლელად რედაქტორობდა ეკონომისტი და საზოგადო მოღვაწე, მთარგმნელი, მწერალი, ჟურნალისტი და კოოპერატორი იასონ გაბილიაია. ცნობილია, რომ ის იყო რედაქტორი კიდევ ერთი კოოპერაციული შინაარსის ჟურნალისა „შრომის კავშირი“, რომელიც 1912-1913 წლებში გამოდიოდა; ასევე იყო ილუსტრირებული სახელმძღვანელოს ავტორი მოსწავლე ახალგაზრდობისათვის „კოოპერაცია და ახალგაზრდობა“, რომელიც მოგვიანებით, 1928 წელს გამოვიდა. მანამდე კი, 1924 წელს გაზეთ „კოოპერაციის“ დამატების სახით გამოიცა მისი კიდევ ერთი წიგნი „ვირსალიადა (ტრადიკულ პირობებში ბავშვის დალუპვა). მწარე-მწვავე სინამდვილე“; კიდევ არაერთი წიგნის, პუბლიკაციის მთარგმნელი

¹⁰⁷ შედარებისთვის: იმავე წლებში გიმნაზიის მასწავლებელი თვიურად 85 რუბლს იღებდა, ხოლო 1 ბოთლი რძე 8 კაპიკი ღირდა.

¹⁰⁸ ჟურნალი იყიდებოდა ქუთაისში ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთში“; თბილისში – „მიტ. ლადიმის და აშხ. ხილუული წყლების“ ბუფეტებში გოლოვინის პროსპექტზე; ჭიათურაში – იონა ბელიაშვილის წიგნის მაღაზიაში; სამტრედიისში – გაზეთების აგენტებთან; ლანჩხუთში – წიგნის მაღაზიაში; ოზურგეთში – მოსე თალაკვაძის წიგნის მაღაზიაში; ჩოხატაურში – სილ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში; ბათუმში – ჟურნალ-გაზეთების სააგენტო „განთიადში“ მახათაძესთან; ფოთში – ჟურნალ-გაზეთების აგენტ სიმონ ორაგველიძესთან; სენაკში – წიგნის მაღაზია „სინათლეში“; აბაშაში – წიგნის მაღაზიაში; სუჯუნაში – აფთიაქში; სოხუმში – მასწავლებელ ნიკო ჯანაშიასთან. ადვილი წარმოსადგენია, იმჟამინდელი გზების, ტრანსპორტისა და სიდუხჭირის პირობებში, რა ძალისხმევას მოითხოვდა გაზეთის ასეთი მასშტაბური გავრცელება.

(უფრო დაწვრილებით იხ. ქვემოთ) თუ საინტერესო სტატიების ავტორი. მისი თავდადებული შრომის საილუსტრაციოდ ერთი კონკრეტული ფაქტი შეიძლება მოვიყვანოთ: იოსებ გაბილაია ჯანმრთელობის პრობლემების გამო ოპერაციის გასაკეთებლად საავადმყოფოში იწვა. თუმცა, გაზეთის ფურცლებიდან მომხმარებლებს ამცნო, რომ მასთან დაკავშირება მაინც შესაძლებელი იყო და კრებების განრიგი არ გადაიხედებოდა.

კოოპერაციის საკითხით დაინტერესდნენ სხვა ჟურნალ-გაზეთებიც, რომლებშიც სისტემატურად იბეჭდებოდა წერილები კოოპერაციულ, ეკონომიკურ, მუნიციპალურ საკითხებზე. წერილებში განხილული იყო კოოპერაციულ მოძრაობაში აქტიურად ჩაბმული პირების ბიოგრაფიებიც. ამ წერილების საშუალებით მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსახლეობის თვალსაწიერი; მიმდინარეობდა აქტიური სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობა.

მაგალითად, ღირებულ ინფორმაციას იძლეოდა კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სამეურნეო ჟურნალი „მოსავალი“, რომელიც თბილისში 1909-1917 წლებში გამოდიოდა (სულ 133 ნომერი გამოიცა). მისი რედაქტორ-გამომცემელი იყო ვასილ რცხილაძე, კოოპერაციული მოძრაობის დიდი მხარდამჭერი და ამხანაგობა „ქართლის“ დამაარსებელი. მან 1917 წელს მოიწვია ამიერკავკასიის მეღვინეთა და მევენახეთა ყრილობა, რომლის თავმჯდომარედაც თავად აირჩიეს¹⁰⁹ (ნახუცრიშვილი (1911). ფილოქსერის მოკლე ისტორია და ამერიკული ვაზი. „მოსავალი“. #10, გვ. 5).

კოოპერაციასთან დაკავშირებით პროფესიული პრესის არსებობის პირობებში, სავარაუდოდ, იყო როგორც ნათარგმნი, ისე ორიგინალური სამეცნიერო ლიტერატურა. მაგალითისთვის, კონსტანტინე კანდელაკმა (მოგვიანებით საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი) გამოსცა ორი წიგნი: 1. კოოპერაცია - თეორია, ისტორია და პრაქტიკა, 1909 წელი; 2. ანგარიშთა და საქმეთა წარმოება წვრილ კრედიტის საკოოპერაციო დაწესებულებაში, 1914 წელი.

კონსტანტინე კანდელაკის წიგნები იყო სახელმძღვანელოები მათთვის, ვისაც კოოპერაციასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღება და საქმის წამოწყება სურდა¹¹⁰.

ზოგადად, გაზეთთან ერთად მკითხველს შეეძლო მიეღო სხვა ნაბეჭდი პროდუქცია, როგორც ქართული, ისე ევროპული: „ერთობის ძალა“ (მოთხრობა კოოპერაციის განვითარებაზე), „სოფლის მასწავლებელი“ (საკოოპერაციო პიესა), „თეატრი და კოოპერაცია“, „კოოპერაციის სისტემა“ გიბნერისა; „ქალი და კოოპერაცია“; „კოოპერატიზმი“; „კოოპერაციის სახელმძღვანელო (ინსტრუქციები)“ და ა. შ. განსაკუთრებით აღსანიშნავია გამოჩენილი

¹⁰⁹ ვასილ რცხილაძე გარდაიცვალა 1920 წელს და დაკრძალულია დიდუბის პანთეონში


¹¹⁰ უნდა აღინიშნოს, რომ კონსტანტინე კანდელაკი ერთ-ერთი თვალსაჩინო ქართველი ეკონომისტი იყო. მის უამრავ მიღწევას შორისაა 1918 წელს „ქართული ფულის ფონდის“ დაარსება. ქართული ფულის ერთეულის განმტკიცებისათვის ის, ნიკო ნიკოლაძესა და ზურაბ ავალიშვილთან ერთად, გაემგზავრა ევროპაში და ინგლისში მოიპოვა კრედიტი. 1921 წელს კანდელაკი წავიდა ემიგრაციაში, სადაც აქტიურად მოღვაწეობდა. 1953 წლიდან მის ერთ-ერთ საქმიანობას რადიო „თავისუფლების“ ქართული რედაქციისთვის ტექსტების დაწერა წარმოადგენდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის ეკონომიკის შესახებ. იგი ემიგრაციაში გარდაიცვალა 1958 წელს.

კოოპერატორის, პროფესორ შარლ ჟიდის „საუბრები კოოპერაციის მნიშვნელობაზე“, მისივე „ლექციები და მოხსენებანი კოოპერაციის დანიშნულებათა და მეთოდების შესახებ“, „სამეფო მომხმარებლისა: (ვინ თამაშობს უფრო მნიშვნელოვან როლს მწარმოებელი თუ მომხმარებელი?!“), „პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები“... ეს და არაერთი სხვა პროფესიული წიგნი უშუალოდ იასონ გაბილაიამ თარგმნა.

ასევე ითარგმნა მ. ბრაგისა და მ. მინინის წიგნი „კოოპერატივები“, რომელიც იმჟამინდელი ქართული საზოგადოებისათვის პრიმიტიულიც კი აღმოჩნდა, რადგან ის უკვე კარგად ერკვეოდა კოოპერაციულ მოძრაობაში. ამ და სხვა უცხოურ წყაროში კოოპერატივთან დაკავშირებით ისეთ მარტივ კითხვაზე იბეჭდებოდა პასუხი, როგორიცაა: „რა სარგებლობა მოაქვს კოოპერატივს? - კარგი საქმელი, ტანსაცმელი და ა. შ.“ (ბრაგი და მინინი, 1908: 64).

ქართული საზოგადოება კი ამასობაში შარლ ჟიდის ნაშრომებს ეცნობოდა.

შარლ ჟიდის ნაშრომები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საქართველოში კოოპერაციული მოძრაობის განვითარებისათვის. შარლ ჟიდი პარიზის უნივერსიტეტის სოციალური ეკონომიის პროფესორი და გამოჩენილი კოოპერატორი იყო. ის, თუ რამდენად ახლო კავშირი იყო საქართველოსა და ევროპას შორის, რამდენად ემთხვეოდა განვითარების ხედვები, კარგად ჩანს პროფესორ შარლ ჟიდის ქართველებისადმი მიმართვაში: „ვერ დავფარავ, ქართულ ენაზე ჩემი „პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლების“ მთარგმნელი კოოპერატორის მიმართვამ დიდათ მასიამოვნა: სული აღმიფრთოვანდა და ვიგრძენ, რომ წერილი იგი მოსული იყო იმ ქვეყნიდან, რომელიც დასავლეთ ევროპის მცხოვრებთათვის ახლაც წარმოადგენს კაცობრიობისათვის წამებული ამირანის განთქმულს მითოლოგიურ მხარეს. მაღლი მას, რომ იქ ანთებულმა კოცონმა გააშუქა ყოველი ეპოქა და მთელი ქვეყნიერობა. ამ მშვენიერ ქვეყანას ჩვენ მისგან მიღებულზე გაცილებით ნაკლებ სინათლეს ვაძლევთ. და აი, ახლა, უკეთესის მოლოდინში მას უბრუნდება პაწია ნაპერწკალი „პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლების“ სახით“ (ჟიდი (1919). პროფესორ შარლ ჟიდის წინასიტყვაობა. ჟურნალი „კოოპერაცია“. #5. გვ. 4).



აქვე დავძენთ, რომ იასონ გაბილაიამ შემთხვევით როდი ამოირჩია სათარგმნად შარლ ჟიდის „პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები“. ეს ნაშრომი იმ დროისათვის ბევრი ევროპული უნივერსიტეტის სახელმძღვანელოს წარმოადგენდა და საქართველოშიც ამ დარგით დაინტერესებულთათვის სამაგიდო წიგნად იქცა.

მარტო საგამომცემლო საქმიანობით არ შემოიფარგლებოდა კოოპერატივების თეორიული ცოდნა. არანაკლებად მნიშვნელოვანი იყო სხვა აქტივობებიც. მაგალითისთვის:

გაზეთი „კოოპერაცია“ გვამცნობს, რომ 1911 წლის 12 ივნისს ქუთაისის თეატრში გაიმართა გრ. ზიგინიევილის საჯარო ლექცია კოოპერაციისა და წვრილი კრედიტის დაწესებულებათა შესახებ, რაც ფეხს იკიდებდა ევროპაში. ლექციას დაესწრო 200

დაინტერესებული პირი (ლექცია (1911). ჟურნალი „კოოპერაცია“. #1, გვ.12)¹¹¹. იასონ გაბილაიას ლექციები იყო დანიშნული კოოპერაციის თემაზე ამავე წლის 20 ივნისს ახალ-სენაკში, ხოლო ქუთაისში 4 სექტემბერს (ჟურნალი „კოოპერაცია“ (1911). #1, გვ.12; ჟურნალი „კოოპერაცია“ (1911). #11, გვ.1). იმართებოდა საგანგებო საკოოპერაციო კურსებიც (საკოოპერაციო კურსები (1915). ჟურნალი „კოოპერაცია“. #28, გვ.5).

ლექციებზე საზოგადოებას უჩვენებდნენ დასავლეთ ევროპაში მოქმედი კოოპერატივების ცხოვრების ამსახველ ფოტოებს. ბილეთების ფასი ორი შაურიდან ათ შაურამდე მერყეობდა და მათი შეძენა ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთში“ ან თეატრის „კასაში“ იყო შესაძლებელი.

ზემოთ მოტანილი მაგალითები ცხადყოფს, რომ კოოპერაციული მოძრაობის ჩანასახშივე რუსულისგან განსხვავებით, ქართული კოოპერაცია ევროპულისკენ იღებს კურსს და მისი მესვეურები ცდილობენ ევროპაში აღმოცენებული ახალი ეკონომიკური ბერკეტები საქართველოს რეალობას მოარგონ.



კოოპერატივების საქმიანობა და პრობლემები საქართველოში რუსეთის იმპერიისა და პირველი მსოფლიო ომის ფონზე (ამონარიდები პროფესიული პრესიდან და სამეცნიერო ლიტერატურიდან)

საქართველოში არსებული რთული პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, კოოპერაციული მოძრაობის შესახებ ინფორმაცია სწრაფად ვრცელდებოდა და მოსახლეობაში გამოხმაურებას პოულობდა.

კოოპერაციულ მოძრაობაში ქვეყნისთვის გამოსავალს ეძებდნენ ილია ჭავჭავაძის თანამედროვე საზოგადო მოღვაწენი, მათ შორის აკაკი წერეთელი, ანტონ ფურცელაძე და სხვანი. საინტერესო ფაქტია: 1916 წელს გაზეთ „კოოპერაციის“ რედაქცია ქუთაისში თავად აკაკი წერეთლის სახლში იყო განთავსებული.

¹¹¹ ლექციების წაკითხვის დაშვება გუბერნატორის მხრიდან კეთილი ნება არ ყოფილა. ეს ქართველი საზოგადო მოღვაწეების დაუღალავი შრომის და მოთხოვნის შედეგი იყო. თავად გუბერნატორს არაერთხელ შეუშლია ხელი კოოპერაციული მოძრაობისთვის. ასე მაგალითად, გუბერნატორის თანხმობის გარეშე ვერ მტკიცდებოდა კოოპერატივების წესდება, რის გამოც ეს პროცესი წლები იწელებოდა. მაგალითად, 1915 წლის 7 აპრილით დათარიღებულ სტატიაში ვკითხულობთ, რომ დიდ ბედნიერებად ჩაითვალა 17 კოოპერატივის წესდების დამტკიცება. ამ ხელმოწერას კოოპერატივის მესვეურები 5 წელი ელოდნენ, აქვე ვკითხულობთ, რომ კიდევ 50 კოოპერატივის წესდება ელოდა ხელმოწერას (1915).

კოოპერაციის განვითარების გზაზე უამრავი სირთულე იყო გადასალახი. მოვიყვანო რამდენიმე მაგალითს:

ბუღალტრული აღრიცხვა:

ეს პრობლემა მწვავედ იდგა ევროპული კოოპერატივების წინაშეც და მის გადაწყვეტას დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა. ქართველი ეკონომისტები დარდობდნენ, რომ ვერ იბეჭდებოდა სპეციალური სახელმძღვანელო „საჭირო ქაღალდის უზონლობის გამო“ და ცდილობდნენ ეს ხარვეზი საგაზეთო სტატიებით გამოესწორებინათ. „ანგარიშის წარმოება მომხმარებელ კოოპერატივებში“ – სწორედ ასეთი სათაურებით ქვეყნდებოდა ვრცელი და ძალიან საინტერესო სტატიები ბუღალტრულ აღრიცხვასთან დაკავშირებით. ამასთან, გასაგები ენით ცდილობდნენ თითოეული დოკუმენტის მნიშვნელობის და მოხმარების წესების ახსნას. მაგალითად, შემოსავლის ორდერის არსი: ორდერი ორი ნაწილისაგან შედგებოდა და ერთი ნაწილი ფულის შემომტანს გადაეცემოდა. მასში აისახებოდა საწევრო, საპაიო, ავანსად, სესხად („მოსაბარებლად“), ნისიად წაღებული საქონელი. სწორედ ისე, როგორც დღესაა, მცირედი ცვლილებებით. ხაზგასმულია, რომ „უორდეროთ კოოპერატივის თანამდებობის პირებმა არ უნდა მიიღონ არც ერთი კაპიკი; ორდერის მიუღებლათ წევრებმაც არ უნდა შეიტანონ კოოპერატივში არც ერთი კაპიკი“. ასევე უნდა იყოს აღწერილი გასავალიც. თანხების გასავალს და შემოსავალს განაგებს ხაზინადარი. გაზეთი „კოოპერაცია“ აქვეყნებდა გასავლისა და შემოსავლის ორდერების ნიმუშებს (გაბილაია (1916). ანგარიშების წარმოება მომხმარებელ კოოპერატივებში. კოოპერაცია, #2, გვ. 6).

უკვე 1917 წლიდან საკოოპერაციო საზოგადოება ყიდდა ქართულ ენაზე დამზადებულ საანგარიშო და საწევრო წიგნებს და კოოპერატივების საბუღალტრო მომსახურეობა მთლიანად ქართულ ენაზე გადავიდა.

„სათადარიგო თანხა“:

ეს იყო სპეციალიზებული გაზეთების მესვეურთა მცდელობა, დაერწმუნებინათ მოქალაქენი გარკვეული თანხის სარეზერვოდ არსებობის აუცილებლობაში. სარეზერვო თანხა, წაგების შემთხვევაში, ორგანიზაციას სრული კრახისაგან იცავდა. ასევე, სათადარიგო თანხა საშუალებას იძლეოდა, ორგანიზაციას ხელსაყრელი პირობებით აელო კრედიტი; ამკვიდრებდნენ აზრს, რომ სათადარიგო თანხა უნდა შეენახათ „შემნახველ კასეში, სახელმწიფო ბანკში, მის კანტორებში და განყოფილებებში ანუ, სათანადო ნებართვით, ხაზინაში“ (სათადარიგო თანხა (1915). ჟურნალი „კოოპერაცია“, #28, გვ. 7-8).

აღრიცხვიანობისა და ბუღალტერიის სწორად გამართვას მხოლოდ საგაზეთო სტატიებით რომ ვერ მოეწეებოდა, იმჟამინდელ ეკონომისტებს კარგად ესმოდათ და რთული სიტუაციიდან გამოსავალს ეძებდნენ. არსებობდა მოსაზრება, რომ ეს საკითხი „მოგზაური ინსტრუქტორის“ საშუალებით გადაეწყვიტათ, რაც იმ დროისთვის პრობლემის მოგვარების მართლაც ერთადერთი გზა იყო. ამ შემთხვევაში ინსტრუქტორი იმოგზაურებდა საქართველოში და ადგილზე გაუწევდა კონსულტაციას დაინტერესებულ პირებს.

აბრეშუმი და კოოპერატივები:

არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ქართული კოოპერატივებისთვის საინტერესო საქმიანობას აბრეშუმის პარკის გაყიდვა წარმოადგენდა. „აბრეშუმის პარკის გაყიდვის

მოსაწესრიგებლად უნდა მოეწყოს ცალკე ბაზარი საზოგადო სასწორით“; ამ ცენტრებს უნდა განაგებდნენ „კეთილ-სინდისიერ პირთაგან არჩეული კომისიები“; აიკრძალოს „ჩარჩ-ბაცაცების წოწიალი სოფლად“, - იუწყებოდნენ გაზეთები. ამ



საკითხებით დაინტერესებისას კოოპერატორები ისევ და ისევ განათლების სიმცირეს, სწავლის აუცილებლობას, კვალიფიციური სპეციალისტების ნაკლებობას აწყდებოდნენ, რაც ძალიან ასუსტებდა კოოპერაციულ მოძრაობას. „კარგი საქმეა, მაგრამ კაცები არა გვყავსო. მაგრამ ავიწყდებათ, რომ „კაცები“ თავისთავად არსად გაჩენილან“, – აცხადებს გაზეთის რედაქტორი (იოსებ გაბილაია (1915). ქუთაისი, 24 თებერვალი. დამფუძნებელი კრება. კოოპერაცია, #28, გვ. 1-2).

კოოპერატივების ევროპულ ყაიდაზე კიდევ გასამართად მრავალი საკითხის განხილვა და ქართულ რეალობასთან მორგება იყო საჭირო. ამ საკითხებზე ბჭობა გაზეთის ფურცლებზე იმართებოდა¹¹².

კონკურენცია და სიახლეებთან ბრძოლა:

მიუხედავად ასეთი მუშაობისა, უმეცრებითა და გაუნათლებლობით აიხსნებოდა კოოპერატივების განვითარების ხელისშემშლელი არაჯანსაღი კონკურენცია. სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ადამიანები კოოპერაციულ მოძრაობაში მათთვის საშიშ ნიშნებს ხედავდნენ და ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდნენ ამ მოძრაობას.

ამასთან დაკავშირებით მოვიყვანთ ერთ საინტერესო მაგალითს პლატონ ოხრობეთელის სტატიიდან: სოფელ ნოსირში გლეხებს მდინარე სკურის წყალზე დაუარსებიათ „საამხანაგო წისქვილი“. საქმე კარგად მიდიოდა, მაგრამ იმავე მდინარეზე წისქვილი ჰქონდა ადგილობრივ თავადს. რომელმაც განაცხადა, რომ სიმინდის დაფქვაზე გადასახადს ორჯერ შეამცირებდა.

ამ ისტორიის ფინალი საგაზეთო სტატიაში არ ჩანს, მაგრამ აშკარაა, რომ თავადმა კონკურენციის კარგად ცნობილ ხერხს მიმართა და ფასის ხელოვნურად დაგდების გზით კოოპერატივის ლიკვიდაციამდე მიყვანა გადაწყვიტა, მიზნის მიღწევის შემდეგ კი, სავარაუდოდ, კვლავ მიუბრუნდებოდა საწყის ფასებს (ოხრობეთელი (1914). საამხანაგო წისქვილი. ჟურნალი „კოოპერაცია“, #26, გვ. 4).

¹¹² მაგალითად, როგორი უნდა ყოფილიყო კოოპერატივების პაის სიდიდე? ფოთის მომხმარებელთა საზოგადოება „ეკონომიაში“ წევრების რაოდენობა იყო 200, პაის ღირებულება - 5 მანეთი, შემოტანა ნებადართული იყო ნაწილ-ნაწილ, ათი შაურიდან დაწყებული; კოოპერატივ ქართლში „ხაშურის მომხმარებელი საზოგადოება“ - საპაიო 10 მანეთი, საწევრო 1 მანეთი. საფრანგეთში ნანტის შერეული სინდიკატის პაი 50 ფრანკს შეადგენდა, ეს იმჟამინდელი კურსით დაახლოებით 20 მანეთი იყო. ხოლო მთელი საპაიო კაპიტალი - 15 000 ფრანკი (6 ათას მანეთამდე). ყოველი ექვსი თვის წმინდა მოგებიდან ირიცხებოდა 10 პროცენტი საპაიო კაპიტალის გასადიდებლად, დანარჩენი კი ხმარდებოდა სხვადასხვა კულტურულ ფონდს და რიგდებოდა დივიდენდებად. შედარებისთვის: დღევანდელ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სავალდებულო მინიმალური პაი 300 ლარია (საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“, მუხლი 3).

„ძნელი არის ჩვენში საზოგადო საქმის მოწყობა, უფრო ძნელია ამ საქმის სწორ ნიადაგზე დაყენება და გაძლოლა იმიტომ, რომ თუ ჩვენში ერთი საქმეს აკეთებს, ხუთი კი ცდილობს, ამავე დროს, მოსაქმეს ხელი შეუშალოს“ - წერდა კიდევე ერთი საზოგადო მოღვაწე ნესტორ წერეთელი (კანდელაკი, 1909: 158). უნდა აღინიშნოს, რომ ნესტორ წერეთელმა ჯერ კიდევ 1895 წელს ხონის რაიონის სოფელ კუხში დააარსა „ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა ამხანაგობა“, რომელშიც 500-მდე ადამიანი გააერთიანა. ასევე დააარსა კუხის შემნახველ-გამსესხებელთა ამხანაგობა. მასში შედიოდნენ სოფლების: გუბის, კუხის, ივანდიდის და ხონის მცხოვრებლები. მან გახსნა სოფელ გუბის სამომხმარებლო მაღაზია „ანგარიში“, ფრანგულიდან თარგმნა პასტერის გამოკვლევა აბრეშუმის ჭიის სენის შესახებ, რითაც დიდი დახმარება აღმოუჩინა ამ საქმით დაკავებულ გლეხებს. შემდგომში საქართველოში აბრეშუმის ჭიასთან დაკავშირებული კოოპერაციული მოძრაობა საკმაოდ მოძლიერდა.

უსახსრობა:

ქართული საკოოპერაციო სისტემის აწყობისას მწვავედ იდგა უსახსრობის პრობლემა. კოოპერატივების ჩამოყალიბებისას მოკლევადიანი სესხის ნაცვლად გრძელვადიანი საწარმოო სესხის აღება რომ უფრო უპრიანი იქნებოდა, ეს ყველას ესმოდა, მაგრამ როგორ შეიძლებოდა ამის მოწყობა? ამ კითხვაზე პასუხი არ ჰქონდათ.

ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ იდგა სოფლის მეურნეობაში არსებულ კოოპერატივებში:

„დღეს გლეხს არ გააჩნია საჭირო ინვენტარი... მართალია, იგი მემამულის კლანჭებიდან განთავისუფლებულია, მაგრამ იგი ახლაც სოფლის ჩარჩ-მევახშეთა დიდ ექსპლუატაციას განიცდის... იმისათვის, რომ გლეხმა ხარ-კამეჩი შეიძინოს, ისარგებლოს სასოფლო-სამეურნეო მანქანებით... შეიძინოს კარგი თესლი, მიიღოს პრაქტიკული ცოდნა... საჭიროა ფული, ფული და ფული! სად უნდა იშოვოს მან ეს ფული? სახელმწიფოს ჯერჯერობით ბევრის მოცემა არ შეუძლია.

მაშასადამე, ფული იქ კი არ უნდა ვეძიოთ, სადაც ჩვენ მის ძებნას ამ ბოლო ხანებში შევეჩვიეთ, არამედ თვით გლეხებს შორის და მათ სამეურნეო გაერთიანებებში, ისეთ დაწესებულებებში, რომლებიც უკვე ნაცადია ევროპაში, რუსეთში და სხვაგან - საკრედიტო კოოპერაციებში... რომელიც გლეხობას მისცემს მცირე პროცენტთან კრედიტს... აქ შესაძლოა ზოგიერთ გულუბრყვილო მკითხველს დაებადოს კითხვა: სად ექნება გლეხს ფული და თუ ექნება, განა იგი მას საკრედიტო კოოპერატივს?... დიახ, გლეხს აქვს ფული, რადგან იგი ყიდის თავის ნაწარმოებს. მაგრამ მას ცოტა ფული შემოუდის და მისი საშუალებით იგი ინვენტარს ვერ იყიდის უეცრივ. ფული მან უნდა აგროვოს, შეინახოს, რომ მან შესძლოს საჭირო ინვენტარის ყიდვა. აი ამ თავის გროშებს იგი საკრედიტო კოოპერატივს მიაბარებს, მეტადრე მაშინ, როცა მან იცის, ერთის მხრივ, რომ ფული ეცემა და, მეორე მხრივ ამ დაცემისაგან მას კოოპერატივი უზრუნველყოფს და იქიდან იგი საჭიროების დროს თავის ფულს პროცენტთანაა მიიღებს ოქროს კურსით,“ - წერდა ა. ოტიაშვილი (ოტიაშვილი (1924). კოოპერატიული კრედიტი. ჟურნალი „კოოპერაცია“, #2-3, გვ. 41-42).

საკრედიტო კოოპერატივებთან დაკავშირებით საინტერესო მაგალითი მოჰყავს კონსტანტინე კანდელაკს გლეხის მიერ მევახშისთვის 200%-იანი ვალის დაბრუნების

საქართველოში დამკვიდრებულ ერთ მანკიერ წესთან დაკავშირებით: მევახშე მსესხებლისაგან ითხოვდა დამატებით საჩუქრებს, მაგალითად, ხაჭაპურს, ღვინოსა და ხორცს. თავის სახელმძღვანელოში კანდელაკს მოჰყავს სტროფები პოეტ რაფიელ ერისთავის „ბერუას ჩივილიდან“:

„ფული მემართა ვაჭრისა
„რიგისთვის“ აღებულა,
თავში პურ-ღვინოს დამჯერდა,
ვახშში მივეცი ფულია.
აკი გაუწყრა ღმერთია
და მიშილთახა წყეულმა.
ვალი მომთხოვა მეორედ,
ღვინოზედ შემოჩვეულმა.
ხელახლად წამომიარა,
სულით ხორცამდის გამცალა...“

იმისათვის, რომ მოსახლეობაში ნდობა დაემსახურებინათ, ფართოდ შუქდებოდა საკრედიტო საზოგადოებიდან ფულის გატანის საკითხი: „ფული უნდა მიეცეს სესხათ მხოლოდ ისეთ პირს, რომელნიც მოიხმარენ იმას ნაყოფიერად: ან სამეურნეო იარაღის შესაძენათ, ან მიწის და პირუტყვის საყიდლათ, ან მასალის შესაძენათ და სხვა. ფულის რაიმე სხვა ჩვეულებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გაცემა, შეუწყნარებელია: ასე მაგალითად, არ შეიძლება ფული საქეიფოთ, დღეობის გადასახდელათ და სხვა. გავასესხოთ... ამისთვის საჭიროა, გამგეობაში არჩეულნი იყვნენ ისეთი პირები, რომლებიც მიუდგომლათ ემსახურებიან საერთო საქმეს. პირად დამოკიდებულებას ჩვენ სასტიკათ უნდა ვარჩევდეთ საზოგადო საქმიდან. ჩვენ დიდი აღზრდა გვჭირდება კიდევ ამ მხრივ – „ნათელ-მირონობამ“, პირადი დამოკიდებულებით საქმის ნიადაგ გადატანამ, არა ერთი და ორი საქმე დალუპა ჩვენში“ (კანდელაკი, 1909: 108).

კონსტატინე კანდელაკი წუხდა, რომ გლეხკაცი ვერ ინახავდა ხილს და თბილისიდან ჩამოსულ ბაყალზე, ანუ მეხილეზე, იაფად ყიდდა; რომ მეხილეც არ იყო აღჭურვილი შესაბამისი ცოდნით, რათა მას ხილი შეენახა, ან მისგან სხვა ტკბილეული დაემზადებინა და თავადაც იაფად ყიდდა. „ჩვენში რომ მეხილეთა ამხანაგობა არსებობდეს, იმათ ადვილათ შეუძლიათ გაიჩინონ ბაზარი, გაუსადებელი ხილი შეინახონ შერჩეულ დრომდის ან კონსერვებათ და სხვა გააკეთონ და ისე გაყიდონ“ (კანდელაკი, 1909: 116).

ქართველ თეორეტიკოსებს კარგად ესმით საკითხის არსი, ჩანს კონკრეტული მაგალითების ანალიტიკური განხილვითაც და არც თუ ისე ხშირად მათი არგუმენტები მომარტებულია ევროპული ანალოგიებით. ძალიან საინტერესო მაგალითი მოყავს გაზეთ კოოპერაციას. საქმე ისაა, რომ წერილის „უუდიდესი ფურნე“ ავტორის ინფორმაციით იმ პერიოდისათვის ყველაზე დიდი მოთხოვნისა და საჭიროების გამო ყველა საკოოპერაციო საზოგადოება საქმეს პირველ რიგში ფურნის მოწყობითა და ამუშვებით იწყებდა, ხოლო შემდეგ გადადიოდა სხვა საქმეებზე. ასე მოიქცნენ შოტლანდიელი კოოპერატორები გლაზგოში და ასევე დაიწყეს საკუთარი საქმიანობა რუსმა კოოპერატორებმა პეტროგრადში.

სტატიის ავტორი მიიჩნევს, რომ პეტროგრადის ფურნე არ არის ჩვენთვის სამაგალითო, ვინაიდან მან „შემთხვევით ხელსაყრელ პირობებში ნაშოვნის სესხითა და გაუმჯობესებული ტექნიკით, თავიდანვე ერთბაშად“ დაიწყო მუშაობა. ბევრად საინტერესო აღმოჩნდა მისთვის გლაზგოს კოოპერატივი, რომელმაც უბრალო შენობაში ჩვეულებრივი პურის მცხოვრებლების დაქირავებით დაიწყო მუშაობა, ყოველგვარი ტექნიკისა და ხელშეწყობის გარეშე. დაარსებიდან 20 წლის თავზე კოოპერატივი უკვე ნახევარ მილიონზე მეტ გირვანქა პურს აცხობდა, ხუთი ათას კალათა „ხაჭაპურს“ („პერაჟს“ და ა. შ.). ამ დიდი წარმატების მიზეზად ქართველი ანალიტიკოსი საქმის ნაბიჯ-ნაბიჯ აწყობას ასახელებს კაპიკ-კაპიკ შეგროვილი თანხით და, მისი აზრით, ისიც მნიშვნელოვანია, რომ ანგარიში სრულიად გამჭვირვალეა (უუდიდესი ფურნე (1915). ჟურნალი „კოოპერაცია“, #28, გვ.4).


საქართველოში კოოპერაციის საქმის აწყობისთვის თავდადებული პირები:

ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქველმოქმედებას კოოპერატივების საქმეში. მაგალითად ბიკტორ გოცირიძე და მიტროფანე ლალიძე, რომელთაც კოოპერაციის საქმეს ოც-ოც მანეთი შესწირეს.

ჟურნალ „კოოპერაციის“ უწყებით „სპარსეთში გადახვეწილმა“ ს. სალარიძემ, რომელიც მასწავლებელი იყო სოფელ რეშტში 60 მანეთი გამოუგზავნა რედაქციას. ამ ფულით კი „გერტრუდა დავითის ქალის წიგნის“ „მუშა ქალი და მომხმარებელი კოოპერატივი“ გამოცემა გადაწყდა. წიგნიდან მიღებული მოგება კი უნდა გადაეცათ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამწვარი ბიბლიოთეკისთვის¹¹³ (ჟურნალი „კოოპერაცია“, 1914 წელი, N26, გვ.6).

1915 წლის 2 თებერვალს გაიმართა აკეთის მომხმარებელი საზოგადოება „თანხმობის“ კრება. ამ კრებაზე მნიშვნელოვანი საკითხები განიხილებოდა. საპაიო, საწევრო და სხვა თანხების გარდა, ინფორმაციაში მითითებულია, რომ ძმებს ივ. და შალვა ჭანტურიშვილებს გარდაცვლილი მამის ქვლებისთვის განკუთვნილი 100 მანეთი საზოგადოებისთვის შეუწირავთ. აქვე იუწყებიან, რომ ამავე საზოგადოებას სიმონ ტოროტაძე 4 თვით უსასყიდლოდ უთმობდა დუქნის შენობას ფურნით (ჟურნალი „კოოპერაცია“, 1915 წელი, N28, გვ.6).

იგივე გაზეთი („კოოპერაცია“) გვატყობინებს, რომ 1917 წელს გაზეთის მთელი წლით გამოცემა უზრუნველყოფილია გულმხურვალე კოოპერატორ ვარლამ ჩლაიძის შემოწირულობით (ჟურნალი „კოოპერაცია“, 1917 წელი, N3, გვ.2).



კოოპერაცია საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პრესაში

1919 წელს, უკვე დამოუკიდებელ საქართველოში, დაარსდა საქართველოს კოოპერაციული ბანკი, რომლის საბჭოს თავმჯდომარე ქართველი ეკონომისტი შალვა გოგებაშვილი იყო - იაკობ გოგებაშვილის ძმისშვილი. შალვა გოგებაშვილი ცნობილი

¹¹³ რეშტი - ქალაქი ირანში.

კოოპერატორი იყო. მან ჯერ სიღნაღში, შემდეგ კი გორში დააარსა მომხმარებელთა კოოპერატივები. ამ კოოპერატივებში 1500 ადამიანი გაერთიანდა; მისი თაოსნობით დაარსდა „ცეკავშირი“; მან დაწერა კოოპერაციული ბანკის წესდება, რომლის საბჭოს თავმჯდომარედაც ის დაარსებისთანავე აირჩეს (ი. იმედაშვილი, 2018: 624).

საგაზეთო სტატიების საშუალებით ხდებოდა მოსახლეობაში საბანკო საქმის პოპულარიზაცია. ახლადდაარსებულ კოოპერატივებს ურჩევდნენ, რომ თანხის შენახვის საუკეთესო შესაძლებლობა საკრედიტო კოოპერატივები იყო. ამ გზით საკრედიტო და სამომხმარებლო კოოპერატივები ერთმანეთს უკავშირდებოდა.

ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა 1919 წლის 15 ოქტომბერს, ქუთაისში, დასავლეთ საქართველოს კოოპერატივთა საკრედიტო კავშირის მიერ გამართული კრება. ამ კრებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან იმ დროის საქართველოში მოქალაქეები ბანკს საკუთარ დანაზოგს არ ანდობდნენ, საჭირო იყო ამ საკითხის მოსახლეობისათვის ახსნა და ნდობის აღდგენა. კრებაზე სწორედ ამ საკითხებს იხილავდნენ.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროს, კერძოდ, 1919 წელს კიდევ ერთი ქართული კოოპერატივი ჩამოყალიბდა – „ლამპარი“. ეს არის საგამომცემლო კოოპერატივი, რომლის წესდებაც ქუთაისის საოლქო სასამართლოს მიერ 1919 წლის 23 სექტემბერს კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხაში N93 ნომრით არის შეტანილი.

ეს ფაქტი განსაკუთრებით აღვნიშნეთ, რადგან იმჟამინდელ საქართველოში ასეთი კოოპერატივის დაარსება მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. კოოპერატივის მიზანს ბეჭდვითი საქმის გაუმჯობესება წარმოადგენდა, ამ საქმის მუშაკების, ავტორების, მასწავლებლების, მკითხველებისა და ყოველგვარი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების მხარდაჭერა. ხაზგასმულია, რომ წევრობა შეეძლო ყველა სახის დაწესებულებას და ყველა მოქალაქეს 17 წლის ზემოთ. საწევრო 10 მანეთი იყო, 50 მანეთი – საპაიო, 5 მანეთი – წესდების, საანგარიშო წიგნაკისა და კოოპერატივის შესახებ კანონის ღირებულება. „როგორც ვხედავთ, მიზანი კოოპერატივისა მეტად სიმპათიურია და დანიშნულება დიდმნიშვნელოვანი. კოოპერატივი დაიცავს ავტორის ინტერესებს,“ – დასძენს რედაქტორი (ჟურნალი „კოოპერაცია“, 1919, 15 ოქტომბერი, N5, გვ.3).

„ახლა ვიკითხოთ რამდენჯერ მეტს იხდის დღეს მშობელი თავისი შვილებისათვის წიგნის სავაჭროებში ზედმეტ ფასებში წიგნის ყიდვით?! ყოველი შეგნებული მოქალაქე და განსაკუთრებით ყოველი ასოთამწყობი, მასწავლებელი, მწერალი თუ ავტორი დაუყოვნებლად უნდა ჩაეწეროს ლამპარში“ – ვკითხულობთ გაზეთში (ჟურნალი „კოოპერაცია“, 1919, 15 ოქტომბერი, N5, გვ.3). ეკონომისტები, საგანმანათლებლო და საგამომცემლო კოოპერატივების დაარსებით იმედოვნებდნენ, რომ წიგნებზე ფასს დასწევდნენ და უფრო ხელმისაწვდომს გახდიდნენ.

კოოპერატივები გასაბჭოებული საქართველოში:

როგორც აღინიშნა, კოოპერატივებისთვის ბრძოლა მცირე ხანი საბჭოთა პერიოდშიც გაგრძელდა. 1923 წელს არაერთი ახალი კოოპერატივი ამოქმედდა. მხოლოდ გაზეთი „კოოპერაცია“ ოცამდე ასეთ კოოპერატივს ასახელებს. ამათგან ორზე შევჩერდებით. ეს არის კოოპერატივები: „მწიგნობარი“ და „გული“. „გულის“ დაარსება განსაკუთრებული მოვლენა

იყო იმჟამინდელ საზოგადოებაში. მისი მიზანს ჯანმრთელობის საკითხებით დაინტერესებული პირებისა და კოოპერატიულ-სოლიდარული გაერთიანებების თანამშრომლობა წარმოადგენდა: „ყოველი ჩვენი თანამემამულე უნდა ჩეწეროს წევრათ ამ კოოპერატივში, რადგან ყოველი ჩვენგანი საჭიროებს დასვენებას, კარგს კლიმატიურ პირობებსა და სამკურნალო ადგილებით სარგებლობას,“ – ვკითხულობთ ჟურნალში (ჟურნალი „კოოპერაცია“, 1923 წელი, სექტემბერი, N1, გვ.12). სხვათა შორის, ამგვარი კოოპერატივი არ იყო ჩვენთვის უცხო. ჯერ კიდევ 1904 წელს გურიაში, კერძოდ კი ბახმაროს მიუვალ მთებში არსებობს პატარა სამომხმარებლო საზოგადოება „ჯანმრთელობა“, სადაც წელიწადის მხოლოდ ერთი ან ორი თვე შეედლოთ მოაგარაკეებს ასვლა. განზრახული იყო აქ სასმელი წყლის საგანგებოდ აყვანა, ასევე სპეციალური შენობის აშენება, რომელშიც თეატრი, ბიბლიოთეკა, გამგეობის კანცელარია და ოთახები განთავსდებოდა ტურისტებისა და მსახიობებისათვის (კანდელაკი 1909: 64).

ზოგადად საკურორტო საქმის მომძლავრება ორ საქმეს ერთად ემსახურებოდა: მოქალაქეების ჯანმრთელობასა და ეკონომიკის განვითარებას. „საკურორტო საქმეში, ეკონომიკური საკითხის გარდა, სხვა უფრო მეტად მნიშვნელოვანი მომენტიც იმარხება. ყველა ქვეყნისათვის სამკურნალო, საკურორტო ადგილები უადრესი მნიშვნელობის საგანს წარმოადგენს. როგორც მცხოვრებთა გაჯანსაღებისა და აღდგენის საშუალება, ეს სარგებლობა ისეთია, რომ ფულზე მისი გატანა არ შეიძლება. ამ მოსაზრებით ყოველივე კურორტი, რომელიც ხალხის ჯანმრთელობას ემსახურება ხოლმე, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საგანძურს წარმოადგენს... ძალიან თანამედროვედ ჟღერს საკურორტო კოოპერაციის პრობლემებზე მსჯელობა და სასწრაფოდ გადასაწყვეტ საკითხთა ჩამონათვალი: კოოპერატივებისათვის კრედიტის გამოყოფა; უნივერსიტეტში ბალნეოლოგიური სწავლების დანერგვა; კურორტების მოწყობა“ – წერდა გაზეთი „კოოპერაცია“ (ე. წ. (1923). საკურორტო კოოპერაციის გარშემო. კოოპერაცია, N1, გვ.4).

ამავე საკითხს ეხება ცნობილი ქართველი კურორტოლოგი და ფიზიოთერაპევტი, საქართველოს წითელი ჯვრის ერთ-ერთი დამფუძნებელი მიხეილ ზანდუკელი სტატიის „ბუნებრივი ძალებით მკურნალობა და კოოპერაციის ადგილი ჩვენი საკურორტო ადგილების მოწყობაში“. სწორედ მიხეილ ზანდუკელის თაოსნობით გაიხსნა სანატორიუმები ბორჯომსა და აბასთუმანში, ასევე თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი, რომლის პირველი დირექტორი თავადვე იყო (მ. ზანდუკელი (1923). საქართველოში ბალნეოლოგიისა და კლიმატური თერაპიის დასაწყისად ის 1803-1842 წლებს მიიჩნევს „როცა ევატერინესი და ევგენიას წყაროები გაიხსნა და ბორჯომის მოწესრიგებას შეუდგნენ გოლოვინის ქალიშვილის განკურნების აღსანიშნავათ“ და ამავე დროს წუხდა საქართველოში კურორტების მოწყობისა და განვითარების საკითხებში სრულ იმოქმედებაზე, თუნდაც ისეთ ცნობილ კურორტებზე, როგორცაა ბორჯომი და აბასთუმანი.

ელენე ახვლედიანის მამა დიმიტრი ახვლედიანი 1918 წელს თბილისში გამართულ ქართველ სამხედრო ექიმთა პირველ ყრილობას თავმჯდომარეობდა და დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოში გამაჯანსაღებელი ადგილების კეთილმოწყობაში. ის ხშირად აქვეყნებდა გაზეთ „კოოპერაციაში“ სტატიებს ამ საკითხთან დაკავშირებით ფსევდონიმით „ა“.

სტატიაში „ახტალა, როგორც კურორტი“, ის წერს: „დადგა დრო და ჟამი ჩვენი ცხოვრებისა, როდესაც, პოეტის სიტყვით, ჩვენ თავს ჩვენადვე უნდა დავეყრდნოთ. ბევრს ვლავარაკობდით და ახლაც ვლავარაკობთ, რომ ჩვენი სამშობლო მდიდარია, კობტა, ედემის ბაღ, ზურმუხტი - ეს მართალია! მაგრამ ისიცაა, ეს სიმდიდრე არ გვაქვს შესწავლილი, გამოკვლეული, ედემის ბაღი - ბაღია, ატკობს მხოლოდ თვალს და მეტი არაფერი...“ (ახვლედიანი (1923). ახტალა, როგორც კურორტი. კოოპერაცია, #1, გვ. 13). მისი თაოსნობით, 1919 წელს ახტალაში გახსნილა ჰოსპიტლის განყოფილება, სადაც 41 პაციენტზე აწარმოებდნენ დაკვირვებას. ახვლედიანის აზრით, ეს უმნიშვნელოვანესი კურორტია, რომლის მდებარეობა სრულიად ახალი მიმართულების - ვაზით მკურნალობის დამკვიდრებას უწყობს ხელს.

დიმიტრი ახვლედიანი ასევე დიდ იმედს ამყარებს წყალტუბოს კურორტზე: „წყალტუბოს აბანოები დიდს სამკურნალოსა და ქონებრივ სიმდიდრეს წარმოადგენს. წყალტუბო რომ კარგად მოეწყოს, ჩვენი რესპუბლიკა იმდენ ოქროს მოიზიდავს გარედან, რომ ჩვენ ფეხზე დავდგებით“ (დიმიტრი ახვლედიანი (1923). წყალტუბოს რადიკალური აბანოები. კოოპერაცია, #1, გვ. 19).

კიდევ არაერთი კოოპერატივი შეიქმნა ქართულ სინამდვილეში. ასეთია „პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს ბინების ამშენებელი კოოპერატივი“ და სამშენებლო ამხანაგობა; ასევე ამხანაგობა „ბაღი-ქალაქი“, რომელიც იმჟამად თბილისის განაპირა უბანში, ვაკეში დაარსდა. გაზეთში მითითებულია, რომ ამ ამხანაგობის „წევრებს შორის დარიგებულია 32 ნაკვეთი, მსურველები ბევრია“ (გაზეთი „კოოპერაცია“, 1923, #1). როგორ გაგრძელდა კოოპერატივის მიერ დაწყებული ვაკის განაშენიანება, დღეს ყველასთვის ნათელია.

ძალადობის ტალღამდე, 1924 წელსაც კი, ქართველები ცდილობდნენ სიტუაციის გადარჩენას. მაგალითად, სრული დატვირთვით მუშაობდა იმ პერიოდისათვის ყველაზე დიდი სასოფლო-სამეურნეო კავშირები – „წარმოკავშირი“¹¹⁴, რომელიც სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრად ჩამოყალიბდა და სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრი „ცეკავშირი“. მართალია, ეს უკვე სრულიად სხვა ორგანიზაციები იყო და არა ის დემოკრატიული კოოპერატივები, რომლებზეც ქართველი ეკონომისტები ოცნებობდნენ, მაგრამ 1924 წლამდე კოოპერაციულ მოძრაობას მაინც ქართული ელფერი დაჰკრავდა (ცაგარეიშვილი (1924). საინსტრუქციო მუშაობის რეორგანიზაციისათვის. კოოპერაცია, #2-3, გვ. 50).

„ცეკავშირის“ საწარმოო განყოფილებებში გაერთიანებული იყო პირველი მექანიკური აბრეშუმის „მქსოვი“ ფაბრიკა „ცეკავშირი“, რომელიც თბილისში, ტურგენევის ქუჩა N9-ში მდებარეობდა; თბილისშივე მდებარეობდა ძეხვის ქარხანა, კარუსელის ქუჩა N18; სტამბა განთავსებული იყო პლენხანოვის პროსპექტზე N71-ში; მუშაობდა კერამიკული ქარხანა; ჰყავდათ საკუთარი გემიც – „საქართველოს კოოპერაცია“ (1923, თავფურცელი).

რაც შეეხება „წარმოკავშირს“, ორგანიზაცია აერთიანებდა საქართველოს უმრავლეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს: მეღვინეობა-მევენახეთა ამხანაგობა „კახეთი“, „კავშირთ-

¹¹⁴ სხვათაშორის, ეს ის „წარმოკავშირია“, რომლის ხელშეწყობითაც 1922 წელს სვანეთის აჯანყების მესვეურებს 10 მილიონი მანეთი გადაეცათ.

კავშირი“, „წინანდალი“, „საერო“, მეხილეთა ამხანაგობა „ქართლი“, მეცხვარეთა ამხანაგობა „მწყემსი“, მხვინელ-მთესველთა ამხანაგობა „ხორბალი“, მესაქონლეთა ამხანაგობა „რძე“ და ა.შ.

„წარმოკავშირი“ აწარმოებდა საექსპორტო-საიმპორტო-საექსპედიციო და საკომისიო ოპერაციებს. 1924 წლისათვის „წარმოკავშირის“ მთავარი ოფისი მდებარეობდა თბილისში, სასახლის ქუჩა N5-ში, განყოფილებები – ბათუმსა და ბაქოში, წარმომადგენლობა – სტამბულსა და ბერლინში (1923, #1).

ამ გაერთიანებამ ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა, მაგალითად: შეიძინეს 25 000 ფუტამდე შაბიამანი, 10 000 ფუტა გოგირდი და დაარიგეს წევრებზე. ამ ნაბიჯს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან შაბიამნის შემოტანა რეგულარულად ვერ ხერხდებოდა და მოსახლეობა ვაზის დაავადების გამო ზარალდებოდა. ნიმუშად აღებული იყო კოოპერატივების თაოსნობით ინგლისიდან შაბიამნის შეტანის გზები იტალიასა და საფრანგეთში. საფრანგეთში შაბიამნის შეტანას ლობირებდა „მაროსანის თავისუფალ მევენახეთა ამხანაგობა“.

შაბიამნის ცენტრალიზებულად შეტანა მეღვინეობის კოოპერატივებში ერთი ორად ზრდიდა მსურველების, შესაბამისად, მომხმარებელთა რაოდენობასაც, რომელიც, სხვა სიკეთესთან ერთად, ფალსიფიკაციის თავიდან აცილების გზას კოოპერატივებში ხედავდა¹¹⁵.

¹¹⁵ ძალიან საგულისხმოა ნიკო ნიკოლაძის სტატია, რომელიც შაბიამნთან დაკავშირებით გაზეთ „კოოპერაციაში“ 1915 წელს გამოქვეყნდა: „საქართველოს რჩენაში ვენახს დიდი - მეორე -ადგილი უკავია, მისი მოსავალი ერთიანათ მის მოვლაზე დამოკიდებული. ამ მოვლას, ადამიანის შრომის გარდა, დიდძალი გოგირდი და შაბიამანი სჭირდება, ვაზის ბევრგვარი ჭირის წამლად. ომიანობამ კი ეს საგნები არა თუ მეტისმეტად გააძვირა, ერთიანათაც მოსპო ჩვენს ბაზარზე... დღეს შაბიამნის გამოზიდვა ინგლისიდან - რომელიც უმთავრესი მწარმოებელია ამ საქონლისა - სასტიკად აღიკრძალა ინგლისის მმართველობისაგან არა თუ ნეიტრალური ქვეყნებისათვის, თვით ინგლისის მოკავშირეებისათვისაც“. ნიკო ნიკოლაძე გვიხსნის, რამ გამოიწვია შაბიამნის ინგლისიდან გამოტანის აკრძალვა: გერმანიას სპილენძის მადანი არ აქვს, არადა, სამხედრო შეიარაღებისათვის სჭირდება. ამდენად, ინგლისმა ბევრი ქიმიური შენაერთი ომის კონტრაბანდად ცნო და გატანა აკრძალა. მხოლოდ საფრანგეთს, დიდი გაჭირვებით მიუღია უფლება, რომ ინგლისიდან შაბიამანი გაეტანა, იმ პირობით, რომ ნეიტრალურ ქვეყნებში ამ საქონელს არ გაყიდდა. ასევე მოქცეულა იტალია. ყოველივე ამან შაბიამნის გაძვირება გამოიწვია. ნიკოლაძის გათვლებით, თუკი ადრე 1 ფუტი შაბიამანი 4 მანეთი ღირდა, ახლა უკვე 16 მანეთი გამხდარა.

დავძენთ, რომ თუკი მეოცე საუკუნის დასაწყისში „ბორდოს“ ანუ შაბიამნის მთავარი მწარმოებელი ინგლისი იყო, 2015 წელს, ნიადაგის სპილენძით დაბინძურების გამო, დიდმა ბრიტანეთმა მისი გამოყენება მთლიანად აკრძალა.

ნიკო ნიკოლაძე სვამს კითხვას: „ცოტაა განა ჩვენში სპილენძის სურინჯის მადანი? რაჭაში, გურიაში, ლეჩხუმში ის ოხრად ყრია. რამდენ სიკეთეს შესძენდა ის ჩვენ ქვეყანას და თვით მმართველობას ამ მადნეულობაზე სპილენძის, შაბიამნის და გოგირდის წარმოების გაჩენა! ... ეს ოცნება - და ბევრი სხვაც - სინამდვილეთ იქცეოდა, პატრონი, ესე იგი ერთობა, რომ გვღირსებოდა“ (ნ. ნიკოლაძე. (1915). შაბიამნის გამოწერის გამო. კოოპერაცია. #30-31. გვ. 12).

შორს იყურებოდა ნიკო ნიკოლაძე – 1951 წელს რუსთავში მუშაობა დაიწყო საწარმო „რუსთავის აზოტმა“ და დღეს ეს საწარმო კავკასიაში ამონიუმის გვარჯილას ერთადერთი მწარმოებელია, მისი ნაწარმი ხმარდება მევენახეობასა და მეხილეობას საქართველოში, გადის საზღვარგარეთაც (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სკოპინგის დასკვნა N66).

„წარმოკავშირმა“ საკუთარი ორგანიზაციის წევრებზე გასცა გრძელვადიანი სესხები. მაგალითად, ამხანაგობებს – „ქართლი“, „რძე“, „ხორბალი“; კახელ მევენახეთა ამხანაგობას „კავშირთ-კავშირს“, რომელსაც სოფელ მუკუზანსა და გურჯაანში ამერიკული ვაზის სანერგეები ჰქონდა მოწყობილი, გადაეცა 4 000 მანეთი ოქროთი. მთავარი მიზანი ვაზის დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა იყო. ამ პერიოდში ქართულ ვენახებს ფილოქსერა აჩანაგებდა. საქმე ისაა, რომ საქართველოში ამერიკიდან შემოიტანეს საძირე ვაზის ნერგები. ამ ნერგებს შემოჰყვა მავნებელი მწერი ფილოქსერა, რომელიც მხოლოდ ვაზით იკვებება. შედარებით გადარჩა ვაზის ჯიშები – რქაწითელი და მწვანე, მაგრამ საშინლად განადგურდა საფერავი და კრახუნა. რომ არა „წარმოკავშირი“, ქართულ ვენახებს სრული განადგურება ელოდა.

ბოლოსთვის ყველაზე საინტერესო ნაწილი მოვიტოვეთ. ჩვენში და ზოგადად ქალებს შრომის გადანაწილების საკითხში განსაკუთრებულად ეთქმოდათ სიტყვა. ასე იყო საქართველოში კოოპერატივების განვითარების პერიოდშიც.

მომხმარებელთა საზოგადოებაზე საუბრისას კონსტანტინე კანდელაკი მიიჩნევდა, რომ ქალი ბევრად ახლოს იცნობდა არსებულ პრობლემებს და საკოოპერაციო ბაზარს: „ამიტომ საჭიროა თავად ქალი... დაინტერესებული იყოს მომხმარებელი საზოგადოების ბედ-იღბალში, გრძნობდეს მის უპირატესობას კერძო სავაჭროებთან შედარებით, პირდაპირ მონაწილეობას იღებდეს მომხმარებელი საზოგადოების მართვა-გამგეობაში“ (ეს არის გერტრუდა დევიდის სიტყვები წიგნიდან „კოოპერაცია-თეორია, ისტორია და პრაქტიკა“, რომლებიც მოჰყავს კონსტანტინე კანდელაკს) (1909).

კოოპერატიულ საქმიანობაში უამრავი ქალი იყო ჩაბმული. მაგალითად, ოლღა შენგელიამ იასონ გაბილაიასთან ერთად დააფუძნა საზოგადოება „კოოპერაცია“. ოლღა შენგელია, იგივე ოლღა ბახტაძე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სამტრედიის განყოფილების ნამდვილი წევრი იყო და რეგულარულად ირიცხებოდა გაზეთ „ხმა ქართველი ქალისას“ შემომწირველთა სიაში. ეს გაზეთი განსაკუთრებული ხაზგასმით უჭერდა მხარს კოოპერატიულ მოძრაობას (<https://prosopography.iliauni.edu.ge/persons/13110-olgha-tarielis-asuli-shengelia>).

1923 წელს ევროპაში გადაწყდა, კოოპერატივების საერთაშორისო დღე ყოველი წლის ივლისის პირველ შაბათს აღენიშნათ. საქართველო იმთავითვე შეუერთდა ამ წამოწყებას (ჟურნალი „კოოპერაცია“, 1923 წელი, სექტემბერი, N1, გვ.24). თუმცა 1924 წლის მერე, როცა თანდათანობით თავისუფლების ელემენტებიც კი გაქრა ქართულ სინამდვილეში, კოოპერატივებსაც, შესაბამისად, საფუძველი გამოეცალა. კოოპერაციის მესვეურები დაჟინებით ცდილობდნენ არ გაეწყვიტათ კავშირი ევროპასთან და ნებისმიერი წამოწყება გაეზიარებინათ, მაგრამ შემდგომი მოვლენებისათვის წინააღმდეგობის გაწევა მათ ძალას აღემატებოდა.

„ძველი მომუშავეების ნაწილი, „ЦЕННЫЕ И ЧЕСТНЫЕ“, როგორც სარევიზიო კომისიის მომხსენებელმა განაცხადა, ხანდახან სრულიად უმიზეზოდ ჩამოშორებულია კოოპერატიულ მუშაობას, იძულებულია იქ არ იმუშაოს, სადაც მას სარგებლობის MAXIMUM-ი შეუძლია მოიტანოს, ვისურვებთ, რომ ამ ახალს 1924 წელში საქართველოს კოოპერაციაში ისეთი

პირობები შექმნილიყოს, რომ კოოპერაციაში გამოცდილებით თუ ცოდნით აღჭურვილთ და დღეს სხვა დაწესებულებაში მომუშავეთ, ახლებთან ერთად, სინდისიერათ, გულდასმით ემსახუროთ იმ დიადი საქმისათვის, რომელზედაც არის დამოკიდებული ჩვენი ხალხის კულტურულათ ამაღლების საქმე და რომლის შესახებაც საფრანგეთის ერთმა დიდმა მოღვაწემ, არა კოოპერატორმა (კლოდო ჟანემ) თქვა: „ეს არის ერთადერთი სოციალური ექსპერიმენტი XIX საუკუნისა, რომლის განხორციელებაც მოხერხდაო,“ – ალ. ცაგარეიშვილი (ჟურნალი, „კოოპერაცია“, 1924 წელი, N2-3, გვ.65).

დასკვნა

ფაქტია, რომ პირველი კოოპერატივის გამოჩენა საქართველოში შემთხვევითი მოვლენა არ იყო. ჩაკეტილი პოლიტიკური თუ ეკონომიკური წრიდან გამოსავლის ძიებაში ნაპოვნი გამოსავალიდან ერთ-ერთი საუკეთესო სწორედ კოოპერაციული მოძრაობა აღმოჩნდა. ამიტომ ილია ჭავჭავაძის მიერ წამოწყებულმა ამ საქმემ გასავალი ჰპოვა ჩვენში და ევროპულ მოძრაობებთან პარალელური გზა გაგვატარებინა. ის უამრავი საზოგადოება, ამხანაგობა, გაერთიანება, რომელიც კოოპერაციის საფუძველზე იქმნებოდა მიუხედავად დიდი სიდუხჭირისა, საკუთარ საქმეს აკეთებდა. ამბობენ, 1921 წლისთვის საქართველოში ასეულობით და ასეულობით კოოპერატივი არსებობდა, რომელშიც მილიონობით ადამიანი იყო დასაქმებული. ყოველივე ეს მიუთითებს იმ სწორ ეკონომიკურ გათვლაზე, რასაც პირველი კოოპერატორები სთავაზობდნენ საქართველოს მოსახლეობას და მათ კოოპერატივების მიმართ ინტერესს უღვივებდნენ. ეს იყო საქართველოს საზოგადოების ყველაზე პროგრესული და ჯანსაღი ნაწილი.

გამოყენებული ლიტერატურა და ბიბლიოგრაფია:

1. ბრაგი, მ., მინინი, მ. (1908). კოოპერატივები. ბათომი. სტამბა ა.ი. ნიკიტინისა.
2. იმედაშვილი, ი. (2018). ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი 1801-1952. თბილისი. ეროვნული ბიბლიოთეკის გამომცემლობა.
3. კანდელაკი, ვ. (1909). კოოპერაცია: თეორია, ისტორია და პრაქტიკა. თფილისი. ელექტრომბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“.

გაზეთები:

- კოოპერაცია. (1911). #1.
- კოოპერაცია. (1911). #11.
- კოოპერაცია. (1914). #26.
- კოოპერაცია. (1915). #28.
- კოოპერაცია. (1915). #30-31.
- კოოპერაცია. (1916). #2.
- კოოპერაცია. (1919). #5.
- კოოპერაცია. (1923). #1.

კოოპერაცია. (1924). #2-3.

მოსავალი. (1911). #10.

კანდელაკი კ. (1920). რესპუბლიკა, #296, <https://civil.ge/ka/archives/389238>

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ქართველები უცხოეთში, <http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/00000390>

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრები. ნესტორ წერეთელი. www.nplg.gov.ge/ilia/ka/00006990/

საქართველოს პროსოპოგრაფია, ოლღა შენგელია. <https://prosopography.iliauni.edu.ge/persons/13110-olgha-tarielis-asuli-shengelia>

Marina Iashvili
Independent scholar

Analysis of the Cooperative Movement in Georgia according to the Georgian Professional Press of the 10-20s of the 20th Century

Summary

Despite the challenging economic situation, Georgian media was rising at the beginning of the 20th century time. In that period the media agenda was full of discussion on how to solve the problems that the country was facing in agriculture. Strengthening the cooperative movement was considered one of the main tools in that direction and the media very actively promoted this approach.

In that regard the role of the public journal “cooperation” was remarkable. The journal was published from 1911 to 1924 with Iason Gabilalia as an editor-in-chief. The journal started in Kutaisi but later moved to Tbilisi.

This issue became part of the intermedia agenda as well. Numerous articles were dedicated to the persons actively involved in the cooperative movement. As a result, public awareness of the cooperative movement increased quite much.

It should be noted that this period has a lot of similarities with the current challenges of modern Georgia. From today’s perspective the Country was on the right track and only political cataclysms prevented it from becoming an economically strong state.

მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკების პერსონალია

მიხეილ ჯავახიშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა რომანებთან, მოთხრობებთან და სხვა მხატვრულ ტექსტებთან ერთად მოიცავს მწერლის დოკუმენტურ პროზასაც. მათ მიეკუთვნება მისი უბის წიგნაკების ჩანაწერებიც, რომელთა კეთებას ავტორი სამწერლო საქმიანობის თანმხლებ აუცილებელ პროცესად მიიჩნევდა და დიდი რუდუნებით ეკიდებოდა. „დღემი ათიოდე აზრს, ნახულს და გაგონილს ვიწერ უბის წიგნაკში“-ო, წერდა მწერალი (ჯავახიშვილი, 2015: 203).

მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკების ჩანაწერები ქართული ნონფიქშენის მრავალმნიშვნელოვანი და უნიკალური ნიმუშია. გარდა იმისა, რომ ისინი საგულისხმო ცნობებს გვაწვდიან მწერლის ბიოგრაფიის შესასწავლად და მის შემოქმედებით ლაბორატორიაში გვახედებენ, წარმოადგენენ უაღრესად საყურადღებო მასალას ეპოქალური ფაქტებისა და მოვლენების და საზოგადოების საკვლევად. ასეთი კვლევები კი უაღრესად აქტუალურია დღეს, როცა ხდება საბჭოთა ისტორიული, ფილოლოგიური თუ სხვა მეცნიერებების მიერ დამკვიდრებული უამრავი გაყალბებული თეზისისა თუ დებულების უარყოფა თუ გადააზრება. საკითხს აქტუალობას სძენს ისიც, რომ მწერალი ამავედროულად თვალსაჩინო საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე და 1917 წლიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერიც იყო - საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ამ პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი, 1922-1924 წლებში შედიოდა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტში და აქტიურად მონაწილეობდა 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მომზადებაში. ამ პოლიტიკური საქმიანობის წყალობით მიხეილ ჯავახიშვილი კარგად იცნობდა და პირადი ურთიერთობა ჰქონდა ბევრ თავის ისეთ თანამედროვესთან, რომლებიც წარმოადგენდნენ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებს, კულტურის მუშაკებს, საზოგადოებისთვის ამა თუ იმ აქტივობით გამორჩეულ ადამიანებს. მწერალი თავად იყო მომსწრე და მოწმე ბევრი საყურადღებო ისტორიისა თუ ამბისა.

მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკები სავსეა ეპოქის სახეებით, მისი თანამედროვე ადამიანების სახელებით, რომელთაც მწერლის ყურადღება მიიპყრეს და რომელთაგან ზოგიერთნი („ტიპები“ მისივე თქმით) მან თავისი მხატვრული ტექსტების პერსონაჟთა პროტოტიპებადაც მოიაზრა.

მწერალი აღწერს ამ პირთა გარეგნობას, ხასიათის თვისებებს, გვაწვდის შტრიხებს მათი პორტრეტებისათვის და ინიშნავს დაკვირვებებს მათ ირგვლივ განვითარებული ფაქტებისა და მოვლენების და მათში მათი მონაწილეობის შესახებ. ეს კი მწერლის უბის წიგნაკებს ერთგვარ საისტორიო წყაროებად აქცევს, რომლებიც მოიცავს მასალებს მწერლის ეპოქის ქართველი და უცხოელი საზოგადოების ისტორიის შესასწავლად. ამდენად მისი უბის წიგნაკების პერსონალია საგანგებო კვლევას საჭიროებს, რასაც სათანადო ყურადღება ჯერ არ დათმობია.

მოხსენებაში წამოდგენილ კვლევაში შევეცდებით უბის წიგნაკებში დაფიქსირებულ ისტორიული პირთა იდენტიფიკაციას, განვიხილავთ მწერლის დაკვირვებებსა და რეფლექსიებს მათზე და შევავსებთ და დავაზუსტებთ ცნობებს მათ ირგვლივ. ამასთან მეტ ყურადღებას დავუთმობთ შედარებით ნაკლებად ცნობილ და შესწავლილ პირთ.

კვლევა მნიშვნელოვანია არა მარტო იმ უაღრესად რთული და საინტერესო ეპოქის ისტორიის შესასწავლად, რომელშიც მიხეილ ჯავახიშვილს მოუხდა ცხოვრება-მოღვაწეობა, არამედ თანამედროვე ფილოლოგიური, სოციოლოგიური და მათი მომიჯნავე სხვა მეცნიერებებისთვისაც.

ერთ სტატიაში ძნელია შევხვით ყველას, ვისაც ვხვდებით მ. ჯავახიშვილის უბის წიგნაკების ჩანაწერებში - მათი რიცხვი საკმაოდ დიდია და 600-მდე აღწევს. ამიტომ ჯერჯერობით ყურადღებას დავუთმობთ მხოლოდ მათ ნაწილს, კერძოდ, ქართველი თავადაზნაურობის რამდენიმე მნიშვნელოვან წარმომადგენელს.

1. „მიტუმა აბაშიძე - ტიპი“ (ჯავახიშვილი, 2015: 16) - ვკითხულობთ უბის წიგნაკის 1924 წლის ერთ ჩანაწერში. ვნახოთ, ვინ არის ამ გვარ-სახელით ცნობილი პირი.

დიმიტრი(მიტო/მიტუმა) აბაშიძე (1879 წ. 4 მაისი (ნათლობა -13 მაისი), სოფელი ზემო ჭალა - 1924 წელი, გორის მაზრა) ზემო ჭალის თავადის, ლევან დიმიტრის ძე აბაშიძისა (1848-1889) და ბეკამელი სათავადო აზნაურის, ანა (ანეტა) ზაზას (ზაალის) ასულ ყიფიანის (1861-1944) ერთადერთი ვაჟი (იხ. სურ.1). სწავლობდა თბილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში. 1879 წელს დაქორწინდა აბესალომ დავითის ძე მაჩაბლის ქალიშვილზე მარიამზე (1875-?), რომელიც დაქვრივების შემდეგ გათხოვდა მამინაიშვილზე. მარიამთან ჰყავდა ერთი ქალიშვილი - ელენე/ელიუსა აბაშიძე (1898-1925). ჰყავდა აგრეთვე 1898 წელს დაბადებული ერთი კანონგარეშე ვაჟიშვილი ნიკოლოზი, რომელიც შეეძინა გლეხის ქალ - ქსენია ივანეს ასულ ფომენკოსთან და რომელსაც რუსი კოლას სახელით იცნობდნენ (ზ. ჭიქაბერიძე, პირადი კომუნიკაცია, 23 იანვარი, 2022). დახვრიტეს 1824 წლის ანტობოლშევიკური აჯანყების ჩახშობისას.

ქართულ მემუარულ ლიტერატურაში გვხვდება ცნობები მიტუმა აბაშიძის შესახებ.

იგი ყოფილა „მშვენიერი მეთარე, მომღერალი და განთქმული მოლექურე. იმან შეირთო აბესალომ მაჩაბლის ქალი და იმასაც მიეცა ერთი მშვენიერი ქალი. მიტუმამ გაათხოვა და მისცა მამულაიშვილსა. ეს მშვენიერი ქალი ორსულობის შემდეგ გარდაიცვალა და დარჩა... პატარა ბიჭი“ - იხსენებს მასზე ელისაბედ ერისთავი (ერისთავი, 2022: 165).

მიტუმა აბაშიძის ქალიშვილის ელენეს (ელუსიას) მეუღლე იყო ილია ივლიანეს ძე მამულაიშვილი (?-1937). ზურაბ ჭიქაბერიძის ცნობით, წყვილს 1923 წლის 15 მარტს შესძენია ვაჟიშვილი ლევანი, ვისთვისაც დაობლების შემდეგ ანა ყიფიანს სახელი შეუცვლია და დიმიტრი უწოდებია. ელენე აბაშიძის მეუღლე 1937 წელს დახვრიტეს, ხოლო თვითონ სახლის პირობებში სისხლის მოწამვლის შედეგად გარდაცვლილა. აღნიშნული მოვლენის მიზეზი ყოფილა თბილისში დაწყებული ძლიერი სისხლდენა, რაც მანგლისში მეორე ბავშვის ხელოვნურად მოშორებას განუპირობებია.

ივანე ციციშვილის მოგონებებში გვხვდება მეტად საინტერესო ცნობები ამ კოლორიტული თავადის, გორის მაზრის მდიდარი მემამულის, ასევე მდიდარი ბიძის

ერთადერთი მემკვიდრის დიმიტრი (მიტუმა) აბაშიძის, მეტად მდიდარ აბესალომ მაჩაბლის ქალზე მისი დაქორწინება-ქორწილისა და მისი სიკვდილის შესახებ. მის ფურცლებზე მიტუმა ახალგაზრდა, ლამაზი, მარდ და კარგ მოცეკვავე, მაგრამ უსწავლელ, ქარაფშუტა და მოქეიფე კაცად იხსენიება.

„მიტუმამ მალე შექამა თავისი ქონება და სავსებით გალოთებული სურამ-ხაშურის კონტოებსა და ძმა-ბიჭებში აღამებდა თავის დროს, სანამ 1924 წელს, სხვებთან ერთად ისიც არ შეიქნა ბედის მსხვერპლი.

საკურველია, რომ სიკვდილის წინ ამ დაცემულ ადამიანში გაიღვიძა წინაპართა გმირულმა სულმა. ხაშურის რაიონში რომ ადგილობრივი თავად-აზნაურნი, მღვდლები და ჩარჩ-ვაჭრები დააპატიმრეს, ნაწილს სიკვდილის განაჩენი გამოუცხადეს. ამ უკანასკნელთა შორის მიტუმაც ერია. ქალაქის გარეთ გაიყვანეს. მხლებელთ შორის ზოგი ისინიც იყვნენ, ვისაც მიტუმასთან არა ერთი დროება გაუტარებია. მიტუმამ მიმართა მათ: „ბიჭებო, თქვენ რომ ბრძანების შეუსრულებლობა არ შეგიძლიანთ, ეგ მეც ვიციო, მარა ამ თქვენს მეზობელს და თქვენთან შეზრდილს ეს სურვილი ამისრულეთო: სიკვდილის წინ ერთიც მაცეკვეთო“. ცნობილ სინო მეზურნის გავლენით ნახევარმა ხაშურმა სტვირისა და დუდუკის დაკვრა იცის. მართლაც ერთ ბიჭს ჯიბეში სტვირი აღმოაჩნდა. ამანაც დაუკრა დავლური, მეორემ თოფის კონდახზე დაირის ხმა ააყოლა. ხელებშეკრული მიტუმა გამოვარდა და გაუსვა თავისებურად. ამ დროს იგრიალი თოფმა. გულადმა დაცემულ მომაკვდავ მიტუმას კვლავ ღიმი უკრთოდა“ (ციციშვილი, 2018: 43).

2. „გიორგი ორბელიანი – ჭკუიანი, ინგლისური განათლება, პაჟთა კორპუსი, პატიოსანი, რაინდი თავის სიტყვისა, საჯინიბო, სანადირო და სხვ. მოურავად ჰყავდა არტურ ყაზაროვი, რომელიც ცოლს ჰყვარობდა. რომ გაიგო, სიცოცხლე შეიზიზდა. ცოლს თავი დაანება და ჭირიანობასთან წავიდა საბრძოლველად. მეტად თამამად იქცეოდა. გადარჩა. მისი ცოლი მეეტლესთანაც ცხოვრობდა. დიდი ჯენტლმენი.

ყაზაროვი პეტერბურგიდან ფულს სთხოვდა. მაინც უშველა გიორგიმ. შვილები ყაზაროვისა იყვნენ. ეს იცოდა გიორგიმ, მაგრამ არ ამჩნევდა და შვილებივით ექცეოდა. ინგლისში მოკვდა, ემიგრაციაში.“- 1924 წლის ჩანაწერი (ჯავახიშვილი, 2015: 13).

აქ მოხმობილი ჩანაწერი ეხება გიორგი ორბელიანს (1853-1924), საზოგადო მოღვაწეს, რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალ-ლეიტენანტს (05.07.1910), რუსეთ-იაპონიის ომისა და პირველი მსოფლიო ომის მონაწილეს (იხ. სურ. 2).

იგი არის პოეტის და გენერლის გრიგოლ ორბელიანის ძმიშვილი და ერთადერთი მემკვიდრე. მამამისი სწორედ ის გენერალ-მაიორი ილია ორბელიანია (1815-1853), რომლის ტყვეობამ შამილთან 1942 წელს შთააგონა მის დისშვილს, პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილს თავისი შედეგის „მერანის“ დაწერა.

ილია ორბელიანს და მის მეუღლეს - ბარბარე ილიას ასულ ბატონიშვილს (1831-1884) 1853 წელს ეყოლა ტყუპი ვაჟი, რომელთაგან ერთი – დიმიტრი – დაბადებიდან მალევე გარდაიცვალა. გიორგი ორბელიანი დიმიტრის ტყუპისცალია. მამით ობოლი გიორგი ორბელიანის აღზრდისა და სწავლა-განათლების საქმეში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის გრიგოლ ორბელიანს, რომელიც მის ოფიციალურ მეურვედაც ითვლებოდა.

1886 წლის 25 ივლისს გიორგი ორბელიანმა იქორწინა მარიამ (მანია) ორბელიანზე (1868-1915), ცნობილი ბანოვანის მანანა ორბელიანის (1808-1870) უმცროსი ვაჟის ალექსანდრე ორბელიანისა (1829-1869) და ევდოკია მიხეილის ასულ სომოვას (1851-1924) ქალიშვილზე.

გიორგი ორბელიანის შვილებად ცნობილნი არიან: ილია (1888-1888), ირაკლი (1890-1937), დავით (1891-1919), გიორგი (1893-1906), ალექსანდრე (1895-1963), ბარბარე (1896-1905), მარიამ (1899-1947), ევდუკია (1900-?) და ოთარ (1902-?) ორბელიანები (ჩიქოვანი, 2012: 5).

გიორგი ორბელიანს ჰყავდა მოურავი – სომეხი არტემ (ზოგიერთი ცნობით-არტურ) ყაზაროვი.

გიორგი ორბელიანის ბიოგრაფიისა და მისი ოჯახის შესახებ ვრცლად იხ. (ცერცვაძე (2021). ლიტერატურული ძიებანი. XLI, გვ. 90-101).

საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკის ამ ჩანაწერმა და გიორგი ორბელიანის იქ ნახსენებმა ოჯახურმა დრამამ უდიდესი დახმარება გაგვიწია უახლეს კვლევაში, რომელიც მწერლის რომანის „ჯაყოს ხიზნების“ პერსონაჟების პროტოტიპებს მივუძღვენით. ისტორიულ პირობათა სამეული - თავადი გიორგი ორბელიანი (1853-1924), მისი მეუღლე მარიამ (მარია, მანია) ორბელიანი (1868-1915) და მათი მოურავი, არტემ (არტურ) ყაზაროვი წარმოჩნდნენ თეიმურაზ ხევისთავის, მარგო ყაფლანიშვილისა და ჯაყო ჯივავილის პროტოტიპებად (ცერცვაძე (2021). ლიტერატურული ძიებანი. XLI, გვ. 99).

3.,,თემა: ალ. ყაზბეგის დედა დიდებული ტიპია. უნდა გამოვიყენო „არსენაში“. ჰგავს მოპასანის „Une vic“-ს“ -1926 წლის ჩანაწერი (ჯავახიშვილი, 2015: 140).

მომხობილ ჩანაწერში ნახსენები პირია მწერალ ალექსანდრე ყაზბეგის დედა - ელისაბედ (კეკე) თარხნიშვილი-ყაზბეგი (იხ. სურ. 3), ესტატე ლუარსაბის ძე თარხნიშვილისა (1793-1857) და სოფიო ედიშერის ასულ ციციშვილის ქალიშვილი. ელისაბედ ყაზბეგის ტიპაჟს მიუპყრია მიხეილ ჯავახიშვილის მწერლური ყურადღება - როგორც ამ ჩანაწერიდან ვიგებთ, იგი მას გ. მოპასანის პირველი რომანის „ცხოვრების“ (1883) პერსონაჟს ჟანას აგონებდა. ელისაბედ თარხნიშვილი გათხოვილი იყო ჯერ თავად იოსებ დიმიტრის ძე თუმანიშვილზე (1806 - 1841-მდე), ხოლო დაქვრივების შემდეგ, 1847 წლის 3 აპრილს ცოლად გაჰყვა პოდპოლკოვნიკს, ხევის მმართველს, აზნაურ მიხეილ გაბრიელის ძე ყაზბეგს (1802(5)-1866).

ელისაბედ ყაზბეგის შესახებ ვრცელი და უახლესი მასალა იხ. სტატიაში (ცერცვაძე (2023). მასალები ალექსანდრე ყაზბეგის ოჯახის ისტორიისათვის ივანე ციციშვილის მოგონებების „60 წლის მანძილზე“ მიხედვით. არქეოლოგ ალექსანდრე რამიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის (2022 წ. დეკემბერი) მოხსენებათა კრებული. გვ. 244-250);

მასვე ეხება კიდევ ერთი, 1927 წლის ჩანაწერი, სადაც ის სხვა ქალბატონთან ერთად არის ნახსენები:

4. „ტიპი - ქართველი დედის - ბაბაღე ონიკაშვილისა, ალ. ყაზბეგის დედა“ - 1927 წლის ჩანაწერი (ჯავახიშვილი, 2015: 207).

ბარბარე (ბაბაღე) სოლომონის ასული ნაკაშიძე (ონიკაშვილი) (?-1904) არის საზოგადო მოღვაწე, ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებლის ზედამხედველი, ქშწკ საზოგადოების წევრი, რუსეთის იმპერიის არმიის პოლკოვნიკის, აზნაურ სოლომონ ნიკოლოზის ძე ონიკაშვილის

ასული, ცოლად ჰყავდა „ტიტულოვან მრჩეველ“ პეტრე ნაკაშიძეს, მათი შვილი იყო პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ილია ნაკაშიძე (ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია, 2022: 672). ვცტირებთ კიდევ ერთ, 1927 წლის ჩანაწერს ბარბარე ონიკაშვილის შესახებ:

„ბაბალე ონიკაშვილი და ოჯახი - ტიპები“ (ჯავახიშვილი, 2015: 219).

5. „ტემა: ელისაბედ ორბელიანისა ერეკლე ბატონიშვილის ნასახლარში დაიბადა (სოლოლაკის ქ. ოტენის აფთიაქის პირდაპირ). შემდეგ ის სახლი ბანკად გადააკეთეს. ბოლოს იქ სახელგამი გადავიდა. ელისაბედი თითქმის გამათხოვრდა და ამ სახლში დაიწყო სიარული. გაახსენდა ბავშვობა, გათხოვება, დედობა...“ – 1930/31 წლის ჩანაწერი (ჯავახიშვილი, 2015: 275).

ელისაბედ ბაგრატიონი (1870-1942), ალექსანდრე ბატონიშვილის (1770-1844) შვილის ერეკლე ბაგრატიონ-გრუზინსკისა (1827-1882) და პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილიშვილის - თამარ დავითის ასული ჭავჭავაძის (1852-1933) ქალიშვილია, (იხ. სურ. 4) ცნობილი ლიტერატორი და მთარგმნელი (ლიტ. ფსევდონიმი „საზანდარი“), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგული ენის პირველი პროფესორი, ცოლად გაჰყვა მამუკა ორბელიანს (1873-1924), მდიდარ მემამულეს, ბორჩალოს მიწის მფლობელს, მეფის არმიის ოფიცერს.

ცოლ-ქმარს ჰყავდა ორი ვაჟიშვილი: თამაზი (1899-1936) - თარჯიმანი, ევროპული ენების კარგი მცოდნე, დაამთავრა თავადაზნაურთა გიმნაზია, მუშაობდა ინგლისელებთან, ითვლება დაკარგულად და ერეკლე (ირაკლი) - ცნობილი მუსიკოს-შემსრულებელი, პიანისტი, კომპოზიტორი (ჩიქოვანი (2012). თავად ორბელიანთა საგვარეულო. გვ. 19 http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/4909/1/Tavad_Orbelianta_Sagvareulo).

6. „მემუარები მარო მელიქიშვილისა და დიმიტრი ჩოლოყაშვილისა“ – 1926 წლის ჩანაწერი (ჯავახიშვილი, 2015: 171).

რადგან ციტირებულ ჩანაწერში მემუარისტები ერთად არიან ნახსენებნი, ისინი უნდა იყვნენ დიმიტრი ერასტის ძე ჩოლოყაშვილი (1868-1916) (იხ. სურ. 5), საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, თელავის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი, კახეთის საგუბერნიო რკინიგზის საზოგადოების გამგეობის წევრი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი (ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია, 2022: 963) და მისი და მარიამ ერასტის ასული ჩოლოყაშვილი (1863-1907), რომელიც გათხოვილი იყო პოლკოვნიკ გიორგი ლევანის ძე მელიქიშვილზე (1858-1902), გენერალ ლევან მელიქიშვილის ვაჟზე.

ამასთან ვერ გამოვრიცხავთ ვერც იმას, რომ მარო მელიქიშვილში იგულისხმებოდეს მარიამ (მართა) ზაქარიას ასული მელიქიშვილი (1855-1921) (იხ. სურ. 6), კავალერიის გენერლის ლევან მელიქიშვილის ძმისშვილი, გენერალ-მაიორ არჩილ გულბათის ძე ჭავჭავაძის (1841-1902) მეუღლე, ომისაგან დაზარალებულთა კავკასიის დახმარების კომიტეტის წევრი, თბილი ტანსაცმლის საწყობის გამგე (ჩიქოვანი, 2002: 48).

7. „თურქებმა რომ ბათომი აიღეს, იქ მყოფი მუშნი დადიანი ფეხშიშველი, თავშიშველი და მკერდგაღელილი გავიდა ქუჩაში და დიდხანს დადიოდა ამგვარად მგლოვიარე“ - 1935 წლის ჩანაწერი (ჯავახიშვილი, 2015: 353).

ივანე (მუშნი) კონსტანტინეს ძე დადიანი (1875-1924) არის ქართველი სამხედრო მოღვაწე, მე-20 საუკუნის დასაწყისის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილე. დახვრიტეს 1924 წლის ანტიბოლშევიკური აჯანყების ჩახშობისას.

8 „ნიკო მუხრანბატონი (ბური) მტკვარში გადავარდა სიმშილისგან“ - 1924 წლის ჩანაწერი (ჯავახიშვილი, 2015: 63).

ნიკო გიორგის ძე ბაგრატიონი, ნიკო ბური (1868-1933) - სამხედრო პირი, მე-19 და მე-20 საუკუნის დამდეგის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე, ინგლისელებისა და ბურების ომის (1899-1902) აქტიური მონაწილე.

როგორც ვხედავთ, სტატიაში განხილული მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკების ჩანაწერები იძლევიან საყურადღებო ცნობებს მწერლის თანამედროვე ქართველ არისტოკრატთა შესახებ, ამდიდრებენ მათ პორტრეტებს სახასიათო შტრიხებით და მათი ბიოგრაფიების საგულისხმო ეპიზოდებს აღწერენ. მართალია ნონფიქშენური ტექსტი არ შეიძლება უტყუარ ისტორიულ წყაროდ მივიჩნიოთ, მაგრამ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ მათ ხშირად გაუწევიათ დახმარება მკვლევართათვის ჭეშმარიტების დადგენაში სხვა წყაროებთან შეჯერებისა და კრიტიკული ანალიზის შედეგად.

გვინდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ მიუხედავად იმისა, რომ მწერლის უბის წიგნაკების ჩანაწერები რამდენჯერმე გამოიცა, ჯერჯერობით, სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება მისი აკადემიური გამოცემა, რომელიც აღჭურვილი იქნება სამეცნიერო აპარატით - შენიშვნებითა და კომენტარებით, პირთა, გეოგრაფიულ სახელთა და სხვა საძიებლებით. სამომავლოდ ვფიქრობთ, აუცილებლად უნდა მომზადდეს ასეთი გამოცემა, რომელიც დიდად შეუწყობს ხელს როგორც მწერლის ცხოვრება-შემოქმედების უკეთ შესწავლის, ასევე მისი ეპოქისა და საზოგადოებრივი გარემოს მეცნიერული კვლევის საქმეს. ჩვენი ამჟამინდელი გამოკვლევა რომელიც უბის წიგნაკების პერსონალიას შეეხება, ზემოთხსენებული სამეცნიერო გამოცემის გზაზე წინგადადგმულ ნაბიჯად გვესახება.

გამოყენებული ლიტერატურა და ბიბლიოგრაფია:

ერისთავი, ე. (2022). მემუარები. გაამოსაცემად მოამზადა, რუსული ტექსტები თარგმნა და სამეცნიერო აპარატი დაურთო მაია ცერცვაძემ. თბილისი. გამომცემლობა „არტანუჯი“.

ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია. (2022). მასალები. თბილისი. გამომცემლობა „უნივერსალი“.

ჩიქოვანი, ი. (2002). თავადი ჭავჭავაძეები. კომენტარები დაურთეს ზეინაზ ლომჯარიამ, იური ჩიქოვანმა. თბილისი. გამომცემლობა „არტანუჯი“.

ჩიქოვანი, ი. (2012). თავად ორბელიანთა საგვარეულო. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/4909/1/Tavad_Orbelianta_Sagvareulo.

ცერცვაძე, მ. (2023). მასალები ალექსანდრე ყაზბეგის ოჯახის ისტორიისათვის - ივანე ციციშვილის მოგონებების „60 წლის მანძილზე“ მიხედვით. არქეოლოგ ალექსანდრე

რამიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის (2022 წ. დეკემბერი) მოხსენებათა კრებული. ხაშური.

ცერცვაძე, მ. (2021). მიხეილ ჯავახიშვილის რომანის „ჯაყოს ხიზნების“ პერსონაჟთა პროტოტიპები“. სამეცნიერო კრებული ლიტერატურული ძიებანი. XLI.

ციციშვილი, ი. (2018). მოგონებები „60 წლის მანძილზე“. გამოსაცემად მოამზადა ნათელა ესტატეს ასული ციციშვილმა.

ჯავახიშვილი, მ. (2011). უბის წიგნაკებიდან. ჩანაწერები. შემდგენლები ცისანა გენძეხაძე, მარინა შიშნიაშვილი. თბილისი. გამოცემა „ინტელექტი“.

ჯავახიშვილი, მ. (2015). უბის წიგნაკებიდან. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს ცისანა გენძეხაძემ და მარინა შიშნიაშვილმა. თბილისი. გამოცემა „ინტელექტი“.

Maia Tsertsvadze
Georgian Technical University

Personalia in Pocket Notebooks by Mikheil Javakhishvili

Summary

The literary legacy of Mikheil Javakhishvili, along with his novels, short stories and other artistic texts includes the records of his pocket notebooks - a significant example of Georgian non-fiction. They provide us useful data around the biography and creativity of the writer. At the same time they are extremely important material and a kind of historical sources for studying the epochal events and society. The fact that the writer was also a prominent public and political figure adds relevance to the issue – he knew well and had a personal relationship with many famous people, was an eyewitness and witness to many noteworthy histories or stories.

Mikheil Javakhishvili's pocket notebooks are full of faces of the era, the names of his Georgian and foreign contemporaries, who attracted his attention.

Thus, the personalia of his pocket notebooks needs special research, which has not been given due attention yet.

In the report, we are presenting the mentioned research. In it, we will try to identify many historical persons recorded in the pocket notebooks, discuss the writer's observations and reflections on them, and fill in and clarify the data around them.

Such studies are highly relevant today, when a lot of falsified theses and statements established by Soviet historical, philological or other sciences are being rejected or reconsidered.



სურ. 1. დიმიტრი (მიტუშა) აბაშიძე დედასთან და ქალიშვილთან ერთად
- ფოტო ციფრული ფოტომატიანე „ივერიელის“ კოლექციიდან



სურ. 2. გიორგი ილიას ძე ორბელიანი-
ფოტო ციფრული ფოტომატიანე „ივერიელის“
კოლექციიდან



სურ. 3. ელისაბედ (კეკე) თარხნიშვილი-ყაზბეგი
ფოტო ციფრული ფოტომატიანე „ივერიელის“
კოლექციიდან



სურ. 4. ელისაბედ ერეკლეს ასული ბაგრატიონი-
ორბელიანისა - ფოტო ციფრული ფოტომატიანე
„ივერიელის“ კოლექციიდან



სურ. 5. დიმიტრი ერასტის ძე ჩოლოყაშვილი
მეულლესთან მარტა ამილახვართან ერთად - ფოტო
ციფრული ფოტომატიანე „ივერიელის“ კოლექციიდან



სურ. 6. მარიამ (მარტა) ზაქარიას ასული
მელიქიშვილი



სურ. 7 ივანე (მუშნი) კონსტანტინეს ძე
დადიანი (1875-1924) - ფოტო ციფრული ფოტომატიანე
„ივერიელის“ კოლექციიდან



სურ. 9. ნიკო გიორგის ძე ბაგრატიონი, ნიკო ბური

იაპონია-საქართველოს ურთიერთობების ამსახველი ფოტომასალა
(საქართველოს საინფორმაციო სააგენტოს ფონდის საფუძველზე)

იაპონიისა და საქართველოს ურთიერთობები არც ისე ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს, მაგრამ ორი ერის ინტერესი ერთმანეთისადმი სხვადასხვა ასპექტში იჩენდა თავს. ამ კვლევის მიზანია კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალურ არქივში დაცული ფოტომასალების საფუძველზე საქართველოსა და იაპონიის ურთიერთობის წარმოჩენა, მეთოდი კი კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალურ არქივში არსებული ბარათული კატალოგის შესწავლა, ფოტოების თავმოყრა და, სხვადასხვა რესურსის გამოყენებით, მათზე გამოსახულ პირთა და მოვლენათა იდენტიფიკაცია. ეს გახლავთ გასულ წელს (2022) დაწყებული კვლევის მეორე და დასკვნითი ნაწილი, რომელიც, ფაქტობრივად, ამოწურავს აღნიშნულ თემას. ამ ეტაპზე ყურადღება გამახვილებულია საქართველოს საინფორმაციო სააგენტოს („საქინფორმი“) ფოტომასალებზე.

იაპონია-საქართველოს ისტორიის საწყისი ძველ ქართულ წყაროებში უნდა ვეძიოთ, სადაც „ამომავალი მზის ქვეყანა“ პერიოდულად იხსენიება, ასე მაგალითად, XVIII საუკუნეში ვახტანგ VI თავის ნაშრომში „წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის“ იაპონიას „ჯაფანად“ მოიხსენიებს და აღწერს იაპონური სპილენძის თვისებებს (ჯავახიშვილი (2014). ამომავალი მზის ქვეყანა ქართველთა თვალთ. ისტორიანი. №6 (42), გვ. 12); ასევე, იოანე ბატონიშვილი თავის თხზულება „კალმასობაში“ იაპონიას ცალკე თავს უძღვნის და მოგვითხრობს ქვეყნის მდებარეობის, კლიმატური და კულტურული თავისებურებების შესახებ (...“ჩვეულებად აქუთ და წესად, რომელ შავი ფერი მათ შორის ნიშნავს სიხარულსა და თეთრი ფერის საცმელი - მწუხარებასა“) (ჯავახიშვილი (2015). იაპონიის ასახვა ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. №2 (17), გვ. 212).

ორი ქვეყნის ურთიერთობებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი მაინც იაპონიის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებაა - საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა პარიზიდან დელეგაციის თავმჯდომარის ნიკოლოზ ჩხეიძისაგან შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო: „7 თებერვალს მივიღეთ შემდეგი ბარათი: საზავო კონფერენციის გენერალურ სეკრეტარს აქვს პატივი აცნობოს საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარეს, რომ იაპონიის მთავრობამ ახლა გვაუწყა: ბრიტანეთის, საფრანგეთის და იტალიის მთავრობას იგიც უერთდება საქართველოს მთავრობის „დე ფაქტოს“ აღიარებაში. ჩხეიძე.“ ეს ცნობა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1920 წლის 20 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა.

თავად საქართველოს საინფორმაციო სააგენტო, რომლის მასალებიცაა ამ ნაშრომის მთავარი ფოკუსი, 1921 წელს შეიქმნა და მას წლების მანძილზე არაერთხელ გადაერქვა სახელი - თავიდან იყო „რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ამიერკავკასიის განყოფილების სამმართველო“, შემდეგ „ამიერკავკასიის დეპეშათა სააგენტო“ ეწოდა, 1936 წლიდან - საქართველოს დეპეშათა სააგენტო (საქდესი), ხოლო 1972 წლიდან უკვე „საქინფორმა“

მოიხსენიებოდა. საქართველოს მინისტრთა საბჭოს დაქვემდებარებაში არსებული ეს ორგანიზაცია რესპუბლიკის მთავარი საინფორმაციო სამსახური გახლდათ და საქართველოს საოლქო, საქალაქო და რაიონულ გაზეთებს, ტელევიზიასა და რადიოს აწვდიდა ინფორმაციას პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ ცხოვრებაში მომხდარი უმნიშვნელოვანესი მოვლენების შესახებ, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. „საქინფორმის“ დაქვემდებარებაში იყო საკორესპონდენტო პუნქტები აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქსა და სხვა ცალკეულ რეგიონებში.

სააგენტოს შემადგენლობაში იყო ხუთი მთავარი რედაქცია (რესპუბლიკური, საკავშირო, უცხოეთის, ფოტოინფორმაციისა და მთარგმნელთა), მათ გააჩნდათ თავიანთი ლაბორატორიები ფერადი და შავ-თეთრი ფოტოებისთვის და, რაც მთავარია, აქ მუშაობდნენ ისეთი ცნობილი ფოტოგრაფები, როგორებიც არიან: გივი კიკვაძე, ოთარ თურქია, ანატოლ რუხაძე, სერგო ედიშერაშვილი, მალხაზ დათიკაშვილი, ივანე დვალი და სხვა. მათ უდიდესი წვლილი შეიტანეს ქართული ფოტოგრაფიის განვითარებაში და, იმ დროს არსებული საბჭოთა ცენზურის მიუხედავად, დოკუმენტური ფოტოგრაფიის საუკეთესო ნიმუშები შექმნეს. „საქინფორმის“ ფოტონეგატივებისა და სლაიდების კოლექცია საქართველოს ეროვნულ არქივს 2007 წელს გადაეცა.

საბჭოთა იზოლაციის პირობებში იაპონია-საქართველოს ურთიერთობები შეზღუდული იყო და მხოლოდ კულტურულ და სპორტულ სახეს ატარებდა, თუმცა გარკვეული კავშირები მაინც დამყარდა, რამაც ორი ერის დაახლოებასა და, საერთო ინტერესების საფუძველზე, ერთმანეთის უკეთ გაცნობას შეუწყო ხელი. საქართველოს ეროვნული არქივის კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური არქივის საქინფორმის მასალის ქრონოლოგიური ჩარჩოებია 1970-2000-იანი წლები და ძირითადად ასახავს კულტურულ თანამშრომლობას საბჭოთა პერიოდში და დიპლომატიურ ურთიერთობებს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ.

პირველ ფოტოზე (სურათი №1), რომელიც 1972 წლითაა დათარიღებული, ვხედავთ თბილისში ჩამოსულ იაპონელ ქალ მომღერალთა გუნდს, რომელიც სცენაზე სიმღერას ასრულებს. დაკონკრეტებული არაა კოლექტივის სახელი ან ღონისძიების ადგილმდებარეობა. ქრონოლოგიურად შემდეგია კვარტეტ „როალ ნაითსის“ (Royal Knights; სამეფო რაინდები) 1975 წელს თბილისში გამართული კონცერტის ამსახველი ფოტო (სურათი №2). ელექტრონულ რესურსებზე ინფორმაციის მოძიების შემდეგ გაირკვა, რომ ეს ჯგუფი 1959 წელს შეიქმნა. მათი სახელი 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებს (პირველი ოლიმპიური თამაშები აზიის კონტინენტზე) უკავშირდება, რომლისთვისაც მათ შექმნეს სიმღერა „Dream Five“. კვარტეტი „როალ ნაითსი“ განსაკუთრებული პოპულარობით რუსეთში სარგებლობდა. 1970-იან წლებში საბჭოთა კავშირის მასშტაბით (ასევე, „სოციალისტური ბანაკის“ ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა რუმინეთი და უნგრეთი) მოეწყო ჯგუფის ტურნე, რომლის ფარგლებშიც უნდა ვივარაუდოთ მათი ვიზიტი საქართველოში.

იაპონია სახელგანთქმულია თავისი დღეგრძელი მოქალაქეებით და ისინი ამ კუთხით სხვა ხალხებსაც შეისწავლიან. სწორედ ამიტომ ისინი არაერთხელ ჩამოსულან საქართველოში,

უფრო კონკრეტულად კი აფხაზეთში. შემდეგი ფოტო (სურათი №3) ასახავს 1976 წელს იაპონელი სტუმრების, პროფკავშირების აქტივისტების ვიზიტს გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფში, სადაც ისინი შეხვდნენ 107 წლის აფხაზ მაცხოვრებელს.

იმავე თემის ერთგვარი გაგრძელებაა მომდევნო რამდენიმე ფოტო (სურათები №4 და 5), რომლებიც ამ კვლევის მთავარ აღმოჩენად შეიძლება ჩაითვალოს. 1982 წელს მოეწყო საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი პირველი ტელეხიდი „ლიხნი-ტოკიო“. ტელეხიდი განხორციელდა იაპონურ ტელეარხ TV ASAHI-ის (იგივე channel 5) ინიციატივით. ეს გახლავთ ტელევიზია, რომელიც 1957 წლიდან მუშაობს მთელი იაპონიის მასშტაბით და TV ASAHI holdings-ის კორპორაციის ნაწილია. 1982 წელს ამ არხის მთავარი პროდიუსერი (ტომაი ტამა), 2 ოპერატორი და 2 კორესპონდენტი (ერთ-ერთის სახელია იუკო ენდო) ეწვია ლიხნს. ქართულ მხარესთან შეთანხმებით მოეწყო ტელეხიდი, რომლის ექსკლუზიური უფლება იაპონურ მხარეს ჰქონდა. იაპონელი ჟურნალისტები ესტუმრნენ მხცოვან აფხაზს სახელად თემურ ვანაჩას, რომელიც იმ დროისთვის 112 წლის იყო. იქედან გამომდინარე, რომ ვიდეომასალა იაპონურ მხარეს დარჩა, ჩვენს არქივში ამ მოვლენის ფოტოების არსებობა მაინც მნიშვნელოვანი ფაქტია, ბარათებიდან კი ვიგებთ იმ პირთა გვარ-სახელებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ ისტორიულ ტელეხიდში.

შემდეგი რამდენიმე ფოტო ერთ წელს განვითარებულ მოვლენებს ეხება. 1987 წელს იაპონელი სტუდენტები ეწვივნენ საქართველოს. ერთ-ერთ ფოტოზე ვხედავთ ანზორ ერქომაიშვილს (სურათი №6), რომელიც სტუდენტებს რეპეტიციას უტარებს. შემდეგი რამდენიმე ფოტოს (სურათები №7 და 8) შესახებ ბარათულ კატალოგში ვკითხულობთ: „იაპონური სიმღერა ალავერდის კედლებთან“, აღბეჭდილ პირთა იდენტიფიკაციაცაა შესაძლებელი - ესენი არიან ანსამბლ „წინანდლის“ წევრები: ლევან აბაშიძე და დავით გაგანაშვილი, ხოლო იაპონელი სტუმრის სახელია ომაგა სიმძიუ. მის შესახებ ინფორმაციის მოძიება ვერ მოხერხდა (შესაძლებელია, რომ ბარათულ კატალოგში გვარი არასწორად იყოს მითითებული, რადგან იაპონური გვარ-სახელების ტრანსკრიფციით გადმოტანისას მცირე უზუსტობები იჩენს თავს). ასევე, არ ვიცით, ეს ფოტოები ერთი ღონისძიების ფარგლებშია გადაღებული თუ ორ, ერთმანეთისგან დამოუკიდებელ მოვლენას ასახავს.

ამავე წელს დაემთხვა იაპონურ ანსამბლ „იამასიროგუმის“ საქართველოში ჩამოსვლა - ფოტოებზე აღბეჭდილია მათი ჩამოსვლა ბორჯომის კომპოზიტორთა სახლში (სურათები №9 და 10). ანსამბლი „იამასიროგუმი“, უფრო სწორად კი „გეინო იამაშიროგუმი“, გახლავთ იაპონური მუსიკალური კოლექტივი, რომელიც 1974 წელს შეიქმნა. მათ შემოქმედებაში ფოლკლორული ელემენტები ერწყმის როკ და ელექტრონულ მუსიკას. ამ კოლექტივის შესახებ 1988 წელს მსოფლიო გაიგებს, რადგან იაპონელი მანგა-არტისტი კაცუჰირო ოტომო თავის საკულტო მანგა „აკირას“ ეკრანულ ადაპტაციაზე დაასრულებს მუშაობას, რომლისთვისაც საუნდტრეკს სწორედ „იამაშიროგუმის“ კოლექტივი შექმნის. მათ სცენაზე ჩამოსვლისას სახასიათო ზოლიანი კოსტუმები ეცვათ ხოლმე და სწორედ ასეთ ჩაცმულობას ვხედავთ ფოტომასალაზეც.

შემდეგ უკვე იწყება დამოუკიდებელ საქართველოსა და იაპონიას შორის დამყარებული დიპლომატიური ურთიერთობების ამსახველი ფოტომასალა, რომელიც

ღირებულია ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იაპონიამ საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა 1992 წლის აპრილშიც და ამავე წლის აგვისტოში დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობები. იაპონიის საელჩო თბილისში გაიხსნა 2009 წლის იანვარში; მანამდე საქართველოსთან ურთიერთობები ხორციელდებოდა რუსეთსა ან აზერბაიჯანში მყოფი საელჩოების მეშვეობით. ასევე, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ, იაპონიის მთავრობამ UNHCR-ის მეშვეობით გამოყო 1 მილიონი აშშ დოლარი, როგორც გადაუდებელი ჰუმანიტარული დახმარება იძულებით გადაადგილებული პირებისათვის. ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების განვითარების მიზნით ამავე წელს დაარსდა იაპონურ-ქართული ეკონომიკური კომიტეტი.

პირველ ფოტოზე (სურათი №11) ვხედავთ საქართველოში იაპონიის პირველ ელჩს, სუმიო ედამურას (1992-1993), რომელიც რწმუნებათა სიგელს გადასცემს ედუარდ შევარდნაძეს. ფოტო დათარიღებულია 1993 წლით. შემდეგ ფოტოზე (სურათი №12) ელჩი ტეცუია ჰიროსეს (2000-2002), ასევე რწმუნებათა სიგელს გადასცემს ედუარდ შევარდნაძეს. ფოტო დათარიღებულია 2001 წლით. შემდეგი ფოტომასალა (სურათი №13) ასახავს უკვე მომდევნო ელჩის, ტომიუკი ფუჯივარას (2002-2004) მიერ ედუარდ შევარდნაძესთვის რწმუნებათა სიგელის გადაცემის მომენტს. მანამდე, 1999 წლის მარტში (4 მარტიდან 8 მარტის ჩათვლით) საქართველოს პრეზიდენტი ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა იაპონიაში, სადაც მან ხელი მოაწერა ორმხრივი ვაჭრობის შეთანხმებას. მას ახლდა საქინფორმის თანამშრომელი ფოტოგრაფი სერგო ედიშერაშვილი და ამ მოვლენის ამსახველი ფოტომასალაც ამჟამად საქინფორმის ფონდის ნაწილია (სურათები №14, 15, 16 და 17). იაპონიის პრემიერ-მინისტრი ამ წლებში კეიძო ობუჩი იყო და ხელმოწერის ცერემონიის ამსახველ ერთ-ერთ ფოტოზე ისიცაა აღბეჭდილი.

უკვე აღინიშნა და ზემოხსენებული მასალა ამტკიცებს იმ ფაქტს, რომ საქინფორმის ფოტოკორესპონდენტები ხშირად მუშაობდნენ უცხოეთში. ისინი აღბეჭდავდნენ მნიშვნელოვან პოლიტიკურ თუ ისტორიულ მოვლენებს, მაგრამ, ამის გარდა, ინტერესდებოდნენ სხვა ქვეყნის კულტურით და ყოფით. სწორედ ასეთ ფოტოების (სურათები №18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26 და 27) ავტორია საქართველოს საინფორმაციო სააგენტოს ფოტოინფორმაციის მთავარი რედაქტორი ოთარ თურქია. მან იაპონიაში 1983 წელს იმოგზაურა და ფირზე აღბეჭდა 4 დიდი ქალაქი - ტოკიო, კიოტო, ოსაკა და ხიროშიმა. ვხედავთ ქალაქების არქიტექტურას, მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებას, ცნობილ იაპონურ თევზის ბაზრობებს, ჩაის ტერემონიის ამსახველ კადრებს. ამ ფოტოებს გააჩნია არამხოლოდ ინფორმაციული, არამედ მხატვრული ღირებულება, რადგან ჩვენ წინაშეა შავ-თეთრი ფოტოგრაფიის უზადო ნიმუშები, თავად ფოტოგრაფი კი თავისუფლად შეგვიძლია ქუჩის ფოტოგრაფიის მიმართულების თვალსაჩინო წარმომადგენლად მივიჩნიოთ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კვლევის პროცესში 30-მდე ფოტოსურათი გამოვლინდა და ამით, ფაქტობრივად, ამოიწურა არქივში დაცული იაპონია-საქართველოს ურთიერთობების ამსახველი ფოტომასალის საკითხი. ზოგი ფოტო შეიძლება ცნობილი იყოს

მკვლევართათვის, თუმცა მასალის ამგვარი თავმოყრის და ანალიზის მორიგი მცდელობა, ვფიქრობ, მაინც მნიშვნელოვანია.

ფოტომასალა:



სურათი № 1



სურათი № 2



სურათი № 3




სურათი № 4



სურათი № 5



სურათი № 6



სურათი № 7



სურათი № 8



სურათი № 9



სურათი № 10



სურათი № 11



სურათი № 12



სურათი № 13



სურათი № 14



სურათი № 15



სურათი № 16



სურათი № 17




სურათი № 18



სურათი № 19



სურათი № 20



სურათი № 21



სურათი № 22



სურათი № 23



სურათი № 25



სურათი № 26



სურათი № 27

წყაროები:

1. საქართველოს ეროვნული არქივი - <https://archive.gov.ge/>;
2. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო - <https://mfa.gov.ge/>;
3. იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრო - <https://www.mofa.go.jp/region/europe/georgia/pv9903-3.html>;
4. იაპონიის საელჩო საქართველოში - https://www.ge.emb-japan.go.jp/itprtop_ka/index.html;

5. <https://kolga.ge/exhibitions/givi-kikvadze?locale=ka>;
6. <https://www.artscouncil-tokyo.jp/en/what-we-do/support/program/46992/>;
7. <https://www.gettyimages.com/detail/news-photo/georgian-president-eduard-shevardnadze-and-japanese-prime-news-photo/640114298>;
8. ჯავახიშვილი, ნ. (2014). ამომავალი მზის ქვეყანა ქართველთა თვალით. ისტორიანი. №6 (42). თბილისი;
9. ჯავახიშვილი, ნ. (2015). იაპონიის ასახვა ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. №2 (17). თბილისი.

Mariam Gunia

National Archives of Georgia

Visual Documents representing Japan-Georgia relations

(Based on materials of Georgian Information Agency)

Summary

Relations between Japan and Georgia are not long-term, but two nations were always interested in one another. The subject of this report is to highlight history of Georgian and Japanese relations based on photo materials, which are preserved in Central Archive of Audio-Visual Documents. This is second and final part of a research started in 2022. This year's focus will be photos of Georgian Information Agency, which was covering various field of life - economic, cultural or social events inside and outside of the country over the years.

A goal is to gather material and to organize it chronologically. Method of the research is examining card catalogues, collecting all photos related to the subject and identifying persons/historic events presented on them by using different resources. Chronological framework in this particular case is 1970-2000-ies.

Research revealed approximately 30 photos, which are valuable based on the fact that agency had one of the best photographers and reporters working in different parts of Georgia. That's why, during this research, we have discovered unique material representing one of the first teleconference in Soviet Union – experimental broadcast “Lykhny -Tokyo”, when journalists from famous Japanese television channel TV Asahi came to one of the regions of Georgia - Abkhazia. Research also includes finest black and white street photography examples of Georgian photographer Otar Turkia, who visited Japan in 1983 and was able to capture spirit of 4 different Japanese cities – Tokyo, Kyoto, Osaka and Hiroshima. Colored photos show diplomatic relations between Japan and independent Georgian republic – official visits, formal reception of Ambassadors, et cetera – that are very important for newest history of the country.

ეკატერინე კონტრიძე
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა
და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

„მამლუკი“, ანუ ფილმის შექმნის სულ სხვა ისტორია

ჩვენ ყველანი, საბჭოთა სისტემიდან მოვდივართ; ძალადობის, რეპრესიების, ტერორის და უსამართლობის სასტიკი სისტემიდან. ტოტალიტარულ გარემოში ცხოვრების 70 წლის მანძილზე, მუდმივად ხდებოდა ჩვენი ქვეყნის ისტორიის ფალსიფიცირება, წარსულის გადაწერა, გადაკეთება და ტყუილის ისტორიულ სინამდვილედ წარმოჩენა...

გაყალბებულია როგორც საქართველოს ისტორია, ასევე ქართული კინოს ისტორიაც. ქვეყნიდან გატანილია ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტები, ფოტოები და კინოფირები... გამქრალია დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში გადაღებული როგორც დოკუმენტური კადრები, ასევე კინოდოკუმენტაცია... მთლიანად გატანილია 1937-1938 წლების „სახკინმრეწვის“ მუშაობის მასალები... „დოკუმენტური და სამეცნიერო პოპულარული ფილმების სტუდიის“ მასალები კი მხოლოდ 50-ანი წლებიდან იწყება...

იმისათვის, რომ წარმოდგენა გვქონდეს, თუ როგორ მუშაობდა „სახკინმრეწვი“ საბჭოთა ცენზურის პირობებში, ერთი ფილმის გადაღების სულ სხვა ისტორიას მოგიყვებით, ისტორიას, რომელიც არქივში გაფანტული მასალებიდან აღვადგინე და რომელიც 20 წელზე მეტს მოიცავს...

1958 წელს საბჭოთა ეკრანებზე დავით რონდელის მხატვრული ფილმი „მამლუკი“ გამოვიდა. ფილმის სცენარი უიარაღოს (კონდრატე თათარაშვილის) 1912 წელს გამოქვეყნებული მოთხრობის მიხედვით დავით რონდელმა დაწერა.

ამ მოთხრობის მიხედვით გადაღებულმა პატრიოტული სულისკვეთების ფილმმა მაყურებელში დიდი სიყვარული დაიმსახურა და ის დღემდე მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ქართულ კინემატოგრაფში.

აქ, ამ ამბავში ახალი და გასაკვირი არც არაფერი იქნებოდა, რომ არა არქივში ნაპოვნი აქამდე უცნობი მასალები, კერძოდ „მამლუკის“ ორი ძველი, გაცრეცილი ლიტერატურული სცენარი, რომელსაც გარკვევით აწერია 1936 წელი. ერთ-ერთი მათგანი 8 გვერდიანია და მას გარეკანზე ასევე გარკვევით აწერია „სცენარის ავტორი ტიციან ტაბიძე“ (სეა, უიკა, ფ. 52, ან.2, ს. 1598), ხოლო მეორეა 36 გვერდიანი, 5 ნაწილიანი კინოსცენარი წარწერით - „მამლუკი“ (სეა, უიკა, ფ. 52, ან. 2, ს. 1599) და მასაც ტ. ტაბიძე აწერია („მამლუკი“ უიარაღოს მოთხრობის სათაურია და არა „მამლუკი“ როგორც დ. რონდელის ფილმის სათაური).

30-იანი წლების „სახკინმრეწვის“ სამხატვრო საბჭოს სხდომის ოქმებში წერია, რომ უიარაღოს მოთხრობა „მამლუკი“ დიდი ხნის განმავლობაში იყო ქართველ კინომუშაკთა შემოქმედებითი ინტერესის საგანი და ნაწარმოების ეკრანიზაციის მოთხოვნა არაერთხელ განუცხადებიათ სტუდიის კინორეჟისორებს. 1936 წელს კი ეკრანიზაციის იდეა როგორც იქნა სასცენარო განყოფილებამ ოფიციალურად წარმოადგინა. ნაწარმოების კინოსცენარად გადაკეთება კი სტუდიის ხელმძღვანელობამ ახალგაზრდა პოეტ ტიციან ტაბიძეს დაავალა.

ფრაგმენტი სახკინმრეწვის სამხატვრო საბჭოს სხდომიდან (სტენოგრაფიული ჩანაწერი):

„... ამხანაგი ალხაზიშვილი: მასალა ძალიან კინემატოგრაფიულია, მაგრამ მე მგონია, რომ საჭიროა ფინალი ცოტა გადაკეთდეს. მაშინ გაქრება ის ნაციონალისტური ელფერი, რომელიც აქვს რომანს. აუცილებელია, ასევე, მასალა გათავისუფლდეს რომანტიზმისაგან. ძირითადად თემა მისაღებია.

ამხანაგი თითბერიძე: ვეთანხმები ყველა შენიშვნას და ვთვლი, რომ ამ მასალას უნდა მოსცილდეს ყველაფერი ნაციონალისტური და ის უნდა დარჩეს წმინდად სოციალურ თემად....

ამხანაგი მგალობლიშვილი: ... თუ არადა, ის ჩვენს თემების და ჩვენს გეგმას არ შეესაბამება“...

სიტყვა მამლუქი არაბულად თეთრკანიან მეომარ მონას ნიშნავს და ამბავიც მე-18 საუკუნეში საქართველოდან ხალხის გატაცებისა და უცხოეთში მონებად გაყიდვის ტრაგედიაზე მოგვითხრობს. უიარაღოს მოთხრობაში, პირველწყაროში ავტორი თხრობას მარტივად, ტიპური ქართველი გლეხების ტაგუიასა და მზეხას ოჯახის აღწერით იწყებს. შემდეგ მათ უმცროს ბიჭს, ხვიჩას მოსტაცებენ და ასე იწყება ბიჭის ტრაგიკული ისტორია. ბიჭს გასაყიდად თურქეთში გემით გადაიყვანენ. გემზე შეშინებული და ატირებული პატარა ხვიჩა ქართველ ტყვეებს სალომესა და რეზოს მიეკედლება. სტამბულში ჩასულებს რეზოს და სალომეს მდიდარი ვენეციელი ვაჭარი წაიყვანს, ხვიჩას კი მამლუქად გაამწესებენ.

30 წლის შემდეგ, მამლუქი მაჰმუდი-ხვიჩა, ფრანგებთან ბრძოლისას, ვენეციელ მხედართმავრის გარეგნობაში ნაცნობ ნაკვთებს დაინახავს, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ვენეციელი სიკვდილის წინ ქართულად „ვაი ნანას!“ შესძახებს, ხვიჩა-მაჰმუდი მოკლული ჯარისკაცის სახეში რეზოს და სალომეს შვილს ამოიცნობს.

ტიციან ტაბიძის პირველი კინოსცენარი ზუსტად მიყვება უიარაღოს ამ სიუჟეტს და ის ფაქტიურად გეგმაა მომავალი ფილმისათვის.

მეორე, 36 გვერდიანი სცენარი კი მართლაც ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის დასრულებული კინოსცენარია. აქ დამატებულია პერსონაჟები და საინტერესოა დახატული გმირების ხასიათები. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სცენარში დასაწყისშივე შემოდის კიდევ ერთი პერსონაჟი - გოჩა, რომელიც ისევ ჩნდება სტამბულში მონათა ბაზრობაზე და ფილმის ფინალში ვენეციელი მხედართმავრის სახით. ამ პერსონაჟის შექმნა და სცენარში დამატება, მთლიანად ტიციან ტაბიძის, იდეაა.

„... ტყით და ხშირი ბუჩქნარით დაფარული სერი, სადაც თხები გაფანტული. მათ სდარაჯობს ორი პატარა ბიჭი. ერთი იქნება 6 წლისა, მეორე - 8 წლისა. ბავშვები ნიაღვრისგან ჩამორეცხილ დაქანებაზე თამაშობენ. 8 წლისას მარჯვენა ყურის ბიბილო ორად გაპოხილი აქვს. პაწია დააჩერდება, ხელს მოავლებს და უკვირს, თუ რატომ არის გოჩას ყური ასე უცნაურად ორად გაპოხილი, თავისი კი ორივე მრთელია. გოჩა უხსნის, რომ ეს მას დაბადებიდანვე აქვს და ამიტომაც „ჩხოტორიას“ ეძახიან“ (ფრაგმენტი კინოსცენარიდან) (სეა, უიცა, ფ. 52, ან. 2, ს. 1999).

სცენარის სიუჟეტი შემდეგ ისევ ზუსტად მიყვება უიარაღოს თხრობას, მაგრამ ისტორიული კონტექსტის პარალელურად, უფრო ღრმად არის წარმოჩენილი ქვეყნის

ეროვნული ტრაგედია. უფრო მტკივნეულად გვიხატავს ქართველთა გატაცებისა და მონებად გაყიდვის მძიმე ბედს.

მღვდელი მარკოზის გმირიც მეტად კეთილი და მზრუნველი პერსონაჟია, რომელიც ქართველი სასულიერო პირის კრებითი სახე უფროა.

უიარაღოს მოთხოვნისგან განსხვავებით, სცენარში დამატებულია ასევე სასიყვარულო ხაზი, უფრო სწორედ, უიღბლო სასიყვარულო სამკუთხედი.

სცენარში უიარაღოს მოთხოვნისაგან განსხვავებით, მაჰმუდი ხვდება თანამემამულეებს, ამიტომაც ამბავს ფონად განუწყვეტლად დაჰყვება მონატრებული საქართველოს თემა. ბავშვობისდროინდელი მივიწყებული მოგონებები და ნოსტალგიის სევდიანი ემოცია, რაც კიდევ უფრო ცოცხალს და საინტერესოს ხდის მონა-მეომრის უიღბლო ბედს.

მეტი დამაბულობის შესაქმნელად სცენარში გამოყენებულია „მოულოდნელობის“ ეფექტი - მოულოდნელად იკარგება ჯერ გოჩა, შემდეგ მოულოდნელად იტაცებენ ხვიჩას, მოულოდნელად კლავენ მღვდელ მარკოზს და ისევ იტაცებენ ხვიჩას. შემდეგ სტამბოლში ისევ მოულოდნელად ხვდებიან ერთმანეთს გოჩა და ხვიჩა, მოულოდნელად ხვდება მაჰმუდი ქართველ ლუნ-ხათუნს და ბოლოს, ბრძოლის ველზე მოულოდნელად კლავს საკუთარ ბიძაშვილს, ბავშვობის მეგობარ „ჩხოტორია“ გოჩას.

განსაკუთრებულად ემოციურად არის აღწერილი ფინალური სცენა. გოჩას სიკვდილის შემდეგ, სწორედ ბრძოლის ველზე ხდება მთავარი კულმინაცია - მაჰმუდს ახსენდება შორეული ბავშვობა, სამშობლო, დედა, თავისი ოჯახი, სოფელი... ამეტყველდება შინაგანი ხმა და ხვდება ყველაზე მთავარს, რომ არც თავად არის არაბი მხედართმთავარი და არც გოჩა იყო ვენეციელი მეომარი, ორივე უბედური საქართველოს შვილები იყვნენ, უსამართლოდ მოტაცებული და გაყიდული...

ფინალური სცენა არის მაჰმუდის თვითგაგებისა და იდენტიფიკაციის ძიების მთავარი აქცენტი, რომელიც მაშინდელ ხელმძღვანელობას და ცენზურას, ალბათ, ავისმომასწავებელ სიმბოლოდ ეჩვენა. ეს მინიშნება ხომ ქართველი ხალხის იდენტიფიკაციის და სამშობლოს ძიების სიმბოლოდ შეიძლება დაენახათ... ეს სიმბოლური მინიშნება კი იმ დროს მართლაც შეიძლებოდა გამხდარიყო სცენარის დაწუნების მიზეზი. სამწუხაროდ, ამიტომაც ტიცინ ტაბიძის ამ ლიტერატურული სცენარით ფილმის გადაღება არ მოხდა...

კიდევ ერთი მიზეზი, თუ რატომ ვერ მოხდა ტიცინ ტაბიძის სცენარის ეკრანიზაცია, ისევ ეროვნული არქივის დოკუმენტებშია. „სახკინმრეწვის“ ერთ-ერთ დოკუმენტში ჩამოთვლილია: „ავტორები, რომლებმაც არაკეთილსინდისიერად შეასრულეს სტუდიასთან დადებული ხელშეკრულება“. ამ ჩამონათვალში მოხსენიებულია ტიცინ ტაბიძე, სცენარისათვის „მამლუკი“. დოკუმენტი დათარიღებულია 1937 წლით და მნიშვნელოვანია იმით, რომ ტიცინ ტაბიძესთან ერთად, „არაკეთილსინდისიერ ავტორებად“ დასახელებულია „სამუელ კუპრაშვილი სცენარისათვის „ორი ზღვა“ და „აბო“¹¹⁶; გიორგი გუგუნავა

¹¹⁶ სცენარისტი სამუელ კუპრაშვილი 1937 წელს დახვრიტეს.

სცენარისათვის „იქ, სადაც იქმნება ამინდი“ და „ხიდი ენგურზე“¹¹⁷; მიხეილ ჯავახიშვილი სცენარისათვის „არსენა მარაბდელი“¹¹⁸...

შესაძლებელია, სწორედ სცენარზე მუშაობის პერიოდში მოხდა ტიციან ტაბიძის დაპატიმრება და შემდეგ მისი დახვრეტა, ამიტომ სტუდიის ხელმძღვანელობამ „მამლუქის“ შეჩერების ოფიციალურ მიზეზად „სცენარის ავტორის არაკეთილსინდისიერი მუშაობა“ დაასახელა.

„მამლუქის“ ტიციან ტაბიძისეული ვერსიის მხოლოდ ეს ორი მოკლე სცენარი გადარჩა, ხოლო ფილმის გადაღების იდეა, დიდი ხნით დაივიწყეს.

წლების შემდეგ, უკვე 1954 წელს „სახკინმრეწვის“ სასცენარო განყოფილებაში შედის კინორეჟისორ დავით რონდელის განცხადება: „გთხოვთ შეიტანოთ თემატურ გეგმაში კინოსცენარი „მამლუქები“. აგრეთვე, აღნიშნული ნაწარმოების საფუძველზე სცენარისა და ფილმის შექმნა დამევალოს მე, რადგან წინათაც მქონდა ამ ნაწარმოებზე განაცხადი.

დავით რონდელი 02.08. 1954წ.“ (სეა, უიცა, ფ. 52, ან. 2, ს. 1597).

იმავე წლითაა დათარიღებული შალვა აფხაიძის დასკვნა დავით რონდელის სცენარზე „მამლუქები“: „სცენარზე მუშაობისას ავტორმა უნდა გაითვალისწინოს ერთი მთავარი შენიშვნა: ხვიჩას თავად ალექსანდრესაგან დაიხსნის და შემდეგ უვლის მღვდელი მარკოზი. რელიგიის მსახურის სცენარში ამ რიგად გამოყვანა არ არის სასურველი. მღვდლის ნაცვლად აღებული უნდა იქნეს რომელიმე სხვა პროფესიის კაცი.

სასცენარო განყოფილების უფროსი შ. აფხაიძე 28.10. 1954 წელი“

(სეა, უიცა, ფ. 52, ან. 2, ს. 1597).

„მამლუქის“ საბოლოო, 86 გვერდიანი კინოსცენარი, რომელიც კინოსტუდია „ქართული ფილმის“ საარქივო მასალებში დევს, არის რუსულ ენაზე და დათარიღებულია 1955 წლით.

კინოსცენარის ბოლო ვარიანტი, ტიციან ტაბიძის სცენარისაგან ოდნავ განსხვავდება. აქ დამატებულია მარკოზის სახლში მცხოვრები დედა-შვილი ლერწმისა და ცირა. სწორედ ცირას ხვდება მუჰამედი წლების შემდეგ ალი ბის სასახლეში, ისიც გატაცებულია და ახლა უკვე მას ფატიმა ჰქვია. აი აქედან იწყება მათი უიღბლო სიყვარულის ისტორია (სეა, უიცა, ფ. 52, ან. 2, ს. 1600).

არსებობს ასევე 1955 წლით დათარიღებული სტუდიის მთავარი ცენზორების დასკვნა კინოსცენარზე, რომელიც ზოგიერთ ადგილას წარმოუდგენლად აბსურდულია. მაგალითად ვკითხულობთ:

„... სცენარში არ ჩანს ქართველი ხალხის აქტიური მოქმედება მშობლიური ქვეყნის ამწიოკებელთა და გამცემთა მიმართ. არ ჩანს ხალხის მოწინავე ადამიანები, რომლებიც მთელი თავისი არსებით ებრძოდნენ სამშობლოს დამამცირებელსა და გამყიდველ არამზადებს, როგორც თავად-აზნაურობიდან, ისე გლეხებიდან...“

¹¹⁷ რუსთაველის თეატრის დირექტორი, გიორგი გუგუნიავა 1937 წელს დახვრიტეს.

¹¹⁸ მიხეილ ჯავახიშვილიც 1937 წელს დახვრიტეს.

„...ამბავი ხალხის უფრო ძლიერი მოძრაობისა და საზოგადოებრივი აქტივობის გამომხატველი სცენებით უნდა გაღრმავდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი პოლიტიკური ჟღერადობა სუსტი იქნება...“

და ბოლოს, ყველაზე საინტერესო - „... 74 გვერდზე რუსული ფრაზა „Стройные ряды Мамлюков“ აქ სიტყვას „Стройные“ აშკარა შეცდომაა, რადგან ფრიდრიხ ენგელსი მამლუკთა დამარცხების საკითხს როცა ეხება, ხაზს უსვამს, რომ მათ არ გააჩნდათ „Стройные ряды“.

საბოლოოდ მხატვრული ფილმი „მამლუქი“ ეკრანებზე მხოლოდ 1958 წელს გამოვიდა. ეს არის ფილმი, რომელშიც ნაჩვენებია საქართველოს ტრაგიკული წარსული, მისი დაპყრობის, აოხრებისა და შეურაცხოვის შემზარავი სურათები... მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ფილმში ტრაფარეტული საბჭოთა ისტორიული ფილმებისგან განსხვავებით, მშრომელი ხალხის საგმირო წარსულის ნაცვლად პირველად ვხედავთ უბრალო ხალხის უსუსურობას და უიმედობას უსამართლობის წინააღმდეგ... და პირველად, ფრთხილად და შეპარვით ვგრძნობთ ქართველი ხალხის პატრიოტული სულისკვეთების გაღვიძების სურვილს; იმედს იმისას, რომ სამშობლოს სიყვარული - ეს მიჩქმალული და დავიწყებული გრძნობა, აუცილებლად უნდა გაძლიერდეს.

სამწუხაროდ, ფილმ „მამლუქის“ დოკუმენტაციაში, რომელიც ორ ათეულ წელს მოიცავს, 1937 წლის შემდეგ ტიციან ტაბიძის სახელი და გვარი არსად აღარ ფიქსირდება, არადა ამ ახალგაზრდა, უდანაშაულოდ რეპრესირებული პოეტის როლი ფილმის შექმნის ისტორიასა და პატრიოტიზმის ამ სახით წარმოჩენაში, მართლაც განუზომელია...

ფილმ „მამლუქის“ შექმნის ისტორიის გარდა, ვინ იცის კიდევ რამდენი ავტორის სახელი და გვარია დაკარგული ქართული კინოს ისტორიაში... ვინ იცის, კიდევ რამდენი მნიშვნელოვანი ფილმი და დოკუმენტური მასალაა გატანილი ჩვენი ქვეყნიდან... ვფიქრობ წინ კიდევ ბევრი შეუსწავლელი, დაუმუშავებელი, გამოუქვეყნებელი და მოულოდნელი ამბები გველოდება...

ქართული კინოს რეალური ისტორიის დადგენის ერთადერთი საშუალება, არქივებში მუშაობაა. აუცილებელია ქართული კინომემკვიდრეობის, როგორც ჩვენი უმნიშვნელოვანესი წარსულის მასშტაბური კვლევა და საგანმანათლებლო საქმიანობის წამოწყება. ამის გარეშე, ისტორიის ზუსტი ანალიზი და რაიმე სახის დასკვნების გამოტანა, შეუძლებელია. საბჭოთა სისტემის ნარჩენებისგან გათავისუფლების პირველი ეტაპიც ხომ საკუთარი ისტორიისა და წარსულის სწორად გააზრებაა.

გამოყენებული ლიტერატურა და ბიბლიოგრაფია:

სეა, უიცა, ფ. 52, ან. 2, ს. 1597.

სეა, უიცა, ფ. 52, ან. 2, ს. 1598.

სეა, უიცა, ფ. 52, ან. 2, ს. 1599.

სეა, უიცა, ფ. 52, ან. 2, ს. 1600.

Ekaterine Kontridze,
Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University

"Mamluk" - the unknown story behind making the film

Summary

In 1958, the historical feature film "Mamluk" was released on Soviet screens, which told us about the harmful tragedy of kidnapping people from Georgia and selling them as slaves abroad in the 18th century. Until now, it was known that the film was directed by Davit Rondel, who also wrote the screenplay, based on Kondrate Tatarashvili's story.


While searching for materials about "Mamluk", in the national archive I quite unexpectedly came across film scripts approved in Sakhkinmretsvu (then a film studio) dated 1936, authored by the young poet Titsian Tabidze.

According to the materials preserved in the National Archive, I want to restore the almost 20-year history of the creation of the film "Mamluk" - the path from Kondrate Tatarashvili's story to the film "Mamluk" by the repressed Titsian Tabidze and director David Rondel.

We all come from the Soviet system. From the cruel system of violence, repression, terror and injustice, where the history of our country was constantly falsified, the past was rewritten, remade and presented as a historical truth... both the history of Georgia and the history of Georgian cinema have been falsified. A clear example of this is the hidden story of the film "Mamluk".



კინოფილმ „მამლუქის“ პოსტერი (1959 წ.)



ტიციან ტაბიძის სცენარი (1937 წ.)

ნინო ქავთარაძე
საქართველოს შოთა რუსთაველის
თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნუცა ლოღობერიძე - ქალი რეჟიმის პირისპირ

ბოლო ათწლეულში საქართველოში საბჭოთა წარსულის კვლევამ, კულტუროლოგიურ, სოციალურ-პოლიტიკურ თუ სახელოვნებო ჭრილში, განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა. კინო საბჭოთა სისტემის მთავარი იდეოლოგიური გამტარი იყო, ათწლეულების განმავლობაში პროპაგანდა-ცენზურის ცვლასთან ერთად ფილმებში ქალი პერსონაჟების ეკრანული სახეებიც იცვლებოდა. ამ უკანასკნელთან ერთად იცვლებოდა რეალური ადამიანების ყოფა, მათი თავისუფალი ნება და არჩევანი. ყველაზე რთულად და მტკივნეულად ეს პროცესი საბჭოთა რეჟიმის პირისპირ აღმოჩენილ ხელოვანებს შეეხოთ. სწორედ ასეთი იყო ნუცა ლოღობერიძე - ისტორიიდან „წაშლილი“ პირველი ქართველი რეჟისორი ქალი, რომელიც მეხსიერებას შემორჩა. ცენზურის მიერ აკრძალული მისი ფილმოგრაფია და განუხორციელებელი სცენარები პოსტსაბჭოთა პერსპექტივიდან ახალ საკვლევ სივრცეს ხსნის.

ნინო ხუციშვილი იგივე ნუცა ლოღობერიძე, საინგილოში, სოფელ კახში დაიბადა. თბილისისა და იენის უნივერსიტეტებში ფილოსოფიას სწავლობდა, ფლობდა რუსულ, ფრანგულ, გერმანულ ენებს. სწავლის დასრულების შემდეგ პროფესიული და შემოქმედებითი ძალები პირდაპირ კინოსკენ მიმართა და „სახკინმრეწვის“ (გოსკინპრომი) დაიწყო მუშაობა, რომელიც საბჭოთა საქართველოში ქვეყნის ცენტრალიზებული კინონსტიტუცია იყო. „1928 წლის ივნისში შედგენილ „სახკინმრეწვის“ თანამშრომელთა სიაში ის ერთადერთი ქალია და შემთხვევითი არ არის მბეჭდავის შეცდომა-ლოღობერიძე ნინო ბართლომეს ძე. 1928 წელს მას თანარეჟისორის შტატი ჰქონდა და ხელფასი 160 მანეთი, ამავე წლის სხვა დოკუმენტში ის უკვე რეჟისორად არის მოხსენიებული (ბაქრაძე (2007). ნუცა ლოღობერიძე (1902-1966) - პირველი ქართველი რეჟისორი ქალი. კინო ცხელი შოკოლადი. 5, გვ 158)

პირველი ფილმი „მათი სამეფო“ ნუცა ლოღობერიძემ 1928 წელს რეჟისორ მიხეილ კალატოზიშვილთან ერთად შექმნა. „სახკინმრეწვის“ მასალებში ფილმი მოხსენიებულია, როგორც „ახალი მფრინავი“ და „მენშევიკური ეპოპეა“. სხვადასხვა წყაროში ხშირად ვხვდებით აღნიშნულ სურათს ამ სახელწოდებებითაც : „ფურცელი ბიოგრაფიიდან“ და „18-28“. ამ ფილმთან დაკავშირებით მკვლევარები ვერ ჯერდებიან. ნაწილი თვლის, რომ „მათი სამეფო“ რუსეთის მთავარი ფილმსაცავიდან ჩამოტანილი ფირია, რომელიც პირველი რესპუბლიკის ქრონიკალური მასალის კალატოზიშვილისა და ლოღობერიძისეულ მონტაჟს გვთავაზობს, მეორე ნაწილის აზრით (ამ ხაზს კინომცოდნე ეკატერინე კონტრიძე ავითარებს) „მათი სამეფო“, „ახალი მფრინავი“ და „18-28“ ერთი და იგივე ფილმებია სხვადასხვა სახელწოდებებით. კინომცოდნე ვარაუდობს, რომ „ახალი მფრინავი“ და „18-28“ სამუშაო ვერსიებია და ფილმს საერთო არაფერი უნდა ჰქონდეს 2019 წელს რუსეთის ფილმსაცავიდან ჩამოტანილ ფირთან.

ვიზუალური თვალსაზრისით „მათი სამეფო“ ცალსახად დოკუმენტური ქრონიკის სტილში შექმნილი ფილმია. სავარაუდოა, რომ ამ პერიოდში ორი ახალგაზრდა ავტორი ნუცა ლოლობერიძე და მიხეილ კალატოზიშვილი საბჭოთა კინოდოკუმენტალისტის ესთერ შუბის ძლიერ გავლენას განიცდიდა. პირველი საბჭოთა ქალი რეჟისორის - ესთერ შუბის ისტორიულ-დოკუმენტური სტილითა და მისივე მონტაჟური მეთოდით შექმნილმა ფილმებმა: „დიადი გზა“ (1927), „რომანოვების დინასტია“(1927), „ნიკოლოზ მეორისა და ლევ ტოლსტოის რუსეთი“ (1928), მნიშვნელოვნად განსაზღვრა 1920-იანი წლების ბოლოს დოკუმენტურ-ქრონიკალური ფილმების გამომსახველობითი ბედი.

„მათი სამეფო“, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის მეათე წელს შეიქმნა, პირველი რესპუბლიკის პერიოდში გადაღებული ქრონიკალური მასალის სუბიექტური ინტერპრეტაციაა. ახალგაზრდა ავტორები კინოენის, მონტაჟის საშუალებით საკუთარ პოზიციას და დამოკიდებულებას გვაცნობენ. ცხადია, საბჭოთა რეჟიმისთვის დამახასიათებელი იმ პათოსით, რაც ახალი პოლიტიკური დღის წესრიგის შენებისას, მენშევიკების მიმართ ჩამოყალიბდა.

ნუცა ლოლობერიძის პირველი სრულმეტრაჟიანი ნამუშევარი „ბუბა“ (1930) ხუთნაწილიანი, „დოკუმენტური-სადადგმო ფილმია, სპეციფიკური მიმართულების, რომელსაც „კულტურფილმი“ ეწოდებოდა. იგი მაყურებელს აცნობს ერთი მხრივ, რაჭასა და მის მცხოვრებლებს და, მეორე მხრივ, მძიმე ყოფას, რომელიც მეტაფორულად, ძველი საქართველოს მძიმე ცხოვრებას ასახავს. ამ სოციალურად და ფიზიკურად რთულ ცხოვრებას, ძველს - ახლით ახალი საბჭოთა საქართველო ცვლის (ოჩიაური: 166). ფილმის მხატვარი დავით კაკაბაძე იყო, რომელმაც ოპერატორ სერგეი ზაბოზლაევთან ერთად მნიშვნელოვნად განსაზღვრა ფილმის გამომსახველობითი მხარე.

კულტურფილმი მეოცე საუკუნის 10-იან წლებში გერმანიაში შეიქმნა. კინოჟანრს თავიდან საგანმანათლებლო ფუნქცია ჰქონდა, მაგრამ ნაციონალ-სოციალისტების პოლიტიკურმა რეჟიმმა მას სულ სხვა დატვირთვა შესძინა. საბჭოთა კავშირშიც „1920-იანი წლების დასაწყისში კინო უკვე წარმოადგენდა იდეოლოგიის გატარების ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ იარაღს, რომელსაც ევროპული სახელმწიფოები ამ სახით პირველი მსოფლიო ომიდან მოყოლებული იყენებდნენ. ლენინის დავალებით, კომუნისტური იდეებით განმსჭვალულ ახალ ფილმებს ახალი საბჭოთა რეალობა უნდა აესახა. თუმცა, ანატოლი ლუნაჩარსკი იქვე წერდა, რომ კინოზე საუბრისას, ლენინი პირველ რიგში, დოკუმენტურ კინოჟანრებს გულისხმობდა: „თუ გექნებათ კარგი ქრონიკა, სერიოზული და საგანმანათლებლო სურათები, არაფერი დაშავდება, მაყურებლის მოსაზიდად რაიმე უსარგებლო ფილმიც რომ აჩვენოთ... რა თქმა უნდა, ცენზურა მაინც საჭიროა. კონტრრევოლუციური და უზნეო ფილმები არ უნდა დაფუძვან“ (მანძავა (2012). კულტურფილმი: ჟანრი და იდეოლოგია. <https://mastsavlebeli.ge/?p=2840>).

1920-იანი წლების მიწურულს ქართული კულტურფილმები გარემოზე დაკვირვების, ბუნების შესწავლა-ათვისების, ან/და მისი დამორჩილების ვიზუალურ იკონოგრაფიად იქცა. ცალკეული ავტორები, ცხადია, სრულად იზიარებდნენ საგანმანათლებლო და პროპაგანდისტულ მიზნებს. მათ ფილმებში კი, „ძველისა და ახლის“ დაპირისპირების

დისკურსში ერთგვარი პრიმიტიული მეტაფორების ტირაჟირება ხდებოდა, რომლებშიც მარადიული ანტინომიების კინემატოგრაფიულ გამოხატულებად მთა და ბარი გვევლინება. მთა - შორს დგას რევოლუციური იდეოლოგიის თუ სოციალისტური აღმშენებლობის საყოველთაო „სიკეთისგან“. მაშინ, როცა ბარში საბჭოთა ეკონომიკური პოლიტიკის მიღწევები ინერგება და ეს სივრცე „დაუდგრომელი პროგრესის“ არეალია.

1920-1930-იანი წლების ქართულ კინოში მაყურებელზე ზემოქმედების ხერხები, უფრო ზუსტად კი, მეთოდები კულტურფილმების შემთხვევაში მართლაც განსხვავებული იყო. თუ რეჟისორების ნაწილი მარტივ დრამატურგიულ სქემებსა და პერსონაჟების აგების ჩარჩო-მოცემულობას ირჩევდა, ახალგაზრდა რეჟისორების მეორე ჯგუფი იდეოლოგიურ ხაზს უნიკალური, თავისთავადი, ავანგარდული კინოენითა და დოკუმენტური ესთეტიკით აცოცხლებდა.

მემარცხენე ფუტურისტული ჯგუფიდან (H2SO4) კინოში მისულმა მიხეილ კალატოზიშვილმა, საკუთარი ხედვის პრიზმაში (სუბიექტური კამერის ობიექტივში) „ძველისა და ახლის“ დაპირისპირებას სხვა მასშტაბი და ფორმა მისცა. „ჯიმ შვანთე“ („მარილი სვანეთს“, 1930) ერთი შეხედვით, ზუსტად პასუხობდა „ნეპის“ შემდგომი საბჭოთა იდეოლოგიის დაკვეთას, მაგრამ დღევანდელი პერსპექტივიდან ცხადი ხდება, რომ რეჟისორმა „დროში შეინახა“ 1920-იანი წლების სვანი ხალხის ყოფა, ავთენტური არქიტექტურა, პორტრეტები.

თუ მიხეილ კალატოზიშვილის „ჯიმ შვანთეში“ საბჭოთა იდეოლოგიის „ძველისა“ და „ახლის“ დაპირისპირების დისკურსი სვანეთის, უშგულის მაგალითზე აისახა და ფილმის „ოპტიმისტურ“ ფინალში ტრაქტორების გამოჩენით გამოვლინდა, ნუცა ლოლობერიძის კულტურფილმში „ბუბა“ დოკუმენტური ესთეტიკის კამერის ობიექტივში, რაჭის მაღალმთიან სოფელ ღებში მცხოვრები ადგილობრივი ქალების, ბავშვების, უხუცესების შთამბეჭდავი პორტრეტები შეიქმნა. ფილმის ფინალში კი ახალი ცხოვრების, იდეოლოგიური პროპაგანდის ვიზუალური მეტაფორა - რკინიგზა ჩნდება. ავტორი ასე გვაუწყებს რაჭის მოსახლეობის ძველ ყოფაზე ახალი საბჭოთა სისტემის „გამარჯვებას“.

ნუცა ლოლობერიძის კულტურფილმში ყველაზე მკაფიოდ ჩანს დოკუმენტური კინოსადმი მისი სწრაფვა, როგორც ესთეტიკურ-გამომსახველობითი ფორმების ისე თემატური ძიებების თვალსაზრისით. „თხრობა თავისებური ფორმითაა განვითარებული - რაჭის ბუნებითა და რეალობით ტურისტის ტკბება, რომელიც აქეთ-იქით მიდი-მოდის, მთის წყაროს წყლით ბუნების სადღეგრძელოს სვამს და მოსახლეობის ცხოვრებას ეცნობა. მისი შთაბეჭდილებები სააგიტაციო ელფერის ტიტრების მონაცვლეობითაა „გახმოვანებული“, რომლებსაც სადღაც მიჩქმალული ირონია დაჰკრავთ და ამავე დროს, პოლიტკორექტულია, რადგან მთავარ სათქმელს ატარებენ“ (ოჩიაური, 2019: 66).

კულტურფილმის სცენარი ნუცა ლოლობერიძეს ეკუთვნის, რეჟისორი ცდილობს რაჭის მაღალმთიანი სოფლის პასტორალური ყოფის ობსერვაციისას გასცდეს წინასწარ დადგენილ ჩარჩო-მოცემულობას, სწორედ ამიტომ დოკუმენტურ ფილმში მხატვრული ელემენტები შემოაქვს და ქალებისა და ბავშვების, თვითმყოფად, ავთენტურ პორტრეტებს ქმნის. ვფიქრობ,

სწორედ ასეთ შემთხვევებში იკვეთება ყველაზე უკეთ ფემინისტი კინოთეორიების მაგისტრალური ხაზი: როგორ იცვლება კინოგამოსახულება, თავად კინოენა, ვიზუალური და დრამატურგიული ნარატივი, გამომსახველობითი ხერხები და ფორმები, როდესაც კამერის უკან ქალია და მისი მზერაა მიმართული პერსონაჟებისაკენ. სწორედ ამიტომ, დღევანდელი პერსპექტივიდან ნუცა ლოლობერიძის კულტურფილმი „ბუბა“ არა მხოლოდ ეთნოგრაფიული და მხატვრული ღირებულების თვალსაზრისით, ისტორიულ ან/და კინომცოდნეურ ჭრილშია მნიშვნელოვანი, არამედ ქალი ავტორის სოციალური თუ გენდერული როლების ანალიზის და ნამუშევრის ფემინისტური თეორიების დისკურსის თვალსაზრისითაც მნიშვნელოვან და საინტერესო ფორმას იძენს.

1934 წელს ნუცა ლოლობერიძემ პირველი მხატვრული ფილმი „უჟმური“ გადაიღო, რის შემდეგაც ის საბჭოთა კავშირის მასშტაბით პირველი რეჟისორი ქალი გახდა, რომელმაც მხატვრული ფილმი შექმნა. მოგვიანებით, „უჟმური“ პარტიულმა ცენზურამ აკრძალა.

ფილმის სცენარი შალვა დადიანს და ნუცა ლოლობერიძეს ეკუთვნით, ოპერატორი შალვა აფაქიძეა, მხატვრები მიხეილ გოცირიძე და პეტრე ოცხელი. ფილმში მონაწილეობდნენ კოტე დაუშვილი, მერაბ ჩიქოვანი, ნუცა ჩხეიძე, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ივლიტა ჯორჯაძე.

სოციალიზმის ასაშენებლად და ეკრანული მითების შესაქმნელად საბჭოთა კინოპროპაგანდა ხშირად პერიფერიულ რეალობას, სოფლებს, კოლმეურნეობებს და პასტორალურ სივრცეებს ირჩევდა. ბუნების დამორჩილების, გარდაქმნისა და მოთვინიერების თემა 1930-იანი წლების „გენერალურ ხაზად“ იქცა. ნუცა ლოლობერიძის მხატვრული ფილმიც ამის მკაფიო მაგალითია და ქართულ საბჭოთა კინოში კლასობრივი ბრძოლის კონტურები ყველაზე ადრეულ ეტაპზე სწორედ „უჟმურში“ იკვეთება.

სამეგრელოში გავრცელებული მალარიის დასამარცხებლად საბჭოთა მთავრობა კოლხეთის დაბლობზე არხის მშენებლობას გადაწყვეტს. კულაკი ფარნა არხის მშენებლებს ქავთარს და გვადის ჭაობში შეიტყუებს. დასაღუპად განწირულ გლეხებს კომკავშირელები გადაარჩენენ. სოცრეალისტური ვიზუალური რიტორიკა ფილმში მკაფიოდაა კონსტრუირებული: კლასობრივი მტერი-კულაკი, სოციალისტური მიზნებისთვის თითქმის თავმწეირული გლეხები და სანიმუშო კომკავშირელები, რომელთა სიფხიზლესა და თავგანწირვაზეც დგას „პასტორალური სამოთხის“ მშენებლობა.

„უჟმური, როგორც კინემატოგრაფიული ნამუშევარი, საბჭოთა ეპოქის შეცნობის მცდელობაა განდევნილისა და საზარელის საშიში ასოციაციების მოხმობით. ამიტომ მაშინაც კი, როდესაც ფილმი საზარელს განდევნის საკუთარი ობიექტივიდან, ის მაინც გვევლინება, როგორც ამაღელვებელი და დამზაფრავი განცდა, ჩაბეჭდილი უხმო კადრებსა და ცენზურირებულ ტექსტებს შორის. ფილმის უხმოზა იმეორებს ეპოქის უხმოზას: უჟმურის დამდგმელი მხატვარი, პეტრე ოცხელი, რომელიც 1937 წელს დახვრიტეს, ფილმის ტიტრებიდან ისევე გამქრალი, როგორც ფილმის მთავარი გმირი-უჟმური“ (ხალვაში (2021) უჟმური-წერილი საზარელსა და ამაღელვებელზე. ჟურნალი კინ-О. N1. გვ. 120)...და როგორც თავად, რეპრესიების პიკზე, საბჭოთა რეჟიმის მიერ კინოდან სამუდამოდ „გამქრალი“ ფილმის რეჟისორის, ნუცა ლოლობერიძის პერსონა.

სიტყვა უჟმურის ეტიმოლოგია არქაული რწმენა-წარმოდგენებით ავ სულს ნიშნავს, რომელიც უფრო მეტად მშობიარე ქალებსა და პატარა ბავშვებს ერჩის და თუ ვინმეს „შეეყარა“ ავად ხდის. ისტორიული სამეგრელოს უდიდესი ნაწილი ტყეებითა და ჭაობებით იყო დაფარული, საუკუნეების მანძილზე ებრძოდა იქ მცხოვრები ხალხი „დაუმარცხებელ“ სენს-მალარიას. ძველი ხალხური გადმოცემის თანახმად უჟმური - ჭაობი, მწვანე დედოფლის-გომბეშოს სამფლობელო იყო და მასთან მიახლოება -სიკვდილის ტოლფასი. მეგრული ლეგენდა ფილმის ფაბულად იქცა, რომელზეც დაშენდა სოციალისტური იდეოლოგია, და აისახა სიუჟეტსა თუ გმირებში.

„უჟმურის“ შესაქმნელად ნუცა ღოღობერიძემ მითი, ლეგენდა, ფოლკლორი და სოციალისტური სახელმწიფოს შენების ახალი ეკონომიკური კურსი გააერთიანა, ამ ყოველივეს კი- მხატვრული ფორმა მისცა. 1934 წელს, ფილმის გამოსვლამდე ახალგაზრდა რეჟისორი ქალი ყველაზე რთულ, კონტროვერსულ, მძიმე და დაუნდობელ გზას გაივლის როგორც შემოქმედებითი ისე პიროვნული თვალსაზრისით. ფილმში მითის და ლეგენდის არაკონსტრუქციული ასახვა და რეალობის დამახინჯება, მისი სცენარის მიმართ გაჟღერებულ ყველაზე ხშირ ბრალდებად იქცა.

„უჟმურის“ სცენარზე მუშაობა გადაკეთებებით და ჩასწორებებით მიმდინარეობდა იდეოლოგიურად „სწორი“ ფილმი რომ გამოსულიყო. პროპაგანდისტული დაკვეთა ასეთი იყო: „სოცრეალისტური ფილმი კოლხეთის დაბლობზე ჭაობის დაშრობის შესახებ“. მნიშვნელოვანია, რომ სცენარის პირველი ვერსია აგიტფილმად იყო ჩაფიქრებული და მასზე მუშაობდნენ: სერგეი ეიზენშტეინი, ალექსანდრე დოვჟენკო, ვიქტორ შკლოვსკი.

„ჩემს ფილმში მე მსურდა ლეგენდის წარმოშობისა და მნიშვნელობის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები გამეხსნა. ამ დროს, როდესაც კულაკს არ შეუძლია ფიზიკურად წინააღმდეგობა გაუწიოს საბჭოთა სისტემას, ბრძოლის სხვა საშუალებას იწყებს და იდეოლოგიურად ეწინააღმდეგება მას. და აქ მისი წინააღმდეგობა უფრო ძლიერია, ვიდრე ფიზიკური“ (სეა, უიცა, ფ.52, ან.1, ს.1, 2). ასე აფასებდა ნუცა ღოღობერიძე „უჟმურს“. აღნიშნული დოკუმენტი ინახება უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში და „სახკინმრეწვთან“ არსებული სამხატვრო საბჭოს სხდომის ჩანაწერია, რომელიც 1933 წლის 15 აპრილითაა დათარიღებული. სწორედ ამ სხდომაზე ევალება ქართული ანიმაციის შემქმნელს, ლადო მუჯირს ფილმის ტიტრების მხატვრული გაფორმება.

1933 წლის საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ „უჟმურის“ სცენარი საწყის ეტაპზე „სახკინმრეწვთან“ არსებულმა სამხატვრო ბიუროს სხდომამ მისაღებად ჩათვალა. რეჟისორს ურჩიეს გაეთვალისწინებინა სცენარის კადრირებისთვის გაცემული მითითებები. მეორედ, იმავე წლის 29 სექტემბერს, ფილმის დასასრულებლად რეჟისორს ერთი თვის ვადა მისცეს, მისი და ოპერატორ აფაქიძის მოსკოვში გაგზავნის ბრძანებაც გაიცა. ერთი თვის ვადაზე, 20 ოქტომბერს ნუცა ღოღობერიძე მოსკოვში არ წასულა, მეორე დღეს 21 ოქტომბერს „სამხატვრო პოლიტ საბჭოს სხდომა“ ჩატარდა, რომლის თავმჯდომარეც ვსევოლოდ მერკულოვი იყო, სახელმწიფო უშიშროების პირველი რანგის კომისარი (1921-1938) და „შინსახკომის“ მოადგილე (1938-1941).

განხილვაზე გამომსვლელების სიტყვები კონტროვერსულია, ფილმის მხატვრულ ღირებულებას ბოლომდე არავინ უარყოფს, მაგრამ სისტემის შიში ხელოვანებს არ აძლევს უფლებას ღიად და თავისუფლად გამოთქვან თავისი აზრი. აგიტფილმად ჩაფიქრებული „უჟმური“, რომელიც საბოლოოდ სოცრეალისტურ ფილმად იქცა, სცენარის მუდმივმა გადაკეთებებმა და ცენზურის უხეშმა ჩარევამ მტკივნეული კვალი დაატყო. 1933 წლის 21 ოქტომბრის სხდომაზე ნიკოლოზ შენგელაია ნუცა ლოლობერიძეს ასე აფასებს:

„ჩვენ ვხედავთ რომ რეჟისორს აქვს დიდი გემოვნება და კარგი ოსტატობა. მთელ რიგ სცენებში ჩვენ ვხედავთ რეჟისორის სიმტკიცეს, მის ფსიქოლოგიას...საუკეთესო პირობებში მას შეუძლია შექმნას სრულფასოვანი მაღალმხატვრული სურათი“ (სეა, უიცა, ფ.52, ან.1, ს.1,2).

ლეო ესაკია გაცილებით კრიტიკულია ფილმის მიმართ: „მე მსურს სურათი შევავასო, როგორც უბრალო მაყურებელმა... ჩვენ ვაჩვენებთ კოლხეთს სოციალურ კონტექსტში და უნდა ითქვას, რომ სურათის ტენდენცია არასწორია, ის არასწორად ასახავს რეალობას და ასევე იძლევა არასწორ მიმართულებას. ეს არ არის თანამედროვე სამეგრელოს ცხოვრება, დღევანდელი სამეგრელო არ არის ასეთი ჩამორჩენილი ქვეყანა, როგორც ეს სურათშია წარმოდგენილი. ფილმში ნაჩვენები ადამიანები ბედის ანაბარა არიან მიტოვებულნი, ნათლად ვერ ვხედავთ კაშხლის მშენებლობას, საბჭოთა მთავრობის მუშაობას, არ არის მოცემული კოლხეთის დაბლობის ამოშრობისა და მშენებლობის დემონსტრირება, არ არის კულაკების მიმართ ორგანიზებული წინააღმდეგობა, გაუგებარია საიდან იწყება და სად მთავრდება ლეგენდა“ (სეა, უიცა, ფ.52, ან.1, ს.1, 2) „სახკინმრეწვის“ მაშინდელი დირექტორი ამბროსი თითბირიძე ნუცას მხარდაჭერას ცდილობდა, მისი თქმით აგიტფილმად ჩაფიქრებული სცენარის მრავალჯერ გადაკეთება „უჟმურის“ ხარვეზების მთავარი მიზეზი გახდა.

მძიმე და უსამართლო შეფასებების შემდეგ, რეჟისორი ნუცა ლოლობერიძე შემდეგი სიტყვებით ცდილობს ფილმის, სცენარის და პირველ რიგში საკუთარი თავის დაცვას, კოლეგების, იდეოლოგიის თუ რეჟიმისგან: „მე სცენარზე სრულიად ვარ პასუხისმგებელი, ჩვენ ასეთი მდგომარეობა გვაქვს, რომ ვიმყოფებით გზაჯვარედინზე, საიდანაც ყველა მიმართულება დამლუპველია. ჩვენ მხოლოდ ახლა ვიწყებთ რთული მდგომარეობიდან გამოსვლას, მართალია, რომ მე მიჩვეული ვარ დოკუმენტურ ფილმებზე მუშაობას, ამას არ უარვყოფ და ვერც ვერაფერ ცუდს ვხედავ ამაში... სამწუხაროდ, თქვენ კვლავ ითხოვთ პროპაგანდისტულ ფილმს ჩემგან, სადაც საბჭოთა სისტემის მუშაობის ყველა ასპექტი უნდა იყოს ნაჩვენები. მოითხოვთ ერთ სურათში ჩავატოთ ყველაფერი ის, რასაც აკეთებს პარტია და ხელისუფლება საბჭოთა კავშირში. თქვეს, რომ სურათში ბევრი საშინელებაა. მე ვაჩვენე რეალობა, ამ ადგილებში სწორედ ასეთი საშინელებაა, ჭაობების ამოშრობამდე იქ არაფერი იყო სასიამოვნო“ (სეა, უიცა, ფ.52, ან.1, ს.1, 2).

მერკულოვი „უჟმურის“ ყველა ნაკლს მის სცენარს მიაწერდა, ის ადანაშაულებდა როგორც რეჟისორს, ისე „სახკინმრეწვის“ მაშინდელ დირექციას. ფილმი საბოლოოდ მიიღეს, მაგრამ ნუცა ლოლობერიძეს მკაცრად მოსთხოვეს სცენარში ყველა ტექნიკური შესწორების გათვალისწინება, რომელსაც საბოლოოდ გამოსახულება უნდა განესაზღვრა. 1930-იანი წლების საბჭოთა კინოს სოცრეალისტურ პრაქტიკაში შინაარსისა და ფორმის ურთიერთკავშირი ყოველთვის პირველი იყო დღის წესრიგში. 1932 წელს საყოველთაოდ

მიღებული სოცრეალიზმის დოქტრინაც ხომ ამას „ქადაგებდა“: ფორმით ეროვნულს და შინაარსით სოციალისტურს. ნუცა ლოლობერიძის „უჟმური“, რომელიც კლასიკური სოცრეალიზმის სქემით იგება, სამეგრელოს „ძველ“ დრომოჭმულ ყოფას, სადაც ჭაობი-უჟმური ადამიანებს შთანთქავს, „ახალი“ სოციალისტური სოფელი უპირისპირდება, რომელშიც კომკავშირელები ბუნებას (კოლხეთის დაბლობს) „ათვინიერებენ“.

1933 წლის ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ (N5) ქართველ რეჟისორთა კოლაჟი იყო მოთავსებული, სტატიის ავტორის თქმით ნუცა ლოლობერიძეს სამი ფილმი ჰქონდა შექმნილი და 30 წუთი გადაღებული „მაგარსიუჟეტიანი“ მხატვრული ფილმისა „უჟმური“. ზუსტად ერთი წლის შემდეგ იგივე ჟურნალი (ჟურნალი საბჭოთა ხელოვნება (1934), #4) ქართველი რეჟისორის ფილმს აგიტპროპული სურათის რეციდივად მიიჩნევს.

მიუხედავად ამ მკაფიო მოცემულობისა, გამომსახველობითი თვალსაზრისით ნუცა ლოლობერიძის ფილმი თითქოს სცდება პარტიული რიტორიკის „გენერალურ ხაზს“. ამაზე პირველ რიგში მეტყველებს პერსონაჟთა პორტრეტები, რომლებსაც რეჟისორი საშუალო და ახლო ხედების რიტმულ მონაცვლეობაზე აგებს. კამერის დამოკიდებულება ადამიანების, ცხოველების და ლანდშაფტის მიმართ დოკუმენტური კინოს საწყისებს მოგაგონებთ. სწორედ, ამიტომ „უჟმური“ ბევრად უფრო საინტერესო მხატვრულ სახეს ქმნის და გამომსახველობითი თვალსაზრისით სცილდება სოცრეალისტურ-პროპაგანდისტულ ჩარჩოს.

„უჟმურის“ შემდეგ ქართველ რეჟისორს არც ერთი ფილმი არ გადაუღია. ეროვნული არქივის, უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში ინახება ნუცა ლოლობერიძის განუხორციელებელი ლიტერატურული სცენარები: პირველი ქალიშვილი (დაუთარიღებელი) „ვის“ (1934) და „წვრილმანი მსხვილმანები“ (1934).

„პირველი ქალიშვილის“ სცენარის ორი ვარიანტი არსებობს, თითქმის იდენტური შინაარსის, სადაც მოქმედება ზღვისპირეთში ხდება: კოლმეურნეობამ იშვიათი ჯიშის ვარდი უნდა გააშენოს, მცენარისგან მიღებული ეთერზეთი კი მედიცინას უნდა გამოადგეს. ე. ი. ბუნება ჩააყენოს საბჭოთა მეცნიერების სამსახურში. ვარდების გაშენება ახალგაზრდა ქალის-ელოს სურვილია, რომელიც მფრინავ ბიჭზეა შეყვარებული. ახალგაზრდა ქალმა საკუთარი კოლმეურნეობა ასახელა, საბჭოთა პრესა მასზე წერს. სოციალისტური პროპაგანდისტული ხაზი სცენარში მკაფიოდ იკვეთება, მაგრამ ამავდროულად ფოკუსი ქალის გამბედაობაზე, პრინციპულობასა და არჩევანზე კეთდება. მთავარი გმირი - ელო, მორიდებული გოგონადან, გამბედავ მოქალაქედ უნდა იქცეს!

1933 წელს „სახკინმრეწვის“ სამხატვრო საბჭოს სხდომაზე გოგი გუგუნავას სცენარის „ხიდი ენგურზე“ განხილვა შედგა, რომელიც ალექსანდრე წუწუნავას უნდა გადაეღო. საბჭოთა ხელოვანისთვის შეუფერებელი განცხადების და უპასუხისმგებლობის საქციელის გამო მას ჩამოერთვა სცენარზე მუშაობის უფლება. საბჭოს დადგენილებით, ფილმის გადაღება დაევალა ნუცა ლოლობერიძეს. თუმცადა, ნუცა ლოლობერიძის ამ სცენარით ფილმის გადაღება არც კი დაუწყია.

პირველი ქართველი რეჟისორი ქალის განუხორციელებელი ფილმების ესტაფეტას, აგრძელებს ილო მოსაშვილთან ერთად შექმნილი სცენარი - „ვის“, რომელიც 1934 წლით თარიღდება. სოციალისტური მშენებლობის თემა აქაც წამყვანია: ჰიდროელექტროსადგურის

მშენებლობა სასიყვარულო სამკუთხედის მელოდრამატული პასაჟის ფონზე იშლება. იმავე წლის 29 დეკემბერს „სახკინმრეწვში“ განსახილველად შედის ნუცა ლოლობერიძის და ილო მოსაშვილის სცენარი „მსხვილმანი წვრილმანები“. აღნიშნული სცენარი არქივში მეორე სახელწოდებითაც გვხვდება: „ალისფერი ვარდი“, მაგრამ სცენარის ავტორად უკვე სანდრო ჯალიაშვილია მითითებული.

1930-იანი წლების მეორე ნახევრიდან ნუცა ლოლობერიძის, როგორც რეჟისორის შემოქმედებითი ბიოგრაფია და მისი, როგორც ქალის პირადი ცხოვრება ტრაგიკულად იცლება. პარტმუშაკ ლევან ლოლობერიძის ცოლობა მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. 1937 წელს ნუცა ლოლობერიძე დააპატიმრეს, როგორც ხალხის მტრის ოჯახის წევრი. მას შეეძლო ქმარზე რომელთანაც ოფიციალურად აღარ ცხოვრობდა უარი ეთქვა, მაგრამ მან ეს არ გააკეთა. ნუცა ჯერ გამოასახლეს მცირეწლოვან შვილთან (ლანა ლოლობერიძე) ერთად, შემდეგ კი - კინოსტუდიიდან გაუშვეს. რეჟისორი 10 წლით გადაასახლეს საკონცენტრაციო ბანაკ „პოტმაში“, შემდეგ ვორკუტის ქალთა საკონცენტრაციო ბანაკში.

ნუცა ლოლობერიძის შემოქმედებითი ბიოგრაფია, ფილმების და სცენარების ბედი საბჭოთა ტოტალიტარულმა რეჟიმმა ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრა. ვერტიკალის პრინციპზე აგებულ სახელმწიფოში ხელოვანის შემოქმედება და ბედისწერა ყოველთვის დრამატული იყო, უფრო ზუსტად კი-ტრაგიკული. 1930 წელს გადაღებული კულტურფილმი „ბუბა“ მხოლოდ 2012 წელს იხილა ქართველმა მაყურებელმა, 82 წელი თაროზე იყო შემოდებული. 1934 წელს შექმნილი „უქმური“ კი-84 წლის შემდეგ, 2018 წელს დაბრუნდა საქართველოში.

ის, რომ ნუცა ლოლობერიძე თავისი ეპოქის გამორჩეული ფიგურა იყო ამაზე ბევრი რამ მეტყველებს, მაგრამ მხოლოდ ამ კონკრეტული, 1925 წელს მომხდარი ფაქტის აღნიშვნაც კი კმარა: მხატვარ დავით კაკაბაძეს პარიზში ქართული საბავშვო გამომცემლობის დაარსების რეალური შესაძლებლობა ჰქონდა, რაც ფულადი სახსრების უქონლობის გამო მამინდელმა ბოლშევიკურმა სახელმწიფომ მსუბუქად, რომ ვთქვათ ხელიდან გაუშვა. საარქივო მასალებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ ნუცა ლოლობერიძემ 1925 წლის 31 მაისს დათარიღებულ წერილში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახალხო განათლების კომისარიატს კონკრეტულ წინადადება შესთავაზა, რაც პარიზში ქართველი ბავშვებისათვის დავით კაკაბაძის მიერ დასურათებული უმდიდრესი საბავშვო გამომცემების ორგანიზებას გულისხმობდა, იმ პირობით, თუ ქართული სახელმწიფო ნაწილობრივ მაინც დააფინანსებდა ამ წამოწყებას (სეა, უიცა, ფ.14, ან.1, ს.1395).

ქართველ რეჟისორს პროფესიული მიმოწერა ჰქონდა საბჭოთა მონტაჟური კინოს ცენტრალურ ფიგურასთან სერგეი ეიზენშტეინთან, მისი მეგობრები იყვნენ მეოცე საუკუნის ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი პერსონები ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, კოტე მარჯანიშვილი... კინოსტუდიიდან წასვლის შემდეგ მასთან თანამშრომლობას, სამწუხაროდ ბევრი ერიდებოდა. 1936 წელს გერონტი ქიქოძემ შარლ პეროს ზღაპრების თარგმანზე დაუდო ხელშეკრულება გამომცემლობას, ტექსტი ნუცა ლოლობერიძეს ათარგმნინა და ჰონორარიც მას გადასცა, წიგნი კი- გერონტი ქიქოძის სახელით გამოიცა. რეპრესირებული ქართველი

რეჟისორი, საბჭოთა პერიოდში გამოცემულ არც ერთ ქართულ ენციკლოპედიაში არ იყო მოხსენიებული და მასზე ფაქტობრივად კინოლიტერატურაშიც არ იწერებოდა.

გადასახლების შემდეგ, შინ დაბრუნებული მოთხრობებს წერდა და დოკუმენტურ-მხატვრულს უწოდებდა, გამოდის რომ შემოქმედებითი აზროვნების კრედოს ბოლომდე უერთგულა: დოკუმენტურ-მხატვრული ფილმებით დაიწყო და ამ ჟანრის, ფორმის, მოთხრობებით დაასრულა შემოქმედებითი ცხოვრება.

რეპრესირებული პირველი ქართველი რეჟისორი ქალი, კინოში არასოდეს დაბრუნებულა. ნუცა ლოლობერიძე რეჟიმის მიერ ისტორიიდან „წაშლილი“ ადამიანია, რომელიც დღეს უკვე მეხსიერების ნაწილად იქცა. მის ბიოგრაფიაში იკვეთება ხელოვანის ბედი, ქართული კინოს ისტორია და ბოლშევიკური რეჟიმის სისასტიკე, რომელმაც ისტორიული კინონარატივიდან ფაქტობრივად გააქრო ახალგაზრდა რეჟისორი. ნუცას მსგავსად ქრებოდნენ უდანაშაულო და სისტემის „საფრთხედ“ მიჩნეული სხვა ადამიანებიც, და მაშინ როცა 1930-იანი წლების ფილმებში სტალინური „კინომითოლოგია“ იქმნებოდა, ციმბირსა თუ ქალთა ბანაკებში არაერთი ადამიანის სიცოცხლე ნადგურდებოდა.

გამოყენებული ლიტერატურა და ბიბლიოგრაფია:

ბაქრაძე, ლ. (2007). ნუცა ლოლობერიძე (1902-1966) პირველი ქართველი რეჟისორი ქალი. ჟურნალი კინო ცხელი შოკოლადი. N 5. თბილისი.

კონტრიძე, ე. (2022). ნუცა ლოლობერიძე - დაკარგული წლები და სცენარები. ხელოვნების და მედიის კვლევების საერთაშორისო კრებული. N2(12). თბილისი. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ოჩიაური, ლ. (2022). რამდენიმე დამამძიმებელი გარემოება ქართული კინო და რეალობა - ქალის კულტი, თუ ქალის ტვირთი?! ხელოვნებისა და მედიის კვლევების საერთაშორისო კრებული. N 2 (12). თბილისი. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ოჩიაური, ლ. (2019). „ჯიმ შვანთე“ და „ბუბა“ - პარალელები, სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი. N 3 (80). თბილისი. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი. გამომცემლობა „კენტავრი“

ძანძავა ნ. (2012) კულტურფილმი: ჟანრი და იდეოლოგია. <https://mastsavlebeli.ge/?p=2840>

ხალვაში თ. (2021) უჟმური-წერილი საზარელსა და ამაღელვებელზე. ჟურნალი კინ-0, N 1. თბილისი. საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი.

სეა, უიცა, ფ. 14, ან. 1, ს. 1395.

სეა, უიცა, ფ. 52, ან. 1, ს. 1.

სეა, უიცა, ფ. 52, ან. 1, ს. 2.

Nutsa Gogoberidze- A woman in front of regime

Summary

Nutsa Ghogoberidze was the first Georgian female director who has been "erased" from history and who has remained in memory. According to the list of employees of "Sakhkinmretsvi" compiled in June 1928, she was the only woman, and the typist's mistake does not accidental - Nino Ghogoberidze - son of Bartholomew.

In 1937, Nutsa Ghogoberidze was exiled to a Gulag (labor camp) for wives of traitors to the Soviet state for 10 years. Before his arrest, he managed to create three films: the feature film "Uzhmuri" (1934) and two documentaries: "Their Kingdom" (1928) co-authored with Mikheil Kalatozishvili and "Buba" (1930) It should be noted that the Georgian audience (and his family too) saw Nutsa Ghogoberidze's works decades later.

In addition to the minutes of discussion of Nutsa Ghogoberidze's "forbidden filmography", the folders of "Sakhkinmretsvi" in the central archive of recent history contain: "The First Daughter"; "Bridge over Enguri"; "Minor Trifles"; "Scarlet Rose" - these are the unrealized scripts of the director, which based on archival documents by individual persons or due to various reasons and circumstances: first they were changed slightly, then they were fundamentally transformed under the order of ideology and censorship, and finally, they were forbidden to shoot.

As a result of my research, I have studied and analyzed the director's forbidden, unimplemented and implemented scenarios, how the ideological censorship of "Sakhkinmretsvi" worked, who were the cinematographers who made corrections in the mentioned scenarios, and what extent, the first Georgian female director, shared their opinions and remarks.

ქეთევან ნოზაძე
საქართველოს შოთა რუსთაველის
თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეთიკის საკითხები საავტორო დოკუმენტურ კინოში - ვერნერ ჰერცოგის შემოქმედების
მაგალითზე

ემანუელ კანტს უთქვამს: ორი რამ აკვირვებს ჩემს სულს - ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩემს ზემოთ და მორალური კანონი ჩემში. ეთიკას, ანუ კატეგორიული იმპერატივის მცნებასთან ერთად კანტი ასევე თვლიდა, რომ მორალური მოვალეობა უპირობოდ იმპერატიული ფორმით ვლინდება. კანტი მოგვიწოდებდა: იმოქმედეთ მხოლოდ იმ მაქსიმას შესაბამისად, რომელსაც ისურვებდით რომ უნივერსალურ კანონად იქცეს (Kant, n.d. Kant II Основы метафизики нравственности. Wiktionary. <https://vehi.net/zph/ikant.html>). ეს კი იმას ნიშნავს, რომ იდეა მხოლოდ მაშინ ხდება ნათელი, როდესაც ის ყველასთვისაა ხელმისაწვდომი.

გერმანელი კინორეჟისორი, დოკუმენტალისტი, მსახიობი, სცენარისტი და ავტორი ვერნერ ჰერცოგი ცნობილია როგორც ვიზუალური ექსპერიმენტატორი და ახალი გერმანული კინემატოგრაფის ერთ-ერთი შემქმნელი. მის მიერ შექმნილი საავტორო დოკუმენტური კინო, ავტორის ჰუმანურობითა და ინტერსუბიექტურობით გამოირჩევა. ის, ამავდროულად, მისწრაფვის არქაულისა და წარმავალის დაფიქსირებისაკენ, იკვლევს რა ბუნებას და ადამიანის პირველსაწყისს. ვერნერ ჰერცოგი კარიერის დასაწყისშივე არღვევს Cinéma Variétés¹¹⁹ ძირითად პრინციპებს და კინოთხრობის ფორმის შერჩევისას, თამამად ერევა კადრის აწყობის სტრუქტურაში, ასევე ავსებს მის მიერ შექნილ მხატვრულ ფილმებს დოკუმენტური კინოს მეტად უჩვეულო ელემენტებით. ამით ხაზს უსვამს ბილ ნიკოლსისეულ მოსაზრებას, რომ ყველა სახის კინო ერთია და რომ ყველა ფილმი არის მეტნაკლებად დოკუმენტური. ფილმების გადაღება ადრეულ ასაკში 14 წლისამ დაიწყო და, როგორც თვითონ იხსენებს, ბევრი წარუმატებლობა და დამცირება გამოიარა ამ ურთულეს გზაზე (Ebert 2017: 8).

იმისათვის, რომ გავარკვიოთ ვერნერ ჰერცოგის მორალური კანონები, კარგად უნდა ჩავწვდეთ მისი აზროვნების ძირითად მახასიათებლებს. როგორც თავად ჰერცოგი ამბობს, მას სძულს თეორია, ეს ცოტა არ იყოს წარმოუდგენლად მიგვაჩნია, ადამიანი გასაოცარი ვიზუალური ხედვის ნიჭით, რთული დასაჯერებელია, რომ თეორიასთან არ მეგობრობდეს. მას არაერთხელ, არა ერთ ინტერვიუში უთქვამს, რომ მის საყვარლ საქმიანობას წიგნების კითხვა და ფეხით მოგზაურობა შეადგენს. ერთიც და მეორეც დიდ ინტელექტუალურ რესურსზე მეტყველებს. ფილმის გამო ჰერცოგი ყოფილა მემავიც, ჯარისკაციც, დესპოტიც, ბანდიტიც, უძღვები შვილიც და გარემოს დაცვის ჯადოქარიც და პრაქტიკულად მკვლელიც

¹¹⁹ "Cinema verité Definition & Meaning - Merriam-Webster." <https://www.merriam-webster.com/dictionary/cinema%20verit%C3%A9>.

(Atkinson, 2000: 17-19) 1999 წელს Walker Art Center -ში საჯარო გამოსვლისას ვერნერ ჰერცოგმა წარადგინა თავისი შექმნილი მანიფესტი სათაურით „მინესოტას დეკლარაცია: სიმართლე და ფაქტი დოკუმენტურ ფილმში.“ ამ მანიფესტის გაჟღერებამდეც მისი ფილმებიდან ნათლად ჩანს, თუ როგორია მისი წარმოდგენა ეთიკის საკითხების მიმართ, როგორ ავლებს ის პარალელს რეჟისორის პროფესიონალიზმსა და წლების მანძილზე ჩამოყალიბებულ მორალურ ღირებულებებს შორის. ფილმის კრიტიკოსმა როჯერ ებერტმა ამ მანიფესტს არც მეტი, არც ნაკლები „ექსტატიკური“ ჭეშმარიტება, ხოლო მის ავტორს „კინოს ნამდვილი ჯარისკაცი“ უწოდა. ეს გასაკვირი არც არის, რადგან ვერნერ ჰერცოგის მიერ სამყაროს შეცნობა არის ჭეშმარიტი და ძლიერი სიხარულის და შინაგანი ბედნიერების განცდა. ეს არის თავისუფლების მდგომარეობა, რომელიც თავისუფალია ყოველგვარი საზრუნავისაგან. ეს არის სრული სიმშვიდის განცდა. „ექსტატიკური ჭეშმარიტების“ მიღწევა შესაძლებელია მედიტაციით, ლოცვით ან, უბრალოდ, ბუნებაში დროის გატარებით. მისივე დეკლარაციის ერთ-ერთ მუხლში ის გამოყოფს შემდეგს: “ჩემთვის - ამბობს ვერნერი - მხოლოდ ერთი კანონი უნდა არსებობდეს და ცუდი ბიჭები ციხეში უნდა წავიდნენ”.

ვერნერ ჰერცოგი უდაოდ გრძნობს კავშირს ყველაფერთან და ყველასთან ამ პლანეტაზეც და მის ფარგლებს გარეთ. ის გრძნობს სიყვარულს თავისი ფილმების სუბიექტების მიმართ და თანაუგრძნობს ყველას განურჩევლად სქესისა, კანის ფერისა თუ ფიზიკური შესაძლებლობებისა. ამასვე გადმოსცემს ის ვიზუალურად, როდესაც ერთდროულად სმენადაქვეითებულ და უსინათლო ადამიანების ჯგუფს, გმირებს ფილმისა “დუმილისა და სიბნელის ქვეყანა” (Land of Silence and Darkness) წარმოგვიდგენს, ერთ-ერთ სცენაში მათ პირველი თვითმფრინავით მგზავრობას სთავაზობს და ამ ყველაფერს დაკვირვებით, ფარული აღფრთოვანებით ადევნებს თვალს.

მისთვის ძნელი არ არის თავის მაყურებელს ზუსტად ის გრძნობა დაუტოვოს, რომელიც ამა თუ იმ მოვლენის დროს მას თავად დაეუფლა. ის, რომ მან კარიერის დასაწყისშივე დაიწყო იმაზე ფიქრი, თუ რა მორალის კანონებს მიჰყვებოდა და დაემორჩილებოდა თავისი ცხოვრების მანძილზე, კარგად ჩანს მისი მანიფესტიდან, რომელიც 15 პუნქტიანი ჩამონათვალია. ამ მანიფესტის გაჟღერებამდეც, მისი გადაღებული ფილმებიდან ნათლად ჩანს, თუ როგორი რთულია, მისი წარმოდგენა, კინოში ეთიკის საკითხებზე. როგორ ავლებს ის პარალელს პროფესიონალიზმისა და მასში წლების მანძილზე ჩამოყალიბებულ მორალურ ღირებულებებს შორის. ხშირად, ვერნერ ჰერცოგი თავის დოკუმენტურ ფილმებში უარს ამბობს კადრის წინასწარ გააზრებაზე და სპონტანურობასა და იმპროვიზაციას მიმართავს. ხშირად, ის თავად წყვეტს, თუ როდის უნდა შეწყდეს ომის დანაშაულებებით დამძიმებული, ფილმის გმირი ქალის მონათხრობი, რომლის შვილი არ ლაპარაკობს, სწორედ ამ ომით გამოწვეული ტრავმის შედეგად; ის გრძნობს როდის გამოიყენოს დუმილის პაუზა, როგორი შეკითხვა დაუსვას მკვლელს; როგორ ალაპარაკოს მშობლები, რომლებიც შვილის გარდაცვალების შემდგომ ინტერნეტ მომხმარებელთა ბუღინგის მსხვერპლები გახდნენ, ის არ აჩვენებს გარდაცვლილი შვილის ფოტოს, და ამ ქმედებას სწორედ რომ მაყურებლის გასაგონად ხაზს უსვამს. მისი კადრები უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს მაყურებელს, თანამონაწილეობის განცდას უჩენს, ამით ფილმებს ინტერაქტიულ ფორმასთან აახლოებს და

თანამედროვეობის უდიდეს რეჟისორად გვევლინება. ბევრგან რეჟისორი თავად ჩანს კადრში, არა მხოლოდ როგორც მსახიობი, არამედ როგორც მედიუმი, რომელიც მაყურებელს გადასცემს მართვის სადავეებს. რეჟისორის შინაგანი მე, თხრობისას, განაპირობებს მაყურებლის განწყობას და სუბიექტურობას.

ვერნერ ჰერცოგის ფილმები თავისუფლების ფერითაა გამსჭვალული, მაგრამ ის ყველა ფილმში თავის მაყურებელს ახსენებს რომ საზღვრები დასაშვებსა და აკრძალულს შორის მაინც არსებობს, და რომ ამაზე ყველამ ხმამაღლა უნდა ვილაპარაკოთ. შეიძლება ითქვას მისი ფილმები ერთგვარი ლექციის სახეს ატარებს, თბილი დამამშვიდებელი ხმა-ენაცვლება ყველასათვის გასაგებ ვიზუალურ მეტყველებას, მაგრამ აქ სიტყვების ნაცვლად გამოსახულება მეტყველებს: მეტყველებენ გმირები, რომლებიც უშუალო გარემოში ასევე უშუალოდ იქცევიან, მეტყველებს კამერა თავისი აუღელვებელი მოძრაობით, მეტყველებს ჟესტური ენა და რაც მთავარია მეტყველებს რეჟისორის ინტელექტი, რომელიც ძერწავს ყველა მისთვის ხელმისაწვდომი ელემენტისგან გასაოცარ ფორმას.

სადამ ჰუსეინი - დიქტატორი ძალაუფლების შეუზღუდავი ლტოლვით, სწორედ მის სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, როდესაც მისი გეგმები ქუვეითის ოკუპაციის შესახებ ჩაიშალა, მან შური იძია მსოფლიოზე- წარმოდგენილი ეკოლოგიური კატასტროფის სახით, რამაც ათეულობით ათასი ქუვეითის მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლე შეიწირა. ნავთობის საბადოების განზრახ დაწვამ თითქმის მთელი წელი ქუვეითისა და ერაყის მოსახლეობა ეკოლოგიურად გაუსაძლის მდგომარეობაში აცხოვრა.

მეხანძრეები ამერიკიდან, ინგლისიდან, ბელგიიდან ჩაერთნენ ცეცხლთან ბრძოლაში, შემდეგ მათ შეუერთდნენ კოლეგები სხვა ქვეყნებიდან. კვირაში 7 დღე 24 საათი მეხანძრეები ებრძოდნენ ამ ჯოჯოხეთს. ამ ყველაფერს ორი წელი დასჭირდა. აქვე იგრძნო თავი ჰერცოგმა მსოფლიოს ჯარისკაცად და თავისი ვერტმფრენით მსხვერპლთა დამცველად მოველინა მსოფლიოს და ამ მოვლენების ამსახველი არაჩვეულებრივი კადრების შემცველი ფილმი შექმნა. ამით მან გამოხატა საკუთარი მხარდაჭერა ჩაგრულთა მიმართ და კიდევ ერთხელ მიუთითა მსოფლიოს ხელოვნურად გამოწვეული კატასტროფების საშიშროებაზე

ჰერცოგმა უდიდესი ცხოვრებისეული გამოცდილება მიიღო მაშინ, როდესაც დოკუმენტალისტს ეროლ მორისს შეხვდა და მისგანვე შეიტყო, რომ მათი ინტერესები ემთხვეოდა ბოროტებასა და მკვლელობების კვლევის კუთხით. ფილმის „უფსკრულში“ (Into the Abyss) გადაღებამდე მრავალი წლით ადრე, ამ საერთო ინტერესმა ორივე სიკვდილისჯილების საკნებამდე მიიყვანა. „ადამიანის სულის ღრმა კრიზისი“ - ასე უწოდებს თავად რეჟისორი 2011 წელს გადაღებულ ფილმს სახელწოდებით „უფსკრულში“ (Into the Abyss) (Herzog, n.d. (2011) Into the Abyss. IMDb. https://www.imdb.com/title/tt1972663/?ref_=nm_filmg_t_15_dr), რომელიც სიკვდილისჯილის ისტორიას გვიყვება და ასევე მოკლულთა ნათესავებსაც თანაუგრძნობს, ვერნერ ჰერცოგი ფილმის ბოლომდე ცდილობს მკვლეუარის პოზიციიდან მიუდგეს საკითხს და მაყურებელს იდეა არ მოახვიოს თავს. სასტიკი მკვლელობა, რომელიც ფილმის მთავარ ისტორიას გვამცნობს, ამ მკვლელობის შედეგად დაზარალებული ადამიანების სულებში იჭრება და იქ სამუდამოდ რჩება. ადამიანები თავიანთი მეგობრის დედას იმეტებენ სასიკვდილოდ,

გამოუსადეგარი მანქანის გამო, მოგვიანებით კი მეგობრებსაც სასტიკად უსწორდებიან, ასეთი დამნაშავეები იმ შტატის კანონმდებლობით სიკვდილს იმსახურებენ. მოგვიანებით რეჟისორი ინტერვიუში ყვება, რომ ნიჰილისტურია მთელი ეს ქმედება (BBC Radio 5 live 2012). მაგრამ ფილმის წყობა სხვა განწყობას გვიტოვებს: პირველივე ინტერვიუ არღვევს ყველა საზღვარს და რეჟისორის მსოფლმხედველობასთან გვაახლოებს. როგორც ვერნერ ჰერცოგი მოგვიანებით იხსენებს, მან ციხეში მომუშავე პასტორთან ჩვეულებრივი საუბრით დაიწყო; იმდენჯერ ჩაეკითხა უმნიშვნელო ცხოვრებისეული სცენის გახსენებაზე, როგორცაა პასტორის ისტორია ციყვებსა და სამანქანო ინცინდენტთან დაკავშირებით, სანამ მისგან აღიარება არ მიიღო. საქმე ის იყო, რომ პასტორის თქმით მან ციყვებს კი უშველა, მაგრამ სიკვდილმისჯილ ადამიანებს, სამწუხაროდ, ვერაფრით შველის. ინტუიციით თუ დიდი გამოცდილების წყალობით კამერის წინ მეტად უცნაური საუბარი განვითარდა. შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ რეჟისორმა ჩაიხედა პასტორის სულში. ამავე დროს, მაყურებელი ჩააფიქრა: რით შეიძლება უშველოს თუნდაც მძიმე დამნაშავეს და ააცილოს ის სიკვდილით დასჯას? მეტიც, რეჟისორი ამაზე არ გაჩერებულა, მან სიკვდილმისჯილ დამნაშავეს მაიკალ პერის, რომელსაც სიკვდილამდე სულ რაღაც რვა დღით ადრე გაესაუბრა, შევითხვები დაუსვა და მასთან ერთად მეტად გულახდილად ისაუბრა იმაზე, რაც სასჯელის აღსრულების დღეს ელოდა მსჯავრდებულს. რეჟისორმა კარგად გაიაზრა მთელი უაზრობა და სიმძიმე მისი დანაშაულებებისა და არ ამართლებდა მას, მაგრამ, ამავე დროს, ასეთი სიტყვებით მიმართა პერის (და ეს ფრაზა ფილმშიც შევიდა): „როცა მე გელაპარაკები, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ აუცილებლად უნდა მომწონდე, მაგრამ პატივს გცემ, შენ კი ადამიანი ხარ და ვფიქრობ, რომ ადამიანები არ უნდა დაისაჯონ სიკვდილით“. ბოლოს კი, როდესაც დარწმუნდა, რომ გმირი მეტად გამბედავია, ბედნიერება და ყველაფერი საუკეთესო უსურვა და დაემშვიდობა იმ იმედით, რომ შესაძლოა სასწაული მომხდარიყო და ბიჭი ასე სასტიკად არ დაესაჯათ.

მხოლოდ ამ სიტყვებიდანაც ნათლად ჩანს, რომ რეჟისორი ყველა უსამართლობაზე მაღლა დგას და არ ავიწყდება, რომ ყველანი ადამიანები ვართ, არა აქვს მნიშვნელობა ცხოვრება ვის სად გამოამწყვდევს. ისე ჩანს, თითქოს, პერისთვის ეს იყო ათწლიანი სასამართლოებისა და საქმის გარჩევის შემდეგ პირველი ისეთი გულახდილი საუბარი, როდესაც მას არ ადანაშაულებდნენ, არ ცდილობდნენ ეთქვათ მისთვის როგორი მძიმე დანაშაული ჩაიდინა, არამედ საუბარი იმაზე, რომ მისი ადამიანობა და უფლება ცხოვრების შესახებ არ იყო მხოლოდ დისკუსიის საგანი, ეს საუბარი სიკვდილმისჯილისთვის გაცილებით ბევრს ნიშნავდა, ვიდრე სხვა ყველაფერი მანამდე არსებული მის ცხოვრებაში. და ეს მხოლოდ ვერნერ ჰერცოგმა შეძლო, იმიტომ, რომ მან კარგად იცის როგორაა აგებული სამყარო და ადამიანური ბუნება და რომ ხანდახან მხოლოდ მშრალი ფაქტები არაფერზე მეტყველებს. მან იცის, რომ დარწმუნების ფუნდამენტური სიმძიმე გაცილებით უფრო რთულია ვიდრე ადამიანის სხვა ნებისმიერი ქმედება. ნდობა, რომელსაც ის მოიპოვებს ინტერვიუების ჩაწერისას, სცილდება ყველანაირ მანამდე არსებულ ფორმას. ჟურნალისტები და რეჟისორები ერთხმად თანხმდებიან, რომ ხშირად უკეთესია ინტერვიუს ჩაწერა ადამიანისგან, რომლის მოსაზრებებსაც შენ არ იზიარებ, მაგრამ მანაც არ უნდა იცოდეს შენი შეხედულება ამა თუ იმ საკითხისადმი; დოგმატურობა მიუღებელია. ის, თუ როგორ აყალიბებენ ინტერვიუერები კითხვებს, როგორ იღებენ პასუხებს

და როგორ აგებენ ამ განმარტებების საშუალებით ნარატივს, წარმოდგენილად რთული პროცესია, რომელსაც ვერნერი ერთგვარი სიმსუბუქით უმკლავდება.

ასეთი ჰუმანურობა და ასეთი ღრმა წვდომა ადამიანის სულის, რეჟისორის მხრიდან, ასეთი გამბედაობა და მიმღებლობა ძნელად თუ ჩანს კიდევ რომელიმე ფილმში, რაც იმას ადასტურებს, რომ რეჟისორი მოქმედებს თავისივე სივრცითი ინტელექტის ფარგლებში და მის მიერ განხილულ პოზიციას ეთიკის ჭრილში აქცევს, უკუაგდებს საზოგადოებაში არსებულ სტერეოტიპული მოსაზრებების მთელ კასკადს.

რეჟისორი თავად თვლის, რომ თუ გინდა კინო ბანალურობისაგან დაიცვა, უნდა ჩაწვდე შენი გმირის სულიერ არსს: ”ესა მთავარი დოკუმენტალისტისათვის... ჩაიხედო მის გულში... სწორედ ასე ვმუშაობ მსახიობთან” - ამბობს ვერნერ ჰერცოგი.

ისტორიული და კულტურული წინაპირობა ხშირად განსხვავებულია მსახიობისა და რეჟისორის წარმოდგენებს შორის. როგორ უნდა მოიქცეს რეჟისორი, როდესაც გმირის მიერ წარმოთქმული მოსაზრება რადიკალურად ეწინააღმდეგება რეჟისორის მოსაზრებას, თუმცა არიან კრიტიკოსები, რომლებიც ამტკიცებენ საპირისპიროსაც, რომ ვერნერ ჰერცოგი ზედმეტად იჭრება ადამიანების ინტიმურობაში და რომ მას სიამოვნებს კიდევ ადამიანური სისუსტის გამოაშკარავება.

“უმეცრებას ვერ დააკანინებთ“ (you can't legislate stupidity) - ეს მცირე ამონარიდია ვერნერ ჰერცოგის დეკლარაციიდან. თითქმის 32 წელია გასული ამ დეკლარაციის გამოქვეყნებიდან და მისი მოსაზრებები სფეროს წარმომადგენლებს შორის მხოლოდ მყარდება.

ვინაიდან დღეს არსებულ ყველა დოკუმენტურ ფილმში ავტორის როლი დიდია, ვერნერი კარგად ითავისებს ამ როლის მნიშვნელობას, თავის მაყურებელს არ ღალატობს და ბოლომდე გულახდილი რჩება მათთან. ფილმი ”ოჯახური რომანტიკა“ (Family romance). ერთი შეხედვით ფსევდოდოკუმენტური ფილმია. 2019 წელს გადაღებულ დოკუმენტურ ფილმში, ვერნერ ჰერცოგმა არ დამალა რომ დოკუმენტური ფილმებისათვის მსახიობებიც კი შერჩეული ჰყავდა და ყველა გადაღებას მხატვრული კინოგადაღების პრინციპით ახორციელებდა. მან ახსნა: „ეს რომ რეალური მოვლენების ფიქსირება ყოფილიყო და მე დოკუმენტური ფილმის გადაღებების კლასიკური მეთოდით წარმემართა, მე ჩემი კამერით თანამონაწილე გავხდებოდი ამ გოგოს, მახიროს, მოტყუებაში. წარმოიდგინეთ როგორია მოატყუო და არ უთხრა ბავშვს, რომ მამამისი თვითმარქვიაა. ასეთ მდგომარეობაში არაეთიკური იქნებოდა დოკუმენტური ფილმის გადაღება...“.

თითქმის სამოცწლიანი კინოკარიერის მანძილზე ვერნერ ჰერცოგმა შემქნა 60-მდე მხატვრული თუ დოკუმენტური ფილმი. ინტერვიუს ჩაწერისას, აბსოლუტურ ნდობაზეა აწყობილი მისი საუბარი სუბიექტთან. როგორც თავად ამბობს სინემატოგრაფიულ ხერხებს მიმართავს და არა ჟურნალისტურს: „მე არ ვარ ჟურნალისტი; მე ვარ პოეტი. მე მქონდა დისკურსი, შეხვედრა ამ ხალხთან, მაგრამ არასდროს მქონია ჩამოწერილი კითხვების სია” - აცხადებს ვერნერი (Beames (2012). Werner Herzog Interview: „I'm not a journalist... I'm a poet.“ WhatCulture.com. <https://whatculture.com/film/werner-herzog-interview-im-not-a-journalist-im-a-poet>). ფილმში მაინც მთავარია ადამიანებს შორის, ამ შემთხვევაში რეჟისორსა და მის გმირს

შორის, დამყარდეს ღრმა კავშირი. ჟურნალისტური ეთიკის საკითხები მეორეხარისხოვანი ხდება, როდესაც თქვენ „ექსტატიკური“ ჭეშმარიტების მიმდევრები ხდებით, ამავე კატეგორიაშია რეჟისორის პირადი დეკლარაციაც, უდაო ხდება, რომ მას ტოლი არ ჰყავს ამ სფეროში (Bramesco (2019). Werner Herzog: „I'm not a pundit. Don't push me into that corner.“ The Guardian. <https://www.theguardian.com/film/2019/may/01/werner-herzog-im-not-a-pundit-dont-push-me-into-that-corner>).

ინტერვიუც რომ არ იყოს ფილმში, მაინც მთავარია ადამიანებს შორის, ამ შემთხვევაში რეჟისორსა და მის გმირს შორის, დამყარდეს ისეთი ღრმა კავშირი, რომლის მეშვეობითაც გმირის შინაგანი სამყარო უფრო მეტად გაიხსნება. თითქოს რა კავშირი უნდა იყოს წიგნების მოყვარულ რეჟისორსა და დათვებთან მცხოვრებ „დათვისკაცს“ შორის. განსაკუთრებით გამოვყოფთ, ვერნერ ჰერცოგის დოკუმენტურ ფილმს „დათვისკაცი“ (Grizzly Man) (2005), რომელშიც მან ადამიანის უფლება პირადი ცხოვრების ქონის შესახებ უფრო მნიშვნელოვანი გახადა, ვიდრე ფილმის ძირითადი მოვლენის - უნიკალური მასალის მოპოვება და გამოააშკარავება. ავტორი კი ტიმოთი ტრეიდველის (Tomothy Treadwell), იგივე ტიმოთი ვილიამ დექსტერის (Timothy William Dexter) ისტორიას მოგვითხრობს. ამერიკელი ბუნებადამცველი, დოკუმენტალისტი და დათვების დაცვის ორგანიზაციის დამფუძნებელი, 13 ზაფხულის განმავლობაში ალასკაში, კატმაის ნაციონალურ პარკში გრიზლი დათვებთან ცხოვრობდა, ის რეგულარულად არღვევდა ადგილობრივი რეინჯერების მიერ დაწესებულ წესს არ მიახლოებოდა დათვებს 100 ფუტის მანძილზე. ცხოვრების ბოლი 13 წელი ამ დათვების და კადრში თავისი თავის გადაღებას აწარმოებდა ვიდეოტექნიკის გამოყენებით და შემდგომ ამ კადრებს საგანმანათლებლო მიზნით იყენებდა. თავის უპირველეს მისიად თვლიდა ამ დათვების შესახებ მთელს მსოფლიოს უნდა შეეტყო. ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე თითქმის 100 საათი მასალის გადაღება შეძლო.

ფილმის ყურებისას მაცურებელს უჩნდება გრძნობა, რომ რეჟისორი ღელავს. ეტყობა კიდევ, ვინაიდან მას არ გადაუღია დათვებისა და ტიმოთის კადრები, მასალა თვით დათვისკაცმა - ტიმოთი ტრეიდველმა შექმნა. მისი ტრაგიკული გარდაცვალების შემდეგ კი ეს კადრები ვერნერს, ტიმოთის საუკეთესო მეგობარმა მიაწოდა და ფილმის შექმნა შესთავაზა. მთელი ფილმის განმავლობაში რეჟისორი დაულალავად ეძებს მიზეზს, და თითქოს უჭირს კიდევ იმის ბოლომდე გააზრება, რომ ტიმოთი - მისი გმირი, არ ემორჩლება საზოგადოებისაგან ნაკარნახევ წესებს. ის მხოლოდ ბუნების კანონებს უსმენს და ქმნის უნიკალურ კადრებს, რომელთა მოსაპოვებლად არღვევს დათვებთან დისტანცირებასაც და ცხოვრების წესსაც; მოგვიანებით თავის მეგობარ გოგოსაც კი უცვლის ამ ცხოვრების წესს. რეჟისორი მაცურებელს აფრთხილებს და უზიარებს აზრს რომ მას უჭირს კიდევ ამ ყველაფრის გაგება როგორ ახერხებს ადამიანი დათვებთან ისე იცხოვროს თითქოს ერთ-ერთი მათგანი იყოს, ვერნერი ყველაფერს ბავშვის მიამიტი თვალთ უყურებს.

ყველაზე მნიშვნელოვანი კადრი - ახალგაზრდა წყვილის ტრაგიკული სიკვდილის ამსახველი 6 წუთიანი ვიდეოჩანაწერი, რომელიც მათი სიკვდილის ბოლო წუთებს ასახავს, ფილმში არ შევიდა. აქ სწორედ რომ ჰერცოგმა ითამაშა გადამწყვეტი როლი. ინტუიციურმა ხედვამ და მიგნებებმა სწრაფად აულო ალლო ფილმის სტრუქტურას და რეჟისორი მიხვდა, რომ

ტიმოთისა და მისი მეგობარი გოგოს შემადრწუნებელი სიკვდილის ამსახველი მასალა და ამ მასალის გასაჯაროება დამანგრეველი იქნებოდა ტიმოთის პერსონისთვის. ერთ-ერთ ინტერვიუში ვერნერ ჰერცოგი გვიზიარებს თავის ემოციებს, იმდროინდელ განცდებს და დოკუმენტური ფილმის „Grizzly Man“-ის შექმნისას გამოუყენებელ მასალაზე გვიყვება: „იყო ვიდეოჩანაწერი, რომელშიც მხოლოდ ხმა ისმოდა, რადგან იმ მომენტისთვის კამერის ლინზას ჯერ კიდევ ხუფი ჰქონდა მორგებული. ეს ჩანაწერი იმ ორი ადამიანის სიცოცხლის უკანასკნელ 6 წუთში მომხდარ მოვლენებს ასახავდა, მხოლოდ ხმით, რაც იმდენად მძიმე და შემზარავი იყო, რომ თავიდანვე მივხვდით, ამ მასალას ფილმში არ გამოვიყენებდით. როგორც რეჟისორს, გაქვს პასუხისმგებლობა, რომ არ შეურაცხყო ადამიანების ღირსება“. ეს ყველაფერი კი ვიზუალურად ასე გადმოგვცა: ჯერ გაესაუბრა ექიმს, რომელმაც ექსპერტიზა გაუკეთა სხეულებს და ამ ინტერვიუთი უკვე შეამზადა მაყურებელი რაღაც საშინელი ისტორიის მოსასმენად, შემდგომ ტიმოთის თანამოაზრისა და მისი საქმის გამგრძელებლის ინტერვიუს დროს, რეჟისორი კადრში ყურსასმენებით გამოჩნდა ზურგით. მაყურებელი ამ დროს კადრში მხოლოდ რვიანზე რესპონდენტი ქალის ემოციურ სახეს ხედავდა, რეჟისორის მიერ გამოხატული მძიმე რეაქციის გამო ქალის სახე ემოციურად სულ უფრო და უფრო მძიმდებოდა. რეჟისორმა დაასრულა ფირის მოსმენა და კადრშივე დაჰპირდა ქალს რომ ამ მასალას ის თავის ფილმში არ გამოიყენებდა, ხოლო ქალს თავის მხრივ პირობა ჩამოართვა, რომ ის ამ ვიდეოჩანაწერს გაანადგურებდა. ასეც მოხდა, არსებული მასალა მხოლოდ უფლებამოსილმა პირებმა იხილეს და იგი არასდროს არ გამხდარა საჯარო...

ისევ კინოკრიტიკოსი როჯერ ებერტი იხსენებს: სრულყოფილი დოკუმენტური ფილმი... მე მქონდა სიამოვნება, რომ მენახა Grizzly Man-ი გამოშვებისთანავე, გადავსებულ დარბაზში და როდესაც ტრედველი - ისეთივე ქერა და მყიფე, როგორც კლაუს კინსკი... აუდიტორია რეაგირებდა, გმირის მიმართ შინაგანი თანაგრძნობით. და ჰერცოგი, თუნდაც ხმის, სინათლისა და მონტაჟის მეშვეობით, კვლავ მოგვევლინა როგორც ლომის მომთვინიერებელი, რომელიც გველაპარაკებოდა კადრების მეშვეობით და მაგიურ და, ამავდროულად, ტოქსიკურ ნაზავს გვთავაზობდა. ალფა ვარსკვლავის შინაგანი სამყაროდან მოგვევლინა და ტიმოთის შინაგანი სულიერ ქაოსი ხელოვნებად აქცია” (Ebert, 2017: 33).

ერთადერთი მიზეზი, რომელსაც შეუძლია აიძულოს შეცვალოს გმირის რეალური პერსონა - სოციალური პირობებია. გმირებმა, შესაძლოა, უფრო მეტი ემოციურობით წარადგინონ თავი, შეეცადონ და შექმნან საკუთრი თავის ნამდვილი სახე, რომელიც, როგორც თავად სჯერათ, მომგებიანი იქნება მათი საჯაროდ წარდგენისას.

ვერნერი თავის თავს ექსპერტად არ მიიჩნევს, თუმცა თვლის, რომ მსოფლიო ქაოსის დანახვას დიდი ექსპერტობა არც სჭირდება. საკუთარ აზრებს სიზმრებად მიიჩნევს და იმედოვნებს, რომ მაყურებელიც მსგავს სიზმრებს ხედავს.

ხშირად დოკუმენტურ ფილმში ავტორი მთლიანად უგულვებელყოფილია და მისი როლი მინიმუმამდეა დაყვანილი. ვერნერის შემთხვევაში გადაღებები ისეთი სიზუსტითაა დაგეგმილი და განსაზღვრული, რომ მონტაჟისა და დიალოგისა და ქმედების წყობის, ისე აგებას აიძულებს ავტორს, რათა ერთის მხრივ არ დარჩეს შეკითხვა მის მიერ შექმნილ ორიგინალურ

თხრობის ნიაუნსებზე და არავინ დაზარალდეს. იქნება ეს გმირი, შემთხვევით კადრში მოხვედრილი სუბიექტი თუ უბრალოდ ავტორის მიერ გამოთქმული აზრი.

“კომეტებში და მეტეორიტებში: შორეული სამყაროს სტუმრები” - კიდევ ერთი ფილმი, რომელშიც რეჟისორი თავის გმირებთან ერთად განაგრძობს და, ერთი შეხედვით, მარტივი ნივთებითაც კი სიხარულს განიცდის. ამავე დროს, ჩართულია საკაცობრიო მნიშვნელობის ექსპერიმენტში და დიდი რუდუნებით ადევნებს თვალს მეცნიერთა აღმოჩენებს, რომლებსაც დაუღალავი ინტერესის გამოხატვის საშუალებით აფიქსირებს კამერაზე და დიდი ოსტატობით ახერხებს ინტერვიუ ადვილი და გასაგები გახადოს. ამ საქმისგან მეტად შორს მდგომი მაყურებლისათვის მარტივი აღსაქმელი გახადოს. მეცნიერის სახეზე ასახული დიდი სიხარული მეტეორის პოვნისას არქტიკაში, შეგვიძლია ვივარაუდოთ, ჰერცოგი მიჰყვება თავის ფანტაზიას, მაგრამ ფანტაზიიდან ფილმის გადაღება ნიშნავს ფანტაზიის რეალიზებას. ფილმის შემქმნელი არის არა პასიური სენსორი რეალობის წინაშე, არამედ ის ქმნის რეალობას თავის ფილმებში და ეს რეალობაა ახალი, წარმოსახვითი რეალობა.

დასკვნა:

ეთიკურია თუ არა ვერნერ ჰერცოგის ფილმები, ამის შესახებ ყველა ადამიანმა თვითონ უდნა იმსჯელოს მისი ფილმების ნახვის შემდგომ. თუმცა, ცხადია, რომ მისი ნამუშევრები დამაფიქრებელია და მისი ხელოვნება გამორჩეულია, ხოლო გამოთქმული აზრები, თითქოს ბავშვის აზრებივით ნათელი და მიაბიტი. ყველაფერი მოწმობს იმას, რომ მისი დიალოგი მაყურებელთან გულახდილობაზეა აგებული. ერთი შეხედვით მის სურვილს წინ ვერაფერი აღუდგება, მაგრამ არსებობს ღრმად გავლენებული ხაზი მასა და სამყაროს შორის, ამ ხაზს ქმნის მისი ნათელი გონება, რომელმაც ზუსტად იცის რა არის კარგი მისთვის, მისი მაყურებლისთვის და, მაშასადამე, სამყაროსთვის. მნიშვნელოვანი იყო ამ კვლევის ჩატარება და დოკუმენტურ ფილმებში ეთიკის საკითხების წინ წამოწევა, ვინაიდან კვლევაში განხილული საკითხების საფუძველზე, შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ რეჟისორი ადამიანის ხასიათის ბუნებრივი მაპროვოცირებელია.

შევეცადეთ გაგვეანალიზებინა, ჰერცოგის მანიფესტის აქტუალობა 32 წლის შემდეგაც, მისივე ფილმების კონკრეტული მაგალითებზე დაყრდნობით. ასევე, გამოვიყენეთ რა, დისკუსია მკვლევრებსა და კრიტიკოსებს შორის, სფეროში მომუშავე პროფესიონალების და, ასევე, თავად ვერნერ ჰერცოგის მოსაზრებებზე დაყრდნობით ვეცადეთ, აუდიო-ვიზუალურ სფეროში მომუშავე სპეციალისტების ყურადღება მიგვეპყრო ამ მეტად საპასუხისმგებლო საკითხზე.

ეთიკის საკითხების მიმოხილვის პარალელურად, გავიაზრეთ რა, რეჟისორის მორალური ღირებულებები ამა თუ იმ კადრის ფიქსირებისას, დაფიქრდით იმაზეც, რა აიძულებს ავტორს, თან არ დარჩეს შეკითხვა მის მიერ შექმნილი ორიგინალური თხრობის ნიაუნსებზე და, ამავდროულად, არავინ დაზარალდეს; იქნება ეს გმირი, შემთხვევით კადრში მოხვედრილი სუბიექტი თუ მაყურებელი, რომელიც კინოდარბაზში იხილავს ფილმს.

კინოში რეალობის შემოჭრისაგან თავის დასაცავად, იმ მრავალ თეორიათაგან, რომელსაც ვიყენებთ, არც ერთს არ ძალუძს წაშალოს, ე. წ. მონაწილეობის შეგრძნება ან

პირიქით, სუბსტანციურობის არარსებობა. ამ ბოლო დროს ადამიანის გარშემო სულ უფრო მეტად მატერიალურ სამყაროში ვეძებთ ჭეშმარიტებას, სადაც ავტორები აუდიო-ვიზუალს ქმნიან ვირტუალური რეალობის (Virtual reality (VR)) სენსორული რეალობისა (Augmented reality (AR)) და ხელოვნური ინტელექტის (Artificial Inteligence (AI)) გამოყენებით. ანუ ჭეშმარიტება, რომელიც ადამიანისათვის ასეთი აუცილებელია სულ უფრო და უფრო მატერიალურ ფორმას იძენს და არა მორალურს. ის, რასაც დღეს კამერა აფიქსირებს, უნდა განვიხილოთ როგორც ემოციური ჭეშმარიტება, რომელშიც ეთიკის საკითხები არ დგას პირველ ადგილას, სულ უფრო ადვილი ხდება ახალგაზრდა თაობისათვის ტექნიკური ხერხების გამოყენება კონტენტის შექმნისას, ემოციის შესაქმნელად, მაგრამ ეთიკის საკითხები მათთვის ნელ-ნელა მეორეხარისხოვანი ხდება. ხშირად კი თითქმის სრულიად უგულვებელყოფილია. ერთმანეთს უპირისპირდება პოეტურობა და პროზა, მყარი ობიექტურობა და ემოციურობა.

რისი ნიშანია და რა ძირითად მატარებლებს შეიცავს ეთიკის საკითხებში ჩაწვდომის სურვილი? იქნებ იმის, რომ წაგვლეკა თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით შექმნილმა გაუაზრებელმა და მდაბიო კონტენტმა. გამოსახულება, შექმნილი ახალი ტექნოლოგიებით და ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით, სულ უფრო ახალ-ახალ ფორმას იძენს. ვის, თუ არა ვერნერ ჰერცოგის თაობას, რომლისთვისაც სოციუმი იყო მაგალითი და პირველია, და მეტად მნიშვნელოვანი არის ადამიანი, და გარემო რომელშიც ის ცხოვრობს. მის მიერ დაგროვილი მატერიალური თუ მორალური ცოდნის საფუძველზე იქმნებოდა ხელოვნების არაერთი ნიმუში. ვერნერ ჰერცოგის შემთხვევაში, ეს არის ვიზუალიზირება იდეებისა და არა აქვს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა რამდენ მსახიობს მოაქცევს ის ჰიპნოზის ზეგავლენის ქვეშ, ან რამდენ ინუიტს მოაგროვებს გადასაღებ მოედანზე მთის იქით გემის გადასაზიდად, ის ყოველთვის არჩეული პროფესიის მიღმა ადამიანად რჩება, და ეს მეტად მნიშვნელოვანია დღევანდელ დღეს. ავტორი, რომელიც იღებს ხელში კამერას და იწყებს ფანტაზიის ფიქსირებას, თუ ის ადამიანებისათვის მოქმედებს და ეს ქმედება მათემატიკური სიზუსტითაა განსაზღვრული, შედეგი მხოლოდ დადებითია.

საავტორო დოკუმენტური ფილმის შექმნისას ეთიკის საკითხების განხილვა შეუქცეველ პროცესად მიგვაჩნია, მითუმეტეს დღეს, როდესაც ჩვენს გარშემო შექმნილი მედიაგარემო სინათლის სხივის სიჩქარით იცვლება. “მისი გმირები ამბიციურობასთან ერთად წარუმატებელი მეოცნებენიც არიან და სწორედ ეს არის, რისი გადმოტანაც უნდა ჰერცოგს თავის ფილმებში და, ამავედროულად, სურს, რომ ყველაფერი იმდენად დამაჯერებლად გააკეთოს, რომ მაყურებელმა თავად იგრძნოს ამ კადრების მონაწილედ თავი. ეთიკურ დილემასთან შეჯახებისას, უკვე არსებული კოდექსი არ დაგეხმარებათ, იმიტომ, რომ მზა პასუხები არ გააჩნია. ეთიკასთან დაკავშირებული პრობლემები ყოველთვის გაჩნდება” (Lund, 2020: 44) - თვლის ჯოშუა ლუნდი.

განხილული თეორიების საფუძველზე შევეცადეთ დაგვენახა და გაგვეანალიზებინა, თუ როგორ ხდება ამ კონკრეტული რეჟისორის მიერ განვლილი რთული გზის მაგალითზე, მის მიერვე საკითხისადმი ადრეულ ეტაპზე ინტერესის გამოვლენა და მუდმივი დაკვირვება ფაქტებზე, მოვლენებზე, მათ რეალობაზე, რომელიც პროფესიაში რეჟისორად ჩამოყალიბების

თანადროულად ყალიბდება. ჩატარებული კვლევა გვიჩვენებს, რომ აუდიო-ვიზუალურ ხელოვნებაში ეთიკის ნორმები აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული და სასურველია ისე, როგორც ამის მაგალითს ვერნერ ჰერცოგის ფილმები გვაძლევს.

გამოყენებული ლიტერატურა და ბიბლიოგრაფია:

Atkinson, M. (2000). "THE WANDERINGS OF WERNER HERZOG." Film Comment 36 (no. 1): 16–19.

BBC Radio 5 live. 2012. "Kermode: Werner Herzog, 30 March 12." Mark Kermode and Simon Mayo's Film Reviews.

Beames, R. (2012). "Werner Herzog Interview: 'I'm not a journalist... I'm a poet.'" WhatCulture.com. <https://whatculture.com/film/werner-herzog-interview-im-not-a-journalist-im-a-poet>.

Bramasco, Ch. (2019). "Werner Herzog: 'I'm not a pundit. Don't push me into that corner.'" The Guardian. <https://www.theguardian.com/film/2019/may/01/werner-herzog-im-not-a-pundit-dont-push-me-into-that-corner>.

"Cinema verité Definition & Meaning - Merriam-Webster." <https://www.merriam-webster.com/dictionary/cinema%20verit%C3%A9>. Accessed 24 Dec. 2023.

Ebert, R. (2017). Herzog by Ebert. United Kingdom. University of Chicago Press.

Herzog, W. n.d. "Into the Abyss (2011)." IMDb. https://www.imdb.com/title/tt1972663/?ref_=nm_flmg_t_15_dr. Accessed August 14, 2023.

Lund, J. (2020). Werner Herzog. United Kingdom: University of Illinois Press.

"Werner Herzog and Errol Morris Talk About 'The Act of Killing.'" (2013). VICE. <https://www.vice.com/en/article/kwn43m/werner-herzog-and-errol-morris-talk-about-the-act-of-killing>.

Кант, И.. n.d. "Кант И Основы метафизики нравственности." Wiktionary. <https://vehi.net/zph/ikant.html>. (Accessed August 8, 2023).

Ethical Challenges in Werner Herzog's Documentary Works

Summary

German born film director Werner Herzog, also producer, actor, author, directed more than sixty feature and documentary films. He is known as an experimenter of visual images and one of the leading lights of the New German Cinema. His Creative Documentaries are distinguished by humanity and intersubjectivity. At the same time, he aspires to the archaic, fixing the elusive, investigates the nature and of the humans. At the very beginning of the career, Werner Herzog violates the basic principles of Cinéma Variété, and when defining the form of cinema, he is courageously interfering in the structuring of Imagery. And he fills his feature films with most extraordinary documentary elements. Views emphasizing the Bill Nichols's theory that every film is a documentary.

As Herzog himself has repeatedly said, he "hates" the theory, but in 1999, he visited the Walker Art Center, to conclude manifesto entitled "The Minnesota Declaration: Truth and Fact in Documentary Film". Even before this manifesto, the films made by him clearly show up what is the main ethics challenges in his films- how he draws a parallel between professionalism and moral values consciously formed over the years. Often in his documentaries, Werner Herzog abandons the advance understanding of imagery and tucks into spontaneity and improvisation. Usually, he himself decides when to stop interviewing of the female protagonist, burdened by war crimes, he decides when to stop sound recording, or how to interview killer. His shots provide a unique opportunity to the audience - it gives them the filling of audience complicity. It makes his films closer to an interactive form. In many places, the director himself appears imagery, not only as an actor, but also as a medium, handing over to the audience full control. In narrative only innerself of the director, determines the mood and subjectivity of the audience.

Ethical issues in the Creative Documentaries should be considered and discussed. It could become an irreversible process for researchers, especially now, when the media environment around us is changing at the speed of light. We are increasingly looking for truth in the material world around us. Where authors create audio-visuals by using Virtual reality(VR) Augmented reality (AR) and Artificial Intelligence (AI). The reality, which is so needed for a person, acquires various material form more and more. These are directors mostly working in arrange the dramaturgy, narrative line and structure of the film, but what these days the camera is ready captures is nothing more than Emotional Realism, in which ethical issues are not on the first place, but something else - more distinct and at the same time abstract.

The study aims to draw the attention of moviemakers in the audio-visual field to this responsible of the significant issue. In the conduct of the study, we were rely on the opinions of experts in the field of audiovisual communications and individual researchers about ethical standards and the

realistic film traditions. We were observed ethical considerations in Werner Herzog's documentaries. We were try to analyze and reaffirm the relevance of the Werner Herzog manifest, which was proclaimed 32 years ago.

Based on the issues raised in the study, consequently, it can be stated that the director is an inartificial provocateur of human nature. Once he acts within his spatial intelligence and transforms his position on discussing ethical violations, he rejects the stereotypical view in society of the "expected narrative of facts". Research shows that working on ethical standards in audiovisual field should be taken into consideration, preferably in the best possible ways of Werner Herzog's films.

ნინო ქებულაძე, ნინო ტაბუცაძე, ანა დვალი,
მამუკა ქაფიანიძე, თემო ჯოჯუა
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

იდუმალი მთიულეთის საგანძურის ინტერდისციპლინარული კვლევა

ს. ჯანაშიას საქართველოს მუზეუმის ისტორიისა და ეთნოგრაფიული კოლექციების მკვლევარი ლითონების ფონდში დაცულია ხანდოს ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიერ ქართლის სოფელ ჭართალის სამრევლო ეკლესიიდან წამოღებული და მუზეუმისთვის გადმოცემული ვერცხლისაგან დამზადებული (რამდენიმე მოოქრული), შუასაუკუნეების ჭედური ხატების უნიკალურ კოლექცია, რომელიც აქამდე არ ყოფილა სამეცნიერო კვლევისა და შესწავლის საგანი. ხატების კოლექცია (N28-1945/87) მუზეუმში შემოსვლისას X-XIV



ფოტო 1.

საუკუნეებით დაათარიღეს (ფოტო 1).

აღნიშნული კოლექციის შესწავლა და რესტავრაცია ს. ჯანაშიას საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალის საკონსერვაციო-კვლევით ლაბორატორიაში მიმდინარეობს. ლაბორატორია 1932 წლიდან ფუნქციონირებს. იგი ერთადერთი ცენტრია საქართველოში, სადაც კომპლექსურად წარმოებს არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალის კვლევა-რესტავრაცია-კონსერვაცია (ფოტო 2).

წინასწარული კვლევისას ყველა ექსპონატზე წარწერები დაფიქსირდა.

მუზეუმისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივებში კოლექციაზე ინფორმაციის მოძიებისას, რამდენიმე საინტერესო დოკუმენტს წავაწყდით. აღმოჩნდა, რომ გუდამაყარ-ხანდოს ხეობაში 1945 წლის ექსპედიცია პროფ. გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით, მუზეუმმა და აკად. ისტორიის ინსტიტუტმა ერთობლივად განახორციელა. ექსპედიცია შვიდი მეცნიერ თანამშრომლისა და ორი მხატვრისაგან (ჩერნიშოვი და ბრაილაშვილი) შედგებოდა. სწორედ ამ ექსპედიციის მიერ იქნა ხეობიდან ხატები წამოღებული (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის 1945 წელს ჩატარებული მუშაობის მიმოხილვა (1947). ანაგარიში. სსმმ, XIV-B, გვ. 446).

ხატებთან დაკავშირებული ყველაზე ადრეული ინფორმაცია 1903 წლის 13 ივნისის „ცნობის ფურცელში“ მოვიპოვეთ.¹²⁰ ტექსტი მოგვყავს სრულად:

„ანანურსა და ფასანაურს შუა, საქართველოს სამხედრო გზის პირას, მდებარეობს სოფელი ჭართალი, სადაც 30 კომლი მთიული სცხოვრობს. ამ სოფლის მახლობლად, სერზე, უწინ მონასტერი ყოფილა აშენებული. ეხლა-კი ნანგრევების მეტი არა მოსჩანს-რა. ადგილობრივი მკვიდრნი, მთიულები, მაინც არ ივიწყებდნენ თურმე ამ ადგილს, მეტადრე ხევის ბერ-დეკანოზები, რომელთაც და ჭეშმარიტებით სცოდნიათ, რომ იმ მონასტრის დანგრეულ ზღუდეთა შორის დაფლულია ძვირფასი საეკლესიო ნივთები. ამ ხუთის წლის წინად ადგილობრივ ბოქაულს გ. დ. ჭონქაძეს გაუგია ეს ამბავი, ასულა ჭართალში, დაუბარებია ხევის ბერ-დეკანოზები და იმათის დახმარებით ამოუთხრევენებია მონასტრის ერთი ალაგა, რომელიც დეკანოზებს უჩვენებიათ. მართლაც სალის კლდის ქვის ფიცრებ-ქვეშ უნახავთ ძვირფასი საეკლესიო ნივთები: ხატები, ჯვრები, ჯამები, საცეცხლური, საიაზმე ხუცურის ზედ-წარწერით.



ფოტო 2.

ეს ნივთები არქეოლოგიისათვის საინტერესო რასმეს წარმოადგენს. ნივთები ამჟამად ადგილობრივ ეკლესიაში ინახება. ხატები მეტად დიდი ტანით (თითო ადლ-ნახევარი სიგრძე, ადლი სიგანე), დაფუტურობულ ხეზე წამალი ჯერ კიდევ კარგად შენახულა, ასე რომ ხატის სახე კარგად სჩანს. ამოდენა ფიცრის ხატები გარედან წმინდა ვერცხლით არის მოჭედილი

¹²⁰ წყაროზე ინფორმაცია მოგვაწოდა ოქროპირ ჯიქურმა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ მას.

ხუცურის ზედ-წარწერით. ჯვრებიც ვერცხლისაა, შიგა-და-შიგ თვლები აქვს დატანებული. თვლები კი ძვირფასი არ უნდა იყოს. ჯვრებსაც ზედ-წარწერა აქვს, მხოლოდ მხედრულად. საცეცხლოური, ჯამები, სააიაზმე - ეს ნივთები სულ ვერცხლისაა და მხედრული წარწერა აქვთ. იმედია ჩვენი არქეოლოგები ისარგებლებენ ზაფხულის დროით და დაათვალიერებენ როგორც ჭართლის მონასტრის ნანგრევებს, ისე იმ ნივთებს, რომელიც ჯერ მეცნიერის თვალს არ უხილავს. ეს საქმე ადვილი მოსახერხებელია, რადგან სოფელი ჭართალი, როგორც ვსთქვი, ანანურიდან 12 ვერსის მანძილზეა. - დ. პავლიაშვილი“ (ცნობის ფურცელი (1903), გვ.3 https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/31228/1/Cnobis_Furceli_1903_N2179.pdf.)

გორის მუზეუმში დაცულ ს. მაკალათიას არქივში არსებობს პირადი ჩანაწერების რვეული, სადაც ვნახეთ შენიშვნა „ხატები აღმოჩნდა 1896 წელს სამების ეკლესიის ნანგრევებში“ (ხანდო. გსიემ, ა.8790). ამ მონაცემების შეჯერებით დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ „ცნობის ფურცელში“ ჭართალში არსებულ ზენუბნის სამების კომპლექსზეა საუბარი და ჩვენი კოლექციიდან რამდენიმე ხატი სწორედ ამ ეკლესიის ნანგრევებიდან 1896-1898 წლებში ამოიღეს.

ჭართალის შესახებ მორიგი ინფორმაცია 1904 წლის 8 ოქტომბრის „ცნობის ფურცელში“ მოვიძიეთ:


„ოქტომბრის შუა რიცხვებში ტფილისში ჩამოვა მოსკოვის საარქეოლოგო საზოგადოების თავმჯდომარე გრაფინია უვაროვისა. აქედან გრაფინია დუშეთის მაზრაში გაემგზავრება ჭართალისა (ფასანაურიდან 10 ვერსის მანძილზე მდებარეობს) და ალევის სიძველეთა გამოსაკვლევად. მოსკოვის საარქეოლოგო საზოგადოება დიდი ხანია აპირობს თურმე ამ სიძველეთა გამოკვლევას, მაგრამ დღემდე ვერ მოახერხა“ (ცნობის ფურცელი (1904). N2633. გვ. 2. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/36294/1/Cnobis_Furceli_1904_N2633.pdf.) უვაროვას, სავარაუდოდ, 1904 წელს ჭართალი არ მოუწახულებია.

საბოლოოდ, ხატებზე ინფორმაციის ძირითადი წყარო, ქართველი ეთნოგრაფის, სერგი მაკალათიას ნაშრომი „მთიულეთი“ აღმოჩნდა. საიდანაც ვიგებთ, რომ 1928-1929 წლის ზაფხულში მთიულეთის მხარეთმცოდნურ შესწავლას იგი მარტო, ერთობ არახელსაყრელ პირობებში აწარმოებდა. პირველი - სამუშაო დროის სიმცირე იყო, რადგან ის ლექტორად იყო მიწვეული ფასანაურის საექსკურსიო ბაზაში და ძლიერ დაკავებული გახლდათ. მეორე და მთავარი - უსახსრობა იყო: „ერთად ერთი კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია, რომელიც თანაგრძნობით გამოეხმარა ჩემს მიმართვას მთიულეთის შესწავლის საქმეში და თავისი წვლილი გაიღო განათლების მუშაკთა სახლი იყო, რომლის გამგეობას ამისთვის დიდ მადლობას მოვახსენებ.“- წერს მაკალათია (მაკალათია, 1930: 4). (ფოტო 3).



ფოტო 3.

უსახსრობის გამო იგი ფოტოგრაფიაში შეზღუდული იყო და არც მხატვარი ჰყოლია. მაკალათია პირადად აწარმოებდა ჩახატვა-გაზომვებს.



ფოტო 4.

მხატვარ ნინა ბრაილაშვილის საქმიანობისადმი მიძღვნილ ალბომის გაცნობისას „ასეთი მახსოვს საქართველო-ეთნოგრაფიული ჩანახატები“, რომელიც 1990 წელს გამოიცა, ძალიან პატარა, მაგრამ ერთობ საინტერესო ჩანაწერმა მიიქცია ჩვენი ყურადღება:

„გაჩერება სამხედრო გზაზე (ფოტო 4). მარჯვნივ-ჭართლის მოკლე ხეობა; ბოლოში სოფელია, რომლის პატარა ეკლესია უკეთურ ადამიანებს ბოსლად უქცევიათ. კანკელი დანგრეულია, ნეხვში ნაპოვნი ძველებური ჭედური ხატები საქართველოს მუზეუმს

გადავევით“ (ბრაილაშვილი, 1990: 32).

მხატვარმა ნ.ბრაილაშვილმა გაზომა და ჩახატა მრავალი საკულტო ძეგლი, რომელთა შორის ჭართლის ღვისშობლის ეკლესიაცაა (ბარდაველიძე, 1974: 7).

ვერა ბარდაველიძის ინფორმაციით პლანშეტები დაცული უნდა ყოფილიყო საქ.სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის სექტორის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილებაში (ბარდაველიძე, 1974: 8). თუმცა, კვლევის ამ ეტაპზე, მათი მოძიება ვერ მოხერხდა.

საქართველოს სახ.მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს 1945 წლის 16 ოქტომბრის სხდომის ოქმში N6 (სემა, ს.166) არის ინფორმაცია, რომ მიტოვებული სამრევლო ეკლესიიდან წამოღებულ იქნა დამტვრეული ხატები და ექსპედიციის განმავლობაში გადაღებულია 600 ფოტო სურათი.¹²¹

ვფიქრობთ, ჭალისოფლის ეკლესიაში მაკალათიას ვიზიტიდან, 1945 წელს ექსპედიციის იქ ჩასვლამდე, ბევრი რამ შეიცვალა. ზოგადად, მთის მოსახლეობა, განსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში, ძლიერ შემცირდა. იყო რეპრესიები, მეორე მსოფლიო ომი, რომელშიც საქართველომ საბჭოთა რესპუბლიკებიდან პროცენტულად ყველაზე მეტი მსხვერპლი გაიღო. ოჯახებმა დაკარგეს მარჩენალები. შესაძლოა, თავის გადარჩენის მიზნით ადამიანებს სოფლის და ეკლესიების მიტოვებაც უწევდათ. ყოფაცხოვრების გაუმჯობესების „კეთილშობილური მიზნით“, საბჭოთა ხელისუფლება ყველანაირად ხელს უწყობდა (ზოგ შემთხვევაში იძულებით) მთის მოსახლეობის ჩამოსახლებას ბარში. ამ თემაზე იწერებოდა მოთხრობები, იქმნებოდა „დოკუმენტური“ და მხატვრული ფილმები, ეწეოდნენ პროპაგანდას და ა.შ. ამის შედეგად ცარიელდებოდა მთიანეთის სოფლებიც. ჭალისოფელი, დღეს უკვე ნასოფლარია.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების შემოსულობის წიგნის მიხედვით 1945 წელს გუდამაყარ-ხანდოს ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიერ ჭართლის ჭალის სოფლიდან და სამრევლო ეკლესიიდან ჩამოტანილი ნივთების სია საკმაოდ

¹²¹ სამწუხაროდ, ჯერჯერობით, ვერც ამ ფოტოებს მივაგენით.

ვრცელია და თითოეულ საყოფაცხოვრებო ნივთს თუ სამეურნეო იარაღს ინდივიდუალური ნომერი აქვს მინიჭებული, მხოლოდ ხატების კოლექციაა ერთი ნომრის ქვეშ გაერთიანებული:

„28-45/87 ფრაგმენტები ხატების; შედგება ფიცარზე დაკრული რვა ერთეულისა, დიდი ზომის ხუთი ერთეულისა და წვრილი ასი ერთეულისგან. ნაწილი ფრაგმენტებისა მოოქვრილი ვერცხლია, ხოლო ნაწილი კი ვერცხლია“ (ფოტო 1_{1,2,3,4,5,6,7,8,9}).

გვანტერესებდა რა, ხატების უფრო დეტალური აღწერა, ვამუშავებდით ყველა ტიპის ლიტერატურას, მათ შორის 1945 წლის შემდეგ ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში არსებული გამოფენების გზამკვლევებსაც (ბაქრამე, კაპანაძე, შოშიაშვილი, ჯავახიშვილი, ჯაფარიძე, 1953; ჯავახიშვილი, 1954; შოშიაშვილი და სხვა. 1954; ჩაჩაშვილი, 1958; ქანთარია, 1967; ჯალაბაძე, 1979; ჭილაშვილი, 1990).

ხატების მუზეუმში შემოსვლის (1945 წლის 11 სექტემბერი) შემდგომ, 1952 წელს დაიწყო ახალი გამოფენის მომზადება, სახელწოდებით „ერთიანი ისტორიულ არქეოლოგიური გამოფენა“. 1961 წელს გაიხსნა მისი პირველი ნაწილი (ხელმძღვანელი-ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილი, მხატვარი ავთო ვარაზი), რომელიც ადრეული ქვის ხანიდან ახ. წ. IV ს-მდე პერიოდს მოიცავდა (ლომიტაშვილი და კენჭაძე (2002). საქსპოზიციო საქმის განვითარება საქართველოს მუზეუმში. მუზეუმის მოამბე, 44, გვ. 217).

1963 წელს გაიხსნა გამოფენის მეორე ნაწილი „XI-XIII სს საქართველოს მატერიალური კულტურა“ (ხელმძღ. პ.ზაქარაია, მხატვარი ა.ვარაზი, ა. ჩიქოვანი, ა. დავითაია), რომელიც ორი განყოფილებისგან შედგებოდა და ადრეშუასაუკუნეებიდან (IV-X სს.) განვითარებულ შუასაუკუნეებამდე (XI-XIII სს.) პერიოდს მოიცავდა (ბოლქვაძე (1970). აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ექსპოზიციები. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXX-B, გვ. 175).

1979 წელს გაიხსნა გამოფენა „უძველესი ქართული საოქრომჭედლო ხელოვნება - სეიფი“ (ხელმძღვანელი-ალექსანდრე ჯავახიშვილი).

გამოფენის გზამკვლევებთან ერთად, ფურცელ-ფურცელ გადავსინჯეთ ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმის დაცვა-აღრიცხვის განყოფილებაში დაცული განყოფილებიდან განყოფილებაში გადაცემის აქტები. ხატების ნაწილი (4 ხატი), მხოლოდ 1983 წლიდან ჩნდება საგამოფენო ექსპონატების სიაში¹²² (ფოტო 1_{4,6,7,8}). ეს ის დროა, როდესაც განახლდა 1963 წლის ფეოდალური ხანის გამოფენა და ექსპოზიციამ IV-XVIII საუკუნეები მოიცვა (ხელმძღვანელი ლევან ჭილაშვილი, მხატვარი სერგო კენჭაძე) (აბულაშვილი, 2021: 238):

1. N17. ხატი ვერცხლისა, მოოქრული, ჭედური მაცხოვრისა და ორი წმინდანის გამოსახულებით. ასომთავრული წარწერებით. ზომა: 91X62 სმ. ჭართალი. წონა 10,000 გ. (28-45/87ა), დაზიანებული;

2. N18. ხატი ვერცხლისა, ჭედური, მოოქრული, ღვთისშობლის გამოსახულებით ჩვილით. ასომთავრული წარწერით. დაკრულია ხეზე. სიგრძე 95, სიგ. 58 სმ. ჭართალი. საერთო წონა 9500 გ. (28-45/87 ბ), დაზიანებული;

¹²² ს. ჯანაშიას მუზეუმში არსებული, განყოფილებიდან განყოფილებაში გადაცემის აქტი N25, 1983წ. 23 აგვისტო

3. N19. ხატი ვერცხლისა, ფრაგმენტები აღდგენილი, ორი წმინდანის გამოსახულებით. ასომთავრული წარწერებით. დაკრულია ხეზე. სიგრძე - 90, სიგ.- 57 სმ. საერთო წონა 4700 გ. (28-45/87 გ), დაზიანებული;

4. N20. ხატი ქრისტესი, ვერცხლით მოჭედილი. ზომა 51 სმ, წონა 500 გ, 28-45/87დ, დაზიანებული.

უნდა ითქვას, რომ გადაცემის აქტში ჭართალის ნომრით წერია კიდევ 2 ხატი:


1. N15. ხატი ვერცხლის, პრიმიტიული ხელობის, სამი წმინდანის გამოსახულებით, მხედრული წარწერით. ზომა 2518 სმ, 28-45/87.

2. N16. ხატის ფრაგმენტები, ხეზე დაკრული, წმინდანთა გამოსახულება ღრმა ჭედურობით. ასომთავრული წარწერით, 28-45, ფრაგმენტები (5).

ხატები ჭართლიდან მოხსენიებულია ლ.ჭილაშვილის მიერ მომზადებული გამოფენის- „საქართველოს IV- XVIII მატერიალური კულტურა“ გზამკვლევაში, რომელიც 1990 წელს დაიბეჭდა:

„ვიტრინა N27. კედელზე ქართული წარწერებით შემკული ვერცხლის მოოქრული ხატები (ჭართალი XII ს.), ვერცხლის ხატი (ხადას ხეობა XIII-XIV სს.) და სპილენძის მატრიცა წმ.პავლეს გამოსახულებით (ს. ბოხვაური, XI ს). ვიტრინის ძირზეა ქართული აბრეშუმის ქსოვილების ნიმუშები (ს. იფხი და ჩაქაში, X-XII სს).“ (ჭილაშვილი, 1990: 28).¹²³

მოვიძიეთ, დარბაზების მიხედვით საგამოფენო ვიტრინებში ექსპონატების



ფოტო 5.

განლაგების ჩანახატები, რომელიც მუზეუმის მხატვარმა, ქ-მა ციციანო თურქაძემ შეასრულა, სადაც ჩვენს მიერ საკვლევი ხატებიდან ოთხი მათგანი მესამე დარბაზში ვიტრინა №26 (ფოტო 5₁), ვიტრინა №27 (ფოტო 5₂) და ვიტრინა №28 (ფოტო 5₃) ფიქსირდება.

აღნიშნულ ხატებთან ერთად გამოფენაზე გატანილ იქნა ვერცხლისაგან დამზადებული ხატის ჩარჩოს 5 ფრაგმენტი და 1 ხატი, რომელიც 1946 წელს ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიერ ხანდოს ხეობიდან, კერძოდ, ქოროლოს ეკლესიიდან იყო წამოღებული, მაგრამ მათ წარმომავლობად, გადაცემის აქტში და შემდგომ ექსპოზიციაზეც, შეცდომით ჭართალი ეწერა.

¹²³ სამწუხაროდ ტექსტში მინიშნებული არაა ხატების რაოდენობა.

ამ გამოფენამ 8 წელი იარსება. 1991 წლის დეკემბერში ქალაქის ცენტრში განვითარებული მოვლენების დროს, დაშენილ იქნა რა შენობაზე ტყვიები, ხანძარი გაჩნდა ს. ჯანაშიას მუზეუმის მეორე სართულის დარბაზებში, სწორედ იქ, სადაც შუა საუკუნეების გამოფენა მდებარეობდა. მუზეუმის თანამშრომლების მიერ, ტყვიების ზუზუნის ქვეშ მოხდა დარბაზში ცეცხლის ჩაქრობა. 1992 წლის იანვარში, უძძიმეს პირობებში, გამოფენის დემონტაჟი განხორციელდა და ექსპონატები (მათ შორის ხატები) გადავიდა შუა საუკუნეების განყოფილებაში, სადაც „ვედრების“ ხატი 2000 წლამდე და დანარჩენი სამი 2002 წლამდე ინახებოდა.



ფოტო 6.

2000 წლის 26 მაისს განახლდა „ძველი ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშების“ ექსპოზიცია და დაემატა ახ.წ. IV-XI სს. ოქრომჭედლობის ორი დარბაზი (შუასაუკუნეების და ეთნოგრაფიული). შუასაუკუნეების დარბაზში განთავსდა „ვედრების“ ხატი. (აბულაშვილი, 2021: 242). ამ გამოფენაზე განთავსდა ვედრების ხატი ჭართალიდან.



1.



2.



3.



4.

ფოტო 7.


„მაცხოვრის“, „ღვთისშობლის“ და „მთავარანგელოზების“ ხატები, 2002 წელს შუა საუკუნეების ახალ ექსპოზიციაზე ვიტრინა №26 (ფოტო 71), ვიტრინა №27 (ფოტო 73) და ვიტრინა №28 (ფოტო 72) გამოიფინა. ახალ ექსპოზიციაზე გატანილ ქოროლოს ხატის ჩარჩოს ფრაგმენტებს და ხატს, კვლავ ჭართალი დაეწერა (ფოტო 64). სავარაუდოდ, ამის შედეგი იყო 2004 წელს გამოსულ მცირეფორმატიან კატალოგში „ჭედური და ფერწერული ხატები - სიმონ ჯანაშია სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კოლექციიდან“, ქოროლოს ექსპონატებზე მითითებული იქნა ჭართალის კოლექციის ნომრები.

ამ გამოფენებმა 2005 წლამდე იარსება. 2005 წელს, მუზეუმში დაწყებული სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, მოხდა 1961-2005 წლების გამოფენების სრული დემონტაჟი.

იმავე წელს 28-45/87 ნომრად გაერთიანებულ ხატებს ძვირფასი ლითონების ფონდის ჟურნალში მიეცა დამატებითი ნომერი და მცირე აღწერა:

1. 28-1945 /87(1) - ხატი ხეზე, მაცხოვრის გამოსახულებით, მარჯვნივ და მარცხნივ წმინდანების გამოსახულებით, დაზიანებული, ნაკლული, ზომა: 55,5X39 სმ;
2. 28-1945/87(2) - ხატი ხეზე, მოოქრული, 2 წმინდანის გამოსახულებით, დაზიანებული, ნაკლული, ზომა: 89X57,5 სმ;
3. 28-1945/87(3) - წმინდა გიორგის ფრაგმენტი მოსჩანს ცხენის და გველეშაპის ფრაგმენტები, დაზიანებული, ნაკლული, ზომა: 44 X 36 სმ;
4. 28-1945/87(4) - ხატის ფრაგმენტი. მარცხენა მხარე, ჩანს ერთი წმინდანის ნაწილი ჩარჩოს კუთხეში, მედალიონით, დაზიანებული, ნაკლული, ზომები: 57 X21 სმ;
5. 28-1945/87(5) - ხატი ხეზე, ფრაგმენტი წმინდა გიორგის გამოსახულებით, შერჩენილი აქვს წმ.გიორგის სახე, ცხენის ფიგურა და გველეშაპი. ტართ. დაზიანებული, ნაკლული, ზომები: 57 X36სმ;
6. 28-1945/87(6) - ხატის ფრაგმენტი, ქვედა ნაწილი, ორნამენტირებული ფირფიტით, წმინდანის გამოსახულებით, დაზიანებული, ნაკლული, ზომები: 25 X30 სმ;
7. 28-1945/87(7) - ხეზე დაკრული 25 ხატის ფრაგმენტი, ვერცხლის და სპილენძის ფირფიტებით, დაზიანებული, ნაკლული, ფიცრის ზომა: 89,535,5 სმ;
8. 28-1945/87- ხატი ხეზე, ღვთისმშობელი ყრმით, ვერცხლის ფირფიტაზე ქართული ასომთავრული წარწერები, დაზიანებული, ნაკლული, ზომები: 97X56,5 სმ;
9. 28-1945/87 - ხატი-ფიცარზე დაკრული წმინდანის გამოსახულებით, სახარებით, 18,5X7,5, სახე არ ჩანს.

ქართალი, თეთრი არაგვის მთიანეთის უკიდურესი სამხრეთით მდებარე პატარა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეა – ის უფრო მთიდან ბარში გარდამავალი ზონაა (ფოტო 8). ქართლის ეთნოგრაფიული თემი არასდროს შედიოდა მთიულეთის ეთნოგრაფიულ რეგიონში. ამ თემის მკვიდრნი ქართლურ დიალექტზე მეტყველებენ. ქართალში დროთა განმავლობაში მოსახლეობა შეიცვალა, სადაც მხოლოდ ორი გვარია ადგილობრივი მკვიდრი. ქართლის დანარჩენი მოსახლეობა ხევსურეთიდანაა



ფოტო 8.

გადმოსახლებული XVII საუკუნის პირველ ნახევარში, XIX საუკუნის შუა ხანებიდან კი – მთიულეთიდან და გუდამაყრიდან.

სოფელი ქართალი თემის ცენტრია. თემში ასევე შედის სოფლები: ბუჩაანი, დოლასქედი, ვაშლობი, ზენუბანი, მენესო, მუგუდა, საქერე, სონდა, ჩიტაურები, ქალისოფელი, ჯუღისი.

ქართლის ცხოვრების მიხედვით, წმინდა ნინოს მიერ მთიელთა გაქრისტიანებისას ჩამოთვლილ მოსახლეობაში ქართალებიც არიან დასახელებულნი. როგორც ქართლის ცხოვრებიდან ვიგებთ, წმინდა ნინოს ქრისტიანობა უქადაგებია ქართალებათვის, ფხოელთათვის, წილკანელთათვის და გუდამაყრელთათვის (თოფჩიშვილი, 2020: 21).

ქართალი XV-XVI საუკუნეებში ადგილობრივი მოსახლეობისგან თითქმის დაცლილი ადგილი ყოფილა. ეს სავარაუდოდ უკავშირდება თემურლენგის ლაშქრობას მდინარე არაგვის ხეობაში, რასაც მძიმე შედეგები ჰქონდა.

XVII საუკუნის დასაწყისში, არაგვის ერისთავს, ზურაბს, ხევსურეთის დამორჩილების მცდელობა ჰქონდა და რამდენიმეჯერ გაულაშქრია, რაც ხევსურთა გადასახლებას იწვევდა.


1746 წლის საისტორიო საბუთში, რომელშიც ჩამოთვლილია არაგვის ხეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეულები, ხანდო და ქართალი ცალკეა დასახელებული: "და ჩვენც დელახლა წყალობა გიყავით თქვენი სამწყსო: მთიულეთი, დევი, გუდამაყარი, დანდო, ქართალი..." (ქართული სამართლის ძეგლები, ციტირებული თოფჩიშვილთან, 2020: 21). XVIII ს. II ნახევრის საბუთში „კათალიკოზის სამწყსო სოფელნი და მღვდელმთავარნი ქართლსა და კახეთში" ვკითხულობთ: „წილკანისა მიტროპოლიტი იოანე, რომელიც აქ სცხოვრობს წილკანს, რომელსაცა ჰყავს სამწყსოდ აწ შენნი სოფელნი რიცხვით ორმოცდაექვსი და ხეობანი: მოხევენი, მთიულნი, გუდამაყრელნი, ხანდოელნი, ქართლელნი" (ქართული სამართლის ძეგლები, ციტირებული თოფჩიშვილთან, 2012: 37).

1774 წლის არაგვის ხეობის მოსახლეობის აღწერაში ქართალს ჩამოთვლილია მხოლოდ ოთხი სოფელი (სარეკუბანი, ზენუბანი, კოლოტა და მუგუდა). XVIII საუკუნეში ქართლის უკიდურესი სამხრეთით მდებარე სოფელი მენესო ნასოფლარს წარმოადგენდა.

ზენუბნის სამების კომპლექსი, რომლის ნანგრევებიდანაც, XVIII საუკუნის ბოლოს, ხატები იქნა ამოღებული, დღეს, წილკანისა და დუშეთის ეპარქიის დაქვემდებარებაშია. ადრე, ზენუბანი შედიოდა ერწო-თიანეთის საეპისკოპოსოში (კახაძე (2008). ზენუბანი. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. 2. 193.

გვ. 255). სოფელი ზენუბანი საისტორიო წყაროებში XIV საუკუნის მიწურულიდან იხსენიება, როგორც საკათალიკოსო სოფელი.

ზენუბნის სამების კომპლექსი (VIII-IX სს.) მდებარეობს სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით სამ კილომეტრზე, მთის წვერზე მდებარეობს. კომპლექსის ნაგებობებში შედის: სამების ეკლესია, მცირე ეკლესია, კოშკი, ნაგებობანი, გალავანი (ფოტო 9) (წერეთელი (2008). სამების კომპლექსი. საქართველოს ისტორიისა



ფოტო 9.

და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. 2. 194., გვ. 255-256). ეკლესიის სახურავი ჩაქცეულია.¹²⁴

ვფიქრობთ, სწორედ ამ კომპლექსის ეკლესიაში იყო დაბრძანებული ხატები, თუმცა როდიდან, ამაზე ჯერ ინფორმაცია ვერ მოვიძიეთ.

1928-1929 წლებში ქართალში ვიზიტისას, ს. მაკალათიას ეს ხატები უკვე ჭალის სოფლის პატარა ეკლესიაში უნახავს: „ქართლის ხეობის სათემო ხატობა - ღვთისმშობლობა. ხატის ნიში მაღალ მთაზე აღმართული და ხატობას ახალწელიწადს იხდიან. სათემო დროშა „ბოურაყი“ და ხატები ინახება ჭალის სოფლის პატარა ეკლესიაში. ხატები ყველა დაზიანებულია, ზოგი დაკერებული და შეკოწიწებული. (მაკალათია, 1930: 152), სწორედ ჭალისოფლის ეკლესიიდან წამოიღო ექსპედიციამ ხატები.

საარქივო კვლევებზე დაყრდნობით, ვფიქრობთ, ხატების კოლექცია ჭალისოფლის ბაურაყის დარბაზული ეკლესიიდანაა წამოღებული, რომელიც სოფლის დასავლეთით სამ კილომეტრზე მდებარეობს (ფოტო 10). ის IX-X საუკუნეებს განეკუთვნება. ეკლესია ფორმამიცემული ნატეხი ქვის სწორხაზოვანი რიგებითაა ნაგები და ძლიერ დაზიანებულია (კასრაძე (2008). ბაურაყის ეკლესია. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. 2. 489. გვ. 351-352).



ფოტო 10.

საკვლევი ხატების კოლექცია შუა საუკუნეებს განეკუთვნება და მთლიანად ჭედური ნიმუშებისგანაა შედგენილი. საქართველოში შუა საუკუნეებში ხატების სამი ძირითადი ტიპი იყო გავრცელებული: ფერწერული ხატები, ჭედური ხატები-რომლებიც ერთიანად ლითონისაა (ხეზე გადაკრული ფირფიტა, გამოჭედილი, ზოგჯერ შტამპური წესით დამუშავებული) და კომბინირებული ხატები (ფერწერა-ჭედურობა) (საყვარელიძე და ალიბეგაშვილი, 1980: 9).

ჯერ კიდევ, 1930 წლის პუბლიკაციაში „მთიულეთი“ ს. მაკალათია იტყობინება, რომ ჩვენი საკვლევი ხატები „ყველა დაზიანებული, ზოგი დაკერებული და შეკოწიწებულია“ (მაკალათია, 1930: 152).

¹²⁴ ბ-ნი თემო ჯოჯუა 10 წლის წინ იმყოფებოდა სამების კომპლექსზე და იმ დროს სახურავი ჯერ კიდევ არსებობდა.

დღეისათვის რამდენიმე ხატი სხვა დაფებზეა გადატანილი. მართალია, მუზეუმის არქივში მოვიპოეთ 1945 წლის 11 სექტემბერს გ. ჩიტაიას მიერ საქართველოს მუზეუმის დირექტორისადმი მიწერილი წერილი, სადაც იგი წერს, რომ თბილისში 1945 წლის 10 სექტემბერს, ექსპედიციის მიერ ჩამოტანილი კოლექცია დროებით სადურგლო შენობაშია მოთავსებული, დამატებითი დასაბუთების გარეშე ვერ ვიტყვით, რომ ამ ხატების გადაწყობა ახალ დაფებზე მუზეუმში შემოსვლის მერე მოხდა.

არქივების და სხვადასხვა ლიტერატურის დამუშავების პარალელურად დავიწყეთ კოლექციის მულტიდისციპლინარული კვლევა და მიღებულია წინასწარული შედეგები.

შეიქმნა ფოტოარქივი, მომზადდა დოკუმენტაცია, განხორციელდა ზედაპირის ქიმიური არადესტრუქციული კვლევა რენტგენოფლოუორესცენციური სპექტრომეტრით, უკვე მზადაა რამდენიმე ხატის გრაფიკული ანაზომი და ორი ხატის პალეოგრაფიული კვლევის შედეგი. ეს ხატებია: „ვედრება“ (ფოტო 1გ) და „აღსაყდრებული ღმრთისმშობელი“ (ფოტო 1გ).

ხატებზე ყველა წარწერა ჰორელიეფური ხასიათისაა და ქართული ასომთავრული დამწერლობით არის გადმოცემული.

დღეისათვის ვედრების ხატზე გამოვლენილია სულ რვა ჭედური წარწერა, რომლებიც, შესრულების დროის მიხედვით, ოთხ ჯგუფად იყოფა:

I. პირველი ვედრების ხატის თავდაპირველი, ცენტრალური ნაწილის წარწერებია, რომლებიც ხატის ამ ნაწილის შექმნის თანადროულია და პალეოგრაფიული ნიშნების გათვალისწინებით, XIII-XIV საუკუნეებით თარიღდება. ერთ-ერთი წარწერა ვედრების კომპოზიციის ქვემოთ არის შესრულებული და უნიკალურია, ტექსტს საინფორმაციო შინაარსი აქვს და მიუთითებს, რომ ვედრების ხატის შესაქმნელად გამოიყენეს 550 დრამა, ე. ი. დაახლოებით, 1 კილოგრამი და 633,5 გრამი ვერცხლი (550 დრამა X დაახლ. 2,97 გ.), ხოლო ხატის ოქროთი დასაფერად - 15 დრამა, ე. ი. დაახლოებით, 44,55 გრამი ოქრო (15 დრამა X დაახლ. 2,97 გ.).

II. ვედრების ხატის ჭედური წარწერების მეორე ჯგუფს ერთი ტექსტი _ #5 წარწერა მიეკუთვნება. წარწერა ხატის მოგვიანო ვერცხლის ჩარჩოს ქვედა ნაწილში, დეკორატიული მედალიონის აქეთ-იქით, ორ ნაწილად არის შესრულებული და პალეოგრაფიული ნიშნების გათვალისწინებით, XIII-XIV საუკუნეებით თარიღდება. ტექსტს სავედრებელი შინაარსი აქვს. ის სოფელ მეხისის სახელით არის შედგენილი და სამებისადმია მიმართული.

III. ვედრების ხატის ჭედური წარწერების მესამე ჯგუფს ერთი და იმავე ხელით შესრულებული ორი ტექსტი _ #6 და #7 წარწერები მიეკუთვნება. წარწერები ხატის მოგვიანო ჩარჩოზე დამაგრებულ ორ ვერცხლის მოოქრულ მედალიონზე წარმოდგენილ ფიგურებთან _ წმ. იოვანე მახარებლისა და წმ. პეტრე მოციქულის წელსზედა გამოსახულებებთან არის შესრულებული და პალეოგრაფიული ნიშნების გათვალისწინებით, XV-XVI საუკუნეებით თარიღდება.

IV. ვედრების ხატის ჭედური წარწერების მეოთხე ჯგუფს ერთი ტექსტი _ #8 წარწერა მიეკუთვნება. წარწერა ვედრების ხატის ზედა ნაწილის მარცხენა მონაკვეთზე დამაგრებულ მოოქრულ ვერცხლის ფრაგმენტზე შემორჩენილ მედალიონზე წარმოდგენილ მაცხოვრის

გამოსახულებასთან, მისი შარავანდიანი თავის აქეთ-იქით, ორ ნაწილად არის შესრულებული. პალეოგრაფიული ნიშნების გათვალისწინებით, XIV-XV საუკუნეებით თარიღდება.

დღეისათვის ღმრთისმშობლის ხატზე გამოვლენილია სულ ოთხი ჭედური წარწერა, რომლებიც, შესრულების დროის მიხედვით, სამ ჯგუფად იყოფა.

I. ღმრთისმშობლის ხატის ჭედური წარწერების პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ორი ქართული ასომთავრული წარწერა, რომლებიც ხატის თავდაპირველ, ცენტრალურ ნაწილზე, უფრო ზუსტად კი, ხატის ვერცხლის, ნაწილობრივ მოოქრულ გულზეა შესრულებული. ორივე ტექსტი ხატის ამ ნაწილის შექმნის თანადროულია და პალეოგრაფიული ნიშნების გათვალისწინებით, XIII-XIV საუკუნეებით თარიღდება. ერთ-ერთი ტექსტი, რომელიც ღმრთისმშობლის გამოსახულების ქვემოთ არის შესრულებული, ვედრების ხატის წარწერის მსგავსად უნიკალურია და საინფორმაციო შინაარსი აქვს. ის მიუთითებს, რომ ამ ხატის შესაქმნელად გამოიყენეს 550 დრამა, ე. ი. დაახლოებით, 1 კილოგრამი და 633,5 გრამი ვერცხლი (550 დრამა X დაახლ. 2,97 გ.), ხოლო ოქროთი დასაფერად – 7 დრამა, ე. ი. დაახლოებით, 20,79 გრამი ოქრო (7 დრამა X დაახლ. 2,97 გ.).“

II. ღმრთისმშობლის ხატის ჭედური წარწერების მეორე ჯგუფს ერთი ტექსტი – #3 წარწერა მიეკუთვნება. წარწერა ხატის მოგვიანო ვერცხლის ჩარჩოზეა შესრულებული. ამასთან, ჩარჩოს ის ფრაგმენტი, რომელზეც წარწერაა შესრულებული, თავდაპირველად ხატის ქვედა ნაწილის შუა მონაკვეთზე იყო დამაგრებული, თუმცა მოგვიანებით, შეცდომით, ხატის ზედა ნაწილის შუა მონაკვეთში გადაიტანეს და იქ, აგრეთვე, შეცდომით, თავდაყირა დაამაგრეს. წარწერა მოგვიანო ჩარჩოს დამზადების თანადროულია და პალეოგრაფიული ნიშნების გათვალისწინებით, XIII-XIV საუკუნეებით თარიღდება. წარწერამ ჩვენამდე სრული სახით მოაღწია. ტექსტს სავედრებელი შინაარსი აქვს. ის სოფელ მეხისის სახელით არის შედგენილი და ხატზე გამოსახული ღმრთისმშობლისადმია მიმართული. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ წარწერის ბოლო ნაწილის ერთ-ერთი სიტყვის წაკითხვა, ჯერჯერობით, ვერ ხერხდება. ამ მიზეზის გამო, ტექსტის ბოლო ნაწილის შინაარსი გაუგებარია. ხსენებული სიტყვის წაკითხვა და წარწერის შესაბამისი ფრაგმენტის შინაარსის გარკვევა შემდგომ კვლევად მიიღება საჭიროებს.

III. ღმრთისმშობლის ხატის ჭედური წარწერების მესამე ჯგუფს ერთი ტექსტი – #4 წარწერა მიეკუთვნება. წარწერა ღმრთისმშობლის ხატის ქვედა ნაწილის მარცხენა მონაკვეთზე დამაგრებულ ვერცხლის ორნამენტირებულ ფრაგმენტზეა შესრულებული. თავად ფრაგმენტი ხატზე, შეცდომით, გვერდულად არის დამაგრებული, რის გამოც ფრაგმენტზე შესრულებული წარწერა ზემოდან ქვემოთ იკითხება. ორნამენტირებული ფრაგმენტის დამზადების თანადროულია და პალეოგრაფიული ნიშნების გათვალისწინებით, XVI-XVII საუკუნეებით თარიღდება. წარწერის პირველი სიტყვა, ორნამენტირებული ფრაგმენტის დაზიანების გამო, დაკარგულია. ნაკლები სიტყვის აღდგენა, კონტექსტის გათვალისწინებით, იოლად ხერხდება. წარწერას განმარტებითი შინაარსი აქვს და მიუთითებს, თუ ვის ეკუთვნოდა ის გამოსახულება, რომელთანაც ტექსტი იყო შესრულებული. წარწერის შემცველი ორნამენტირებული ფრაგმენტი თავდაპირველად სხვა ხატს ეკუთვნოდა და ის

ღმრთისმშობლის ხატზე მოგვიანებით დაამაგრეს. წარწერა შემდეგი სახით იკითხება: ` [ი(ესო)Á] ქ(რისტე)ე`.

კვლევების ამ ეტაპზე, უკვე შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ხატები შექმნის შემდეგ მინიმუმ ერთხელ მაინც იყო გადაწყობილი და მოჩარჩოებაც შეცვლილია.

მიმდინარე კვლევები, რომელიც შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით პროექტის - „სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში დაცული შუასაუკუნეების ჭედური ხატების მულტიდისციპლინარული კვლევა“ (FR-22-14626) ფარგლებში ხორციელდება, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის ერთობ აქტუალურია. გარდა იმისა, რომ იგი სრულიად უცნობი შუასაუკუნეების შედევრების შესწავლა-პოპულარიზაციის პირველი მცდელობაა, ასევე პირველად, საქართველოში ხდება ჭედური ხატების მულტიდისციპლინარული შესწავლა, რომელიც აერთიანებს მეცნიერების ისეთ დარგებს, როგორცაა ფიზიკა, ქიმია, ისტორია, პალეოგრაფია, ხელოვნებათმცოდნეობა, რესტავრაცია და სხვა. სამწუხაროდ საქართველოში ჭედური ხატების დღემდე არსებული ყველა კვლევა, მხოლოდ იკონოგრაფიულ და ხელოვნებათმცოდნეობით ანალიზს ეყრდნობა. როგორც ითქვა, ჭედური ხატების ეს უმნიშვნელოვანესი კოლექცია, აქამდე არ ყოფილა სამეცნიერო კვლევისა და შესწავლის საგანი. შედეგები ახალ პერსპექტივებს გაუხსნის საქართველოს ეროვნულ მუზეუმს, ქართველ მკვლევარებსა და საქართველოს მუზეუმებში დაცულ კოლექციებს.

გამოყენებული ლიტერატურა და ბიბლიოგრაფია:

აბულაშვილი, თ. (2021). ნარკვევები მუზეუმის დაარსების და განვითარების ისტორიის შესახებ საქართველოში. თბილისი.

ბარდაველიძე, ვ. (1974). აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. I. ფშავი. თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“.

ბაქრაძე, ა. კაპანაძე, დ. შოშიაშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ალ. ჯაფარიძე ვ. (1953). XI-XIII სს. საქართველოს მატერიალური კულტურის გამოფენის გზამკვლევი. თბილისი. „საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“.

ბოლქვაძე, ს. (1970). აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ექსპოზიციები. სსმმ. ტ. XXX-B. თბილისი. „საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა“.

ბრაილაშვილი, ნ. (1990). ასეთი მახსოვს საქართველო-ეთნოგრაფიული ჩანახატები, თბილისი. „ხელოვნება“.

თოფურიძე, ქ. მიქელაძე, თ. ითონიშვილი, ვ. ჟორდანიას, ო. (1988). ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“.

თოფჩიშვილი, რ. (2020). არაგვის ხეობის დაბლობი და მისი მკვიდრნი /ეთნოისტორიული საკითხები/. თბილისი.

თოფჩიშვილი, რ. (2012). ქართველთა ეთნიკური ისტორია და საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები. თბილისი.

ითონიშვილი, ვ. (1980). მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (მთიულეთი, გუდამაყარი, ხანდო, ჭართალი) გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადების“ მიხედვით. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. №2, თბილისი.

კასრაძე, მ. (2008). საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. ტ. 2, თბილისი. ინდ. საწარმო „ალექსანდრე ლლონტი“.

კახაძე, ვ. (2008). საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. ტ. 2, თბილისი. ინდ. საწარმო „ალექსანდრე ლლონტი“.

ლომიტაშვილი, დ. კენჭაძე, ს. (2002). საექსპოზიციო საქმის განვითარება საქართველოს მუზეუმში. მუზეუმის „მოამბე“. 44. თბილისი. შ.პ.ს. „პდპ“.

მაკალათია, ს. (1930). მთიულეთი. თბილისი. „სახელგამი“.

საყვარელიძე, თ. ალიბეგაშვილი, გ. (1980). ქართული ჭური და ფერწერული ხატები თბილისი. „ხელოვნება“.

ქანთარია ნ. (1967). საქართველოს ისტორიულ-არქეოლოგიური გამოფენა (სს) გზამკვლევი, (ქართულ და რუსულ ენებზე). თბილისი. „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“.

შოშიაშვილი, ი. ბაქრაძე, ა. ბურჯანაძე, შ. როგავა, ა. მეტრეველი, ე. გვახარია ლ. ჯავახიშვილი, ალ. (1954). საქართველოს ერთიანი ისტორიულ-არქეოლოგიური გამოფენა, (ქართულ და რუსულ ენებზე). თბილისი. „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“.

ჩაჩაშვილი, გ. (1958). საქართველოს ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენა, მეგზური (ქართულ და რუსულ ენებზე). თბილისი. „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“.

წერეთელი, ვ. (2008). საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. ტ.2. თბილისი. ინდ. საწარმო „ალექსანდრე ლლონტი“.

ჭილაშვილი, ლ. (1990). საქართველოს IV- XVIII მატერიალური კულტურა-გამოფენის გზამკვლევი. თბილისი. „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“.

ჯავახიშვილი, ალ. (1954). საქართველოს ერთიანი ისტორიულ-არქეოლოგიური გამოფენა, (ქართულ და რუსულ ენებზე). თბილისი. „საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა“.

ჯალაბაძე, გ. (1979). საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიული ფონდების გზამკვლევი. თბილისი. „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“.

უავტორო. (1947). საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის 1945 წელს ჩატარებული მუშაობის მიმოხილვა, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIV-B, თბილისი. „საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა“.

(----- (1947). ანაგარიში. სსმმ, XIV-B, გვ. 446).

გაზეთი ცნობის ფურცელი (1903). N2179.

გაზეთი ცნობის ფურცელი (1904). N2633.

Nino Kebuladze, Nino Tabutsadze, Ana Dvali,
Mamuka Kapianidze, Georgian National Museum
Temo Jojua, Ilia State University

Interdisciplinary study of the treasure from the mysterious Mtiuleti

Summary

The presented study refers to a unique collection of chased icons of the Middle Ages, made of silver (some gilded), preserved in the Ethnographic Collections of the Janashia Museum of Georgia, which has not been the subject of scientific research and study until now. This collection was obtained by Khando's ethnographic expedition in 1945 from the church of Chartali village of Kartli and handed over to the museum. The icon collection (N28-1945/87) was dated to the 10th-14th centuries.

Most available information about the icons has been searched from museum notebooks, archival documents, scientific and popular articles, books, and newspapers.

In parallel with processing archives and literature, we have started a multidisciplinary research. Preliminary results have been obtained: a photo archive was created, documentation was prepared, chemical non-destructive research of the surface was carried out with an X-ray fluorescence spectrometer, graphic sketches of icons and the results of paleographic research of two icons are already ready. These icons are "Deesis" and "The Enthroned Mother of God". All the inscriptions on the icons are of high-relief character and are written in Georgian script.

The current study which is carried out within the framework of the project - "Multidisciplinary research of the engraved icons of the Middle Ages preserved in the Simon Janashia Museum of Georgia" (FR-22-14626), supported by the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia is the first attempt to study multidisciplinary and popularize the unknown masterpieces of the Middle Ages.

კარიკატურა და შარჟი ქართულენოვან პრესაში XIX –XX საუკუნეების მიჯნაზე

შესავალი

კარიკატურა და შარჟი გრაფიკული ხელოვნების ერთ-ერთი ჟანრია, რაც გულისხმობს პიროვნების, მოვლენის ან მოქმედების გროტესკულად, გაზვიადებულად ან დამახინჯებულად წარმოდგენას (Britannica, Winslow Ames, *caricature and cartoon*, 1962. Link: <https://www.britannica.com/art/caricature-and-cartoon>).

ცნობილია, რომ კარიკატურის (მისი ვიწრო გაგებით, რომელიც მოიაზრებს სატირულ გრაფიკას) ისტორია მე-16 საუკუნიდან იწყება. ამ ჟანრის სათავეში ლეონარდო და ვინჩი და ალბრეხტ დიურერი დგანან. დაახლოებით 1500 წელს მათ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შექმნეს ნახატების სერიები, რომლებშიც ადამიანები უპროპორციო გამოსახულებებით, სატირული შინაარსით იყვნენ წარმოდგენილნი (Britannica, Winslow Ames, *caricature and cartoon*. Link: <https://www.britannica.com/art/caricature-and-cartoonNref59397>)¹²⁵.

პოლიტიკურ კარიკატურას თავისი სოციალური შინაარსის სატირული სერიებით XVIII საუკუნეში ინგლისელმა მხატვარმა უილიამ ჰოგარტმა დაუდო საფუძველი. 1721-1745 წლებში შექმნილი ნახატებისა და გრაფიურების სერიები ასახავდა ლონდონის თანამედროვეობას და შეეხებოდა პროსტიტუციის, ფულის ფლანგვისა და მერკანტილური ქორწინების თემებს (David Birdman, *Hogarth and his time*, 1997, Los Angeles).

ამ მიმართულების განვითარებაში განსაკუთრებული წვლილისათვის „პოლიტიკური კარიკატურის მამად“ მიიჩნევენ ბრიტანელ მხატვარ ჯეიმს გირლს, რომელიც თავისი პირველი კარიკატურით *The French Invasion; or John Bull, bombarding the Bum-boats* („ფრანგული შემოჭრა; ან ჯონ ბული, რომელიც ბომბავს ნავეებს“) გამოეხმაურა საფრანგეთ-ბრიტანეთის ომს,



გაკრიტიკა ბრიტანეთის მეფე ჯორჯ მესამე და საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონი („ინგლისისა და საფრანგეთის ახალი რუკა“. პორტრეტის ეროვნული მუზეუმის კოლექცია, საიდენტიფიკაციო

¹²⁵ თავად ტერმინი „კარიკატურა“ მომდინარეობს იტალიური სიტყვიდან caricare, რაც ნიშნავს „ჩატვირთვას“, „გადატვირთულ გამოხატვას“ (A History of Caricature, Bohun Lynch. London 1926).

ჯოვანი ათანასიო მოსინი პირველმა გამოიყენა ეს ტერმინი წიგნში „სხვადასხვა ფიგურა“ (ჯოვანი ათანასიო მოსინი, *Diverse figure*. 1646 წელი), რომელშიც შეტანილი ჰქონდა ანიმალ კარაჩის შექმნილი კარიკატურების სერია (Britannica, Winslow Ames, *caricature and cartoon*. Link:

<https://www.britannica.com/art/caricature-and-cartoon/Late-19th-century>).

N1851,0901.666) (https://www.britishmuseum.org/collection/object/P_1851-0901-666).

გაზეთში გამოქვეყნებულ პირველ კარიკატურად ითვლება საარჩევნოდ ბენჯამენ ფრანკლინის მიერ შექმნილი Join or Die (,,გაერთიანდი ან მოკვდი“), რომელიც 1754 წლის 9 Pennsylvania Gazette-ში (,,გაერთიანდი ან მისს დაიბეჭდა (,,პენსილვანიის გაზეთი“) (Pennsylvania Gazette, 1754 წლის 9 მისი, გვ.2) N2002695523). 1760-იანი წლებიდან კარიკატურა ევროპული ქვეყნების გაზეთებშიც.

საგამომცემლო საქმიანობის განვითარებასთან ერთად, პერიოდულ გამოცემების ილუსტრირება ახალ საფეხურზე გადავიდა 1830-იანი წლებიდან, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ილუსტრირებული პერიოდული გამოცემების რიცხვი და ამასთან ერთად, სატირული შინაარსის ჟურნალ-გაზეთების რაოდენობა. ასეთი გამოცემებია ფრანგული Le Caricature (1830-1843) Le Charivari (1832-1837) ბრიტანული Punch. London Charivari (1843-2002) და სხვ. (Britannica, Winslow Ames, *caricature and cartoon*. Link: <https://www.britannica.com/art/caricature-and-cartoonNref59397>)

ქართული კარიკატურა

ქართულენოვანი პერიოდიკის ისტორია, მართალია, 1810-იანი წლებიდან იწყება („საქართველოს გაზეთი“, 1819 წლის 8 მარტი), თუმცა გამოცემებში არათუ შარჟი და კარიკატურა, ზოგადად, ილუსტრაციებიც გვიან, 1860-იანი წლებიდან ჩნდება, ისიც ერთეულ შემთხვევაში. ამის მიზეზი იმ დროისათვის ჩვენს ქვეყანაში საგამომცემლო სფეროს არასათანადო აღჭურვაა. ქართული პრესის ერთ-ერთი პირველი ილუსტრაცია „ფლამანდიის ჯიშის ძროხა“ 1861 წელს დაიბეჭდა გაზეთში „გუთნის დედა“ (გაზეთი „გუთნის დედა“, 1861 წლის N1).

„ქსილოგრაფიული ხელოვნება ვახტანგ მეექვსისა და ერეკლე მეორის წიგნის შემდეგ კონსერვისების ფაზაში შევიდა და XIX საუკუნის დასაწყისში ნაწილობრივ აღიკვეთა კიდეც. მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო ქსილოგრაფიული ხელოვნების აღორძინება, რაც უშუალოდაა დაკავშირებული ტატიშვილის მოღვაწეობასთან... იმის გამო, რომ ჩვენში იმ დროს არ მოიპოვებოდა ქსილოგრაფიულ დარგში მომუშავე არც ერთი სპეციალისტი, გამომცემლები იძულებულნი იყვნენ, რუსებისთვის ან უცხოელებისთვის მიეცათ კლიშეების დაკვეთები, რაც მეტად ძვირი უჯდებოდათ“ (მურმან ურუშაძე, „პირველი ქართველი გრაფიკორი გრიგოლ ტატიშვილი“, თბილისი, 1958 წელი, გვ. 17-18).



მერი კარბელაშვილი სტატიაში „ქართული გრაფიკა“ პირველ ქართველ გრაფიკოსზე, თვითნასწავლ გრაფიორსა და მხატვარ-ქსილოგრაფ გრიგოლ ტატიშვილზე წერს, რომ მან 1868 წელს, თბილისში საკუთარი სახელოსნო დააარსა და მანვე შეასრულა თავფურცლები პერიოდული გამოცემებისათვის. („ქართული გრაფიკა“, მერი კარბელაშვილი, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევების ეროვნული ცენტრის

ელექტრონული ჟურნალი „ARS GEORGICA“, სერია B, 2010 წლის 12 მარტი).

პირველი გაზეთი, რომლის მხატვრული გაფორმებით ტატიშვილმა ბიძგი მისცა ქართული ჟურნალ-გაზეთების გაფორმების საქმეს, ჟურნალი „თეატრი“ იყო (მურმან ურუშაძე, „პირველი ქართველი გრაფიორი გრიგოლ ტატიშვილი“, თბილისი, 1958 წელი, გვ. 74).

აღსანიშნავია, რომ ქართველი ავტორის - დავით ერისთავის - პირველი კარიკატურები თბილისში გამომავალ რუსულენოვან გაზეთში „ფალანგა“ 1880 წელს დაიბეჭდა ფსევდონიმით „პეტერსონი“. (გიზო ნიშნიანიძე, „სიცილის არქივიდან“, თბილისი 1971 წელი, გვ. 131) (გაზეთი „ფალანგა“, 1880 წლის 23 ნოემბერი) გიზო ნიშნიანიძის აზრით, სწორედ ეს კარიკატურები უნდა ჩაითვალოს ქართული კარიკატურის დაბადებად, მიუხედავად იმისა, რომ ის დაიბეჭდა რუსულენოვან გაზეთში და არა 1888 წელს ჟურნალ „თეატრში“ დაბეჭდილი კარიკატურები, რომლის ავტორია ოქონელი, ანუ ვ. გოლოვნიკი, რომელიც ეთნიკურად ლიეტუველია¹²⁶ (გიზო ნიშნიანიძე, „სიცილის არქივიდან“, თბილისი 1971 წელი, გვ. 54-56). ვერ გავიზიარებთ მოსაზრებას, რომ ვასილ გოლოვნიკის ეთნიკურ წარმომავლობას რაიმე გავლენა შეიძლება ჰქონდეს შეფასებაზე, არის თუ არა იგი ქართული კარიკატურის ფუძემდებელი.

მკვლევარი სალომე აფხაზიშვილი 2018 წელს გამოცემულ წიგნში „სოციალური სიცილი“ წერს, რომ „პირველი კარიკატურა 1901 წელს ჩნდება ქართულ პრესაში“, რაც მცდარია (სალომე აფხაზიშვილი, „სოციალური სიცილი“, თბილისი, 2018. გვ.5). ქართული კარიკატურის შესახებ დღემდე გამოქვეყნებულ არაერთ კვლევაში მის საწყისად 1880-იანი წლები მიიჩნევა.

¹²⁶ ვასილ ივანეს ძე გოლოვნიკი. დაიბადა 1861 წელს გორში. მამა იყო უკრაინიდან, ჩერზიგოვის გუბერნიიდან, დედა კი - ეკატერინე გაბრიელის ასული - ცხინვალელი ქართველი ქალი. (დ. ბაბუნაშვილი, ვასილ გოლოვნიკი-ოქონელი, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება, 1962, N2, გვ. 63-64).



შიში

კვნესით, არა გტკივათ რა, გაგიდოთ ვაგლახ ვიში...
 მითხარ, რისთვის გიცოლო, თუ არ იზამ დედობას

გაზეთი „თეატრი“, 1886 წლის 1 ივნისი.
 ილუსტრაცია ახლავს იოსებ დავითაშვილის
 (ფსევდონიმით თეატრის მუშა) სატირულ
 ლექსს „კურტუმ კეხი“. გვ.2

ჩემი აზრით, ქართულენოვანი პრესის პირველი კარიკატურა ჟურნალ „თეატრში“ 1886 წლის 1 ივნისის ნომერში დაბეჭდილი ილუსტრაციაა, რომელიც ახლავს იოსებ დავითაშვილის ლექსს „კურტუმ კეხი“. კარიკატურის ავტორი უცნობია. ლექსი ქართველი ქალის მოდით გატაცებას და განათლების სურვილს აშარჟებს: „მოდნები გაგონდებათ დღისით და ღამე მიღში გასწყდეს ეგ თქვენი მოდნა და თქვენი ანგარიში! შვილებს აღარა დედობთ, ქმრისა არა გაქვთ

და თავს არ დაანებებ კურტუმ-კებს და ებედობას!“

(ჟურნალი „თეატრი“, 1886 წელი, N22, გვ.2).
 ამ პერიოდის ქართულ პრესაში ქალთა ემანსიპაციის საკითხები აქტუალურია და რიგ შემთხვევებში ის განხილულია, როგორც

უარყოფითი მოვლენა. მაგალითად, მოსე ჯანაშვილი წერს: „უსწავლელ სოფლის დედაკაცებს კიდევ შერჩათ სიყვარული სამშობლო ქვეყნისა; მაგრამ ისინი, რომელთაც პანსიონებში ისწავლეს რაღაც-რაღაცეები, სრულიად გაუქსუვდნენ სამშობლოს...“ (დემიტრი ჯანაშვილი, „მინდა რამ ვსთქვა“, „დროება“, 1880 წლის 1 ოქტომბერი).

დავუბრუნდეთ 1888-1889 წელს „თეატრში“ დაბეჭდილ ერთ-ერთ პირველ შარჟებს, რომელთა ავტორია ვასილ გოლოვნი. შარჟები ქვეყანაში მიმდინარე კონკრეტულ მოვლენებს შეეხება, მაგალითად, თეატრის გაყინულ დარბაზს, ბაზარში ხორცის გამყიდველთათვის ახალი წესების შემოღებასა და ვერშესრულებას, ვასო აბაშიძის დათხოვნას ქართული თეატრის დასიდან („ტრუპადან“) და სხვა.

მერი კარბელაშვილი „თეატრის“ კარიკატურებს ასე აფასებს: ნახატები წარწერების გარეშე „მეტყველებას“, კარიკატურისთვის აუცილებელ სიმახვილესა და იუმორსაა მოკლებული. გაზეთ „თეატრის“ ფურცლებზე დაბეჭდილი კარიკატურების განხილვის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს კარიკატურები თავისი ფორმითა და შინაარსით სრულად პასუხობდა თავისი ჟანრის კლასიკურ კონცეფციას - სატირულად გამოხატავდა სათქმელს და შინაარსში ასახავდა საზოგადოებაში მიმდინარე აქტუალურ სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემებს. მართალია, მხატვრული ღირებულების თვალსაზრისით ის ჩამოუვარდებოდა დასავლურ პრესაში რამდენი ათეული წლის ტრადიციის მქონე კარიკატურას, თუმცა შინაარსით „თეატრის“ კარიკატურები უდავოდ წარმატებული დასაწყისი იყო.

კარბელაშვილის ცნობით, „თეატრის“ 1889 წლის №2-ში კარიკატურაზე გამოსახულნი ცნობილი მოღვაწეები ძალიან მცირე ზომის სხეულებითა და დიდი თავებით (ივერიელი - ი. ჭავჭავაძე, ვანო - ი. მაჩაბელი, ვალიკო - ვ. გუნია, ზოილი - დ. კეზელი). კარბელაშვილის ეს აღწერა მეტ-ნაკლებად ემთხვევა ოთარ სეფიაშვილის ინფორმაციას, რომელიც მას „ქართული კარიკატურაში“ აქვს მოტანილი: „თეატრის“ 1889 წლის, N4-ში კარიკატურაზე გამოსახულნი არიან: ლომის სახით „ივერიელი“ (ილ. ჭავჭავაძე) ვანო (ივ. მაჩაბელი), ვალიკო (ვალ. გუნია); იქვე ორ მამაკაცში იგულისხმებიან ზოილი და ვანო.

მერი კარბელაშვილის ცნობა არაზუსტია: 1889 წლის №2-ში არ გვხვდება კარიკატურა, სადაც გამოსახულნი არიან ცნობილი მოღვაწეები ძალიან მცირე ზომის სხეულებითა და დიდი თავებით. ავტორი, სავარაუდოდ, გულისხმობს ამავე წლის N4 „თეატრში“ დაბეჭდილ კარიკატურას, სადაც მის მიერ ჩამოთვლილი ხუთი ადამიანიდან სამი არის წარმოდგენილი,



თუმცა არა მცირე ზომის სხეულებითა და დიდი თავებით და არც სეფიაშვილის მიერ მითითებული განლაგებით. ამ კარიკატურაში ლომი ამარცხებს გველს, რომელსაც ორი ადამიანის თავი აქვს. დადასტურებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორთავიანი გველის ერთ ნაწილში (ზედა მხარეს) მოიაზრება „ნოვოე ობოზრენიეს“ ჟურნალისტი დავით კეზელი (ფსევდონიმით „ზოილი“)

გაზეთი „თეატრი“, 1889 წლის #4
დავით კეზელისა და ივანე ხაჩატუროვის კარიკატურა ავტორი: ვ. ოქონელი

(გრიშაშვილი ი. ფსევდონიმების ლექსიკონი. თბ., 1987. გვ. 33), ხოლო მეორე თავში „Тифлисский Листок“-ის რედაქტორი ივანე ხაჩატუროვი (და არა ივანე მაჩაბელი). ლომს, რომელიც ამარცხებს ორთავიან გველს, აქვს წარწერა „ივერიელი“, ანუ მასში კარიკატურის ავტორი ილია ჭავჭავაძეს

მოიაზრებს. კარიკატურის მარჯვენა მხარეს დგას ორი მამაკაცი. არც ერთი მათგანი ვიზუალურად არ ჰგავს არც ვალერიან გუნიას და არც ივანე მაჩაბელს, სავარაუდოდ, სეირის უბრალო მაყურებლები არიან.

როგორც კვლევამ გვიჩვენა, ეს კარიკატურა იმ პერიოდში ძალიან მწვავე დაპირისპირების ფინალს გვიჩვენებს. (გრიშაშვილი ი. ფსევდონიმების ლექსიკონი. თბ., 1987. გვ. 37).

რაც შეეხება თავად დაპირისპირებას: 1888 წლის დეკემბერში გაზეთებში „Тифлисский Листок“-სა (1888 წელი, N228) და „Новое Обозрение“-ში დაიბეჭდა სტატიები, რომლებშიც ავტორებმა - „ზოილმა“ და „ვანომ“ თბილისელ ქალებს სულით ავადმყოფები უწოდეს იმის გამო, რომ მათ თავიანთი სიმპათია გამოუცხადეს საოპერო მომღერალ ვაჟებს - ტარტაკოვსა და მედვედევს. რუსული გაზეთების განსაკუთრებული შემფოთება გამოუწვევია იმ ფაქტს, რომ ზოგიერთ ქალს მათთვის სახლებში საჩუქრებიც მიუერთმევია. „Тифлисский Листок“-ში


დაბეჭდილი სტატიის ავტორი ვანო ქალებს მიმართავს, რომ თუ მომავალშიც არ დაიშლიან და კიდევ გამოხატავენ თავის სიმპათიას, მათ სახელებსა და გვარებს საქვეყნოდ გამოაცხადებენ („ცხოვრება და თეატრი“, ჟურნალი „თეატრი“, 1888 წელი, N50, გვ.3). „თეატრი“ გამოესარჩლა თბილისელ ქალებს და მათი შეურაცხყოფის გამო რუსულენოვანი გაზეთების ავტორები გააკრიტიკა. პოლემიკა იქამდე მივიდა, რომ „ვანომ“ Тифлисский Листок“-ის 1889 წლის N4-ში ოპონენტებს „ცრუ ხალხოსნები“ და „კვაზი-პატრიოტები“ უწოდა და ბრალად დასდო, რომ ისინი ებრძვიან ყველაფერ რუსულს. „თუ არ გაჩუმდებით, ვიდაცას ჩავუჭურჩულებ, რომ „ჩორნი კაბინეტი“ გაქვთო“. აქვე „ვანო“ ალექსანდრე ნებიერიძეს გაზეთის დახურვით დაემუქრა (ჟურნალი „თეატრი“, 1888 წელი, 25 დეკემბერი N50, გვ 3-10; იქვე, 1889 წლის 7 იანვარი N2, გვ.7; გაზეთი „ივერია“, 1889 წლის 13 იანვარი, N9, გვ.1).

სწორედ ამ მუქარის გამო „ივერია“ 1889 წლის 4 იანვრის N2-ში ხელმოუწერელი სტატიით გამოეხმაურა და გააკრიტიკა „Тифлисский Листок“ ქართველებისადმი ცილისწამებისთვის და „Новое Обозрение“-ს მოუწოდა, ეს ცილისწამება უპასუხოდ არ დაეტოვებინა. საყურადღებოა, რომ „ივერიის“ სტატიაში არ არის ნახსენები არც ჟურნალი „თეატრი“ და არც მისი რედაქტორი ალექსანდრე ნებიერიძე, რაც იმას ადასტურებს, რომ დაპირისპირება ორ რედაქციას შორის დავას გასცდა.

პასუხად „ვანოს“ სტატიის პათოსი გაიზიარა „Новое Обозрение“-ს ჟურნალისტმა დავით კეხელმა 1889 წლის 6 იანვრის ნომერში (გაზეთი „ივერია“, 1889 წლის 13 იანვარი, N9, გვ.2).

ამ ფაქტს „ივერიის“ რედაქტორის, ილია ჭავჭავაძის კიდევ ერთი გამოხმაურება მოჰყვა. მან ივანე ხაჩატუროვი და დავით კეხელი ცილისწამებასა და „დანოსში“ დაადანაშაულა და კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა. „ფელეტონს“ ხელს აწერს „ივერიელი“, ანუ ილია ჭავჭავაძე (გაზეთი „ივერია“, 1889 წლის 13 იანვარი, N9, გვ. 1, 2, 3, 4). სტატია იმდენად მწვავე აღმოჩნდა, რომ მას ჟურნალ „თეატრში“ ზემოთ მოხმობილი კარიკატურა მოჰყვა (ჟურნალი „თეატრი“, 1889 წელი, N4, გვ.7-8).

1888 წლის 11 დეკემბრის „თეატრში“ დაბეჭდილია კარიკატურა ორი ილუსტრაციით. საყურადღებოა, იმდენად, რამდენადაც ის ტრაგიკულ ისტორიას გვიყვება. ოთარ სეფიაშვილი ვარაუდობს, რომ კარიკატურა ეხმიანება ვინმე მანის თვითმკვლელობის ისტორიას და მისადმი კრედიტორების დამოკიდებულებას. მისი ინფორმაციით, სწორედ ამ თემას ეძღვნება რუსული დასის სამმოქმედებიანი ესკიზი „ორი საქმოსანი“, რომელიც მხოლოდ ერთხელ დაიდგა ფოკკატის თეატრში 1889 წლის 9 იანვარს (ოთარ სეფიაშვილი „ქართული კარიკატურა“, „საბჭოთა ხელოვნება“ 1957, N7, გვ.19).



მკვლევრის ეს ვარაუდი დასტურდება იმდროინდელი პრესის ინფორმაციით. ვენეციიდან თბილისში ჩასული, წარმოშობით სომეხი ვაჭრის მანის თვითმკვლელობის შესახებ ინფორმაციას მივაკვლიეთ „ივერიის“ 1888 წლის 16 და 17 ნოემბრის ნომრებში (ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის სტატიებში). ჩანს, რომ 1888 წლის 15 ნოემბერს მომხდარმა ამ ამბავმა დედაქალაქში დიდი რეზონანსი გამოიწვია. მანს თბილისელი ვაჭრის, თაიროვის ვალი დაედო, რომლის გადახდას ვერ ახერხებდა. თაიროვმა ადვოკატ პლიუმევესკის დახმარებით „მანი ბადეში გააბა“ და მას თვითმკვლელობის გარდა სხვა გზა არ დაუტოვა. „დიდი პატივისმცემელი იყო და შემწე აქაური ვაჭრებისა, როცა ისინი საზღვარგარეთ მიდიოდნენო! თვითონვე მის მოსისხლე თაიროვსაც დიდი ღვაწლი დასდვაო“, - წერს აკაკი წერეთელი („ივერია“, 17 ნოემბერი, 1888 წელი, N242 გვ.1).




ყურადღებას იქცევს ჟურნალ „თეატრში“ 1888 წლის 17 დეკემბრის N48-49-ში გამოქვეყნებული კარიკატურა „ფლავი ვის უდგას და იშტა ვის აქვს“. ვაჭარი მხატვარს: „არა, მაგისტანა ხატვა ვიგოდე და ხელი რუსთაველზე მოვაცდინო!!! თუ ჭკუა გაქვს, გამიგონე: „გრანიცის“ ბილეთები გააკეთე, - მე გავასაღებ... ერთს წელიწადზე სახელოვან კაცად გავხდი“.

მკვლევარი ოთარ სეფიაშვილი სტატიაში „ქართული კარიკატურა“ (ოთარ სეფიაშვილი „ქართული კარიკატურა“, „საბჭოთა ხელოვნება“ 1957, N7, გვ.19) გამოთქვამს ვარაუდს, რომ ამ კარიკატურაზე ოქონელმა საკუთარი თავი გამოსახა. ვეთანხმებით ვარაუდს, რადგან კარიკატურისტს რუსთაველის 20-მდე პორტრეტი ჰქონდა შექმნილი. მათ შორის ერთ-ერთი დაბეჭდილია „ვეფხისტყაოსნის“ თავართქილაძისეულ

გამოცემაში (ოზურგეთი, 1892) (დ. ბაბუნაშვილი, ვასილ გოლოვნიკა - ოქონელი, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1962, N2, გვ. 63-64)
 „თეატრში“ 1889 წლის ივნისის შემდეგ კარიკატურები აღარ დაბეჭდილა. ამ წლის ბოლოს გაზეთში დაიწერა, რომ 1890 წლიდან იცვლებოდა მისი ფორმატი, ხოლო 1891 წელს გამოცემა დაიხურა. სავარაუდოა, რომ კარიკატურების ბეჭდვა პერიოდულ გამოცემაში ცენზურამ აკრძალა, თუმცა ეს ცალკე კვლევის საგანია.

1890-იან წლებში ქართულენოვან პრესაში კარიკატურები თითქმის არ იბეჭდებოდა.



1894 წელს ვალერიან გუნიაშვილი გამოსცა იუმორისტული, 21-გვერდიანი წიგნი „ჩვენებური რამე-რუმე-ფიქრნი და შენიშვნანი პატარა კაცისა“. ავტორი შესავალში წერს, რომ ამგვარი წიგნების სერიის გამოშვებას აპირებს. შესავალში დაწერილ ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით გიზო ნიშნიანიძე მიიჩნევს დაძვინჯვას არ დავეთანხმებით, რომ ეს პატარა წიგნი პერიოდულ გამოცემად, ჟურნალად უნდა მივიჩნიოთ (გიზო ნიშნიანიძე, „სიცილის არქივიდან“, თბილისი 1971 წელი, გვ. 143).

მერი კარბელაშვილი თავის სტატიაში წერს, რომ წიგნის ტექსტი საადგილმამულო ბანკის ამბებს ეხება. გამოცემას ბოლოში თორმეტი ნახატი აქვს დართული. კარიკატურებს ხელს აწერს კოლა (ნიკოლოზ ბიაზი). (მერი კარბელაშვილი, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლების ეროვნული ცენტრის ელექტრონული ჟურნალი „ARS GEORGICA“, სერია B, 2010 წლის 12 მარტი).



„ჩვენებური რამე-რუმე-ფიქრნი და შენიშვნანი პატარა კაცისა“, თბილისი, 1895, გვ. 17

გამოცემის გაცნობის შემდეგ ვრწმუნდებით, რომ მისი ტექსტი არამხოლოდ ბანკს, არამედ იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებას აღწერს და აკრიტიკებს საქართველოში შექმნილ ახალ პოლიტიკურ პარტიას, რომლის არც სახელს და არც მესვეურებს ასახელებს. ტექსტის ავტორი დარწმუნებულია, რომ საქართველოში არ არის მომზადებული ნიადაგი „ევროპიული“ პარტიის არსებობისთვის. ასეთ პარტიის მაგალითებად კი მოჰყავს ბრიტანული „ვიგები“ და „ტორიები“ აშშ-ის „რესპუბლიკური“ და „დემოკრატიული“

პარტიები, „სტარო ჩეხები“ და „მლადო ჩეხები“ (წიგნი „ჩვენებური რამე-რუმე-ფიქრნი და შენიშვნანი პატარა კაცისა“, თბილისი, 1894, გვ. 3-16). ჟურნალს დართული აქვს კომიქსების ტიპის კარიკატურების სერიები. ერთი სერია შეეხება სარკინიგზო ვაგონით ღორის მგზავრობას, რომელიც პირველი კლასის ვაგონით მოითხოვს გადაყვანას, თუმცა ვერ გაურჩევია სატვირთო ვაგონი პირველი კლასის ვაგონისაგან. აქვეა ილია ჭავჭავაძის კარიკატურების სერია, რომელიც ცდილობს დინჯად მიირთვას სადილი, თუმცა მას ძაღლები არ აცდიან და, საბოლოოდ, სწორედ სიდინჯის გამო რჩება მშიერი, ხოლო ერთ-ერთი ძაღლი სიხარბის გამო - უკუდოდ. კარიკატურების ამ სერიაში 8 ილუსტრაცია შედის.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ „ჩვენებურ რამე-რუმეში“ ცალკეული კარიკატურებისა და სერიების რაოდენობა ათია, რაც მთლიანობაში 30 ილუსტრაციას მოიცავს.

აღსანიშნავია, რომ ვალერიან გუნიას ამ გამოცემის შესახებ მცირე ინფორმაცია გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა: „როგორც შევითქვით, თბილისის ბანკობანის შესახებ დაუწერიათ პაწია წიგნაკი: „ჩვენებური რამე-რუმე-ფიქრნი და შენიშვნანი პატარა კაცისა“ (გაზეთი „ივერია“, 1894 წლის 15 მაისი, N101, გვ.1).


უხვად ილუსტრირებული იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის დაარსებული ჟურნალი „კვალი“, რომლის პირველი ნომერიც 1893 წელს გამოვიდა, თუმცა მასში კარიკატურის მიმართულება არ გვხვდება.

ეს ჟანრი ქართულ პრესაში 1901 წლიდან, „ცნობის ფურცლის სურათებიანი დამატების“ დაარსების შემდეგ, დაბრუნდა. „ცნობის ფურცელი“ 1896 წლიდან გამოიცემოდა, 1901 წელს კი ალექსანდრე ჯაბადარის რედაქტორობით გაზეთის „სურათებიანი დამატება“ შეიქმნა. კარიკატურების უმეტესობის ავტორი ოსკარ შმერლინგი (ფსევდონიმებით: ო. შ.; ო. შლინგ; ო.ნ.შ-ლინგ; ო.ნ.შ-გ) იყო. ამ გამოცემაში 1902 წლიდან ვხვდებით ნიკოლოზ კელჩევსკის, 1905 წლიდან - იოზეფ როტერის კარიკატურებსაც. 1905 წლის 1 ოქტომბრის ნომერში თავისი პირველი კარიკატურა „ცნობის ფურცლის სურათებიანი დამატებაში“ დაბეჭდა ალექსანდრე (სანდრო) შანშიაშვილმაც.


თუ მანამდე გრაფიკული გამოსახულება, ძირითადად, სატირული სტატიის გაგრძელება იყო, „ცნობის ფურცლის სურათებიანი დამატებაში“ ის ტექსტებისგან დამოუკიდებელი გახდა და ეხმაურებოდა ქვეყნის ყოველდღიურობას პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებზე.

სწორედ გრაფიკულ სატირაზე დაკვირვებით შეგვიძლია შევაფასოთ, რამდენად რეზონანსული იყო ესა თუ ის მიმდინარე თემა ქვეყანაში.

„კარიკატურებმა თავიდანვე მიიქციეს ფართო საზოგადოების ყურადღება. გაზეთის მხატვრული იუმორის განყოფილება ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ განყოფილებად იქცა. გაზეთის ერთ-ერთი იმდროინდელი თანამშრომელი იგონებს: მხატვარს კარიკატურებისთვის თემებს ჩვენ ვაძლევდით, განსაკუთრებით ალ. ჯაბადარი. შემდეგში შმერლინგი იმდენად გაეცნო ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას, რომ თვითონ ირჩევდა საკარიკატურო თემებს და საკუთარი კორესპონდენტებიც გაუჩნდა გაზეთის



„ცნობის ფურცლის სურათებიანი დამატება“, 1902 წლის 15 სექტემბერი



„ცნობის ფურცლის სურათებიანი დამატება“, 1901 წლის 28 ოქტომბერი

მკითხველთან“ (ოთარ სეფიაშვილი „ქართული კარიკატურა“, „საბჭოთა ხელოვნება“ 1957, N7, გვ.21).

კარიკატურების შესრულების შმერლინგისეულ ოსტატობაზე არ შეეჭრდებით, ამ საკითხს დღემდე გამოქვეყნებული არაერთი კვლევა მიემღვნა. შევეცდებით განვიხილოთ კარიკატურების თემატური შინაარსი:



„ცნობის ფურცლის სურათებიანი დამატება“
1902 წლის 8 სექტემბერი

გამორჩეული ყურადღება ეთმობოდა თბილისის საბჭოს კრიტიკას, ამ ორგანოს არჩევნებსა და უმოქმედობას, წინასაარჩევნო დაპირებებს და მათ არშესრულებას, ქალაქში არსებულ ანტისანიტარიასა და გაუმართავ ინფრასტრუქტურას და სხვა. გამოცემა დასაწყისიდანვე არ ერიდება ადგილობრივი ხელისუფლების გაშრაყებას, თუმცა გუბერნიის მმართველობაზე, მითუმეტეს, რუსეთის იმპერიაში მიმდინარე საკითხებზე გამოხმაურება მოგვიანებით, მხოლოდ 1905 წლის მოვლენების შემდეგ ჩნდება. გასათვალისწინებელია, რომ ამ პერიოდში სასულიერო პირების არ ვხვდებით, რაც

1910-იანი წლებიდან უკვე გამოჩნდა ქართულ კარიკატურაში.

ქალაქის თვითმმართველობასთან ერთად კრიტიკა მიემართება საზოგადოებრივ ორგანიზაციებსაც:

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, „სათავადაზნაურო



ილია ჭავჭავაძის შარჟი „ცნობის ფურცელი. სურათებიანი დამატება“
1901 წლის 16 დეკემბერი



აკაკი წერეთლის შარჟი. „ცნობის ფურცელი. სურათებიანი დამატება“
1901 წლის 2 დეკემბერი



კირილე ლორთქიფანიძის კარიკატურა, „ცნობის ფურცელი. სურათებიანი დამატება“

ბანკი“, „თბილისის საკრედიტოსაზოგადოება“. კარიკატურებში საზოგადოების გამოჩენილ წევრებს ვხვდებით. მაგალითად, აკაკი წერეთლის შარჟზე ოსკარ შმერლინგმა პოეტს საპნის ბუმტების გამშვების

როლი არგუნა, სხვა კარიკატურაში კონსერვატიზმის გამო გააკრიტიკა („ცნობის ფურცელი. სურათებიან დამატება“, 1901 წლის 19 აგვისტო, N2, გვ.4); ილია ჭავჭავაძეს, რომელიც სათავადაზნაურო ბანკის საბჭოს სხვა წევრებთან ერთად სხდომაზე ზის, ქვემოდან ხალიჩას აცლიან; კირილე ლორთქიფანიძეს ჟურნალისტები ქუთაისის ბანკთან ხვდებიან და ფოტოებს დაუკითხავად უღებენ; იაკობ გოგებაშვილი „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სხდომაზე საბჭოში ასარჩევად საარჩევნო ხმებს ითხოვს.

„ცნობის ფურცლის სურათებიან დამატებაში“ ვხვდებით სულ რამდენიმე კარიკატურას საერთაშორისო პოლიტიკურ თემებზე. მაგალითად, ინგლისელების ჯარის დაბრუნება აფრიკიდან ბურების ომის შემდეგ, რომელშიც დამარცხებული ბრიტანელი ჯარისკაცები შემოხეული ტანსაცმლით წარმოუდგენია ოსკარ შმერლინგს („ცნობის ფურცელი. სურათებიან დამატება“, 1901 წლის 28 ოქტომბერი, N12 გვ.4); ალლაჰმა უწყის, რა უნდათ ჩემგან“ - კითხულობს ოსმალეთის იმპერიის წარმომადგენელი, რომელსაც საბერძნეთისა და საფრანგეთის გემები მიადგნენ („ცნობის ფურცელი. სურათებიან დამატება“, 1901 წლის 11 ნოემბერი, N14, გვ.4). საერთაშორისო თემაზე კარიკატურები მომდევნო პერიოდში, 1905 წლამდე, თითქმის არ გვხვდება, სავარაუდოა, რომ ცენზურა ამ მიმართულებით კრძალავდა სატირას.



1905 წლის მეორე ნახევარში, რევოლუციური მოძრაობის გააქტიურების პარალელურად, კარიკატურის შინაარსი გამწვავდა. 1905 წლის სექტემბერ-ნოემბრის ნომრებში გვხვდება კარიკატურები „ძველი და ახალი რეჟიმის“ შესახებ. გრაფიკული სატირის გმირებს შორის ვხედავთ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს, მაგალითად,


მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე სერგეი ვიტეს, რომელსაც ხალხის მოთხოვნები აკვირვებს.



სერგეი ვიტესა და ორთავიანი დრაკონის სახით წარმოდგენილი მონარქიის კარიკატურა „ცნობის ფურცლის სურათებიანი დამატება“. 1905 წლის 17 ნოემბერი


კარიკატურებში ისმოდა თავისუფლების მოწოდებები და კარგად იკითხება სკეპტიციზმი „ახალი რეჟიმისა“ და ახალი კონსტიტუციის სარგებლიანობაზე. „ცნობის ფურცლის სურათებიანი დამატების“ რედაქტორის ალექსანდრე ჯაბადარის მოგონებებში ვკითხულობთ, რომ 1905 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მიღებული ახალი კონსტიტუციის შემდეგ სიტუაცია დამშვიდდა, მიტინგები დაუბრკოლებლად იმართებოდა, პერიოდული

გამოცემები ცენზურის გარეშე იბეჭდებოდა, თუმცა „კონსტიტუციის თაფლის თვე“ მცირე ხანს გაგრძელდა. „[1905 წლის 22 ოქტომბერს] ტფილისის ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები მიწვეულნი ვიყავით საცენზურო კომიტეტში სათათბიროს. კომიტეტის თავმჯდომარემ გაკვლმა, რომელიც ცდილობდა ბეჭდვითი სიტყვის მფარველობას, გამოგვიცხადა: „კონსტიტუციის თაფლის დღეები გათავდაო“ და გვთხოვა თავი შეგვეკავებინა და უკმეხი სტატიები არ გვებეჭდა, კარიკატურებიც „თავდაჭერილი უნდა იყოს“. (ალექსანდრე ჯაბადარი, „მოგონებები“, ჟურნალი „მნათობი“, 1934, N4, გვ. 191-195)



„ცნობის ფურცლის სურათებიანი დამატება“ 1906 წლის 12 მარტი

ჩანს, ცენზორის ეს მოწოდება გაზეთმა ბოლომდე არ გაიზიარა. 22 ოქტომბრის შემდეგ ნომრებში, ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, კიდევ უფრო მწვავე კარიკატურებს ვხვდებით. ჯაბადარის მოგონებებში ვკითხულობთ რომ „ცნობის ფურცელი“, ისევე როგორც მისი „სურათებიანი დამატება“, ვერ ბეჭდავდა ყველა იმ ინფორმაციას, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს შეეხებოდა - მოსახლეობის დარბევა და დაწიოკება, თუმცა სიმართლის ნაწილს მკითხველს მაინც აწვდიდა. გაზეთისთვის საბედისწერო აღმოჩნდა 1906 წლის იანვარში დასავლეთ საქართველოში შესული „ალიხანოვის სადამსჯელო ჯარის“ მიერ მოსახლეობის რბევის შესახებ ინფორმაციების ბეჭდვა.



1906 წლის 18 მარტს გაზეთ „Кавказ“-ში თბილისის გენერალურ-გუბერნატორ

სერგეი ვიტეს კარიკატურა „ცნობის ფურცლის სურათებიანი დამატება“. 1906 წლის 12 მარტი

ტიმოფეევის ბრძანება გამოქვეყნდა, რომელიც „ცნობის ფურცლისაგან“ მოითხოვდა გაზეთში დაბეჭდილი ინფორმაციის მტკიცებულებების წარდგენას. „ცნობის ფურცლის“ ბოლო ნომერი 1906 წლის 25 მარტს დაიბეჭდა, მისი „სურათებიანი დამატების“ ბოლო ნომერი კი ამავე წლის 19 მარტისა აღმოჩნდა. ალექსანდრე ჯაბადარი თბილისიდან გაასახლეს და გაზეთის გამოცემა აუკრძალეს „სამხედრო რეჟიმის მოხსნამდე“.

(ალექსანდრე ჯაბადარი, „მოგონებები“,

„ცნობის ფურცლის სურათებიანი დამატების“ ერთ-ერთი ბოლო კარიკატურა. 1906 წლის 12 მარტი

ჟურნალი „მნათობი“, 1934, N4, გვ. 191-195).





„მასხარა“. 1907 წელი, N2, გვ.4

1907 წლის 11 თებერვალს გამოიცა აკაკი წერეთლის დაარსებული პირველი ქართული იუმორისტული გაზეთი „ხუმარა“, თუმცა თბილისის გუბერნატორ რაუმ ფონ ტრაბენბერგზე დაბეჭდილი კარიკატურის გამო (მხატვარმა გიგო ზაზიაშვილმა იგი ვირის თავით გამოსახა) არა მხოლოდ გაზეთის არსებობა შეწყდა, არამედ აკაკი წერეთელს 2 დღით მეტეხის ციხეში მოუწია ყოფნა (გიგო ნიშნიანიძე, „სიცილის არქივიდან“, თბილისი 1971 წელი, გვ. 131). ასევე ხანმოკლე აღმოჩნდა ჟურნალ „მასხარას“ სიცოცხლე. მის გამომცემლად რახილ კალანდაძეა მითითებული, თუმცა აშკარაა მასში აკაკი წერეთლის თანამშრომლობა. გიგო ნიშნიანიძე ფიქრობს, რომ

აკაკი არაოფიციალური რედაქტორი იყო კიდევ 6 იუმორისტული გამოცემის: „ოხუნჯი“, „ცეცხლი“, „ზურნა“, „ეკალი“, „ბზიკი“. (გიგო ნიშნიანიძე, „სიცილის არქივიდან“, თბილისი 1971 წელი, გვ. 225).

აღსანიშნავია, რომ 1907 წელს ორი სხვადასხვა იუმორისტული გამოცემა „ეკალი“ არსებობდა. ის გამოცემა, რომელსაც აკაკი წერეთელთან ჰქონდა კავშირი, სულ 2 ნომრად დაიბეჭდა. მეორე „ეკალი“ სოციალ-დემოკრატიული მიმართულებისა იყო და 1907-1908 წლებში გამოდიოდა (გიგო ნიშნიანიძე, „სიცილის არქივიდან“, თბილისი 1971 წელი, გვ. 236; გვ.253).

სასულიერო პირზე პირველი კარიკატურა სოციალ-დემოკრატიული ფრთის გაზეთ „შუამავალში“ (რედაქტორ-გამომცემელი სილოვან კეკელიძე, ჟურნალისტები ნესტორ და პოლიევქტოს კალანდაძეები) დაიბეჭდა და მისი ავტორი იოზეფ როტერი იყო. 1907 წლის 12 აგვისტოს N5-ში მოთავსებულ კარიკატურაზე სასულიერო პირი მოხსენიებულია როგორც „წვერცამეტა ხუცესი“. გაზეთი მღვდლების გაშარჟებას ტექსტებშიც არ ერიდებოდა. ამავე გაზეთის მე-8 ნომერში სასულიერო პირი უკვე გლეხის მმარცველის როლშია წარმოდგენილი. ამ გაზეთის ბოლო ორი ნომერი „შურდულის“ სახელით გამოიცა, რომელიც 1907 წლის სექტემბრიდან აიკრძალა.

1907 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ნახევარში თეოფილე ბოლქვაძემ დაიწყო „ემშაკის მათრახის“ გამოცემა, რომელიც, „შუამავლისა“ და „შურდულის“ იდეური გაგრძელება იყო. ჟურნალთან თანამშრომლობდნენ ოსკარ შმერლინგი და იოზეფ როტერი, აქვე დაიბეჭდა შალვა ქიქოძის პირველი შარჟები. ვხვდებით, ასევე, ნესტორ კალანდაძის კარიკატურებსაც, ფსევდონიმით „მორიელი“ (ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია. ტ. 6. ნაკვ. 1. – თბ., 1969. – გვ. 647.). ჟურნალი 1908 წლის 9 აგვისტოს დაიხურა და მხოლოდ 1915 წელს შეძლო გამოცემის განახლება. დევნის პერიოდში ის გამოდიოდა სხვადასხვა სახელით: „მათრახი“, „მათრახი და სალამური“, „სალამური“, „ჩვენი სალამური“, ჯოჯოხეთი (გიგო ნიშნიანიძე, „სიცილის არქივიდან“, თბილისი 1971 წელი, გვ. 261).



აკაკი წერეთლის კარიკატურა „ემმაკის მათრახი“ 1907 წელი, #10, გვ.5

„ემმაკის მათრახში“ გამწვავდა ხელისუფლების წარმომადგენლებზე, საზოგადოების ცნობილ წევრებსა და სასულიერო პირებზე თავდასხმა. ჟურნალის ფურცლებზე იბეჭდებოდა აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ცხვედაძის, ვალერიან გუნიას და სხვათა კარიკატურები. გამოცემა „შუამავალის“ მსგავსად, აშარჟებდა, ასევე სოციალ-ფედერალისტთა პარტიას, რომელსაც, ჩანს, მონარქიული ხელისუფლების ოპოზიციაში მყოფი სოციალ-დემოკრატები ძირითად ოპონენტად მიიჩნევდნენ.



საპირისპირო „ბანაკშია“ გაზეთი „დროება. სურათებიანი დამატება“ (1909-1910 წლები), რომელშიც კარიკატურისტებად სანდრო შანშიაშვილი და დავით კაკაბაძე მოღვაწეობდნენ. აქ ვხვდებით ოსკარ შმერლინგისა და ნესტორ კალანდაძის („ემმაკის“) კარიკატურებს. თუმცა ეს ორი გამოცემა, ჩანს,



ერთმანეთთან თანხმობაში არიან

„დროება. სურათებიანი დამატება“ 1909 წლის 29 მარტი, გვ.4

„დროება. სურათებიანი დამატება“ 1909 წლის 14 მარტი, გვ.4

თბილისის თვითმმართველობისა თუ მეფის რუსეთის ხელისუფლების სატირულ კრიტიკაში.

პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობისას, 1915 წელს სანდრო შანშიაშვილის რედაქტორობით გამოვიდა „საქართველო. სურათებიანი დამატება“. გაზეთში იბეჭდებოდა ოსკარ შმერლინგის, ვალერიან სიდამონ-ერისთავის, ალექსანდრე ციმაკურიძის, დავით კაკაბაძის, მიხეილ ჭიაურელის კარიკატურები. შეიძლება ითქვას, რომ ეს გამოცემა, ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებასთან“ ერთად, ქართულ პრესაში მეგობრული შარჟების ჟანრს ამკვიდრებს.



გაზეთი „დროების სურათებიანი დამატების“ იდეას აგრძელებს. აკრიტიკებს ადგილობრივ

„საქართველო. სურათებიანი დამატება“. 1915 წლის 13 დეკემბერი

თვითმმართველობებს, ასევე, საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. რასაკვირველია, ომის თემა ერთ-ერთი დომინანტია. ამ მიმართულების კარიკატურები, ძირითადად, „ნეიტრალ სახელმწიფოებს“ აკრიტიკებს.

დასკვნა

ქართულენოვან პრესაში შარჟისა და კარიკატურის ჟანრი XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან გამოჩნდა, უფრო ზუსტად კი 1886 წლის 1 ივნისის ჟურნალ „თეატრში“. ამ გამოცემის 1888-1889 წლების კარიკატურები სრულად პასუხობს ამ ჟანრის შინაარსს და ამ მიმართულების განვითარებაში შეუცვლელი როლი ითამაშა, ისევე, როგორც 1894 წელს ვალერიან გუნიას გამოცემულმა წიგნმა „ჩვენებური რამე-რუმე-ფიქრნი და შენიშვნანი პატარა კაცისა“.

1901 წლიდან ქართული კარიკატურა ახალ საფეხურზე ავიდა. ეს ჟანრი გასცდა გაზეთისა თუ ჟურნალის ფურცლების ილუსტრირების ფუნქციას, იქცა საზოგადოებამდე სათქმელის სატირითა და იუმორით, მარტივად მიტანის ხერხად და მასში ასახვა პოვა საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ცხოვრების ძირითადმა მოვლენებმა.

ამ დროიდან კარიკატურა, როგორც ვიზუალური ხელოვნების ერთგვარი გამოვლინება, შესაბამისი შინაარსის ტექსტის ილუსტრაცია კი არა, დამოუკიდებელი მიმართულება გახდა. ილუსტრირებული და სატირულ-იუმორისტული გაზეთები დიდი პოპულარობით სარგებლობდა. 1901 წელს გამოცემულ გაზეთს „ცნობის ფურცელი. სურათებიანი დამატება“, 1906 წლიდან შეუერთდა „ეკალი“, შემდეგ - „ემშაკის მათრახი“, „საქართველო. სურათებიანი დამატება“ და სხვა გამოცემები. ცენზურისა და დევნის მიუხედავად გამომცემლებმა, გაზეთების რედაქტორებმა და კარიკატურისტებმა მოახერხეს და ვიზუალურად გააფორმეს მათი თანამედროვეობა, ჩვენ კი მოგვცეს საშუალება მღელვარებით სავსე მე-20 საუკუნის დასაწყისი განსხვავებული კუთხით, უფრო ახლოდან დაეინახოთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <https://www.britannica.com/art/caricature-and-cartoonNref59397>
2. *Hogarth and his time*, David Birdman, 1997, Los Angeles.
3. *A History Of Caricature*, Bohun Lynch. London 1926
4. *Pennsylvania Gazette*, 1754 წლის 9 მაისი
5. „პირველი ქართველი გრავიორი გრიგოლ ტატიშვილი“, მურმან ურუშაძე, თბილისი, 1958 წელი
6. „ქართული გრაფიკა“, მერი კარბელაშვილი, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევების ეროვნული ცენტრის ელექტრონული ჟურნალი „ARS GEORGICA“, სერია B, 2010 წლის 12 მარტი.
7. სალომე აფხაზიშვილი, „სოციალური სიცილი“, თბილისი, 2018.
8. „სიცილის არქივიდან“, გიზო ნიშნიანიძე, თბილისი, 1971 წელი
9. გაზეთი „ვალანგა“, 1880 წლის 23 ნოემბერი.
10. „ვასილ გოლოვნია-ოქონელი“, დ. ბაბუნაშვილი, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1962, N2, გვ. 63-64.
11. „ფსევდონიმების ლექსიკონი“, იოსებ გრიშაშვილი, თბილისი, 1987 წელი.
12. „ქართული კარიკატურა“, ოთარ სეფიაშვილი „საბჭოთა ხელოვნება“, 1957 წელი, N7
13. ჟურნალი „თეატრი“, 1 ივლისი, 1886 წელი, N22
14. ჟურნალი „თეატრი“, 25 დეკემბერი, 1888 წელი, N50
15. ჟურნალი „თეატრი“, 7 იანვარი, 1889 წელი, N2
16. ჟურნალი „თეატრი“, 22 იანვარი, 1889 წელი, N4
17. გაზეთი „ივერია“, 4 იანვარი, 1889 წელი N2
18. გაზეთი „ივერია“, 13 იანვარი, 1889 წელი N9
19. „დროება“, 1880 წლის 1 ოქტომბერი
20. გაზეთი „გუთნის დედა“, 1861 წლის N1
21. გაზეთი „ივერია“, 16 ნოემბერი, 1888 წელი
22. გაზეთი „ივერია“, 17 ნოემბერი, N242, 1888 წელი
23. ჟურნალი „თეატრი“, 22 იანვარი, 1889 წელი, N4
24. ჟურნალი „თეატრი“, 17 დეკემბერი, 1888 წელი, N48-49

25. „ჩვენებური რამე-რუმე-ფიქრნი და შენიშვნანი პატარა კაცისა“, „პატარა კაცი“ (ვალერიან გუნია) თბილისი, 1894
26. გაზეთი „ივერია“, 1894 წლის 15 მაისი, N101
27. ჟურნალი „მნათობი“, 1934, N4
28. გაზეთი „ცნობის ფურცელი. სურათებიან დამატება“, 1901 წლის 19 აგვისტო, N2
29. გაზეთი „ცნობის ფურცელი. სურათებიან დამატება“, 1901 წლის 28 ოქტომბერი, N12
30. გაზეთი „ცნობის ფურცელი. სურათებიან დამატება“, 1901 წლის 11 ნოემბერი, N14
31. გაზეთი „ცნობის ფურცელი. სურათებიან დამატება“, 1901 წლის 16 დეკემბერი, N19
32. გაზეთი „ცნობის ფურცელი. სურათებიან დამატება“, 1902 წლის 16 ივნისი, N45
33. გაზეთი „ცნობის ფურცელი. სურათებიან დამატება“, 1901 წლის 2 დეკემბერი, N17
34. ჟურნალი „მასხარა“. 1907 წელი, N2
35. გაზეთი „შუამავალი“, 1907 წლის 12 აგვისტო
36. ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია. ტ. 6. ნაკვ. 1. – თბ., 1969.
37. „ემშაკის მათრახი“ 1907 წელი, #10
38. „დროება. სურათებიანი დამატება“ 1909 წლის 14 მარტი
39. „დროება. სურათებიანი დამატება“ 1909 წლის 29 მარტი

Tea Kimeridze

National Archives of Georgia

Sharzh and caricature in the Georgian press of the beginning of the 20th century

Resume

The genre of cartoons and caricatures appeared in the Georgian-language press in the 1880s, more precisely on June 1, 1886, in the magazine "Teatri." The book "Chveneburi rame-rume pikrni da shenishvnani patara katsisa" ("Thoughts and Remarks of me, a Little Man" by Valerian Gunia, published in 1894) and the caricatures in this publication from 1888–1889 both perfectly match the content of this genre and were crucial in its development.

Georgian caricature has advanced to a new level since 1901. The primary events of public or political life were mirrored in this genre, which evolved beyond the role of illustrating newspaper

or magazine pages to become a means of simply conveying something to the public through humor and satire.

Since then, caricature—a form of visual art—has evolved into a distinct genre rather than an illustration of the words of the related material.

Newspapers with illustrations and satirical-humorous content were very popular. The 1901 publication of "Tnobis Purtseli. Suratebiani damateba" was followed by "Ekali," later "Eshmakis Matrakhi," "Sakartvelo. Suratebiani damateba," and other publications. Despite censorship and persecution, publishers, newspaper editors, and cartoonists were able to formalize their modernity in visual terms and allowed us to see the exciting start of the 20th century from a different perspective.

ქეთევან პატარაია
ივანე ჯავახიშვილის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკა ჭყოიძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართველი მეფე, როგორც პერსონაჟი: დიმიტრი თავდადებული ისტორიაში,
ლიტერატურასა და კინოში

მეფე დიმიტრი II თავდადებული (1270-1289) ერთადერთია საქართველოს ისტორიაში, რომელზე გადაღებული მხატვრული ფილმი უშუალოდ ისტორიულ მოვლენებზეა დაფუძნებული, და არა კონკრეტულ ლიტერატურულ ნაწარმოებზე¹²⁷.

დიმიტრი¹²⁸ II კიდევ ერთი მიზეზით არის გამორჩეული - ილია ჭავჭავაძემ თავისი ხუთი პოემიდან ერთი სწორედ მას უძღვნა. შესაბამისად, ისტორიის გარდა, მან სრულიად განსაკუთრებული ადგილი დაიჭირა მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურასა და მე-20 საუკუნის ქართულ კინოში.

წინამდებარე სტატიაში პირველად გავანალიზებთ ისტორიული წყაროების, მხატვრული ტექსტისა და კინოფილმის ძირითად მახასიათებლებსა და მათ ურთიერთმიმართებას.

მხატვრული ფილმი „დიმიტრი II“ გადაღებულია 1982 წელს (სცენარის ავტორი და დამდგმელი რეჟისორი ბუბა ხოტივაძე, დამდგმელი ოპერატორები ჯიმშერ ქრისტესაშვილი და გიორგი გამილადიშვილი, დამდგმელი მხატვარი კახა ქორიძე, კომპოზიტორი კუკური ჭოხონელიძე, მთავარ როლში ლევან თუთბერიძე, კონსულტანტი ქველი ჩხატარაიშვილი).

ეს ერთადერთი ქართული ფილმია, რომელიც გადაღებულია ქართველ მეფეზე. არსებობს ფილმები, სადაც ქართველ მეფეთა სახეებია ნაჩვენები, მაგრამ არც ერთი მათგანი არაა მთავარი ფიგურა. გავიხსენოთ: „გიორგი სააკაძეში“ - ლუარსაბ მეორე, „მაია წყნეთელში“ - მეფე ერეკლე, „დავით გურამიშვილში“ - ვახტანგ მეექვსე, „დიდოსტატის მარჯვენაში“ - მეფე გიორგი პირველი.

საინტერესოა ის, რომ ფილმის სათაურში დიმიტრის ზედწოდება თავდადებული არ არის გამოტანილი, რაც შესაძლოა ერთგვარი ხრიკი იყო საბჭოთა ცენზურის მოსაგერიებლად (თავდადებული მის წმინდანობას და განსაკუთრებულობას გაუსვამდა ხაზს, ხოლო სახელწოდებით „დიმიტრი მეორე“ რიგითი, ჩვეულებრივი მეფის შთაბეჭდილებას დატოვებდა და ნაკლებ სადავო იქნებოდა).

¹²⁷ როგორც მაგალითად: „დიდოსტატის მარჯვენა“, „ბაში-აჩუკი“, „მამლუქი“, „გიორგი სააკაძე“ და ა.შ.

¹²⁸ მართალია, დემეტრე მეორე ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ ვარიანტით, ანუ ბერძნული ხმოვნის ერაზმული წაკითხვით დამკვიდრდა, სტატიაში მას ყველგან მოვიხსენიებთ დიმიტრი-თ, რადგან „ქართლის ცხოვრებაშიც“, ილიასთანაც და ფილმშიც - ყველგან ასე, ანუ დიმიტრი-თ, როიხლინის წაკითხვით იხსენიება.

ფილმის კონსულტანტი, ისტორიკოსი ქველი ჩხატარაიშვილი (1930-1995) არ არის მე-13 საუკუნის საქართველოს ისტორიის მკვლევარი¹²⁹. შესაბამისად, საინტერესო იქნებოდა გავვეგო, რა კრიტერიუმით შეირჩა კონკრეტული ისტორიკოსი და ასევე, როგორ ითანამშრომლა მან რეჟისორთან; რა შენიშვნები ჰქონდა, რა მითითებები და რამდენად იქნა გათვალისწინებული მისი, როგორც ისტორიკოსის მოსაზრებებები. სამწუხაროდ, რადგან რეჟისორი ცოცხალი აღარაა, ამ დეტალებზე ინფორმაციის მოძებნა ახლა უკვე შეუძლებელია. დიმიტრის როლის შემსრულებელმა, ლევან თუთბერიძემაც, რომელიც რეჟისორის, ბუბა ხოტივარის დისშვილია, არაფერი იცის კონკრეტულად ამ საკითხზე¹³⁰.

რამდენადაც ფილმი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ბაზაზეა გადაღებული, ჩვენ ვეძებთ მასთან დაკავშირებული მასალა ეროვნული არქივის კინოსტუდია „ქართული ფილმის“ საცავში და ჩვენდა გასაკვირად, ვერაფერი აღმოვაჩინეთ. ამდენად, ფილმთან დაკავშირებულ საკითხებზე ლევან თუთბერიძეს მივმართეთ, რომელიც, ჩვენთვის ინფორმაციის ძირითადი წყაროა.

თუ დიმიტრი თავდადებულზე, როგორც ისტორიულ ფიგურაზე, ბევრი სამეცნიერო სტატია, ნაშრომი და გამოკვლევა დაწერილა, იგივეს ვერ ვიტყვით მის მხატვრულ თუ კინოსახეზე. საგანგებო კვლევის საგანი ჯერ არასოდეს გამხდარა, თუ როგორ არის ის წარმოჩენილი და რა ისტორიული ფაქტებია შენარჩუნებული ერთი მხრივ, ილიას პოემაში და მეორე მხრივ, მხატვრულ ფილმში, ანუ რა არის რეალური და რა - გამოგონილი. აქვე ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ილიას პოემასა და ფილმს შორის სათაურშივე ჩანს პრინციპული განსხვავება. ფილმის სათაური, როგორც აღვნიშნეთ, „დიმიტრი II“, ხოლო პოემის სათაური „მეფე დიმიტრი თავდადებულია“. მთავარი როლის შემსრულებელმა ლევან თუთბერიძემ გამორიცხა პოემის რაიმე გავლენა ფილმის სცენარზე. ჩვენთან საუბარში მან რამდენჯერმე აღნიშნა, რომ რეჟისორი, ბიძამისი, რა თქმა უნდა, იცნობდა ამ პოემას, მაგრამ არასოდეს უხსენებია, როგორც შთაგონების ერთ-ერთი წყარო. მისივე მოწმობით, ფილმს არ მოჰყოლია ისტორიკოსებისგან კრიტიკა, პრეტენზია, რაიმე უზუსტობაზე მინიშნება ან თავდასხმა. არც ისტორიულ კონტექსტში განუხილავს და გაუანალიზებია ვინმეს მაგ. კინოკრიტიკოსს (ჯერ-ჯერობით ასეთ მასალას ვერ მივაკვლიეთ).

საინტერესოა, რატომ გააკეთა რეჟისორმა არჩევანი კონკრეტულ მეფეზე. ბუბა ხოტივარი, რომელიც განათლებული ადამიანი იყო და საფუძვლიანად იცნობდა ისტორიას, ამბობდა: „საქართველოს ისტორიის ყოველი ფურცელი მხატვრული კინოა, აიღე და გადაიღე“. არსებობს ინფორმაცია, რომ ბუბა ხოტივარი აგროვებდა მასალას დავით აღმაშენებლის შესახებ მრავალსერიანი ფილმისთვის, თუმცა, არჩევანი უფრო რეალურ პროექტზე, დიმიტრი თავდადებულის შესახებ ფილმზე გააკეთა (მრავალსერიან ფილმს გაცილებით დიდი ბიუჯეტი დასჭირდებოდა). სავარაუდოდ, არსებობდა მეორე მიზეზიც.

¹²⁹ მისი სამეცნიერო ინტერესები ძირითადად გურიის სამთავროს ისტორიის შესწავლას უკავშირდებოდა. (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბიოგრაფიული ლექსიკონი; <http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00016547>).

¹³⁰ მას ონლაინ გავესაუბრეთ 2023 წლის აგვისტოში.

დიმიტრის პერიოდი იყო საქართველოს ოკუპაციის პერიოდი და მეფის თავდადება კი - გამორჩეული გმირობა, მაგალითი. ამ თემის წინ წამოწევა იმ საბჭოთა პერიოდში, უფრო მნიშვნელოვანი, საჭირო და აქტუალური იყო, ვიდრე დავითის პერიოდის გახსენება, რომელიც გამარჯვებებით და წინსვლით გამოირჩევა. მაყურებელს დიმიტრის ისტორიის შეხსენება უფრო სჭირდებოდა.

„დიმიტრი შტამპებისგან თავისუფალი ადამიანი იყო“ - ამბობდა ბუბა ხოტივარი და ძირითადი არგუმენტი ფილმის გადაღების უფლების მოსაპოვებლად იყო ის, რომ ავტორი აპირებდა გადაეღო პიროვნული დრამა და არა ისტორიული ფილმი. თანაც, ფილმს ძალიან მწირი ბიუჯეტი გამოუყვეს და მასობრივ, საომარი მოქმედებების სცენებს ისედაც ვეღარ გადაიღებდნენ.

ამდენად, ფილმში ფოკუსი არის დიმიტრიზე და დანარჩენი გმირები ეხმარებიან მისი ხასიათის გახსნას.

რეალურად, რა ვიცი დიმიტრი თავდადებულის შესახებ? მთავარი ისტორიული წყარო მონღოლთდროინდელი ასწლოვანი მატიანე, ანუ ჟამთააღმწერელია. ის ვრცლად მოგვითხრობს მის შესახებ (ქართლის ცხოვრება (1959). ტ. 2, გვ. 270-293). ტექსტის თანახმად, დიმიტრი ქართლის 63-ე მეფეა. ავტორი მასზე საუბარს გარეგნობის აღწერით იწყებს: „ტანითა ახოვან, ფერთა ჰაეროვან, შესახედავად ტურფა, თმითა და წვერითა მწყაზარ და შუენიერ, თუალითა გრემან, ბეჭ-ბრტყელ და შეწყობილ სამხედროთა წესითა“ (ქართლის ცხოვრება (1959). გვ. 271.15-17). როგორც ვხედავთ, მემატიანე განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს მის მოხდენილ აღნაგობაზე, მშვენიერ გარეგნობაზე, ლამაზ თმასა და წვერზე; დიმიტრის ზღვისებერ ლურჯი¹³¹, ანუ გრემან თვალები ჰქონია, თეთრი სახისკანით¹³² და მხარბეჭიანი; მემატიანეს გარეგნობაშივე „შემოაქვს“ მისი სამხედრო საქმეში განსაკუთრებული დახელოვნება („შეწყობილ სამხედროთა წესითა“). გარეგნობის აღწერას უშუალოდ მოჰყვება დიმიტრის თვისებების ჩამონათვალი, ანუ ზოგადი დახასიათება: „სრული ცხენოსანი და მშვლდოსანი რჩეული, უხვ, მოწყალე და მდაბალი, გლახაკთა, ქურივთა და დავრდომილთა მოწყალე, რომელი არა სმენილ არს ნათესავი მეფეთა, გინა სხუათა კაცთა“ (ქართლის ცხოვრება (1959), გვ. 271.17-19). ამ მონაკვეთის მიხედვით, გაჭირვებულების დახმარებით და მოწყალეობით დიმიტრი ყველა ქართველ მეფესა და ზოგადად, ყველა ადამიანზე აღმატებული ყოფილა.

ილია ჭავჭავაძის პოემა „დიმიტრი თავდადებული“ (ხუთიდან მეოთხე პოემა), 1878 წელსაა დაწერილი. ამის შემდეგ მან „განდეგილი“ დაწერა 1883 წელს და მეტი პოემა აღარ დაუწერია. „მეფე დიმიტრი თავდადებული“ შედგება პროლოგისა და 28 თავისგან; ეძღვნება პეტრე ნაკაშიძეს (1838-1995). ლიტერატორი, საზოგადო მოღვაწე და ილიას მეგობარი პეტრე ნაკაშიძე წერილებს აქვეყნებდა „საქართველოს მოამბესა“ და „ივერიაში“ (ქართული მწერლობა, 1984: 362-363). ილია მას ძალიან დიდ პატივს სცემდა. მასვე მიუძღვნა პოემა „ქართველის დედაც“ (1860 წ. ბოლო ვერსია - 1871 წ.).

¹³¹ იხ. ილია აბულაძის ლექსიკონი (აბულაძე, 1973: 96)

¹³² მწყაზარ სწორედ ამას ნიშნავს (აბულაძე, 1973: 312).

1902-1903 წლებში დაწერილ თავის „ავტობიოგრაფიაში“ ილია აღნიშნავს: „სწავლა 8 წლისამ დავიწყე ჩვენი სოფლისავე მთავართან - ქართული წერა-კითხვითა. მთავარმა ძალიან კარგად იცოდა ქართული და სახელი ჰქონდა განთქმული საღმრთო წიგნების კარგის მკითხველისა. ხოლო უმთავრესი ღირსება მისი ის იყო, რომ მომხიბვლელი თქმა იცოდა ამბებისა. გვიამბობდა მდაბიურად და ბავშვებისათვის ადვილად გასაგების ენით საღმრთო და სამშობლო ქვეყნის ისტორიის ამბებსა, ვის რა გმირობა მოემოქმედნა, ვის რა ფალავნობა გაეწია, ვის რა ღვაწლი და სიკეთე დაეთესა სამშობლოსა და სარწმუნოების სასარგებლოდ და დასაცველად. ბევრი ამ ამბავთაგანი ჩამრჩა გულში და ერთი მათ შორის - „დიმიტრი თავდადებული“ - თემად გამოვიყენე მრავალის წლის შემდეგ“ (ჭავჭავაძე, 1957: 308).

ქართველ მეფეზე პოემის დაწერის ფაქტი არც ივანე ჯავახიშვილს დაუტოვებია უკომენტაროდ: „ცნობილია, რომ მისი [ილიას] ისტორიული პოემის „დიმიტრი თავდადებულის“ დედააზრი და სულისკვეთება სწორედ ეს არის: ქართველი ერის უდანაშაულო ხალხის მონღოლთა ყაენისაგან განადგურებას დიმიტრიმ ხომ თავისი სიცოცხლის განწირვა არჩია“ (ჯავახიშვილი, 1987: 173). ამ კონკრეტული მეფის თავის შემოქმედებაში გადმოტანა ემსახურებოდა იმ ზოგად ხაზს, რისიც ილიას მტკიცედ სჯეროდა და არაერთხელ აღუნიშნავს: „დიდბუნებოვან კაცთა და სახელოვან გმირთა მაგალითებით ისტორია სწურთნის ერსა ... ერი თავის გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით უნდა ჰსულდგმულობდეს“ (ჭავჭავაძე, 1984: 611).

დიმიტრი მეორის გარეგნობასა და პიროვნულ თვისებებზე ილია ზუსტად ჟამთააღმწერლის პასაჟს მიჰყვება, ბოლოში კი ურთავს ერთგვარ შეჯამებას მხატვრული ჰიპერბოლით („ყველგან იმის სამეფოში თხა და მგელი ერთად სძოვდა“).

„ერთი მეფე თურმე ჰყვანდათ
უწინ ჩვენ მამა-პაპასა.
დიმიტრი ერქვა სახელად,
მხარ-ბეჭ-პრტყელი, ტანმაღალი
ჯირითში თუ შვილდ-ისარში
არვინ ჰყვანდა მას ბადალი.
კაცი იყო, მეფე-კაცი, თვალად, ტანად მშვენიერი,
გარეთ რისხვით მტრისა მსვრელი.
შინ მოწყალე, ღვთისნიერი.
ღამით თურმე ჩაიცვამდა უბრალო კაბა-ჯუბასა,
წავა და ინახულებდა საწყალის ხალხის უბანსა.
მოივლიდა ქვრივს და ოხერს,
დავრდომილსა და ობოლსა,
თავის ხელით ურიგებდა
მოწყალებას და საზრდოსა.
ვის რაც გულში დარდი ჰქონდა
წავა და იმას შესჩივლებდა,
გლახის, ობლის, ჩაგრულისას

სარჩლსა არ ითაკილებდა.

ყველგან იმის სამეფოში

თხა და მგელი ერთად სძოვდა,

ერი, ბერი, ობოლ-ქვრივი

სულ იმის დღეს ჰლოცულობდა (ჭავჭავაძე, 1984: 150-151).

ნათელია, რომ ასეთი გმირის ფილმში განსახიერება ადვილი არ იქნებოდა. რეჟისორმა, ერთი შეხედვით, საკმაოდ თამამი და უჩვეულო გადაწყვეტილება მიიღო. ლევან თუთბერიძე, რომელიც თავიდან ამ ფილმზე რეჟისორის ასისტენტად მუშაობდა, ყვება: „მთავარი გმირის როლზე რამდენიმე მსახიობი შეამოწმეს, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება რეჟისორს არ ჰქონდა მიღებული. მერე რაღაც გადალაპარაკებები დაიწყო მხატვართა ჯგუფში და ბოლოს ბუბას უთხრეს ჩემზე: „რაღას ეძებ, ესაა, ნამდვილი დიმიტრიაო“. სინჯების ნახვის მერე სტუდიის დირექტორმა, რეზო ჩხეიძემაც ჩემს კანდიდატურას დაუჭირა მხარი და ბუბამაც გადაწყვიტა გმირის არჩევის ამბავი. მე 20 წლის ვიყავი, სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტი და ჩემთვის ეს დიდი მოვლენა იყო“. ახალგაზრდა არაპროფესიონალი მსახიობი მართლაც შთამბეჭდავად გამოიყურება ეკრანზე.

დიმიტრის გარეგნობის აღწერის შემდეგ ჟამთააღმწერელი ძალიან საინტერესო ფაქტს აღნიშნავს. თურმე დიმიტრის ასეთი რამ სჩვევია; ღამით აიღებდა საფასეს, ანუ განძეულს და მოივლიდა ქალაქს, რათა მოენახულებინა გლახაკები, დავრდომილები და ობლები, და თავისი ხელით აძლევდა დახმარებას (რაც ილიასაც აქვს აღნიშნული). მისი მოწყალების ამბავი ყველას სცოდნია, ამიტომ ღარიბები თურმე ცდილობდნენ ისეთ თავშეყრის ადგილზე მისულიყვნენ ღამ-ღამობით, სადაც მეფეს სჩვეოდა მისვლა. მეფე ასევე გამოირჩეოდა მარხვით, ღამით ლოცვითა და მეტანიებით: თურმე ათას ხუთასი მეტანიას აკეთებდა (დაკონკრეტებული არ არის, მაგრამ სავარაუდოდ ერთ ღამეში „ათას ხუთასი მუკლი მოაგდის მდაბლად მიწასა ზედა“ (ქართლის ცხოვრება, 1959, გვ. 272. 3-4). ისნის სასახლეში სწორედ მას აუშენებია მეტეხის მონასტერი ღვთისმშობლის სახელზე, და შეუწირავს სოფლები და ზვრები, ხოლო მონაზვნებისთვის დაუწესებია საკვების და შესამოსლის შესაძენი თანხა. მასვე გაუთავისუფლებია გარეჯის 12 უდაბნონი და უშუალოდ მეფის ხელისუფლებისთვის დაუქვემდებარებია.

ფილმში არ არის აქცენტი ამ რეალურ ფაქტზე - დიმიტრის მიერ ღარიბების დახმარებაზე. ტაძრების მშენებლობასა და დიმიტრის ეკლესიასთან დამოკიდებულებაზე არის მხოლოდ ერთი სცენა, სადაც ამბობენ, რომ მეფემ ტაძარს შესწირა დიდი ფული. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ აქცენტის გაკეთება დიმიტრის მორწმუნეობაზე საბჭოთა ცენზურისთვის დიდად მისაღები არ იქნებოდა.

ასევე, პოემაში გვერდს უვლის და ერთ-ერთი, რასაც ილია საერთოდ არ ახსენებს, მეფის სამი ცოლის ამბავია. ეს ფაქტი მთავარი მიზეზი იყო დიმიტრის კონფლიქტისა კათოლიკოს ნიკოლოზთან. მემატანიისთვის ეს იყო დიმიტრისთან მიმართებაში ყველაზე მძიმე ცოდვა, რასაც ის ძალიან განიცდიდა (სამი ცოლის ამბავს და ნიკოლოზ კათოლიკოსის პროტესტს ამასთან დაკავშირებით რამდენჯერმე ახსენებს). წყაროს მიხედვით, კათოლიკოსი

ნიკოლოზ III (დაახლ. 1250-1282) რადგან ვერაფერს გახდა, გადადგა და საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის ტახტი აბრაჰამს დაუთმო (კათოლიკოს პატრიარქები, 2000: 59-62). ილია არც კათოლიკოს ნიკოლოზს და არც მის მემკვიდრე, აბრაჰამს (დაახლ. 1282-1310; დეტალები ორივეზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, 2000: 59-64) სახელობითად არც კი ახსენებს. „მღვდელ-მთავარი“ - ასეთი ზოგადი ეპითეტით იხსენიებს დიმიტრის თანამედროვე კათოლიკოსს. სავარაუდოდ, რადგან ილიამ თავი აარიდა მეფესა და ეკლესიას შორის არსებულ უთანხმოებას, მიიჩნია, რომ არც ეკლესიის საჭეთმპყრობლის სახელი უნდა მოეხსენიებინა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ დიმიტრის მმართველობის დასაწყისში კათოლიკოსი სხვა პიროვნებაა (ნიკოლოზ III), ხოლო მისი წამებისას - სხვა (აბრაჰამი). შესაბამისად, რადგან არ უნდოდა კათოლიკოსის ცვლილების ამბავი და მიზეზები თუნდაც გაკვრით მოეხსენიებინა, საერთოდ თავი აარიდა მისი სახელის დაკონკრეტებას.

ფილმში - პირიქით, გამოყოფილია კათოლიკოსი ნიკოლოზ III და მისი მეფესთან დაპირისპირების ხაზი. ის განიცდის დიმიტრის 3 ცოლის ამბავს. ავტორის ვერსიით, აქ ახალგაზრდა მეფისთვის მეორე ცოლის მიგვრის იდეა ბუღა ნოინს (განასახიერებს მსახიობი გურამ საღარაძე) ეკუთვნის: „მტრის დასამარცხებლად, მისი გადაგვარება უნდა მოახერხო. მაგათი ძალა წინაპართა ადათ-წესებშია. ამის მონგრევაა საჭირო“ - ამბობს იგი. მისი მითითებით მიჰგვრიან დიმიტრის მეორე ცოლს. კათოლიკოსი უპირისპირდება მეფეს: „ერი დაღუპვის გზაზე დგას, ქრისტე ღმერთი არავის ახსოვს. რატომ დაღუპე ამდენი სული. ამათ უნათესავდები, ამათ შესწირე ღმერთი, სული? სატანას სული არ უნდა მიჰყიდოს მეფემ“ - ეუბნება ის და როცა ვერაფერს გახდება, გადადგება. ამასთან, იმასაც ხვდება, რომ არაფერი ესმის. „ისე გაკურთხოს, როგორც ღირსი იყო, მეფობა რჩეულთა საქმეა და არა ყოველთაო“ - ეუბნება დიმიტრის და მიდის უდაბნოში მონძებით შემოსილ მოხეტიალე ბერად.

პოემაში ილია დიდ ადგილს უთმობს ორ ისტორიულ ფაქტს: ცნობილ კრებას, სადაც სამღვდელოებასთან და დიდებულებთან ერთად უნდა გადაწყვეტილიყო: გაიხიზნებოდა დიმიტრი მთიულეთში თუ წავიდოდა ურდოში და მისი წამების სცენას.

რაც შეეხება კრებას, ჟამთააღმწერლის მიხედვით, ის თვითონ დიმიტრის მოიწვია, როცა ყაენმა ელჩის მეშვეობით ის ურდოში გამოიძახა. მეფემ დაიბარა კათოლიკოსი აბრაჰამი, ეპისკოპოსები, გარეჯის უდაბნოს მონასტრების მღვდელ-მონაზვნები და სამეფოს ყველა მთავარი. მათ მიმართა შთამბეჭდავი სიტყვით და აღნიშნა, რომ სავარაუდოდ ურდოში მოკლავენ („ვგონებ ბოროტისა ყოფასა ჩემთვს“ ქართლის ცხოვრება, 1959, გვ. 287.18). იმ შემთხვევაში თუ არ წავიდოდა, თავს დაიცავდა, მაგრამ ქვეყანა აოხრდებოდა; და თუ წავიდოდა, მოკლავდნენ და ქვეყანა უპატრონოდ დარჩებოდა. ამიტომ სურდა მოესმინა მათი აზრი. თუმცა, იქვე თავის აზრი გამოთქვა, საიდანაც ჩანს, რომ გადაწყვეტილება მიღებული ჰქონდა და არც კი ჭოჭმანობდა: „რა სარგებელ არს ცხოვრება ჩემი, უკუეთუ ჩემთვს მრავალი სული მოკუდეს“ (ქართლის ცხოვრება, 1959, გვ. 287.26). ყველას ძალიან გაუკვირდა მისი ეს გადაწყვეტილება და სიმტკიცე, თუმცა, უთხრეს, რომ არ იყო საჭირო თავგანწირვა და ყველა ერთგულად და მტკიცედ იქნებოდა მის გვერდით. ამაზე დიმიტრი პასუხობს, რომ ეცოდება

უბრალო ადამიანები („მეწყალვის უბრალო ერი“) და „მე დავსდებ სულსა ჩემსა ერისათვის ჩემისა, და არ დავიშლი ურდოს წასვლასა“ (გვ. 288.12-13). ამაზე კათოლიკოსმა უპასუხა, რომ ასეთ შემთხვევაში ისინი (ანუ ეპისკოპოსები) აიღებენ მის ცოდვებს¹³³, რათა ის „მოწამეთა თანა შერაცხილ იქმნეს“. ურდოში დიმიტრიმ წაიღო დიდი განძეულობა და თვით კათოლიკოსი აბრაჰამი წაჰყვა (გვ. 288.21-23).

ილიას პოემაში ამ კრებასა და მეფის დიალოგს ერთი მხრივ, დიდებულებთან და მეორე მხრივ, საეკლესიო დასთან - ეთმობა თავები 6-12. ჟამთააღმწერლის პათოსი მთლიანად გაზიარებულია და უშუალოდ დიმიტრის არგუმენტებია უფრო ვრცლად, მწერლის ფანტაზიით წარმოდგენილი. რამდენიმე მაგალითი ამის თვალსაჩინო დასტურია: „ბოლოს ბრძანა: - „ეს ქვეყანა ღვთისაგან მაქვს მონაბარი... მე დავრჩე და იგი წახდეს, მითხარით რა მადლი არი!“ (ჭავჭავაძე, 1984: 155). თუ მტერი ათჯერ მეტი იქნება, ქართველი შეძლებს მის მოგერიებას, მაგრამ ასჯერ მეტს, მართალია, არ შეუშინდება, „მაგრამ ბოლოს სიმრავლე გვძლევს, ხალხი ურგოდ გამიწყდება“. „ფუ, იმ მწყემსსა, თავს უშველოს, მგელს დაუგდოს თავის ცხვარი“ (გვ. 156). ამის შემდეგ დიმიტრი საგანგებოდ მიმართავს მღვდელმთავარს, ანუ კათოლიკოსს და ამ მონაკვეთში მისი პასუხი განსხვავებულია იმ პოზიციისგან, რაც ჟამთააღმწერელთან ფიქსირდება. პოემის კათოლიკოსი ადასტურებს, რომ დიმიტრის გადაწყვეტილება სწორია:

„მეფევ, უნდა თავი დასდო
ერისა და ქვეყნისათვის,
ღმერთს შესცოდავს, ვინც გამკიცხავს
მე ამ მწარე რჩევისათვის. . .
ვსტირ და გირჩევ თავგანწირვას,
რაკი რომ ეს დღე გვეწია,
მოყვასათვის თავდადება
ქრისტე ღმერთის ანდერძია.
ვსტირ და გირჩევ ღვთის სახელით
ხორცი დასთმო სულისათვის,
უკვდავება არ დაჰკარგო
წუთის -სოფლის გულისათვის!“ (გვ. 157).

ფილმში საერთოდ არაა კრების მოწვევის ამბავი, სადაც დიმიტრიმ აზრი ჰკითხა ყველას, როგორ მოქცულიყო - წასულიყო თუ არა ურდოში.

ფილმის პერსონაჟები რეალური, ისტორიული ადამიანები არიან, თუმცა, მათ გვერდით შემოყვანილია ავტორის მიერ გამოგონილი პერსონაჟებიც, რომლებიც, ალბათ, არსებობდნენ მეფის გარშემო. ამ გმირებისგან გამორჩეული და განსაკუთრებულია პერსონაჟი, რომელსაც მსახიობი გუჯა ბურდული ასახიერებს - ადამიანი, რომელიც საკუთარ თავს დავით აღმაშენებელს უწოდებს. ეს პერსონაჟი თითქოს სულიერად დაავადებულია, მაგრამ სრულიად

¹³³ ამ მონაკვეთში არავითარი მინიშნება არ არის ჟამთააღმწერლის ტექსტში, მაგრამ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დიმიტრის მრავალცოლიანობა იგულისხმება.

შესისხლხორცეული აქვს დიდი დავითის პიროვნება და დიმიტრიც, როგორც დავითს, ისე ესაუბრება, რჩევას ეკითხება, ზოგჯერ ეჩხუბება კიდევ. თითქოს თავის ნაბიჯებს დიდ წინაპარს უთანხმებს, მასთან ამოწმებს (თუმცა, „დავითიც“ კი არ ურჩევს მეფეს ურდოში ჩასვლას).

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ჟამთააღმწერელი საკმაოდ ძუნწად აღწერს დიმიტრის სიკვდილის სცენას. ყაენის 12 მხედარი მოიწვიეს მეფის სიკვდილით დასჯის აღსასრულებლად. იქვე იყვნენ საქართველოს მთავრები მის მხარდასაჭერად, რომლებიც დიმიტრი „მხიარულითა პირითა მოიკითხვდა“ (გვ. 290. 19). მთავრები ტირიან და გარეთ გადიან (გვ. 291. 4). ამის მერე დიმიტრი ილოცა და ეზიარა. შემდეგ შესვეს ცხენზე და წაივანეს სიკვდილის აღსრულების ადგილზე. აქ მან მტარვალებს სთხოვა, რომ უშუალოდ სიკვდილამდე კიდევ ელოცა და „ილოცვიდა ცრემლთა მოდინებით ქუეყანასა ზედა“ და მერე მოიხარა ქედი. „აჰა, დღე საშინელი და ზარის აღსაჯდელი, რომელი იკადრეს ბილწთა ცხებულსა ზედა ღმრთისასა. და წარკუეთეს მეფესა დიმიტრის თავი“ (ქართლის ცხოვრება, 1959, გვ. 292. 7-9). შემდეგ დაბნელებულა, და იქ მყოფებსაც გაჰკვირვებიათ, რადგან დილის ათი საათი იყო. ეს მოხდა დიდმარხვის მესამე შაბათს, მარტის თვეში.

დიმიტრის ურდოში ყოფნის და წამების მონაკვეთი ვრცელი არც ილიას პოემაშია (თავი 25-28). ყაენმა დიმიტრის ჯერ თავისი შეცოდებების შენანება მოსთხოვა, თუმცა, სანაცვლოდ არაფერს დაჰპირებია; მტკიცედ განუცხადა, რომ გადაწყვეტილების შეცვლას არც აპირებდა. ამაზე დიმიტრი უპასუხა, რომ შესანანებელი არაფერი ჰქონდა. გარდა ამისა, მისი შენანება ბევრს ვერაფერს შეცვლიდა („სვავს ვინ ჰკითხავს, სისხლს რადა ჰსვამ, სვავო რადა ხარ სვავიო?“ (გვ. 169). ამ მცირე დიალოგის შემდეგ ის დილეგში ჩააგდეს. ყაენმა დიმიტრის სასჯელის აღსრულება დაუგვიანა. ილია არ აკონკრეტებს, რამდენი ხანი დაყო მან დატყვევებულმა, მაგრამ აღნიშნავს, რომ ეს დღეები მას სასტიკად სცემდნენ და აწამებდნენ. ერთ-ერთი ასეთი წამების შემდეგ დიმიტრი ილოცა და ღმერთს სთხოვა თავისი დაღვრილი სისხლის სანაცვლოდ სხვები შეიწყალოს („მე არა გთხოვ, - მანდ წამება აქ წამებით შემომცერო, მე გთხოვ, -სისხლი აქ დაღვრილი ჩემი სხვისთვის შეიწირო“ (გვ. 170). ამ დროს მასთან საკანში ორი ქართველი დიდებული შევიდა, რომელთაც მოუხერხებიათ მცველების მოსყიდვა და მეფეს გაქცევა შესთავაზეს, რაზეც მეფემ სასტიკი უარი განაცხადა. მეორე დილით გაიყვანეს დიმიტრი თავის მოსაკვეთად. ბევრი ხალხი შეგროვილიყო. მან მიმოავლო თვალი გარშემო მყოფებს. ქვითინიც შემოესმა და დაინახა თავისი დიდებულები, იქვე იყო მღვდელმთავარიც. მათ დანახვაზე დიმიტრის ყველაფერი წარმოუდგა და თითქოს მოენატრა (სახლი, კარი, თავისი ქვეყანა) და რადგან არ უნდოდა სისუსტეს ეძლია, ჯალათს შესძახა დროზე აღსრულებინა ბრძანება და კისერი გაუწვდინა. ჯალათმა ერთი დაკვრით მოჰკვეთა თავი („დასცა და ერთის დაკვრითა თავი ტანსა მოაშორა“, გვ. 173).

ფილმში წამების სცენა არ იმეორებს ჟამთააღმწერელის აღწერილ სცენას. ის თავისუფალი ინტერპრეტაცია უფროა. მოქმედება ღამე, სადღაც ტყის პირას მიმდინარეობს. ურდოში მისულ დიმიტრის ცხენიდან ჩამოათრევენ და სასტიკად გაშოლტავენ. მასთან მიდის არღუნ ნოინი (მეფის სიმამრი), რომელიც ეუბნება, რომ მეფემ მათ უღალატა, რადგან ხარკს

სანახევროდ აძლევდა, თუმცა, მისი რჯულის ტაძრებს აშენებდა, აღწერის დროს კი ხალხს მალავდა. ამის მიუხედავად, ნოინი ათავისუფლებს დიმიტრის გარკვეული მოთხოვნების სანაცვლოდ: „შირაქზე ჩემიანებს დაასახლებ, გადამალულ სოფლებს აღწერ, ხარკს მთლიანად დაგვიბრუნებ, ტაძრების მშენებლობას შეწყვეტ, ყველას, ვინც ჩვენ გვეურჩება, დაუნდობლად მოსპობ - ეს იქნება შენი სიცოცხლის საფასური. წადი და იმეფე“. მეფე არსად მიდის და მის წამებას იწყებენ. ნოინს, რომელსაც არ უნდა დიმიტრის წამება და სიკვდილი, ჯერ ბრძანებით, მერე ბრახით, ბოლოს კი თხოვნით მიმართავს მას, რომ დათანხმდეს მოთხოვნებს - არ ვარ შენი მტერი, შენთვის სიკეთე მინდაო - მაგრამ დიმიტრის არჩევანი უკვე გაკეთებული აქვს. თავის მოკვეთის წინ იგი ილოცებს და აღესრულება.

შესაძლოა, ეს სცენა ისტორიული სიზუსტით არ გამოირჩეოდეს, მაგრამ არსით იგივეა და სწორედ იმ ამბის მხატვრული ასახვაა.

წარსულის გაცოცხლება ილიასთვის აწმყოს და მომავლის თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი. ილია დიდებულ წარსულს უბადრუკ აწმყოს უპირისპირებს, ეს ნაცადი ხერხია, რომელსაც ის არაერთხელ მიმართავს თანამედროვეთა მთვლემარე ღირსების გრძნობის გამოსაფხიზლებლად (მინაშვილი, 1986: 152).

თუ შევადარებთ რეალურ, ანუ ისტორიულ დიმიტრის ილიას მხატვრულ სახეს, მთლიანობაში მათ შორის არ არის არავითარი სხვაობა. პოეტი მიჰყვება ჟამთააღმწერლის ტექსტს და ძირითადად ორ მონაკვეთს განავრცობს მხატვრულად. ერთადერთი, რასაც ამატებს, ეს არის ცნობილი კრების მერე დიალოგი უბრალო ხალხსა და მეფეს შორის, სადაც გამოხატულია მათი დამოკიდებულება დიმიტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილებისადმი. ამ სცენით ილია ავსებს იმ ზოგად სიცარიელეს, რაც „ქართლის ცხოვრების“ უკლებლივ ყველა ტექსტში არსებობს: უბრალო ხალხის არარსებობა და სრული იგნორირება.

პოემაში სამჯერაა შედარებული დიმიტრის სიკვდილი მაცხოვრის ჯვარცმასთან: კრებაზე, სადაც დიდებულნი და საეკლესიო პირნი შეიკრიბნენ, უბრალო ხალხთან/მოხუცთან საუბრისას და ურდოს საპყრობილეში ლოცვისას (იხილე შესაბამისი მონაკვეთები პოემაში გვ. 157-158, 164, 170).

დიმიტრის, როგორც ისტორიული ფიგურის და მისი პიროვნული გმირობის შეფასება შეუძლებელია ვინმემ ივანე ჯავახიშვილზე უკეთ შეძლოს: „განა მასაც არ შეეძლო თავისი სიცოცხლის გადასარჩენად ისე მოქცეულიყო, როგორც მას დარბაისელნი ურჩევდნენ, და ერანის მრისხანე ყაენთან წასვლის მაგიერ მართლაც მთიულეთში შეხიზნულიყო? .. დემეტრე მეორემ კი თავისი სიცოცხლის გადასარჩენად ქართველი ერის უკიდურეს განსაცდელში ჩაგდება არ მოისურვა და ამით უცილობელი განადგურება თავიდან ააშორა. ამიტომაც არის, რომ საქართველოში იმავე ხანაში დემეტრე მეორეს თავდადებულის სახელი მიეკუთვნა. ისტორიამაც ხალხის ამ მსჯავრს თავისი დასტური მისცა და ერთადერთ მეფეს საქართველოში „თავდადებულის“ წოდებულობა შეუნარჩუნა“ (ჯავახიშვილი, 1982: 119). სწორედ ამ მომენტის გასამძაფრებლად ილიამ, როგორც პოეტმა, დიმიტრის თავის გადარჩენის მეორე შანსიც მისცა ურდოს საპყრობილეში შეღწეული ორი დიდებულის საშუალებით, მაგრამ ასეთ რთულ მომენტშიც დიმიტრიმ თავის თავდაპირველ გადაწყვეტილებას არ უღალატა.

ილიას გზავნილი თავისი თანამედროვეებისა და შთამომავლობისადმი, რაც მან ამ პოემაში და ამ პოემით გააჟღერა, არის ერთმნიშვნელოვანი და ცალსახა. იმისთვის, რომ ქვეყანა გადარჩეს, საჭიროა მის სასარგებლოდ პირადი დათმობა და ქვეყნის ინტერესებს ანაცვალო. თვითონ ილიას ცხოვრებაც და აღსასრულიც ამის უტყუარი დასტურია.

ლევან თუთბერიძე იხსენებს: „ბუბა სულ მეუბნებოდა, ნუ თამაშობ მეფეს, უბრალოდ იყავი ისეთი, როგორც ხარ, ბუნებრივად მოიქეცი. დიმიტრი მეორე 29 წლის იყო, როცა აღესრულა და ახალგაზრდა კაცი მინდა ჩანდეს ეკრანზეო. უნდოდა, ისე მოვქცეულიყავი, არ მეფიქრა, რომ ვთამაშობ მეფეს, წმინდანს“. ასეთი მიდგომა მართლაც საინტერესოა. არაპროფესიონალი მსახიობი სრულიად ბუნებრივად იქცევა, ყოველგვარი პათოსის გარეშე, ისე, როგორც მისი თანამედროვე ახალგაზრდა მოიქცეოდა და ასეთი მეფე უფრო ახლობელი და გასაგები ხდება მაყურებლისთვის. დღესაც, როდესაც უყურებ ფილმს, შთაბეჭდილება გრჩება, რომ ასეთი ახალგაზრდა ვაჟები შენ გვერდით არიან და ხშირად მათ მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებაც კი შეიძლება გქონდეს. მთელი ფილმის განმავლობაში ხედავ, როგორ სწირავს მთავარი გმირი ადამიანებს, რომლებიც განსაკუთრებულად უყვარს: საკუთარ დას, შვილს, მასთან დამეგობრებულ ხალხს, უდანაშაულო და უმანკო გოგონას, საკუთარ სახელს, ზნეობრივ კანონებს, ღვთიურ კანონებსაც კი და ეს ყველაფერი იმიტომ, რომ სასწორის მეორე მხარეს დევს სამშობლო და მეფის მოვალეობა. მთელი ფილმის განმავლობაში მას ლანძღავენ, წყევლიან, არ ენდობიან, დასცინიან კიდევ და არც მოითხოვენ (და არც ელიან) მისგან თავდადებას.

უნდა ითქვას, რომ ბუბა ხოტივარის მიერ დაწერილი სცენარი არაჩვეულებრივი დიალოგებით, დეტალებით, ამბის განვითარებით ხიბლავს მაყურებელს. სწორხაზოვნად არაფერია ნაჩვენები. ყველაფერს თავისი მიზეზი და შედეგი აქვს: დიმიტრიმ მეწინავეობა ითხოვა მონღოლთა ომში და 5000 ქართველი მეზრძოლი შესწირა ერთი ციხის აღებას. სამაგიეროდ, მოსახლეობის აღწერისას მონღოლები მკაცრად აღარ აკონტროლებდნენ და 20 სოფელი ერთ მხარეს გადამალა, 17 სოფელი - მეორე მხარეს, ისედაც გაპარტახებული დასახლებებისთვის ხარკი რომ არ დაედოთ; როცა არღუნ ნოინმა (გივი ჩუგუაშვილი) 20 სოფლის გადამალვის ამბავი მაინც გაიგო, ყაენისთვის რომ არ ეთქვა და ხალხი არ ამოეწყვიტათ, დიმიტრიმ ნოინის მოთხოვნით, მისი ქალიშვილი მოიყვანა მეორე ცოლად, თუმცა, თავისი პირველი ცოლი ყველას ერჩივნა; დაუსახლებელ ადგილებზე 40 ათასი მონღოლის ჩასახლება რომ შეეჩერებინა, საკუთარი 10 წლის ქალიშვილი მისცა ცოლად ბუღა ნოინის ვაჟს; როცა ბექა ჯაყელი განუდგა და ბერძნებს და არაბებს მიემხრო - „შენს მეფობას აღარ ვცნობ, მესხეთს ცალკე სახელმწიფოდ ვაცხადებ, ჩემ წილ საქართველოს ვერ გადავაგვარებო“. ორი არჩევანი ჰქონდა: ან თვითონვე უნდა ჩაეხშო სისხლში ამბოხი ძმათამკვლელი ბრძოლით ან თათრები შემოვიდოდნენ და მთელ ქვეყანაში ქვას ქვაზე არ დატოვებდნენ. დიმიტრიმ გამოსავალი იპოვა, თუმცა, დიდი ცოდვა დაიდო თავზე - ბექა ჯაყელის 14 წლის ქალიშვილი, ნათელა მოატაცებინა, ძალით დაეუფლა და მამამისს შეუთვალა - სიძე გეახლა და გამოდიო. ჯაყელი დამორჩილდა, დიმიტრის მესამე ცოლი კი დაინვალიდა და ისე გააჩინა ვაჟი, გონს არც მოსულა. ეს ვაჟი ისტორიაში გიორგი ბრწყინვალის სახელით დარჩა.

ფილმში კარგადაა ნაჩვენები, რომ ის, რაც არ მისწონს სამღვდელეობას, ხალხს, არც დიმიტრის მოსწონს, მაგრამ სხვა გზა ვერ მოუწახავს. როცა მისი ნაცნობი ხევისბერი უარს იტყვის გადასახლებაზე, იქვე მოაკვლევინებს მას, სოფელს გადააწვევინებს და ხალხს ძალით გარეკავს იმ ადგილებისკენ, სადაც თათრები უნდა ჩასახლონ თუ ცარიელი დახვდებათ.

კარგი სცენაა, როდესაც დიმიტრი სისუსტეს გამოიჩენს და გაიქცევა მიუვალ მონასტერში ბერად აღსაკვეცად. მისი აღმზრდელი, ტარსაიჭ ორბელი (ოთარ კობერიძე) როგორც პატარა ბავშვს, ისე წამოიყვანს - „ჯაბანო, წამოდი... 5 წლის ხარკი არ გადაგვიხდია... ყენი კალიასავით შემოგვასევს თათრებს, წამოდი“ - ეუბნება მას, ბერის სამოსს შემოახვეს და მეფეც შეჯდება ცხენზე და მიჰყვება მხლებლებს. ასევე უნდა გამოვყოთ ჭაობში მცხოვრები ადამიანის შემოყვანის სცენა, რომელზეც ამბობენ, რომ კეთროვანია და იქედან გაყვრის თავის აზრს. ის აღიქმება, როგორც ალტერნატიული აზრი, სინდისის ხმა, რომელიც ზოგჯერ უნდა ჩაახშოს კიდევ მეფემ.

მართალია, ილია არც დიმიტრის დედას ახსენებს, მაგრამ რადგან ფილმში მას გარკვეული ყურადღება ეთმობა, მიზანშეწონილად მივიჩნევთ, რომ გვანცაზე გარკვეული ისტორიული ცნობები მიმოვიხილოთ და შემდეგ ფილმში არსებულ სახეს შევადაროთ. გვანცა, დიმიტრის დედა, მეფე დავით VII ულუს მეუღლე, რაჭის ერისთავის, კახაბერის ასული და ავაგ ათაბაგის ქვრივი იყო. ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ როცა ავაგი გარდაიცვალა, მეფე მივიდა მისასამძიმრებლად ბიჯნისის ციხეში და იქ ნახა მისი ქვრივი გვანცა (წყაროში ყველგან გუანცად იხსენიება), „ქმნულ-კეთილი, ეტრფიალა, და შემდგომად მცირედისა მიიყვანა იგი ცოლად და დედოფლად, და წარმოიყვანა სამეფოდ თვსად“ (ქართლის ცხოვრება, 1959, გვ. 237.11-14.). ავაგს და გვანცას ასული ჰყავდათ, სახელად ხუამაქი, რომელიც დედამისის მეორედ გათხოვების შემდეგ დავითმა ბიჯნისში დატოვა და ზედამხედველად (მეურვედ) სადუნ მანკაბერდელი დაუნიშნა.

1260 წელს დავით ულუ განუდგა მონღოლებს და მორჩილებაზე უარი განაცხადა. მან ჰულაგუ ყენისგან მიიღო წერილი, რომლის თანახმადაც ქართული ჯარით ერანის ილხანების ლაშქრობაში ეგვიპტის სულთნის წინააღმდეგ უნდა მიეღო მონაწილეობა, რაზეც უარი თქვა. მეფე სანამ თბილისიდან გაემგზავრებოდა, გვანცა თავის მცირეწლოვან ვაჟთან ერთად ბიჯნისის ციხეში შეაფარა (ქართლის ცხოვრება, 1959, გვ. 239.19; ჯავახიშვილი, 1982: 69). თუმცა, მონღოლებმა მაინც შეძლეს მათი დატყვევება და ურდოში გაგზავნა. იქ ნოინის ერთ-ერთ ცოლს, რომელიც უშვილო ყოფილა, ისინი თავისთან შეუფარებია. აუყვანია თუ არა მას ყრმა დიმიტრი ჩასახუტებლად, მალევე დაფეხმძიმებულა და უფლისწული უშვია. ამიტომ ის თურმე კარგად ეპყრობოდა გვანცას და მცირეწლოვან დიმიტრის (ქართლის ცხოვრება, 1959, გვ. 243-244).

ერთი წლის შემდეგ არღუნ ნოინი სამცხეს შეესია, მაგრამ მთავარი ჰუნქტის, ციხისჯვრის აღება ვერ შეძლო, ამიტომ ჯავრი ტყვეებზე იყარა. გვანცა დედოფალი და ზაქარია ამირსპასალრი, სარგის ჯაყელის სიძე, რომელიც მეფეს აქტიურად უჭერდა მხარს, სიკვდილით დასაჯეს დაახლ. 1262 წელს. ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს: „ხოლო გუანცა

დედოფალი, ავაგის ცოლ-ყოფილი¹³⁴, მოკლულ იქმნა თათართა შინა მყოფი“ და იქვე დასძენს, რომ თურმე ხმები დადიოდა („რომელსა იტყვიან“), რომ გვანცა თავისი შვილის ხუაშაგის¹³⁵ განზრახვით მოუკლავთ. ხუაშაგი ამ დროს საჰიბ დივანის ცოლი ყოფილა (ქართლის ცხოვრება, 1959, გვ. 259.25-260.3). საჰიბ დივანს აბაღა-ხანის (1265-1282) დიდი ვეზირის თანამდებობა ეჭირა და შესაბამისად, მის ცოლსაც მნიშვნელოვანი გავლენები ექნებოდა ურდოში, მაგრამ საკუთარი დედის მოკვლევილება მას რატომ მოუხდა ან რას შესძენდა - მნელი სათქმელია.

გვანცას მკვლელობა იყო მონღოლების შურისძიება თავისი ქმრის, დავით ულუს აჯანყების გამო. ამ დროს დემეტრე სამი წლისაც არ იყო. ამ ამბებიდან ერთი წლის შემდეგ დავით VII-ემ მონღოლი უფლისწული ესუქნი შეირთო ცოლად (ჯავახიშვილი, 1982: 52).

ფილმის მიხედვით დიმიტრემ არ იცის გვანცა დედოფლის ურდოში წამებით მოკვლის ამბავი და რომ გაიგებს, ეს კიდევ ერთი ბიძგი ხდება მისი თავგანწირვისთვის.

ფილმის სიუჟეტი გვაგონებს ქართულ ხალხურ ზღაპარს ჩიტი ჩიორას შესახებ, რომელიც რიგ-რიგობით უგდებს მელიას თავის ბარტყებს იმისთვის, რომ გადაარჩინოს ჯერ ბუდე და ბოლოს, ხე. ხე სამშობლოა, ყველაზე დიდი ღირებულება. დიმიტრის შემთხვევაში, მან ყველაფერი „გადაადო“, რაც კი ძვირფასი ჰქონდა და ჰყავდა და ბოლოს თვითონაც „გადაეშვა“.

დღეს, შესაძლოა, ეს ფილმი ფორმის მიხედვით ცოტა მოძველდა, მაგრამ არა შინაარსით. ამ ფილმის სცენარი დღესაც საინტერესო, აქტუალური და თანამედროვეა. მაყურებელს/ მსმენელს/ მკითხველს ახლაც სჭირდება ხელოვნების ნაწარმოებები, რომლებიც ისტორიული მოვლენების, ადამიანების, მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის დროსთან მიმართებით გააზრებაში დაეხმარებიან. გზავნილები, რომლებიც ამგვარი ლიტერატურული თუ კინემატოგრაფიული ნაწარმოებებისგან მოდის, მნიშვნელოვანია ისტორიის რეინტეგრაციის, მისი საზოგადოებაში გავრცელებისა და პოპულარიზაციისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა და ბიბლიოგრაფია:

აბულაძე, ი. (1973). ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები). თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“.

მინაშვილი, ლ. (1986). ილია ჭავჭავაძე, რედ. ნინო დათიაშვილი, თბილისი. გამომცემლობა „ნაკადული“.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები (2000). თბილისი. გამომცემლობა „ნეკერი“

საქართველოს მეფეები (2000). თბილისი. გამომცემლობა „ნეკერი“.

ქართლის ცხოვრება (1959). ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. 2. თბილისი. „საბჭოთა საქართველო“.

¹³⁴ ჟამთააღმწერელი გვანცას, როგორც წესი, სულ ასე იხსენიებს: ავაგის ცოლ-ყოფილი.

¹³⁵ წყარო მას ხან ხუაშაქად მოიხსენიებს, ხანაც - ხუაშაგად.

ქართული მწერლობა (1984). ლექსიკონი-ცნობარი. წიგნი 1. თბილისი. გამომცემლობა „განათლება“.

ჭავჭავაძე, ი. (1984). ერი და ისტორია. თხზულებანი. თბილისი. „საბჭოთა საქართველო“.

ჭავჭავაძე, ი. (1984). მეფე დიმიტრი თავდადებული. თხზულებანი. თბილისი. „საბჭოთა საქართველო“.

ჭავჭავაძე, ი. (1957). ავტობიოგრაფია. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქტორობით. ტ. 9. თბილისი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი

ჯავახიშვილი, ი. (1987). ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია. კრებულში: მოგონებები გარდასულ დღეთა - ილია, შემდგენლები: გურამ გვერდწითელი, სარგის ცაიშვილი. თბილისი. გამომცემლობა „მერანი“.

ჯავახიშვილი, ი. (1982). თხზულებანი თორმეტ ტომად ტომი III. თბილისი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბიოგრაფიული ლექსიკონი;
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბიოგრაფიული ლექსიკონი;
ქველი ჩხატარაიშვილი. <http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00016547>

Ketevan Pataraiia
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Eka Tchikoidze
Iliia State University

Georgian king as a protagonist: Demetrius II the Self-Sacrificer in history, literature and cinematography

Summary

King Demetrius/ Dimitri II the Self-Sacrificer (1270-1289) is the only one in Georgian history to whom Iliia Chachavadze dedicated one of his 5 poems (1878). In addition, he is the only Georgian king who became a protagonist of the movies entitled “Dimitri II” (screenwriter and director Buba Khotivari; starring Levan Turberidze as the king, advisor a historian Kveli Chkhataraiashvili). The film was shot in 1982.

In our paper we intend to define how Demetrius II is represented and which historical facts are used on the one hand, in the poem by Iliia Chavchavadze, and in the movies, on the other; what is real and what is fictional. Additionally, an emphasis is given on the screenplay and its historical background.

It is a first attempt to analyze historical sources, literary text and the film in conjunction with each other. In the paper their common points as a whole are singled out. For this purpose all available material concerning the film's creation were searched and elaborated: the screenwriter and director's choice in relation with the situation of the 1980s in Georgia, estimations and reception of the film, experience of the leading actor and his emotional approach to this specific role, censorship and its role in the screening of historical themes. Besides this material, extracts from the interview taken for the paper with the leading actor, Levan Tutberidze are presented and analyzed as well.

This research helps to study literary work's and film's influence on the modern society and how it understands the historical reality, facts and figures. It is clear that literature and film industry can be very effective in reinterpretation and reconstruction the history and in its promotion and popularization among the masses. The paper deals with the film's ideological messages and how they were in tune with the soviet regime's propaganda and needs, as well as with their modern context and usefulness.

მაია არჩვაძე
საქართველოს შოთა რუსთაველის
თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა ქართულ დოკუმენტურ კინოში

რეჟისორის ორიენტაციათა ღირებულების გადამწყვეტ კრიტერიუმს, რომელიც განსაზღვრავს მის სიღრმეს, წარმოადგენს ის, თუ რის გამო იღებს ფილმს და სრულებითაც არ არის არსებითი როგორ და რა მეთოდით.

ქართულ კინოში ალექსანდრე ჟღენტი ერთადერთი რეჟისორია, რომელმაც თავისი ცხოვრება და შემოქმედება ეროვნული დამოუკიდებლობის იდეას მიუძღვნა.

ალექსანდრე ჟღენტის პენტალოგიის "ქართული ფეხბურთი 110 წლისა" პირველი ფილმი - "სტადიონი" თბილისის სტადიონის ისტორია, ეს არის თბილისის ისტორია 30-იანი წლებიდან 80-იან წლებამდე. ყველაფერი რაც კი მნიშვნელოვანი ხდება ქალაქში, სტადიონის პრიზმაში გაივლის, სტადიონი ხომ ემოციათა ეპიცენტრია... რეჟისორს ვერც ფერთა სიღარიბეს უსაყვედურებ და ვერც გახმოვანების სიმდიდრეს, თუმც ერთიცა და მეორეც ფონის შესაქმნელად სჭირდება მხოლოდ, დანარჩენს კი უშუალოდ სტადიონზე და სტადიონის გარეთ მომხდარი ამბები და შექმნილი სიტუაციები ამბობენ" (ბერიშვილი (1980). ემოციათა ეპიცენტრი-სტადიონი. ლელო. 162, გვ. 2).

"... პოეტ მ. ფოცხიშვილისა და კომპოზიტორ რ. კაჟილოტის მიერ ფილმისათვის დაწერილი სიმღერის სტრიქონები "ლელო, ლელო საქართველო" სულ მალე დამკვიდრდა საქართველოს სტადიონებზე და ქართველ გულშემატკივართა ეროვნულ შემახილად იქცა. ეს ფაქტი კი ნებისმიერ საფესტივალო პრიზზე მაღალი ჯილდოა ფილმის ავტორისათვის" (კერესელიძე (1984). უბურთო ფეხბურთიდან – სტადიონამდე. საბჭოთა ხელოვნება. 1, გვ. 39)

2003 წელს, გადაღებიდან 23 წლის შემდეგ მილანის სპორტული ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე ფილმმა "სტადიონი" უმაღლესი პრიზი ("ებერჰარდი"- ყველა ნომინაციაში საუკეთესო ფილმისთვის) მიიღო. იტალიელმა კინომცოდნეებმა კლაუდიო ბერტირერი და უგო კაზირაგი ფილმს "'სტადიონი"- თავისუფლების კუნძული" უწოდეს.

დოკუმენტური ფილმი "გურია! გურია! გურია!" საქართველოს ერთი კუთხის ისტორიას, მის ცხოვრებაში მომხდარ მოვლენებზე მოგვითხრობს.

"რას ნიშნავს გურია?" ფილმის დასაწყისში სვამს ავტორი კითხვას და სტადიონთან შეკრებილი რუსი გულშემატკივრებიდან, რომელთაც გურია ან ჩიტი ჰგონიათ ან საერთოდ არ უფიქრიათ ამის შესახებ, პატარა ბიჭს (მომავალი თაობა) ირჩევს, რომელიც გვეუბნება: "გურია არის მხარე საქართველოში, სადაც ცხოვრობდნენ ყაჩაღები, ისინი ართმევდნენ მდიდრებს და ურიგებდნენ ღარიბებს."

"გურია! გურია! გურია!" სხვა ტემპო-რიტმის ფილმია. მასში სხვა განწყობა და იუმორი მოქმედებს.

"...ესეც სურათის ავტორთა მიერ არჩეული, მეტად ხელსაყრელი გზაა. იუმორი, ამ კუთხის მცხოვრებთა ერთ-ერთი განუყრელი თვისება, ფილმში იქცა ძირითად ავტორისეულ პოზიციად და ამის გამო საქართველოს ერთი პატარა ქალაქის ფეხბურთის გუნდზე გადაღებული ფილმი საინტერესო გახდა სხვადასხვა ეროვნების მაყურებლისათვის". (ნატროშვილი (1985). რას ნიშნავს გურია. კომუნისტი. 118, გვ. 3).

თამაშის ეპიზოდი ქალაქ ხაბაროვსკში: შემოდგომა, წვიმიანი ამინდი, ბურუსი. საქართველომდე 7 000 კილომეტრია. საქართველო, მზიანი ამინდი. სტადიონის ტრიბუნაზე მხოლოდ ერთი ადამიანია, სტადიონის დირექტორი. კითხვას "– რით განსხვავდება მარაკანას სტადიონი ლანჩხუთის სტადიონისგან?", ის პასუხობს: "ისინი ჩვენთან ვერ მოვლენ, ლანჩხუთში 9 000 ცხოვრობს, სტადიონზე კი 15 000 მოდის, თუმცა მატჩის დროს ტრიბუნებზე გაცილებით მეტი ხალხია, ვიდრე ტრიბუნები იტევს".

ალექსანდრე ჟღენტი ზუსტად აგებს ფრაზებს და მიდის მთავარი მიზნისკენ. საჭირო დროს ქართველები იმაზე მეტნი არიან, ვიდრე, რეალურად. საბჭოთა კავშირში 1984 წელს, ამის თქმას გამბედაობა სჭირდებოდა.

დოკუმენტური ფილმი "გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს!" საქართველოს სახლმწიფო კინემატოგრაფიის კომიტეტმა საქართველოს ეკრანებზე სადემონსტრაციოდ, დაუშვა, როგორც მხატვრული ფილმი.

"... გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს!" თავისი არსით ისტორიული ქრონიკაა, ერის ცხოვრების ქრონიკა; სურათი, რომელიც სულაც არ არის ფეხბურთზე, არამედ ერის მსოფლმხედველობაზე და ცხოვრების წესზე, ეს არის საოცარი შერწყმა ამაღლებულის, საზეიმოს, ირონიულის, კომიკურის" (სამოილოვა (1988). ლენინგრადსკაია პრავდა. გვ. 4).

"გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს!" ეს არის ფილმი, რომელშიც ერთი თვალის გადავლევით ნაჩვენებია გზა ქართული ფეხბურთის დასაწყისიდან, ე. ი. მე-19 საუკუნის დამლევადან, ვიდრე დღევანდელობამდე. რეჟისორს მეტად იშვიათი და ძვირფასი საარქივო მასალა გამოუყენებია. ფილმის რეჟისორი ორიგინალურ, ლირიულ ფონს იყენებს ფეხბურთის განვითარებასთან ერთად თვით საქართველოს კულტურის ზრდას და დღევანდელობას გვიჩვენებს" (კერესელიძე (1988). გრან-პრი იტალიიდან. თბილისი. გვ. 3).

კოტე მახარაძემ ფილმს "გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს!" სპორტული ფილმების მსოფლიო ჩემპიონი უწოდა (თათელაძე (1988). სამშობლო. 24, გვ. 4).

ფილმი "გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს!" არის ქართული გოლი სსრკ-ს კარებში, წერდა რუსი ჟურნალისტი კირილ ილინი.

1988 წელს, პალერმოს სპორტული ფილმების X საიუბილეო საერთაშორისო ფესტივალზე, ფილმს მიენიჭა გრან-პრი, "პალადინო დ'ორო" (ოქროს პალადინი); 2011 წელს, მილანის სპორტული ფილმების 29-ე საერთაშორისო კინოფესტივალზე – ლომბარდიის მთავრობის პრიზი.

ალექსანდრე ჟღენტის პენტალოგიის "ქართული ფეხბურთი 110 წლისაა" ბოლო ორი ფილმი: "გვჭირდება თუ არა საბჭოთა კავშირის ჩემპინატი ფეხბურთში?" და "პირველი ეროვნული", ერთ მთლიან ჭრილში უნდა განვიხილოთ, რადგან ისინი ერთმანეთს ავსებენ, ერთ მთლიან დრამატურგიულ-კინემატოგრაფიულ სტრუქტურად არიან ჩამოყალიბებული.

ფილმების ტემპო-რიტმი, გამომსახველობითი საშუალებები, რეჟისორის ხელწერა, აბსოლუტურად იდენტურია. პირველი მეორეს მოითხოვს, უკანასკნელი – პროლოგს. მათ ძალზე პრინციპული ესთეტიკა გააჩნიათ.

ავტორი ტიტრებს (უხმო კინოსთვის დამახასიათებელ ერთ-ერთ მთავარ ატრიბუტს) იყენებს, როგორც ამბის თხრობის საშუალებას და სულ სხვაგვარ ელფერს სძენს. პლაკატი, როგორც ეპოქისა და სპორტის გულშემატკივრის ემოციის მხატვრული გამოხატულება, მონტაჟდება გადაღებულ კადრებსა და ქრონიკის ეპიზოდებთან, ფილმის მხატვრულ ქსოვილშია შერწყმული. პერსონაჟების ხასიათების ნაირგვარობა, შექმნილი გარემო ზუსტად გადმოსცემს იმ ატმოსფეროს და განწყობას, რაც დამახასიათებელი იყო 1989-1991 წლების საქართველოსთვის.

გვჭირდება თუ არა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში? – რეჟისორი ძალზე თამამად სვამს კითხვას და სადისკუსიოთ იწვევს ადამიანებს. მაყურებელს ახსენებს ისტორიას, აჩვენებს და ასმენინებს სხვადასხვა აზრს. შეიძლება ითქვას, მართავს მაყურებლის ემოციას, განაწყობს კამათის, ფიქრის, ანალიზისთვის და შეთავაზებულ კითხვაზე პასუხს ელოდება. ე. ი. მაყურებელი არც ერთ შემთხვევაში არ არის პასიური, ის ეკრანზე განვითარებულ ამბავს მხოლოდ თვალს კი არ ადევნებს, არამედ ჩართულია პროცესში და მისი თანამონაწილე ხდება.

ფილმი იწყება ტიტრით – "1919 ვარდობისთვე, 26". შემოდის ანდრია ყარაშვილის "სამშობლოს" პირველი აკორდები, რომელიც შემდეგ ტიტრზე გადადის – ვაკის სტადიონი. რეჟისორი ვაკის სტადიონზე საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმს, ქრონიკის დამონტაჟებული კადრების საშუალებით აჩვენებს, რომელსაც ეპოქის შესაბამისი ტიტრით ცვლის და გვამცნობს, რომ ზეიმს მოჰყვა "ბურთაობა".

ქრონიკიდან აღებული დეტალები: ბურთი, სამთავრობო ლოჟა, ნოე ჟორდანიას, უცხოელი დიპლომატები, დარაპიდებული ფეხბურთის მატჩი, შავ ფონზე ციფრი 26, რომელიც წაფენით სიმავეში იკარგება. წყდება ყარაშვილის მუსიკის ჰანგები. ეს რეჟისორის, კინემატოგრაფიულად მოყოლილი ისტორიის დასაწყისია.

"თურმე ამ სამოცდაათი წლის წინათ საქართველოს იმდროინდელი მთავრობა, ფეხბურთს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ამიტომაც საქართველოს თავისუფლების აღსანიშნავი ზეიმის ბოლოს შედგა "ბურთაობა". "საზოგადოება კმაყოფილი დარჩა" მერე... მერე კი საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა და ვეღარც სამშობლოს მღეროდა და ვერც ეროვნული დროშის ქვეშ ხვდებოდა მეტოქეს". (ოჩიაური (1990). სა-ქარ-თვე-ლო! სა-ქარ-თვე-ლო! ანუ განა ამას კითხვა უნდა?. ახალგაზრდა კომუნისტი. 13. გვ. 3)

რეჟისორი მარტივად ქმნის ეპოქის მხატვრულ სახეს და ბევრ რამეზე გვაფიქრებს.

"ძალიან ხშირად მხატვრული სახე შეიძლება, ერთი შეხედვით, მარტივად იყოს გადმოცემული, მაგრამ მასში ბევრი რამის ამოკითხვა შეიძლება, ის ქმნის განწყობას, ემოციას, მომავლის იმედს ან უიმედობას" (Тарковский, 1967: 21).

ფრიალებს ფილმში ლენინ-სტალინის წითელი დროშა, ბლანტერის "საფეხბურთო მარშის" ოთხი ტაქტის განმავლობაში, შემდეგ: ლენინის ორდენოსანი სპორტსაზოგადოება "სპარტაკის" დროშა, "დინამოს" დროშა, რუსული ასო "Д" – სპორტსაზოგადოება "დინამოს"

სიმბოლო, უკუღმა იკითხება. დროშების მონტაჟს მოსდევს საბჭოთა სპორტის უნიჭო ლოზუნგების (მაღალი ძაბვის ბოძის ფონზე) მონტაჟი. მარში გრძელდება, მოედანზე ფეხბურთელები შემოდინან. ზეაწეული განწყობა იცვლება. ეკრანს ავსებს სტადიონის ტაბლო წარწერით (ტიტრის ანალოგი) "ფილმი დისკუსია". ფეხბურთელები და ისევ სტადიონის ტაბლო, რუსული ასოებით – ფილმის ქართული სახელწოდება. იგივენაირი მონაცვლეობა, როგორც ფილმის დასაწყისში. იგივე რიტმი, მხოლოდ ტიტრი იცვლება სტადიონის ტაბლოთი, რომელიც ასევე ტიტრად აღიქმება.

სიჩუმე, არანაირი მუსიკა, არც ხმაური, მხოლოდ "გვჭირდება თუ არა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში?". მომდევნო კადრში სტადიონის ტაბლოზე მხოლოდ კითხვის ნიშანი ჩანს. ორი კადრის ამგვარად დამონტაჟება, კითხვის ნიშნის ცალკე გამოყოფა, კითხვის მნიშვნელობის გაძლიერების, საჭიროების, მასზე დაფიქრების ხაზგასმია.

"ელექტრო ფარი, ფილმის დასახელების რუსულენოვანი წარწერით, რომელიც შემდეგ რამდენჯერმე სხვადასხვა ვარიანტად მეორდება "ქართულად – ქართულად, ოღონდ რუსული ასოებით და იგივე ფარზე აღბეჭდილ დიდ კითხვის ნიშანთან ერთად დაჟინებით გვაფიქრებს, გვახსენებს გვჭირდება, თუ არა?" (ოჩიაური (1990). სა-ქარ-თვე-ლო! სა-ქარ-თვე-ლო! ანუ განა ამას კითხვა უნდა?. ახალგაზრდა კომუნისტი. 13. გვ. 3)

ცარიელი ტრიბუნები. მხოლოდ რამდენიმე ადამიანი. ახალგაზრდა წყვილი. ხმა კადრს მიღმა: "გიყვართ ფეხბურთი?" ბიჭი კამერისაკენ ბრუნდება: "კარგი ფეხბურთი მიყვარს". ისევ სტადიონის ტაბლო წარწერით, უკვე ქართული ასოებით: "გვჭირდება თუ არა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში?", ისევ კითხვის ნიშანი და ბიჭი ახლო ხედით: "ამ კითხვაზე ფილმის ბოლოს გიპასუხებთ".

ეპიზოდის ქვეტექსტი ასე იკითხება: გვჭირდება თუ არა ამას ქართელები გადავწყვეტთ!

მომდევნო ეპიზოდში სხვადასხვა პროფესიის, სოციალური მდგომარეობის ადამიანები აზრს გამოთქვამენ საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის შესახებ. საიტერესოა გაზეთის მკითხველი მამაკაცის პორტრეტი: მოსაუბრეს სახეზე გაზეთი აუფარებია და ისე საუბრობს, რეჟისორი ახლო ხედით აჩვენებს საბჭოთა მედლებს, რომელიც გაზეთის ქვედა მხრიდან მოჩანს. ხმოვანი რიგი, ამ შემთხვევაში, უკანა პლანზე გადადის, ახლო ხედით მოტანილი მედლები უფრო მეტს ამბობენ, ვიდრე ეკრანიდან წამოსული ხმა. ამ ეპიზოდში ეკრანზე ჩნდება ფილმის რეჟისორი, როგორც ფილმის ერთ-ერთი პერსონაჟი, რომელიც ენციკლოპედიიდან ამონარიდის ამოკითხვით წინა მოსაუბრის აზრს აბათილებს, ხოლო გაზეთის მკითხველი მამაკაცის ფრაზას – "საბჭოთა კავშირი ხალხს აახლოებს, საშუალებაა მეგობრობის", უპირისპირდება მოედანზე ჩხუბის ამსახველი კადრები.

მესამედ ჩნდება სტადიონის ტაბლო-ტიტრი – ფილმის სათაური ქართული ასოებით – რუსული ტექსტით. დონჯემოყრილი ბიჭი მზის სათვალით; ღიმილის მომგვრელი ფრაზებით; რუსი მამაკაცი ხაზგასმული ირონიით, რომელსაც ეკრანზე ჯემალ მდივანი ცვლის (ასრულებს კიაზოს პარტიას ოპერიდან "დაისი"). საგრიმიოროში მყოფი ჯემალ მდივანი, რომელიც პასუხობს ფილმში დასმულ შეკითხვას: "ნეტავ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს

დამასწრო, შუა მინდორზე გამოვალ და ვიმღერებ". ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ამსახველი კადრები.

ფილმის პერსონაჟები სერიოზულ და პრობლემურ საკითხებზე ლაღად, მსუბუქად, ზოგჯერ იუმორით საუბრობენ. ზუსტად მოძებნილი ფრაზები: "საოცარი რამ ხდება, გუნდს "დინამო" ქვია და საქართველოს გაიმახიან, დრომა ლურჯ-თეთრია, სამფეროვანს აფრიალებენ, ეს იგივეა რაც მე ზაზა მერქვას და ირაკლის მეძახდნენ, ან ქოსა ვიყო და რა ხუჭუჭა ბიჭიაო". "ამ სამი ვარიანტიდან რაღა წამგებიანი ამოირჩიე შე კაი კაცო". "საწყალი ბრაზილიელები, "მეტალისტს" და "როტორს" რომ არ ეთამაშებიან, იმიტომაც აქვთ ცუდათ საქმე".

ლიმილისმომგვრელია ეპიზოდი, როდესაც საბჭოთა მილიციელები აპატიმრებენ ახალგაზრდა მამაკაცს, რომელიც მათ წინამდებეობას უწევს. კადრს მიღმა ისმის შეკითხვა და მამაკაცს სახე ეცვლება, ავიწყდება რა მდგომარეობაშია და პასუხობს: "საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ჩვენთვის საჭირო არ არის!"

"გვჭირდება თუ არა? მთელი ფილმი, რომლის ხანგრძლივობაც სხვათაშორის სულ 12 წუთია ამ კითხვზე პასუხის ძიებაა. ძიება ჩვენში, მაყურებელში, იმ ადამიანებში, რომლებთან ინტერვიუებზეც არის აგებული ნამუშევარი". (ოჩიაური (1990). სა-ქარ-თვე-ლო! სა-ქარ-თვე-ლო! ანუ განა ამას კითხვა უნდა?. ახალგაზრდა კომუნისტი. 13. გვ. 3)

მომდევნო ეპიზოდში აივანზე მდგომი მამაკაცი შეგვახსენებს, რომ "დიდ ურუგვაელებს" გვეძახდნენ. ამ და წინა ეპიზოდს შორის რეჟისორი ამონტაჟებს კადრს მამაკაცის გამოსახულებით, რომელიც რაღაცას უყურებს. ფილმში ასევე ჩნდება ფოტოკორესპონდენტი ფოტოს გადაღების პროცესში. შემდეგ დამონტაჟებულია საფეხბურთო მატჩის ფრაგმენტი. ამ შემთხვევაში მატჩი, მხოლოდ ანტურაჟია. სადღაც მომზირალი მამაკაცი და ფოტოკორესპონდენტი იმის ერთგვარი მეტაფორაა, რომ პროცესს, რომელიც ფილმში მიმდინარეობს, ქვეყანაში ვიღაც აკვირდება, იმახსოვრებს...

ფეხბურთელები, სტადიონის თანამშრომელი პასუხობენ ფილმში დასმულ შეკითხვას. სტადიონზე სამფეროვანი დროშები ფრიალებენ. ისმის მაყურებლის სკანდირების ხმა. ბიჭი, რომელიც ფილმის დასაწყისში შეგვპირდა, რომ შეკითხვას უპასუხებს, კამერაში ამბობს: "რა დროს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატია!" და სტადიონისაკენ ბრუნდება; ქალი ბავშვით: "მინდა ჩემი შვილი დამოუკიდებელი საქართველოს ჩემპიონი გახდეს"; მოსწავლე ბიჭი: "საქართველოს დამოუკიდებელ ჩემპიონატს გაუმარჯოს!"; მსახიობი რუსლან მიქაბერიძე: "ჰოდა გავიძროთ მაგათი მაისური და ტრუსები... უსსრკავშიროდ შევძლოთ ბურთის და თავის გატანა".

ერთმანეთის მიყოლებით დამონტაჟებული ეს ეპიზოდები და ბოლო კადრი, რომელშიც ფეხბურთელები მინდორს ტოვებენ `საფეხბურთო მარშის` უკანასკნელი აკორდების თანხლებით, ფილმში დასმული შეკითხვის პასუხია. სტადიონის ტაბლო-ტიტრი: 1989 წელი. ვაკის სტადიონი, რომელსაც მოსდევს დანგრეული სტადიონის კადრები, ტრიბუნებზე ამოსული ბუჩქებით და ბალახით.

მომდევნო კადრში წყლით ირწყვება მოედანი და ამოდის სამფერი დროშა. სოსო ჰავლიაშვილის სიმღერის "სამშობლოს" აკორდების ფონზე. სამფეროვანი დროშა ფრიალებს ცის ფონზე (ახლო ხედი). ჟღერს ანდრია ყარაშვილის "სამშობლო".

სპორტული თემატიკა ამ შემთხვევაში მხოლოდ საფუძველია, რომელზეც რეჟისორი სულ სხვა ისტორიას აფუძნებს და ამყარებს. სპორტი მხოლოდ ფონია, ფილმის ძირითადი, მთავარი სათქმელისთვის, მისი მომზადებისა და მაყურებელთან ზუსტად მიტანისთვის შექმნილი წინაპირობაა.

"სპორტი ხერხია, მხატვრული განზოგადებისა და ახალი ესთეტიკური შრის შექმნის ავტორისეული პირობა". (ოჩიაური (1990). სა-ქარ-თვე-ლო! სა-ქარ-თვე-ლო! ანუ განა ამას კითხვა უნდა?. ახალგაზრდა კომუნისტი. 13. გვ. 3)

ალექსანდრე ჟღენტმა ფილმით "გვჭირდება თუ არა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში?" იკითხა – გვჭირდება თუ არა თავისუფლება? და კითხვას პასუხი კინოხერხით გასცა ბოლო კადრით, ხოლო ამის გარდაუვალობა და აუცილებლობა დაადასტურა კინოსურათით "პირველი ეროვნული", რომელიც წინამორბედის ლოგიკური გაგრძელებაა, რომლიდანაც წამოსული ანდრია ყარაშვილის მუსიკა გადადის ფილმის "პირველი ეროვნული" პირველ კადრებზე "გადადის".

სტადიონზე მიმავალი მაყურებელი, პლაკატი (ბურთი სსრკ-ს ბორკილებს არღვევს) გულშემატკივარი ეროვნული ჩემპიონატისთვის შესაწირს აგროვებს. სტადიონის ტაბლო წარწერით: "გილოცავთ პირველ ეროვნულ ჩემპიონატს!" ვფიქრობთ, ფილმმა "გვჭირდება თუ არა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში?" საკმაოდ დიდი გავლენა მოახდინა საზოგადოებაზე და მას ლოგიკურად მოჰყვა საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის დაბადება.

"მაგრამ რა ინფორმაცია შეიძლება ჰქონდეს დოკუმენტალისტს იმის შესახებ, რაც ჯერ მხოლოდ მომავალში მოხდება?... ის შედის რეალურ ცხოვრებაში, რომელიც მისგან დამოუკიდებლად მიედინება". (Франк (2004). Опыт голого человека. Искусство Кино. 3)

ინტუიცია, მომავლის განჭვრეტა, ვფიქრობთ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისებაა კინორეჟისორისთვის.

"ხელოვანის, მით უმეტეს, დოკუმენტური კინოს რეჟისორის, შემოქმედებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ალლოს, მომენტის შერჩევის, მოვლენათა წინასწარ განჭვრეტის უნარს. ფილმზე მუშაობისას, უდავოდ გასათვალისწინებელია მისი ჟღერადობა მომავალი დროის კონტექსტში" (კერესელიძე (1984). უბურთო ფეხბურთიდან – სტადიონამდე. საბჭოთა ხელოვნება. 1, გვ. 40).

"ალბათ კინოს ისტორიაში იშვიათი შემთხვევაა, როდესაც 12 წუთიან ფილმს ფაქტიურად კინოჟურნალს, ასეთი ქმედითი ზეგავლენა მოეხდინოს საზოგადოებრივ პროცესებზე. ეროვნულ ჩემპიონატს, მე ამ პროცესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად ვთვლი" (ოჩიაური (1990). "სტადიონიდან" – "პირველ ეროვნულამდე". ახალგაზრდა ივერიელი. გვ. 4).

საქართველოს სამღვდელოების წარმომადგენლები, ნორჩი ფეხბურთელები, ნოდარ ახალკაცი, ზვიად გამსახურდია, გოგონა ტრიბუნაზე სამფეროვანი დროშით, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, საბჭოთა მილიციელის გადაბრუნებული ქუდი, სტადიონის ტაბლო წარწერით: "ლელო, ლელო, საქართველო!". ტრიბუნაზე მსხდომი მაყურებელი, თინათინ ქიქოძე (გერონტი ქიქოძის ქალიშვილი) სამფეროვანი დროშის ფონზე იგონებს 1919 წლის დამოუკიდებლობის წლისთავზე ვაკის სტადიონზე გამართულ აღლუმს, რომელიც ქრონიკალური კადრების მონტაჟით ცოცხლდება, ანდრია ყარაშვილის "სამშობლოს" თანხლებით; ეროვნული სტადიონი. მომღერალი ჯემალ მდივანი წინა ფილმში მიცემულ პირობას იხსენებს, მოედნის ცენტრში დგას და მღერის "თავისუფლებას" ზაქარია ფალიაშვილის ოპერიდან 'დაისი'; საქართველოს ისტორიული კუთხეების დროშები; სტადიონის ტაბლო წარწერით: "გილოცავთ საქართველოს ჩემპიონატს!" აცრემლებული მაყურებელი; ცეკვა ქართული; საქართველოს პატრიარქი: 'ჩვენთან არს ღმერთი'. სტადიონის ტაბლო წარწერით: "ჩვენთან არს ღმერთი". გადაჭედული ტრიბუნები, ზვიად გამსახურდია: "გაუმარჯოს დამოუკიდებელ ქართულ ფეხბურთს, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!" – ეს ყველაფერი რეჟისორის მიერ წინა ფილმში დასმული კითხვის პასუხია.

"საქართველოს დამოუკიდებლობა ფეხბურთით დაიწყო" – წერდნენ იმ პერიოდის გაზეთები და ამ ფაქტის არა მხოლოდ კონსტატაციას, არამედ პუბლიცისტურ გააზრებას ნამვილად ახდენს ფილმი "პირველი ეროვნული".

კინოსურათში გრძელდება სახალხო ზეიმი რევაზ ლალიძის "საჭიდაოს" ფონზე, სტადიონის სარბენ ბილიკზე ქართველი ფეხბურთელები შედიან, ისმის კონსტანტინე ფოცხვერაშვილის "დიდება" და ეკრანზე ერთმანეთს ენაცვლება – სამღვდელოება, სპორტული კომენტატორი, ფეხბურთელები, ნორჩი ფეხბურთელები, რომლებიც აღმართავენ საქართველოს ეროვნულ დროშას, ფილმის რეჟისორი.

ეკრანზე ჩნდება საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე საფეხბურთო კლუბების ქართული სახელწოდებები. ფეხბურთელები მატჩის წინ სამახსოვრო ფოტოს იღებენ, ორი კაპიტანი ერთმანეთს ესალმება და კადრი ჩერდება, შემოდის ანდრია ყარაშვილის "სამშობლოს" აკორდები. სტადიონის ტაბლოზე ჩნდება წარწერა: "იბერია" – "კოლხეთი", მუსიკა თანდათან სტადიონის ხმაურში გადადის. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის გახსნით მატჩში, ბურთს პირველად ფეხბურთელ ვიტალი დარასელიას ვაჟი ურტყამს. ისმის ფალიაშვილის "თავისუფლება".

"პირველი ეროვნული" იმ სიტუაციის, განწყობების გამოხატულებაა, რომელიც საქართველოში, 1989-1990 წლებში სუფევდა. ეს იყო სწრაფვა თავისუფლებისკენ, დამოუკიდებლობისკენ.

"კინო ასახავს მდგომარეობას ქვეყანაში და მდგომარეობას მსოფლიოში". (Херцог (2019). <http://www.cinematheque.ru/post/138940>)

"გვჭირდება თუ არა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში?" და "პირველი ეროვნული"

– ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისთვის ბრძოლის რეალური ეტაპის გამომხატველი ფილმებია.

"ნამდვილი შემოქმედი ქვეცნობიერის დონეზე უნდა ჰქვრეტდეს მომავლს". (Тарковский (1995). Глеб Панфилов – Андрей Тарковский Итальянский диалог, Искусство кино 11, გვ. 201)

"მაგრამ, თუ ამ ცხოვრებისეული მასალიდან ჩამოყალიბდა რაღაც არასტანდარტული და მხატვრული, სწორედ იმიტომ, რომ მაყურებელმა შეძლო შეეხედა ყველაფერ ამისთვის (ჩემი) რეჟისორის თვალებით. და, ეტყობა, აქ უნდა მოიძებნოს გასაღები დოკუმენტური კინოსთვის, როგორც ხელოვნების დარგისთვის: ეს ყოველთვის ინდივიდუალური ხედვაა. ის, რასაც საავტორო კინოს ვუწოდებთ. მაგრამ, ამასთან, რეალობა არ მახინჯდება, ის მიედინება, როგორც წყალი მდინარეში. უბრალოდ, ეს მე, ავტორი ვირეკლები მასში. მე არ ვიღებ მის მდინარებას საიდანღაც გვერდიდან, მე ვიხრები პირდაპირ მდინარის ჩქერზე, რომელსაც მიაქვს ჩემი ანარეკლი, ყველაფერთან ერთად, რაც დავინახე". (Франк (2004). Опыт голого человека. Искусство Кино. 3)

ალექსანდრე ჟღენტის ფილმებით დასტურდება, რომ სპორტი არის საშუალება ერის ეროვნული ხასიათის გადმოსაცემად. სპორტული თემის მხატვრული გააზრებით რეჟისორს თავისუფლების სიყვარულისკენ მიჰყავს მაყურებელი.

გამოყენებული ლიტერატურა და ბიბლიოგრაფია:

არჩვაძე, მ. (2022) სპორტი ქართულ კინოში: მასალა და მისი მხატვრული ინტერპრეტაცია (სადისერტაციო ნაშრომი).

ბერიშვილი, ე. (1980). ემოციათა ეპიცენტრი-სტადიონი. ლელი.

ბერიშვილი, ე. (2006). სპორტის ენციკლოპედია. თბილისი

კერესელიძე, მ. (1984). "უბურთო ფეხბურთიდან" – "სტადიონამდე" (სპორტი 1960-იანი-1980-იანი წლების დასაწყისის ქართულ დოკუმენტურ კინოში. საბჭოთა ხელოვნება.

კერესელიძე, მ. (1988). "გრან პრი" იტალიიდან".

ნატროშვილი, ნ. (1985) "რას ნიშნავს "გურია"? კომუნისტი.

ოჩიაური, ლ. (1990). "სტადიონიდან" – "პირველ ეროვნულამდე". ახალგაზრდა კომუნისტი.

ოჩიაური, ლ. (1990) "საქართველო! საქართველო! საქართველო! ანუ განა ამას კითხვა უნდა"? ახალგაზრდა კომუნისტი.

Bertieri, C. Caziraghi, U. (1990) FILMARIO DELLO SPORT.

სამოილოვა (1988). ლენინგრადსკაია პრავდა.

Тарковский, А. (1995). Глеб Панфилов – Андрей Тарковский Итальянский диалог. Искусство кино.

Франк, Г. (2004) „Опыт голого человека“. «Искусство Кино».

Херцог, В. «Я могу читать в человеческом сердце»
<http://www.cinematheque.ru/post/138940>.

The idea of national independence in Georgian documentary cinema

Summary

The films of Aleksander Zhgenti prove that the sports theme is the only basis in his work, on which the director builds a completely different story. Sport is just a background, a prerequisite for the main, main message of the film, its preparation and accurate delivery to the audience. Sport is a vehicle for conveying the national character of a nation. Artistically understanding the sports theme, the director leads the viewer to love of freedom.

The last two films of Aleksander Zhgenti Pentalogy "Georgian football is 110 years old": "Do we need a Soviet football championship?" and "The First National" is being formed as a single dramatic and cinematic structure.

The variety of characters, the environment created in the films accurately conveys the atmosphere and mood characteristic of Georgia in 1989-1991. Directed by the film "Do We Need the USSR Football Championship?" posed the question: do we need freedom? And he answered this question cinematically with the last shot of the film, and the inevitability and necessity of this was confirmed by the film "The First National", which is a logical continuation of the previous film. "Do we need a Soviet football championship?" And "The First National" is a film about the real stage of Georgia's struggle for freedom.

გუბაზ მეგრელიძე

შემოქმედებითი კავშირი საქართველოს თეატრალური საზოგადოება

რელიგიური თემა ქართულ თეატრში

საბჭოთა პერიოდში რელიგიური თემა აკრძალული იყო. დაინგრა ეკლესიები, იდეენებოდნენ სასულიერო პირები და ახალგაზრდებსაც უკრძალავდნენ რელიგიურ დღესასწაულებზე დასწრებას. მღვდლები თეატრსა და კინოში უარყოფით ან დასაცინ პერსონაჟებად გვევლინებოდნენ.

ასეთ იდეოლოგიურ პირობებში, როცა სოციალისტური რეალიზმის ასახვას ავალდებულებდნენ ხელოვანთ, ხატოვნად რომ ვთქვათ, რთული იყო ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების განხორციელება. ასეთი მცდელობა ჰქონდა ცნობილ დრამატურგს მიხეილ მრევლიშვილს, რომელმაც დაწერა პიესა ქართული მწერლობის პირველი ლიტერატურული ძეგლის, V საუკუნის ჰაგიოგრაფის, იაკობ ცურტაველის თხზულების „შუმანიკის წამების“ მიხედვით. ეს პიესა მარჯანიშვილის თეატრში სათაურით „წამება დედოფლისა“ 1968 წელს მისმა ვაჟმა, რეჟისორმა სანდრო მრევლიშვილმა, განახორციელა. დედოფალს ვ. ანჯაფარიძე, ხოლო პიტიახშს ვ. გომიაშვილი ასახიერებდა. თუმცა სპექტაკლმა სათანადო ადგილი ვერ დაიმკვიდრა. მოგვიანებით, 1978 წელს, იგი ახალგაზრდა რეჟისორმა ნუგზარ ბაგრატიონ - გრუზინსკიმ კინომსახიობთა თეატრში დადგა, ხოლო რუსთაველის თეატრში კი - რეჟისორმა ნანა ხატისკაცმა.

საგულისხმოა, რომ საბჭოთა ცენზურამ სპექტაკლი არ აკრძალა, ვინაიდან მასში ისტორიული მოვლენის აღწერა დაინახა, ხოლო ნაწარმოები სკოლებში ისწავლებოდა და იდეოლოგიურ საშიშროებას არ წარმოადგენდა. მით უმეტეს, როდესაც დიდი ზეიმით აღინიშნა პირველი ქართული დამწერლობის ნიმუშის 1500 წლისთავი. საინტერესო სცენური სიცოცხლე ჰპოვა პიესამ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თეატრალური სახელოსნოს ფიცარნაგზე. სცენა დაფარულია ქსოვილით, რომელზეც ხუცური ანბანია გამოსახული (მხატვარი კ. ქორიძე). ეს ქსოვილი ალაგ-ალაგ დაფლეთილია, გაყვითლებული და ძველი ხელნაწერის შთაბეჭდილებას ტოვებს. ხოლო შუაში და ბოლოში ამოჭრილი ადგილებიდან მსახიობები შემოდის მოქმედებაში, თითქოს ისინი ამ ანბანიდან ამოდის და იმ სიტყვებს აცოცხლებენ, რომლითაც დაიწერა ეს ისტორიული ნაწარმოები. ამ ფონზე იშლება და ვითარდება სპექტაკლი. მთავარი ყურადღება ეთმობა ვარსქენისა და შუმანიკის ურთიერთობას, რომელიც ბოლომდე დამაბუღად და საინტერესოდ მიმდინარეობს. იკვეთება გმირების დამოკიდებულება შექმნილი ვითარებისადმი. თითოეული მათგანი მკვეთრ შტრიხებში გადმოსცემს გმირთა პიროვნულ ღირსებებს.

ვარსქენი (მსახიობი ზ. ყიფშიძე) საკუთარი თავის ძლიერებაში დარწმუნებულია, მაგრამ მეუღლის განდგომას განიცდის. ეს ჩანს შუმანიკთან მის შეხვედრაში. ზ. ყიფშიძე მისდამი ავლენს გულთბილ დამოკიდებულებას, ეალერსება და იმედით შეჰყურებს, რომ შუმანიკი სასახლეში საკუთარი ნებით დაბრუნდება. ამისთვის იგი ყოველ საშუალებას მიმართავს. სთხოვს, ემუდარება გადაწყვეტილების შეცვლას. მაგრამ თანდათან მის ხასიათში

გარდატეხა შეინიშნება. გამომეტყველება ეცვლება. თავიდანვე გამომჟღავნებული დამოკიდებულება ჯერ სიმკაცრეში შემდგომ კი მრისხანებაში გადადის. უკვე რადიკალურად განსხვავდება მსახიობის ურთიერთობა გარშემო მყოფდამი, მაგრამ მასში ბოლომდე იგრძნობა შუშანიკის დაბრუნების იმედი. სპექტაკლში ჩანს ვარქსენის პიროვნული ტრაგედია. იგი ღრმად განიცდის თანამეცხედრისა და უახლოესი მეგობრის დაკარგვას. ამავე დროს მასში ძლიერია პატივმოყვარეობის გრძნობა, რის გამოც თავის მკაცრ განაჩენს არ ცვლის.

სხვა საშუალებებითაა გადაწყვეტილი მზია არაბულის დედოფლის სახე. მისი გამომეტყველება პირქუშია, ლაპარაკის ტონი მკაცრი და ლაკონიურია. მძიმე მდგომარეობაში მყოფი კომპრომისზე არ მიდის. მას შეგნებული აქვს თავისი შინაგანი პიროვნული ღირსება და მოქმედებაში მერყეობა არ ეტყობა. იგი დარწმუნებულია თავისი გადაწყვეტილების სისწორეში, ამიტომაც უარყოფს ქმრის ხვეწნასა და დაპირებებს. მის მუქარაზე არ რეაგირებს. იგი თმობს სასახლის ფუფუნებას, პირად ბედნიერებას, რადგან უახლოეს ადამიანში რწმენა დაკარგა, ვისიც აქამდე მტკიცედ სჯეროდა. იგი დარწმუნდა, რომ დიდი ხნის მანძილზე სცდებოდა ვარსქენის პიროვნულ ღირსებებში - იგი სულ სხვა ადამიანად წარმოსდგა შუშანიკის თვალში და სწორედ ეს გახდა მისი განდგომის მიზეზი.

სპექტაკლში ძნელია განსაკუთრებულად გამოჰყო რომელიმე მსახიობის მუშაობა. ყოველი მათგანი მოქმედების განვითარების მსვლელობაშია ჩართული, რაც ურთიერთობების უწყვეტ კავშირად მიმდინარეობას აპირობებს. თითოეული მსახიობი დაკისრებულ ფუნქციას ინდივიდუალური თვისებების გამომჟღავნებით ასრულებს: იაკობის როლს მ. ჯინორია, ეპისკოპოსს რ. იმნაიშვილი, სპარსს თ. თოლორაია, ჯოჯიკის ცოლს დ. ჯოჯუა. თვით ჯოჯიკი (პ. ბარათაშვილი) ღრმად განიცდის შექმნილ ვითარებას, ძმის ღალატს, მაგრამ ცდილობს ალადგინოს ძმისა და რძლის ურთიერთობაში გაჩენილი ბზარი.

წარმოდგენაში გამოყენებულია ხალხური სანახაობის ტიპაჟები - თეთრი ბერიკა, სიკეთისა და ტრაგიკული გამომსახველობის (ა. ამირანაშვილი), შავი - სიბოროტისა და მომხდარი ამბისადმი ირონიული დამოკიდებულების (ზ. მიქაშავიძე). ისინი ერთმანეთთან მუდმივ კონფლიქტში არიან. შავი ბერიკა ზოგჯერ დასცინის თეთრ ბერიკას - ართმევს სალამურს, ეხვევა ქალბერიკას (დ. ხაჩიძე), ვისადმიც თეთრი ბერიკა სიმპათიითაა განწყობილი. შავი ბერიკა ყოველ ჩანაფიქრს ახორციელებს მის წინააღმდეგ. თეთრი ბერიკა ყოველივეს ხედავს, განიცდის და კიდევ გამოხატავს თავის დამოკიდებულებას, მაგრამ ვერ მოქმედებს, თითქოს ძალა არ ჰყოფნის ამ სიბოროტის დასაძლევად. ისინი ხელს უწყობენ სპექტაკლის აზრობრივი დატვირთვის განვითარებას, რომ სიკეთე ზოგჯერ სიტყვითაც კი უძლურია ბოროტების წინააღმდეგ. მაგრამ თეთრი ბერიკა მას ბოროტებაში არ აჰყვება. იგი ინარჩუნებს საკუთარ რწმენას სიკეთეზე, სწამს მისი ჭეშმარიტებისა და მაყურებელს მოუწოდებს ყოველთვის იყვნენ კეთილნი და სანდომიანნი, მიუხედავად ბოროტებასთან პირისპირ დარჩენისა, რომ ადამიანმა ყველაზე კრიტიკულ მომენტშიც კი ჰუმანურობა უნდა შეინარჩუნოს.

მთელი მოქმედების მანძილზე სხვადასხვა ფორმით ტრიალებს ვარქსენისა და შუშანიკის ურთიერთობის თემა, ზოგ სცენაში უშუალოდ მათი მონაწილეობით, ზოგშიც კი ბერიკების სახით. ისინი ლოგიკურად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, უფრო

სრულყოფილს ხდიან სპექტაკლის აზრობრივ დატვირთვას. თავისებურად პასუხს აძლევენ ადამიანთა მორალისა და ქცევების მრავალფეროვნებას. არამცთუ გარეშე ადამიანს, არამედ ყველაზე უფრო ახლობელი პიროვნებაც არ არის დაზღვეული საკუთარი საქციელის ცვალებადობაში, რასაც მოჰყვება სხვა ადამიანთა სულიერი ტრაგედია და არსებულის უარყოფა, თუნდაც სიცოცხლის ფასად. ასეთი ანსამბლური თამაშით, გმირების შინაგანი განცდის დამაჯერებელი ჩვენებით ხასიათდება სპექტაკლი, სადაც ყოველ სიტყვას თავისი დანიშნულება აქვს და სცენაზე წარმოდგენილი სიმართლის გადმოცემას ემსახურება.

სულ სხვა სცენური გადაწყვეტა ჰპოვა იგივე ნაწარმოებმა რუსთაველის თეატრის სცენაზე. რეჟისორმა ნანა ხატისკაცმა პირველწყაროს საფუძველზე შექმნა ინსცენირება. იგი ზუსტად არ მიჰყვება ნაწარმოების შინაარსს, ჩამატებული სცენები, დიალოგები, შემოყვანილია ახალი პერსონაჟები. მაგრამ ისინი როდი ემსახურებიან სპექტაკლის იდეური დატვირთვის ნათლად გამოხატვას. მაგალითად, ცქირისა (დ. კვიციანი) და დედაკაცის (გ. მაღლაკელიძე) დიალოგი გაურკვეველი დანიშნულებისაა და მოქმედების განვითარებას ხელოვნურად ახანგრძლივებს. იგი შეიძლება ითქვას ცქირის ზმანების სცენაზეც, სადაც მას დედოფალი კეთილი მწყემსის სახით გამოეცხადება. მისი კაბის ცისფერი, თხელი ქსოვილის პლასტიკური მოძრაობა ქმნის ლამაზი სიზმრის ასოციაციას, მაგრამ ამ სცენის დანიშნულება სპექტაკლის იდეური განვითარებისთვის ბუნდოვანი რჩება. ამიტომაც ორივე სცენას დაკარგული აქვს ლოგიკური კავშირი მომდევნო სცენებთან.

უფრო ნათელია იაკობ ხუცესისა და ცქირის დიალოგი. ცქირი, ვარსკენის ბრძანების მიუხედავად, საკუთარი შეხედულებისამებრ (დარწმუნებულია თავისი საქციელის სისწორეში) უშვებს ხუცესს დედოფლის საკანში. მან იცის, რომ ბრძანების შეუსრულებლობისთვის სიკვდილი არ ასცდება, მაგრამ მაინც არღვევს ბრძანებას იმ რწმენით, რომ მისი „საქმე ერთ რაიმედ მაინც ეღირება“. ამ სცენაში ჩანს - ადამიანებმა კეთილი საქმეების საკეთებლად უკან არ უნდა დაიხიონ, თუნდაც ამას საკუთარი სიცოცხლის დათმობა დასჭირდეს. აღსანიშნავია ეპიზოდი, სადაც შუშანიკი ღვინოს ჯოჯიკის ცოლს კი არ შეასხამს, როგორც ეს ნაწარმოებშია, არამედ ვარსკენს, რითაც მათ შორის დამოკიდებულება უფრო გამძაფრებულია. გაბრაზებული ვარსკენი უბრძანებს მთელ სასახლის კარს, შუშანიკი, ნაწარმოებში კი ვარსკენი თვითონ უმკლავდება მეუღლეს, ხოლო ჯოჯიკი, რომელიც მძის დაწყნარებას შეეცადა მასაც მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა. საყურადღებოა, რომ ბრძანებას ასრულებენ ის ადამიანები, რომლებიც თანაუგრძნობდნენ დედოფლის გადაწყვეტილებას, განიცდიან მის მდგომარეობას. მათ რიცხვშია ჯოჯიკიც (ს. ლალიძე) და მისი ცოლი (მ. გამცემლიძე), ისინი პირველები არ ასრულებენ ვარსკენის ბრძანებას, ამავე დროს გამოხევენ პიტიახშის საქციელს, მაგრამ ემორჩილებიან მას. ამ ვითარებაში ნათლად ჩანს ის გარემო, რომელშიც შუშანიკს უხდება თავისი გადაწყვეტილების განხორციელება სპექტაკლში გმირები სქემატურად არიან წარმოდგენილნი. დაიკარგა მათი ხასიათები, რასაც შედეგად მოჰყვა ტექსტის ხარჯზე მოქმედების განვითარება. სცენაზე დარჩა მოქმედ პირთა პლაკატური სილუეტები.

ვარსკენი საერთო სტილიდან ამოვარდნილია. მსახიობმა ქ. ლოლაშვილმა შექმნა სახის ე. წ. ნიღაბი, მაგრამ გაუმართლებელი დარჩა მისი ასეთი საშუალებით გადაწყვეტა. ქ.

ლოლაშვილი ყოველ მოვლენაზე ერთნაირი გამომსახველობითი საშუალებებით რეაგირებს, ეს კი კარგავს სახის დამაჯერებლად გახსნის შესაძლებლობას. ამიტომაც გმირს პლაკატურობა დაეცო და გაქრა სცენური სიმართლე, რასაც გმირებს შორის გაურკვეველი ურთიერთობები მოჰყვა. ყოველი მათგანი გაცალკევებულია, არ იკვეთება მსახიობთა თამაშის ერთიანი ხაზი. კ. სტანისლავსკი წერდა: „რაც სცენაზე ხდება, რაიმე მიზანი უნდა ჰქონდეს“. სპექტაკლს კი ეს მიზანდასახულობა აკლია. სცენაზე მხოლოდ მოქმედებაში გამოხატულ სიტყვას აქვს მნიშვნელობა. მსახიობთა მიერ კი ქვევების მოტივირება არაა დამაჯერებლად წარმოდგენილი, რადგან მათი გამომსახველობითი საშუალებები არ მოქმედებენ, ვერ გამოხატავენ გმირთა ხასიათებს, მათ შინაგან სამყაროს, სულიერ მდგომარეობას.

შუმანიკის სახეს ი. გიგოშვილი პლასტიკური ფორმითა და საშუალებებით ახორციელებს, გმირის შინაგანი ხასიათის ძიების ცდას კი ნაკლებად მიმართავს. ამიტომაც მსახიობმა ვერ შექმნა მტკიცე ხასიათის მქონე, უკომპრომისო დედოფლის სახე. შუმანიკში არ იგრძნობა მისი პიზიცია - თუ რისთვის განუდგა მეუღლეს, ის პიროვნული საწყისი და სულიერი მდგომარეობა, რამაც აიძულა იგი გადაედგა გადამწყვეტი ნაბიჯი. ი. გიგოშვილი მთელი მოქმედების მანძილზე ერთფეროვნად აფასებს მოვლენათა განვითარების მსვლელობას (ვარსქენის რჯულის შეცვლას, საკუთარი განდგომის გადაწყვეტილების მიღებას. მხოლოდ სიზმრის სცენაში უმცროსი შვილის სიკვდილის ცნობას ამართლებს). აგრეთვე ძნელი გასარკვევია, თუ როდის ამქვანებს სულიერი მდგომარეობის ცვალებადობას, რაც ტექსტიდან უფრო ჩანს, ვიდრე მსახიობის გადმოცემით. მით უმეტეს, როცა რეჟისორი შეეცადა ვარსქენის გამართლებას - როგორც სამშობლოსთვის თავდადებული ადამიანისა. პიტიახშმა სარწმუნოება შეიცვალა სამშობლოს მტრის აოხრებისგან ხსნისთვის. როგორც ქვეყნის გამგებელი ვალდებული იყო საკუთარ მოთხოვნილებებზე უარი ეთქვა. ასეთი საქციელი მას სჭირდებოდა დროს მოსაგებად და ერის გასაძლიერებლად, რომ საბოლოოდ განთავისუფლებულიყო სპარსთა გავლენისგან.

ვარსქენის ასეთ მსჯელობას, შუმანიკი ვერ უპირისპირდება. განა შეიძლება სამშობლოს კეთილდღეობისთვის თავდადებული მეუღლის უარყოფა? შუმანიკის სახეს არა აქვს ჩამოყალიბებული საკუთარი პოზიცია - თუ რისთვის განუდგა მეუღლეს. მსახიობმა ამის ახსნა ვერ შეძლო. ერთმანეთს ვერ დაუპირისპირდა ის პრინციპი, რომ პიტიახში და დედოფალი საკუთარი ლოგიკით მართლები არიან. აგრეთვე გაურკვეველია სპარსი მოგვის (თ. სისაური) ფუნქცია. იგი ჩართული არაა მოქმედების განვითარებაში და მის პერსონაჟს არც რაიმე მნიშვნელობა ენიჭება.

იაკობ ხუცესი (გ. საღარაძე) მთხრობლის ფუნქციას ასრულებს. იგი მოქმედების განვითარების ცენტრშია მოქცეული. სპექტაკლში მისი საშუალებით ხორციელდება შუმანიკის და ვარსქენის ურთიერთობის განვითარება. ამასთანავე, გ. საღარაძე მოვლენებს თავისი დამოკიდებულების გადმოცემით აფასებს. ვარსქენს იგი დასცინის, როცა გაიგებს პიტიახშის დამოკიდებულებას წარმართული სარწმუნოებისადმი. იაკობი ღიმილნარევი ირონიით განუმარტავს ორივე სარწმუნოების წეს-ჩვეულებებს. როცა ვარსქენი დედოფალთან აგზავნის ხუცესს, იგი გამამტყუნებელი კილოთი და აღშფოთებით ატყობინებს პიტიახშს დედოფლის შემოთვლილ პასუხს. ფინალურ სცენაში გ. საღარაძე მონოლოგს კითხულობს,

სადაც მსჯელობაა ხალხზე, ერზე და ეს თემა მსახიობს მაყურებლამდე მიაქვს შინაგანი ძალით, გულწრფელობითა და სიამაყის გრძნობით.

საკამათოა მხატვრული გაფორმება (მხატვარი მ. შველიძე). გაუმართლებელია იაკობ ხუცესის - დედოფლის მოძღვრის, იგივე კოსტიუმით შემოსვა, როგორც ცქირს აცვია, ვინაიდან იმხანად ეკლესიას დიდი გავლენა ჰქონდა სამეფო კარზე და არ შეესაბამება ნაწარმოებში ისტორიულად ასახულ ვითარებას. ასევე საკამათოა ვარსკენის ჩაცმულობა ბოლო სცენაში, სადაც მომაკვდავ შუშანიკს წარმოესახება ქორწინების, მისი ბედნიერების დღე. ამ დროს, ვარსკენი სცენის სიღრმიდან გამოდის, რომლის სამოსიც არ შეესატყვისება სპექტაკლში ასახულ ეპოქას. იგი არღვევა მხატვრის მიერ თავიდანვე შემოთავაზებულ სტილს.

რელიგიური თემა საინტერესოდ განხორციელდა პანტომიმის თეატრში, სადაც, მწერალ რეზო მიშველაძის ლიბრეტოს მიხედვით, ამირან შალიკაშვილმა განახორციელა „წმინდა გიორგი“ და „ქრისტე“, რომელმაც თეატრს ახალი სიცოცხლე შთაბერა და, დღევანდელი სულიერი დეფიციტის ჟამს, საზოგადოებას ზნეობის, სათნოებისა და განწმენდისკენ მოუწოდა. თუმცა, თავიდანვე ამას საზოგადოების მცირე ნაწილი აგრესიულად შეხვდა. სპექტაკლ „წმინდა გიორგის“ პრემიერამდე „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირმა“ თეატრის წინ საპროტესტო აქციით უპასუხა, თითქოსდა წმინდანთა სცენაზე ჩვენება მიუღებელი ყოფილიყო. საპატრიარქომაც პრინციპულობა ვერ გამოიჩინა და და 2008 წლისა 8 მაისს გამოქვეყნებული განცხადებით ვითარება კიდევ უფრო დაძაბა: „ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ამა წლის 13 მაისს პანტომიმის თეატრი აპირებს სპექტაკლი დადგმას წმინდა გიორგის ცხოვრების შესახებ. რამდენადაც სჯულის კანონი და საეკლესიო ტრადიცია სრულიად მიუღებლად მიიჩნევენ მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანებთან დაკავშირებით სპექტაკლის დადგმას, საპატრიარქომ თხოვნით მიმართა ცნობილ რეჟისორს, ბატონ ამირან შალიკაშვილს, თავი შეეკავებინა ამგვარი ქმედებისგან. ვიმედოვნებთ, რომ სპექტაკლის ავტორიც და თეატრის დასიც ანგარიშს გაუწევენ საპატრიარქოს პოზიციას“. ამას მწერალმა რ. მიშველაძემ ასე უპასუხა: „ექვსი თვის წინ, როდესაც ამ სპექტაკლის დადგმა ჩავიფიქრეთ, მე და ამირან შალიკაშვილმა საპატრიარქოს ფონდში მამა გიორგის (ზვიადაძე) ამ სპექტაკლის ლიბრეტო მივართვით - გვინდოდა პატრიარქი საქმის კურსში ჩაგვეყენებინა ჩვენი გადაწყვეტილების შესახებ. მამა გიორგიმ ბრძანა, აქ პატრიარქი სამ დღეში თავად მობრძანდება, მას წარუდგინეთ და ეს ლიბრეტო მიართვითო. მართლაც ასე მოხდა. პატრიარქს ლიბრეტო გადავეცით და ჩვენი სურვილის შესახებ ვაცნობეთ. მან მოიწონა და ბრძანა - სასიამოვნოა, ასეთი გადაწყვეტილება რომ მიგიღიათო საინტერესო იცით რა არის?! მამა გიორგიმ მაშინვე რატომ არ გვითხრა ამის გაკეთება არ შეიძლებაო, ამის შესახებ განცხადება ექვსი თვის შემდეგ რატომ გააკეთა?! დარწმუნებული ვარ პატრიარქმა ამის შესახებ არაფერი იცოდა“. ასეთი ინციდენტის მიუხედავად, პრემიერამ წარმატებით ჩაიარა და საზოგადოებამაც დიდი ინტერესით მიიღო.

პანტომიმის თეატრში „ქრისტეს“ დადგმით დასრულდა ტრილოგია „მთვარისკენ ნასროლი მიხაკი“ (ტერენტი გრანელის პოეზიის მიხედვით) და „წმინდა გიორგი“. სამივე წარმოდგენის ლიბრეტო ცნობილ მწერალ რეზო მიშველაძეს ეკუთვნის, რომელმაც თეატრს ახალი სიცოცხლე შთაბერა და დღევანდელი სულიერი დეფიციტის ჟამს საზოგადოებას

ზნეობის, სათნოებისა და განწმენდისკენ მოუწოდა. თეატრის ხელმძღვანელმა და ამ უჩვეულო სპექტაკლების მაღალმხატვრულად დამდგმელმა, ამირან შალიკაშვილმა მოქმედება ემოციურად მძაფრ ტონალობაში წარმართა, სადაც რთულ, გამოუვალ ვითარებათა მიუხედავად, გმირები თავიანთი იდეალების ერთგულნი რჩებიან. ასეთია ამ ტრილოგიის მნიშვნელობა.

ამირან შალიკაშვილს „ქრისტე“ შემთხვევით არ განუხორციელებია. „წმინდა გიორგის“ დადგმისას, მორწმუნეთა სახელით გარკვეული ჯგუფის მიერ საკუთარი მიზნებისთვის გამართულ საპროტესტო გამოსვლებმა ნათელყვეს ამ თემისადმი მოუძნადებლობა, გამოავლინეს ადამიანთა უინტელექტობა და სარწმუნოებისადმი უპატივცემულობა. ამიტომაც „ქრისტე“ განგაშის ზარად გაისმა და საზოგადოების ჭეშმარიტი ღირებულებებისკენ შემობრუნებას შეეცადა. სპექტაკლი რეტროსპექტივის პრინციპით იწყება. ამაღლებულ ადგილას (უნდა ვიგულისხმოთ გოლგოთა), უგუნური ბრბოს განაჩენით ჯვარცმულ ქრისტეს (ა. შალიკაშვილი) ვხედავთ. მის ფერხთით დამხობილი მარიამ ღვთისმშობელი (ნ. ლორთქიფანიძე) განკაცებული მაცხოვრის ამქვეყნიურ ცხოვრებას იხსენებს. ხალხი ეთაყვანება მას, ტირის და ლოცულობს. აქ ვხედავთ საზოგადოების ქცევის ორ ასპექტს. ერთმა ნაწილმა ქრისტეს წამება მოითხოვა, მეორემ კი თავყანი სცა და ღმერთად აღიარა. ისმის კითხვაც - მაშ, როდის იყვნენ ეს ადამიანები საკუთარი სინდისის წინაშე მართლები? რა ფასად დაუჯდა კაცობრიობას უსამართლობა? ან როგორ უნდა ვიცხოვროთ მომავალში? რეტროსპექტივაც ამ კითხვებზე პასუხის გაცემის სურვილია - გადაწყვეტილების მიღებამდე მოვლენების სწორი განჭვრეტაა საჭირო, რომ საბედისწერო შედეგი არ მივიღოთ.

ქრისტეს დაბადებაც ხატოვნადაა გადმოცემული. ქალების გარემოცვაში სხეულზე გრძელი ფერადი მანდილები ალეგორიულად წარმოსახავენ ქრისტეს დაბადებას ცისარტყელას ფონზე, რომელიც სამომავლო იმედებთანაა დაკავშირებული. მსახიობი ნინო ლორთქიფანიძე გადმოსცემს პირმშოს შობის ტკივილსა და სიხარულს, რაც დედობრივ განცდებს უკავშირდება. მარიამი ხელების პლასტიკით მტრედს გამოსახავს, რაც ალეგორიულად სულიწმინდის ამქვეყნიურ მოვლინებას გვამცნობს. სწორედ ამ გრძნობით ქსოვს პერანგს, რომლითაც მოგვიანებით შვილს შემოსავს (ეს ასოციაციურად უფლის კვართია). ამ სიხარულს სამწუხარო ამბავი ცვლის - მეფე ჰეროდეს (ლ. ჩხაიძე) გადაწყვეტილებით, ყველა ახლადდაბადებული ბავშვი უნდა მოკლან. მეფე წითელი მოსასხამით (რაც ტირანის სიმბოლოც არის) შემოდის და ჯარისკაცებს მარიამისთვის წართმევას ღვარძლიანად უბრძანებს. მსახიობ ლუკა ჩხაიძის გმირში ჩანს დაუნდობლობა, სიძულვილი და ადამიანის სიცოცხლის არაფრად ჩაგდება. მისი მმართველობა ურჩხულის ასოციაციას იწვევს, რომელიც სიკვდილის მახვილს დაუფიქრებლად იქნევს. მარიამი სასწაულებრივად გაურბის მდევარს, რაც პლასტიკაში ეფექტურად აისახება და ვითარების ტრაგიკულობას გამოხატავს. საბოლოოდ, ჯარისკაცები უკუსვლით და შენელებული მოძრაობით გადიან სცენიდან, რაც ჰეროდეს ჩანაფიქრის მარცხს ნიშნავს.

მომდევნო სცენაში შემოდის წელს ზევით შიშველი ქრისტე, რომელსაც გულზე ჯვარი ჰკიდია. სწორედ ამ დროს აცმევს მარიამი თავის მოქსოვილ პერანგს, რომელსაც ორივე ხელში თეთრი ნაჭერი უჭირავს. იგი მდინარის ასოციაციას ქმნის, როდესაც ქრისტე მასში

ამოვლებული ჯვრით ქალებს ნათლავს. ეს ქალები ვაზსაც განასახიერებენ, რომლიდანაც ვაზის ჯვარს იღებს, რითაც ჯვრისა და ვაზის ერთობა ქრისტიანობის სიმბოლოდ აღიქმება. ამიტომაც მეორდება მტრედის სიმბოლოს წარმოსახვა. ბოლოს, ქრისტე საკუთარ ჯვარს კიდებს დედას. მარიამის გაქრისტიანება ნიშნავს ხალხის მოქცევას, რითაც ქრისტიანობას დაედო სათავე.

ამ წმინდა სამყაროს შავმოსასხამიან რაბინთა კორუმპირებული წრე უპირისპირდება. ისინი ფულს ინაწილებენ და ითვლიან, რა დროსაც სიხარულის ეიფორიაში მყოფნი ცეკვავენ, ხოლო კამათისას ჩხუბობენ კიდევ. წითელ ქისას ერთმანეთს უგდებენ, რაც საზოგადოებაში არსებულ მექრთამეობაზე, სულიერ გახრწნილებაზე მიანიშნებს. მათ შორის იუდასაც (დ. შალიკაშვილი) ვხედავთ, რომელიც ამ ვაჭრობაში აქტიურადაა ჩაბმული და თავისი მიზნების განხორციელებას გეგმავს. ეს ჯგუფი ერთიანად მოქმედებს, ფულის შოვნისა და მომხვეჭელობის ინტერესი ამოძრავებს. ვაჟთა ქოროს თითოეული წარმომადგენელი ინდივიდუალურ სახეს ქმნის, რომელთაც ერთიანი მიზანი აქვთ. რაბინთა საქციელში კარგად ჩანს ის სამყარო, რამაც ქრისტე აღაშფოთა. „თავის სახლში“ დაბრუნებულმა ყველანი გაყარა და უწმინდურთაგან განწმინდა იერუსალიმის დიდი ტაძარი. ზოგი შეიგნებს თავის ცოდვას, ქრისტიანობის გზას ადგება და ლოცულობს.

ქრისტეს, ადამიანთა კიდევ ერთი ცხოვრებისეული ნაკლი - ხორციელი ვნება აქვს განსასჯელი. სხვადასხვა ფერთა მოსასხამიან ქალთა გარემოცვაში, ამაღლებულ პოდსტამენტზე ქალისა და მამაკაცის ფიგურები ჩნდება. თითქოს ქალის ფიგურის ქანდაკების პროცესი მიმდინარეობს, რაც როდენის „კონცას“ გვაგონებს და მხატვრული პლასტიკით, ემოციით მარია მაგდალინელის (ს. ფილიშვილი) სამყაროს წარმოგვიდგენს. რეჟისორული გადაწყვეტით, იგი უფრო ღირსეულად გამოიყურება, ვიდრე ის შავმოსასხამიანთა რაბინთა ჯგუფი, რომელიც ქრისტემ ტაძრიდან უზნეობისთვის გამოაგდო და ახლა მარია მაგდალინელის ჩაქოლვას ლამობს. ამ კონტრასტულ ფონზე პლასტიკურად კარგად იკითხება ქრისტეს ცნობილი ფრაზა: „ვინც თვით არა სცოდა, პირველ იმან ესროლოს ქვა“. მართალია, ქრისტე მათ ქვებს ხელიდან აგდებინებს, მაგრამ ამ ქვებს ისინი უკვე სხვებს ესვრიან, რა დროსაც ხელები უშემდებათ. ქრისტე ნაცემ ქალებს წამოაყენებს, რომლებიც თავიანთ ჯალათებს შავ მოსასხამებს გახდიან და საკუთარ ფერად მოსასხამებს აცმევენ. ეს არის ურთიერთშენდობის, ურთიერთსიყვარულის რიტუალი და ქრისტე მათ სულიერად აერთიანებს. ამის შემდეგ, ისინი თავიანთ საქციელს ინანიებენ და ქრისტე მათ ვაზს არგვევინებს - მიწისა და ზეცის ფასს ასწავლის, ანუ ცხოვრებისეულ ფასეულობებს შეამეცნებს. თითოეულ მათგანს ჯერ ფეხებს ბანს, შემდეგ მდინარეში ამოვლებულ ჯვარს ჰკიდებს.

ამდენად, ქრისტემ შეუნდო თავის გამცემებსა და მაწამებლებსაც, შეძლო ადამიანთა მანკიერებების ნაწილობრივ გამოსწორება, მაგრამ იგი გრძნობს სიკვდილის გარდღევალობას. სწორედ ამაზე ფიქრობს განმარტოებული, როდესაც გვერდით დანახულ ადამიანის ფიგურეს ხელებს შეავლევინებს და ჯვრის ფორმას აძლევს. ქრისტეს გარშემო ჭორები ვრცელდება. იუდას ხელში წითელი ქისა, ქრისტეს გაყიდვის მანიშნებელია და ხალხიც პილატესგან (ი. ბიბილური) მის დასჯას ითხოვს, რომელმაც „ხელები დაიბანა“ და მოსამართლის ნაცვლად, ბრბოს ნების აღმსრულებელი აღმოჩნდა. ქრისტეს იჭერენ, როზგავენ, პერანგს შემოახევენ და

მარიამ ღვთისმშობელს მიუგდებენ. თავზე ეკლის გვირგვინს ადგამენ და გოლგოთას გზას გაუყენებენ. ა. შალიკაშვილი-უმცროსი ამ სცენებს საოცარი განცდით წარმოგვიდგენს. მასში ჩანს ადამიანური განცდა, გაკვირვება და თუ რატომ მოექცნენ სიკეთის სანაცვლოდ ასე დაუმსახურებლად და უმადურად. ფიზიკური ტკივილის გარდა, სულიერადაც იტანჯება თანამომძმეთა დაუნდობლობის, ზნეობრივი დაცემისა და არსებული უსამართლობის გამო. ჯვარზე გაკრული მამა ზეციერს ადამიანთა შენდობას სთხოვს და თავისი ქველობით კაცობრიობას გადარჩენის შანსს უტოვებს.

სახიერადაა გაკეთებული სცენა, სადაც ქრისტეს უჭირს ჯვრის ტარება. ამ დროს ადამიანი-ჯვარი თავად ეხმარება მას ხელს უწვდის - ხან წამოაყენებს, ხან თავადვე ატარებს ქრისტეს და ტანჯვის შემსუბუქების სიმბოლოდ წარმოგვიდგება. ცოდვილ მიწისგან სწორედ ჯვარი აღამაღლებს მას და უკვდავებისკენ მიჰყავს. ჯვარცმისას მიწა იძრა, ყველაფერი შეტორტმანდა, ჩამობნელდა და ხალხიც დაიბნა. შემდეგ სცენაში შუქი თანდათან ინთება და მლოცველები ქრისტეს აღდგომის მოწმენი ხდებიან - იგი ზეცისკენ მიფრინავს, რასაც ა. შალიკაშვილი უმცროსი პლასტიკურად, სახიერად გვიჩვენებს, რომელშიც სულიერი სიმშვიდე გამოსჭვივს.

მთელი მოქმედება კომპოზიტორ გ. ჩლაიძის მიერ შერჩეულ კ. ორფის „კარმენა ბურანასა“ და კ. დებიუსის „მთვარის შუქის“ მუსიკის ფონზე მიმდინარეობს და რეჟისორული ჩანაფიქრს კონცეპტუალურად გამოხატავს, გმირთა სულიერ განწყობაზე მიგვანიშნებს.

რელიგიურ თემის მიმართ სისტემატური ინტერესი რეჟისორ სანდრო მრევლიშვილს აღედრა მეტეხის ახალგაზრდულ თეატრ-სტუდიაში, სადაც საკუთარი პიესების მიხედვით განახორციელა რამდენიმე სპექტაკლი: ცნობილი ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები „კოლაელ ყრმათა წამება“, „იესო ნაზარეველი“, „განკითხვის დღე,“ (რუის-ურბნისის კრების, სახარების მიხედვით). ი. ჭავჭავაძის მიხედვით „განდეგილში“ ჩამატებული იყო ბიბლიური სიუჟეტები, რომელთა მიხედვითაც თავად განდეგილი ქრისტედ გადაიქცეოდა. ამის დასტური გახლდათ იესოს ფეხთაბანის, მარია მაგდალინელის ჩაქოლვისა და ლაზარეს აღდგინების, ქრისტეს თორმეტი მოციქულისთვის ფეხთაბანის (დიდი ხუთშაბათის), ბრმის განკურნებისა და ხეიბრის სცენები. რეჟისორული გადაწყვეტით, განდეგილი წარმოსახვით დედამიწაზე ქრისტეს მოციქულად აღიქმებოდა. განდეგილი ცხოვრებისგან მოწყვეტილი კი არა, არამედ ბოროტ ძალებთან მეზრძოლია. მის კითხვებს პასუხს სცემს ღმერთი - მწირი უფლის მიერ მინიშნებების ამომცნობელია. საინტერესოა, რომ მეტეხის თეატრი ტაძარში მდებარეობდა და გარემოც ხელს უწობდა რეჟისორის წარმოსახვას. ამდენად, შეერწყა ერთმანეთს „განდეგილისა“ და სახარების შინაარსობრივი მხარე.

შემდეგი სპექტაკლი „კოლაელ ყრმათა წამება“, კოლას ხევში, მდინარე მტკვრის სათავესთან იყო ერთი დიდი სოფელი. ამ სოფლის მკვიდრთა უმრავლესობა წარმართი იყო, ისინი კერპებს სცემდნენ თავყვანს. მხოლოდ მცირედი მათგანი იყო ქრისტიანი – ჭეშმარიტი ღვთის მსახური.

ქრისტიანთა და წარმართთა შვილები, როგორც საერთოდ ბავშვებს სჩვევიათ, ყოველ დღე ერთად იკრიბებოდნენ და თამაშობდნენ. შებინდებისას, როცა სოფლის მღვდელი მწუხრის ზარებს ჩამოჰკრავდა, მართლმორწმუნე ყრმები წესისამებრ ეკლესიაში მიდიოდნენ

სალოცავად, წარმართთა შვილები კი, რიცხვით ცხრანი, უკან მიჰყვებოდნენ მათ, რადგანაც ისინი მეტად შეთვისებულნი იყვნენ ქრისტიან ბავშვებთან და უყვარდათ იმათი რჯულიც. მაგრამ, როდესაც ეკლესიის კარს მიადგებოდნენ, ქრისტიანები მათ შიგნით არ უშვებდნენ და ასე ეუბნებოდნენ: თქვენ კერპთმსახურთა შვილები ხართ და ღვთის სახლში თქვენი შემოსვლა უმართებულოაო! ერთხელაც ყრმებმა ძალით სცადეს ეკლესიაში შესვლა. მაშინ ქრისტიანებმა უთხრეს მათ: თუკი ეკლესიაში შემოსვლა გინდათ, ირწმუნეთ უფალი ჩვენი იესო ქრისტე, ნათელ იღეთ მისი სახელით, ეზიარეთ მის წმინდა საიდუმლოს და ჩვენ შემოგვიერთდითო.

ცხრა ყრმამ სიხარულით მიიღო რჩევა. მათ გადაწყვიტეს მონათლულიყვნენ. მაშინ ქრისტიანებმა ამ ამბის საცნობებლად სოფლის მღვდელს მიაშურეს, რომელიც ღირსი და პატიოსანი ადამიანი იყო და წმინდა ცხოვრებით ცხოვრობდა. როცა მღვდელმა მოისმინა ყრმათა გადაწყვეტილების შესახებ, მას გაახსენდა სიტყვები სახარებიდან: „ვინც არ დაუტევებს მამასა თვისსა და დედასა თვისსა, დებს და ძმებს, ცოლსა და შვილებს, და არ აიღებს თავის ჯვარს, და არ გამომყვება მე, იგი არა არს ჩემდა ღირს“.

მაშინ, ერთ ღამეს წავიდა მღვდელი მდინარის სათავისაკენ, მას თან ახლდა ცხრა ყრმა და მრევლი. ეს ხდებოდა ზამთრის ყინვიან ღამეში, რადგან დღისით მღვდელი ვერ გაბედავდა ბავშვების მონათვლას წარმართთა შიშით. და აკი უფალმა იესო ქრისტემაც ღამით იღო ნათელი იორდანეში იოანე ნათლისმცემლისაგან. მონათლული ყრმები შინ, თავიანთ მშობლებთან აღარ დაბრუნებულან, ქრისტიანებთან დარჩნენ და მათთან ერთად ცხოვრობდნენ.

წარმართი მშობლები ძალიან განრისხდნენ, მივიდნენ და თავიანთი შვილები ძალით წამოიყვანეს ქრისტიანთა სახლებიდან. ცემით, ჩხუბითა და ლანძღვა-გინებით მიიყვანეს შინ. უმოწყალო გვემით დააწყლულეს მათი პატარა სხეულები. ყრმები კი მხოლოდ ამას ეუბნებოდნენ თავიანთ მშობლებს: ჩვენ ქრისტიანები ვართ და არ გვმართებს კერპთათვისის შეწირული საჭმელ-სასმელის მიღებაო.

– როცა მშობლებმა ნახეს, რომ ვერ შეარყევდნენ ყრმების მტკიცე რწმენას, მაშინ თავიანთ მთავარს მიმართეს, რომელიც ასევე წარმართი იყო, და აუწყეს მომხდარის შესახებ. მთავარმა მათ უთხრა: – შვილები თქვენი არიან და უფლება გაქვთ, როგორც გინდათ, ისე მოექცეთ. ამაზე მშობლებმა მიუგეს: გვიბრძანე და წამოდი ჩვენთან ერთად და ქვით ჩავკოლოთ ისინი, რომ მათი მიბაძვით სხვებიც არ გაქრისტიანდნენო. ამის შემდეგ დანიშნეს დღე ტანჯვისათვის. დანიშნულ დღეს გამოვიდა მთავარი და მას თან მიჰყვა ურიცხვი ხალხი. ისინი მივიდნენ მდინარის სათავესთან, სადაც ადრე ნათელ იღეს ყრმებმა. ამოთხარეს ღრმა ორმო. მშობლებმა მიიყვანეს და ამ ორმოში ჩაყარეს წმინდა ყრმები, რომელთაგან ყველაზე უფროსი ცხრა წლის იყო და ყველაზე უმცროსი – შვიდის. მათ სხვა არაფერი იცოდნენ, თუ რა ეთქვათ და მხოლოდ ამას იმეორებდნენ: ჩვენ ქრისტიანები ვართ და მისთვის ვივინებით და მოკვდებით, რომლის მიმართაც ნათელ ვიღეთო. მაშინ უღმერთო მშობლებმა ქვებით თავები გაუჭყქყეს შეკრებილმა ხალხმაც ქვები დააყარა მოწამეებს, ვიდრე ორმო არ ამოივსო და წმინდა ცხედრები ქვებით არ დაიფარა. ბოლოს ამოთხრილი მიწაც ზედ მიაყარეს მათ. ამგვარად, ყრმების წამების ადგილი მათთვის სამარხადაც იქცა.

ამდენად, კომუნისტური იდეოლოგიის მიუხედავად, ქართული თეატრი ახერხებდა რელიგიური თემის განხორციელებას, რომლის მიზანსაც ზნეობრივ-ეთიკური პრობლემების ჩვენება, ისტორიული მოვლენების გადმოცემა და გმირთა ხასიათების წარმოსახვა შეადგენდა. დამოუკიდებელი ქვეყნის პირობებში კი უფრო თავისუფლად, ყოველგვარი ცენზურის გარეშე ხდება ამ წმინდანთა ცხოვრების ჩვენებას. თეატრი მხარს უჭერს პიროვნებისა და საზოგადოების სარწმუნოებრივ ერთიანობას, მისი დაცვის აუცილებლობას საყოველთაო გლობალიზაციის პირობებში, როცა ჩვენი სახელმწიფო რელიგიის წინააღმდეგ გარკვეული ძალები ილაშქრებენ. საზოგადოება უკვე საჯაროდ და ღიად უჭერს მხარს რელიგიის თავისუფლებას, რომელიც კონსტიტუციურად აღიარებულია საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებული როლი საქართველოს ისტორიაში. ამიტომ თეატრი განამტკიცებს სახელმწიფო რელიგიის მნიშვნელობას და მასთან მოქალაქეთა სულიერ კავშირს, რაც საფუძვლად უნდა დაედოს ეროვნული იდეოლოგიის აღორძინებას.

ქართული თეატრი უჩვენებდა, რომ წმინდანები არაბუნებრივ ძალთა შექმნილნი კი არა, არამედ ისინი ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ, რომლებიც გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული თავდადებით საკუთარი რწმენის დასაცავად და შესანარჩუნებლად. სამაგალითოდ უჩვენებდნენ ადამიანთა შორის მოყვასის პატივისცემას, პატიოსნად ცხოვრებასა და ზნეობრივ მრწამსს, რამაც უნდა განაპირობოს თავისუფალი, დემოკრატიული და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება.

გამოყენებული ლიტერატურა და ბიბლიოგრაფია:

მეგრელიძე, გ. (2010). „ქრისტე“ პანტომიმის თეატრში. გაზეთი ქართული სიტყვა. #12. მაჭავარიანი, ნ. კოლაელ ყრმათა წამება. გაზ. ქართული თეატრის დღე. #1.

Gubaz Megrelidze
Creative Union Georgian Theatrical Society

Religious theme in Georgian theater

Summary

Religious topics were banned in Soviet times. Churches were destroyed, ecclesiastics were persecuted, young people were forbidden to attend religious celebrations. Priests were seen as negative or ridiculous characters in theater and film.

In such ideological conditions, when the artists were given the task of depicting socialist realism, figuratively speaking, when the pen was entrusted with the construction of scaffolding, it was difficult to realize a hagiographic work. Such an attempt was made by the famous playwright Mikheil Mrevlishvili, who wrote a play based on the first literary monument of Georgian literature, “The Torture of Shushanik” by the 5th-century hagiographer Iakob Curtaveli. This play was staged at the Marjanishvili Theater in 1968 by his son, director Sandro Mrevlishvili. Later, in 1978, it was staged by the famous director Mikheil Tumanishvili at the Theater of Film Actors, and at the Rustaveli Theater by director Nana Khatiskatsi.

Director Sandro Mrevlishvili systematically became interested in the religious theme in the Metekhi youth theater studio, where he staged several performances based on his own plays: the famous hagiographic work "Torture of the Kolaian Children", "Jesus from Nazareth". , "Judgment Day" (community of Ruiz-Urbnis, according to the Gospel), according to I. Chavchavadze, biblical stories were added to Hermit, according to which Hermit himself will turn into Christ. This was evidenced by the scenes of the washing of the feet of Jesus, the stoning of Mary Magdalene and the resurrection of Lazarus, the washing of the feet of the twelve apostles of Christ (Maundy Thursday), the healing of the blind and cripple scenes. By decision of the director, hermit was perceived as an apostle of Christ on earth. The hermit is not solitude, instead he was a fighter against evil forces. God will answer his questions. A rare discernor of hints from the Lord. Coincidentally, the Metekhi theater was located in the temple, and the setting also contributed to the director's imagination. This is how the content of hermit and the Gospel merged.


Religious themes were interestingly implemented in the pantomime theater, where, according to the libretto of the writer Rezo Mishveladze, Amiran Shalikashvili performed "Saint George" and "Christ", which breathed new life into the theater and called society to morality, virtue and purification in times of spiritual shortage.

გიორგი (გოგა) ბერიძე
დამოუკიდებელი მკვლევარი

თბილისი ცოცხალი ქალაქია

მსოფლიოში მრავალი ხელოვნური და ბუნებრივი ქალაქია. ხელოვნური ქალაქები ბუნებრივისაგან განსხვავებით, განაშენიანებისაგან თავისუფალ ტერიტორიაზე არის ჩაფიქრებული, დაგეგმარებული და განხორციელებული. ასეთია მრავალსაუკუნოვანი და ახალი დროის ურბანული პრაქტიკა, მრავალი მაგალითით ევროპის, ამერიკის, აზიისა და აფრიკის ქვეყნებში. ამ ქალაქების დაგეგმვას ყოველთვის კონკრეტული საფუძველი ჰქონდა. სხვადასხვა პერიოდში ამა თუ იმ გეგმარებით, ხშირად ძალიან საინტერესო შედეგები მიიღწეოდა. საუკუნეების განმავლობაში შექმნილი ფორმები ვრცელდებოდა და ვითარდებოდა ახალ-ახალი მოთხოვნების შესაბამისად. ხელოვნური ქალაქების განვითარების ეს პროცესი მრავალფეროვანია, საინტერესო და კარგადაც არის შესწავლილი. ბუნებრივი ქალაქები კი წარმოიშვა და განვითარდა კონკრეტულ ადგილას ბუნებრივი ფაქტორების და ორგანული ისტორიული პროცესების გამო.

ძველი და ახალი ხელოვნური ქალაქებია:




1. ალექსანდრია.



2. ვაშინგტონი.



3. ბარსელონა



4. ჩიკაგო.



5. პალმანოვა.



6. ლას-ვეგასი.

ძველი და ახალი ბუნებრივი ქალაქებია:

7 პარიზი, 8 ლონდონი, 9 რომი, 10 მოსკოვი, 11 ბერნი, 12 თბილისი და სხვა, ბუნებრივი ისტორიული ქალაქებია.



7. პარიზი.




8. ლონდონი.




9. რომი.



10. მოსკოვი.



11. ბერნი.



12. თბილისი

ჩვენი ინტერესის საფუძველი თბილისის ის ურბანული თავისებურებებია, რომლებიც მას როგორც ხელოვნურად, ისე ბუნებრივად ჩამოყალიბებულ ქალაქებს შორის გამოარჩევს. ბუნებრივი ქალაქის ფორმირებისას, ცხადია, მოქალაქე ყურადღებას ბუნებრივ ასპექტებზე, ტერიტორიის გეოგრაფიულ თავისებურებებზე, გეოპოლიტიკურ ვითარებაზე, ანუ ქალაქის გეოსტრატეგიულ მდებარეობაზე ამახვილებს, რასაც, საერთო ჯამში Genius Loci / გენიუს ლოცი, „ადგილის დედა“ ეწოდება.



თბილისის "გენიუს ლოცი" არის მდინარე მტკვარი, მისი ხეობის რთული რელიეფი და საერთაშორისო მნიშვნელობის აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი ისტორიული საქარავნო სატრანზიტო გზა, რომლის ერთი მნიშვნელოვანი ტოტი, ხაზი, მონაკვეთი, თბილისის გავლით, მტკვარს მიუყვებოდა.

მდინარე და გზა საუკუნეების განმავლობაში აყალიბებდნენ თბილისის განაშენიანების გრძივ ფორმას, გრძივ ურბანულ სტრუქტურას. ამის გამო თბილისს სხვა ბუნებრივი ქალაქებისაგან უნიკალურად გამორჩეული, მკვეთრად გამოხატული გრძივი ურბანული ფორმა აქვს მდინარისა და უძველესი საქარავნო გზის გასწვრივ ქალაქის ზრდის მუდმივი ტენდენციით.


თბილისი ბუნებრივად არის წარმოქმნილი, ის ცოცხალი ქალაქია და ეს მისი ისტორიული თავისებურებაა. საუკუნეების განმავლობაში იგი ჩაისახა, დაფუძნდა,

განვითარდა, მიაღწია ორგანიზებულ სტრუქტურას, მიიღო ქალაქური ფორმა და დაამკვიდრა ქალაქური ცხოვრების გენეტიკური წესი. რადგან დრო მუდმივად ცვლის ყველაფერს ქალაქების ცხოვრებაში, ბუნებრივია ცვლილება ქალაქის ფორმაზეც აისახება. თუმცა, უცვლელი რჩება ამ პროცესების კვალი ურბანულ ქსოვილში, რომელშიც ჩანს ყველაფერი, რაც ქალაქში ხდებოდა და ხდება. ბუნებრივი ქალაქის ისტორიულ ურბანულ ფორმებშია დაფიქსირებული ქალაქის წარმოქმნის საწყისი, გენეზისში არსებული თავსებურებები, მემკვიდრეობა, უწყვეტი ტრადიციები, მათი შენარჩუნება თუ უარყოფა, თანამედროვეობა და, ალბათ, მომავალიც. მნიშვნელოვანია ბუნებრივი ქალაქის ურბანული ფორმის წარმოქმნის მთავარი პრინციპის გარკვევა, ისტორიულად, ბუნებრივად ჩამოყალიბებული "გენეტიკური კოდის" პოვნა, რომელიც მას აქვს.

თბილისის ისტორიული გეგმები:




ბუნებრივი ქალაქები არ გვანან თბილისს. თბილისის მსგავსი, წაგრძელებული ფორმის, მილიონიანი ქალაქი თბილისთან შესადარებლად, ჯერ ვერ ვნახეთ. როგორც ჩანს, ბუნებრივი ქალაქის ჩამოყალიბებისას კონკრეტული გეოსტრატეგიული ვითარება იმდენად მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია, რომ თბილისის გეგმის სიგრძივობისადმი მრავალსაუკუნოვანი სწრაფვა გამოავლინა. დღეს, ეს სწრაფვა გამოიხატა ავჭალა-ორთაჭალის თითქმის 20 კილომეტრიანი ფუნქციური ღერძის შემადგენელი ელემენტების გრძივი ურთიერთგანლაგების ბუნებრივი განვითარებით და არა ურბანისტების მიერ სპეციალურად ჩაფიქრებული არაორგანული გეგმებით, რომლებიც ბევრი იყო საბჭოთა ხელისუფლების ეპოქაში.



თბილისის 1896 წლის გეგმა

რადგან თბილისის გეგმის ნათლად გამოხატული გრძივი ფორმა ქალაქის ისტორიულ წარსულში, ქალაქის ჩასახვისთანავეა ბუნებრივად ჩამოყალიბებული და დღემდე არსებობს, ის თბილისის სტრუქტურის გენეტიკის მთავარი შინაარსია და, ამდენად, თანამედროვე ურბანული სტრუქტურის საფუძველიც არის და უნდა იყოს მომავალშიც.



17, 18, 19. ავჭალა-ორთაჭალის თითქმის 20 კილომეტრიანი ფუნქციური ღერძი.



20. ლონდონი.



21. პარიზი.



22. მოსკოვი.

ამჟამად თბილისის რეალური ურბანიზმი ისეთია, თითქოს ქალაქის დაგეგმარება, როგორც წინა ათწლეულებში იყო დაკანონებული, წინასწარ განსაზღვრული ურბანული შინაარსის გარეშე დარჩა. თუმცა, არსებობს ცოტა ხნის წინ დამტკიცებული მიწათსარგებლობის ახალი, თანამედროვე გენერალური გეგმა, რომელიც ხშირად იცვლება და ირღვევა. თბილისის ურბანიზმი, რაღაც თვითმობრავ ნაკადად იქცა, რომელიც დასაბამს

ხანდახან კონკრეტული პროექტიდან, ცალკეული ურბანული ჩანაფიქრიდან კი იღებს, მაგრამ შემდგომ ვითარდება საკუთარი გზით, თითქოს ავლენს უძველეს „ურბანულ გენეტიკას,“ რომელიც საუკუნეების განმავლობაში მოქმედებდა ქალაქის განვითარებაზე. თითქოს ეს გამორჩეული ქალაქი ამბობს, რომ იგი ბუნებრივი და ცოცხალია, მისი ფორმა კი, ბუნებრივად, თავისი “ურბანული გენეტიკის” შესაბამისად განვითარდება. რადგან ურბანისტმა ავტორმა დაკარგა პროფესიული პოზიცია, შეიქმნა ახალი ფსიქოლოგიურ-სოციალური ურთიერთობა გამორჩეულ ქალაქსა და გამორჩეულ მოქალაქეებს შორის. აქ იბადება კითხვა: ხომ არ არის ეს ვითარება, გამორჩეულ მოქალაქე-ინდივიდთა შემოქმედება, როგორც ურბანული შემოქმედების ახალი ფილოსოფია? ხომ არ იქცა ურბანიზმისაგან "შორს მდგომი" ფილოსოფიური მიმდინარეობა ფენომენოლოგია "თბილისურ ურბანულ ფენომენოლოგიურ ფილოსოფიად?" იქნებ, ამ ახალ ურთიერთობას პირობითად ვუწოდოთ ფენომენოლოგიური ურბანული ურთიერთობა, რომელმაც ურბანისტი არქიტექტორი ჩამოაგდო თანამედროვე ურბანიზმის ავტორის, ყოვლისშემძლე პოზიციიდან, იგი იქცა რიგით მოქალაქედ, დაკნინდა რიგითი სტუმრის დონემდე, რომელიც არც მოქალაქეა და არც რაიმე დარგის პროფესიონალი და არც არაფერი იცის ქალაქის შესახებ, თუმცა ცდილობს ქალაქის განვითარებაში მიიღოს აქტიური მონაწილეობა.

ახალ წესად დამკვიდრდა სხვადასხვა ურბანული პროექტების თვითმომრაობის ეფექტი. თითქოს პროექტის ავტორი, არქიტექტორი ამ პროცესში აღარ არსებობს. არსებობს მხოლოდ კონკრეტული სურვილი ახალი, მომგებიანი მშენებლობის წარმოებისა. გაჩნდა ერთგვარი განუსაზღვრელობა და შეიქმნა ქაოსი, დაკავშირებული ურბანული განვითარების გაურკვევლობასთან, გარემოს დაგეგმვის ნაკლებობასთან, მიწის განურჩეველ გამოყენებასთან, მოუწესრიგებელ ინფრასტრუქტურასა და ტრანსპორტთან და, რაც მთავარია, ქალაქსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის დაკარგვასთან. შედეგად ქალაქში ჩნდება ურბანული პრობლემები, რთულდება ცხოვრება.

ძნელი გასარკვევი გახდა თუ რას გვეუბნება რომელიმე პროექტის არქიტექტორ-ურბანისტი. უფრო სწორად, ის ვერაფერს გვეუბნება, რადგან თვითონაც მსხვერპლია იმ ურბანული დინებისა, რომელიც მისდაუნებურად შეიქმნა. თბილისური „ცნობიერების ნაკადის ურბანიზმში“ პროექტი ფასობს არა იმის მიხედვით, თუ რას გვეუბნება არამედ, იმის მიხედვით, თუ რას არ გვეუბნება, რის შესახებაც მხოლოდ მიაინიშნებს. ეს ვითარება მოქალაქეში აღვიძებს თბილისის ურბანიზმის მიმდინარე პროცესის საკუთარი ინტერპრეტაციით გაგების სურვილს. თბილისის ურბანიზმში გაჩნდა მოქმედების განუსაძღვრელი თავისუფალი სივრცე, რომელსაც მოქალაქეთა და ქალაქის სტუმართა თვითნებური ქცევა და ფანტაზია ავსებს. გამორჩეული მოქალაქე იყენებს ურბანულ გარემოს მრავალმხრივი ასპექტებიდან მხოლოდ მის მოთხოვნათა დაკმაყოფილების სურვილს, რაც ეხმარება ამ მოქალაქეს შექმნას მხოლოდ მისთვის დამაკმაყოფილებელი და მოხერხებული ურბანული გარემო მხოლოდ ამ გამორჩეულ მოქალაქეთა შინაგანი გამოცდილებისა და საჭიროებების შესაბამისად. რადგან "ნაკადი" ყურადღებას ამახვილებს ადამიანის შინაგან სამყაროზე და არა ქალაქის ურბანიზმის ასპექტებზე, ურბანიზმის მნიშვნელობა და

საზოგადოებრივი მოთხოვნები, გაუთვალისწინებელი რჩება. ასე მოქმედებს "ცნობიერების ნაკადის" პრინციპები თბილისის ურბანული დაგეგმვარების კონტექსტში.

მიუხედავად იმისა, რომ ურბანულ საქმიანობაში „ცნობიერების ნაკადი“ ოფიციალურად ჯერ არ აღინიშნება, პიროვნების შინაგანი სამყაროს გავლენა ურბანულ სივრცეზე თანდათან თანამედროვე თბილისის ურბანული განვითარების მნიშვნელოვან კომპონენტად იქცა. ჯერ არ ვიცით ეს პროცესი ქალაქისათვის ცუდია თუ კარგი. ამას დრო გვაჩვენებს. გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ თბილისის თანამედროვე ურბანიზმში „თვითნებური ურბანიზმის ცნობიერების ნაკადის“ მოვლენა ნათლად შეინიშნება, არსებობს და ძალასაც იკრებს.

რადგან თბილისელ ურბანისტთა დღევანდელი მოღვაწეობა სირთულეებს აწყდება, როგორც ჩანს, მეოცე საუკუნეში გავრცელებული ურბანული მეთოდების გადახედვა და ახალი მეთოდების დამატებაა აუცილებელი. განაშენიანების ინტენსიფიკაციის პირობებში საჭიროა გამორჩეულმა მოქალაქეებმა ისწავლონ მეგალოპოლისის ახლებური დაგეგმვა და მართვა. ახალმა ურბანულმა ხედვამ უნდა შექმნას ურბანიზმის ახალი კონცეფცია შესაბამისი მნიშვნელობით.

საინტერესოა, რას "გვეუბნება" ცოცხალი ისტორიული ქალაქი თბილისის დღევანდელ პრობლემებთან დაკავშირებით? იქნებ, როგორც ზემოთ ითქვა, „თვითნებური ურბანიზმის ცნობიერების ნაკადში“ თბილისის ყოფნა გამოვლენაა სწორედ იმ "ურბანული გენეტიკისა", რომლის შესაბამისად, თბილისის განაშენიანებას ქალაქის ისტორიის უძველესი დროიდან გამორჩეული მოქალაქეები ქმნიდნენ და ამ პროცესში ბუნებრივად წარმოქნილი ურბანული ფორმა დღესაც, ისევ გამორჩეულ მოქალაქეთა მიერ იქმნება, ყალიბდება.

ბუნებრივი ქალაქი ამით ავლენს „ურბანულ გენეტიკას,“ რომელიც პირდაპირ მოქმედებს ქალაქის განვითარების ფორმაზე. "ურბანიზმის ცნობიერების ნაკადის" დღევანდელი მონაწილენი ქვეცნობიერად მაინც ემორჩილებიან თბილისის ფორმის სიგრძივობას, ურბანული ფორმის ძირითად გენეტიკურ თავისებურებას, ანუ, დღევანდელი გამორჩეული მოქალაქეები ქალაქს განივად ვერ ავითარებენ, რადგან შიდა ქართლის გეოსტრატეგიული ვითარება უცვლელია. ქალაქში ისეთივე რთული რელიეფია, როგორც წარსულში, იგივე მთებია. თბილისის გარშემო არ არის ახალი ურბანული დასახლებები იმდენად განვითარებული, რომ მიზიდულობის ახალი ცენტრები წარმოიქმნას. გზების სისტემა იგივე რჩება. ამიტომ, ქალაქური განაშენიანების ახალი სრულფასოვანი ნაწილების შექმნისათვის მდინარისაგან მოცილებულ ახალ ტერიტორიებს ვერ ითვისებენ. ალბათ, სწორედ ეს არის თბილისის ურბანული გენეტიკა ძირითადი ფორმის სიგრძივად განვითარების აუცილებლობას რომ ქმნის: ვერ ხერხდება თბილისის მიმდებარე ტერიტორიების ქალაქისათვის სრულფასოვნად გამოყენება, მშენებლობის წარმოებით დაინტერესებული მოქალაქეები, ალბათ, ამიტომაც იძულებულნი არიან არსებულ ქალაქურ განაშენიანებაში იპოვონ მეტნაკლებად თავისუფალი ადგილები მაღლივი შენობების ასაგებად. მათი ამგვარი ლოგიკა აუცილებლადაა გასათვალისწინებელი. ნათლად ჩანს, რომ თბილისის ურბანული ფორმების სამომავლო ტენდენციების ჩამოსაყალიბებლად და ორგანული დაგეგმვისათვის ისტორიული ქალაქის ურბანული გენეტიკა უნდა

გამოვიყენოთ. ახალი კონცეფციის მთავარი დოქტრინა უნდა იყოს "ცოცხალი ქალაქის ურბანული გენეტიკა". ამის მისაღწევად კი საჭიროა ურბანიზმის ექსპერტებმა, მოქალაქეებმა და ხელისუფლების წარმომადგენლებმა სერიოზულად და ღრმად განიხილონ თანამედროვე განაშენიანების სიმჭიდროვის თემატიკა, როგორც თანამედროვე ქალაქის განვითარების საფუძველი, ჩამოაყალიბონ ქალაქის მომავალი პოტენციალი და გადახედონ ურბანული დაგეგმვის არსებულ პრაქტიკას როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. შედეგად, ახალი დოქტრინის გამოყენებით უნდა ჩამოყალიბდეს თანამედროვე მიდგომები თბილისის ურბანიზმში.

Giorgi (Goga) Beridze
Independent Scholar

Tbilisi is a Living City

Summary

Tbilisi is a naturally formed living city. This constitutes its historical feature. It reveals the "urban genetics" that influence the development of the city. If the city is natural and alive, its form develops according to the "urban genetics".

The work of Tbilisi urban planners faces difficulties today. It seems that the old methods are being reviewed and the new methods should be applied.

ლევან კალანდარიშვილი
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის
ვიზუალური ხელოვნების, არქიტექტურის და დიზაინის სკოლა

საბინაო არქიტექტურის ისტორიისთვის

არქიტექტურულ-სამშენებლო პროცესებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სახელმწიფო, კოოპერაციულ თუ კერძო ბინათმშენებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს. ჩვენი მოხსენების მიზანია საბინაო არქიტექტურული პროექტის შეთანხმების პროცედურებისა და მასთან დაკავშირებული საქმის წარმოების წარმოჩენა ისტორიულ ჭრილში, მეფის რუსეთის, საბჭოთა ეპოქისა და თანამედროვე თბილისის ერთი კერძო მაგალითის საფუძველზე. საკითხის განხილვისას უმთავრესად ვეყრდნობით საისტორიო, უახლესი ისტორიის ცენტრალურ და თბილისის საქალაქო არქივებში დაცულ დოკუმენტებს და, ასევე, თბილისის არქიტექტურული სამსახურის ვებგვერდზე განთავსებულ, მუდმივად განახლებად ინფორმაციებს.

არქიტექტურულ-სამშენებლო პროცესების მართვა, კერძოდ, საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება/დამტკიცების საკითხი დედაქალაქში დღესაც ზუსტად ისევე მწვავედ დგას მუნიციპალური სტრუქტურების, არქიტექტორებისა თუ ქალაქმგეგმარებლების წინაშე, როგორც ეს ადრეულ პერიოდში იყო. მიუხედავად მმართველობითი სისტემების განსხვავებულობისა, პროექტების შეთანხმება/ექსპერტიზა ყოველთვის დაკავშირებული იყო და არის ისეთ ცნებებთან, როგორებიცაა: „მიუკერძოებლობა“, „პროფესიული ეთიკა“, „საექსპერტო დასკვნა“, „ობიექტური აზრი“ და ა. შ. ამ კუთხით ისტორიულ დოკუმენტებს არ დაუკარგავს აქტუალობა; ისინი კარგად წარმოაჩენენ ამ სფეროში არსებულ ზოგად პრობლემებს და მათი გადაწყვეტის გზებს. ეს გამოცდილება მივიწყებულია და მათი ახლებური გააზრება სასიკეთოდ უნდა წაადგეს დღეს მსგავს პროცესებში მონაწილე ყველა მხარეს.

არქიტექტურულ-სამშენებლო პროცესების გამართულობა/გაუმართაობა უშუალო ზეგავლენას ახდენს თბილისის ურბანული გარემოს განვითარებაზე. შესაბამისად, არქიტექტურულ-ქალაქმგეგმარებითი პროექტების შეთანხმების სტადია მნიშვნელოვანია თბილისის თანამედროვე სტანდარტების ქალაქად ქცევისთვის. ამ პროცესების საქმისწარმოების ტექნიკური კუთხით გამარტივების მიუხედავად, იკარგება მთავარი - უშუალო კავშირი დამპროექტებელსა და შემთანხმებელს შორის. ცოცხალი პროფესიული დისკუსია აჩქარებულმა, გაუთავებელმა ელექტრონულმა კითხვა-პასუხმა ჩაანაცვლა, რომლის დროსაც ადამიანებს უფრო მეტად კონსტიტუციის და იურიდიული ნიუანსების ცოდნა მოეთხოვებათ, ვიდრე წარდგენილი პროექტის ნაკლოვანებებთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსტრუქციული მსჯელობა და კომპეტენტური პასუხების გაცემა.

არქიტექტურულ-ქალაქმგეგმარებითი ისტორიული დოკუმენტების კვლევის შედეგები რეკომენდაციის სახით შესაძლოა საყურადღებო და გასათვალისწინებელი აღმოჩნდეს თბილისის არქიტექტურული სამსახურის პრაქტიკული მუშაობისათვის. ამ მოხსენების

თავდაპირველი ჩანაფიქრით უფრო მეტი კონკრეტული მაგალითის მოყვანა იყო გათვალისწინებული დასმული საკითხების განსახილველად, თუმცა, ბოლოს მაინც გადაწყვიტე ერთი ისეთი სახლის შერჩევა, რომელზეც ყველაზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფიქსირდება არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობების და მასთან დაკავშირებული საქმისწარმოების უწყვეტობა და ასევე ამ პროცესების მეტ-ნაკლებად სრულად დოკუმენტირება მათი მიმდინარეობის სხვადასხვა ეტაპზე.

ასეთ სახლად შევარჩიე თბილისში, მთაწმინდის რაიონში, პავლე ინგოროყვას ქუჩაზე №14-ში მდებარე შენობა. პავლე ინგოროყვას ქუჩას, იმ დროს, როდესაც ეს შენობა შენდებოდა, ლაბორატორიის ქუჩა ერქვა, ხოლო შემდეგ პეტრე დიდის სახელი ეწოდა; დღევანდელ სახელდებამდე მას ცოტა ხნით ასევე ტროცკის, ხოლო დიდი ხნის განმავლობაში საბჭოთა დროის ჯალათის ძერჟინსკის სახელით მოიხსენიებდნენ. სახლი 1897 წლის პლანშეტის (ხაზ. მასშტაბი 0.01 საჟენი = 10 საჟენს ანუ ნახაზის 2.1336 სმ = სინამდვილეში 21.3 მ-ია) მიხედვით მე-4 საპოლიციო უბნის ტერიტორიაზე მდებარეობს, თუმცა ამ ციფრის ქვეშ შეიმჩნევა უფრო ადრინდელი ნომერი 2, რაც ქალაქის ტერიტორიული დაყოფის იმდროინდელ ცვლილებას მიუთითებს (ტაბ. 1-1). პლანშეტზე მითითებულნი არიან პასუხისმგებელი პირები რომლებიც ადგენენ, ხაზავენ (გვარები გაურკვეველია) და ამტკიცებენ დოკუმენტს აღმასრულებელი შემფასებელი კომისიის თავმჯდომარის (თავადი ბებუთოვი) და მისი წევრების (ჩერქეზოვი და აზიზოვი) შემადგენლობით. პლანშეტი საინტერესოა, ასევე, იმ კუთხით, რომ ის დღევანდელი სარეესტრო რუკის წინამორბედს წარმოადგენს და მისი დღევანდელ დოკუმენტთან შედარება ნათელ სურათს გვიხატავს იმისა, თუ რამდენად რთულ ურბანულ პრობლემასთან უხდებათ დღევანდელ დამპროექტებლებს თუ საჯარო მოხელეებს მუშაობა, როცა ერთ მესაკუთრესთან ურთიერთობის ნაცვლად საქმის დაჭერა 39 მეპატრონესთან უხდებათ, როგორც ამას ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში აქვს ადგილი. ალბათ სწორედ ეს არის თავი და თავი იმ რთული სიტუაციისა, რომელიც საქართველოს გასაბჭოებისთანავე შეიქმნა და რომლის რეციდივებთან გამკლავება დღესაც ძალიან რთულია. იმავე ტაბულის ორი მცირე სურათი (ტაბ. 1-2, და 1-3) კი იმის მანიშნებელია, თუ როგორ იცვლება იმდროინდელი ქუჩის არქიტექტურული იერი მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ცვლასთან ერთად; დღეს ასე გახმაურებული არქიტექტორის მიხეილ ნეპრინცევის პროექტით აშენებული სახლის ადგილას, ადრე სხვა სტილის სახლი მდგარა, რომელიც ძალიან ჩამოჰგავს მეფისნაცვლის სასახლის არქიტექტურულ რეპერტუარს.

დავუბრუნდეთ მთავარ თემას. ამ სახლთან (იხ. ტაბ. 2; თცა, ფ. 14, ა. 1, ს. 8) დაკავშირებული პირველი დოკუმენტი, ანუ საქმე №5537 რომელიც 1888 წლის 25 იანვარს იწყება, ეხება უფროსი სახელმწიფო მრჩევლის მეუღლის, ეფემია ზუბალოვას თხოვნას თანდართული პროექტით ლაბორატორიის ქუჩაზე სახლის ზოგიერთი გადაკეთებების თაობაზე (სეა სცია, ფ. 192, ა. 8ა, ს. 2261)¹³⁶ (იხ. ტაბ. 3-1).

¹³⁶ სახლი ასევე მითითებულია ოტო იაკობ სიმონსენის ანოტაციაში წიგნში: ვახტანგ ბერიძე, „თბილისის ხუროთმოძღვრება - 1801-1817 წლები“, თბილისი, 1963 წ., II ტ. გვ. 179. მაია მანია თავის წიგნში - „გერმანელი არქიტექტორები თბილისში“, 2018, გვ. 68, გვ. 76 - პ. ინგოროყვას ქ. #16 სახლს #14




ტაბ. 2



ტაბ. 3-1

ნომრად მოიხსენიებს და მას ეფემია ზუბალაშვილს მიაკუთვნებს თუმცა საარქივო დოკუმენტებიდან საკუთრება გენერალ-ლეიტენანტ ხასან-ბეკ აგილაროვის მეუღლის ჯავანშირის და მათი შვილის დავიდ-ხანისა სჩანს. კიდევ ერთ არგუმენტად ეზოში შემავალი თადიანი გასასვლელის თავზე არსებული არაბული წარწერაც შეიძლება გამოდგეს.

საქალაქის გარე ყდით თუ ვიმჯელებთ ივანე იაგორის ძე ზუბალოვი (ზუბალაშვილი)¹³⁷ იმდენად ცნობილი/მნიშვნელოვანი მოხელეა, რომ მისი აქ მითითება ზედმეტადაც მიუჩნევიათ. საქალაქდეს შიგთავსი შედგება ექვსად მოკეცილი და მუყაოზე დაკრული ნახაზისგან რომლის სრულად გახსნის შემდეგ ვხედავთ ტრიპტიხად წარმოდგენილ დოკუმენტს, სადაც გამოხაზულია გენგეგმა, შენობის ქვედა, ბელეტაჟის და ზედა სართულის გეგმები, განივი ჭრილი და მისამენებელი ფლიგელის ფასადი (იხ. ტაბ 3-2).



ტაბ. 3-2


ცალკე აღნიშვნის ღირსია ეზოს ბაღის კეთილმოწყობის სქემა, რომლის მიხედვითაც ეზოში ორდონიანი პარტერია მოწყობილი სპირალური კიბეებით და შადრევნით. ნახაზზე, შენობის ორიგინალური კედლები, რომლებიც გადაგეგმარებას არ ექვემდებარებიან, ვარდისფრადაა დატანილი, დასაშლელეები - ნაცრისფრად, ახლიდან აღსამართი კი - მუქ ყავისფრად. ყველა ნახაზი ერთ მასშტაბშია გამოხაზული გარდა გენგეგმისა, რომელიც უფრო წვრილმასშტაბიანია, ორივე ხაზობრივი მასშტაბი საყენებშია წარმოდგენილი. ნახაზებზე ხელით წარწერილია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები: ზედა მარცხენა კუთხეში თბილისის საქალაქო გამგეობის 1888 წლის 25 იანვრის სხდომის საჟურნალე დადგენილება პროექტის

¹³⁷ ივანე იაგორის ძე ზუბალაშვილი, სახელმწიფო მრჩეველი, 1879 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელი წევრი გახდა.

დამტკიცების შესახებ, რომელსაც ხელს აწერენ გამგეობის წევრი და საქმის მწარმოებელი. მათი გვარების ამოკითხვა გამწვანებულია. იქვე ცოტა ქვევით წარწერაა ნახაზის ასლების გადასაცემად მიღების შესახებ გაურკვეველი ხელმოწერით. ფასადის ქვემოთ და ბელეტაჟის სართულის გეგმის თავზე წარწერაა პროექტის განხილვის თაობაზე [თანამდებობის პირველი ნაწილი გაურჩევადია - საქალაქო?] ტექნიკოს არქიტექტორის მიერ [გვარია გაურჩევადია, შესაძლებელია კორნელი ტატიშჩევიც იყოს] 1888 წლის 25 იანვარს. ზედა მარჯვენა კუთხეში განმარტებაა, რომ პროექტი ეხება შიდა გადაკეთებებს სახელმწიფო მრჩევლის მეუღლის, ეფემია ალექსანდრეს ასული ზუბალოვას სახლში, მცხოვრებს მე-4 [ადრინდელი მე-2 გადახაზულია] საპოლიციო უბანში, ლაბორატორიის ქუჩაზე, და იმავე სახლის ეზოში, ორი ძველი ფლიგელის ადგილას ახლების აშენებას. პროექტს ხელს აწერს არქიტექტორი სიმონსონი, რომელიც მისი შესრულების წელსაც უთითებს.

პროექტი გულისხმობდა შენობის შიდა გადაგეგმარებას. ქვედა სართულზე ფლიგელების ხის კოლონადების ნაცვლად ყრუ კედლები ეწყობა, რომელზედაც ბელეტაჟის და მის თავზე არსებული სართულის ახალი კედლები აიყვანება. ბელეტაჟის მარცხენა მხარეს არსებული სამი ოთახი ერთ სივრცედ ერთიანდება და აივანი უქმდება. მარჯვენა მხარეს აივანი ასევე უქმდება და მის ადგილს სამი ახალი ოთახი ჩნდება, დერეფანი ტორსული კედლის მხარეს გადადის. ზედა სართულის მარცხენა, ტორსული კედლის მხარეს არსებულ გრძელ დერეფანს ორი ერთოთახიანი და ერთი ოროთახიანი ბინისკენ მივყევართ. მარჯვენა მხარეს კი ორი ოროთახიანი ბინაა. დავიწროებული, გრძელი გასასვლელები უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებენ, მითუმეტეს, რომ მათი განათებულობის საკითხიც ბოლომდე მოგვარებული არ ჩანს. ალბათ გასაქირავებლად გამზადებული სამ ოთახიანი და ორ ოთახიანი ბინების ფართები ურიგო არ არის. ნახაზებს ფანქრით გაკეთებული ჩანაწერებიც ახლავს, რაც სავარაუდოდ განმხილველის ხელით უნდა იყოს შესრულებული, ისინი ზომებს ან ხვრელობის გაჭრას მიუთითებენ. ბოლოს უნდა ითქვას. რომ ეს სახლი ამ დამტკიცებული პროექტით ნაწილობრივ გადაკეთებულა მარჯვენა ფლიგელის მხარეს¹³⁸.

¹³⁸ ჯერჯერობით დაუდგენელია არის თუ არა სიმონსონი უფრო ადრინდელი პროექტის ავტორიც, შესაძლებელია, თუ გავითვალისწინებთ რომ ამავე საქმეში ოტო იაკობ სიმონსენის მეორე, უფრო ადრე, 1879 წელს შესრულებული და იმავე წლის 16 თებერვალს დამტკიცებული პროექტიც დევს, რომელიც უშუალოდ ივანე ზუბალოვის მიწაზე არსებული სახლისთვის ორი ფლიგელის მიშენებას ეხება მომიჯნავე ნაკვეთზე, ბებუთოვის ახალი ქუჩაზე (ის სახლიც შემორჩა, ოღონდ ნახაზის შედარება არსებულ ვითარებასთან მიგვანიშნებს იმას, რომ მოგვიანებით ორი განსხვავებული ფასადის მქონე ნაგებობისთვის ერთიანი სახე მიუციათ და ზედ სართულიც დაუმატებიათ. იხ. ტაბ. 5).



ივანე იაგორის ძე
ზუბალაშვილის სახლი,
ვუკოლ ბერიძის ქ. №7



ტაბ. 5

როგორც ვხედავთ XIX საუკუნის მეორე ნახევრის საბინაო მშენებლობისთვის უცხო არ არის გადაგეგმარება, მიშენება, დაშენება, საკითხები, რომლებიც დღესაც აქტუალურია, თუმცა რასაკვირველია მასშტაბი სხვაა, თან ჩვენ მაინც ე. წ. „პრესტიჟული“ უბანი ავირჩიეთ, რომლის მაცხოვრებლებიც მაღალი დონის საჯარო მოხელეები თუ წარმატებული სოცდაგრები არიან, რომელთა შესაძლებლობებიც გაცილებით მეტია, ვიდრე მათ სახლებში ქირით მცხოვრები გარკვეულად ასევე წარმატებული ადამიანებისა (აქ შეიძლება ამ სახლში 1910-60 წლებში მცხოვრები ცნობილი საზოგადო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს იუსტიციის მინისტრი შალვა ლაღოს ძე ალექსი-მესხიშვილი დავასახელოთ).

გასაბჭოების მომდევნო პერიოდში თბილისის ისტორიულ ზონაში არსებულ შენობა-ნაგებობებზე დაშენებების ისტორია ნაკლებადაა გამოკვლეული, რაც ხელს უშლის ამ შენობების მომავალი განვითარების შესაძლებლობების სრულყოფილად წარმოჩენას როგორც არქიტექტურული, ასევე საინჟინრო კუთხით. ამ მოხსენებისთვის შერჩეული სახლი ამ მხრივაც საინტერესოა, ვინაიდან არსებობს საარქივო მასალები იმ სერიოზული სამშენებლო ჩარევის შესახებ, რომელიც გასული საუკუნის ოცდაათიანი წლების დასაწყისში განხორციელდა.


1931 წელს უკვე ნახევარი საუკუნის ასაკს გადაცილებულ შენობაზე ამიერკავკასიის ნაგებობათა ინსტიტუტის დირექტორი და გრუნტების ჯგუფის ხელმძღვანელი სახლის კოლექტიური ამხანაგობის წევრებს უგზავნიან დასკვნას, რომელშიც სახლის დეტალური დათვალიერების და აღწერის საფუძველზე იძლევიან კონკრეტულ რეკომენდაციებს თუ რა ღონისძიებების ჩატარებაა აუცილებელი იმისთვის, რომ შესაძლებელი გახდეს შენობაზე ერთი სართულის დაშენება. ესენია: 1) ტორცოების კედლების წყობის გადალაგება იმ მონაკვეთებში სადაც გადახრა შეინიშნება; 2) მეორე და ასაშენებელ სართულზე განივი კედლების აგება

არსებული კედლების გაგრძელებით; 3) ყველა კაპიტალური კედლის კონტურზე 0,35 მ სიმაღლის რკ/ბ სარტყელის მოწყობა; 4) ნახევრადსარდაფის აგურის სვეტების წყობის გადალაგება და 5) გრძივ ღუნვაზე აივნის კოჭების შემოწმება. ექსპერტები ასევე მიუთითებენ დაშენების არაეკონომიურობაზე ზემოთაღნიშნული დამატებითი სამუშაოების ჩატარების გამო. სართულის დაშენებას საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის სამხარეო კანტორა ცდილობს. კანტორა, დღევანდელი ბანკებისა არ იყოს, ეტყობა, მაშინ ძლიერ ინსტიტუტს წარმოადგენდა თუ გავითვალისწინებს, რომ სწორედ მათი აშენებულია ერთ-ერთი პირველი საცხოვრებელი კომპლექსი დღევანდელ ჭონქაძის ქუჩაზე (არქ. ტერ-მიქელოვი) კათოლიკური სასაფლაოს ადგილზე და კიდევ ერთი დღ. ივანე ჯავახიშვილის ქუჩაზე (არქ. ნეპრინცევი).

საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს, რომ არც ორჯონიკიძის რ-ის №86 საბინაო-საიჯარო კოოპერაციული ამხანაგობა (“ჟაკტი“) ზის გულხელდაკრეფილი, ახსენებს რა ქალაქის აღმასკომის კეთილმოწყობის სამმართველოს, რომ სახლზე დაშენება 1924 წელს იყო განზრახული, მაგრამ შენობის დათვალიერების შემდეგ ინჟინრებს სპეკტიკური აზრი გამოუთქვამთ მისი ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე. აქვე მოხსენიებულნი არიან ის მოქალაქეები, რომელთა საბინაო პირობები საგრძნობლად უარესდება მოსალოდნელი სამშენებლო ჩარევების გამო. ამას ემატება კონკრეტული პიროვნების, შრომის დამკვერელის გამოსარჩლება მისი სამსახურის ხელმძღვანელობიდან, სადაც ნახსენებია, რომ ხუთსულიანი ოჯახი 12 კვ. მეტრში ცხოვრობს და მას ეკუთვნის ახალი ბინა, რომელზედაც სახბანკი უარობს. აქვეა ტფილამასკომის კომუნალური მეურნეობის საკვლევი ბიუროს გამგის და მისი ოთხი ინჟინრის დასკვნა დაშენების შესაძლებლობის შესახებ არსებული რეგულირებების ჩარჩოებში და მათი არგუმენტაცია სასიმაღლო მოთხოვნის დარღვევასთან დაკავშირებით (წინ სასახლის ბაღია და არაუშავსო). ექსპერტები ასევე იმეორებენ მათი კოლეგების მიერ ერთი წლის წინ გამოთქმულ აზრს დაშენების არაეკონომიურობის შესახებ; კიდევ ორი საარქივო დოკუმენტი ტფილამასკომის დიდი ტექნიკურ-სამეცნიერო საბჭოს სხდომებიდან მიუთითებს პროექტის ნაკლოვანებებს: 1) სანკვანძის და აბაზანების განლაგება საცხოვრებელი ოთახების თავზე, ფლიგელის სახენიტო ღიობის გაუქმებით გამოწვეული უხერხულობები მე-2 სართულის მაცხოვრებლებისთვის „ანი“-ს მიერ მოთხოვნილი განივი კედლების აშენების უგულვებელყოფა; 2) 1934 წლის ამონაწერი, რომელშიც არქ. ტერ-მიქელოვი და ინჟინერი რაზმაძე მიუთითებენ მშენებლობაზე აღმოჩენილ გადახვევებს პროექტიდან, რის გამოც საბჭო ადგენს: წარმოდგენილი პროექტი დამტკიცდეს შემდეგის გათვალისწინებით, ა) ფანჯრების ზომები შესაბამისობაში იქნეს მოყვანილ არსებულის პარამეტრებთან; ბ) პარაპეტი ამაღლდეს და გ) შენობის ცენტრში არსებული მედალიონი მოიხსნას და დაევალოს პროექტის ავტორს, რომელიც პასუხისმგებელი უნდა იყოს არქიტექტურულ-მხატვრულ გაფორმებაზე, როგორც ცალკეული ელემენტების, ასევე მთლიანად ფასადის დეტალების დამუშავება.





1931-1934 წლების მიმოწერა
 დაშენებასთან დაკავშირებით



დაშენების პროექტი
 სახბანკის გეგმა-
 მოსამსახურეებისთვის
 1932 წელი






სახლის არქიტექტურული ისტორიის თანამედროვე ეტაპი 2009 წელს იწყება, როდესაც ის უძრავი ძეგლების რეესტრში შედის (სააღრიცხვო ბარათი №010408019). შემდეგ 2015 წლის ოქტომბერში თბილისის განვითარების ფონდის დაკვეთით შპს „რესტავრატორები და კომპანია“ (შემსრულებელი არქ. ალა პროზოროვა), ატარებს შენობის დამატებით წინასაპროექტო ისტორიულ-არქიტექტურულ კვლევას (პირველი 2007 წელს შეასრულა ქ-მა


მაკა შავიშვილმა, სადაც აქცენტი ძირითადად ფასადის აღდგენაზე იყო გაკეთებული) შენობის რესტავრაცია-რეკონსტრუქციისთვის (I ეტაპი). იმავე წლის დეკემბერში ესკიზური პროექტიც მომზადდა (II ეტაპი).



ხოლო 2016 წლის თებერვალში შესაძლებელი ხდება უკვე სრულფასოვანი მუშა-პროექტის მომზადება (III ეტაპი. იხ. ტაბ. 9-14). ბოლო დოკუმენტი თბილისის განვითარების ფონდს წარედგინა 2016 წლის მარტში. იმავე თვეში ის დახარვეზდა და თფ-ს მიეცა დრო მათ გასასწორებლად (იხ. ტაბ. 12).



შენიშნის რუტინული დღიური ბოლო წლების მიხედვით კი ასეთია: 2017 წელს მაცხოვრებელი ახერხებს საკუთარ საცხოვრებელ ფართში სანკვანძის პროექტის შეთანხმებას;



2018 წელს ითხოვენ სამშენებლო ნებართვას შალვა ალექსი-მესხიშვილის მემორიალური დაფის განსათავსებლად, რასაც მეორე მცდელობის შემდეგ აღწევენ კიდეც, თუმცა, მალევე, ადგილზე დამაგრებული დაფა ვიდაცას მოუპარავს!



2019 წელს ა(ა)იპ "თბილისის განვითარების ფონდის" მიერ წარმოდგენილი, ქ. თბილისში, გ. ლეონიძის, სულხან-საბას, პ. ინგოროყვასა და პ. იაშვილის ქუჩების საინჟინრო ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოების სამშენებლო დოკუმენტები შეთანხმებულია (წესით ყველაფერი ინფრასტრუქტურული სისტემის კვლევით და მისი გამართვით უნდა დაიწყოს);

2020 წელს არქსამსახურს მიმართავენ ფლიგელის მიშენებულ ნაწილზე ანტრესოლის მოწყობის მიზნით, რაზეც უარს იღებენ;



2021 წელს განუხილავი რჩება გალერეის აბრის მოწყობის საკითხი იმავე ადგილას, სადაც შალვა ალექსი-მესხიშვილის მემორიალური ფილის დამაგრებას აპირებდნენ. არის სასიამოვნო ამბებიც: შენობაში ახალი სახელოვნებო სივრცე გაიხსნა. სწორედ იქ მიმავალს შემხვდა ძველი ნაცნობი, რომლის წინაპრებსაც 1934 წელს ბინა მიუღიათ დაშენებაში და გულნატკენმა მითხრა, რომ მისი ოჯახი მას შემდეგ „ნათელი კომუნალური ცხოვრების სიკეთეებს იმკის ხშირად იტალიურ ეზოდ მოხსენიებულ თბილისურ ეზოში“.

ამ კონკრეტული სახლის „არქივირებული ისტორიიდან“ კარგად ჩანს, თუ რა ძნელია წარსულში თუ აწმყოში, ნებსით თუ უნებლიედ დაშვებული შეცდომების გამოსწორება და

რამდენად კომპლექსური მიდგომა სჭირდებათ ძველის სტატუსის მქონე საცხოვრებელ სახლსა თუ უბანზე მომუშავე მომიჯნავე დარგების სპეციალისტებს იმისათვის, რომ ხარვეზები ამოიფხვრას და ადამიანებს ნორმალური საცხოვრებელი გარემო შეექმნათ.

გამოყენებული ლიტერატურა და ბიბლიოგრაფია:

ბერიძე, ვ. (1963). თბილისის ხუროთმოძღვრება - 1801-1817 წლები. II ტ. თბილისი.

გამომცემლობა

მანია, მ. (2018). გერმანელი არქიტექტორები თბილისში. თბილისი. გამომცემლობა

თცა, ფ. 14, ან. 1, ს. 8

სეა სცია, ფ. 192, ან. 8ა, ს. 2261.

Levan Kalandarishvili
Associate Professor, Tbilisi Free University
School of Visual Arts, Architecture and Design

For the History of Housing **Summary**

The objective of our report is to present architectural and construction approval procedures in historical perspective, using concrete example from Tsarist and Soviet-era Tbilisi. The research is based on the documents preserved in the Historical Archive, the Central Archive of Contemporary History, and the Tbilisi City Archive.

The issue of managing architectural-construction processes documentation, remains as acute today as it was in the past. Despite differences in governing systems, coordination/approval was and is always connected with certain notions such as “unbiased”, “professional ethics”, „expert opinion”, “objective opinion” etc. From this point of view, historical documents did not lose their actuality. They illustrate common problems in the fields of architecture and construction, as well as roadmaps for their solution. This experience is forgotten and a new insight on it should positively affect all parties participating in similar processes today.

The proper management of architectural-construction processes have a significant influence on the development of urban environment in Tbilisi. For Tbilisi to meet the standards of a modern city. Though the bureaucratic burdens have been simplified, there is no direct connection between the person preparing the project and the city official approving it.

The recommendations from our research of architectural-urban historical documents may be noteworthy and considered in the practical work of Tbilisi Architectural Service.

XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის
საგანმანათლებლო დაწესებულებები თბილისში¹³⁹
(საქართველოს ეროვნული არქივის მასალის მიხედვით)

წინამდებარე სტატია თბილისის იმ შენობების შესწავლის ერთი მცირე მცდელობაა, რომლებშიც XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში საგანმანათლებლო დაწესებულებები იყო განთავსებული.

სტატია ეფუძნება როგორც საარქივო (წერილობითი, გრაფიკული და ფოტომასალის შესწავლა) მასალას, ისე საველე გასვლების შედეგებს (არსებული შენობების ადგილზე შესწავლას). ძირითად წყაროს საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული პროექტები, დოკუმენტური თუ ფოტომასალა წარმოადგენს, რომელიც შეჯერებულია XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის ადგილობრივ პრესასთან, გზამკვლევებთან და მოგზაურთა ჩანაწერებთან. საქართველოს ეროვნულ არქივში თავმოყრილი დოკუმენტები, როგორცაა: არქიტექტორთა, ქალაქის მმართველთა თუ სხვა ოფიციალურ პირთა მიმოწერა, ხელშეკრულებები, ოქმები, მოხსენებითი ბარათები, დასკვნები, ნახაზები, პროექტები თუ ფოტოები - წარმოდგენას გვიქმნის არა მარტო კონკრეტულ შენობასა და მის არქიტექტორზე, არამედ ზოგადად სასწავლო დაწესებულების დაარსებასა და ქალაქში მიმდინარე სოციალურ, კულტურულ თუ პოლიტიკურ პროცესებზე. დოკუმენტებში ვრცლად არის განხილული, თუ როგორ ხდებოდა სასწავლებლის ნაგებობის მშენებლობისთვის საჭირო ფინანსების მოძიება, სახელმწიფო სუბსიდიების გამოყოფა მშენებლობის ხარჯების დასაფარად თუ სხვა. მათში დაწვრილებით არის აღწერილი ყოველი საფეხური, თუ რა რეგულაციების გავლა უწევდა ნებისმიერ შენობასა და მის ავტორს, დაწყებული იდეიდან, პროექტის დამტკიცებასა და მის განხორციელებამდე; რა მოთხოვნებს უყენებდა ქალაქი არქიტექტორს, ვარგისიანი სამშენებლო მასალისა და კონსტრუქციული თუ სახანძრო უსაფრთხოების გათვალისწინებით. დოკუმენტურ მასალაში ნაჩვენებია როგორ ხდებოდა მშენებლობის ხარისხის შემოწმება სპეციალური კომისიის მეშვეობით, რომელშიც ჩართულნი იყვნენ წამყვანი ინჟინრები და არქიტექტორები. ეროვნული არქივის მასალის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა თბილისის საგანმანათლებლო დაწესებულებათა დაარსების, არქიტექტორის, მშენებლობის თარიღის, გადაკეთების, თუ მრავალჯერ სახეცვლილი შენობების ავთენტური არქიტექტურული სახის აღდგენა.

სამეცნიერო კვლევებისას, ხშირ შემთხვევაში, ამა თუ იმ კულტურული მიმდინარეობისა თუ საგანმანათლებლო კერის შესახებ საუბრისას საფუძვლად მხოლოდ თეორიული მასალაა წარმოდგენილი, გასაგები სირთულეების გამო კი რთული

¹³⁹ კვლევა [PHDF-22-2375] განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

დასამოწმებელია დოკუმენტები, რომლებიც ამ კვლევებს ზურგს გაუმაგრებს (ვიზუალური და წერილობითი დოკუმენტები კონკრეტული დაწესებულების ადგილმდებარეობისა და მისი ფუნქციების შესახებ). არადა ასეთი დაწესებულებების განთავსება კონკრეტულ შენობებში ხან შემთხვევით ხასიათს ატარებს, ხშირ შემთხვევაში კი შენობის იერსახე და მისი შინაარსი გასაოცარ თანხვედრაშია ერთმანეთთან და ეს კიდევ უფრო მომხიბლავს ხდის როგორც არქიტექტურის კონკრეტულ ნიმუშებს, ისე იმ ქუჩას, რომელზეც ეს ნაგებობაა განთავსებული საკუთარი გამორჩეული იერსახითა და დატვირთული ისტორიებით.

თბილისი, XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში, გამოირჩეოდა როგორც აქტიური კულტურული, ისე საგანმანათლებლო ცხოვრებით. საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და მათ შენობებს განსაკუთრებული ადგილი ეკავა დედაქალაქის სოციალურ თუ კულტურულ ცხოვრებაში. ამასთან ისინი გამორჩეულ მხატვრულ-ესთეტიკურ გარემოს ქმნიდნენ დედაქალაქისთვის თავისი მაღალმხატვრული სახითა და განაშენიანების სტრუქტურით, რომლებსაც თბილისისა და ზოგადად რუსეთის იმპერიის წამყვანი ევროპელი არქიტექტორები ქმნიდნენ. ჩემი მიზანია მოვიკვლიო და შევისწავლო ამ ტიპის თითოეული დაწესებულებისა და მისი შენობის ისტორია, გამოვავლინო ამ ნაგებობის არქიტექტურის ხასიათი, ღირებულება და ადგილი თბილისის არქიტექტურის საერთო სურათში.

აღნიშნული პერიოდი საქართველოსა და მისი დედაქალაქის, თბილისის განვითარების ისტორიაში ძალზე მნიშვნელოვანი პერიოდია. ამ დროს დედაქალაქის ცხოვრებაზე მკაფიოდ აისახება მიმდინარე პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური თუ კულტურული სიახლეები. იზრდება დედაქალაქის საზღვრები, თბილისს ემატება ახალი უბნები - მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე - გარეთუბანი (თავისუფლების მოედნიდან სოლოლაკის ბაღებისა და დღევანდელი შოთა რუსთაველის გამზირის ტერიტორია) და მარცხენა სანაპიროზე - კუკია (დავით აღმაშენებლის გამზირი და მისი მიდამოები). დედაქალაქში იწყება გეგმაზომიერი მშენებლობა, ჩნდება ახალი ქუჩები, ყალიბდება ქალაქის ახალი ცენტრი, ახალი საზოგადოებრივი სივრცეები - მოედნები, ბაღები, სკვერები, ხდება მათი კეთილმოწყობა და გამწვანება. ჩნდება ახალი დანიშნულების სახაზინო, კერძო, სამრეწველო, კულტურული თუ საგანმანათლებლო ნაგებობები. არსდება სამეცნიერო დაწესებულებები - ობსერვატორია, ბოტანიკური ბაღი, კავკასიის მუზეუმი. იცვლება ქალაქის მხატვრულ-არქიტექტურული სახე, რომელიც ახალი დროითა და მოთხოვნებით იყო ნაკარნახევი (ბერიძე, 1960: 27-28).

თანდათანობით ქალაქის განაშენიანება ევროპულ სახეს იღებს, რასაც არაერთი მოგზაური აღნიშნავდა. „ერეკლეს მშვენიერი ბაღი, განთქმული თავისი ჩრდილოვანი ვენახებითა და ალვის ხეებით, ახლა განკუთვნილია ახალი უბნის ასაგებად“ - წერდა თბილისში მყოფი ფრანგი მოგზაური, ჟაკ ფრანსუა გამბა (1826 წელი)“ (ბერიძე, 1960: 18-25). შუასაუკუნოებრივი, ფეოდალური თბილისი თავისი ვიწრო, ლაბირინთული, მიხვეულ-მოხვეული ქუჩების ურბანული ქსოვილით, ადგილს უთმობს ახალ, რეგულარული ქუჩებითა და ევროპული არქიტექტურული მხატვრული სახით გამორჩეულ ქალაქს. სწორედ ჩვენამდე მოღწეული ურბანული ქსოვილის მრავალფეროვან ღირებულებათა

კომპლექსი და ახალი მხატვრული კომპოზიციური ერთიანობა ქმნის თბილისის არქიტექტურის სახის მნიშვნელოვანებასა და ურბანულ ფენომენს.

„რეგულარულმა გეგმარებამ, საზოგადოებრივი ნაგებობების ახალმა ტიპოლოგიამ, ნაგებობების ძველ ქალაქთან შედარებით გაზრდილმა ზომებმა, საზოგადოებრივი ბაღების გაჩენამ, ცხოვრების ახალმა სტილმა, გამდიდრებული ბურჟუაზიული ფენის მიერ აშენებულმა ვეებერთელა გასაქირავებელი სახლების სიმრავლემ, თბილისში ახლებური მასშტაბი დაამკვიდრა და ქალაქის მკვრივი ქსოვილი ჩამოაყალიბა“ (მანია, 2018: 16). ქალაქმშენებლობითი მასშტაბი კი ის ტრადიციული მთავარი ფაქტორია, რასაც ადგილობრივ ნიადაგზე დაეფუძნა ჯერ აღმოსავლეთიდან, შემდეგ კი რუსეთის გზით ევროპიდან შემოსული ტენდენციები. სხვადასხვა არქიტექტურული სტილის ახალი შენობები კი დედაქალაქის სახე ხდება. მხატვრული თვალსაზრისით, თბილისის არქიტექტურა, ამ პერიოდში საკმაოდ მრავალფეროვან სურათს გვიხატავს, რომელიც კარგად ეხმიანება მის თანამედროვე მსოფლიო არქიტექტურულ სტილებს. XIX საუკუნის დასაწყისში, თავდაპირველად თბილისში ფეხს იკიდებს რუსეთიდან შემოსული კლასიციზტური სტილი. XIX საუკუნის შუა ხანებიდან გვხვდება ნეორენესანსული და ნეობაროკული სტილი; ამასთანავე თავს იჩენს ნეორომანტიზმისა და ისტორიზმის ნიშნები, როგორც არის: მავრულ, რუსულ, ნეოგოთურ და ე. წ. „ქართულ“ სტილში გადაწყვეტილი არქიტექტურული ნაგებობები. ხოლო XX საუკუნის 10-ანი წლებიდან კი დედაქალაქში მოდერნი იკიდებს ფეხს.

XIX საუკუნის დასაწყისში, თბილისში საგანმანათლებლო დაწესებულებების არქიტექტურა (თანამედროვე გაგებით), როგორც ასეთი, ჯერ კიდევ არ არსებობდა. სასწავლებლები, იქნებოდა ეს პანსიონები, გიმნაზიები თუ სხვა, საკუთარ ან, ხშირ შემთხვევაში თბილისის მოქალაქისგან გარკვეული ვადით, იჯარით აღებულ, შედარებით კეთილმოწყობილ და დიდ სახლებში ეწყობოდა, რომლებიც მეტ-ნაკლებად აკმაყოფილებდა სასწავლებლის გარკვეულ მოთხოვნებს და სადაც შესაძლებელი იყო რამდენიმე საკლასო ოთახისა და დაწესებულებისათვის სხვა აუცილებელი სათავსოების მოწყობა. აქედან გამომდინარე, XIX საუკუნის პირველი ნახევრის სასწავლებლების არქიტექტურა საცხოვრებელი, ქალაქური ტიპის სახლისგან არ გამოირჩეოდა. XIX საუკუნის 30-40-იანი წლებიდან კი ნაბიჯ-ნაბიჯ იწყება სპეციალურად საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის შენობების მშენებლობა.

საქართველოში რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ, რუსეთის იმპერიის კოლონიალური პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან იარაღად კულტურასთან ერთად სწორედ განათლების სისტემა იქცა. სასწავლებელი, როგორც მთავარი იდეოლოგიური საშუალება, რომელიც რუსული ენის, ჩვეულებების, კულტურის გაცნობით ხელს შეუწყობდა იმპერიის ინტერესების ჩანერგვას ახალგაზრდა თაობაში და აღზრდიდა იმპერიის ერთგულ მოქალაქესა და დასაყრდენ სამოქალაქო თუ სამხედრო ძალას.

1802 წლიდან რუსეთის იმპერიაში მიმდინარეობს საგანმანათლებლო სისტემის რეფორმა (Аристов, 1878: 5). 1803-1804 წლებში იმპერატორ ალექსანდრ პირველის მიერ მიღებული დოკუმენტის თანახმად, იმპერიის მასშტაბით სასწავლებლები უნდა გადანაწილებულიყვნენ ოლქების მიხედვით და დაყოფილი იყო ოთხ კატეგორიად: 1.

ერთკლასიანი საეკლესიო-სამრევლო სკოლები, რომლებიც ტაძრების მიმდებარედ იხსნებოდა; 2. სამაზრო ორკლასიანი სკოლები, რომლებიც სამაზრო ქალაქებში უნდა გახსნილიყო; 3. ოთხწლიანი საგუბერნიო სასწავლებლები ან გიმნაზიები; 4. უნივერსიტეტები (Григорьев, 1900: 295).

საქართველოში, XIX საუკუნის დასაწყისში, განათლების სისტემა მთლიანად კავკასიის მთავარმართებლის შეხედულებასა და იმპერიის პოლიტიკაზე იყო დამოკიდებული, რომლის მიხედვითაც XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოში მოღვაწე გავლენიან რუს მოხელეებს კნორინგს, კოვალენსკის და სხვებს, მოსახლეობის განათლება მხოლოდ რუსული სკოლების დაარსებით წარმოედგინათ (სულაბერიძე, გურგენიძე, 2014: 379-380).

XIX საუკუნის შუა ხანებიდან თბილისში, როგორც სამრეთ კავკასიის კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცენტრში, „დედაქალაქში“, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა განათლების რეფორმას. საქართველოში ეტაპობრივად ვითარდება საქალაქო ცხოვრება, საგზაო და სარკინიგზო ინფრასტრუქტურა, ინდუსტრია, ვაჭრობა და სოფლის მეურნეობა. იზრდება თბილისის მოსახლეობა. ამის ერთ-ერთი კარგი მაგალითია საქართველოში დასახლებული გერმანელი კოლონისტები და სხვა უცხოელები, რომლებმაც ხელი შეუწვევს ქვეყანაში მრეწველობის განვითარებას¹⁴⁰. ყოველივე ეს კი, თავის მხრივ, კვალიფიციურ მუშახელს, შესაფერის ტექნიკურ და სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო განათლების მქონე პირებს მოითხოვდა. თბილისში არსებული სასწავლებლების მცირე და „ვიწრო პროფილის“ რაოდენობა ვეღარ აკმაყოფილებდა საგანმანათლებლო სისტემისადმი არსებულ მოთხოვნას. დღის წესრიგში დგება დამატებით არამარტო გიმნაზიების და საქალაქო-სამაზრო თუ სამრევლო სკოლების მშენებლობის საკითხი, არამედ სხვადასხვა ტიპისა და პროფილის საგანმანათლებლო დაწესებულებების დაარსებაც, როგორც ვაჟთა ისე ქალთათვის. XIX საუკუნის შუა ხანებიდან XX საუკუნის დასაწყისამდე თბილისში ეტაპობრივად არსდება შემდეგი პროფილის სასწავლებლები: სამხატვრო კურსები, კომერციული, რეალური, სავაჭრო, სახელოსნო, სარკინიგზო, საბაღოსნო, სასოფლო-სამეურნეო, მიწისმზომელთა, სამხედრო, სამედიცინო, მუსიკალური, ტექნიკური და სხვა. სხვადასხვა პროფილის საგანმანათლებლო დაწესებულებებისადმი ინტერესის გაზრდა ითვალისწინებდა ამავე პროფილის კვალიფიციური პედაგოგების აღზრდასაც, რამაც მოგვიანებით თბილისში სამასწავლებლო ინსტიტუტის დაარსება განაპირობა.

¹⁴⁰ გერმანელი კოლონისტები თბილისში ხსნიან ყინულის საწარმოს, აგურის, ლუდის, საპნის, შოკოლადის ქარხნებს; ლითონის, ხის, ეტლების დამამზადებელ საამქროებს; ზინგერის სახელოსნოს. ეს მანუფაქტურები ძირითადად თბილისის ახალ უბანში კუკიაზე არსდებოდა. მრეწველობის განვითარებაში თავისი წვლილი სხვა უცხოელებმაც შეიტანეს. მათ შორისაა ფრანგი ვაჭარი კასტელა, რომელმაც თბილისში აბრეშუმის ფაბრიკა დაარსა; თბილისში მცხოვრები შვეიცარიელი შტიუსე, რომელიც ხსნის მექანიკურ საწარმოს; მექანიკური ქარხანა ამუშავა ინგლისელმა რუქსმა. მანვე მოგვიანებით ააშენა თუჯსასხმელი საამქროც; ცნობილია ასევე თბილისში მცხოვრები ფრანგი ქვეშევრდომის ა. ტოლეს თამბაქოს ფაბრიკა და მრავალი სხვა (ლუდუშაური, 2009: 115-140).

პარალელურად დიდი ყურადღება ექცევა ქალთა განათლებას. ქალებს განსაკუთრებული ადგილი ეკავათ საქართველოში როგორც პოლიტიკურ ისე საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა სფეროებში. ისინი არსებდნენ სხვადასხვა სასწავლებელს, ხსნიდნენ კერძო პანსიონებს, საქველმოქმედო, მუსიკალურ, ტურისტულ თუ ფოტოხელოვანთა საზოგადოებებს. XIX საუკუნის შუა ხანებიდან იხსნება ქალთა არა მარტო კერძო თუ სახაზინო პანსიონები, გიმნაზიები და ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტი, არამედ სხვადასხვა პროფილის სასწავლებლებიც რაზეც მათი მრავალფეროვნება მეტყველებს. თბილისში გვხვდება ქალთა სამრევლო სკოლები, საეპარქიო, სამედიცინო, სამასწავლებლო, სახელოსნო თუ მუსიკალური სასწავლებლები, პროფესიული სახელოსნოები, სადაც მათ სხვადასხვა ხელსაქმეს ასწავლიდნენ, უმაღლესი კურსები, რომელიც თავისი მნიშვნელობით უმაღლეს სასწავლებელს უტოლდებოდა.

აქ მოყვანილ სხვადასხვა ტიპის სასწავლო დაწესებულებებთან ერთად, თბილისში XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან არსებობდა ვაჟთა და ქალთა პანსიონები და კერძო სასწავლებლებიც. მათ დამფუძნებლებად, დირექტორებად თუ პედაგოგებად გვევლინებიან პირები, რომლებიც ასწავლიდნენ თბილისის სხვადასხვა გიმნაზიაში. ამგვარი სასწავლებლების შესახებ ეროვნულ არქივში არაერთი დოკუმენტია დაცული, რომელიც გვატყობინებს როდის, ვის მიერ და რომელ შენობაში იყო გახსნილი კონკრეტული პანსიონი თუ კერძო სასწავლებელი¹⁴¹. დოკუმენტებიდან ვიგებთ, რომ პანსიონის გახსნის მსურველებს უნდა აეღოთ ნებართვა სასწავლო უწყებიდან. სასწავლებლის დამფუძნებლებს სპეციალური სასწავლო კომისიის წინაშე უნდა წარედგინათ სასწავლო გეგმა, პროგრამა და, რაც მთავარია, მათი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები სპეციალური კურსების გავლის გათვალისწინებით. უნდა ჰქონოდათ უნივერსიტეტის, ან გიმნაზიის დირექტორის ან უფროსი მასწავლებლის დიპლომი, რაც კომისიის მხრიდან მკაცრად კონტროლდებოდა. კერძო პანსიონებსა და სკოლებზე მეთვალყურეობა ევალებათ განსაკუთრებულ ინსპექტორებს (ძიმისტარაშვილი, 1937: 135).

ქვემოთ, სტატიაში, საგანგებოდ გამოვყავი საგანმანათლებლო დაწესებულებების ოთხი შენობა, რომელიც სხვადასხვა კრიტერიუმებით იქნა ჩემს მიერ შერჩეული. პირველი, განხილული იქნება როგორც ვაჟთა, ასევე ქალთა სასწავლებლები; მეორე, ჩვენთვის საინტერესო პერიოდის, თბილისის არქიტექტურის საერთო სურათის საილუსტრაციოდ მოყვანილი იქნება სხვადასხვა არქიტექტურულ სტილში გადაწყვეტილი სასწავლებლის შენობები; და ბოლოს, მესამე, საუბარი იქნება სხვადასხვა ტიპისა და პროპიფილის სასწავლებლებზე.

პირველი სასწავლებელი, რომლის შესახებაც მინდა ვისაუბრო ვაჟთა პირველი კლასიკური გიმნაზიაა (დღევანდელი თბილისის კლასიკური გიმნაზია, შოთა რუსთაველის პროსპექტი N10). ის 1804 წელს დაარსებული კეთილშობილთა სასწავლებლის ბაზაზე ჩამოყალიბდა. ძველი სასწავლებლის შენობა აღარ აკმაყოფილებდა საგანმანათლებლო

¹⁴¹ ხშირ შემთხვევაში, ამ დაწესებულებებს სპეციალურად მათთვის აგებული შენობა არ გააჩნდათ და მათი დამფუძნებლები დროებით ქირაობდნენ დიდ სახლებს თბილისის მოქალაქეებისგან.

დაწესებულებების მიმართ გაზრდილ მოთხოვნებს და 1820-იანი წლების მიწურულს დღის წესრიგში დგება სასწავლებლის გიმნაზიად გადაკეთებისა და მისთვის ახალი შენობის აგების საკითხი (Акты, т. VIII, 1881: 97-98). მისი მშენებლობა 1830-იან წლებში დაიწყო და ნაგებობა 1839 წელს უკვე დასრულებული ჩანს. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული ოფიციალური მიმოწერა საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ გიმნაზიის სამშენებლო ისტორიის სრული სურათი. 1839 წლის 23 სექტემბრის წერილიდან ირკვევა, რომ შენობა აშენებულია და სახალხო განათლების სამინისტრო სთხოვს საქართველოს საგუბერნიო სამშენებლო კომისიას, გამოჰყოს მოხელე, რომელიც დირექციის მიერ წარდგენილ არქიტექტორთან ერთად შეამოწმებს თბილისის გიმნაზიაში ჩატარებულ სამუშაოებს (სეა სცსა ფ.205. ან.1. ს.81, გვ. 8).

ვაჟთა პირველი გიმნაზიის შენობა არაერთხელ გადააკეთეს. გიმნაზიის პარადული ფრთის რეკონსტრუქციას 1860-1861 წლებში არქიტექტორი ენფიანჯევი ხელმძღვანელობდა (სეა სცსა ფ.8. ან.1. ს.280, გვ. 1-7). გიმნაზიის შენობას საფუძვლიანი რეკონსტრუქცია 1870-1873 წლებშიც ჩაუტარდა არქიტექტორ ოტო სიმონსონის მიერ და სწორედ მის ხელში მიიღო გიმნაზიის შენობამ ის სახე, რომლითაც ჩვენამდე მოაღწია. ოტო სიმონსონს ეკუთვნის ლაზარეთის ფლიგელიც, რომელიც სტილისტურად გიმნაზიის შენობას ეხმიანება (სეა სცსა ფ.203. ან.1. ს.167; მანია, 2018: 62). 1872 წელს გიმნაზიის ეზოში ბაღის გასაშენებლად მეფისნაცვლის მეზაღე ჰაინრიხ კარლ ვერნერ შარერი მოიწვიეს (სეა სცსა ფ.422. ან.1. ს.478, გვ. 1-7)¹⁴².

სპეციალურ კომისიაში, რომელიც შენობის სამშენებლო სამუშაოებს ზედამხედველობდა, სხვადასხვა პერიოდში შედიოდნენ: არქიტექტორი ლოდოვიკო კამბიაჯო, ალბერტ ზალცმანი, ლეოპოლდ ბილფელდი, ინჟინერ-არქიტექტორი ა. ჩიჟოვი, პ. პრჟიბიშევსკი, ინჟინერი კ. ბუტკოვიჩი, ტრონოვი, სამხედრო ინჟინერი, პოდპოლკოვნიკი სტანისლავ ვეის-ფონ-ვეისენგორფი და სხვები. შენობის სამშენებლო სამუშაოებს ასრულებდნენ ხაჯიმინოსოვი და ფრანგი სტეპან მურო.

კლასიციზტურ-ნეობაროკული არქიტექტურული ნიშნებით გამორჩეული გიმნაზიის ნაგებობა დღესაც ყურადღებას იქცევს თავისი დახვეწილი პროპორციებითა და გაწონასწორებული საფასადო კომპოზიციის გადაწყვეტით. მისი ზუსტად შერჩეული მასშტაბით, ნაგებობა ბუნებრივად ეწერება დედაქალაქის მთავარი გამზირის საერთო განაშენიანებაში.

მეორე სასწავლებელი, რომელზეც შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი გახლავთ.

¹⁴² ჰაინრიხ კარლ ვერნერ შარერი - გერმანელი მეზაღე-დეკორატორი, ლანდშაფტის არქიტექტორი. მის სახელს უკავშირდება თბილისში არაერთი სკვერის მოწყობა. 1859 წელს მუშაობდა ალექსანდრეს ბაღის ლანდშაფტურ დიზაინზე. 1880-იანი წლების დასაწყისში, მას დაევალა პასკევიჩ-ერევანსკის (დღევანდელი თავისუფლების) მოედანზე არსებული პუშკინის სახელობის სკვერის გამწვანება (სეა სცსა ფ.192. ან.8ა. ს.660); ხოლო 1861-1889 წწ. იგი თბილისის ბოტანიკური ბაღის დირექტორი გახლდათ (მანია, 1860: 60).

თბილისში ქალთა პირველი სასწავლებელი კეთილშობილ ქალთა პანსიონი იყო, რომელიც მთავარმართებელ პასკევიჩის ინიციატივით 1830 წლის 11 ივლისს გაიხსნა (Акты, т. VII, 1878: 69; ხუნდაძე, 1937: 100-101). 1840-იანი წლებში სწორედ ამ პანსიონის ბაზაზე დაარსდა თბილისის ქალთა პირველი სახაზინო სასწავლებელი – ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი. 1840 წლის 23 მარტს დაფუძნდა ინსტიტუტის წესდების პროექტი (Акты, т. IX, 1884), რომელიც 1841 წლიდან უნდა ამოქმედებულიყო (სეა სცსა ფ.424. ან.1. ს.41, გვ. 2-3). ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტმა მცირე დროით, თავდაპირველად, ბინა ქალთა პანსიონის შენობაში, გენერალ-მაიორ ორბელიანის ქვრივის სახლში დაიდო. შემდეგ გადავიდა სოლოლაკში, ბაღის (დღევანდელი ლადო ასათიანის) ქუჩაზე მოქალაქე შადინოვის ახლად დასრულებული სახლის შენობაში (Кавказский Календарь, 1845: 239). 1857 წლიდან კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტმა კვლავ შეიცვალა მისამართი და ის ლაბორატორიისა და ერმოლოვის (დღევანდელი პავლე ინგოროყვასა და შიო ჩიტაძის) ქუჩების კუთხეში, ისაკ თუმანიშვილის მიერ აგებულ სახლში გადადის (Кавказский Календарь, 1857: 506; Кавказский Календарь 1879: 161)¹⁴³. ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტის საბოლოო შენობა, რომელიც დღემდე შემორჩა (დღევანდელი საგარეო საქმეთა სამინისტრო), 1888-1890 წლებში ალექს ერმოლოვის (დღევანდელი შიო ჩიტაძის) ქუჩაზე არქიტექტორ რობერტ გედიკეს მიერ აშენდა.

საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტისთვის სპეციალური შენობის მშენებლობაზე ზრუნვა სასწავლებლის საბჭომ მისი დაარსების დღიდანვე დაიწყო. თავდაპირველად, უკვე არსებული გეგმის მიხედვით, შენობის მშენებლობის ხარჯთაღრიცხვა, სამშენებლო მასალის მოძიება და შეძენა დაევალა ინჟინერ-პოლკოვნიკ ევსტრატოვს (სეა სცსა ფ.205. ან.1. ს.140). მაგრამ ამ უკანასკნელმა მასზე დაკისრებულ ვალდებულებას თავი ვერ გაართვა. 1846 წლის 14 ნოემბერს კავკასიის მეფისნაცვალმა ქალაქის არქიტექტორ ჯოვანი სკუდიერის (1817-1851) დაავალა ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის შენობის პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენა. თუმცა საქმის დასრულება სკუდიერის მოულოდნელი გარდაცვალების გამო ვერ მოესწრო (სეა სცსა ფ.205. ან.1. ს.830, გვ. 2-6). 1853 წლის 23 ივნისის დოკუმენტის მიხედვით, დაიგეგმა ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის მთავარი კორპუსის

¹⁴³ „საველე აუდიტორიის თავმჯდომარემ ისაკ თუმანიშვილმა, ერეკლე II ეპოქის სახელმწიფო მოღვაწის, სულხან თუმანიშვილის შვილიშვილმა, ააგო უშველებელი შენობა, რომელიც დღესაც არსებობს. ამ სახლში გადმოვიდა ინსტიტუტი 1857 წელს სოლოლაკიდან, ბაღის ქუჩიდან, სადაც შადინოვის სახლში იყო მოთავსებული“ (ხელთუბნელი, 1941: 8, 109); ტარიელ ხუნდაძე შადინოვის სახლის, იგივე ქალთა ინსტიტუტის მისამართს, „მახარაძის და ენგელის ქუჩების კუთხეს“ უთითებს (ხუნდაძე, 1937: 101; ხელთუბნელი, 1941: 110). საინტერესოა დღევანდელი გერონტი ქიქოძის ქუჩის ისტორია. აქ XVIII საუკუნეში დარეჯან დედოფლის ბაღები იყო, შემდეგ 1857 წლამდე ამ ქუჩას ინსტიტუტის სახელი დაერქვა, რადგან იქ განთავსებული იყო ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი, მისი გადასვლის შემდეგ დაერქვა ძველი ინსტიტუტის, 1900 წლებიდან – პასკევიჩის, შემდეგ კი მახარაძის (აბაშიძე, ზ., ბათიაშვილი, გ., ბერიძე და სხვა. 2008: 180) სახელი.

მშენებლობა. ოთხსართულიანი შენობის პროექტი, რომლის მშენებლობაც 4 წელიწადში უნდა დასრულებულიყო შექმნა თბილისის საგუბერნიო არქიტექტორმა ტიმოთე ბელოიმ (1805 წ. – გარდაცვალების წელი უცნობია) (სცსა ფ.205. ა.1. ს.1068), რასაც, თავის მხრივ, ადასტურებს ვახტანგ ბერიძე (ბერიძე, 1863: 165).

საბოლოოდ, ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტმა არქიტექტორ რობერტ გედიკეს (1829-1909 წწ.) მიერ 1888-1890 წლებში ერმოლოვის (დღევანდელი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობა შიო ჩიტაძის) ქუჩაზე აგებულ შენობაში დაიდო ბინა (Зидчий, 1894: 2-3). ეს შენობა ე. წ. „ქართული სტილის“ ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. მთავარი ფასადის მხრიდან სამსართულიანი, წითელი აგურით ნაშენი, მკაცრი ხასიათით გამორჩეული მასშტაბური შენობა ოსტატურად ეწერება ვიწრო ქუჩის განაშენიანებაში, სადაც მნახველს თვალში ხვდება ყოფილი სასწავლებლის მთავარი ფასადის შვერილზე მოთავსებული ქართული შუასაუკუნეების ხუროთმოძღვრების შემკულობის მოტივები - შეისრული მოყვანილობის თაღები და ორნამენტი. ამასთან, მთავარი ფასადის მესამე სართულზე, იქ სადაც სასწავლებლის სამლოცველო იყო თავისდროზე განთავსებული, გამოსახული იყო სამთავისის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადის კომპოზიცია ჯვრითა და მის ქვემოთ მოთავსებული რომბებით (განადგურდა საბჭოთა პერიოდში). ქართული შუასაუკუნოვანი ხუროთმოძღვრული ორნამენტის მოტივების გამოყენება საზოგადოებრივ თუ საცხოვრებელ ნაგებობაზე სწორედ ამ პერიოდში ხდება აქტუალური თბილისის არქიტექტურაში. ქართული სტილი „1880-იანი წლებიდან განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა. ის გასცდა საეკლესიო არქიტექტურის ფარგლებს და საცხოვრებელ, საზოგადოებრივ და ადმინისტრაციულ შენობებშიც შეაღწია“ (ხომტარია, 2016: 38).

სრულიად განსხვავებული სტილური ნიშნებით გამოირჩევა დიდი მთავრის, მიხეილის სახელობის თბილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის შენობა (დღევანდელი განათლების სამინისტროს შენობა დიმიტრი უზნაძის ქუჩაზე). თავდაპირველად სასწავლებელი კუკიაზე, იჯარით აღებულ, მცირე ზომის ძველ შენობაში იყო განთავსებული, მაგრამ ნაგებობის მძიმე მდგომარეობის გამო სასწავლებლის აღსაზრდელებს საფრთხე ექმნებოდათ. ამასთან, შენობის სიმცირე არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ გიმნაზიაში უფრო მეტ მსურველს ესწავლა. აქედან გამომდინარე დღის წესრიგში დადგა დიდი და კეთილმოწყობილი შენობის აგების საკითხი.

გიმნაზიის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი მის პირველ დირექტორს, ი. დრბოგლავს ეჭირა, რომლის თაოსნობითაც მოხერხდა გიმნაზიის ახალი შენობის მშენებლობისთვის ფინანსების მოძიებაცა და ახალი შენობის აგებაც. მშენებლობისთვის საჭირო ფინანსების მოსაზიდად დირექტორმა დრბოგლავმა შეკრიბა როგორც მოსწავლეთა შეძლებული მშობლები, ისე ადგილობრივი მეცენატები, რომელთა შორისაც გამოირჩეოდნენ ა. ს. ცურინოვი და მ. ო. არამიანცი.

უპირველეს ყოვლისა, დაიწყო გიმნაზიისთვის შესაფერისი მიწის ნაკვეთის ძებნა და მისი შესყიდვის საქმე. კავკასიის სასწავლო ოლქისგან მშენებლობისთვის გამოიყო 140 620 მანეთი. შენობას საძირკველი დიდი მთავრის (დღევანდელი დიმიტრი უზნაძის) ქუჩაზე 1893 წლის 5 ოქტომბერს ჩაეყარა. სასწავლებელი გახსნის დღეს, 1899 წლის 24 მაისს, საქართველოს

ეგზარქოსმა¹⁴⁴ აკურთხა (Тер-Егизаров, 1906: 24-25). როგორც მაშინდელი პრესა აღნიშნავდა, გიმნაზიის ახალი შენობა თბილისში ტექნიკური თვალსაზრისით ერთ-ერთ სრულყოფილ და საუკეთესო ნაგებობას წარმოადგენდა. სადაც დიდი ყურადღება ექცეოდა განათებას, ვენტილაციასა და გათბობას, რაც ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნას წარმოადგენდა მშენებლობის დროს (სეა სცსა ფ.192. ან.6. ს.1389). შენობაში იყო 18 საკლასო ოთახი, სამხატვრო დარბაზი, ფიზიკის კაბინეტი და ბიბლიოთეკა. გიმნაზიის შუა ნაწილში, ტრადიციულად, ორ სართულზე ეკლესია იყო მოთავსებული. ცალკე შენობაში მდებარეობდა საავადმყოფო, სამზარეულო, საცხობი, ნაგებობა მომსახურე პერსონალისთვის და დირექტორის სახლი (Газета Нива. (1900). #39).

წითელი აგურით ნაგები, შეუღესავი, ფართე გუმბათით დაგვირგვინებული, მასიური შენობა რუსული სტილის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია (ბერიძე, 1963: 74). სხვადასხვა ფორმის არქიტექტურული დეტალებისა და შეისრული მოყვანილობის თაღებით დანაწევრებული საფასადო კედლის სიბრტყე, გადატვირთულ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე.

მოდერნის სტილშია გადაწყვეტილი ნავთობმეწარმის, ალექსანდრ მანთაშევის სავაჭრო სკოლა (დღევანდელი 43-ე საჯარო სკოლა ლადო ასათიანის ქუჩაზე). სასწავლებელი 1902 წელს დაარსდა (სეა სცსა ფ.13. ან.6. ს.700) და თავდაპირველად, ავლაბარში, პეტრე-პავლეს (დღევანდელი ნიკიფორე ირბახის) ქუჩა, N22-ში მდებარეობდა (Кавказский Календарь, 1845: 581). 1910 წლის 14 ივლისს სავაჭრო საზოგადოების უხუცესს, ა. მილოვსა და მშენებლობის ზედამხედველს, ა. ახვერდოვს შორის დაიდო ხელშეკრულება თბილისში მესამე საპოლიციო ნაკვეთზე, ბებუთოვის ქ. N50 (დღევანდელი ლადო ასათიანის ქუჩა) ალექსანდრ მანთაშევის სახელობის სავაჭრო სკოლის მშენებლობის შესახებ. პროექტი შეადგინა საქართველოში მოდერნის სტილის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ლ. სარქისიანმა და ი. პონდოევმა. ხელშეკრულების თანახმად, სკოლის შენობის მშენებლობა 1911 წლის 20 აპრილს უნდა დასრულებულიყო (სცსა ფ.1479. ან.1. ს.19, გვ.1-5).

მოდერნის სტილით ნასაზრდოები არქიტექტორი, ერთი შეხედვით მკაცრი ხასიათით გამორჩეული შენობის თავისებურ გადაწყვეტას გვთავაზობს, სადაც ნაგებობის სადა კედლის სიბრტყეები შვერილი კარნიზითა და სხვადასხვა მოყვანილობის კარ-სარკმელთა ღიობითაა დანაწევრებული. ფასადი შემკულია მოდერნის სტილისთვის დამახასიათებელი გირლიანდებითა და ორნამენტებით.

როგორც დავინახეთ, XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში თბილისმა სრულიად იცვალა სახე, რაც ცხოვრების ახალი წესიდან და მოთხოვნილებებიდან მომდინარეობდა. ჩნდება ფუნქციურად ახალი ნაგებობები, შემოდის ახალი არქიტექტურული მხატვრული სტილები. შემოსულ ახალ, ევროპულ ფორმას თბილისი თავის მრავალსაუკუნოვან სამშენებლო გამოცდილებას ახვედრებს, ამუშავებს და ქმნის სრულიად უნიკალურ, გამორჩეულ და მხოლოდ მისთვის თვითმყოფად და დამახასიათებელ მხატვრულ არქიტექტურულ სახეს. ზოგ შემთხვევაში ცდილობს აღადგინოს ეროვნული მოტივები,

¹⁴⁴ საქართველოს ეგზარქოსი – ფლავიანე (გოროდეცკი) 1898-1901 წწ.

რომლებიც სტილიზაციის სახით გვხვდება ზოგიერთ საზოგადოებრივ თუ საცხოვრებელ შენობაზე. სწორედ ამის ერთ-ერთი გამოვლინება უნდა იყოს „ქართული სტილის“ შენობების გაჩენაც¹⁴⁵.

აღნიშნული პერიოდის თბილისის საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტურ მასალასა და ნახაზებზე დაყრდნობით, ვეცადე სტატიის ფარგლებში, წარმოემჩინა ამ სასწავლებლების დაარსების ისტორია და მათ მშენებლობასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები, თუ როგორ ყალიბდებოდა მათთვის სპეციალური შენობის მშენებლობის იდეა, ვინ იყო ამ იდეის სულის ჩამდგმელი და განმახორციელებელი, როგორ ხდებოდა ფინანსების მოძიება შენობის ასაგებად, როგორ მუშავდებოდა საპროექტო ნახაზები და როგორ უწყვედნენ ნაგებობის მშენებლობასა თუ მათ რეკონსტრუქციას ზედამხედველობას. ეს ისტორიული მნიშვნელობითა და არქიტექტურული სახით გამორჩეული არქიტექტურის მაგალითები, დიდ როლს თამაშობდნენ როგორც კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს, ისე დედაქალაქის არქიტექტურის სახის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. სტატიაში ჩემს მიერ საგანგებოდ გამოყოფილი შენობები, ახალი სიტყვაა თბილისის არქიტექტურაში, რომლებიც თავისი იდეური მნიშვნელობითა და არქიტექტურულ-მხატვრული ღირებულებით ამ პერიოდის საგულისხმო ძეგლებს წარმოადგენენ, რომელთაც წამყვანი ევროპელი არქიტექტორები ქმნიდნენ და ისინი თავის ადგილს იკავებენ არამარტო თბილისის, არამედ მსოფლიო არქიტექტურის საერთო სურათში.

გამოყენებული ლიტერატურა და ბიბლიოგრაფია:

- აბაშიძე, ზ., ბათიაშვილი, გ., ბერიძე, თ., საყვარელიძე, ა., ჭელიძე, ზ. (2008). ენციკლოპედია. ქუჩები, გამზირები, მოედნები. თბილისი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო ედაქცია.
- ბერიძე, ვ. (1960). თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917 წლები. I. თბილისი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
- ბერიძე, ვ. (1963). თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917 წლები. II. თბილისი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
- გერსამია, თ. (2006). „ქართული სტილი“ თბილისის არქიტექტურაში XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე. სპექტრი. N2. თბილისი.
- მანია, მ. (2006). ევროპელი არქიტექტორები თბილისში. თბილისი.
- მანია, მ. (2018). გერმანელი არქიტექტორები თბილისში. თბილისი.

¹⁴⁵ „ქართული სტილის“ შესახებ ვრცლად იხ.: ხოშტარია, დ. (2016). არქიტექტურა და იდენტობა, საეკლესიო მშენებლობა თბილისში (1801-1918). თბილისი; ასევე, გერსამია, თ. (2006). „ქართული სტილი“ თბილისის არქიტექტურაში XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე. სპექტრი. თბილისი.

სულაბერიძე, ზ., გურგენიძე, ნ., (2014). თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის ისტორიიდან (1802-1815 წწ.). ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები - XII-XIII. თბილისი.

ხელთუბნელი, მ. (1941). საბავშვო ლიტერატურის მოამაგე, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის ცხოვრება და მოღვაწეობა. თბილისი. საქ.ალკვ ცენტრალური კომიტეტი, საბავშვო და ახალგაზრდების ლიტგამომცემლობა.

ხოშტარია, დ. (2016). არქიტექტურა და იდენტობა, საეკლესიო მშენებლობა თბილისში (1801-1918). თბილისი.

ხუნდაძე, ტრ. (1937). საერო განათლება საქართველოში მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში. სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში. მასალების კრებული I. პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. თბილისი.

ღუდუშაური, მ. (2009). თბილისის ეკონომიკური განვითარება XIX საუკუნეში. თბილისი. მიმისტარაშვილი, სოკ. (1937). კერძო სასწავლებლები საქართველოში (1830-1836). სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში. მასალების კრებული I. პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. თბილისი.

Акты собранные Кавказскою археографическою комиссиею. (1878). т. VII . Тбилиси. „Тип. гл. упр. Наместника Кавк.“

Аристов, Н. (1878). Состояние образования в России. Киев. „тип. М. П. Фрица“.

Григорьев, В. (1900). Исторический очерк Русской школы. Москва. „т-во тип. А. И. Мамонтова“.

Тер-Егиазаров А. и Назаретов К. М. (1906). Весь Тифлиς, Справочно Адресный Альбом на 1906 год. Издание I-е. Тифлис.

Газета *Нива*. (1900). #39. СПб. „Типография и Литография А. Траншеля“.

Зодчий. (1894). Архитектурный и художественно-технический журнал. XXIII-й год. С-Петербург. „Императ. Санкт-Петербург. Общества Архитекторов“.

Кавказский Календарь. (1845). „Канцелярия Наместника по военно-народному управлению“.

Кавказский Календарь. (1857). „Канцелярия Наместника по военно-народному управлению“.

Кавказский Календарь. (1879). „Канцелярия Наместника по военно-народному управлению“.

სეა სცსა ფ.8. ან.1. ს.280.

სეა სცსა ფ.13. ან.6. ს.700 .

სეა სცსა ფ.192. ან.6. ს.1389.

სეა სცსა ფ.192. ან.8ა. ს.660.

სეა სცსა ფ.203. ან.1. ს.167.

სეა სცსა ფ.205. ან.1. ს.81.

სეა სცსა ფ.205. ან.1. ს.140.

სქს სცსს ფ.205. ს6.1. ს.830.
სქს სცსს ფ.205. ს6.1. ს.1068.
სქს სცსს ფ.422. ს6.1. ს.478.
სქს სცსს ფ.424. ს6.1. ს.41.
სქს სცსს ფ.1479. ს6.1. ს.19.

Tamta Shonvadze
National Archives of Georgia

Educational Institutions and their Architecture in Tbilisi
Second half of 19th century and the beginning of 20th century¹⁴⁶
(According to the materilas preserved in the National Archives of Georgia)
Summary

The topic concerns educatiolan institutions in Tbilisi of the seconf half of the 19th century and the beginning of the 20th century and thresearch of the architecture of these buildings. This isshue has not been particularly studied before, and this is what caused our great interest to study and present the history and architectural features of these institutions, which were caused by architectural artistic stylistic innovations or forms characteristic of this architecture, because the buildings of various educational institutions of the mentioned period are a new word in the architecture of the capital.

This is very important period for the development of public architecture in Georgia and it/s capital Tbilisi. From an artistic point of view, the architecture of Tbilisi in this period paints us a rather diverse picture, wich resonates well with its modern world architectural styles, such as Neo-Gothic, Neo-Renaissanse, Neo-Baroque, Moorush are introduced; new themes of architecture are formed.

On the main avenues of Tbilisi and their surrounding area many new purpose buildings are neing built, including: museums, laibraries, gymnasiums for boys and girl's, private schools, parish schools, city schools, institutes, professional, higher education or cultural institutions.

My goal is to show the group the of buildgings of educational Institutions with their ideological significance and architecural-artistic value. I specifically chose them to illustrate the artistic styles spread in the seconf half of the 19th century and the beginning of the 20th century in Tbilisi, which were created by leading Ueropean architects and they can take their place not only in the overall picture of the architecture of this most important period in Tbilisi, but also in the world architecture.

¹⁴⁶ This research [PHDF-22-2375] has been supported by Shota Rustaveli Nationa Science Foundation og Georgia.

ილუსტრაციები



ვაჟთა პირველი კლასიკური გიმნაზია
ინსტიტუტი



ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა



ვაჟთა მეორე გიმნაზია
სკოლა



ალექსანდრ მანთაშევის საეკურო

თინათინ ჯაბადარი
საქართველოს ეროვნული არქივი

გარე კახეთი საარქივო დოკუმენტებში

თბილისის აღმოსავლეთით ივრის ზეგანზე სამგორის მაღლობსა და ცივგომბორის ქედს შორის მდებარე ტერიტორია დღევანდელი საგარეჯოს რაიონი, სა-გარეჯო მიწები, ისტორიული გარეკახეთია.

XV საუკუნემდე საგარეჯო დოკუმენტებში თვალის სახელით მოიხსენიება. თვალის ტოპონიმიკაზე ცალკე ცნობები არ არსებობს. თუ სულხან საბას ლექსიკონის მიხედვით ვიმსჯელებთ "თვალად ითქმის წყაროთა გამოსადენელი" (**წყარო?**). თუ გავითვალისწინებთ, რომ ძველი საგარეჯოს ტერიტორია დასერილი იყო ცივგომბორის ქედიდან გამომდინარე პატარა მდინარებით, ან ხევებით როგორც ადგილობრივები ეძახიან და საგარეჯოს ჩრდილო-დასავლეთით მდებარე დღევანდელი სათავის (შესაძლოა სათვალის) ტყე განთქმული იყო იშვიათი გემოვნების წყაროებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სოფელ თვალის სახელიც აქედან მომდინარეობდა. ცნობილი გერმანელი მეცნიერიც გიულდენშტედტი ამ დასახლებულ ადგილზე ჩამავალ მდინარეს - ხევს "თვალწყაროდ" მოიხსენიებდა.

ძველი საგარეჯოს ტერიტორია, ან როგორც მას უწოდებდნენ, სოფ. თვალი გარშემორტყმული ყოფილა გალავნით.... გალავანი XVII საუკუნის შუა წლებში უნდა ყოფილიყო აშენებული, გარე კახეთში, კერძოდ გარეჯის მონასტერში შაჰ - აბასის შესევისა და ბერების ამოხოცვის საშინელი ტრაგედიის შემდეგ, დასახლებული პუნქტის გამაგრების მიზნით. XVIII საუკუნეში ცნობილი გერმანელი მოგზაურის გიულდენშტედტის საქართველოში მოგზაურობისას საგარეჯოს გალავანი უკვე დიდი ხნის აშენებული უნდა ყოფილიყო, რადგან მოსახლეობის ნაწილი გალავნის გარეთ იყო დასახლებული"ეს დაბა მდებარეობს თვალწყაროზე...საგარეჯო გარშემორტყმულია გალავნით, თუმცა სახლების უმეტესობა გალავნის გარეთაა....მის ირგვლივ გაშენებულია ვენახები, დარგულია დიდი რაოდენობით ხეხილი". [ი. გიულდენშტედტი. 1962, ფ.16, 19].

გალავნის არსებობას ადასტურებს XX საუკუნის ცნობილი ქართველი ისტორიკოსი გიორგი ბოჭორიძე, რომელმაც ოციან წლებში გარეკახეთში ეკლესია მონასტრების შესწავლის მიზნით ჩატარებულ ექსპედიციის დროს მოინახულა გალავანი. მიუხედავად მისი საკმაოდ დაზიანებისა, მეცნიერი ნაგებობას მაღალ შეფასებას აძლევდა:....."ეს გალავანი არის ნამდვილი ისტორიული ძეგლი, რომელიც ყოველისმხრივ ხელშეუხლებელი და სასტიკად დაცული უნდა იქნეს.... " საგარეჯოს გალავანი, რომელშიც გადმოცემით მტრის შემოსევის დროს თავს იფარავდა თვით საგარეჯოს, გიორგი წმინდის და ნინოწმინდის მოსახლეობა, მის მცხოვრებთ საშინლად დაუზიანებიათ, მათ გალავნის კედლები ყოველ მხრივ გაუნგრ-გამოუნგრევიათ, ვისაც საით უნდოდათ კარები იქით გაუყვანია, ბურჯ - კედლების ზევით ნაწილი მოუნგრევია და ზედ სახლები დაუშენებია, სხვებს უქცევიათ იგი და საშენებელ მასალად, დაუყიდნიათ" [სცა, ფ. 1753, ან.1, საქ. 4, ფ. 92ა] გასული საუკუნის ოციან წლებში შემონახული ყოფილა მხოლოდ ჩრ. აღმოსავლეთის და სამხრეთის კედლები. ძეგლის

შესწავლისას აღმოსავლეთით კედლის სიახლოვეს ერთ-ერთი მაცხოვრებლის ეზოში უპოვნია საკმაოდ დაზიანებული წარწერებიანი ქვა, ზომით 14/10, კედლიდან ძალით ჩამოგდებული, რადგან ძლიერ დაზიანებული ყოფილა, მასზე შემორჩენილი იყო მხოლოდ რამდენიმე ასო, ამიტომ შინაარსის გამოტანაც შეუძლებელი ყოფილა:

"იგ. მყოფს

სარქის მ

ნეთ ქვ სუ" [ფ. 1753, ან. 1, საქ. 105, გვ.22].

გიორგი ბოჭორიძე წარწერას და გალავნის აშენებას XVIII საუკუნეს მიაკუთვნებს.

მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერმა დაუყოვნებლივ მიმართა ადგილობრივ ხელისუფლებას და აცნობა გალავნის განგებ დაზიანების შესახებ, ადგილობრივმა მოსახლეობამ კვლავ გააგრძელა გალავნის დაშლა... [ფ. 1753, ან. 1, საქ. N 4, ფ.97]. სამწუხაროა, რომ დღეს გალავნის კვალი საერთოდ აღარ არსებობს.

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსთან კავშირი ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია იმისა, რომ საგარეჯოს ტერიტორიაზე უამრავი საკულტო ტაძარია აშენებული. ამ ტაძრების მასიური შესწავლა XX საუკუნის 20--იანი წლებიდან დაიწყო.

მანამდე XIX საუკუნის შუა ხანებში დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსით დაინტერესდა, მონახულა და აღწერა კავკასიის მეფისნაცვალმა, კავკასიის ცალკეული კორპუსის მთავარსარდალმა და მოგზაურმა ნიკოლოზ მურავიოვმა¹. ეროვნულ არქივში დაცულია საარქივო მასალა მისი მოგზაურობის შესახებ. მურავიოვი იმ პერიოდის ერთ-ერთი მოგზაურია, ვინც დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსზე საინტერესო ინფორმაცია გამოაქვეყნა.

როგორც მოგზაური აღნიშნავს, დავით-გარეჯის მონასტერი (აღბათ გულისხმობდა დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსს) განლაგებულია ტიფლისის სამხრეთ აღმოსავლეთისკენ, მთიან ფერდობზე, მდინარე მტკვრისა და იორის შორის, ყარაიაზისგან მარცხნივ, იოანე ღვთისმეტყველის მონასტრიდან თითქმის 10 კილომეტრის დაშორებით...ქრისტიანობის საწყისიდანვე გარეჯის ქედი გადაიქცა ბერების საცხოვრებლად, მთავარი სავანის ფუძემდებელი იყო VI საუკუნეში სირიიდან გადმოსული ცამეტი ბერიდან ერთ-ერთი - მღვდელი დავითი. თავდაპირველად უწმინდესი დავითი დასახლდა მთაწმინდის ფერდობზე ტიფლისში, ხოლო საბოლოოდ საცხოვრებელი ადგილი დაიმკვირა გარეჯში. დავითის მონასტერი გადაიქცა ცენტრად, საიდანაც მისი მოწაფეები გადანაწილდნენ და გადასახლდნენ გარეჯის მიდამოებში. ამის შედეგად შეიქმნა 11 უდაბნო, კერძოდ 1. კვირაცხოვლობის - წამებულთა; 2. ბერთუბანის ანუ ბერთა კვარტლის; 3. წმ. დოდოს; 4. იოანე ნათლისმცემლის; 5. ჩიჩხატურის; 6. თეთრ - სენაკების; 7. მღვიმის ანუ გამოქვაბულის; 8. კოლაგირის; 9. მოხატულის; 10. ვერან - გარეჯას და 11. პირუკუღმართი, ეს უდაბნოები (იგულისხმება-ეკლესიები) კლდეებშია ამოჭრილი. [სცა. ფ.1685, ან1, საქ.9.გვ.2].

იოანე ნათლისმცემლის მონასტამდე იმგზავრეს ეტლით, ნათლისმცემლიდან გზა განაგრძეს ცხენებით რადგან აქ ცხენების გარეშე მგზავრობა შეუძლებელი იყო. მას თან ახლდა პლატონ იოსელიანი, „გარეჯის ხეობაში დაშვებამდე მთის ქედზე მგზავრებმა შენიშნეს ჩიჩხიტურის უდაბნოს მარტოდ მდგარი კოშკი, ორი კლდეში შეჭრილი ნახევრად დანგრეული ეკლესიის გარდა ამ ტერიტორიაზე სხვა

1. ნიკოლოზ მურავიოვი, კავკასიის მეფისნაცვალი 1854-1856 წწ, კავკასიის ცალკეული კორპუსის მთავარსარდალი და მოგზაური.

არაფერი ყოფილა. ამ ნანგრევებიდან წამებულთა ლავრისკენ გზა ფეხით განაგრძეს, ანუ მოწამეთასკენ, მოწამეთა შეჭრილია მთაში, დაჰყურებს წმ. დავითის სავანეს. გამოქვაბულებში აგებულ ეკლესიებთან, მათ დახვდათ გარეჯის მმართველი. მათი ყურადღება მიიქცია პატარა ეკლესიამ, რომლის საკურთხეველში შესვლისას შეამჩნიეს სამსხვერპლო, სადაც აღმოსავლეთის კედელთან სარიტუალო ჭურჭლის ნაცვლად მოთავსებული იყო ჯვრის ფორმით შეკრული ადამიანის ძვლები, უძველესი კატაკომბების მსგავსად, ირგვლივაც მიმოფანტული იყო ადამიანების ძვლები. მონასტრის წინამძღვარის განმარტებით სავანეს, მოწამთა ამ ძვლების წყალობით დაერქვა: „დახედეთ და თავადაც დარწმუნდებით, რომ ძვლებს ამჟამადაც ეტყობა დაზიანებები, ეს იმ წამებულთა ძვლებია, რომლებმაც თავი ქრისტესთვის გაწირეს, აქ დაგხვდათ ძვლების მცირედი ნაწილი, თქვენ გაოცდებით, როდესაც მოგიტხოვრებთ, რომ აქ გამოასალმეს სიცოცხლეს ექვსი ათასი წმინდა მამა. თორმეტი სავანის ბერებს წესად ჰქონდათ შაბათობით, საღამოს საათებში, ამ ადგილზე შეკრება და წმინდა აღდგომის დღესასწაულის საზეიმოდ აღნიშვნა, ექვსი ათასი ბერი ერთად ანთებული სანთლებით უვლიდნენ მთის წვერზე აღმართულ პატარა ეკლესიას, რომლის აგებისას გამოყენებული იყო ქრისტეს საფლავის სამლოცველოს ფორმა. ბერები გალობდნენ: „ქრისტე აღდგა მკვდრეთით“, სწორედ ამ დროს მტკვრის სანაპიროდან შახ-აბასს შეუმჩნევია მოციმციმე სანთლები, დაინტერესებულა, თუ რა ხდებოდა, პასუხის მიღების თანავე გაუცია ბრძანება, რომ გაეწყვიტათ, ყველა ვინც აღდგომის დღესასწაულს აღნიშნავდა“. მისი ბრძანება განსაკუთრებული სისასტიკით შესრულდა.“ სწორედ ეს გახდა მიზეზი მონასტრის დიდი ნაწილის დაცარიელებისა. დიდი სამონასტრო კომპლექსიდან მხოლოდ ორი ეკლესიის შენარჩუნება მოხერხდა: იოანე ნათლისმცემლის და დავით გარეჯის. [სცა, ფ. 1685, ან1, საქ. 9, ფ. 4.]

ეკლესიათა დიდ ნაწილში დაზიანების გამო შესვლა შეუძლებელი იყო. ზოგი ჩამოზვავებული მიწით იყო სავსე, ზოგში კიბეები იყო ჩამოშლილი.

საშიში კლდის გავლის შემდეგ, პატარა და ვიწრო სამლოცველოდან გადაინაცვლეს საკმაოდ ფართო გამოქვაბულში, რომელიც ხარების ტაძრად იყო ნაკურთხი. მის კედლებზე შემორჩენილი იყო ფრესკების ფრაგმენტები, ბაგრატ IV-ისა და კათოლიკოს იოანეს ფრესკები, მონასტრის მოდელის დავით გარეჯელისათვის გადაცემის სცენა. მათი მოსაზრებით ფრესკა XI საუკუნეს მიეკუთვნებოდა. აქ, ამ ტაძარშიც, წმინდა გიორგის გამოსახულებასთან შეიმჩნეოდა შახ-აბასის მებრძოლების მიერ ჩაჩეხილი ბერების სისხლი.

ეკლესიას ჰქონდა საკმაოდ მოზრდილი სატრაპეზო, რომლის შესასვლელიც ტაძრის ძირითადი ნაწილისგან სამი დიდი თაღით გამოიყოფოდა. თაღებზე გამოსახული იყო წმინდა სიმონის ორი გამოსახულება. სიღრმეში მოთავსებული იყო მაგიდები და დასაჯდომები ბერებისთვის.

შემდეგი ეკლესია კომპლექსში ყველაზე დიდი იყო მოცულობით, თუმცა მისი შესასვლელი მთლიანად ჩამოზვავებული მიწით იყო დაფარული. კლდეში ნაკვეთი ეკლესიის წინა კედელზე, ჩრდილოეთ ნაწილში შემორჩენილი იყო დავით გარეჯელის ცხოვრებისა და სწავლების ეპიზოდები, ოდნავ ქვემოთ ბაგრატ IV-ისა და კათოლიკოს იოანეს გამოსახულება

ეკლესიით ხელში, თამარ მეფის ფრესკა ქმართან და ვაჟიშვილთან ერთად. ეკლესიის შიგნით მოხატულობა თითქმის გაცრეცილი იყო, თუმცა გამოირჩეოდა დეისუსისა და რამდენიმე ქართული ეკლესიის წმინდანის გამოსახულებით, მათ შორის იყო წმ. ნინოს გამოსახულება.

რამდენიმე მეტრის ზევით მთის მწვერვალზე კიდევ ორი ეკლესია იყო, რომლის ქვემოთ, ქვიან უწყლო უდაბნოში წმინდა დავითის სადგომი მოჩანდა, იქამდე მისვლა მხოლოდ საცალფეხო ბილიკით შეიძლებოდა, რომელიც გარეჯის ხეობაში ეშვებოდა. აქ ნახევრად მთაში, გამოქვაბულში მოწანწკარებდა წყარო, რომელსაც “დავითის ცრემლს“ უწოდებდნენ. აქ აღმართული იყო ზედა სადარაჯო კოშკი, რომლის სიახლოვეს განთავსებული იყო ტერასული ფორმის ბაღი, რომლთანაც ნახევრად დანგრეული ღობე აერთიანებდა კიდევ ორ კოშკს. მონასტრის შიდა ნაწილი განთავსებული იყო სამ საფეხურზე. ზედა ეზო ცალ მხარეს დაცული იყო კლდეებით, ხოლო მეორე მხარე ღობით, ცენტრში - მეფე ალექსანდრეს სახელობის კოშკით. მიდამოები მდიდარი იყო კელიებით, რომლებიც წააგავდნენ ჩიტების ბუდეებს.

წმინდა დავითის ეკლესია საკმაოდ ფართო იყო, მაგრამ მოტიტვლებული - კედლის მოხატულობა დაფარული იყო თეთრად, თუმცა სამლოცველო და ვერცხლის შანდლები, ისე როგორც ნათლისმცემლის ეკლესიაში, მოწმობენ მეფე გიორგის უფლისადმი და დავით გარეჯელისადმი განსაკუთრებულ პატივისცემას. ამიტომ ეკლესია განსაკუთრებული მორთულობით გამოირჩეოდა.

მთავარი მონასტრის თავზე გათავსებული ნიკოლოზის პატარა ეკლესია კახეთის მეფის, ბერი ალექსანდრეს მიერ იყო დააარსებული, მისი გადმოცემით მეფის აკლდამაც ეკლესიაში იყო განთავსებული. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ალექსანდრე II დაკრძალულია ალავერდის ტაძარში, მაშინ ეს წარწერა, რომელიც როგორც გადმოსცემენ ძნელად იკითხებოდა, შესაძლოა მხოლოდ მეფის ორწლიან სამონასტერო, ბერისთვის განკუთვნილ წესებით ცხოვრებაზე მიანიშნებდა: „უფლის სახელით მე მეფე ალექსანდრე დავემზე წმინდა დავითის საფლავზე, და რათა სამოთხე შევამკე ის სიყვარულით და გახდეს იგი შუამავლად ჩემსა და უფლის შორის და გახდეს ჩემი მფარველი“. [გ. 1685, ან1, საქ. 9, ფ 6].

მრგვალი ფორმის კოშკი, რომელიც მონასტრის ზედა ეზოში მდებარეობდა, წარმოადგენდა ალექსანდრეს საცხოვრებელს, ხოლო შემდეგ გამოყენებული, იყო სხვადასხვა დანიშნულებისთვის. კოშკი გამოირჩეოდა საკმაოდ დახვეწილი არქიტექტურით, შენარჩუნებული იყო გუმბათის ჩუქურთმები და კედლის მხატვრობა. მიუხედავად ლეკების ხშირი შემოსევებისა, მისი სამლოცველო გამოირჩეოდა მარგალიტებით მორთული სარიტუალო ნივთებით, ოქროთი მორთული ჯვრებით, ხატებით, ჭურჭლით.

მონასტრის ზედა ეზოს თავზე, კლდეში შეჭრილი იყო კიდევ ერთი, საკმაოდ დიდი ფართის - იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესია, რომელშიც განთავსებული იყო ორი სატრაპეზო. მათმა მოწყობილობამ მეფე გიორგის (იგულისხმება გიორგი XII) დროიდან თითქმის შეუცვლელმა მოაღწია. მისი პირველი მეუღლე, ქეთვანი ანდრონიკაშვილი, რომელიც 1780 წელს 3 ივნისს გარდაიცვალა, ამ ტაძარში იყო დაკრძალული.

კომპლექსში შედიოდა კიდევ ორი ეკლესია - მიძინების და წმინდა მარინა წამებულის სახელობის. როგორც მოგზაური აღნიშნავს ეს ეკლესიები, უფრო გვიანი პერიოდისაა, რადგან შემოფარგლულის გარეთაა აშენებული.

ნიკოლოზ მურავიოვი აღნიშნავდა, რომ იმ ეტაპზე მონასტრის ძირითად სიძლიერეს წარმოადგენდა ბიბლიოთეკა - ქართული ხელნაწერი წიგნების მდიდარი კოლექცია, მათი

უმრავლესობა სასულიერო ხასიათის იყო, თუმცა დასანანი, იყო რომ მათი წაკითხვა ქართული ენის არ ცოდნის გამო, შეუძლებელი იყო [ფ.1685, ან1, საქ. 9, ფ. 6].

ბოლოს ავტორი დანახებით აღნიშნავდა: "ზემოთქმულის მიუხედავად, ვერ ჩავთვლით, რომ სავანე კარგ მდგომარეობაშია, მცირედია სახსრები, მნიშვნელოვნად შეთხელებულია ბერთა რიცხვი და მათ არ გააჩნიათ საერთო სატრაპეზო და ეს მაშინ, როდესაც მონასტერზე მიწერილია, საკმაოდ დიდი მამული და ვენახები. ამასთანავე აღნიშნა, რომ მთლიანად საქართველოში შეიმჩნევა სამონასტრო ცხოვრების უკუსვლა და მცირე იყო სახელოვანი ბერების რიცხვი, რომლებიც სიცოცხლის უკანასკნელ წლებს ატარებენ მდუმარე კელიებში. ხოლო საერთოდ აღარ მოინახება ახალგაზრდა ბერებს შორის დიდგვაროვანი ყმაწვილები". [ფ.1685, ან. 1, საქ. 9, ფ. 6ა] ამ ფაქტის დამადასტურებელია არქივში დაცული დოკუმენტი, რომელიც XVIII საუკუნის 30-იანი წლებში აქ მოღვაწე ბერების სიმცირეზე მიანიშნებს, ჩამონათვალში მხოლოდ 15 მორწმუნე ქრისტიანია მოხსენიებული:

1. იერომონარქი თეოფანე;
2. იერომონარქი ზოსიმე;
3. იერომონარქი იოანე;
4. იერომონარქი ზარაქს;
5. იეროდიაკონი იოსტოს;
6. იეროდიაკონი გერონტი;
7. იეროდიაკონი მაკარი;
8. იეროდიაკონი მიხეილი;
9. იეროდიაკონი სოფრონი;
10. კელარი ჩოხა ნაკურთხი - ანტონი;
11. მორჩილი ანაფორა ნაკურთხი - დანილი;
12. მორჩილი ანაფორა ნაკურთხი - იოსები;
13. მორჩილი ანაფორა ნაკურთხი - ბესარიონი;
14. მორჩილი ანაფორა ნაკურთხი - ლევანი;
15. მორჩილი ანაფორა ნაკურთხი სიმეონი. [სცა, ფ. 500, ან. 2, საქ, N 503, ფ. 1].

მურავიოვი აღნიშნავდა გარეჯის მონასტრის მდიდარი ბიბლიოთეკის არსებობაზე, თუმცა არ დაუსახელებია შემონახულ წიგნთა რაოდენობა. არქივში დაცულია, დოკუმენტი, რომელიც გარეჯის წიგნთსაცავში დაცული ძირითადად ხუცური ხელნაწერით შესრულებული უძველესი წიგნების არსებობას ადასტურებს:

1. ცხოვრება სვიმეონ მესვეტისა და სხვადასხვათა წმინდანთა ერთ წიგნად, ხუცური ხელთნაწერი;
2. წიგნი ხორონ-დღრაფი - ხუცური ხელთნაწერი;
3. წიგნი სახარების თარგმანი, ხუცური ხელთნაწერი;
4. წიგნი ქართველთ ცხოვრება, ხუცური ხელთნაწერი;
5. წიგნი კლემექსისა და ბაგრატის ცხოვრება, ხუცური ხელთნაწერი;
6. წიგნი მეზვერისა და ფარისევლისა, ხუცური ხელთნაწერი;
7. ნეტაფრასი, ხუცური ხელთნაწერი;
8. სახარება მრგლოვანი, ხუცური ხელთნაწერი;

9. სწავლა ოქროპირისა და ლექსიკონი; ხუცური ხელთნაწერი;
10. ლექსიკონი, მხედრული ხელთნაწერი;
11. ეპისტოლე წმინდისა პოლადიოს ეპისკოპოსისა, ხუცური ხელთნაწერი;
12. სვინაქსარი სრულიად წლისა, ხუცური ხელთნაწერი;
13. ეფისტოლე ეფრემისა, ხუცური ხელთნაწერი;
14. ცხოვრება გრიგოლი ღვთისმეტყველისა, ხუცური ხელთნაწერი;
15. ავსაიკონი ეფრემისავე, ხუცური ხელთნაწერი;
16. ცხოვრება მაქსიმესი, მხედრული ხელთნაწერი;
17. მამათ ცხოვრება, ხუცური ხელთნაწერი;
18. სჯულის კანონი - 2: ერთი ხუცური ხელთნაწერი და მეორე მხედრული ხელთნაწერი;
19. რიტორიკა, მხედრული ხელთნაწერი;
20. დრამატიკა, მხედრული ხელთნაწერი;
21. წიგნი მრავალთ მდინარე, მხედრული ხელთნაწერი;
22. კატეხისმა, ხუცური ხელთნაწერი;
23. კატელორია, მხედრული ხელთნაწერი;
24. დრამატიკა, ბერძნულ ენაზედ, ქართული მხედრული ხელთნაწერი;
25. წიამძღვარი, მხედრული ხელთნაწერი;
26. კავშირი, მხედრული ხელთნაწერი;
27. წიგნი საზღვარი, მხედრული ხელთნაწერი;
28. დილიტიკა, მხედრული ხელთნაწერი;
29. წინა პჰე დიონოსის თქმული, ხუცური ხელთნაწერი;
30. საბას ცხოვრება, ხუცური ხელთნაწერი;
31. თარგმანი 3, წიგნი მათესი, მარკოზისი და იოანესი სახარებანი, ორი ხუცური ხელთნაწერი და ერთი მხედრული;
32. წიგნი გრიგორი ღვთისმეტყველისა თქმული, მხედრული ხელთნაწერი,
33. წიგნი მაქსიმე აღმსარებლისა მიერ თქმული, მხედრული ხელთნაწერი;
34. დოღმატიკა, ხუცური ხელთნაწერი;
35. წიგნი იოანე სინელთ მამასახლისისა, ხუცური ხელთნაწერი;
36. წიგნი და მხატვრობა იესო ქრისტეს სასწაულთ მაგალითისა, ხუცური ხელთნაწერი;
37. ქართული დრამატიკა, ეპისკოპოსი ანტონის მიერ შედგენილი.

სულ დოკუმენტში 48 ხელნაწერია აღწერილი, ზოგიერთის დასახელება მეორდება.

გარეჯის მონასტრის ბიბლიოთეკის საცავი ყოველწლიურად ივსებოდა წმინდა მამათა და ქრისტიანული სარწმუნოებისთვის თავგანწირულ პირთა ცხოვრების ამსახველი ხელნაწერი და დასტამბული წიგნებით. 1852, 1853 წლებში ბიბლიოთეკაში დაცულ წიგნებს შეემატა წმინდა დავით გარეჯელის, წმინდა გრიგოლის, წმინდა შიო მღვიმელის, იოანე ზედაზნელის, წმინდა მაქსიმე აღმსარებლის, წმინდა ეფრემ ასურელისა და სხვათა ცხოვრების ამსახველი წიგნები. სულ 265 წიგნი. [ფ. 500, ან 2, საქ. N 502, გვ.1].

ბიბლიოთეკის შევსება მუდმივად გრძელდებოდა. მოგვიანებით, XX საუკუნის დასაწყისში, როცა გარეჯის მონასტრის აღდგენა მიმდინარეობდა, საქართველოს რკინიგზის საშუალებით, მონასტერში იგზავნებოდა ჟურნალი "საეკლესიო უწყებანი" [1612, ან1.საქ.126, ფ.1].

გარეჯის მონასტერის ტერიტორიაზე დაკრძალვა დიდი პატივი იყო, თუმცა ეს პროცესი სათანადო შესაწირის გარეშე არ ტარდებოდა: 1828 წლის 26 მარტს გარდაცვლილი იოანე სოლომონის ძე ანდრონიკოვის მეუღლე კნეინა ანასტასია ჩამოასვენეს 28 მარტს უდაბნოში და ფერიცვალების ეკლესიის ეზოში დაკრძალეს, რისთვისაც ეკლესიას შესწირეს რვა რუბლი თეთრი, სამადლიანი და ერთი ჩარეკი ფარჩა, სოსანის ფერი ხალიჩა და ორი შანდალი თეთრი თუნუქის. [ფ. 500, ან2, საქ. N 39].

1831 წლის 21 დეკემბერს მიასვენეს და დაკრძალეს ტაძარში (დოკუმენტში არ არის ნახსენები რომელი ეკლესიაა) ქაიხოსრო ვაჩნაძის დედა ნინა, რის სანაცვლოდაც ქაიხოსრო ვაჩნაძემ მონასტერს შესწირა ორი ოქრო და ნახმარი ხალიჩა. [ფ. 500, ან 2 საქ. 68].

1832 წელს არქიმანდრიტ ანტონის მიმართ გაგზავნილი (არ ჩანს ვისგან) წერილით ვგებულობთ, რომ სოფელ საგარეჯოს მცხოვრები, "ეკლესიის ყმათ ნაცვალი" ზაქარია ყანდარელი¹, ჩეჩნეთში ლეკების მიერ იქნა მოკლული. ადგილობრივმა მოსახლეობამ, მეზობლებმა სახლში მიასვენეს, მაგრამ რადგან გარდაცვლილი "აღმასრულებელი იყო ქრისტეს რჯულისა და ქრისტეს სარწმუნოებისა, და უმაღლესის ნების აღსრულებისათვის სისხლ დანთხეული იყო, ამისათვის მოვიტანე თავის ნამსახურევსა მონასტერში და დავმარხეთ ეკლესიის ეზოს გარეთ" და ამისათვის მონასტერს შესწირეს ერთი თეთრი ფერის იაბო ცხენი, რომელიც განსვენებულს ეკუთვნოდა. [ფ. 500, ან 2, საქ. 75].

გასული საუკუნის დასაწყისში აღდგა საუკუნეების წინ განადგურებული დავით გარეჯის ტაძრების ნაწილი, 1911 წლისთვის გაიწმინდა და ამოქმედდა სამი ტაძარი: ფერიცვალების სახელობის, ყოვლადწმინდა სასწაულმოქმედი ღვთისმშობლის სახელობის და წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია. ამ პერიოდისათვის აქ მოღვაწეობდნენ ერთი არქიმანდრიტი, სამი იერომონარქი, ორი მღვდელი და ერთი მოსამსახურე-მორჩილი. [სცა, ფ. 1612, ან.1,საქ. 10, ფ. 6.] XX საუკუნის ათიან წლებში მონასტრის წინამძღვარი იყო არქიმანდრიტი ნაზარი ლეჟავა. [1612, ან1, საქ. 126.ფ.1]

გასული საუკუნის ოციან წლებში განათლების სახალხო კომისარიატის გადაწყვეტილებით დაიწყო თბილისის მაზრის ისტორიული ძეგლების და მათში აღმოჩენილი ისტორიული ნივთების აღწერა-შესწავლა. გარეკახეთის ძეგლთა აღწერაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა დიდმა ქართველმა მეცნიერმა გიორგი ბოჭორიძემ. მან ფეხით შემოიარა, აღწესა და შეისწავლი გარეკახეთის ისტორიული ძეგლები. უმეტესი მათგანი გამარცვული და დანგრეული დახვდა: "უსაშინლეს მდგომარეობაშია დავით გარეჯელის და ნათლისმცემლის უდაბნოები, განსაკუთრებით უკანასკნელი, აქ ბოროტმოქმედთ ფიცრის პატარა ნაჭერიც კი არ დაუტოვებიათ ორი ფოლად გადაკრული კარის გარდა, რომელთაც ალბათ ვერ მოერივნენ სიმძიმის გამო, სადაც კი რაიმე ხის მასალა ჰქონია ეკლესიებს თუ სხვა შენობებს, ყველგან კედლები გამოუნგრევიათ და წაუღიათ აქ თითქმის ყველაფერი განადგურებულია....აქ მრავალ საუკუნოვანი საქართველოს ისტორია კედლებზე არის

დაწერილი, ეს ქვაბთა ქალაქია, ქალაქი უდაბნოში".....ისტორიულ ნივთთა შორის ყველაზე ბევრი დაღუპილა დავით გარეჯის უდაბნოში... ამოხრებელთ გაუტანიათ უამრავი ისტორიული ნივთი საეკლესიო განძეული და ჭურჭელი გიორგი ბრწყინვალისა და ქეთევან დედოფლის დროისა, სხვათა შორის ვერცხლის ხატი ნათლისმცემლისა, ვერცხლის ჭადი შეწირული ქეთევან დედოფლის მიერ, ჯვრები ვერცხლისა 7 ცალი....ბარძიმ ფეშხუმი ვერცხლისა წარწერებით 7 ხელი, ჯამები წარწერებით, სპილენძეული დაახლოებით 15 ფუთი, რომელთა შორის ვერცხლის ჭურჭელიც ყოფილა,....მთავარი უდაბნოს 5 ზარი წაუღიათ, ვინმე თფილისელ მეთრიმლეებს და თფილისში გაუყიდნიათ. რაც შეეხება უდაბნოთა მთავარ სიწმინდეთ: მადლის ქვას, წმ. შიოს თავის ქალას - იგინი გადაურჩენია ადგილობრივ მკვიდრს გიორგი აბაშიძეს, რომელსაც ჩაბარებული ჰქონდა უდაბნოთა მეთვალყურეობა"... უდაბნოს დაცვასა და მეთვალყურეობაში დიდი წვილილი შეუტანიათ, მონასტრებიდან 1-5 ვერსის მანძილზე განთავსებულ თივის დამამზადებელი პუნქტის თანამშრომლებს, "მათ გადაუტანიათ დავითის საფლავის ქვა მარმარილოსი, შეწირული საბინინის მიერ, ამოხრებელთა მიერ გატეხილი ორად, დიდი ზარი და ფიცრის მასალა" [ფ.1753, ან.1, საქ. 4 ფ. 92].

დავით გარეჯის მონასტრის ტერიტორიაზე ბოჭორიძემ შეისწავლა წმ. ნიკოლოზის, ნათლისმცემლის და ღთისმშობლის სახელობის ეკლესიები: რაც შემორჩა და რის გარჩევაც შესძლო მეცნიერმა ფურცლებზე შემოგვინახა: "ნათლისმცემლის ეკლესიასთან, დიდ აუზთან, რომელიც ქვიტკირისგან არის ამოყვანილი, გდია ფოლად გადაკრული დიდი კარი, რომელსაც აქვს წარწერა ფოლადზე:

ქ: მე: ფდ: ცნ: ზაზა ყოფილმან. ეფთვიმი.ძემან. უხუცესმან..სიონ.. დეკანოზის. იესემნ. მოგიჭდენე/ კარი.ესე.შნ დბუდის: გარეჯის. ნათლის.მცემლის.. შესანდობლად და საოხდ სულთა . მამა. დთა.ჩმთათს:./

დაიწერა: მაისის დამდექს:/ [1753, ან1, საქ. 105, ფ. 13].

დავით გარეჯის უდაბნოში აღსავლის კარებიდან ორ არშინის დაშორებით წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში დაცული იყო წარწერებიანი საფლავის ქვა:

"ქ: წმინდათა: ამათ: უდაბნოთა: გან

წმინდათა: მოლტოლვილი: მსასოებ

ელი: წმინდის: დავითის: ტვირთ: მძიმე: და

მაშვრალი: ცოდვათა: მიერ ცოდვილი: და არა ღირსი: მ

თავარ: ეპისკოპოსი: ქართ

ლისა: რომანოზ: მონაზონი მდაბ

ალი: და : უნარჩევსი: ყოვე

ლთა: კაცთა: მდებარე

საფლავსა: ამას მხილვ

ელთა: და : დამტკეპნელთა წმინდათ

ა: ფერხთა: თქვენთა მიე

რ: შენდიბა: ყავთ: წმიდან
ო: ღ ვთისანო: ქვს უ
ქრისტეს: აქეთ: ათას შვი
დას"

მეცნიერი აღნიშნავდა, რომ წარწერა დაუმთავრებელი იყო, ამიტომ შეუძლებელი იყო მისი თარიღის დადგენა. [ფ. 1753, ან1, საქ. 105, ფ.14].

წმინდა ნიკოლოზის მახლობლად ერთ დიდ დარბაზში, სამხრეთის კედელზე, ქვაზე არის წარწერა: "შეწევნითა:ღ თა მე: ცი: ენდრენიკე. შვილი ნიკოლოზ: ნინოწმინდელი: მოველ: წ ა: ამისა: უდაბნოს: და დაყვავ დიდმარხვა: ერთ: და: ვევედრე: სასოებით: წ ა. დავითს: მეოხად ქრისტესა წინაშე. ამინ. ჟამთა ხემწიფისთვის პატრონის: არჩილ: მეფისათა: ქვსა ტ ნია ვინცა ვარ: მობზანდეთ: აქა: შენდობისა: გვიბრძანებდეთ. ამავე კედელზე კარების ახლოს კედელში ჩასმულ ქვაზე მცირე წარწერაა:

ქ: ეს.ირმის
რქა

დმტრმ შემოსწირა

თავის სადღეგრძელოთ. [ფ. 1753, ან. 1 საქ. 105, ფ. 15]

ამავე დარბაზის სიღრმეში კედელზე გამოსახული იყვნენ მდგომარე დავით გარეჯელი და ლუკიანე. დავითის თავზე წარწერა იყო: "მოიხსენე უფალო მეოხებით ღირსისა მამისა ჩვენის დავით გარეჯელისათა / ცოდვილ და სფირიდონ/" [1753, ან. 1 საქ. 105, ფ. 16].

ამ ეკლესიის სამხრეთით კლდეში გამოყვანილ დიდ ეკლესიაში შემორჩენილი იყო კედლის მხატვრობის ფრაგმენტი, დავით გარეჯელი გამოსახული იყო ჯეირანებით, ფეხქვეშ ვეშაპით. წარწერა გარკვევით იკითხებოდა:

"მოღვაწეო თვალო: და ქრისტიანთაგან ნეტარეულო მამაო: დავით: შენ: ცეცხლით დამწველ: ექმენ ვ.....ც

ვეშაპსა ამას გვართ

კრიჭაშვილს და შვილად თათარაშვილს და ტომით

მწვალებელს: ფრიდონა: ყოფილს: სპირიდონს

რომელმან მრავალი ჭირი შეამთხვია მსწავლი/

და გამდელისა თვისსა გიორგი მხატვარს ვინც მოშალოს შერისხდი დავით/." [ფ. 1753, ან. 1 საქ. 105, ფ. 17.]

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსში განლაგებული, გადარჩენილი ეკლესიების გარდა მეცნიერმა აღწერა დასახლებულ პუნქტებში განლაგებული ეკლესიები. საგარეჯოს დასვლეთით შემადგენულ ბორცვზე განთავსებული პეტრე - პავლეს სახელობის ეკლესია, "იგი ერთ ნავიანი ეკლესიაა, ნაშენი რიყის ქვისა და ნათალი ქვისაგან, საყდრის ამშენებლებად ბერძნები სახელდებიან, მაგრამ ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის. კარების თავზე აქვს ფანჯარა, რომლის თავზე დიდი ჩუქურთმიანი ჯვარია გამოსახული. კარების ქვებისა და ჯვრის ჩუქურთმები მშვენიერია. ეკლესიას

სამირკველი ორი საფეხურით აქვს გამოწეული, ეკლესიის სახურავი დაზიანებული იყო, შიგნით მოთავსებული იყო სახურავიდან ჩამოვარდნილი ერკემალი. ეკლესიის აღმოსავლეთის მხარეს, ფანჯრის თავზე რელიეფური ჯვარია გამოსახული, ფანჯრის ქვებიც კარის ქვებივით ჩუქურთმებით არის გაწყობილი. აღმოსავლეთის მხარეს ფანჯრის თავზე გამოსახულია ანგელოზები და ვეშაპი. [1753, ან.1, საქ. N 105, ფ. 21.]

გარე კახეთის ტაძრებს შორის უდავოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნინოწმინდის სამონასტრო კომპლექსს, რომელიც მეცნიერის მიერ აღწერის დროს თითქმის მთლიანად განადგურებული დახვდათ. კომისიას, რომლის შემადგენლობაში დეკანოზი ალექსი გულისაშვილიც შედიოდა, ისტორიულ ძეგლად სცნო ტაძარში შემორჩენილი, ფიცარზე დამზადებული მოვერცხლილი წმინდა ნინოს ორი ხატი და სამრეკლოში მოთავსებული ძველი ზარბაზანი ლომების ქანდაკებით", ნინოწმინდის ძველი ეკლესია თავის გალავნით და სამიტროპოლიტო სახლი, ისტორიულ ძეგლად სცნო და დაადგინა მკაცრად ყოფილიყო დაცული. კომისიამ ისტორიულად სცნო აგრეთვე: 1. ფიცარზე ნახატი ხატები წმ. ნინოსი, ძველი ქართული ხელოვნებისა; 2. ძველი ზარბაზანი ლომების ქანდაკებით, მოთავსებული სამრეკლოზე. კომისიის დადგენილებით პირველი ნომრით აღწერილი ნივთები დატოვებული უნდა ყოფილიყო ადგილობრივ ეკლესიაშივე, ხოლო უკანასკნელი (ზარბაზანი) გადატანილი უნდა ყოფილიყო ქ. ტფილისის სათანადო მუზეუმში. [ფ. 1753, ან. 1, საქ. 106, ფ. 100].

ოცინ წლებში, იმდროინდელი მთავრობის პოლიტიკის გამო, მასიურად დაიკეტა ეკლესია-მონასტრები და შეწყდა მსახურება, ნინოწმინდის ტაძრიდან ეს ხატები გაიტანეს და მათი ადგილსამყოფელი უცნობი დარჩა. ამ ხატების ბედით შეწუხებული დიდი ქართველი პოეტი გიორგი ლეონიძე მიმართავდა საქართველოს სსრ სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოს: „გარე - კახეთში სხვა ეკლესიებთან ერთად დაკეტეს უძველესი ნინოწმინდის (V საუკუნე) საკათედრო ტაძარი, საიდანაც სხვა ნივთებთან ერთად საგარეჯოს რეკომმა (ურმით წაიღეს) გაიტანეს ორი უძველესი ხატი.

1. წმინდა ნინოს სასწაულებისა, შეწირული არჩილ მეფისაგან (არჩილ I).
2. წმინდა ნინოს ხატი ვერცხლის ჩუქურთმებით მოვლებული, შეწირული მიტროპოლიტის საბა ტუსიშვილის მიერ. [სუიცსა, ფ. 300, აღ. N 3, საქ. 44, ფ. 2].

გარეკახეთის საკულტო ნაგებობათა აღწერისას გიორგი ბოჭორიძემ მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოგვაწოდა მანავ-თარაქის ტერიტორიაზე განლაგებულ ისტორიული ძეგლებზე.

თარაქის ზევით ცივის ძირზე¹. არის ერთი გუმბათიანი ეკლესია, ხალხის გადმოცემით ვედრების ეკლესია, რომელსაც სახურავზე ჩრდილოეთისაკენ დატანებული ჰქონია ქვა წარწერით: "ვისაც ჭკუა აქვს თუშის". ამის შესახებ ხალხში არსებობდა ასეთი ამბავი: ერთს ქიზიყელ მეღორეს კითხვა სცოდნებოდა, ასულიყო ჩამოელო ქილით ოქროს ფული, მთლიანად სულ ქიზიყში წაელო, გაეყიდა. აქედან რამდენიმე 3-5 ცალი, სოფელ ჩაილურში

1. - იგულისხმება მანავის ცივი, რომელიც სოფელ მანავის ჩრდილოეთით მდებარეობს.

მცხოვრებთათვის მიეცა. ამ განძის ადგილი სახურავზე, 17 წლის შემდეგაც, ფულუროდ მოსჩანდა. ალბათ წარწერაც მომხდარის შემდეგ გაკეთდა. "ეკლესია ნაშენია აგურისა და შირიმის ქვისაგან, საძირკველი შიგნიდან კედლებზე განიერია, საძირკვლის შემდეგ კედლები აგურისგან არის ამოყვანილი, შირიმის ქვა მარტო კარნიზებად არის გამოყენებული. ეკლესიის გუმბათის კარნიზები ლეგა ფერის თლილი ქვისაა, თაღები ოდნავ ტეხილი. ჩრდილოეთის კარები ძველთადაც ამოუშენებიათ. ეკლესიას სამ მხარეს აქვს ფანჯრები: აღმოსავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით, გუმბათს სარკმლები ოთხივე მხარეს აქვს. გუმბათი შიგნიდან მრგვალია და გარედან რვა წახნაგოვანი, გუმბათის სახურავიც რვა წახნაგოვანია. გარედან ეკლესიის საძირკველთან, კედლებზე დიდი ნიშებია ამოყვანილი, სიმაღლით 80 სანტიმეტრი, საძირკველიდან 89 სანტიმეტრი. შიგნიდან ეკლესიის სიგრძით $7^{1/2}$ არშინი, სიგანით 6 არშინია. ჩრდილოეთით, კარების თავზე კედელში აგურისაგან ჯვარია გამოყვანილი. კარების თაღები დაზიანებულია, რადგან ხის მასალა მოსახლეობას გამოუყენებიათ. შუა ნიშები დაქანებით არის გადახურული. ეკლესია დგას სოფელ თარაქის თავზე, 2 ვერსის დაშორებით.

გადმოცემით, სოფელ თარაქში ადრე თამარ მეფის სასახლე ყოფილა, ამის დასტურია დიდი შენობის საძირკველი. ამ ადგილს ნატახტარს ეძახიან. შენობის საძირკველთან ახლოს წყლის მსხვილი და წვლრილი მილების ნარჩენებია. აქვეა წყლის საწმენდი ქვევრიც. მახლობლად არის ქვიტკირის შენობა, რომელსაც ადრე წყლის აუზად იყენებდნენ. ეს არის უმშვენიერესი ადგილი, რომელიც მთელს გარე კახეთს ხელისგულივით გადაჰყურებს" [ფ. 1753, ან1, საქ. 105. ფ.4,5.]

გიორგი ბოჭორიძე მანავ - თარაქის ეკლესია ნაგებობებში მოიხსენიებს მანავის თავზე განთავსებულ "წიტიხიზანის" საყდარს, კალოუზნის წმინდა გიორგის განახლებულ ეკლესიას, თარაქის კერპის საყდარს, ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიას და მანავის ციხე - გალავანს. "მანავის ციხე-გალავანი უდიდესი შენობა ყოფილა, დღეს მისგან მცირე ნაწილია არის შემონახული მრავალი ადგილი დაზიანებულია, რამდენიმე მხარეს კედელი გადაქცეულა, რაც შემორჩენილია, ამით მთლიანი სურათის აღდგენა შესაძლებელია. იგი უძველეს ხანას უნდა ეკუთვნოდეს. ციხის კოშკები ოთხკუთხოვანია, თვით ციხესაც კვადრატული დაახლოებით 2 დესეტინამდე ადგილი უჭირავს, ციხის კედლები შერჩენილია ოთხივე მხარეს. იგი ოთხკუთხა შენობა ყოფილა დაქანებით აღმოსავლეთისაკენ. გალავანში შემორჩენილია ნასახლარები.

ჩრდილოეთის კედელთან არის დუღაბით გალესილი შენობა მიწაში, ხალხის გადმოცემით საფქვილე ყოფილა, სამხრეთით არის დიდი დუღაბის აუზი, დღეს ქვებით ამოვსებული, თუმცა წყალი ისევ დგას, ეტყობა ძველი გაყვანილობიდან მისი მიმდინარეობა არ შეწყვეტილა. ამ აუზთან არის ეკლესიები: მანავის ციხის ეკლესია, შირინის ქვით, აგურითა და რიყის ქვით ნაშენი; სამხრეთით დგას მეორე ეკლესია, რიყის ქვისაგან ნაშენი ბაზილიკა. ამ უკანასკნელის აღმოსავლეთით დგას მესამე ციხისთავის

წმინდა გიორგის ეკლესია, შირიმის ქვისა და რიყის ქვისაგან ნაშენი. ეკლესიას ძირში სარდაფის სართული აქვს, კარებით აღმოსავლეთისაკენ, კარები საკმაოდ მაღალია და სარდაფში ჩასასვლელი კიბეც არა აქვს. იგი ხალხის გადმოცემით, სატუსაღო ყოფილა უწინ. პირველი ეკლესიის შენობიდან უყიდიათ ხალხს შირიმის ქვები და საფლავებისთვის უდვიათ. ამ ციხის აღმოსავლეთის კედელთან ახლოს ცნობილ ფრიდონოვს ადგილობრივ სომხებისთვის

აუშენებია საყდარი, რასაკვირველია ამით ციხე-გალავანისთვის დიდი ზიანი მიუყენებია, ჯერ ერთი ადგილის გათხრით და მეორეც ციხის გალავნის მასალის შეხმარებით. ციხისთვის წმ. გიორგის ეკლესიაში შემონახულია სამრეკლოს ზარი წარწერით "ქ. შემოგწირე ზარი ესე ციხის თავს ღვთის მშობლის ეკლესიას ხვთისავრიშვილმა ღვდელმან ლაზარემ, მეუღლემან ჩემან მელანიამ შვილისა ჩემისა სადღეგრძელოდ საოხად სულისა ჩვ[ე] ნისათვინ წელსა ჩყკა". ზარები ქართულია, ყურები კუთხეებიანი აქვს, მასზედ გამოსახულია ღვთისმშობელი და ანგელოზები, წონით ორ ფუთამდე, იქნება. [ფ. 1753. ან1. საქ. 105. ფ.7,9].

როგორც ჩანაწერებიდან ჩანს გიორგი ბოჭორიძემ ვერ შეძლო გარეჯის სამონასტრო კომპლექსში განთავსებული ყველა ტაძრის აღნუსხვა. დღეს გარე კახეთის ტერიტორიაზე განლაგებული ისტორიული ძეგლების დიდი ნაწილი მოვლილი და გაწმენდილია, თუმცა დღესაც მიმდინარეობს უდაბნოს კლდეებში დაფარული, საუკუნეების წინ შექმნილი მრავალი სიახლის აღმოჩენა. აღდგენილ ტაძრებში მიმდინარეობს მჩქეფარე სამონასტრო ცხოვრება. სამწუხაროა, რომ ძირძველ ქართულ მიწაზე საუკუნეების წინ აგებული, თუ კლდეში ნაკვეთი ქრისტიანული ნაგებობები დღეს ორ ქვეყნას შორის დავის საკითხი გახდა.

Tinatin Jabadari
National Archives of Georgia

Archival documents of Gare Kakheti

Summary

The area between the heights of Samgori and the Tsivgombori ridge on the Iori plateau east of Tbilisi is the modern region of Sagarejo, Sa-Garejo land, historical Garekakhethi, famous for its numerous religious buildings, churches and monasteries. One of the main reasons for this is the connection with the David Gareja monastery complex. Much has been written about these temples by our zealous science, however, much remains unclear about some of the buildings. In the middle of the XIXth century, Nikoloz Muravyov, Crown Prince of the Caucasus, commander-in-chief of the Caucasian separate corps and traveler, became interested in the David Gareja monastery complex, he visited and described it.

In the last twenty years of the XXth century, by the decision of the People's Commissariat of Education, the description and study of the historical monuments of the Tbilisi region and the historical objects discovered in them began. Description of the monuments of Garekakhethi - a special contribution to the study was made by the great Georgian scientist Giorgi Bochoridze. He walked around, marked and studied the historical monuments of Garekakhethi.

This topic presents the materials found in the description of the historical and external monuments of Kakheti by Nikoloz Muravyov, Georgy Bochoridze, preserved in the archival

funds. In the process of working on the topic, several important and unknown details were revealed.

წყაროები:

1. იოჰან გიულდენშტედტი, "მოგზაურობა საქართველოში", გ. გელაშვილის თარგმანი, ტ. I, 1962. თბილისი;
2. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, (სცა):
 1. ფ. 500, ან. 2, საქ. NN 39, 68, 74;
 2. ფ. 1612, ან. საქ. 10;
 3. ფ. 1612, ან. 1, საქ. 126;
 4. ფ. 1685, ან1, საქ. 9;
 5. ფ. 1753. ან.1. საქ. 4, 97, 105, 106;
3. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, (სუიცა):
 1. ფ. 300, ან.3, საქ. 44.




გიორგი ბოჭორიძე



ნიკოლოზ მურავიოვი





დავით გარეჯი. XVIII- საუკუნის შუა წლები,
ნ. მურავიოვის მოგზაურობის დროს გადაღებული ფოტოები



მანავის გალავნის ეკლესია
გ. ბოჭორიძე



საგარეჯოს პეტრე პავლეს სახ. ეკლესია.
გ. ბოჭორიძე



გ. ბოჭორიძის მიერ შესრულებული თარაქის ეკლესიისა და ეკლესიის გუმბათის ნახაზები.

XII საუკუნის ლახამულას ოთხთავის სახარების რესტავრაციის ეტაპები

2020 წლის 23 მაისს, საქართველოს ეროვნული არქივის რესტავრაციის ლაბორატორიას, სარესტავრაციოდ გადაეცა XII საუკუნის ხელნაწერი, ლახამულას ოთხთავი სახარება.

ლახამულას ოთხთავი სვანეთში, კერძო კოლექციებში დაცული საგანძურიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ხელნაწერია, რომელიც სრულად ეტრატზეა შესრულებული. ხელნაწერი წიგნი შედგება 212 ეტრატის ფურცლისაგან, ზომით: 25.5X19,8X10,0სმ; ძლიერ დაზიანებულია.

ხელნაწერი წიგნის ხისგან დამზადებულ შიდა ყდას, დაცვის მიზნით, ზემოდან გადაკრული აქვს მუქი ყავისფერი ტყავის ყდა, რომელიც ძლიერ დაზიანებული და გახევებულია. შიდა ყდის ფრთები რამდენიმე ადგილას გადატეხილია და ერთმანეთთან დაკავშირებულია ტყავის ერთი ცალი თასმით, ხოლო მეორე თასმა გაწყვეტილია. შიდა ყდა ხელნაწერს შემოცმული აქვს შემაკავშირებლის გარეშე, შესაბამისად, წიგნის ბლოკი და ყდა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არის.

წიგნის ბლოკი შედგება 28 რვეულისგან. თითო რვეულში სხვადასხვა რაოდენობის ფურცელია. წიგნის ფურცლები უკვე იყო დანომრილი და შეადგენდა 215 ფურცელს, თუმცა გადანომრვისას დაზუსტდა რაოდენობა და შეადგინა 212 ფურცელს.

ფურცლები სხვადასხვა სისქისაა, დეფორმირებულია, გახევებული, მტვრევადი და კიდევში აღენიშნებათ მოშავო ფერის კვალი (სავარაუდოდ, ცეცხლის კვალი). ფურცლების ზედაპირზე შეიმჩნევა მუქი მოყავისფრო ლაქები და მოთეთრო-მომწვანო ფერის ობის მაგვარი ნაღები. ტექსტი შესრულებულია შავი და წითელი ფერის მეღვინით. ზოგიერთ ფურცელზე მეღვინე გამკრთალებულია და ტექსტის წაკითხვა გართულებულია, ფურცლების ნაწილი ძლიერ დაზიანებულია და აღენიშნება ნაკლები უბნები. წიგნის ფურცლების გადაშლა გართულებულია, ვინაიდან ზოგიერთი ფურცელი ერთმანეთზე დაკრულია.

წიგნი აკინძულია თხელი კანაფის ძაფით, რომელიც შემორჩენილია არასრული სახით. ზოგიერთი ფურცელი ამოვარდნილია წიგნის ბლოკიდან (სურ.1, სურ.2)



(სურ.1)



(სურ.2)

რესტავრაციის ეტაპები:

- შენახვის არასათანადო პირობებმა და რეჟიმის დარღვევამ, გამოიწვია მიკროორგანიზმების გააქტიურება და პერგამენტის სტრუქტურის რღვევა. ტემპერატურული და ტენიანობის ოპტიმალური პარამეტრების ცვალებადობა იწვევს კოლაგენის შემცველი მასალების სწრაფ დაზიანებას. მაღალი ტენიანობის შემთხვევაში ეტრატის ზედაპირზე ჩნდება ობი, ხოლო მაღალი ტემპერატურისა და დაბალი ტენიანობის პირობებში შრება და მსხვრევადი ხდება.

ეტრატის საბოლოო განადგურების აცილების მიზნით, დაიგეგმა წიგნის სარესტავრაციო სამუშაოები. ხელნაწერს ჩაუტარდა ყველა საჭირო აღდგენითი პროცესი, დაწყებული წიგნის დეზინფექციით, დეტალური აღწერით, ფურცლები ხელახლა დაინომრა, მშრალი და სველი წესით სათითაოდ გაიწმინდა ეტრატის ფურცლები, მოხდა გახევებული ზედაპირის დარბილება და ნაოჭების გასწორება, ნაკლული ადგილები შეივსო შესაბამისი შეფერილობის და სისქის სარესტავრაციო ქაღალდით. (სურ.3, სურ.4)



სურ.3



სურ.4

- უკვე რესტავრირებული ფურცლები, შინაარსის მიხედვით დალაგდა რვეულებად და ბლოკი შეიკერა ხელით დაზგაზე. (სურ.5, სურ.6)



სურ.5



სურ.6

• ეტრატზე შესრულებული ხელნაწერი წიგნების მნიშვნელოვანი დეტალი - კაპტალია. ვინაიდან ლახამულას სახარებას არ გააჩნდა კაპტალი, წიგნის შეკერვის დასრულების შემდეგ, იგი ხელით მოქსოვილ იქნა ოთხ ფერში. მომზადდა კაპტალისთვის განკუთვნილი სპეციალური ნაჭერი, რომელსაც მიეცა მომრგვალებული ფორმა და შეირჩა საქსოვი ძაფების ფერები. მოქსოვილი კაპტალი მიმაგრებულ იქნა წიგნის ყუის კიდეებზე (სურ.7, სურ.8).



სურ.7



სურ.8

• წიგნის შეკერვის დასრულების შემდეგ, ყუის მხარეს მიეცა მომრგვალებული ფორმა, რომელიც დამატებით დაფიქსირებულ იქნა წინასწარ დამზადებული წებოს მეშვეობით. ასევე, წიგნის ყუის ესთეტიური გაფორმებისთვის, სპეციალური მუყაოსგან დამზადდა ტარტუები. ხელნაწერისთვის შეირჩა მაღალი ხარისხის ნატურალური ტყავი. ყდაზე გადაკვრამდე, ტყავის კიდეები წინასწარ იქნა დამუშავებული და დათხელებული. ხელნაწერი წიგნის ზედა ყდაზე, ტყავზე ამოტვიფრულ იქნა სხვადასხვა ფორმის ორნამენტი და საბოლოოდ წიგნი ჩაისვა ახალ ტყავის ყდაში (სურ.9, სურ.10).



სურ. 9



სურ.10

- რაც შეეხება ხელნაწერი წიგნის ძველ ყდას - გარე ტყავის ყდას და შიდა ხის ყდას, ჭედურობით - სარესტავრაციო ან სხვა სახის სამუშაოები არ ჩატარებიათ, ვინაიდან ჭედურობის აღსადგენად აუცილებელია კომპეტენტური სპეციალისტების ჩართულობა (სურ.11, სურ.12).



სურ.11



სურ.12

- ლახამულას სახარების რესტავრაციის დასრულების შემდეგ, როგორც ხელნაწერი წიგნისთვის, ასევე ცალკე მასზე შემოცმული ძველი ყდისთვის, სპეციალურად, ნეიტრალური მასალისგან დამზადდა ორი შესანახი ყუთი, პრევენციული კონსერვაციის სტანდარტების შესაბამისად. პერგამენტის ხელნაწერი წიგნი და მისი მოჭედილი ყდა, მოთავსდა ყუთებში და დათქმულ ვადებში გადაცემულ იქნა მესტიის რაიონის სოფელი ლახამულას მკვიდრებს (სურ.13, სურ.14).



სურ.13



სურ.14

Maia Baratashvili
National Archives of Georgia

Restoration stages of the 12th century Lakhamula Four Gospels

Summary

The Four Gospels of Lakhamula is one of the significant manuscripts preserved in private collections in Svaneti, written entirely on parchment.

The manuscript is badly damaged; it consists of 212 pages. The parchment sheets have fallen out of the block, with a leather-bound upper board and embossed lower board inserted in a relatively late single leather, which is also damaged. The sheets are of different thicknesses, deformed, torn, brittle, and have blackish marks on the edges (probably fire marks). Dark brown spots and whitish-green, mold-like plaques can be observed on the surface of the leaves. The pages of the manuscript are defective and disorganized and were therefore inconsistently bound.

The manuscript was subjected to all the necessary restoration processes, starting with the disinfection of the book and a detailed description; the pages were renumbered; the parchment sheets were cleaned one by one, dry and wet; the torn surface was softened and the wrinkles were smoothed; the missing areas were filled with restoration paper of the appropriate color and thickness and the capital was woven by hand. The already restored pages were sorted into notebooks according to age and the block was sewn by hand on a loom. A new leather cover was made for the manuscript, on which the ornaments were engraved, and the book was inserted into the new leather cover.

After the restoration of the manuscript, the book was returned to the inhabitants of the village of Lakhamula, Mestia district.

ლახამულას ოთხთავის კონსერვაცია-რესტავრაციის ანგარიში

2020 წელს საქართველოს ეროვნულ არქივს, კერძოდ კი არქივის ლაბორატორიას სარესტავრაციოდ გადაეცა სვანეთში, სოფელ ხიდის წმინდა გიორგის ეკლესიაში დაცული XII-XIII საუკუნეების ეტრატზე შესრულებული სახარება (ტაბ. 1/1).

პალიმფესტური ფურცლის შემცველი ეს უძვირფასესი სახარება სოფელ ლახამულის მოსახლეობისაგან გადმოგვეცა.

სახარების პირველადი დათვალიერების შედეგად სახეზე იყო მიმდინარე ბიოლოგიურად აქტიური პროცესები, რისი გათვალისწინებითაც გარკვეული დროით წიგნი სადეზინფექციო კამერაში მოთავსდა. ამგვარი გადაწყვეტილების მიღება ორი მიზეზით იყო განპირობებული: აღმოგვეჩვენა ბიოლოგიური პროცესებით გამოწვეული დაზიანებების გავრცობადობა და რესტავრატორებისთვის უსაფრთხო გაგვეხადა ხელნაწერზე მუშაობა. სადეზინფექციო კამერაში გავლის შემდეგ, წიგნი აღიწერა და ჩაუტარდა დეტალური ფოტოფიქსაცია, მოიხსნა ყდა და წიგნი დაიშალა რვეულებად, რის შემდეგაც დაიგეგმა საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოების თანმიმდევრობა, შეირჩა შესაბამისი სარესტავრაციო მასალები და გაიწერა მუშაობის 18 თვიანი გეგმა. ჩემთან ერთად, საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოები შეასრულეს საქართველოს ეროვნული არქივის რესტავრაციის ლაბორატორიის სხვა რესტავრატორებმაც.

ეტრატზე შესრულებული სახარების თითოეულ ფურცელს აღენიშნებოდა რთული მექანიკური და ბიოლოგიური დაზიანებები. ფურცლები ძლიერ დაზინძურებული იყო, აღენიშნებოდა როგორც სანთლის, ისე ქვიშისა და ექსკრემენტებისა კვალი (ტაბ. 1/2).

წიგნის ფურცლები ნესტში მოხვედრის შედეგად ძლიერ არის დეფორმირებული, მთელ ზედაპირზე აღენიშნება ლაქობრივი სიმუქეები. ეტრატის ზედაპირზე მრავლად შეინიშნება ობის სოკოს კვალიც, რომელიც მკრთალი მოთეთრო ფერით ვლინდება. წიგნს შეენიშნება ნესტისა და დამწვრობის კვალი. განსაკუთრებით საყურადღებოა ფურცლების კიდეების მდგომარეობა, რომლებიც გამუქებული, გამომშრალი და გამყიფებულია (ტაბ. II).

ფურცლების მთლიანობა დარღვეულია. კუთხეებში, ყუის არეში და კიდეებში ვხვდებით ეტრატის დანაკარგებს, რამაც ზოგ ადგილებში ტექსტის დაკარგვაც გამოიწვია (ტაბ. III-IV).

სახარება ორი ფერის მელნითაა ნაწერი, შავი მელნითა და სინგურით. ზოგ ადგილებში, სადაც ფურცელი ძლიერადაა დაზიანებული ვხვდებით გაფერმკრთალებულ ან ამოცვენილ ნაწერებს, თუმცა ტექსტის ძირითადი ნაწილი შენარჩუნებულია. მელანი ისეა ბოჭკოებში ღრმად ჩამჯდარი, რომ დამაზიანებელი ფაქტორების მიუხედავად, ბოლომდე არ არის გადასული (ტაბ. V/1-2).

სინგურს ფერი აქვს შეცვლილი, გამუქებული და გასქელებულია, რაც მასზე არსებული ჭუჭყის მანიშნებელია.

შავ მელანთან შედარებით სინგური თავისი თვისობრივი მახასიათებლებით წყალთან ურთიერთქმედებაში არამდგრადია, ამიტომ საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოები მელნის გამაგრებით დავიწყეთ, რათა თავიდან აგვერიდებინა გაუთვალისწინებელი გართულებები (ტაბ. VI)

წინასწარ გაწერილი გეგმის თანახმად მუშაობა ეტრატის გაწმენდით განვაგრძეთ, რომელიც მშრალი და სველი წესით შესრულდა. მექანიკურად მოცილდა ექსკრემენტებისა და სანთლის ნაღვენთების კვალი, ხოლო ზედაპირული ჭუჭყი სპირტისა და გამოხდილი წყლის მეშვეობით გაიწმინდა. იმისთვის, რომ ფურცლების ზედაპირზე არსებული ლაქობრივი სიმუქეები, ობის კვალი და დარჩენილი ჭუჭყი მოგვეცილებინა სხვადასხვა სახის საშუალება გამოვიყენეთ (ტაბ. VII).

გაწმენდითი სამუშაოების პარალელურად მიმდინარეობდა ფურცლის დარბილებისა და გასწორების პროცესი, ფურცლებს დასარბილებლად ექსიკატორში, ხოლო გასასწორებლად პრესში ვათავსებდით. დარბილება-გასწორების შემდეგი ეტაპი ფურცლის მთლიანობის აღდგენა წარმოადგენდა. ფურცლების რესტავრაციისთვის მნიშვნელოვანი იყო გამოგვეყენებინა თანამედროვე, სტრუქტურულად, ქიმიურად სწორი შემადგენლობის სარესტავრაციო მასალა, რომელიც თავისი მახასიათებლებიდან გამომდინარე მარტივად თავსებადი, გამძლე და შექცევადი იქნებოდა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით ნაკლები ადგილები შესაბამისი ფერისა და სისქის იაპონური ქაღალდით შევავსეთ (48 g/m^2 , 62 g/m^2 , 2 g/m^2), მისი დახმარებით გამაგრდა ზედაპირზე არსებული ბზარები და ნახევები (ტაბ. VIII).

ფურცლების მთლიანობის აღდგენის შემდეგ წიგნი აიკინმა და ტყავის ყდაში მოთავსდა, რომელიც ძველი ქართული ხელნაწერებისთვის დამახასიათებელი ორნამენტებით გაფორმდა.

გარდა ფურცლებისა და წიგნის მთლიანობის აღდგენისა, ჩვენთვის მისი შენახვის პირობებიც ძალიან მნიშვნელოვანია, ამიტომ დასრულებული სახარება სპეციალური მასალისგან დამზადებულ ყუთში მოვათავსეთ. ამრიგად ეტრატის მთლიანობა აღდგენილია, შეჩერებულია ბიოლოგიურად დამაზიანებელი ფაქტორები. აღდგენილია წიგნის მთლიანობა და პრევენციის მიზნით მოთავსებულია სპეციალურ შემნახავ ყუთში. აღსანიშნავია რომ, ხელნაწერი გაციფრულებულია და მკვლევარებისთვის ხელმისაწვდომია.

Magda Sherazadashvili

National Archives of Georgia

„Lakhamula Four Gospels“ Conservation-Restoration Report

In 2020 “Lakhamula Four Gospels” made on parchment was transferred to the laboratory of National Archives of Georgia for restoration.

Preservation in improper conditions caused heavy damage of the gospel. Initial examination revealed that biologically active processes were in progress. For preventing further spread of damage and continuing working process safely, "Lakhamula Four Gospels" were placed in the book disinfection chamber. At the next stage, detail photographing and description was made, conservation-restoration works were planned, restoration materials were selected and 18 month long working schedule was created.

Conservation-restoration works were continued with dry and wet method of cleaning. For recovery of the pages, Japanese paper with sufficient color and thickness was used.

Besides recovery of the pages and completeness of the object, future protection and preservation conditions are crucial. Therefore, gospel was placed in the box made from special material. As a result of these works, the biologically active damaging factors were eliminated and stopped; the completeness of the gospel is recovered and it is accommodated in the special storage box for prevention of the risks.



1




2

ՏԻՆ. II



ՏԻՆ. III




ՊՅԺ. IV

ἄλλοι δὲ λέγουσιν ὅτι
ἄλλοι δὲ λέγουσιν ὅτι
ἄλλοι δὲ λέγουσιν ὅτι
ἄλλοι δὲ λέγουσιν ὅτι
ἄλλοι δὲ λέγουσιν ὅτι
ἄλλοι δὲ λέγουσιν ὅτι
ἄλλοι δὲ λέγουσιν ὅτι
ἄλλοι δὲ λέγουσιν ὅτι
ἄλλοι δὲ λέγουσιν ὅτι
ἄλλοι δὲ λέγουσιν ὅτι


1

ἄλλοι δὲ λέγουσιν ὅτι
ἄλλοι δὲ λέγουσιν ὅτι
ἄλλοι δὲ λέγουσιν ὅτι
ἄλλοι δὲ λέγουσιν ὅτι
ἄλλοι δὲ λέγουσιν ὅτι
ἄλλοι δὲ λέγουσιν ὅτι
ἄλλοι δὲ λέγουσιν ὅτι
ἄλλοι δὲ λέγουσιν ὅτι
ἄλλοι δὲ λέγουσιν ὅτι
ἄλλοι δὲ λέγουσιν ὅτι


2



ՇՁԸ. VII



ՇՁԸ. VIII.



ტაბ. IX



რესტავრაციამდე



რესტავრაციის შემდეგ



რესტავრაციამდე



რესტავრაციის შემდეგ




რესტავრაციამდე



რესტავრაციის შემდეგ



რესტავრაციამდე



რესტავრაციის შემდეგ

ტაბ. XII



რესტავრაციამდე



რესტავრაციის შემდეგ

ტაბ. XIII



რესტავრაციამდე



რესტავრაციის შემდეგ

Պատ. XIV

